# თხზულებანი

# არჩილ ჯორჯაძისა.

## წიგნი მეორე:

ჩვენი საზოგადოებრივობა.

1911

ტფილისი.

სარჩევი.


**წინასიტყვაობა** . . . . . V

**„მეოთხმოციანნი" და „მეოთხმოცდაათიანნი" (1911 წ.)** 1 **გვ.**

**პუბლიცისტი — ილია ჭავჭავაძე** . . . 79 „

**ნ. ნიკოლაძე.** (ნაწყვეტი) . . . . 134 „

**თ.-აზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზ-**
**როვნება მე-XIX საუკ.** (როგორ მოხდა?.., წარსულის გაკვეთილი. დოკუმენტების მიხედ-ვით) . . . . . 150 „

**რევოლიუციის შემდეგ.** (გარდამავალი ხანა. ჩვენი სატკივარი. მავნებელი სენი. ავადმყოფი საზო-გადოება. პრესა და საზოგადოება. მუსაიფი. „ადგილობრივი" და „სახელმწიფოებრივი". დემოკრატიის გაერთიანება. გაერთიანება მაინც შესაძლებელია. კარგი წიგნი) . . 191 „

# წინასიტყვაობა.

ჩვენს საზოგადოებრივობას განსაზღვრულ ელფერს აძლევს ქართველ ინტელიგენციის აზროვნება. ამ საზოგადოებრივობას ვერ შეიგნებთ, თუ რომ ინტელიგენციის ხასიათის და მიდრეკილების გამორკვევას არ შეუდგებით. ამ წიგნში ეს საკითხი არ არის გათვალისწინებული მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. მე ვეხები მხოლოდ აზროვნების ზოგიერთ თვისებებს და ვითვალისწინებ ჩვენს საზოგადოებაში მომქმედ ზოგიერთ სოციალურ ჯგუფების ფიზიონომიას. მე მაინტერესებდა „ფსიხიკა“ ქართველ ინტელიგენციისა, რამდენადაც იგი ისახებოდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ მხრივ ჩემი დაკვირვება და დასკვნა საიმედო ხასიათი-

სა არ არის. ინტელიგენციის ძალა ხომ მის ცნობიერების ძალაში ისახება. ეს ძალა იმდენად არის ძალა, რამდენადაც იგი მცნობია თავის თავისა. თავის თავის ცნობა კი არის უწინარესს ყოვლისა ცნობა თავის თავის უფლებისა. ცნობიერი ერი არის ერი მცნობი თავის უფლებისა. და რამდენადაც დავაკვირდი საგანს, ქართველი ინტელიგენციის მე-XIX საუკუნის ისტორია არ არის თავის უფლების მცნობ ერის ინტელიგენციის ისტორია.

მართლაც, განა საგულისხმო არ არის ის გარემოება, რომ წარსულ საუკუნეში, როდესაც ასე მწვავეთ ვგრძნობდით პოლიტიკურ პირობების შოლტებს, არ აღიძრა, არ შემუშავდა, არ აღმოჩნდა ჩვენში ერთი, მთლიანი, დიდი ნაკადი ეროვნულის მოძრაობისა. განა სავალალო არ არის ის გარემოება, რომ საუკუნის განმავლობაში (მთიულთა და კახელთა აჯანყებები თუ არ მივიღეთ მხედველობაში) „რომანტიკოს პატრიოტების" გარდა (1832 წ.) ფაქტიურად, საქმით და მოქმედებით არც ერთი ფრაქცია, არც ერთი ჯგუფი არ აღმოჩნდა ჩვენს საზოგადოებაში „ერის უფლების“ დამცველი! ჩვენში მხოლოდ ლიტერატურული ვარჯიშობა იყო ამ საგნის შესახებ, ისიც იმისთანა, რომელიც უმეტესს შემთხვევაში საგნის ზედაპირს არა სცილდებოდა.

„მესამოციანებს" დიდი ღვაწლი მიუძღვით ქვეყნის წინაშე. მათ შემოიტანეს ეროვნული კულტურა. მაგრამ ერის უფლება მათთვის ის იყო, რაც ცნობილ არაკში მელიასათვის იყო მშვენიერი ყურძნის მტევანი, მაღალ ხეზე ჩამოკიდული. თავად-აზნაურულმა ინტელიგენციამ, რომლის წრეშიაც მესამოცე წლის მოღვაწენიც იყვნენ, სამშობლოს სამსახური მოინდო-



მა ორაზროვნობის, ყიზილბაშურის მეთოდის საშუალებით და ამ ინტელიგენციამ მოიმკო ის, რაც დათესა, ე. ი. სრული გაკოტრება თავისი პოლიტიკური პროგრამისა. სოციალ-დემოკრატიულმა ინტელიგენციამ, რომელიც საუკუნის დამლევს გაჩნდა ჩვენში, ამ მხრივ არავითარი ახალი აზრი არ შემოიტანა. პოლიტიკურ აზროვნების მხრივ მას დიდი მსგავსება აქვს თავად-აზნაურულ ინტელიგენციასთან, განსხვავება მხოლოდ დემოკრატიზმის მეტნაკლებობაშია. მაშინ როდესაც პირველნი რუსეთის თვითმპყრობელობიდამ გამოელიან სხნას და წყალობას, მეორენი ამ ხსნას ეძებენ რუსეთის დემოკრატიის პოლიტიკურ იდეალებში.

მე უკვე მქონდა შემთხვევა ხაზი გამესვა იმ გარემოებისათვის (იხ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“), რომ დამონებულ ქვეყანაში, სადაც ეროვნული საკითხი ამ დამონებულ ხალხის ინტერესის მიხედვით კი არა სწყდება ინტელიგენციის

მიე, არამედ გარეშე მდგარ გაუმაძღარ სახელმწიფოებრივ მადის მიხედვით, ან თუ გინდ მპყრობელ ხალხის იდეალების მიხედვით, რომ ამისთანა ქვეყანაში ინტელიგენცია უფსკრულის კიდემდის არის მისული და მისი გადაჩეხა უძირო ხვრელში გადაწყვეტილი საქმეა.

არა, უნუგეშო ისტორიაა ქართველ ინტელიგენციის ისტორია მე-XIX საუკუნეში[1] მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ამგვარ უილაჯობას თითქმის ბოლო ეღება. ფიალა ბოლომდე აივსო და აღორძინების ნიშნები მე-XIX საუკუნის ბოლოშივე აღმოჩნდნენ.

ამ აღორძინებას, თუ იგი თვალთმაქცი არ აღმოჩნდა, მოჰყვება ის, რომ ინტელიგენცია ჩვენს ცხოვრებას და ჭირვარამს დაუახლოვდება, თავს დააღწევს ორაზროვან ფრაზეოლოგიას, და გახდება ინიციატორად საქართველოს დემოკრატიის გაერთიანებისა. გაერთიანებული, დარაზმული, თვითშემეცნების გამსჭვალული დემოკრატია იკისრებს ქვეყნის წინამძღოლობას და მის სოციალურ და ეროვნულ კულტურის გამაგრებას. ჩვენი საზოგადოების პროგრესიულმა ელემენტებმა ამ საქმეს უნდა შეუწყონ ხელი.

მე-XX-ე საუკუნის მსვლელობაში საბოლოვოდ გამოირკვევა, იცოცხლებს თუ არა ქართველი ხალხი და გამოვა თუ არა ქართველი ინტელიგენცია „ერის უფლების“ და „„დემოკრატიის გაერთიანების“ მცველ-დარაჯად!

1911 წ. თიბათვე. _____ არჩილ ჯორჯაძე.

## „მეოთხმოციანნი“ და „მეოთხმოცდაათიანნი“

### მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისთვის)

I.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია თითქმის სრულიად გამოურკვეველი საგანია. ზედ-მიწევნით არა გვაქვს შესწავლილი ამ ისტორიის ეტაპები, რის გამო ნათლად არა სჩანს კავშირი სხვადსხვა, ერთმანეთთან დაშორებულ, იდეიურ მიმართულებათა.

საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლა აუცილებლივ უნდა ექვემდებარებოდეს განსაზღვრულ მეთოდს და წესს ნათლად უნდა იყოს გარკვეული დასაწყისი და საბაბი იდეურ მოძრაობისა. ეს მოძრაობა თავის ზრდა-განვითარებაში ნაწილ-ნაწილად, ეპოქა-ეპოქად უნდა იყოს გაგებულ-განმარ-

ტებული და ამასთან სხვადასხვა მიმართულებათა კლასიფიკაციის პრინციპი რეალურ საფუძველზედ უნდა იყოს დაფუძნებული, რათა ამ სახით უფრო გარკვევით და ნათლად აღმოჩნდეს მიზეზებრივი კავშირი დასთა და ჯგუფთა შორის არსებული.

ამ ხასიათის შრომა ჩვენს მწერლობაში არ არსებობს. პროფესორ ხახანაშვილის „სიტყვიერების ისტორია“ საზოგადოებრივ აზროვნების შესწავლა-გამომკვლევას გაკვრით, სხვათა შორის ეხება. წიგნის ყურადღება სიტყვაკაზმულ მწერლობის ისტორიისაკენ არის მიპყრობილი. ქართული პუბლიცისტიკა ამ შრომაში მხოლოდ საილუსტრაციო მასალაა და აქაც ამ საილუსტრაციო მასალაში ავტორი არ გვაძლევს ნათლად გამოსახულ სახელმძღვანელო მეთოდს და მიმართულებათა შესასწავლად კლასიფიკაციის პრინციპს.

არის კიდევ ნ. ჟორდანიას წიგნაკი „ქართული პრესა“. მაგრამ ეს „ნაწარმოები“ მიდგომილი და ცალმხრივი აზროვნობის ნაყოფია. იგი უფრო ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ მნიშვნელობის დამცირების გულისთვის არის დაწერილი



სერვატორობის და რეაქციის წარმომადგენლად დაუსახავს, დანარჩენი მოღვაწენი კი, განსაკუთრებით, გ. წერეთელი, სერგეი მესხი და ნ. ნიკოლაძე პროგრესისტებათ გამოუყვანია. ბ. ხახანაშვილიც იმეორებს ამ აზრს, თუმც მის თხზულების სხვა ადგილებიდან სრულიად არა სჩანს არც ჭავჭავაძის კონსერვატორობა არც მისი რეაქციონორობა. აი როგორ გვიხატავს ბ. ხახანაშვილი ილ. ჭავჭავაძის მოქმედებას. „ახალი პერიოდი ქართული ლიტერატურისა, ამბობს იგი, იმ დროს იწყება, როდესაც მთიელებთან ომი გათავდა. 1861 წელს თ. ილ. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ „ცისკარში“ იღებს ხელში ჰუმანიზმის დროშას და აარსებს თანამოაზრეთა წრეს, რომელშიაც შედიოდნენ საუკეთესო წარმომადგენელნი მაშინდელის ახალგაზდობისა: პეტრე ნაკაშიძე, გ. ყაზბეგი, ივ. პოლტორაცკი, მიხ. ყიფიანი, ივ. ბერიძე, დავ. ყიფიანი, გ. ჩიქოვანი, ალ. სავანელი, მიხ. ჩიკვაიძე, ილ. წინამძღვრიშვილი და ვ. თულაშვილი. მათვე მიეკედლა შემდეგში ბეს. ღოღობერიძე... ესენი ჰმართავდნენ კრებებს, სადაც კითხულობდნენ რეფერატებს, აღფრთოვანებულ ლექსებს და ნაწყვეტებს „გლახის ნაამბობიდამ“.1863 წ. ი. ჭავჭავაძის მეთაურობით ამ წრემ გამოსცა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა აღტაცებით მიეგება ახალ ჟურნალს. კირ. ლორთქიფანიძემ, მესამე კურსის სტუდენტმა და მ. წერეთელმა, პირველი კურსის სტუდენტმა გა-

მოუგზავნეს ჟურნალს თავისი პირველი ნაწერები. „საქართველოს მოამბე" გამოვიდა მებრძოლეთ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ“[3]) და რამდენიმე გვერდის შემდეგ იმავ თხზულებაში ვკითხულობთ: „როდესაც ილ. ჭავჭავაძემ „ცისკარი“ მიატოვა და დაარსა „საქართველოს მოამბე“, მან დასტოვა „ცისკარში“ პოეტი აკაკი წერეთელი და პუბლიცისტი ანტ. ფურცელაძე. ამ ხნიდამ შეიძლება ვსთქვათ იგი გახდა ქართველ ინტელიგენციის ლიდერად: არ იყო საკითხი, თუ საზოგადოებრივი საქმე, რომ მას არ აღეძრა გაზეთის თუ ჟურნალის ფურცლებით. იგი „თერგდალეულთა“ ჯგუფს მიეკედლა, რომელსაც რუს-ლიბერალობის წყალი ჰქონდა დალეული, იგი მხურვალედ ესარჩლებოდა ახალგაზდობას, რომელსაც რუსეთში დაუმთავრებია სწავლა. და „საქართველოს მოამბე“

---

[3]) იქვე, გვ. 121.



რუსეთის საუკეთესო ჟურნალებს გაგონებდათ თავისი შინაარსით. იქ ბეჭდავდა ნაწყვეტებს ბელინსკიდამ, დობროლუბოვიდან, პრუდონიდამ, ლერმონტოვიდამ, გოგოლიდამ, რესპუბლიკელ ა. შენიეს ლექსებს. მოათავსა თავისი მოთხრობა „კაცია ადამიანი“ და სხვა...[4]) კიდევ ქვევით ვკითხულობთ: „ორ მოთხრობით ილ. ჭავჭავაძისა „გლახის ნაამბობი“ და „კაცია-ადამიანი“, რომელნიც დაიბეჭდნენ 1863 წ. მის მიერ დაფუძნებულ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“, დიდი აღელვება და პროტესტი გამოიწვიეს მაღალ საზოგადოებაში, რომელსაც ასე დასცინა „თავხედმა“ მწერალმა ლუარსაბ თათქარიძის სახეშიო“...[5]) და სხვა-და-სხვა.

და ყველა ამის შემდეგ, რატომ დასჭირდა ბ. ხახანაშვილს ძველი-თაობის ორ დასად გაყოფა და ილია ჭავჭავაძის მოთავსება რეაქციონერთა ბანაკში, სრულიად გაუგებარი დარჩება თქვენთვის, თუ რომ არ მიჰმართეთ ნ. ჟორდანიას „ქართულ პრესას“, რომელსაც, აშკარაა, დიდი გავლენა მოუხდენია ბ. ხახანაშვილზე. ნ. ჟორდანიას აზრით კი ილი ჭავჭავაძე 1863 წელს დამარცხდა როგორც პროგრესისტი. თავისი დამარცხება ჭავჭავაძემ თვითონვე აღიარაო და ეს იქიდამ გამომდინარეობს, რომ ილ. ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბის“ უკანასკნელ ნომერში სთქვა, ჩემი ჟურნალი უფრო „სბორნიკი“ და ალმანახია, ვიდრე ჟურნალიო და აბა „სბორნიკით“ პროგრესისტობა როგორ უნდა დავიცვაო[6]). გარდა ამისა თურმე ბატონ-ყმობის საწინააღმდეგო ცნობილი ლექსი, დაწერილი 1860 წ., დაიბეჭდა მხოლოდ 1871 წელს!! „ესე იგი მაშინ, როდესაც „ბატონ-ყმობის ხსენებაც კი აღარსად იყოო!!“ „გლახის ნაამ-

ბობი“, დაწერილი I862 წ., გამოქვეყნდა 1873 წელს!!!!
და „კაკო ყაჩაღი“ მთლად დაიბეჭდა მხოლოდ 1879 წელს!!!!
„ივერიაში“. „ერთი სიტყვით, — ბრძანებს ბ ჟორდანია, — არც ერთი მისი საყურადღებო თხზულება, გარდა „კაცია ადამიანი“-სა არ დაიბეჭდა მაშინ, როცა მისი დაბეჭდვა საჭირო იყოო“[7]). ყოველივე ეს უტყუარი საბუთია, რასაკვირველია, ილიას პროგრესისტობის დამარცხებისა. და აი ამ დამარცხებულმა და გაკოტრებულმა ლიბერალმა ხელმეორედ შემოდგა

---

[4]) იქვე გვ. 126.
[5]) იქვე გვ. 130.
[6]) ნ. ჟორდანია „ქართული“, გვ. 15.
[7]) იქვე, გვ. 16.



ფეხი ქართულს ლიტერატურაში 1877 წელს. რა იყო ამისი მიზეზი? მოწოდება? არა. ამისი მიზეზი ბანკი იყო. ილია ჭავჭავაძეს დასჭირდა გაზეთი „არა იმიტომ, რომ ის მწერალი იყო, არამედ იმიტომ, რომ ის ბანკის მმართველი იყოო" [8]), აქედამ გამომდინარეობს მისი გამარჯვება როგორც კონსერვატორისა და რეაქციონერისა, დედა-აზრი ბ. ჟორდანიას შეხედულებისა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობაზე ეს არის. და ამ შეხედულებამ შეარყია ბ. ხახანაშვილის აზრი იმავ მოღვაწის შესახებ და დააწერინა დიდტანიან შრომაში ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები.

ხოლო ჩვენს საგანს რომ დავუბრუნდეთ, უნდა ვსთქვათ, რომ თუ მართლა ორი ბანაკი იყო მესამოცე წლებში, ამ შემთხვევაში არც ნ. ჟორდანიას კლასიფიკაციაა მისაღები. მესამოცე წლებიდან ოთხი დასი დაითვლება, თუ „ნაროდნიკებიც" ცალკე დასად ჩავსახეთ. მაგრამ, ვიმეორებ, ყოველივე ეს სინამდვილეს ეწინააღმდეგება. იმ დროის მწერალი, რომლის მოწმობას მეტი ფასი უნდა ჰქონდეს, ვიდრე ბრაზმორეულ სექტანტის გულის-წყრომას, სულ სხვას გვეუბნება მესამოცე წლების მოღვაწეთა დას-დასობად დაყოფის შესახებ. 1873 წლის „კრებულში" ნ. ნიკოლაძე სწერდა: „განა ამ სტრიქონების დამწერი ყველაფერში ეთანხმება, მაგალითად, გ. წერეთელს, ილ. ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს ან ს. მესხს? ან განა ესენი ყველაფერში ეთანხმებიან იმას? არა. ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვებზე ჩვენ სხვა და სხვა აზრისანი ვართ. მაგრამ ჩვენ ყველას საზოგადო მიზანი ერთი და იგივე გვაქვს და უნდა გვქონდეს. ამ საზოგადო მიზანს ჩვენ ყველანი ჩვენი ძალისა და ცოდნის მიხედვით, ერთგულად ვემსახურებითო".[9]) ჯერ ხნობით ამ ცნობებითაც, რომ დავკმაყოფილღეთ და მესამოცე წლების მოღვაწენი რომ ერთ

ბანაკად ვაღვიაროთ, მაინც ყალბი და უსაფუძვლო რჩება ჩვენ ლიტერატურაში დამყარებული კლასიფიკაცია.

საქმე აი რა არის. არ მესმის, რატომ უნდა იწყებოდეს ქართული საზოგადოებრივი აზროვნობის და ქართველ ინტელიგენციის ისტორია მესამოცე წლებიდამ, როდესაც ჩვენმა ინტელიგენციამ უფრო ადრე დაიწყო მოქმედება და ჩვენს

---

[8]) იქვე, გვ. 24.

[9]) იხ. ჩემი დაუმთავრებელი წერილი ნიკოლაძის შესახებ 1901 წ. „მოამბე“-ში.



აზროვნებასაც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში განსაზღვრული ფიზიონომია და ელფერი ჰქონდა. თუ დასობაზე მიდგა ლაპარაკი, რატომ უნდა დავივიწყოთ და ანგარისში არ მივიღოთ ის ხანა, როდესაც ჩვენმა ინტელიგენციამ ცნობილი „შეთქმულობა" მოახდინა, ხანა, როდესაც ჰყვაოდა ჩვენი რომანტიული ლირიკა, როდესაც დაარსდა ქართული თეატრი და ქართული პირველი ჟურნალი, როდესაც მოღვაწეობდნენ სოლომონ დოდაშვილი, ზ. ერისთავი, პლატონ იოსელიანი, კერესელიძე და მიხეილ თუმანიშვილი, ხანა, როდესაც დანიელ ჭონქაძემ დასწერა „სურამის ციხე" და ლავრ. არდაზიანმა „სოლომონ მეჯღანუაშვილი", ხანა, როდესაც სეპარატიულ ოცნებათა დამსხვრევის შემდეგ, განათლებულ თ. ვორონცოვის მეცენატობის წყალობით აღმოცენდა ქართველ ინტელიგნციის წრეებში მთავრობასთან ერთად სოლიდარულ მუშაობის აზრი და სურვილი, ხანა, როდესაც ჯერ კიდევ ბატონყმობა არსებობდა ჩვენში და როდესაც ამ ბატონყმობასაც გაუჩნდნენ მოსარჩლენი, მისწვდათ თუ არა მათ ხმა თავისუფალ აზრისა და მოძრაობისა. მესამოცე წლებში ახალ მოღვაწეთა გამოსვლის უმალ გაჩაღდა ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. ამ ბრძოლის შესახებ ნ. ნიკოლაძე 1873 წ. „კრებულში" ამბობს: „რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავალის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეიყარა „ცისკარში" და ამნაირად იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბის" და „ცისკრის" შუა, სჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველსა და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაშიო" [10]).

„ამ საგნის შესახებ ს. მესხი 1872 წელს „დროებაში“ გვეუბ - ნება: „ჩვენი მამები ბრალად სდებენ შვილებს, რომ თქვენ ურწმუნონი, უსაქმონი და ლიბერალები ხართო. ენა წაგვიპილწეთო და სხვა ამისთანებს. შვილებიც, თავის მხრივ, სხვა

და სხვა მრუდე საქმეებს, საზოგადო სიკეთეზე დაუდევრობას და მხოლოდ თავის საკუთარ თავზე ზრუნვას აბრალებენ მოხუცებულებს. ამას გარდა ორივე მხრით ბევრი გასამტყუნარი

---

[10]) იქვე.



პუნქტია წარმოდგენილიო" [11])... მესხს თავის წერილის სათავეში მოჰყავს რამდენიმე ტაეპი იმ პოეტურ ტურნირისა, რომელიც გაიმართა მაშინ ძველის და ახალ-თაობის პოეტთა შორის.

**ბრალდება:**

თქვენ უსწავლელნო,
ცრუ-რუსთაველნო!
რათ წაგვიგილწეთ ენა მდიდარი?
მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის...
ჩირქი რათ მოსცხეთ ტაძარსა წმინდას?

**პასუხი:**

გვიან თუ მალე,
დღესა თუ ხვალე,
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება;
მაგრამ კი თქვენი
მრუდე საქმენი
ისევ ესევე მრუდეთ დარჩება!

მაშ ყველა ამის გათვალისწინების შემდეგ აშკარა არ არის განა, რომ დღევანდელი ჩვენი კლასიფიკაციები დასებისა და საზოგადოებრივ მიმართულებათა ჩვენს ისტორიულ სინამდვილეს სავსებით და სისრულით ვერ ჰსახავენ და რომ კლასიფიკაციის გარედ რჩება ისეთი ხანა ჩვენის ცხოვრებისა, რომელსაც ფრიად დიდი გავლენა ჰქონდა როგორც მომავალ ჯგუფთა შემუშავების საქმეში, ისე ამ ჯგუფთა ხასიათსა და მიმართულებაზე.

და თუ რომ მივიღეთ ეს გარემოება მხედველობაში, აღმოჩნდება, რომ რასაც ჩვენ, ვსთქვათ, მესამე დასს ვუწოდებთ, ნამდვილად მესამე კი არ არის, არამედ მეოთხე ან მეხუთე და ამრიგად სხვაც.

ამის თქმა გვინდოდა დასთა კლასიფიკაციის პრინციპის და მეთოდის შესახებ. ქართულ აზროვნების განვითარების ისტორიკოსმა აუცილებლივ უნდა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება.

2.

როგორც ვიცით ახლა, მესამოცე წლების მოღვაწეთ სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლისათანავე ძველ თაობასთან შე-

ტაკება მოუხდათ. გაჩაღდა ბრძოლა „მამათა" და „შვილთა" შორის. წინასწარმეტყველობა არ იყო საჭირო იმის გამოსა-

---

[11]) ნაწერები სერგეი მესხისა, გვ. 69.



ცნობად, თუ ვის დარჩებოდა ამ ბრძოლაში გამარჯვება. მართლაც ახალმა თაობამ გაიმარჯვა, რადგან ძველი სოციალური წესი დაირღვა და ახალი დამყარდა. ამ ცვლილებას წინ ვერავინ აღუდგებოდა და ახალ-თაობის გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო.

მაგრამ მიდის დრო. ახალი თაობა ნელ-ნელა ხანში შედის. მისი იდეალები ნახევრად განუხორციელნი დარჩნენ. ის ღრმა ცვლილება, რომელიც მოხდა მესამოცე წლებში, თითქოს დაუმთავრებელი დარჩა. ამ ცვლილების ნაყოფი ცხოვრებაში ისე აშკარად არ სჩანდა, როგორადაც იგი უნდა გამორჩენილიყო ვარაუდით და გარემოების აწონ-დაწონვით. ეროვნული კულტურის აღორძინებაც თითქოს უფრო ნელი ნაბიჯით მიმდინარეობდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მართალია, გაჩნდა თეატრი, პრესა, მაგრამ ყველა ეს საკმარისი არ იყო კულტურის აყვავებისათვის. რაც საჭირო იყო, იმისი მოპოვება ძნელი და შეუძლებელი გახდა და რაც ხელთ გვქონდა, შესამჩნევად ეროვნულ ცხოვრებას არ ამოძრავებდა და არა სცვლიდა. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ინტელიგენცია, უმეტესად თავადაზნაურობისაგან შემდგარი, დაშორებული იყო ხალხზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ინტელიგენციას აღფრთოვანებდა საუკეთესო იდეალები. მაგრამ იდეალი და მისწრაფება მოღვაწეების თითქოს ერთს წრეში ტრიალებდა, მოღვაწეების სოციალური მდგომარეობა კი სხვა წრეში იმყოფებოდა. და აღმოჩნდა სიტყვის და საქმის წინააღმდეგობა, აღმოჩნდა წინააღმდეგობა იდეალისა და სინამდვილისა, აღმოჩნდა, რომ საქართველო, როგორც წოდებრივ წყობილების ქვეყანა, ისე ადვილად ვერ გამთელდება და ვერ დაივიწყებს თავის შინაურულ მოუწყობლობას, რომლის მოწესრიგებისათვის თავადაზნაურულ ინტელიგენციას ძალა არ შესწევდა.

ყოველივე ეს რომ აღმოჩნდა და დროთა მსვლელობაში უფრო და უფრო მომწიფდა, გამოაშკარავდა ამასთან ისიც, რომ ისინი, ვინც მესამოცე წლებში მებრძოლ-შვილების საქმეს ასრულებდწენ, მეოთხმოცე წლებში უკვე „მამების" ადგილი დაიჭირეს, რომელთაც მოწინააღმდეგენი გაუჩნდნენ, ახალი თაობის წარმომადგენელნი. და ისევ გაჩაღდა ბრძოლა ძველსა და ახალს შორის და ისევ უკმაყოფილება ჩამოვარდა

დასთა შორის. ასეთია ცხოვრების ულმობელი კანონი. და
აქ საყურადღებო ის არის, რომ ამ ბრძოლაში, რომელიც
თითქოს მუდმივია საზოგადოებათა ცხოვრებაში, სიმართლე
და უპირატესობა ყოველთვის არ არის ხოლმე იმაში, რასაც
ახალი თაობა, ახალი მებრძოლნი აღიარებენ და ქადაგებენ.
ხშირად ახლები სცდებიან, ნამდვილ გზას მსვლელობისას და
პროგრესისას უხვევენ. ხოლო რაც უნდა შემცდარნი იყვნენ
ისინი ახალ გზის გაწალდვის საქმეში, მათი საასპარეზოდ გა-
მოსვლა ყოველთვის გამოწვეულია ცხოვრების რეალურ პი-
რობებით და მათს კრიტიკაში ძველის თაობისა ყოველთვის
რამდენიმე სამართლიანი და საპატიო მხარე მოიპოვება.

ჩვენს სამწერლო ასპარეზზე მეოთხმოცე წლებში მოხდა
სწორედ ამგვარი გარემოება. ოცი წლის ბატონ-ყმობის გან-
თავისუფლების შემდეგ, ამ სოციალურ ცვლილების ნაყოფი
აღმოჩნდა უკვე ჩვენს ინტელიგენციის წრეებში. თუ წინად
აქ თავ.-აზნაურთა წარმომადგენლების მეტს სხვა წოდების
შვილს თითქმის ვერ ნახავდით, ახლა გაჩნდნენ სხვა წოდე-
ბიდამ გამოსულნი ინტელიგენტნი „დიაკვნის – შვილები“, რო-
გორც უწოდებდნენ მათ დაცინვით „კეთილშობილ" საზო-
გადოებაში. ამ ინტელიგენტების დემოკრატიზმი მწიგნობრი-
ვი აღარ იყო. საუკუნოების მონობიდამ გამოსულნი და თავ-
დაღწეულნი, მათს სისხლში სდუღდა პროტესტი და მათ
თითქოს თანშეზდილი ჰქონდათ უნდობლობა თავად-აზნაუ-
რებისადმი, თუნდაც რომ ისინი ინტელიგენტები და დიდე-
ბული მგოსნები ყოფილიყვნენ. ეს ახალი სამწერლო დე-
მოკრატია, თუმცა ტლანქი და უხეში, ხოლო პირდაპირი და
გულწრფელი მოსარჩლე იყო დავრდომილ ხალხისა, რომლის
წრიდამ თვითონ იყვნენ გამოსულნი და რომლის დაქვეითე-
ბას და დაცემას ასე კარგად ჰგრძნობდნენ და ხედავდნენ. ამ
გუნდს მწერლებისას დიდი მეცნიერული მომზადება არა
ჰქონდა, ხელოვნებაში მათ არა გაეგებოდათ რა, პოლიტიკა-
ში ხშირად ბეცნი იყვნენ, მაგრამ მათი ძალა ის იყო, რომ
ერის მომავალს ისინი ხალხზე აფუძნებდნენ და ხალხის გა-
რეშე ხსნას არსად არა ხედავდნენ. ეს ჯგუფი იყო „იმედის"
ჯგუფი, ორგანო, რომელიც დაარსდა 1881 წელს. აქ იყვ-
ნენ მიხ. გურგენიძე, ვინმე ტატალა, სტ. ჭრელაშვილი, ხი-
ზანაშვილი, სოფ. მგალობლიშვილი, გრ. ყიფშიძე და სხვა-



ნი. ბევრნი მათგანნი შემდეგ წლებში, როდესაც ჟურნალი

მოისპო, სხვა ჟურნალ გაზეთებში შეიხიზნენ. ზოგნი „ივერიაში", ზოგნი „დროებაში" და ზოგნი „მოამბეში", მაგრამ ჩვენ აქ ის კი არ გვაინტერესებს, სად და ვინ წავიდ-წამოვიდა შემდეგ ხანაში, არამედ ის, თუ რა საფუძველზე შეჯგუფდა ახალი თაობა ძველების საბრძოლველად და ორი წლის განმავლობაში, რა იქადაგეს და მოიმოღვაწეს. საქმე ხანგრძლივობაში არ არის. ხშირად ახალ ჯგუფს ღონე და ძალა არ შესწევს ხანგრძლივ მოქმედებისათვის. ხოლო ამით მის ხანმოკლე მოღვაწეობას მნიშვნელობა არ ეკარგება, არ ეკარგება იმიტომ, რომ დგება დრო და მათი აზრების განსავითარებლად და დასაცავად სხვა უფრო მომზადებული ჯგუფები გამოდიან და მით მნიშვნელობას ანიჭებენ თვით ხანმოკლე მოღვაწეობას, თუ ამ მოღვაწეობაში რაიმე საღი და კეთილი მოიპოვებოდა. ასეთი ბედი ეწვია „იმედის" ჯგუფსაც. რაც მათ ვერ მოახერხეს და ბრუდეთ თუ უხეიროდ განმარტეს, ის შემდეგში გასწორდა, ხოლო მათი მოქმედების და აზროვნების დედა აზრი, – ხალხი და ხალხოსნობა საძირკვლად ჩაეყარა ქართველ საზოგადოებრივ ჯგუფთა მოქმედებას.

ამბობენ ჟურნალი „იმედი" ქართველ „ნაროდნიკების" ორგანო იყოო. ამ აზრს განმარტება უნდა, ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, რომ „იმედის" ნაროდნიკობა რუსეთის ნაროდნიკობას არა ჰგვანდა, ესე იგი რუსულ მიმართულების სისრულეზამდე და დამთავრებულებამდე არ მისულა. ეს ხასიათი ჩვენებურ ნაროდნიკობას არც შემდეგში მიეცა თუმცა ლალის შესახებ დამყარებული აზრია ჩვენს მწერლობაში, ვითომ იგი ივერიაში (1895 წ.) მოღვაწეობის დროს ტიპიური „ნაროდნიკი" ყოფილიყოს. „იმედში" კი უფრო მისი დემოკრატიზმია საყურადღებო, ვიდრე სპეციფიკური" რუს-ნაროდნიკული" მიმართულება, განსაკუთრებით იმიტომ, რომ „იმედს", გარდა მეურნეობისა, წარმოების სხვა დარგებისაკენაც ეჭირა თვალი და იგი მოწადინებული იყო „მეოთხე წოდების" შესახებაც ჩამოეგდო ლაპარაკი, მაგრამ გარემოებამ, როგორც ვნახავთ, ხელი არ შეუწყო და სამუდამოდ დაადუმა.

მაგრამ უკეთესია გადავშალოთ თვით ჟურნალი და კვალ და კვალ მივყვეთ მისი სულის კვეთების გასაგებად. „იმედის“



საზოგადო ხასიათი ის არის, რომ იგი ყოველ ნაბიჯზე ხაზს უსვამს ჩვენი ცხოვრების წოდებრივობას და იმას, რომ ეს წოდებრივობა, როგორც წარსულსა ისე აწმყოში დიდი დაბრკოლებაა კულტურის განვითარებისთვის და ხალხის წელში გამართვისათვის. წოდებათა ურთიერთობის შესახებ „იმედი"

ამბობს:

„ჩვენი თავადაზნაურობა საზოგადოთ და იმერეთისა კერძოთ თავის დაცემას თითონვე სცდილობს, ზრუნავს გლეხკაცებისაგან გაცალკევებაზედ, აშენებს სხვა და სხვა ზღუდეებს თავის ცხოვრების ასპარესზედ და ავიწყდება, რომ ეს ზღუდეები, ავად თუ კარგათ ბატონყმობის დროს გამოსადეგნი, არამც თუ ძალიან უდგნობელნი და გამოუსადეგარნი არიან მისთვის ჩვენს დროში, არამედ მავნებელნიც. ამისათვის არის, რომ გლეხკაცობა უყურებს თავად-აზნაურობას არა როგორც ძმას, არამედ როგორც მტერს. თავადს და აზნაურს რომ სახლი ეწოდეს, ან ვენახი თავის დროზე არ უკეთდებოდეს, ან ყანა მოუმკელი და გაულეწელი რჩებოდეს და გლეხი კი სრულიად მოცლილი იყოს – ფასითაც ხშირად არ ეხმარება ხოლმეო"*).

„იმედის" აზრით ამ წოდებრივ განხეთქილების მიზეზი საქართველოს წარსულ წეს-წყობილებაში უნდა ვეძებდეთ. ჟურნალი ეკამათება „ივერიის" თანამშრომელს იაკობ სვიმონიძეს ბატონყმობის შესახებ და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ წარსულშივე დიდი განხეთქილება ჰსუფევდა ჩვენს წოდებათა შორისო **). რაიც შეეხება აწ არსებულ უთანხმოებას, „იმედი", სხვათა შორის, იგონებს ერთს მაგალითს, რომელსაც ჰქონდა ადგილი ქუთაისის თავადაზნაურთა ბანკის კრებაზე. სარგებლის განაწილების დროს წ. კ. საზოგადოების შუამდგომლობა უყურადღებოდ დასტოვეს და დახმარებაზე უარი შეუთვალეს. „საზოგადოება" ღირსი არ არის შეწევნისაო, რადგანაც ის მხოლოდ **საგლეხო** სკოლებს **ეხმარებაო**, აღნიშნავს გულისწყრომით ჟურნალი და უმატებს:

„ძალიან ცუდი უნდაიყოს ის საბუთი, რომელიც არ ეთანხმება ჩვენ დროს და განათლებას დი რომელიც სდებს დიდ ზღვარს ხალხის სხვა და სხვა წოდებებ-შუა! ეს საბუთი,

---

*) „იმედი", 181 წ. N 6.

**) იქვე, N 12.



თუმცა გამოთქმული იქმნა უფ. ნიკოლაძისაგან, მაგრამ, ეჭვი არ არის, ეკუთვნის თითქმის მთელ თავად-აზნაურობას, რაშიაც ცხადად გვიმტკიცებს ის, რომ თითქმის ერთ ხმად მიღებული იქმნა... რასაკვირველია, სამწუხაროა ჩვენთვის რომ ჩვენი საქებური ნიკოლაძე ექვსი თვის განმავლობაში სამშობლოს გარედ ცხოვრებამ, ადმინისტრაციული განკარგულებით, ასრე გამოგვიცვალა, მაგრამ, სწორე მოგახსენოთ, უფრო სამწუხარო ის არის, რომ თითქმის მთელი იმერეთის კე-

თილშობილობა ამავე აზრისა იყო, არის და ვგონებ, კიდევაც დიდხანს იქნებაო" [3]).

უნდა ვსთქვად, რომ „იმედი" დიდი თანამგრძნობი იყო ნ. ნიკოლაძისა. ჟურნალის ერთერ ნომერში (№ 4) 1881 წ.) აღწერილია მახვილის ენით სასამართლოს პროცესი, როდესაც ნ. ნიკოლაძის ბეჭდვითი სიტყვის დანაშაულობის გამო მიწვეული იყო ბრალდებულად. იმედის თანამშრომელი ვინმე ტატალა ასე გველაპარაკება ამის შესახებ:

„მე დავესწარ უკანასკნელ პროცესზე 7-8 აპრილს უ. ნიკოლაძე დაბარებული იყო სისხლის სასამართლოში, პალატის განყოფილებაში. დიახ, სისხლის სამართალში! მე ვთქვი, რა ღმერთი გასწყრომია ამ კაცსა, როგორც რედაქტორსა და მწერალსა, ჯერ ხომ ცენზურამ გააძრო ტყავი, მერე, როგორც წარმომადგენელს ტბილისის თვითმმართველობისა, ადმინისტრაციამ უკრა თავი სტავროპოლში! ამ სისხლის სამართალში რისთვის უნდა იყოს მოწვეული, მეთქი? იქნება ახლა კიდევ, როგორც კერძო კაცს, დაემართა რამე, იქნება სცემა ვისმეს, ან ხომ არავინ შემოაკვდა, მეთქი? თუ არა და, სისხლის სამართალში რა უნდა, მეთქი? ასეთი განცვიფრებული შევედი სასამართლოს ზალაში... რაცა ვნახე, იმან დამარწმუნა, რომ ნიკოლაძე სასამართლოში მოწვეულია არც კაცის გალახვისათვის, არც მკვლელობისათვის, არც ვისიმე სახლის გატეხისათვის. ეს ყველაფერი მე ძალიან მიამა, სწორედ გითხრათ; მაგრამ მაინც ვერ შეურიგდი, რომ ამასთან სისხლის დანაშაული არა ჰქონდა-რა კაცსა და მაინც სისხლის სამართალში კი იყო მიწვეული, როგორც ბრალდებული. რათა? – თურმე ისევ წინანდელი დანაშაულობისთვის რედაქტორობის დროს. წერისთვის მწერალი სისხლის სამართალშიო!"[4])

---

[3]) იქვე, N 6.

[4]) იქვე, N 4, 1881 წ.



ასე სწუხს და თანაც ოხუნჯობს „იმედი" და ყოველ მის სიტყვაში ჰგრძნობთ თანაგრძნობას ნ. ნიკოლაძისადმი, ადმინისტრაციის მიერ დევნილ მოღვაწისადმი. და აი ეხლა, რამდენიმე თვის შემდეგ, ჟურნალი ილაშქრეს იმავ საზოგადო მოღვაწის წინააღმდეგ. და თავის უკმაყოფილებას და პროტესტს ჟურნალი თანდათან თითქმის ყველა საზოგადო მოღვაწეებს და არსებულ ჟურნალ-გაზეთებს უცხადებს. „იმედი" ხდება ოპოზიციად ქართველ ინტელიგენციისა. იგი ილაშქრება „ივერიის“, „დროების" და „შრომის" წინააღმდეგ და ბრძოლას მთელ ძველ თაობას უცხადებს.[5]) ეს ჩვენთვის

თანდათან ნათლად გამოირკვევა. „იმედი" არ ეთანხმება „ივერიის" ცნობილ ფორმულას, რომ ქართველ ხალხს მარტოოდენ მიწა და გუთანი იხსნის.

„უნდა შევნიშნოთ, – ამბობს ჟურნალი, – რომ მხოლოდ მიწის განაწილება და მორიგება არ არის ყოვლად გამკურნელი მალამო ხალხის კეთილდღეობისათვის. საქმე იმაშია, რომ მიწა-გუთნის გარდა ეკონომიურ ცხოვრებაში მოქმედებენ, ბრუნავენ სხვა ფაქტორებიც და ხალხის ბედნიერებისათვის, „არა ბოლოს მოღებისათვის", არა ნაკლებად საჭიროა ამ ფაკტორებისაც სამართლიანი განწყობაო".

როგორც ხედავთ, ეს სრულიადაც არ არის ენა რუსეთის „ნაროდნიკებისა" და ჩვენს მწერლობაშიაც იმ ხანებში იშვიათად ლაპარაკობდნენ იმ ეკონომიურ ფაქტორებზე, რაზედაც გვითითებს „იმედი". იგი განაგრძობს:

„ეკონომიურ მეცნიერებაში ბევრი მოიპოვებიან მწერლები, რომელნიც ორ ნაწილად, პარტიად განიყოფებიან: ერთი პარტია ამტკიცებს და, რასაკვირველია, საბუთიც მოჰყავს, რომ უფრო სასარგებლოა, როდესაც დიდი მამული შეადგენს კერძო პირის საკუთრებას, მეორე პარტია აღიარებს სულ წინააღმდეგ სწავლას – მიწა რომ წვრილ-წვრილ ნაწილად იყოს ხალხშიო, უფრო კარგი იქნებაო. ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ კითხვის ასახსნელად საჭიროა ჯერ იმის განმარტება, როგორი იყო იურიდიული აგებულება მიწისა ხალხის ცხოვრებაში; მერე შეიძლება მკითხველს ვუწი-

---

[5]) ნ. ჟონდანიას „პრესაში“ ნათქვამია, ვითომ „იმედი“ იყო მარტო „ივერიის“ საოპოზიციო ორგანო. ეს სიცრუე საჭირო იყო ავტორისათვის „ივერიის" დასამცირებლად. ნამდვილად „იმედი" გაცილებით უფრო სასტიკად ეკიდება „დროებას“.



ნასწარმეტყველოთ, რომ მარტო ამგვარი საკუთრების აგებულება გადაჭრით ვერა ხსნის ეკონომიურ პრობლემას, რადგანაც ეკონომიურ ცხოვრებაში მოქმედებენ სხვა ფაქტორებიც, **იგინიც უნდა განიწყონ წესიერად, სამართლიანად.** მხოლოდ ამ გზით შეიძლება დამყარდეს სანატრელი ეკონომიური წყობილებაო". [1])

არა სჩანს, რომ „იმედი" რაიმე უპირატესობას და მნიშვნელობას აძლევდეს მიწის საერთო მფლობელობას. 1881 წ. ანტ. ფურცელაძის წიგნაკი დაიბეჭდა „მამულის საერთო მფლობელობაზედ". „იმედი" არჩევს ამ წიგნაკს და უკმაყოფილოა, რიმ წიგნაკში „ხუთი-ექვსი გვერდია" მხოლოდ მიწის საკითხის შესახებ, დანარჩენი ნაწილი წიგნისა კი ხალხის სუვერენიტეტს და პოლიტკურ უფლებებს ეხება. „რაკი ამ

მხრივ მაგრა დაიჭერს ხალხი თავის საქმეს, განმარტავს ჟურ-
ნალი ან. ფურცელაძის აზრს, მაშინ ეკონომიურ მდგომარეო-
ბასაც ისეთ წესზე დააყენებს, რომ არავინ არ დარჩეს დაჩაგ-
რული, ყველა ერთ ბედ-იღბალში იმყოფებოდეს, ერთი არა
ცხოვრობდეს მეორეს დაღუპვით და სხვანიო"[2]). სუვერენიტე-
ტის აზრს „იმედი" თანაუგრძნობს, მხოლოდ, ვიმეორებ, არ
შედის მიწის მფლობელობის საკითხის გარჩევაში. თავის ეკო-
ნომიურ პროგრამას სხვა ადგილას იგი ამგვარად ჰსახავს:

„იქნება კიდეც, ჩვენში, სხვა და სხვა გარემოებათა და
მიზეზთა მეოხებით, უპირატესობა უნდა დარჩეს „მიწა-გუთა-
ნს". მაგრამ მარტო უპირატესობა და ეს ხომ არ რიცხავს
სხვა ეკონომიურ ფაქტორებს, მათ აღორძინებას ხომ არა
სთვლის შეუძლებლად. რუსეთში უპირატესობა ეკუთვნის
ერთს ეკონომიურ ფაქტორს – მიწა-გუთანს, მაგრამ რაო?
იქ შეუჩერებლივ ცდილობენ სსვა ფაქტორების აღორძინებას,
ცდილობენ და კიდეც აკეთებენ საქმეს. ჩვენ კი ჩვენთვის
სხვა რამე რისთვის არის საჭირო, თუ კი ღმერთმა ,,მიწა-გუ-
თანი" შეგვარჩინა. ხვნა-თესვა, ღამის მეხრეობა – ჯერ ამაზე
ზევით არ მიდის ჩვენი ეკონომიური იდეალიო" [3]).

„იმედს" მრეწველობის განვითარების საჭიროების აზრი
უტრიალებს თავში. მხოლოდ პირდაპირ და გაბედულად გა-

---

[1]) „იმედი“, N 10 1882 წ.

[2]) იქვე, N 1. 1882 წ.

[3]) იქვე, N 10.



ნვითარების ამ გზას ვერ ემხრობა. 1882 წლის აპრილის წიგ-
ნში ჟურნალს წერილი შეუდგენია, სადაც ორი საკითხია დას-
მული: რად ამოიღო ხმა „მეოთხე წოდებამ" და რა ნაირი გა-
რემოებაშია „მეოთხე წოდების" საქმე რუსეთში? მაგრამ,
რაც ამის შესახებ დაწერილი იყო, ცენზორს წაუშლია, რო-
გორადაც სჩანს ეს წერილის შინაარსიდამ, სადაც ერთი სიტ-
ყვაც არ არის მუშათა საქმის შესახებ. გარდა ამისა 1883 წლის
„იანვრის" ნომერში დაბეჭდილია ამ ხასიათის განცხადება:
თებერვლის წიგნიდან „იმედში" დაიწყობა ბეჭდვა ვრცელი
სტატიისა, „მუშა ხალხი საქართველოში". ეს სტატია მნიშვნე-
ლობას არ არის მოკლებული, რადგანაც ჯერჯერობით ჩვენს
მწერლობაში შესახებ მუშა ხალხისა თითქმის არაფერი არ
არის ნათქვამი. საუბედუროდ არც ამ წერილს ეღირსა ქვეყ-
ნად გამოსვლა. „იმედი" დაიხურა და 1883 წელს იანვრის
შემდეგ აღარ გამოსულა. ყოველ შემთხვევაში აღნიშნული
გარემოება საკმარის მასალას გვაძლევს იმ აზრის დასასკვნა-
ვად, რომ „იმედმა" დააღწია თავი ვიწრო მეურნეობის ინ-

ტერესების ფარგალს, იგი მზად იყო აღიარებინა სხვა ეკონომიურ ფაქტორების მნიშვნელობის აღორძინების საჭიროება და მრეწველობის და მუშათა საკითხის შესასწავლად ემზადებოდა. ვისაც უნდა იმის გაგება, თუ რატომ და რა ზედგავლენის ქვეშ გადაჭრით შესდგა ფეხი ჩვენმა მწერლობამ მეოთხმოც-და-ათ წლებში იმ გზაზედ, რომელიც უკვე გაწალდული იყო „იმედის" მიერ, მან, სხვა მიზეზთა და მოვლენათა გამოკვლევის დროს, უსათუოდ უნდა მიაქციოს ყურადღება „იმედის“ მიმართულებასაც და მის მიერ გაკვლეულ გზასაც. რამდენადაც ვიცით, ამ გარემოებისთვის ჩვენს პუბლიცისტიკაში არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ.

III

ამრიგად, „იმედი" კრძალვით და მორიდებით ახალ ეკონომიურ მოტივებს აპარებს ქართულ პუბლიცისტიკაში. მართალია, ძველ მწერლობის მსგავსად მეურნეობას იგი დიდ ყურადღებას აქცევს, ზრუნავს იმაზედ, რომ „ყოველმა სასოფლო საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს მას, თუ სად და როგორ უნდა გასაღდეს მისი სამეურნეო ჭირნახული". იკვლევს ჭირნახულის გასაღების საკითხს და ჰგონია, რომ „პირველი პირობა ხეირიანად ჭირნახულის გასა-



ღებისა არის თითონ მეურნე-პატრონის დამოუკიდებლობა შუამავალ პირებისაგან და, ჩვენდა საუბედუროდ, ამ პირობას ჩვენი მეურნე მომეტებულ ნაწილად მოკლებულიაო". აქედამ გამომდინარეობდა დეპოების წვრილ კრედიტისა და სხვა ამგვარ დაწესებულებათა შემოღების საჭიროების შესახებ ლაპარაკი ყველა ამაში „იმედი" არაფერ ახალს არ ამბობდა. ახალ გზაზედ დგება იგი მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიურ სამართლიანობაზე, ეკონომიურ არა სამეურნეო ფაქტორებზე აქცევს მკითხველის ყაურადღებას. მაგრამ აქ მისი პოზიცია ფრიად სუსტი იყო. მიუხედავად ამისა, რაკი ჟურნალს ამ ნიადაგზე უნდოდა დგომა, აუცილებლივ უნდა გალაშქრებულიყო ძველი თაობის წინააღმდეგ. ვნახოთ ახლა, რას ედავება იგი ამ თაობას:

„ჯერ იყო და, რა წამს ქართული ასოებით სიტყვების გამოხატვა მოახერხეს ჩვენმა მწერლებმა, მაშინვე ამოირჩიეს კერპად დალალ-კავებიანი ქალები და ამღერებდნენ, ფეხთა მტვრად უხდებოდნენ და უკმევდნენ მათ საკმელსა, იყვნენ განცვიფრებულნი და გამვლელ-გამომვლელსა ჰკითხავდნენ: ვარდი და მშვენიერი ქალი, რომ ერთად დასვა – რომელი

რომელსა ჰსუნავს – ვარდი ქალსა, თუ ქალი ვარდსაო? რო-
დესაც დაინახეს, რომ ამ ფრიად მაღალ ღირსებიანი კითხვის
ახსნა ვერავინ მოახერხა და არც არავის სცხელოდა მისთვის,
ახლა მიჰყვნენ სამშობლოს გაზვიადებასა და იმის ქებას, თა-
ვიანთი ცარიელი სიტყვების რახარუხით გახურებულნი, ყვე-
ლას პირში ახლიდნენ – „სხვა საქართველო სად არის, რო-
მელი კუთხე ქვეყნისა"? – „ერი გულადი, პურადი მებრ-
ძოლი შავის ბედისა", მიჰყვნენ იმ ღრმა შეხედულების გა-
მოკვლევას, თუ რომელ სიტყვას ამოირჩევს ქართველი გლე-
ხი, როდესაც ის მიუგორდება თავის საყვარელს – „პოჟო-
ლუსტას" თუ „აგრემც შენკი გენაცვალები?“ და ერთხმათ
ამტკიცებდნენ, რომ ქართველი გლეხი ერთ „აგრემც შენ-
კი გენაცვალების“ არ გასცვლის ათას „პოჟალუსტაზე“.
ნელ-ნელა, ღვთის მოწყალებით, გადავიდნენ აქედან იმაზედ,
რომ დაუწყეს დაცვა ქართულ ჩვეულებას, ქართულ ენას,
დაფა-ზურნას, ჭიანურს და სტვირებს, თითქო ქვეყანაზე,
გარდა ათასში ერთი მახინჯებისა, მოიძებნებოდეს საღი კა-
ცი, რომელსაც ან თავისი სამშობლო არ უყვარდეს და იმის



ენა, ანუ კიდე თითქო მოიძებნებოდეს რომელიმე სულელი,
რომელიც ჩვენ მოგვედავებოდა ან ენას და ან სხვა რაიმე
ქართულს, ან გინდა მოძებნილიყოს ასეთი სულელი, თით-
ქოს იმას შეეძლოს, რომ წაგვართვას, გამოგვწუწნოს ისა,
რაც ჩვენ სხეულს შეუთვისებია და ბუნებად გადაქცეულა.
ჩვენ სულ ყველამ კარგად ვიცოდით, რომ რაც წასართმევი
გვქონდა, ყველაფრიდამ ცარიელზე დაგვსვა ისტორიამ და
დაგვინარჩუნა ისა, რასაც სიკვდილის მეტი ვერავინ ხელს
ვერ ახლებს. ვიცოდით ესა და ვაკანტურებდით თავებს –
მართალსა ბძანებენ ჩვენი ბატონები – ქართული ენა არ უნ-
და დავივიწყოთო. როდესაც ჩვენი მწერლები დარწმუნდნენ,
რომ თავიანთ უაზრო აზრების გავრცელება სულ ტყუილი
ყოფილა, რადგან ეს აზრები უმათოთაც მაგრა ყოფილა გა-
მჯდარი ხალხში, მაშინ... მაგრამ მაშინ რაღა? მაშინ დომხა-
ლივით აურიეს სიყვარული და სამშობლო ერთმანეთში და
შემდეგ სრულებით გაჩუმდნენო".

ასეთია „იმედის" საბრალდებლო ოქმი. რომ ჩაუფიქრ-
დეთ, გაგეცინებათ, ისეთი მოუმწიფლობის ნიშანი აცხია ამ
სასტიკ კრიტიკას. ვინც ჩვენს რომანტიულ პოეზიას „იმე-
დის" კრიტერიუმით უყურებს, მას, რასაკვირველია, არა გაე-
გება რა პოეზიისა და ხელოვნებისა. მეორეს მხრივ, მაინც
აყვედრებს მესამოცე წლების მოღვაწეთ, სამშობლო ბედი
რად გაწუხებდათო, მათ აშკარად არ ესმოდათ ის გარემოე-

ბა, რომ თუ იმ ხანებში ჩვენს მწერლებს ეროვნული მოტი-
ვები დავიწყებული ჰქონოდათ და ეროვნულ ჰანგებზე არ
ემღერნათ, ჩვენი გადაგვარების საკითხი გადაწყვეტილი და
დამთავრებული იქნებოდა დღეს. მაგრამ აქ ყველასთან ერ-
თად უსამართლობაც არის. მესამოცე წლების მოღვაწენი
მარტო „სამშობლოს" არ დაჰმღეროდნენ. მათ დიდი ღვაწ-
ლი მიუძღვის სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებაში
ჩვენს მწერლობაში. ნუ თუ ამას არა ჰხედავდნენ „იმედის"
წარმომადგენელნი. შეიძლება ჰხედავდნენ კიდეცა, მაგრამ
მაინც ოპოზიციაში ჩაუდგნენ ძველებს. რა მიზეზია? კარგად
რომ დაუკვირდეთ საგანს ამ განხეთქილების მიზეზს ჰპოვებთ
ჩვენს წოდებრივობაში.

„იმედი" წარსულს მოღვაწეობას ორ პერიოდად ჰყოფ-
და. ერთი პერიოდი მესამოცე წლამდე იყო პერიოდი „თა-



ვად-აზნაურული". მეორე პერიოდი 1859 წლიდამ პერიო-
დი „აზნაურული". „თავადიშვილური პერიოდი" ჟურნალის
აზრით გროშად არავის უღირდა. „აზნაურულ პერიოდს“ მე-
ტი ფასი ჰქონდა, ჩვენი მწერლობა იქიდამ იწყება. მაგრამ
რად გინდა ამისთანა მწერლობა? „იმედი" მათ დამსახურებას
არა ჰხედავს.

„მთელი ხალხი, ამბობს იგი, სწყდებოდა შიმშილითა და
უმოსავლობით, ამ დროს ჩვენი მწერლები გაცხარებული ბა-
ასობდნენ ტიერზე და გიზოზე; ხალხს ავიწროებდა და სტან-
ჯავდა ათასნაირი უსამართლობა მოსამართლეებისაგან, მწერ-
ლები აღტაცებულნი მოგვითხრობდნენ ლუი ბლანებზე,
როშფორებზე და გამბეტებზე. ხალხი იწვებოდა და იდაგებო-
და უთვალავი ხარჯისა და ბეგარებისაგან, მწერლები კი ბოკ-
ლისა და დარვინის თეორიების მეტს ვერასა ჰპოებდნენ სა-
ლაპარაკოდ [1]) და სხვა.

ის ფსიხიური ატმოსფერა, რომელმაც აღზარდა „იმე-
დის" მსგზავსი პროტესტანტობა ახლა უფრო ნათლად მო-
სჩანს. ხალხიდამ გამოსულ ინტელიგენციას ხალხის შეხუთუ-
ლი მდგომარეობა მოსვენებას არ აძლევს. მას მწერლობა ყო-
ვლად შემძლებელად მიაჩნია. და რადგან ამ ძალას არ იჩენს
ქართველი ძველი მწერლობა და ხალხი ისევ დაჩაგრული
რჩება, ამიტომ ამაში დამნაშავენი არიან მწერლებიო. ტიე-
რი, გამბეტა, დარვინი და ბოკლი აინტერესებთ და ხალხი კი
ჰგმინავსო!.. საკვირველი გულუბრყვილობა მოსჩანს ამ ჩი-
ვილშიაც, თუმცა ამ ჩივილის წყარო ფრიად პატივსადებია.
იმ ქვეყანაში, სადაც არავითარი საზოგადოებრივი დაწესებუ-
ლება არ იყო, სადაც ერობის ფუნქციას ბოქაულები თანა-

შემწეებითურთ ასრულებდნენ, რა უნდა გაერიგებინათ მწერ-
ლებს, თუნდაც რომ ტიერი და გამბეტა არ გახსენებოდათ
და დღე და ღამ სიღარიბესა და გაჭირვებაზე ელაპარაკნათ.
ეს ხომ ასეა, მაგრამ არც ის არის მართალი, ვითომ ხალხის
დაბეჩავება არ ანაღვლიანებდა ძველებს. გადაიკითხეთ გულ-
დასმით „ივერიის" „დროების" და „კრებულის" ნომრები
და დარწმუნდებით, რომ იქ ხშირად, ძლიერ ხშირად იყო
სჯა-ბაასი ამ საგნის შესახებ.

მაშ რას და ვის უწყრებოდა „იმედი"? სამართლიანობის
მოციქული უსამართლობას რად იჩენდა? ამ კითხვას ხელ-

---

[1]) 1881 წ. N 1.



მეორედ რომ დავაყენებთ, ისევ წოდებრივობის საკითხი აგე-
ტუზება თვალწინ. რაკი „იმედი" ჩვენს წარსულს საზოგა-
დოებრივ ცხოვრებაში (მეცხრამეტე საუკუნეში) გარდა „თა-
ვადიშვილურის" და „აზნაურშვილობის" პერიოდებისა სხვა
არაფერი დაუნახავს, აშკარაა. რომ მის თანამშრომელთათვის
**ჩამომავლობის** და გვარეულობის საკითხს დიდი მნიშვნე-
ლობა უნდა ჰქონოდა. მოღვაწეს აფასებდნენ მის გვარიშვი-
ლობის მიხედვით. და რადგან ჩვენი ძველი ინტელიგენცია
უმეტეს შემთხვევაში თავად-აზნაურობის წრიდან იყო გამო-
სული, ამიტომ ახლად გამოსულ „რაზნოჩინცების" შეტაკება
მათთან მოსალოდნელი იყო. დიაღ, საუკუნებით დაგუბებულ
წოდებრივ მძულვარებას დიდი ძალა აქვს. ეს მძულვარება
ინტელიგენტშიაც იჩენს თავს და სწორედ ამ მძულვარების
ფსიხიკას ვამჩნევთ „იმედის" წრეებში. წაიკითხეთ აი თუნდ
ეს ადგილი:

„რატომ უკვირს უ. აკაკის, ამბობს „იმედი" რომ „მღვდ-
ლის შვილები", „დიაკვნები" სალიტერატურო ასპარესზედ
გამოსულან? ეს ხომ უეჭველად ასე უნდა ყოფილიყო. მაშ
ვის შეეძლო აკაკის და მის ამხანაგების მწერლობის ანდერ-
ძის აგება? ყოველივე წესის აგება მხოლოდ მღვდელ-დიაკვ-
ნებს შეუძლიანთ და ბედის-წერამაც საქმე ისე მოიყვანა,
რომ „იმედში", რომლის დანიშნულებაც არის – დასთრგუ-
ნოს ყოველგვარი გონებითი, ზნეობითი და მოქმედებითი მა-
ხინჯობა, მაშასადამე მწერლობისაც, მიიღებენ მონაწილეო-
ბას „დროება-ივერიისაგან" მოძულებული „დიაკვნებიო“. [7])

აქ უკვე აშკარად არის წარმოყენებული წოდებრივი მო-
ტივი. და საქართველოსთანა ქვეყანაში ეს ასედაც უნდა მო-
მხდარიყო. აქ ის კი არ არის საინტერესო მართალნი თუ
მტყუანნი იყვნენ კერძო შემთხვევაში „იმედის" თანამშრო-

მელნი, აქ მხედველობაში მისაღებია ჩვენი სოციალური წყობილების მიერ შემუშავებული პირობები, რომელნიც ინტელიგენტურ წრეებშიაც ასაზრდოვებდნენ ინსტინკტურ პროტესტს თავად-აზნაურებისადმი, თუნდაც რომ ისინი დიდად სასარგებლონი ყოფილიყვნენ ხალხის სულიერ და მატერიალურ კეთილდღეობისათვის.

უნებლიედ მაგონდება ერთი საყურადღებო ფაქტი რუს-მწერალთა ცხოვრებიდამ. უკვე გარდაცვალებული მწერალი

---

[7]) იქვე N 2.



ა. ი. ერტელი გადმოგვცემს შემდეგ ამბავს. „რასაც ვიტყვი ა. ნ. პიპინის ნაამბობიაო. იმ ხანებში როდესაც ჟურნალი „სოვრემენიკი" ჯერ კიდევ არ იყო გაყოფილი ორ ჯგუფად და მეორმოცე წლების ტრადიციებთან კავშირი გაწყვეტილი არა ჰქონდა, ნეკრასოვს უნდოდა თავისი ახალი თანამშრომლების, მათ შორის დობროლუბოვის, დაახლოვება ძველ თანამშრომლებთან, რომელთა რიცხვში იყვნენ ტურგენევი, ანნენკოვი, ბოტკინი და, მგონი, გრიგოროვიჩიო. შეგროვილან ერთად კარგ რესტორანში სადაც ნეკრასოვს კარგი სადილი და ჩინებული ღვინოები დაუმზადვინებია. სადილობის დროს დაახლოვების და მეგობრობის საქმე თითქმის კარგად მიდიოდა, თუმცა დობროლუბოვი რაღაცას იბღვირებოდა. ხოლო სადილის შემდეგ, როდესაც ყავა, ლიკიორები და სხვა ამისთანები მოიტანეს და გალაღებულებმა ძველმა თანამშრომლებმა უფრო თავისუფლად ამოისუნთქეს და მიჰყვნენ ოხუნჯობას და ანეკდოტების თხვზას, დობროლიუბოვმა ვეღარ მოითმინა, მიატოვა სუფრა და შემდეგ ამისა დიდ ხანს ილანძღებოდა და იფურთხებოდაო". *)

„ბურსაკი" და „პლებეი" დობროლუბოვი ვერ ეგუება სათუთათ აღზრდილ ტურგენევს და ბოტკინს, რომელთაც, მიუხედავად მათის ლიბერალობისა და ევროპიელობისა, რუს მემამულეთა სიბარიტობის ბეჭედი მაინც ატყვიათ. დემოკრატ დობროლუბოვს ეჩოთირება მდიდრულ რესტორანის ატმოსფერა, ლიკიორები და ნაირი სასმელები „კელკ-შოსები", მას ეზიზღება შეზარხოშებულ „ბაიარინ-მწერლების" ოხუნჯობა და ვერავითარი ლოღიკის ძალით მას არ შეუძლია ჩაიკლას გულში ეს ზიზღი და მძულვარება. რა ვუყოთ, რომ გრიგოროვიჩი და ტურგენევი იმ რაზმის მწერლები იყვნენ, რომელნიც ბატონყმობის გაუქმების წინ სწერდნენ და მოქმედებდნენ მონობის წინააღმდეგ. „კელკ-შოსებს“ და ლიკიორებს მაინც ვერ აპატიებს დობროლუბოვი, რომელიც როგორც

ნამდვილი „სწორ-ხაზიანი" დემოკრატი „სიბარიტობას" და „ლიკიორებს", რომლებითაც შეექცეოდნენ მწერლები, ხალ-ხის დამშეულობის და უვიცობის საკითხთან აკავშირებდა.

ამგვარივე ფსიხიურ სულის-კვეთებას განიცდიდნენ ჩვენი ახლად გამოსული დემოკრატებიც. ხოლო იმ განსხვავებით,

---

*) Изъ переписки А. И. Эртеля. Съверное сіяніе, N 7, 1909.



რომ აქ უფრო ვიწრო ფარგალია მოქმედებისა და უფრო და-ბალი ღირსების განათლება და მომზადებაა. მაგრამ აქ ჩვენში უფრო მკაფიოდ სჩანდა დისონანსი და წინააღმდეგობა „კეთილ-შობილ ინტელიგენტების" აზროვნებისა და მათი შინაურულ ცხოვრებისა, სოციალურ პირობებისა, რომელშიაც იმყოფე-ბოდნენ. აქ წოდებრივად დაღარულ ქვეყანაში უფრო მკაცრი იყო სიტყვისა და საქმის შეუგუებლობა და ამიტომ აქ „კე-თილშობილთა" სიტყვას, თუნდაც მართლს ნაკლები გასავა-ლი ჰქონდა იმ ხანებში, როდესაც უკვე ისახებოდა საზოგა-დოებრივი დიფერენციაცია და როდესაც ხალხს თავისი წრი-დან გამოსული იდეოლოგები უჩნდებოდნენ.

ახლა ვნახოთ, რაგვარი სოციალპოლიტიკური და ერო-ვნული იდეალები აღფრთოვანებდნენ ჟურნალ „იმედს". მა-შინდელი ჟურნალ-გაზეთობის ურთიერთობას რომ აკვირდე-ბით, აშკარად ხდება ის, რომ „იმედი" მოწადინებული იყო კლასიურ ორგანოდ გამხდარიყო. მაგრამ ამას ვერ ახერხებდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვით ცხოვრებაში ჯერ კიდევ ოდ-ნავად სჩანდა კლასიურ საზოგადოების ჩასახვა. ნიშნები სჩან-დნენ, ხოლო იმდროინდელი დემოკრატისათვის „გლეხი“ და „მუშა" ნათლად განსაზღვრული მცნებები ჯერ არიყვნენ. „ხალხი“, –აი ფორმულა დემოკრატიულ მზრუნველობისა. ხო-ლო თუ კლასიურ ნიდაგზე დემოკრატი ჯერ-ხნობით ვერ დგებოდა, სამაგიეროდ მას კარგად და თავისუფლად შეეძლო დადგომა წოდებრივ გლეხურ საფუძველზე. და აი სწორედ აქ დამკვიდრდა „იმედი". იგი „ეკამათება „დროებას", რომელ-საც არა სწამდა „იმედის" სიკეთე და ხანგრძლივობა.

„კარგია თქვენმა მზემ, ამბობდა გახურებულ გულზე „იმედი“, ბატონ-ყმობა გადავარდა და ახლა ლიტერატურაში ნებავთ ამგვარი საქმის შემოყვანა! შეუძლებელს არ შეეძლო, ბატონყმობის დროს, სიტყვის ამოღება, არც ახლანდელს ჩვენს ლიტერატურაში უნდა ჰქონდეს შეუძლებელს თავისუფ-ლად ხმის ამოღების ნება „დროების" აზრით. ჩვენ წინ გვინ-და წასვლა, სიხარულით მივილტვით მომავალისაკენ და თავის

ამგვარ საქმეში მოწინავეთ მთვლელი „დროება" რატომ ასე ბეჩავი ცხენივით უკან იწევსო?" [1]).

ორგანო, რომელმაც მთელ თაობას გამოუცხადა ბრძოლა განმარტოვებულად ჰგრძნობს თავს, ხოლო იმედს არა

---

[1]) «იმედი» II, 1881 წ.



ჰკარგავს. რას ესწრაფვოდა, რაგვარი იმედები ჰქონდა მას იმ ხანებში?

იმ დროინდელ პოლიტიკურ სიტუაციის გასაგებად საჭიროა გვახსოვდეს რომ 1881 წელს I მარტს პეტერბურგში რევოლუციონერებმა მოჰკლეს იმპერატორი ალექსანდრე მეორე. ერთ ხანას საზოგადოებაც, მთავრობაც გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო. იმედი ჰქონდათ ძირითად ცვლილებისა. ლორის-მელიქოვის კონსტიტუციის პროექტის არსებობა და მისი გამოსაქვეყნად დამზადება უკვე ისტორიულად უტყუარი ფაქტებია. მაგრამ თვით-მპყრობელობის მომხრეთ ყოველი ღონე იხმარეს და დაარწმუნეს მემკვიდრე იმპერატორი ალექსანდრე III, რომ თვითმპყრობელობის შეზღუდვა დაჰღუპავს რუსეთს და მმართველობის პრესტიჟსაც დასცემს, განსაკუთრებით ეხლანდელ პირობებშიო. და ამრიგად კონსტიტუციის დამყარების მოლოდინი არ გამართლდა.

მაშინდელი საზოგადოების აზრის რყევა და იმედები ასე თუ ისე ისახება ჩვენს ჟურნალშიაც. ამ საგნის შესახებ წერილები ცენზორის მხრივ ძლიერ შეკვეცილნი არიან და ამიტომ წერტილებით არიან აჭრელებულნი.

„ყველანი შეჰკითხავენ მომავალს, ვკითხულობთ ჟურნალის პოლიტიკურ მიმოხილვაში, და ვერ მიუღიათ მისგან პასუხი..... თუმცა ყველას სევდასავით დააწვება გულზე პირველი მარტის შემაძრწუნებელი ამბავი, მაგრამ გქონდეს იმედი, რომ იმპერატორი ალექსანდრე მე-III-ე თავის ხალხს მისცემს შეღავათს, მოსწმენდავს თვალზე ცრემლსა, აღასრულებს ნდომას და დააკმაყოფილებს საჭიროებასო". [2])

ჟურნალი იკვლევს რუსეთის რევოლუციის და არეულობის მიზეზებს და ამბობს:

„რუსეთის ეხლანდელი მოძრაობა თითო რამე წვრილმანით არ აიხსნება. ამ მოძრაობას აქვს თავისი ნიადაგი, სადაც მას გაუდგამს ფესვები და იკვებება ათასნაირი ნაყოფიერი საზრდოთი". ***)

ჟურნალს არა სჯერა, რომ მოძრაობის გამოწვევა მარტოოდენ ბიუროკრატიას შეეძლო:

[2]) იქვე.
***) იქვე, N III. IV.



„მაშ უმანკო ანგელოზები რომ ყოფილიყვნენ ჩვენი ჩინოვნიკები, რუსეთი სრულიად დაწყნარებული იქნებოდა? რევოლუციონერები აღარ გაჩნდებოდნენ? ვინ იტყვისო".

უფრო საფუძვლიან და ღრმა ანალიზში პოლიტიკურ მოვლენათა განსამარტავად ჟურნალი არ შედის, ალბად გარემოების მიხედვით. ხოლო უნდა ვსთქვათ, რომ აქაც, იგი არავითარ ორიგინალობას არ იჩენს. იმედები და კონსტიტუციის მოლოდინში იმ ხანაში იყო არა მარტო რუსეთის საზოგადოება, არამედ ჩვენიც. კერძოდ საქართველოს შესახებ „იმედს" ბევრი რამ არა უთქვამს რა. აქაც უფრო საზოგადო მოსაზრება და ბუნდოვანი სიტყვებია. ასე, მაგალითად, იმედის თანამშრომელზედ სტ. ჭრ-ზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ორ პიესას მაშინ ქართულ სცენაზე დადგმულს – სამ შობლოს და არსებას. თავის შთაბეჭდილებას რეცენზენტი ასე ჰსახავს:

„ამ ორ პიესამ აშკარად დაგვანახვა, ამბობს იგი, რომ ჩვენი საზოგადოების ძარღვში გამჯდარა ორნაირი სურვილი ბრძოლისა – ბრძოლა ხალხისა ეკონომიურ სამართლიანობის დასაფუძნებლად და ბრძოლაი... უსამართლოებასთან, ბრძოლა... ეს არის ორი უდიდესი შინაარსი ჩვენი ხალხის სურვილისაო" [1]).

გამოტოვებული სიტყვა ალბად სიტყვა „ერონული" უნდა იყოს. ბრძოლა ეროვნულ უსამართლოებასთან და ბრძოლა ეროვნული – ასეთი უნდა ყოფილიყო დაუმახინჯებელი აზრი ჟურნალისა. აქაც არ ვხედავთ ორიგინალობას, რადგან ამ ზოგადის სახით ყველას ესმოდა ეროვნების დაცვის საჭიროება. დადებითი და განსაზღვრული პოლიტიკური ფორმულა ამ საკითხისა ჟურნალ „იმედში", როგორც საზოგადოთ არც ერთ მაშინდელ ქართულ ორგანოში არ მოიპოვება. „იმედს" პატრიოტულ ჰანგებზე ჟღერა მოწყენილი ჰქონდა. და ეს ჟღერა სწორედ იმიტომ იყო მოსაწყენი, რომ ეროვნული გრძნობა და მისწრაფება არ იმოსებოდა არავითარ კონკრეტულ ფორმულაში და განსაზღვრულ სოციალ-პოლიტიკურ მცნებაში. ამ დანაკლისის შევსება და დაძლევა :იმედმა" ვერ შესძლო, ვერ შესძლო ალბად იმიტომ, რომ შეხუთულ ჰაერში მოუხდა მოღვაწეობა. მხოლოდ მეოცე საუკუ-

[1]) 1882 წ. N 1.

ნეში, უკვე სხვა ჯგუფის და მიმართულების მიერ ითქვა ის, რაც უნდა ეთქვა მაშინ საოპოზიციო ორგანო „იმედს". ეტ-ყობა საზოგადოებრივ აზრის განვითარებასაც აქვს თავისი საფუძველი და თავისი კანონი. და ალბად მაშინდელ აზრის გამოურკვევლობას თავისი საფუძვლიანი კანონი ჰქონდა. ეს გარემოება ჩვენთვის თანდათან უფრო ნათელი და უტყუარი გახდება, განვაგრძობთ რა ჩვენს მოთხრობას მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლების მოღვაწეთა შესახებ.

IV

ვინც მეოთხმოცე წლების მწერლობის ავ-კარგიანობას იკვლევს, არ შეიძლება გვერდი აუხვიოს გ. მაიაშვილს, საყუ-რადღებო პიროვნებას და დაკვირვებულ მწერალს.

გ. მაიაშვილი არც ერთ ჯგუფს არ ეკედლებოდა, იგი განმარტოებითა სდგას, თუმცა თავისი სოციალ-პოლიტიკუ-რის აზროვნებით იგი უფრო ახალს-თაობას და საოპოზიციო ჯგუფს უახლოვდება, იმ განსხვავებით კი, რომ მას მეტი გარ-კვეულობა და განსაზღვრულობა ეტყობა საზოგადოებრივ მოვლენათა დაფასების დროს. გ. მაიაშვილის მნიშვნელობა აგრედვე იმაში მდგომარეობს, რომ თავის ცნობილ მიმარ-თვაში ძველ-თაობის წარმომადგენლებისადმი მან პირველმა მისცა ჩვენებურ „ხალხოსნურ“ და „გლეხურ" მიმართულე-ბას რუსეთის ინტელიგენციაში იმ დროს გამეფებულ „ნაროდ-ნიკობის" ანუ „ნოროდოვოლჩესტვოს" ელფერი. ეს ელ-ფერი შემდეგში, ოთხმოცდაათიან წლებში, ლალის ნაწე-რებში თითქოს უნდა გაღრმავებულიყო და განვითარებუ-ლიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ლალსაც აქვს, მართა-ლია, „ნაროდნიკული" სიმპატიები, გარნა ძარღვი და დედა-აზრი მის მისწრაფებათა ეკონომიურ და ეროვნულ პრობ-ლემათა სინტეზისაკენ იყო მიპყრობილი.

საყურადღებოა, რომ გ. მაიაშვილმა ქართულად მხოლოდ რამდენიმე დიდი წერილი დასტამბა. ოთხმოცდაათიან წლებ-ში იგი პრაქტიკულ მოღვაწეობაში გაერთო და ლიტერა-ტურას მხოლოდ დროგამოშვებით უბრუნდება, თუ არ მივიღეთ მხედველობაში ერთი დრო, როდესაც იგი მუდმი-ვი თანამშრომელი იყო „ნოვოე ობოზრენიე“-სი. ასე რომ გ. მაიაშვილის დაფასება როგორც პიროვნებისა, შეუძლე-ბელია მხოლოდ მის ნაწერების მიხედვით. მხედველობაში

უნდა იყოს მიღებული იმსი პრაქტიკული მოღვაწეობა, რომელიც დღეს არ შეწყვეტილა, ხოლო ეს კი მომავლის საქმეა და ჩვენ ამ მხარეს ამ წერილებში არ შევეხებით. გარნა გ. მაიაშვილის მაგალითი, სხვათა შორის, იმასაც გვიჩვენებს, რომ მწერლის მნიშვნელობა არ გაიზომება მის ნაწერების სიმრავლით და გარეგან ნაყოფიერებით, გ. მაიაშვილის შესახებ შეიძლება ვსთქვათ, რომ ამ მწერლის საზოგადოებრივი მნიშვნელობა განსაკუთრებულის სიძლიერით ისახება მხოლოდ **ერთს** მის წერილში, რომელსაც, ჩემის აზრით, ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზნოვნების განვითარებისათვის ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს არის „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ", დაბეჭდილი ჟურნალ „ივერიაში"(№ VII) 1882 წელს.

ეს წერილი მით არის საყურადღებო, რომ აქ გარკვევით ისახება, როგორც ღირსება-ნაკლულოვანებანი მესამოციან წლების მოღვაწეებისა, ისე ახალი დროის, ახალ პოლიტიკური ფორმულის აღიარების საჭიროება. ჩვენი მწერალი ძველ თაობას იმაში ედავება, რომ მას **პოლიტიკური პროგრამა** არა ჰქონდა.

„ჩვენ ვმოქმედობთ აქამომდე, ამბობს იგი, ცალ-ცალკე, უსისტემოდ და გაფანტულად. ამის გამო ყოველს ჩვენს დაწესებულებას რაღაც უმიზნობის და განცალკების დაღი აზის“*).

უსისტემობა და განცალკევება წარმოსდგება პროგრამის უქონლობისაგან – ხოლო პროგრამის უქონლობას მოსდევს ,,პატარა საქმეებით" დაკმაყოფილება და ეს კი ჰკლავს საზოგადოებრივ მოძრაობას.

ღაღადება სკოლებში ქართულის ენის შემოღებაზე, სახალხო სკოლების დაფუძნებაზე, ქართვლის თეატრის გამართვაზე, სასარგებლო წიგნების გამოცემაზედ, ჩვენი ენის განვითარებასა და გამშვენიერებაზე და სხვა და სხვა და ყოველი ესენი ძლიერ საჭირონი და თანაგრძნობის ღირსი საგნები არიან. მაგრამ ამ საგანზე გაჩერება, მათ გარეშემო ტრიალი და ამასთანავე კმაყოფილებით ძახილი, რომ მხოლოდ ამაზედ არის დამყარებული ჩვეწი ქვეყნის ბედნიერებაო, იმასა ჰნიშნავს, რომ თქვენ მოქმედების პროგრამა ჯერ კიდევ არა

*) ივერია VII 1882 წ.



გქონიათ შემუშავებული და მტკიცე ნიადაგზე დამყარებულიო".

გ. მაიაშვილი მსგზავსად „იმედის" Ჯგუფისა აღარ კმაყოფილდება „ძველი თაობის" მოღვაწეობით. ხოლო წინააღმდეგ „იმედისა" იგი სრულიადაც არ უსაყვედურებს ძველ მოღვაწეებს იმას, რომ ისინი იცავდნენ ენას, თეატრს და სხვა ამგვარ ეროვნულ საქმეს, არამედ იმას უსაყვედურებს, რომ მოღვაწეთა ყურადღება **მხოლოდ** ამაზედ იყო მიპყრობილი. საკითხს გარკვეულად და პრინციპიალურად აყენებს ჩვენი მწერალი. და ამიტომაც დაიბეჭდა იგი „ივერიაში", ძველ მოღვაწეთა ბუდეში და არა „იმედში", საცა მას თითქოს უფრო ეკუთვნოდა ადგილი.

„გავკადნიერდები და ვიტყვი, განაგრძობს ჩვენი მწერალი, რომ ცოტა არ იყოს იმათივე (მესამოციანების) მოქმედების წყალობით მოძრაობამ მიიღო ერთგვარი ხასიათი, მეტის-მეტი ნაციონალური, მეტის მეტი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, კულტურული და მხოლოდ მცირედ ხალხური".

აქ უკვე „ნაროდნიკული" ჰანგია, თუმცა ამ სიტყვებში ისახება სხვა რამეც ფრიად საყურადღებო. მოძრაობამ „მეტის-მეტი ნაციონალური" ხასიათი მიიღოო, და თანაც არკვევს, რომ ნაციონალური, ე. ი. კულტურულიო. აშკარაა, იმ დროს არც ახალ თაობას ჰქონდა ნათლად გარკვეული **პოლიტიკური აზრი** ნაციონალურის პრობლემისა. მათაც ძველებსავით ეგონათ, რომ ნაციონალური თუნდ „მეტის-მეტი ნაციონალური" არის მხოლოდ კულტურული და არასოდეს პოლიტიკური. აშკარაა, რომ თუმცა ჩვენი მწერალი პოლიტიკურ პროგრამის მომხრე იყო, ხოლო ამ პროგრამას **ნაციონალური** ელემენტი არ ანიჭებდა პოლიტიკურ ელფერს. საკითხის ასე დაყენებაში ისახება „რუსნაროდნიკობის" გავლენა ქართველ მოღვაწეზე. შემდეგში ჩვენ ვნახავთ, რომ ამ მხრივ გ. მაიაშვილი მართლაც რუსული კულტურის და პოლიტიკო-სოციალურ მოძრაობის დიდ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

მეორე საყურადღებო მოტივი მისის წერილისა არის, როგორც ვსთქვი, გლეხურ-ხალხოსნური მოტივები.

„თქვენ გეტყობათ, რომ გიყვართ სამშობლო, თქვენი ენა, ხალხი, მაგრამ არ გეტყობათ, რომ თქვენ ცნობიე-



რად მოფიქრებული გქონდეთ პროგრამა საზოგადოებრივობის მოქმედობისა..." რაშია საქმე? ისა, რომ „არც ერთ საზოგადო მოძრაობას არ ექნება არავითარი მნიშვნელობა, თუ რომ ხალხი იმაში ასე თუ ისე მონაწილეობას არ იღებს. ხალხი აძლევს მოძრაობას დიდს ძალას და მნიშვნელობას..." კი, მაგრამ მესამოცელების მოღვაწენი რომ ამისი

წინააღმდეგნი არ იყვნენ? არ იყვნენ ხოლო მათი „ხალ-
ხოსნობა" სულ სხვა ხასიათისა, ასე ვსთქვათ, ინტელიგენ-
ტური იყო. „შევაწყოთ და შევუთანხმოთ, განმარტავს თა-
ვის აზრს ჩვენი მწერალი, ჩვენი ნაწერების ხასიათი და
მიმართულება ხალხის ინტერესებს და მოთხოვნილებათ,
**ვისწავლოთ და განვითარდეთ ხალხთან ერთად, მასთან ერ-
თადვე შევიმუშავოთ საზოგადოებრივი იდეალები** (კურ-
სივი ჩვენია), რომელნიც მხოლოდ ხალხის მიერ მიიღებენ
უაღრეს ძალას და შეიძლებენ ყოველგვარ ბრძოლას და
დევნის ატანას... „ლიტერატურა უნდა შეიქმნეს უპირველეს
ყოვლისა სახალხო ლიტერატურად, უკეთუ გვსურს, რომ
მას ჰქონდეს გავლენა და ძლიერება, ფასი და მნიშვნელობა
ჩვენის ქვეყნის საქმეების და საგნების გადაწყვეტის დროსო"...

აქ უკვე ტიპიური „რუს-ნაროდნიკის“ აზროვნება მოს-
ჩანს. ინტელიგენციას ხალხისკენ ეპატიჟებიან საზოგადოე-
ბრივი იდეალების შესაძენად. რუსეთში ამგვარი მიმართუ-
ლება ფრიად თვალსაჩინო იყო ერთხანად. ამ მიმართულე-
ბამ თავისი ელფერი დაადო არა მარტო სიტყვა-კაზმულ
მწერლობას (უსპენსკი,ზლატოგრადსკი და სხვანი), არამედ
პოლიტიკურ აზროვნებასაც, რომელიც გამოისახა „ნა-
როდნი ვოლი"-ს პოლიტიკურ პარტიის დაარსებაში. „ნარო-
დოვოლცების" პროგრამის ქვა-კუთხედს რუსეთის „თემი"
შეადგენდა. საერთო მიწის მფლობელობას, რომელიც არსე-
ბობდა რუსეთში უაღრესს მნიშვნელობას აძლევდნენ სოცია-
ლურ წყობილების დამყარების საქმისათვის. რაიც შეეხება გ.
მაიაშვილის წერილს, შიგ არა სჩანს, რა აზრისაა ავტორი
საერთო მიწის მფლობელობის შესახებ. იგი იწვევს ინტე-
ლიგენციას ამ საკითხის გამოკვლევისაკენ. ეტყობა, მას
რუსეთის შესახებ მტკიცე აზრი შეუდგენია, ხოლო ჩვენი
ცხოვრების განმარტებაში კი ცოტა არ იყოს ყოყმანობს.
გამოსარკვევი საგანია, „რაში მდგომარეობს საზოგადო ხალ-



ხის გონებრივი ვითარება და სულიერი წუხილიო?“. როცა
ეს ნათლად იქნება განმარტებული, მაშინ გამოჩნდება,
რა ესაჭიროება ხალხს. ხოლო ამისათვის საჭიროა ხალხში
ტრიალი და ხალხში ცხოვრება. ჩვენ ვიცით ეხლა, რომ იმ
ხანებში ამ მოწოდებისაგან არა გამოვიდა რა. მართალია,
ჩვენში გაჩნდა „ხალხოსნური" ლიტერატურა, რომელსაც
მწერლობაში შეუფერებელი სახელი დაერქვა, სახელდობრ,
„ტეტიათა მოტრფიალე“ ლიტერატურა, რომლის წარმომად-
გენელნი იყვნენ ს. მგალობლიშვილი და ლომაური. რაც
შეეხება საზოგადოებრივ მოძრაობას, შედარებით რუსეთის

მოძრაობასთან, სახსენებელიც არ არის ჩვენებური „ნაროდნიკული მიმართულება“ განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენში არ იყო ის ცოცხალი და კონკრეტული სოციალური მოვლენა „თემი“, რომლის იდეოლოგიაზედაც აშენდა რუსეთში მწყობრი სოციალ-პოლიტიკური დოკტრინა.

„რუს-ნაროდნიკის“ აზროვნება მოსჩანს განსაკუთრებით გ. მაიაშვილის წერილის იმ ადგილიდან, სადაც ჩვენი ავტორი ჰკიცხავს იმ ეკონომიურ პოლიტიკას, რომელსაც მთავრობა აწარმოებდა ბატონყმობის განთავისუფლების ხანაში.

რეფორმატორები „გატაცებული იყვნენ, ამბობს იგი, ევროპიელ ქვეყნების წარმოების და მრეწველობის წარმატებით და მოინდომეს არა თუ განთავისუფლება ხალხისა ყმობისაგან, არამედ ამ საგნებთან ერთად მათ ისიც დაიდვეს საგნად, რომ მფარველობა აღმოეჩინათ და წაეხალისებინათ შინაური და მშობლიური მრეწველობა. ამითი, ეს მომქმედნი რეფორმისა, დიდათ შეცდნენ და თავის გულუბრყვილობაში გოდებდნენ, რომ ამგვარად ისინი ააყვავებენ და განავითარებენ ქვეყანას ეკონომიურადო“.

აქ მრეწველობის საკითხი იმ სახით არის დასმული, როგორადაც მას სვამდნენ „ნაროდნიკები“. რადგან რუსეთის იმედი-სხნა „თემი“ და თემობრივი მიწის მფლობელობა ეგონათ, რაიც ნიშნავდა ამ თემის საშუალებით სოციალიზმის დამყარებას, ამიტომ კაპიტალიზმს და მრეწველობის განვითარებას „ნაროდნიკები" ალმაცერად უყურებდნენ და სწორედ ეს იჭვიანობა გამოისახა ჩვენს მწერლის ნაწერშიაც. შემდეგში გ. მაიაშვილმა მრეწველობის მნიშვნე-



ლობის შესახებ აზრი იშეიცვალო, მისი პრაკტიკული მოღვაწეობა ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის განვითარების საქმის გარშემო დატრიალდა, 1890 წ. ჩვენი ავტორი ჰბეჭდავს „საქართველოს კალენდარში“ ერთ წერილს რომლიდანაც სჩანს, რომ გ. მაიაშვილი უკვე განთავისუფლებული იყო „სპეციფიკურ ნაროდნიკულ“ გავლენისაგან, რომ მას ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული ის ეკონომიური პროცესი, რომელიც სწარმოებდა საქართველოში ბატონ-ყმობის განთავისუფლების შემდეგ. „სრულიად და ძირეულად შეიცვალა მეურნეობა ქვეყნისა, ამბობს ჩვენი ავტორი თავის წერილში, ეს მეურნეობა წინად ბუნებრივი იყო, განცალკევებული და ახლა ფულებურია, ახლა სააღებ-მიცემო შეიქმნა და დადგა ის მეუფება ფულისა, რომელიც არის ნიშნობლივი თვისება სააღებ-მიცემო მეურნეობისაო[1])“.

ფულმა დაარღვია წოდებრივი საზოგადოება და კლასიურს ჩაუგდო საფუძველი. „ბატონს ჩამოერთო მუქთა მუშა. ყმამ უკვე განთავისუფლებულმა, თავისთვის დაიწყო მუშაობა და მხნეობა. ამ ორ შუა ჩადგა ფული შუამავალივით და მაჭანკალივით. ვისაც რა უნდოდა გაეკეთებინა, უნდა მუშისთვის დაეძახნა და მუშა კი უფულოდ აღარას აკეთებდა. ფული საჭირო შეიქნა. სადაც უნდა ყოფილიყო, კაცს ფული უნდა ეშოვნა, რომ სასმელ-საჭმელი ჰქონოდა და ჩასაცმელ დასახურავი[2]). ფულის მოსაპოებლად კი მხოლოდ ორი გზაა, როგორც მებატონესათვის, რომელიც ეხლა მარტო მემამულეა, ისე გლეხისათვის: ან უნდა გაჰყიდოს, რაც მოჰყავს სოფლად ე. ი. მიჰმართოს ბაზარს, ან უნდა ისესხოს. არის მესამე გზაც: მოჯამაგირედ დადგომაო[3])“.

ამ ახალ ეკონომიურ ძალას, გ. მაიაშვილის აზრით ჩვენი თავად-აზნაურობა ვერ შეეთვისა. „„მამულები თავად-აზნაურობისა სწრაფად გადადის სხვის ხელშიო. ეს ისეთი ამბავია, რომ არ იქნება ურიგო დაფიქრებულიყვნენ მის გამო ისინი, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა, თავად-აზნაურობა თვით განგებით არის მოწოდებული ქვეყნის წარმატებისათ-

[1]) საქართველოს კალენდარი 1890 წ. გვ. 364.

[2]) იქვე, გვ. 365.

[3]) იქვე, გვ. 366.



ვისო, დასძენს იგი“[4]), მაგრამ თავად-აზნაურობის დაქვეითება ავტორს არ ანაღვლებს, რადგან, ავტორის აზრით, ერს წარმატების ნიშნები აშკარად ეტყობა. „ერთის მხრით განათლებას ვეტანებით, ამბობს იგი, ვგრძნობთ ერთობას ეკონომიურის, ზნეობრივის და გონებრივის ინტერესებისას, თუნდა ერთი ქართლელი ვიყოთ, აწ კახელი და მეორე მეგრელი, ან იმერელი. ამ ერთობის გრძნობიდამ იბადება ის აზრიც, რომ სამშობლოც ერთი გვაქვს, ერიც ერთი ვართო[5])“.

ამ წერილის არსებობა ბევრმა არც კი იცის. იგი კი დიდ მნიშვნელოვანია, როგორც მაჩვენებელი ერთგვარის საზღვარისა, რომელმაც გ. მაიაშვილის „ნაროდნიკობისას“ ფეი და მიმართულება შეუცვალა.

ხოლო ჩვენ აქ გვაინტერესებს ის, თუ როგორ და რამდენად ისახებოდა განსაზღვრულ ხანაში რუს ინტელიგენციის გავლენა ჩვენს ახალგაზდობაზე და საზოგადოებრივი აზრის მსვლელობის განვითარებაზე. და ამ მხრივ ჩვენ

ვნახეთ, რომ ეს გავლენა თვალსაჩინოდ მოსჩანს გ. მაია-
შვილის „ხალხოსნურ" მიმართულების ნაწერში.

იმ ხანაში, როდესაც ხანგრძლივის ძილის შემდეგ, ჩვენში
იწყებოდა ეროვნულ-კულტურული აღორძინება, ხოლო ქარ-
თული აზროვნება ჯერ კიდევ არ მისულა საკუთარის პოლიტი-
კურ-ეროვნულის ფორმულის აღიარებამდე, რუსი ინტელი-
გენციის და საზოგადოთ რუსული კულტურის ზედგავლენა ჩვენს
საზოგადოებაში, ჩვენს ახალგაზდობაზე მართლაც და განუ-
საზღვრელი იყო. მართალია, ეს გავლენა შემდეგ ეპოქა-
შიაც ძლიერია, იქნებ უფრო ძლიერი, ვიდრე ოდესმე
ყოფილიყოს ჩვენს კულტურული წრეებში, მაგრამ ამ უკანას-
კნელ ხანაში უკვე შემუშავდა და მომწიფდა სხვა ძალაც,
ნაციონალურ-პოლიტიკური შემეცნება, რომელიც ასე თუ
ისე წინააღმდეგობას უწევდა ჩვენს ისედაც პირადობის და
საკუთარ ვინაობის შეგნებას მოკლებულ ინტელიგენციას და
აფრთხილებდა მას სრულს გათქვეფისაგან გარეშე კულტუ-
რის ატმოსფეროში, რომელიც ხშირად არ ეგუებოდა არც
ჩვენს ინტერესს, არც ჩვენს მოთხოვნილებას. ხოლო მეოთ-

---

[3]) იქვე, გვ. 351.

[4]) იქვე, გვ. 368.



ხმოცე წლებში გარემოება უფრო უნუგეშო მდგომარეობა-
ში იყო. მესამოცე წლების მოღვაწენი, მართალია, ფართო
იდეალების ზედგავლენის ქვეშ იყვნენ აღზრდილნი. რუსეთის
საუკეთესო მოღვაწენი იყვნენ ხშირად საუკეთესო მეგობრე-
ბი და ამხანაგები ჩვენი მოღვაწეებისა და მესამოცე წლების
მოღვაწეებმა მოიმოქმედეს ჩვენში ფრიად დიდი საქმეები. ისი-
ნი რუსეთში არ დარჩნენ. შეითვისეს რა ის, რაც საუკე-
თესო იყო უცხო ქვეყანაში, თავის სამშობლოს დაუბრუნ-
დნენ და სამშობლო იყო მათი მოღვაწეობის ასპარეზი. ჩვენს
ქვეყანას, რა თქმა უნდა, შემდეგშიაც ჰყავდნენ ერთგული
მუშაკნი და მოღვაწენი, მაგრამ შემდეგში აღმოჩნდა ის,
რაც წინად არ სჩანდა. აღმოჩნდა ჯერ ერთი ის, რომ დიდ-
ძალი ახალგაზდობა, ხშირად მისი საუკეთესო ნაწილი, თით-
ქმის სამუდამოდ ეკარგებოდა ჩვენს მხარეს. ბევრნი იღებდ-
ნენ მონაწილეობას რუსეთის პოლიტიკურ მოძრაობაში
(სახეში 1870 წლები მაქვს) და თავის სიცოცხლესაც სწირავ-
დნენ ამ მოძრაობას. საქებური საქმეა, ერთის მხრივ, რად-
გან მაშინ ისე სჩანდა, რომ რუსეთის ჭირ-ვარამი ჩვენი ჭირ-
ვარამია და რუს-ინტელიგენციის იდეალი ჩვენი ინტელიგენ-
ციის იდეალი უნდა ყოფილიყო. და ასედაც იყო. ეს მსხვერპ-

ლი, რასაკვირველია, უმნიშვნელო არ დარჩა. მსხვერპლს ყოველთვის უნდა ჰქონდეს თავისი აზრი და მნიშვნელობა. მაგრამ ეს კი აშკარა იყო, რომ ჩვენს სამშობლო წრეს აკ-ლდებოდა ხალხი, აკლდებოდა ნასწავლი, გამჭრიახი და ნი-ჭით აღჭურვილი ინტელიგენტი ძალა. ეროვნულ კულ-ტურის აღორძინების პირველ საფეხურზე ვიდექით და ამ საქმისთვის საგრძნობი იყო ეს დანაკლისი. მაგრამ აღმოჩნ-და კიდევ სხვა გარემოება. აღმოჩნდა, რომ ერთი ნაწილი ჩვენის ახალგაზდობისა, მშობლიურ ნიადაგს დაშორებული, თანდათან ჰკარგავდა ეროვნულ ფიზიონომიას და ხშირად ეროვნულ ნიჰილიზმის გრძნობებით იმსჭვალებოდა. ამ მოვ-ლენასაც თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა ჩვენს საზოგადოე-ბაში. მოიგონეთ თუნდაც მეოთხმოცდაათ წლებში ნარ-დონის გამოლაშქრება „Сѣверный Вѣст.“-ში თავის ცნობილ „Письма о Грузій“-ს წერილებში. საყურადღებოა, რომ ის სულიე-რი მიდრეკილება, რომლითაც იყო გამსჭვალული ნარ-დო-ნი მარტო მის პირად კუთვნილებას არ შეადგენდა. როდე-



საც ჭავჭავაძემ თავის არა ნაკლებ ცნობილ „აი ისტორიაში“ გასცა პასუხი ნარ-დონს, ტფილისში არსებულმა რუსულმა გაზეთმა, „ნოვ. ობოზრენიე“-მ, რომელსაც მაშინ ნ. ნიკო-ლაძე ხელმძღვანელობდა, არამც თუ მხარი არ დაუჭირა ჭავჭავაძეს და არ გაჰკიცხა ნარ-დონი, პირ-იქით, სასაცი-ლოდაც აიგდო, ამ საკითხს არავითარი სერიოზული მნიშ-ვნელობა არა აქვსო და გვიკვირს ნარ-დონისაგან რომ მოუცლია მისთვისაო. [1]) ასე რომ ჩვენთვის სამკვდრო-სასი-ცოცხლო კითხვად გადაიქცა გამორკვევა იმისა, თუ რა გზას უნდა ადგეს ჩვენი ახალგაზდობა. მეოთხმოცე წლებში ეს სა-კითხი უკვე სავსებით იყო მომწიფებული და მის შესახებ სა-ყურადღებო სჯა-ბაასიც იმართებოდა ჟურნალ-გაზეთობაში.

გ. მაიაშვილი, პირმშო შვილი „რუს-ნაროდნიკობისა“, წინააღმდეგი იყო ქართველ ახალგაზდობის განცალკევებისა რუსეთის ახალგაზდობისაგან.

„ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, ამბობს იგი თავის საყუ-რადღებო წერილში „ძველი და ახალი თაობა“, ფხიზლად და თვალ-გაფაციცებით ვადევნებდეთ თვალ-ყურს და ვიძიებდეთ რუსეთის ცხოვრების ვითარებას და შეძლებისა დაგვარად, ჩვენც ხელს ვუმართავდეთ რუსეთში და მით ჩვენშიაც კეთი-ლის ზნეობისა და უკეთესის ცხოვრების დამყარებას.[2])

და ჩვენი ახალგაზდობაც ერთხანად სწორეთ ამ გზაზე იყო. მაგრამ გ. მაიაშვილი უკმაყოფილოა. ორ ინტელიგენ-ციათა შორის თითქოს გასწყდა სოლიდარობაო:

„წინად ერთი და იგივე ღმერთები სწამდათ, ერთსა და იმავე ხატებს ეთაყვანებოდნენ. ამგვარად ჩნდებოდა ერთნაირი ჰაერი, წმინდა და მარგებელი, იბადებოდა მტკიცე და ყველასათვის სასარგებლო ამხანაგობა და კავშირო.“*)

მართლაც იცვლებოდა გარემოება. სოლიდარობა, ნამდვილი კავშირი შესაძლებელია ორ სწორ-უფლებიან ადამიანთა შორის. და თუ ეს სწორ-უფლიანობა არ არის, არც ნამდვილი სოლიდარობა არის. ჩვენმა ინტელიგენციამ თითქოს იგრძნო ეს გარემოება და თვით გამორკვევის კითხვაში იყო გართული. ჯერ კიდევ 1881 წელს ჟურნალ „იმედ-

---

[1]) იხ. „ივერიის“ და „ნოვ. ობოზრენიეს“ ნომრები 1889 წლისა.

[2]) „ივერია“ N 226, 1889 წ.

[3]) იქვე.



ში“ გრ. ყიფშიძე თავის წერილში „თავიდგან თუ ბოლოდგან“**) სადად, გარკვეულად და კატეგორიულად აყენებს საკითხს: „ჩვენის აზრით აქ ორი გზა არისო, ამბობს იგი, ან ჩვენმა სტუდენტობამ აიღოს ხელი თავის სამშობლო ქვეყანაზედ, შეუერთდეს რუსეთის სტუდენტობას სულით და გულით, დაჰკარგოს თვისება თავისი და განსაკუთრებითი სულიერი სახე, გაუერთოს სიხარული და სევდა რუსეთის ახალგაზდობას: იტანჯებოდეს იმით, რითაც იგი იტანჯება და უხაროდეს ის, რაც მას ახარებს; ან და გასდგეს განზედ მისგან, გასდგეს როგორც მიუდგომელი დამკვირვებელი და შემსწავლელი უცხო ცხოვრებისა, უცხო მოვლენათა და აკვირდებოდეს მათ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა თავის ხალხის ცხოვრების შესასწავლელად. ორში ერთი: ან შეერთდეს რუსეთის ახალგაზდობასთან და სწიონ ერთი ჭაპანი, ან შეადგინოს თავის საკუთარი წრე, რომელსაც თავისი საკუთარი ინტერესები ექნება, თავისი ცხარე, გულის-დამწველი საქმეები და მისთვის კეთილსინიდისიერი მზადებანი, როგორც ეროვნების წარმომადგენელს ჯგუფს, მის ხორცს ხორცთაგან და ძვალს ძვალთაგან. ზოგნი ამ ორ გზის შუა საშუალო გზას ჰპოულობენ. შეიძლება ძალთა-მძლეობით ეს გზა შეესაბამებოდეს ეხლანდელს ჩვენს დროებითს მდგომარეობას, მაგრამ საბოლოვოდ საშვილი-შვილოდ რომ ვილაპარაკოთ, ჩვენი უღრმესი რწმენაა, რომ ჩვენ ხათრისთვის აღარ გვცხელა, თუ ძალადობა არ იქნება და მით უკეთეს მსხვერპლის მიტანა აღარავისთვის არ შეგვიძლიანო“.

გზა ეროვნულ პოლიტიკის გამოსარკვევად ოდნავად იწალდებოდა. ეს პოლიტიკა კულტურულ თავისებურობის აღიარებიდამ იწყება. მომავალში იგი უნდა დამთავრებულიყო

ეროვნულ უფლებების აღიარებით. ხოლო კულტურული საფუ-
ძველი, რომლისათვისაც საჭიროა ახალ-გაზდობისათვის
განცალკევებულის ფიზონომიის გამოსახვა, მკვიდრი და საპა-
ტიო საფუძველია და მასზედ უნდა დასდგომოდა და დადგა
კიდევაც ერთი ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა. გრ. ყიფშიძე
განაგრძობს: „მათი მთის მწვერვალებამდე ასული ევროპული
განათლება არ იყო დაფუძნებული და დამყარებულ იმ მშობ-
ლიურს ნიადაგზე, ე. ი. იმ განათლებას არ ჰქონდა საფუძ-

**) „იმედი“ N 5. 1881 წ.



ვლად სამშობლო ქვეყნის და ხალხის შესწავლა, მისი წარსუ-
ლი ისტორიული ცხოვრებისა ვრცლად და თანამედროვესი
ეთნოგრაფიულად, ეკონომიურად, სოციოლოგიურად და
სადაურადაც გნებავსთ. მოღვაწე ახალგაზდობამ სუყველაფე-
რი იცოდა, თვინიერ თავისი სამშობლოსი და ქვეყნისა. ეს
ისეთი უბედურება იყო ჩვენ თავს რომ მარტო ბრმები თუ
ვერ ხედავდნენ და ვერ „გრძნობენ მის საშინელს ნაწყვე-
ტებს დღესაც“. დღესაცო! ე. ი. ოთხმოციან წლებში.
ხოლო ვინა სთქვა, რომ მეოცე საუკუნეშიაც ამგვარივე
უბედურება არ დასტრიალებს ჩვენს საზოგადოებას და ნაწი-
ლი ჩვენის ინტელიგენციისა იმგვარივე სენით არ ყოფილი-
ყოს დაავადებული იმ განსხვავებით კი, რომ ახლა ეს სენი
უფრო ფართო წრეებშია მოდებული და მის განსამართლე-
ბლად და დასაცავად განსაზღვრული სოციალ-პოლიტიკური
თეორიაც არის დამზადებული.

მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ გ. მაიაშვილი, მიუხედავად
იმისა, რომ იგი თითქმის დასტიროდა სოლიდარობის დაკარ-
გვას ინტელიგენციათა შორის, არასოდეს არ ეკუთვნოდა
იმ გუნდს ახალგაზდაზრდობისას, რომელთაც ჰგულისხმობს გრ.
ყიფშიძე. ბევრი განსაცდელის და ტანჯვა-ვაების შემდეგ
დაუბრუნდა თუ არა იგი სამშობლოს, იგი გახდა დარაჯად
საზოგადოებრივის და ქართულ კულტურის ინტერესებისა
და ხან მწერლობაში და უფრო კი პრაქტიკულ მოღვაწეო-
ბის დროს ყოველთვის იჩენდა ღრმა ცოდნას და დაკვირვე-
ბას ჩვენი ქვეყნის როგორც წარსულის, ისე აწმყო მდ-
გომარეობისას. ამას ჩვენ დავინახავთ მის ნაწერების განხილვი-
დამ.

## V

მეოთხმოცდაათიან წლებში, როგორც მკითხველს მოე-

ხსენება, სამწერლო ასპარეხზე გამოვიდა ახალი ჯგუფი, რომელსაც შეცდომით „მესამე დასს“ უწოდებენ. ამ დასის და მის ორგანო „კვალის“ შესახებ ქვემოდ გვექნება საუბარი. აქ კი უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ დასელებმა აითვალისწუნეს საზოგადო მოღვაწენი და მწერლები, რომელნიც მათ სოციალ-პოლიტიკურ აზროვნებას არ თანაუგრძნობენ. ამ გარემოებაში გასაკიცხი არაფერია. ჯგუფებსა და მიმართულებათა შორის იდეიური შეტაკება და ბრძოლა პა-



ტივსადები საქმეა. მაგრამ საუბედუროდ ამ შეტაკებას ყოველთვის არა ჰქონდა იდეიური ხასიათი. და მსხვერპლად მიდგომილ და უსამართლო კრიტიკის და დაფასების ობიექტად გახდა იმ ხანებში გ. მაიაშვილიც. ჩვენ მოვალენი ვართ დღეს, გ. მაიაშვილის დახასიათების და მის პროვნების გამორკვევის გულისათვის ავხადოთ მას ის უსამართლო ბრალდება, რომელსაც სდებდა მას „კვალი“ თავის ლიდერის ნ. ჟორდანიას პირით.

ნ. ჟორდანიას რჩეულ ნაწერებს ვათვალიერებდი ამას წინად და, სხვათა შორის, გადავიკითხე ის, რასაც სწერდა იგი „შუათანა თაობის“ შესახებ, რომლის წევრადაც სთვლიდა იგი მ. მაიაშვილს. მ. მაიშვილს წინადაც ვიცნობდი, წაკითხულიც მქონდა მისი ნაწერები და ეხლა ნ. ჟორდანიას წერილი რომ გადავიკითხე, გაოცებული დავრჩი, ისე მეუცხოვა ყოველივე, რასაც ამბობს ბ. ჟორდანია გ. მაიაშვილის შესახებ. აქ რაღაც სიყალბე უნდა იყოს, ვიფიქრე გულმტკივნეულობით. საჩქაროდ გადავსინჯე გ. მაიაშვილის ნაწერები და გაშტერებული დავრჩი იმის წინაშე, რა უსამართლოდ და არასაკადრისად დაფასებული და დამახინჯებული იყო მისი აზრები. მაგრამ ბ. ჟორდანია ხომ ცნობილი ან-ია, რომელსაც მეც კარგად ვიცნობ და ჩემს გაკვირვებასაც ბოლო მოეღო, ხოლო ჩემს ნაღველს კი მეტი საზრდო მიეცა. ეჭვს გარეშე ხდება ის გარემოება, რომ ქართული საზოგადოებრივ აზროვნებას გასუფთავება და განწმენდა სჭირია, რადგან იგი ხშირად იკვებება იმგვარ მოტივებით და მიდრეკილებით რომელიც არც საზოგადოებრივ სამსახურთან, არც მწერლობასთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეთ.

ნ. ჟორდანია გაბედულად ამტკიცებს, ვითომ ა. მაიაშვილი ჯერ „გლეხთა მოსარჩლეთ გამოდის, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, თავად-აზნაურობას ურჩევს: იხსენ თავი შენი გლეხთა შემოსევისაგანაო. და ასე მან დატოვა „გლეხური“ შეხედულობა და შეითვისა ფეოდალურიო“.[1]) როგორც ხედავთ ჩვეულებრივი დაღეჭილი და გადაღეჭილი მოტივი –

ფეოდალი, ფეოდალური, ფეოდიდობა, ფეოდალიზმი! იმ ქვეყნებში, სადაც ნამდვილი ფეოდალური წყობილება არსებობდა, ასე ხშირად, ასე უადგილოდ, ასე უტვინოთ არასოდეს

[1]) ნ. ჟორდანია – რჩეული ნაწერები გვ. 250.



არ უხმარიათ და არ უთრევიათ ეს ლექსიკონი, როგორადაც ჩვენში, სადაც ხშირად ჩვეულებრივ წოდებრივობას ფეოდალიზმის სახელით ჰნათლავენ, ხოლო სადაც თვით ფეოდალური წყობილების არსებობა ჯერ კიდევ საცილობელ ისტორიულ პრობლემად არის აღიარებული.

მაშ ჩვენი „ნაროდნიკი“ გაფეოდალებულა. თურმე ამისი დამამტკიცებელი საბუთებიც არის. და ნ. ჟორდანიას მოჰყავს გ. მაიაშვილის ნაწერებიდამ მის გაფეოდალების დამამტკიცებელი ადგილები. 1891 წელს მაიაშვილს დაუწერია თურმე: „ხვნა-თესვის და მიწად-მფლობელობის საქმეში ამ ჟამად მედგარი და ყრუ ბრძოლა-ჭიდილია გამართული თავად-აზნაურობის და გლეხკაცობის შორის. ყოველივე იმედი გამარჯვებისა ამ ბრძოლაში ჯერჯერობით გლეხკაცსა აქვს. თან-და-თან უფრო ძლიერდება გლეხ-კაცი და, თუ საქმე კვლავ ასე წავიდა, თუ თავად-აზნაურობამ დროზე არ იზრუნა და არ იხსნა თავი, მალე სრულიად დამარცხდებაო“. მართალია, ამ სიტყვებში ჯერ კიდევ არა სჩანს გ. მაიაშვილის „გაფეოდალების" ამბავი, მაგრამ მაინც რაღაც უხერხულობას ჰგრძნობთ, აზრი დაბოლოვებული არ არის და ეჭვში იმყოფებით. თვით ის გარემოება კი, რომ წოდებათა შორის ჭიდილი იყო და არის დღესაც, უტყუარი ფაქტია. უტყუარი ფაქტია ისიც, რომ გლეხთა მამულის მფლობელობის სივრცე ამ უკანასკნელ ოცდაათის წლის განმავლობაში, მიუხედავად ყოველგვარ დამაბრკოლებელ მიზეზებისა, შესამჩნევად არის გაზდილი, ხოლო თავადაზნაურობისა კი შესამჩნევად შემცირებული. ასე რომ როდესაც კრიტიკოსი ზემოდ აღნიშნულ სიტყვების გამო ოხუნჯობს და ამბობს: გამოდის, რომ ჩვენ მემამულე და გაგებულ „კნიაზს“, უმამულო და ღატაკი „ტეტია“ ამარცხებსო, – ეს ოხუნჯობა უადგილოდ გეჩვენებათ და გინდათ მოსთხოვოთ კრიტიკოსს სხვა რამ საბუთი საბრალმდებლო ოქმის დასაცავად. სხვა რამ საბუთი? და განა ეს საბუთი არ არის, კაცი აშკარად ამბობს, თავად-აზნაურობა მარცხდება, უნდა იზრუნოს და ისხნას თავი დამარცხებისაგანაო. ეს საბუთი მაინც არ გაკმაყოფილებთ, რადგან აქედან მაინც არა სჩანს, როგორ უყურებს ადამიანი წოდებრივობას და თავად-აზნაურობის მომა-

ვალს. მოყვანილი სიტყვები თითქოს უხერხულია, ხოლო



ეს უხერხულობა აზრის დაუმთავრებლობისაგან წარმოსდგე-
ბა. მაშ თუ არა გჯერათ, გაიძახის კრიტიკოსი, ნახეთ, რა
ქებას ასხავს ბატონყმურ დროინდელ თავად-აზნაურობას
მშრომელი და გამჭრიახი იყოვო და ახლა კი, გლეხის მიერ
დამარცხებული ჩვენის სიყვარულის და მზრუნველობის საგნად
უნდა გახდესო. და ნ. ჟორდანიას მკითხველის დასარწმუნებ-
ლად კიდევ ერთი განცალკევებული ადგილი მოჰყავს გ.
მაიაშვილის წერილიდან და ფრჩხილებში ავტორის შესარცხვე-
ნად თავის შენიშვნებსაც უკეთებს. აი ეს ადგილი ნ. ჟორ-
დანიას განმარტებითურთ: „მხნეთა და მტკიცე შეურყეევე-
ლის ზნეობის კაცთა თაობას (ბატონ-ყმობის დროინდელი)
მოჰყვა თაობა უსაქმურთა და მოცლილთა; შრომის და
გამრჯელობის მოყვარულმა მამებმა (სწორედ ასეთი არ იყო
თათქარიძე) დაუტოვეს ქვეყანას შვილნი მუქთა-მჭამელ-
ნი. მოდით ახლა და ბძანეთ, რომ ფრიად სამწუხარო სამ-
კვიდრობელი არ არის ამისთანა სამკვიდრობელი. მოდით
ახლა და ბრძანეთ, ასეთი ყოფა დიდი მუქარა არ არის ჩვენი
მერმისისათვისო“. აჰა, ეხლაც არ დაიჯერებთ, ვინც ბრძან-
დება ბ. მაიაშვილი! ხომ ამბობს პირდაპირ, „გლეხის გა-
მარჯვება და აზნაურის (დ ისიც მუქთა მჭამელის) დამარ-
ცხება დიდი მუქარა ყოფილა ჩვენი ქვეყნისათვისო“. აკვირ-
დებით საგანს და აშკარად ხედავთ, რომ ზემოდ აღნიშნულ
სიტყვებიდამ ეს დასკვნა არა სჩანს. იქიდან სჩანს მხოლოდ
ის, რომ მუქთა მჭამელთა გამრავლება მუქარაა ქვეყნის-
თვისო. და ეს მართალიც არის. გარდა ამისა ეს ორი ციტა-
ტა, რომელზედაც ემყარება ბ. ჟორდანია, სხვა და სხვა
საგნის შესახებ არის ნათქვამი, კრიტიკოსი კი მათ ლოღიკუ-
რად აერთებს, თითქოს ერთი აზრი გაგრძელება ყოფილი-
ყოს მეორისა. ამასთან, უკანასკნელ ციტატაში, სადაც
„ძველების“ შრომის უნარზეა ლაპარაკი, ავტორს განსაზ-
ღვრული მოვლენა ჰქონდა სახეში. თუ ან მოვლენის შესა-
ხებ მკითხველს არა უთხარით რა, გაუგებარი დარჩება ნამ-
დვილი აზრი ავტორისა და არც ამის შესახებ აქვს კრიტი-
კოსს რაიმე განმარტება. ასე რომ ამ წესით, როდესაც საუბ-
რის საგანი დამალულია და მხოლოდ მის სიტყვებს იყენებს
და ხმარობს კრიტიკოსი ხან განცალკევებულად და ხან ლოღი-
კურის კავშირის წინააღმდეგ, ამ წესით ყველაფრის დამტკი-

ცება შეიძლება, შეგიძლიანთ გამოიყვანოთ ავტორი ავაზაკად, უზნეო პირად, შანტაჟისტ-ავანტიურისტად. და რომ ნ. ჟორდანია სწორეთ ასე იქცევა, ამას მკითხველი შემდეგ განმარტებიდამ დაინახავს.

გ. მაიაშვილმა კი დასწერა ფრიად საგულისხმო და ღრმად მოაზრებული წერილი დედაკაცის შესახებ „ჩვენი დედაკაცი და ახალი დრო“.[1]). ავტორი აკვირდება როგორც წარსულს ისე აწმყოს, როგორც თავად-აზნაურობის წრის ქალს, ისე ხალხის წრიდამ გამოსულს. თავად-აზნაურულ ქალის შესახებ ავტორი იმ აზრისაა, რომ ძველს დროში ქალის ტიპი უფრო მტკიცე, უფრო საღი, გამრჯელი და დამთვრებული იყო, ვიდრე დღევანდელ პირობებში. ამის მიზეზსაც არკვევს იგი.

„როგორც ვიცით, ამბობს გ. მაიაშვილი, ჩვენებურ თ.-აზნაურთა ოჯახებში მისდევდნენ წარმოებას ბამბა-შალეულობისა და აბრაშუმეულობისას, რომელიც საჭირო იყო შინ სახმარებლად. ამასთანავე ოჯახებში დიდად მისდევდნენ აგრეთვე შინაურ ფრინველის გაზდას და ყოველ გვარის საქონლის მოშენებას, როგორც საკლავად, ისე სამუშაოდ საჭიროს. ბეღლეულობა და ბოსტნეულობაც ერთი უმთავრესი დარგი და შტო იყო მებატონის მეურნეობისა, რომლის ნატვრა და სურვილი, სრულიად წინააღმდეგ ეხლანდელის ნატვრა-სურვილისა, ის იყო, რომ ყოველივე შინ სახმარი და საჭირო საგანი მაშინდელ მეურნეობას თვით თავის ძალითა და ღონით მოეხერხებინა. ასეთ სხვა და სხვაობასა და სამეურნეო ცხოვრების პირ-სავსეობას, ცხადია ესაჭიროება შრომა არა მარტო მამაკაცისა, არამედ დედაკაცისა... რადგან პირვანდელის ბატონ-ყმურის წარმოების ხელმძღვანელობისთვის არ აყო საჭირო არც განსაკუთრებული სამეურნეო განათლება, არც განსაკუთრებული მზრუნველობა, ამიტომ ეს შრომა ხელმძღვანელობისა ადვილად შეეძლოთ გაენაწილებინათ ერთმანეთში ცოლ-ქმარს, მით უფრო, რომ ცოლ-ქმარნი მომზადებით და განვითარებით ძალიან ნაკლებად განირჩეოდნენ ერთმანეთისაგანაო“.

საუბრის საგანი ეს არის. როდესაც ძველების გამრჯელობის და შრომის უნარზე ლაპარაკობს ავტორი ეს მოვლე-

---

[1]) „ივერია“,№ 121. № 1891 წ.



ნა აქვს სახეში და არა ლუარსაბ თათქარიძეების ქება, და როდესაც თანამედროვე „მუქთა-მჭამელებზე“ გვითითებს, სახეში აქვს ისიც, რომ პატრიარქალური წესი დაირღვა, უფასო

შრომა გადავარდა და რადგან ამ ახალ პირობებით თავად-ზნაურობამ არ მოინდომა ცხოვრებისათვის საჭირო ახალ იარაღის მოპოებისათვის ეზრუნა, ამიტომ იგი დაძაბუნდა და ქალის ფიზიონომიაც შესამჩნევად დაქვეითდა და ეს მუქთა-ხორა ხალხი ქვეყანას აწვება ტვირთად და მის მომავალისა-თვის მუქარაც არისო. ეს არის აზრი ჩვენი ავტორისა. საუ-ბარის ეს საგანი კი, რომელიც ნათელს ჰფენს კრიტიკოსის მიერ მოყვანილ ციტატების შინაარსს, სრულიად დაუმალა თავის მკითხველებს ნ. ჟორდანიამ და მით შეცდომაში შეი-ყვანა გ. მაიაშვილის საზოგადოებრივ ფიზიანომიის გამორკვევის საქმეში. ხოლო უარესი დანაშაულობა ჩაიდი-ნა მან მაშინ, როდესაც ერთი სიტყვაც არ მოიყვანა იმის გამოსარკვევად, თუ როგორ უყურებს ჩვენი მწერალი საზო-გადოთ თავად-აზნაურობას და მის მომავალს. გ. მაიაშვილი კი ამის შესახებ გადაჭრით აი რას ამბობს:

„მართლაცა და როგორ უნდა იცოცხლოს დიდხანს ისეთმა წოდებამ, რომელიც არას აძლევს ქვეყანას და ქვეყნის საერთო ნაშრომ ნაღვაწევიღამ კი საკმაოდ დიდს წილს თხო-ულობს ქონება-დოვლათისას ყოვლად უსასყიდლოდ და სრუ-ლიად მუქთად?! ისტორიას არასდროს არ შეუწყნარებია უფლებანი უვალდებულოდა და უმოვალეობოდ, ხოლო ვალ-დებულება-მოვალეობანი უუფლებოდ. არავითარს ქვეყანას, არავითარს საზოგადოების წეს-წყობილებასა და აგებულებას არ შეუძლიან მოითმინოს, რომ რომელიმე წოდება, გინა კრებული საზოგადოებისა სცხოვრობდეს და კეთილდღეობდეს ისე, რომ არავითარი მოვალეობა არ აწვეს ტვირთად ქონება-დოვლათის წარმოების საქმეში, ან ერის ზნეობა-სულიერს ცხოვრებაშიო".

ამ სიტყვებს, მგონი, განმარტება არა სჭირიათ. არა სჭირია განმარტება არც იმას, თუ რა სახელი უნდა დაერქვას იმ ხერხს ადამიანის დამცირებისათვის, რომელსაც მიჰმართა ამ შემთხვევაში ჩვენი ავტორის კრიტიკოსმა. ხოლო აქ სავა-გლახო ის არის, რომ ამ ყალბ და სათაკილო იარაღით იბრ-ძვის ეგი ბოლომდე. ბოლომდე სცდილობს ან დამალოს ავ-



ტორის აზრი, ან დაამახინჯოს ის, ან კიდევ გამოჰგლიჯოს მის ნაწერიდან ცალკე სიტყვები, რომელნიც საჭირონი არიან კრიტიკოსის განზრახვისათვ,ს, ხოლო სრულიად არ შეესაბა-მებიან ავტორის მსოფლ-მხედველობას. იმავ წერილის გამო დედაკაცის შესახებ ბ. ჟორდანია სწერს: „მაგრამ შეიძლება „მჩაგვრელის“ (თუ ჩაგრულის?) გლეხების დედებია უკეთეს მდგომარეობაში, ამ წოდებამ რაღა დაგიშავათ, რომ ყურად-

ღებას არ აქცევთ? თუ ერთი წოდება დაბლა მიდის, მეორე ხომ მაღლა ამოდის და მაშასადამე, თან ამოჰყავს თავისი „დედებიც“. ამას კი ბ. მაიაშვილი აღარ ეხება და პირდაპირ აღიარებს: ქართველი დედა უკან-უკან წავიდაო. ერთი სიტყვით, ბ. მაიაშვილი ქვეყანას თავად-აზნაურულ თვალით უცქერის და სადაც ამ წოდებას ვერ ხედავს, იქ სხვას ვეღარავის ამჩნევსო *). ნამდვილად კი ყოველივე ეს როგორც სხვაც ბ. ჟორდანიას მიერ თქმული სიყალბეა. როგორც ვსთქვი, გ. მაიაშვილი ხალხის ქალსაც ეხება და მის შესახებაც ამბობს თავის აზრს და აი როგორ:

„ხალხში ქორწინდებიან ისეთნი, რომელნიც თანაბარის ერთგულობით მუშაობენ თავიანთ საერთო ოჯახის საკეთილდღეოდ. ამისთანა ცოლ-ქმრობაში ცოლი ტვირთი კი არ არის ქმრისათვის, ისეთი ტვირთი, რომელიც წელსა სწყვეტავს და სისხლს უშრობს ქმარსა, პირიქით, ცოლი ისეთივე მშრომელი წევრია ოჯახისა, როგორც თვით მამაკაცი. ამიტომ მუშა-კაცი როდი ერიდება ცოლ-შვილობის მოკიდებას, რადგან დედაკაცი აქ ის საფრთხობი არ არის, რომელსაც ვერ მიეკარები, თუ ან გულადი არა ხარ, ან თავქარიანი და დაუდევნელი. აქ დედაკაცი ყოვლად საჭიროა, ოჯახი აუცილებელია, მეტადრე სოფლად, მხვნელ-მთესველ ხალხში... აქ ქმრის აზრით, ცოლი უკეთესი მეგობარია და თანაშემწე, შვილები ღვთის-წყალობაა და არა წყევლა... ხალხში ყველა თავ-თავისს საქმეს აკეთებს და ამიტომ ყველანი ერთიანად საჭირონი არიან, ქმარიცა, ცოლიცა, შვილიცა... რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ ასეთი საოჯახო კავშირი მტკიცეც არის, სასურველიცა და სასიხარულოცაო“. **)

ასეთია ჩვენი „ფეოდალის“ აზრი როგორც თავად-აზნა-

---

*) რჩეული ნაწერები, გვ. 249.

**) „ივერია“,№ 140, 1891 წ.



ურობის, ისე ხალხის „დედების“ შესახებ. ამის განმარტებაც მეტია!.. ვიტყვით მხოლოდ, რომ თუ ამისთანა „კრიტიკა“ რომელიმე ჯგუფს თუ დასს ღირსებას უმატებს, აფსუს ეს დასი და აფსუს ეს ღირსებაც!

გ. მაიაშვილის მდგომარეობა როგორც საზოგადო მოღვაწისა, ადვილი არ იყო. მას მოუხდა ყოფნა ქუთაისში იმ ხანაში, როდესაც იქ გახურებული „ბანკობიადა“ იყო გაჩაღებულო. მკითხველს მოეხსენება ალბად, რა იყო ჩვენებური „ბანკობიადა“. თუ დავიწყებული აქვს, გავახსენებ ერთის ამონაწერით ჟურნალ „იმედი“-დან, რომლის დაარსების დროს

ბანკის გარშემო ატეხილი გმინვა და ხმაურობა თავის განვითარების დასაწყისში იყო მხოლოდ. ერთ ქუთაისის ბანკის კრების გამო ჟურნალი ამბობს: „კრება გაგრძელდა დიდ-ხანს იმიტომ, რომ თავად-აზნაურობა იკრიბებოდა ნაყიშ-ნაყიშად. ბევრი მეკენჭეები და მაყურებლები იყვნენ... ნამეტანი გაგრძელებული ბაასი ჰქონდათ კრებაზედ, სატევრების ტრიალი და ლანძღვა-გინება კიდევ იმიტომ, რომ პარტიობა და ინტრიგობა თამაშობდნენ უპირველეს როლს, როგორც თვითონვე „დროება“ გვატყობინებს. დაუმატეთ ამაებს ისიც, რომ იმერეთის თავადაზნაურობის უმეტეს ნაწილს ბევრი არაფერი ეხარჯება თავის ჯიბიდან ქუთაისში ჩამოსასვლელათ და კრებაზე დასასწრებლად, რადგან, როგორც „დროებავე“ გვაუწყებს, გზის ფული ბანკის სამოსამსახურო პირების კანდიდატების მხრით ეძლევა და იმათგანვე მუქთი სადილ-ვახშამი და თეატრის ბილეთები მოელის. და ერთი მიბძანეთ, თუ ღმერთი გწამთ, რას ხედავთ აქ საიმედოს მომავალისათვის?“**)

ასეთი ფიზონომია ჰქონდა ბანკის კრებებს. და თუმცა მის მოქმედების დასაწყისში ბანკის საქმეები თითქოს კარგადაც მიდიოდნენ, მაგრამ წლითი-წლობით ბანკის საქმეების გარშემო ბრძოლა და ვნებათაღელვის ფარფაში იზრდებოდა და საქმის კეთება შეუძლებელი ხდებოდა. გაჩაღდა აშკარა მოსყიდვა „მეკენჭეთა“ და საზოგადოებრივი ატმოსფერა მთლად წაიბილწა და მოიშხამა. საქმე ჯერ რევიზიამდე მივიდა,რომელიც დაინიშნა გურიის თავ.-აზნაურობის თაოსნობით და შუამდგომლობით და რევიზიის შედეგი ის იყო, რომ კრებას

**) 1831 წ. N 6.



უფლებები მოაკვეცეს და ბოლო მოუღეს უთავბოლო ხალხის უთავბოლო შფოთვას და ღრიანცელს.

1896 წელს ყველა ამის შესახებ ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა დასაბუთებული წერილი გ. მაიაშვილისა „ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკი და მისი მნიშვნელობა“. *) უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს მწერლობაში საადგილმამულო ბანკების შესახებ სხვა ამაზე უფრო დინჯი, ცოდნით სავსე, მარტივი და გარკვეული წერილი არ წამიკითხავს. ხოლო ამ წერილის მნიშვნელობა მარტო მის სპეციალურ საგნის ცოდნაში არ არის. ავტორი ეხება საზოგადო საკითხებს, ინტელიგენციას და მის მნიშვნელობას ბნელ ძალებთან ბრძოლის საქმეში. არკვევს რა იმ კრების ფიზიონომიას, რომელსაც უნდა მიეცა განსაზღვრული მიმართულება ბანკის საქმეებისათვის, გ. მაიაშვილი ამბობს:

„აქ შეუძლებელი იყო გულ-დამშვიდებული და საქმიანი განსჯა და განკითხვა საგნებისა, აქ სწარმოებდა არა ბრძოლა აზრთა და შეხედულებათა, არამედ ბრძოლა ინტერესებისა და აღტყინებულ მადისა... უნდა გენახათ გამძვინვარებულნი, ალეწილი სახენი და ბარბაროსული მიხვრა-მოხვრა წევრთა, უნდა გაგეგონათ ამათი უთავბოლო ყვირილი, უნდა თვალყური გედევნებინად, როგორ სცდილობდნენ ხელი შეეშალათ ყოველ ორატორისთვის, რომელიც კი გაჰბედავდა რისამე თქმას ბანკის საფინანსო საგნების შესახებ, რომ დაგესკვნათ ის სამწუხარო აზრი, რომ **ასეთი** კრება მოკლებულია არამც თუ უნარს თვისის საქმეების თვით-განგებისას, არამედ იმ კაცთა ცნობიერად არჩევისასაც, რომელნიც მოვალენი არიან აღასრულონ ბანკის ორგანოთა ფუნქციები და რომელნიც ღირსნი იყვნენ იმისი, რომ მათ დაეკისროთ სამსახური საზოგადოებრივის მოვალეობისა... უმეტესობა კრებისა წარმოადგენდა შემთხვევით შეგროვილ ხალხის ბრბოს, მორეკილს კრებაზედ საბანკო მოხელეების მოტრფიალეთაგან, ერთად თავმოყრილს არა განსახილველად და განსასჯელად საბანკო საქმეთა, არამედ განსაკუთრებით კენჭის საყრელად... უმრავლესობის ბარბაროსული ქცევით შეშინებული კეთილგონიერი და კეთილ-მოაზრე წაწილი საზოგადოებისა იძულებული იყო ხოლმე თითო-ოროლა ინტელიგენტ კაცთან ერთად დადუ-

*) «მოამბე» N 12. 1896 წ. და NN 1-2 1897 წ.



მებულიყო და მოჰრიდებოდა ბანკს. ქუჩა, ბრბო – დღესასწაულობდა, ლხინსა და ხადილს ეძლეოდა, ბარბაროსნი ძირს ამხობდნენ რომსა და მის ცივილიზაციას...“

ამ სურათის დახატვის შემდეგ, ავტორი არკვევს „საზოგადოების“ და „ბრბოს“ მცნებათ. იგი ამბობს:

„საზოგადოების და ბრბოს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი ცოტად თუ ბევრად გაწვრთნილი ერთიანი რამ არის, იმიტომ რომ პირველს თავისი განსაზღვრული აზრი და ჩვეულება, გარკვეული სურვილები აქვს, იმის-დაშესაბამი, რაოდენადაც წინ წასულია ესა თუ ის საზოგადოება; მაშინ როდესაც ბრბო შემთხვევით შეერთებული და ერთმანეთს შორის შეკოწიწებული კაცთა კრებულია, ერთად თავ-მოყრილი, გაერთიანებული არა საზოგადო ინტერესების ერთგვარობითა. არამედ იმ კაცთა ნებითა, რომელთაც შეუგროვებიათ ისინი ერთს განსაზღვრულს ადგილას და ერთის განსაზღვრულ პრაქტიკულის აზრითა“... რათა ამ მცნებათა განსაზღვრის შესახებ ეჭვი არავის შეეპაროს, გ. მაიაშვილი და-

სძენს: **როგორც საზოგადოება ისე ბრბოც შესაძლებელია ერთნაირად შესდგებოდეს განათლებულ და გაუნათლებელ წევრთაგან**, ( კურსივი ჩვენია) იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ის ინტელიგენცია, რომელიც არის წარმომადგენელი საზოგადოებისა, იმავე დროს გამომთქმელია საზოგადოებრივის აზრ-სურვილისა და დამცველი საზოგადოებრივ ინტერესებისა; ინტელიგენცია კი ბრბოსი გამომთქმელია მხოლოდ საკუთარ თვისის აზრ-სურვილისა, იცავს მხოლოდ თავის საკუთარ საქმეს, რადგან იმისი მომხრე ბრბო შემდგარია მხოლოდ გასაძლიერებლად იმ თითო ოროლა ინტელიგენტის კერძო აზრ-ფიქრისა და კერძო საქმისა, რომელნიც მოსწყვეტიან ჭეშმარიტს საზოგადოებრივს ინტელიგენციას და შესდგომიან საკუთარის ხეირისა და გამორჩენის გზას“*)

ჩვენ იძულებულნი ვიყავით შეგვეჩერა მკითხველის ყურადღება ამ საკმაო მოზდილ ციტატაზე, რადგან ეს მასალა მისმა კრიტიკოსმა გამოიყენა ისეთის სამარცხვინო დემაგოგიისათვის, რომ მკითხველი არც კი დაიჯერებს, თუ მისი სიტყვები არ წარვუდგინე საბუთად. გ. მაიაშვილის წერილში ნახსენებია სიტყვები „ბრბო“, „ქუჩა“ „ხალხი“ და ნ. ჟორ-

*) „მოამბე“ N 2. 1897 წ.



დანია ფეხზეა წამომდგარი. ჰაა, „ქუჩას და „ხალხს“ დასცინიო, გინდათ მასზე გაბატონდეთ, გინდათ ინტელიგენციის მეფობა დაამკვიდროთ „ბრბოს“ ზურგზედა, მაშ გაჩვენებთ თქვენ სეირსაო. მკითხველი არ დამიჯერებს, ამას ვერ იტყოდა პატიოსანი ადამიანიო, ამიტომ აი თვით ბ. ჟორდანიას სიტყვებიც: „ბ. მაიაშვილი ძალიან შეაწუხა იმ გარემოებამ, რომ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის კრებებზე ბევრი **ხალხი** (კურსივი ჩემია) ესწრებოდა და გამარჯვებას მის მოწინააღმდეგეთ ანიჭებდა. და აი ის, იმის მაგიერ, რომ მარტო ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ ამხედრებულიყო, ამხედრდა კიდევ უფრო მედგრად **ხალხის** წინააღმდეგ და მოითხოვა ამ დაუპატიჟებელი სტუმრების ფრთების შეკვეცაო“. როგორ მოგწონთ? გ. მაიაშვილს თავად-აზნაურთა კრებაზე აქვს ლაპარაკი. როცა ხალხს იხსენიებს, სახეში აქვს თავად-აზნაურნი და არა ვინმე სხვა, პროლეტარები და გლეხები. ბ. ჟორდანია კი, რომელიც სხვა დროს იმ „ხალხს“, რომელიც სახეში ჰყავს მაიაშვილის, თავზე ლაფს სიამოვნებით გადაასხამდა, აქ მის მოსარჩლედ გამოდის და თავის მოპირდაპირეს თავზედ ახვევს არა მოსყიდულ მეკენჭე თავად-აზნაურთა არამედ **ხალხის** წინააღმდეგ გალაშქრების სურვილს. მაგრამ ყური უგდეთ ამ

აღვირ აშვებულ დემაგოგიას: გიორგი მაიაშვილმა ხალხი გაყო სამ ნაწილადაო: „უმდაბლესი – „ბრბო“ ანუ „ქუჩა“. უმაღლესი – „საზოგადოება“ და უუმაღლესი – ინტელიგენცია. ინტელიგენცია თავის მხრით იყოფა ორათ: „ჭერმარიტი“ და არა-ჭეშმარიტი, სადაც კი გამოჩნდება „ქუჩა“, იქ ყოველივე აირევ-დაირევა და „ჭეშმარიტთ“ გზა არ ეძლევა. ხოლო სადაც მარტო „საზოგადოებაა“, იქ „ჭეშმარიტნი“ ბატონობენ და ყოველივე ჩინებულად მიდის. აშკარაა, ქუთაისის ბანკის მოსაწესრიგებლად, აუცილებელია კრებისაგან „ქუჩის“ გარეკა, რაც თან გაიყოლიებს „არა-ჭეშმარიტთ“ და დარჩება „საზოგადოება“ და მისი ჭეშმარიტი წარმომადგენელი – ინტელიგენციაო“ [1]), ძირს **ხალხის** მტერი გ. მაიაშვილიო.

მართლაც როგორ არ აშფოთდეს გული ამ გულსაკლავ სურათის წინაშე! ბრძოლაა **ხალხის** და ბატონებ შორის. ხალხს სწყურია განთავისუფლება, ბედნიერება. და ბატონი-ინტელიგენტები კი, ნიღაბ ჩამოფარებულები, ხალხის შებორ-

---

[1]) რჩეული ნაწერები, გვ. 255.



კვის ცდაში არიან, „ქუჩას“ უპირებენ ომს და მის უფლებებს ჰკვეცავენ. სოციალურ-რევოლუციის დასაწყისია, მაშ სხვა რა უნდა იყოს ყოველივე ეს? ამ რევოლუციის შიშით თუ ირაზმებიან „ბრბოს“, „ქუჩის“ და „ხალხის“ მოწინააღმდეგე ინტელიგენტები!..

სასაცილოც არის, მოსაწყენი და მოსაბეზრებელიც ამ საგანზე ლაპარაკის გაგრძელება. ჩვენ შევჩერდით მასზე იმის დახასიათების გულისთვის, თუ რა პირობებში უხდებოდა მოქმედება იმ ხანებში იმ საზოგადო მოღვაწეთ, რომელნიც ერთის მხრივ, ჩვენი ცხოვრების ძველი წესწყობილების წარმომადგენლებთან უხდებოდათ შეტაკება და ანგარიშების გასწორება, ხოლო მეორეს მხრივ, ახლად აღმოცენებულ „მარქსისტულ დასის“ ბელადთა დემაგოგიური მოპყრობა განიცადეს თავიანთ თავზედა. მოუფიქრებელი და შემცდარი ნაბიჯებით დაიწყო თავისი მოქმედება იმ ჯგუფმა, რომელსაც მოეთხოვებოდა მეტი აზრი, მეტი ჰუმანიური გრძნობა, მეტი გამჭრიახობა და მეტი გულახდილობა, რადგან მას ჰქონდა პროლეტარიატის წარმომადგენლობის ამბიციები. და ამ გარემოებამ პირველ ხანშივე დაჩრდილა და დაამდაბლა ახალი, სამართლიანი და ჭეშმარიტი მისწრაფებანი და მიდრეკილებანი იმ ჯგუფისა, რომელსაც ჩვენს სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში შესამჩნევი სამოქმედო ასპარეზი ჰქონდა მიზომილი.

გ. მაიაშვილს და მის თანამოაზრეთ და ამხანაგებს წილად ხვდა იმ საზოგადოებრივ მოვალეობის ასრულება, რო-

მელიც მდგომარეობდა ბოროტების და უკუღმართობის მხილებაში ყველგან, სადაც კი ამ ბოროტებას ფესვი მოუკიდნია, თავადაზნაურთა წრეებში თუ დემოკრატიულ ჯგუფებში. გ. მაიაშვილი, ლალი და სხვანი იყვნენ პიონერები იმ სოციალურ-ეროვნულ მიმართულებისა, რომელმაც მეოცე საუკუნეში ფრთა გაშალა ჩვენს ცხოვრებაში და განსაზღვრული სოციალ-პოლიტიკური პოზიცია დაიჭირა.

ყოველივე ეს უფრო ნათლად გამოჩნდება მეოთხმოცდაათე წლების საზობადოებრივ მოძრაობის შესწავლის შემდეგ.

## VI

სრულიად გაუგებარი დარჩება ჩვენთვის ნ. ჟორდანიას გალაშქრების საფუძველი გ. მაიაშვილის წინააღმდეგ, თუ რომ არ დავუბრუნდით მეოთხმოცდაათე წლების დასაწყისს და არ



განვმარტეთ საყურადღებო მოვლენანი, რომელთაც ჰქონდათ ადგილი ამ ხანაში. 1893 წელს გ. წერეთელმა დაარსა კვირეული სურათებიანი გაზეთი „კვალი“. პირველს სარედაქციო წერილში, რედაქტორი ახალის გაზეთისა, აუწყებდა მკითხველებს, რომ „სწავლის უქონლობა ცალკე გვაწუხებს, ქონების შემცირება ცალკე და ამ ორივე ნაკლულევანებას უნდა შეძლებისამებრ შველა და აცილებაო“. ამასთან დასძენდა, რომ „შეუმცდარი არავინ არის. ჩვენც შეიძლება ბევრში შევსცდეთ, მაგრამ როდესაც კი ჩვენს შეცდომას დაგვიმტკიცებენ, აღვიარებ-აღსარებასა ვდებთ, ამ შეცდომას გულწრფელად აღვიარებთო“[1]) (თუ ვაღიარებთ?). კარგი და პატიოსანი. იწყო „კვალმა“ ჩვენი ცხოვრების შესწავლა და განმარტება. გაზეთში ბევრი წერილები იბეჭდებოდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათისა. რაიც შეეხება თანამედროვე კითხვებს, აღმოჩნდა რომ გ. წერეთელი თავისი ზოგიერთი თანამშრომელითურთ რადიკალურად არ ეთანხმებოდა გაზ. „ივერიას“ ბანკის, სათავად-აზნაურო სკოლისა და სხვა ზოგიერთ ეკონომიურ და საზოგადოებრივ საკითხის გარკვევის საქმეში. ბანკისა და სკოლის შესახებ უმთავრესად გ. წერეთლის წერილები იბეჭდებოდა და ჩვენ ქვემოდ ვნახავთ, რაში მდგომარეობდა ამ წერილების ღირსება-ნაკლულევანება. ხოლო გ. წერეთლის გვერდით, თანდათან, ჩნდებიან სხვა მწერლებიც, რომელთაც შეაქვთ მწერლობაში ახალი მოტივები სოციალურ ცხოვრების განსამარტავად. ამ მხრივ საყურადღებოა რამდენიმედ ბ. ხომლელის წერილები, რომელიც სალიტერატურო ისტორიის კრიტიკოსად გამოდის „კვალის“ ფურცლებზე. ბ. ხომლელს,

სხვათა შორის, არაფრად მიაჩნია ის საზოგადოებრივი მოძრაობა, „ნაროდნიკობა“, რომელზედაც ჩვენ გვქონდა ლაპარაკი წინა წერილებში. „ლიბერალების შემდეგ (მესამოცე წლების), ამბობს იგი, ჩვენ ლიტერატურას ახალი სახელმძღვანელო აზრი არ შეუმუშავებია. ინტელიგენციის ცხოვრებას არასფერი არ დასტყობია და მხოლოდ გაკვრით და ისიც მიბაძვით ოდნავ-ღა აღინიშნა ჩვენში გლეხობის გაღმერთება და ტრფიალი[2])“. ასე რომ ბ. ხომლელი ოთხმოცდაათ წლამდე ჩვენს ცხოვრებაში არავითარ ახალ მოძრაობას არა ხედავს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს აზრი სავსებით მისაღები არ არის,

---

[1]) „კვალი“, 1893 წ. № 1.

[2]) № 10.



თუმცა მართლაც და შესანიშნავი და ორიგინალური რამ არ აღმოცენებულა ქართულს ცხოვრებაში. ბ. ხომლელი განაგრძობს: „შემცდარი არის, ვინც იხმარს ქართული ლიტერატურისა და ინტელიგენციის ვითარების კვლევის დროს სიტყვებს – ძველი და ახალი თაობა. არავითარი ახალი-თაობა არ იცის ჩვენმა ცხოვრებამ ჯერო[3])“. როგორც ხედავთ, დასთა კლასიფიკაციის საკითხს ახალი ვარიანტი ჰქონია და შემდეგში დავრწმუნდებით, რომ ამ ვარიანტს სხვა ვარიანტებიც მოსდევენ, ერთ-ერთმანეთის წინააღმდეგი და უარ-მყოფელი. ბ. ხომლეთელის აზრით, ახალი თაობა მხოლოდ მის დროში გაჩენილა. „ამ უკანასკნელი ათის წლის განმავლობაში, ამბობს იგი ესე იგი, მას აქეთ, რაც დაიწყო და აყვავდა სამი ძლიერი რთული წარმოება: ქვა-ნახშირისა, შავი-ქვისა (მარგანეცისა) და ნავთისა, რაც რკინის-გზების გაყვან-გამოყვანამ გააჩაღა საქართველოში აღებ-მიცემობა პურისა, სიმინდისა, ღვინისა და სხვა და სხვა ლითონებისაც, რომელთაც უმნიშვნელო სახელი არ დაუმსახურებიათ მსოფლიო ბაზარზედ – ეკონომიური ყოფა ჩვენი ერისა სრულიად შეიცვალა, წინ წავიდა და საქართველოში ვისაც კი აჩნდა სიცოცხლისა, სიფხიზლისა და ნიჭის ნასახი, ყველა „გაევროპიელების" გზას დაადგაო“ (იქვე).

1894 წელს 29 აპრილს კვდება ახალგაზდა ნიჭიერი ბელეტრისტი ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა). ამ უდროვოდ გარდაცვალებულ მწერლის დასაფლავების დღეს ასე ახასიათებს „კვალის“ კორესპონდენტი ბ. დამსწრე: „ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა, ამბობს იგი, ნინოშვილის დასაფლავებაზე. მის კუბოს გარს შემოკრბნენ, ასე ვსთქათ, მესამე დასი ახალგაზდობისა, ე. ი. სულ უკანასკნელი წლების

თაობა – ისინი, რომელნიც გამოსულან ასპარესზე მეოთხმოცდაათე წლებიდან... ესენი უარს-ჰყოფენ ძველ ჩვენ ინტელიგენტებს – მეთაურებს და მათი მოქმედება უკვე მავნებლად მიაჩნიათ ჩვენი საზოგადოების წარმატებისათვის. რადგან ისინი განხეთქილან და გაუყვიათ საზოგადოება პირადი ინტერესის გულისათვის, ებრძვიან ერთმანეთს უწმინდური საშუალებით, დაპირებით, ქრთამით და სხვანაირი თვალთმაქცობით.

---

[3]) იქვე.



საგანი კი მათის მისწრაფებისა არის სიმდიდრეს მოხვეჭა, პირადი სარგებლობის ძიება და პირზე ნიღაბები ქვეყნის მოღვაწეობისა ჩამოუფარებიათო; ხოლო ცხოვრებაში გარდა პირადი კეთილ-დღეობისა არა უჩანთ-რაო და როდესაც ჩვენი ეროვნობის მავნე ცუდი ნიშნები გამოჩნდება იმის მაგიერ რომ ერს სათავეში უდგნენ და ეცადნონ საქმის გარკვევასო, ისინი შეიკეტენ კარებს და ჰყოფენ უარს მამაცურად მოქმედებასო. ამ სახით ეს მესამე დასი ჰხდება დაუძინებელ მტრად ახლანდელი ჩვენი ინტელიგენტ-მეთაურებისა და მათი მოქმედება მიაჩნიათ მავნებლად ჩვენი ქვეყნისთვის... ნინოშვილის საფლავზე პირველად წარმოსთქვეს ამათ თავისი პროგრამა მოქმედებისა და თითქოს რაზმად დაეწყვნენ, რომ ხალხში შეიტანონ განათლების შუქი და ზურგი შეაქციონ იმ ინტელიგენციას, რომელიც დღეს თავს იხრჩობს ბანკისა და ქალაქის არჩევნებშიო“.[4]) ასე არკვევდა დამსწრე კორესპონდენტი „მესამე დასის“ ფიზიონომიას. ხოლო ამის დასამტებლად იმავ გაზეთში მალე დაიბეჭდა სილიბისტრო ჯიბლაძის საპროგრამო სიტყვა, წარმოთქმული დასაფლავების დღეს. ამ სიტყვაში, სხვათა შორის, ვპოვებთ შემდეგ დამახასიათებელ ადგილებს: „ჩვენი ახალი ბატონი, ამბობს ბ. ჯიბლაძე, ის ნივთიერებაა, რომელსაც ფულს ეძახიან. ამ ახალი კერპის გასუქებულ თითებზე იხრაკება ურიცხვი მსხვერპლი, მის წინაშე იდრეკენ მუხლს ძველი ყმაცა და ბატონიც, მის უდაბურ უფლებაში გადადის ყოველგვარი შრომის იარაღი და აქედან ყველა შრომის წარმომადგენელნი, მის ყურმოჭრილ მონად ხდება თვით მეცნიერებაც კი. ამ ახალმა ბატონ ყმობამ კარგა ხანია დაამთავრა ზრდა მოწინავე ერთა შორის, სადაც საშინელი ბრძოლა გამოიწვია; ჩვენში კი, თუმცა ის ახალდაბადებულია, ბავშვია, მაგრამ სამაგიეროდ ეს ბავშვი საუცხოვო თვისებისაა – **შესანიშნავის სისწრაფით იცის ზრდა...** (კურსივი ჩვენია). ჩვენი აწინდელი ცხოვრება, განაგრძობს ბ. ჯიბლაძე, წარმოადგენს ორს ახალ, ერთი-მეორის მოწი-

ნააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით, ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით, მუქთა-ხორა, ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა გარჯა, მეორეთა კი – დასაკუთრება ამ შრო-

[4]) N 21. 1884 წ.



მის ნაყოფისა. აი, სად ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან კი კარგა ხანია ჩატეხილიცაა; აი, სად ირღვევა უფსკრული და ბევრგან კარგა ხანია გარღვეულიცაა. ამ უკუღმართობის დასამარცხებლად არის, ერთის მეცნიერის სიტყვით რომ ვსთქვათ, ორ-სულად ახლანდელი ჟამთა-ვითარება. ამ მშობიარობის გასაადვილებლად და დასაჩქარებლად იღვწიან და უნდა იღვწოდნენ კიდევაც საუკეთესო წარმომადგენელნი ახალი-თაობისა. ამ ახალ კვალზე დადგომა აშკარად ეტყობა ჩვენს ახალს „კვალსაც“-ო.[5])

ამ სახით გაზეთი „კვალი“ თან და-თან გარკვეულ ნიადაგზე დგება. ნინოშვილის საფლავზე წარმოითქვა სიტყვები, სადაც ნათლად ისახება პროგრამა ახალი დასისა. წვრილმანებს რომ თავი დავანებოთ, ამ პროგრამამ წამოაყენა ორი მთავარი აზრი: ძველ ინტელიგენციის გმობა-უარჰყოფა და კაპიტალისტურ წყობილების განვითარება საქართველოში. ამ საგანთა გარშემო დატრიალდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთობაში ცხარე მითქმამოთქმა, ჩხუბი და სჯა-ბაასი.

ამ პოლემიკის მიუდგომელ დაფასებისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რაგვარი ჯგუფები და ჟურნალ-გაზეთები გვქონდა წლების დასაწყისში. თუ ვსთქვით, რომ მაშინ გვქონდა „ივერია“ და მეოთხმოცდა-ათე „მოამბე“ და ამითი დავკმაყოფილდით, ეს ცნობა საქმეს შუქს ვერ მოჰფენს. არც „ივერია“, არც „მოამბე“ ერთ განსაზღვრულ ჯგუფის ორგანოდ არ ჩაითვლებიან იმ ხანაში. ილია ჭავჭავაძე გაზეთს თითქმის ჩამოეცალა, მეთაურობას უწევდენ 1893-94 წელს ა. ფრონელი და ბ. მეველე, 1895 წლიდამ კი ლალი. ლალს განსაკუთრებული პოზიცია ეჭირა, თუმცა „ივერიაში“ დაიწყო თვისი სალიტერატურო მოღვაწეობა. ჩვენებური ჟურნალისტი იმ გვარ პირობებშია ჩაყენებული, რომ ხშირად უხდება მოქმედება და წერა იმ წრეში და გაზეთში, სადაც მის აზრებს და მისწრაფებას ბევრი რამ ეღობება წინ. დასობას ჯერ გარკვეული სახე არ ჰქონდა და ამიტომ შეხვდებით იმგვარ უცნაურ მოვლენას, როგორც მაგალითად, ნ. ჟორდანიას წერილების მოთავსებას „მოამბეში“ (ეკონომიური წარმატება და ეროვნება) საზღვარ-გარეთელის (რომელიც იგივე ჟორდანიაა)

კორესპოდენციების ბეჭვდას „ივერიაში“, ფხას თანამშრომ-

---

[5]) № 22.



ლობას „კვალში“ (ფაკტორები ისტორიის განვითარებისა) და
და სხვა და სხვა. იმავ „მოამბეში“ სწერდნენ ეგ. ნინოშვილი,
ბ. ნანეიშვილი, ნ. ნიკოლაძე და სხვანი. ერთი სიტყვით, ჩვენ
არ ვხედავთ იმგვარ ხანებში იმ ჟურნალ-გაზეთებს, რომელთაც
განსაზღვრული და გარკვეული ფიზიონომია ჰქონოდათ. ამ
განსაზღვრულ ფიზიონომიის შემუშავებამდე მხოლოდ „კვალი“
მივიდა 1895 წლიდამ დაწყებული. მაგრამ უნდა ვსთქვათ ისიც,
რომ მიუხედავად დაქსაქსულობისა და განუსაზღვრელობისა,
„ივერიამოამბეს“ აკავშირებდა ის, რომ ამ გამოცემათა მწერ-
ლები გალაშქრებული იყვნენ „კვალის“ წინააღმდეგ. მართა-
ლია, ეს გალაშქრება სხვა და სხვა მწერალთა მიერ სხვა და
სხვა მოტივებით იყო ხოლმე დასაბუთებული და გამოწვეუ-
ლი, ხოლო ამისდა მიუხედავად ეს იყო მაინც საერთო რამ,
საერთო ძველი ინტელიგენციის დაცვის საქმეში მაინც. მაგრამ
უნდა ვსთქვათ ისიც, რომ „კვალის“ მოპირდაპირეებს აკლდათ
სიმძაფრე და გავლენა ერთის ორგანიზაციისა და ერთის მიმარ-
თულებისა. შეტაკების პირველ ხანებიდანვე თითქოს აშკარა
იყო, რომ ახალ დასს ჰქონდა რაღაც უპირატესობა. რაზედ
იყო დამყარებული ეს უპირატესობა და რაში გამოისახებოდა
იგი?

ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჯერ
კიდევ მეოთხმოციან წლებში ისახებოდნენ ნიშნები ძველ მწე-
რლობის მოღვაწეობის კრიზისისა. ჯერ კიდევ იმ ხანებში გაჩ-
ნდა საოპოზიციო ჯგუფი, რომელსაც სწადდა კლასიურ პრინ-
ციპის აღიარება, ხოლო რომელმაც, როგორც ვიცით, ეს
ვერ მოახერხა და მით უანდერძა ამ საქმის გაგრძელება და
დამკვიდრება მომავალ ახალ დასს, „კვალის“ ჯგუფს, რომლის
ძალა და საფუძველი სწორეთ ის იყო, რომ მან, შეიგნო რა
ახალ სოციალურ სტრუქტურის შემუშავების პროცესი ჩვენს
ქვეყანაში, მოახერხა თავის პოზიციების გამაგრება ამ ახლად
გამოსახულ სტრუქტურის ნიადაგზე. და მაშინ როდესაც ამ
ახალ საქმის გარიგებასა და მოწყობაში იყო გაზეთი „კვალი“,
„ივერია“ ისევ ძველებურად მარტო და მხოლოდ სოფლის
მეურნეობის საკითხის გარშემო დატრიალებდა. გარდა ამისა,
მხედველობაში მისაღებია შემდეგი გარემოება.

ჩვენს წერილში ილია ჭავჭავაძის შესახებ (მოამბე
1901 წ.) უკვე აღვნიშნეთ, რომ თუ არის ორი პერიოდი

ჭავჭავაძის მოღვაწეობაში, ეს მეორე პერიოდი 1877 წელს
კი არ იწყება („ივერიის“ დაარსებიდამ), არამედ ათი წლით
უფრო გვიან, თითქმის ოთხმოცდაათ წლებში. თუ გვინდა
ვიცოდეთ ის, თუ რაგვარის თვალით უყურებდა ილ. ჭავ-
ჭავაძე ამ ხანაში სოციალ-პოლიტიკურ საკითხებს, მოვიგო-
ნოთ მისი წერილი ალექსანდრე III გარდაცვალების გამო
დაწერილი. ამ წერილში ილია ჭავჭავაძე, სხვათა შორის,
ასე აფასებს წარსულ სამეფოს მნიშვნელობის: „... მის
(ალექსადრე III ის) დრომდე საეკონომიო პოლიტიკას რუ-
სეთში წინ მიუძღოდა ის აზრი, რომ ეკონომიური კეთილ-
დღეობა სახელმწიფოსი და ერისა მარტო აღებ-მიცემობისა
და ვაჭრობის ძლიერებაზეა დამოკიდებულიო. ამისათვის
ყოველივე მოღვაწეობა და მოქმედება სახელმწიფოსი მიქ-
ცეული იყო თითქოს მარტო აღებმიცემობასა და ვაჭ-
რობაზე... განსვენებულის ხელმწიფობამ შეავსო და შეას-
წორა ეს ცალკერძოდ მიმართული მზრუნველობა სახელ-
მწიფოსი. ცნობილ და აღიარებული იქმნა, რომ მარტო ერ-
თი აღებმიცემობა და ვაჭრობა ვერას უშველის ქვეყანას,
თუ სხვა საეკონომიო მოქმედებანიც მასთან ერთად ფეხს
მაგრად არ მოიკიდებენ და წინ არ წაიწევიან... მიწათ-
მფლობელობას და მიწათ-მოქმედებას აღმოუჩინა შემწეობა
სახელმწიფოსი, აგრეთვე საფაბრიკო და საქარხნო წარმოე-
ბასაც. მუშათა საქმეს დაუდო კანონები, მიმართული მასზეა,
რომ საქმის პატრონის თვითნებობა დაუმორჩილოს რიგს,
და წესს და მუშას უკანონოდ არ მოექცნენ. თავად-აზნაუ-
რობას, გლეხობას გაუსხნა საადგილ-მამულო ბანკები, გაუღო
კარი სახელმწიფო ბანკის მიწათ მფლობელს და მიწათ-
მომქმედს[6])“... და სხვ.

მაშინდელი პროგრესიული ნაწილი რუსეთისა სხვა აზ-
რისა იყო ამ საგნის შესახებ. აშკარა იყო და ყველას ესმო-
და, რომ ყოველივე ზომა იყო მიღებული თავად-აზნაურობის
საშველად და ფეხზე დასაყენებლად. ეხლანდელი თავად-
აზნაურული პოლიტიკის და ტენდენციების წყარო და საბა-
ბი სწორეთ ის ხანაა რუსეთის ცხოვრებისა. რაიც შეეხება
გლეხებს და მუშებს, მათ შესახებ მზრუნველობას არავითა-
რი შესამჩნევი შედეგი არ მოჰყვა. პირ-იქით ერობის უფ-

[6]) ივერია N 224, 1894 წ.



ლებათა შეკვეცით, გლეხებს მოუვიდათ დიდი ზიანი. მუშათა

კანონმდებლობა იყო მუშათა მოძრაობასთან გამკლავების იარაღი. ილია ჭავჭავაძე კი ყველა ამას თითქოს არა ხედავდა. მისი აზროვნება შეიძლება კონსერვატორული ელფერისა იყოს იმ ხანებში. თუმცა, ისიც უნდა ვსთქვათ, რომ არც ამ პერიოდში და სხვა რომელისამეში „ფეოდალობის“ მოსარჩლედ ილია არასოდეს არ გამოსულა. და მის ზოგიერთ, ეროვნული და საზოგადოებრივ ხასიათის წერილებს (აი ისტორია) ეხლაც დიდი მნიშვნელობა და ღირსება არ დაუკარგავთ.

გარდა ამისა, ეხლა როდესაც ხელში სხვა ფაქტებიცა გვაქვს და ვიცით რა გვარის იმედებით განიმსჭვალა ილია ჭავჭავაძე წარსული „მოძრაობის“ დროს, როდესაც სახელმწიფო საბჭოში მემარცხენეთა ჯგუფში ჩაჯდა და როდესაც იგი „ავტონომიის“ პრინციპსაც მიეკედლა, შეგვიძლიან უფრო სამართლიანად დავაფასოთ ამ მოღვაწის წარსული და ბევრში არ დავეთანხმოთ იმ ულმობელ კრიტიკოსებს, რომელნიც ყოველ საზღვარს გადააცილეს და ამ დამსახურებულ მოღვაწეში არაფერს სიკეთეს აღარ ხედავდნენ. მაგრამ, ვიმეორებთ, ილია ჭავჭავაძეს პოზიცია მაინც ძირიანად განსხვავდებოდა ახალ დასის პოზიციისაგან და ამიტომ იყო ნიადაგი შეტაკებისათვის. ამ შეტაკებაში ჭავჭავაძეს თითქმის არ მიუღია მონაწილეობა, ხოლო რაც შეეხება იმ მწერლებს, რომელნიც ეკამათებოდნენ „კვალს“, მათი სისუსტე გამომდინარეობდა იქიდან, რომ ისინი განცალკევებულად იდგნენ და არ ეკუთვნოდნენ კარგად დარაზმულ ჯგუფს. მეორეს მხრით, ისინი ყველანი ნათლად ერთ პოზიციაზე არ იდგნენ და არც ერთ განსაზღვრულ იარაღით იბრძოდნენ.

მხედველობაში მისაღებია აგრედვე ის გარემოებაც, რომ ოთხმოცდაათ წლებში თითქმის მთელი ჩვენი ინტელიგენციის ყურადღება ბანკის კრებებისაკენ იყო მიპყრობილი. ბანკებს განსაზღვრული საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდათ, ხოლო არ არის საჭირო გაზვიადება ამ მნიშვნელობისა და საერო საქმედ დასახვა იმ მოვლენისა, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში უფრო წოდებრივი ხასიათის მნიშვნელობა ჰქონდა.

ყოველივე ეს თუ მივიღეთ მხედველობაში, უფრო ნათელი გახდება ჩვენთვის ურთიერთობა იმ ხანის მებრძოლ ჯგუფებისა.



„კვალის“ მოწინააღმდეგე პრესამ იმ თავითვე აღნიშნა და დაასახელა საკამათო საგნები. პირველი საგანი იყო ინტელიგენციის გამოსარჩლება. მეორე საგანი იყო გაკვირვება იმის გამო, რომ გიორგი წერეთელი, ძველი თაობის მოღვაწე, გამოდიოდა ამ ახალ მიმართულების ბელადად. მესამე საგა-

ნი იყო, გაურკვევლობა დასობის კლასიფიკაციის პრინციპისა. ხოლო მეოთხე დიდი და მთავარი საგანი კამათისა იყო კაპიტალისტური წყობილება და კლასთა ბრძოლა საქართველოში.

რას წარმოადგენდა გ. წერეთელი? მის ძველ მოღვაწეობის დაფასეფაშიაც რომ არ შევიდეთ, საკმარისია გადახედოთ რამდენიმე მის სარედაქციო წერილს „კვალში“ დაბეჭდილს, რომ დარწმუნდეთ, რომ ამ მწერალს ადგილი არ ჰქონდა ახალ ჯგუფში. იმ ხანაში მორიგ საკითხებათ ითვლებოდნენ სათავად-აზნაურო სკოლის, ბანკის და საქალაქო არჩევნების (სომეხ-ქართველთა ურთიერთობის) საკითხები. სკოლის შესახებ გ. წერეთელი წინააღმდეგი იყო მისი გადაკეთებისა სამეურნეო სასწავლებლად. კლასიკური ტიპის განათლებისა იყო მომხრე. „სათავად-აზნაურო სკოლებს ნუ შევეხებითო, ამბობდა ის, **იმათ ერის ნიშნობლივი თავისებურობის დაცვა აწევთ მოვალეობად** და ეს ძვირფასი დარგი ყოველი ქართველისათვის წმინდათა-წმინდად უნდა გადაიქცესო“ [7]) (კურსივი ჩვენია). ერის ნიშნობლივი თავისებურობის დაცვის საქმეს გ. წერეთელი ძველ თაობასთან ერთად ემსახურებოდა სიცოცხლის განმავლობაში. მხოლოდ ეხლა გახდა გაუგებარი, რატომ წაჰკრა წიხლი ამ თავის ძველ თანამშრომლებს იმ საქმეში, რომელიც დღესაც სწამდა მას.

ბანკი? ამის შესახებ გ. წერეთელი ამბობს: „ბანკებმა ნელნელა დაავალიანა ჩვენი თავად-აზნაურობა და ბოლოს თავის ადგილ-მამულზე დააწყებინა ხელის აღება... გაადვილდა საჯაროდ ჩვენი ადგილ-მამულის გაყიდვა, ასე რომ დღეს ჩვენი საადგილ-მამულო ბანკები გარდაქმნილან ქართველი ერის მიწა-წყლის გამყიდველათ და არა შემძენათ. ამ სახით „კვალმა“ გამოარკვია ის აზრი, რომ ჩვენი საადგილ-მამულო ბანკები ერთი იმ კაპიტალისტურ დაწესებულებათაგანია, რომელიც შეუნიშნავად აცლის ხელიდამ

---

[7]) „კვალი“№ 1 1895 წ.



ერს მიწა-წყალს და ჰხდის ნელ-ნელა თავად-აზნაურობას პროლეტარათ. საადგილ-მამულო ბანკები სხვა მხრითაც შეიქმნენ მავნებელნი ერისათვის“ და სხვა [8]). დაუკვირდით, მარქსისტულ ორგანოში, „მარქსისტი“ გ. წერეთელი დასტირის თავად-აზნაურობის გაპროლეტარებას და კაპიტალისტურ დაწესებულების (ბანკის) მავნე ზედ-მოქმედებას სოციალურ ვითარებაზე! ახლა ნახეთ, რას ამბობს სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ! ძმობა, ერთო-

ბაო. ძალიან კეთილი. მაგრამ გ. წერეთელს არ უნდა თავის ერის დაჩაგვრა და იგი სჯის ამნაირად: „ჩამოვთვალოთ ის ღონისძიებანი, რომელითაც **ჩვენ უნდა ვებრძოლოთ** (კურსივი ჩვენია) სომხის კაპიტალს? მიუცილებლად უნდა ვიხმაროთ იგივე იარაღი, რა იარაღითაც სომხები გამდიდრდნენ და ჩვენ მათ ვალში ჩაგვფლეს. ჩვენ უნდა გავხსნათ ჩვენი საკუთარი სამრეწველო და სამეურნეო ბანკები, უნდა დავაარსოთ სამეურნეო და სამრეწველო ასოციაციები, უნდა ვისწავლოთ ვაჭრობა და აღებ-მიცემობა. გავსხნათ ჩვენივე საკუთარის მოთხოვნილების დუქნებიო“.[9]) სხვანაირად რომ ვსთქვათ, გ. წერეთელი ურჩევდა ქართველობას ეროვნულ მრეწველობის განვითარების გზაზე დადგომას, ხოლო ყველასათვის აშკარა იყო, რომ ეს ზრუნვა ჩვენებურ ინტერნაციონალ-მარქისტების ზრუნვას და აზროვნებას არ ეგუებოდა.

ყველა ამას რომ თავი დაანებოთ, გადახედეთ ორი წლის „კვალს“ (1893-94 წ.) წაიკითხეთ მრავალი საისტორიო წერილები, დააკვირდით ქართველ მეფეების, წმინდანების და ღენერლების სურათებს, წაიკითხეთ გ. წერეთლის წერილი ქართულ ეკლესიის შესახებ, სადაც იგი, სხვათა შორის ამბობს: ჩვენ დღეს საქართველოში გვეჭირვება მყოლოდ ქართულ ღვთისმეტყველებაზე და ფილოსოფიაზე განგრძნობილი მოძღვარი ჩვენის ძველის ქრისტიანობისა და სამღვთო მწიგნობრობის აღსადგენად... აი როგორის მხრით უნდა იყოს ჩვენი სამღვდელოება საქმეში ჩარეული, თუ იმას არ უნდა რომ ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მიერ რწმუნებული სამწყსო სეიფიდან გამოეცალოსო [10]). დააკვირდით ყვე-

---

[8]) იქვე.

[9]) N 3.

[10]) N 34. 1894 წ.



ლა ამას და დარწმუნდებით, რომ უცნაური და საკვირველი იყო ამ კაცის „ძალად-ბელადობა“ მარქსისტულ მიმართულების ჯგუფისა.

ეს გარემოება იყო იმისი მიზეზი, რომ ამ ახალ დასს პირველ ხანებში ვერაფერი გაუგეს და სამართლიანად ამბობდა ბ. ნანეიშვილი, რომ „დიდი უბედურებაა, როცა ერთი მწერალი მთელის ჟურნალისა თუ გაზეთისა და მწერალთა მთელის გუნდის დავთრებსა ჭრევს და მით მკითხველს გზა-კვალს უბნევსო“ [11]). მართლაც და აბნეული იყო გზა-კვალი. აქეთ-იქიდან ეკითხებოდნენ. კარგი და ჩინებული. ახალი დასი გამოჩნდა, მაგრამ აგვიხსენით, რატომ არის იგი მესამე? „მარ-

თალი გითხრათ, ამბობს ნანეიშვილი, ახალ დასს, რომელიც „კვალში“ დაბუდებულა, **მესამე** რად ეწოდება, დღემდე ვერ გაგვიგიაო“, (იქვე). ამ კითხვაზე პასუხს აძლევს გ. წერეთელი. დასების ისტორიის დასაწყისი მას 1880 წლიდან უვარაუდნია და ათი წლის განმავლობაში სამი დასის გამოსვლა აღმოუჩენია ჩვენს საზოგადოებაში. აი მისი სიტყვები: „ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლების თაობანი, რომელნიც პრინციპების მიხედვით სამ დასად დაიყვნენ. უფრო ამ ხანების ინტელიგენციაზე ვლაპარაკობთ ჩვენ, რადგან ყველამ იცის, რომ რუსეთში მეოთხმოცდაათ წლებიდან გადატყდა ერთნაირი საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობა და იქ ძლიერად წამოჰყო თავი ისევ ძველებურმა გვაროვნების გამაგრების პრინციპმა, რომელმაც მოითხოვა თავის წოდების ისევ ხელახლად ძლევამოსილობა. ეს მიმართულება ჩვენს ქვეყანაშიაც გადმოინერგა და აი, ამან მეოთხმოცდაათე წლებში გამოიწვია საწინააღმდეგოდ ახალი პროგრესიული მესამე დასიო“. [12]) ამაზე **ლალი** სამართლიანად უპასუხებდა გ. წერეთელს: „ბ. წერეთელს ერთი დიდი და შესანიშნავი ისტორიული ხანა ჩვენის განვითარებისა სრულიად მხედველობაში არ მიუღია, დავიწყებია. ეს ხანაა – მესამოცე და მესამოცდაათე წლები ჩვენში. მით უფრო საკვირველია ეს გულმავიწყობა, რომ თვით გ. წერეთელი ამ ეპოქის ერთს უმთავრესს მოღვაწედ უნდა ჩაითვალოს... ხოლო, განაგრძობს ლალი, ჯერ მესამოცე

[11]) „მოამბე“ III, 1895 წ.
[12]) N 6. 1895 წ.



წლებზე უფრო ადრე ისმოდა ხელოვნურ ლიტერატურაში საერო ჰანგი, ნაციონალური მოტივი და ამ ჰანგისათვის მაშინდელმა ახალგაზდობამ ფრთებიც შეიტუსაო.[13])“ ამ სამართლიან შენიშვნაზე გ. წერეთელი უპასუხებდა: „ჩვენ ამ წარსულ ხანებს ჯერ არ შევხებივართ კრიტიკულად და როცა შევეხებით, მაშინ ვეცდებით კიდეც ბ. ლალს დავანახვოთ, ვინ იყვნენ იმ დროებში ნამდვილი ეროვნული პრინციპის დამცველნი და ვინ არაო“[14]).

აი ასეთი უცნაური საკლასიფიკაციო პრინციპს იცავდა გ. წერეთელი. თურმე გამორკვეული არა ჰქონიათ, ვინ იყვნენ ერის ნამდვილი მცველები და ვინ არა! მეოთხმოცე წლებიდან მოყოლებული ეს უკვე გამორკვეულია და აქ „თავადაზნაურულ მიმართულებასაც“ მიანიჭეს განცალკევებული დასობის უფლება, მესამოცე წლებს კი, რომელიც წყაროა ჩვე-

ნის კულტურისა და წარმატებისა, ადგილი ვერ მოუპოვებიათ დასთა ურთიერთობის წყობაში.

ამ წერილების თავშივე მოგახსენეთ, რომ დასთა კლასიფიკაციის საკითხა დომხალივით არეული და აბნეულია ჩვენს მწერლობაში. ამ აბნეულობის სურათი ახლა გარკვეულად ისახება ჩვენს წინაშე. ნ. ჟორდანია, ხახანაშვილი, ხომლელი და გ. წერეთელი სულ სხვა და სხვა აღრიცხვას მისდევენ და სხვა და სხვა პრინციპს აღიარებენ.

რაც შეეხება პირ-აღებით მთელ ინტელიგენციის და ძველ მოღვაწეების გმობას და ბრალდებას იმაში, ვითომ იგი ფულის, ანგარების ქსელში გახვეულიყოს, ეს ბრალდება ფრიად საწყენად მიიჩნია მაშინდელმა ჟურნალ-გაზეთობამ. გ. წერეთლის „თავისიანების“ დავიწყება, და ახალი მწერლების მიერ ისტორიული პერსპექტივის აბუჩად აგდება, მართლაც და შემცდარი ნაბიჯი იყო ახალის ჯგუფისა, რომელსაც არც ერთ დროს სამართლიანობის საზომი ხელიდამ არ უნდა გაეშვა. „ერთი კალმის მოსმა, ამბობს ბ. ნანეიშვილი, საკმაოდ მიაჩნდათ დიდი ხნის ნაშრომ ნაღვაწი მრავალის მოღვაწისა დედამიწის ზურგიდან აღსაგველად... თქვენი დასის მოძღვარნი ბრძანებენ, განაგრძობს იგი, რომ დასმა „საგნად აირჩია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელ ხალხში მოჰ-

[13]) «ივერია», № 19. 1895 წ.

[14]) «კვალი», N 6. 1895 წ.



ფინოს წერა-კითხვა“, ჩვენ სრული საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ ძველი თაობა დიდი ხანია ამ ფრიად საპატიო საგანს ემსახურებაო[15]) და აქაც ამ საკითხის წამოყენების დროს ყველაზე უფრო გ. წერეთლის ყალბი პოზიცია მოსჩანდა. ნანეიშვილი ამბობს: „ისტორიკოს-არქეოლოგოსი გ. წერეთელი პუბლიცისტიკას რაკი ხელს ჩასჭიდებს, მოვალეობად არა სთვლის ჩვენს ამ ოცდაათის წლის წარსულს ისტორიულად თვალი გადაავლოს; ისე სჯის, თითქო არც ეს წარსული ახსოვს, არც აწმყოს აკვირდება. ეს სენი რომ არა სჭირდეს, ადვილად შენიშნავდა, რომ ამ ოცდაათის წლის განმავლობაში ჩვენს თვითცნობიერებას ცოტად თუ ბევრად გონებრივი და ზნეობრივი ზრდა და მატება დაეტყო, რომ ამის მიზეზი, სხვათა შორის, ჩვენი მწერლობა და ძველი თაობაა, რომელსაც გ. წერეთელი ეკუთვნისო“ (იქვე).

ჩაუფიქრდით ამ საკამათო საგანს, და დარწმუნდებით, რომ პირველი შემცდარი ნაბიჯი ახალი დასისა სწორეთ ეს იყო. როცა ამას ვამბობთ, ჩვენ არც ერთ წამს არ ვივიწყებთ,

რომ „ახალ დასს“ და დანარჩენ ქართველ ინტელიგენციას ბევრი რამ ჰქონდათ გასარკვევი, ერთი მეორის საწინააღმდეგო სათქმელი. მეტსაც ვიტყვი, ამ ახალ დასს მართლაც და ახალი ისტორიული სიტყვა ჰქონდა სათქმელი და სთქვა კიდევაც მან ეგ სიტყვა, მიუხედავად ამისა, სამართლიანობის საზომის დაცვა დასის თუ ჯგუფის საძრახ და სათაკილო თვისებად არასოდეს არ ჩაითვლება, ხოლო ამ ახალ დასს სწორედ ეს ზომა ჰქონდა სრულიად მივიწყებული და ფეხ ქვეშ გათელილი. და რაკი ასეთის ულმობელის მეომარის იერით იწყო მან მსვლელობა საზოგადოებრივ ასპარეზზე, არ უნდა გვიკვირდეს, თუ რამ დაჰბადა ჩვენს მწერლობაში ავანდყოფური და უკადრისი წესი კრიტიკულის მსჯელობისა ჩვენს მოღვაწეთა დაფასების და მათთან კამათის დროს. ფსიხოლოგიურად ჩვენ კარგად გვესმის ახალი საზოგადოებრივ ჯგუფის წარმომადგენელთა ცალმხრივობა, მიკერძოვება და ფანატიკური სურვილი თავის აზრის გატანისა და დაგვირგვინებისა. აქ სულიერი ჰარმონიის დაცვა მხოლოდ კულტურულ საზოგადოების შვილებს შეუძლიანთ. ქართველები კი შფოთიან ბუნების პატრონნი, წყრომის და ვნების ადვილი ამყოლნი, ამ კულტურულ თვი-

[15]) „მოამბე“№ III, 1895 წ.



სებას მოკლებულნი არიან. და ამიტომ არის, რომ ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია ჩვენ ვნებების და გულისწყრომის ისტორიას მიაგავს. მე კარგად მესმის, რომ ახლად გამოსული პროლეტარიატის იდეოლოგები ამაყური გრძნობებით უნდა ყოფილიყვნენ გამსჭვალულნი, რადგან მისია მუშა ხალხისა დიადი და ბრწყინვალეა, განსაკუთრებით ჩვენს პატარა ქვეყანაში, მაგრამ ამ დიადის და ბრწყინვალე მისიის დროშაზე იმ თავითვე არ უნდა დაეწერათ ლოზუნგი, რომ დიდებულ აზრის განხორციელებისთვის ყოველივე საშუალებაა ნებადართული. საშვალების განურჩევლობის ხმარების პრაქტიკამ დიდი ზიანი მოუტანა ჩვენს ნორჩ მუშათა მოძრაობას, ზიანი, რომელიც ეხლა, ამ მოძრაობის მეჩვიდმეტე წლის თავზე, ასე აშკარად და თვალნათლივ მოსჩანს.

## VII

დიდმნიშვნელოვანი და საყურადღებო საგანი „კვალის“ მიერ წამოყენებული, ყოველს ეჭვს გარეშეა, იყო საკითხი კაპიტალისტურ წარმოების შესახებ ჩვენს ქვეყანაში. 1895 წელს ახალ დასს ემატება ახალი ძალა, ნოე ჟორდა-

ნია, რომელიც სხვებთან ერთად მარქსიზმის თეორიულ
და პრაქტიკულ საკითხების გარკვევა-განმარტებას შეუდგა.
ჯერ კიდევ 1894 წელს დაბეჭდა მან, როგორადაც უკვე
გვქონდა ნათქვამი, ჟურნალ „მოამბეში“ ვრცელი და სა-
კმაოდ დასაბუთებული წერილი „ეკონომიური წარმატება
და ეროვნება“. წერილი საყურადღებო მით არის, რომ
იგია აგებული ეკონომიურ-მატერიალიზმის საფუძველზე.
ეკონომიურ-მატერიალიზმის მოტივების განმარტებას წინადაც
ჰქონდა ადგილი ჩვენს ლიტერატურაში. გ. მაიაშვილი
ჩვენს მიერ ეკვე განხილული „წერილი საზოგადო მოღ-
ვაწეთადმი“, (1881 წ.), ისტორიულ მატერიალიზმის სა-
ფუძველზეა დამყარებული, თუმცა ამ წერილის „ეკონო-
მიკა“ მარქსისტული ხასიათის არ არის. მარქსისტული ის-
ტორიული ფილოსოფია, ხოლო არა-მარქსისტულ „ეკონო-
მიკის“ აღიარება ხშირი მოვლენაა ჩვენს მწერლობაში. ამ ხა-
სიათისაა ლალის ნაწერები პირველ პერიოდისა. მეორეს მხრივ
კი, არიან ჩვენში იმისთანა მწერლებიც, რომელნიც ეკო-
ნომიურ მატერიალიზმის თეორიას უარ-ჰყოფენ, ხოლო



აღიარებენ რამდენიმეთ მარქსისტულ ეკონომიკას. ფხას ნა-
წერებია ამ ხასიათისა.

ჩვენ აქ მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებთ ისტო-
რიულ ფილოსოფიის საკითხების გარკვევაზე. ჩვენს თეო-
რიულ აზროვნობის განვითარების საქმისათვის ამ საკით-
ხების წამოყენებას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა
ჰქონდა. ხოლო ამ ჟამად გვინდა ხაზი გავუსვათ აზრის იმ
მიმართულებას, რომელსაც საგნად ჰქონდა ჩვენი ქვეყნის
სოციალურ ვითარების ახსნა განმარტება.. ამ საქმეს ემსა-
ხურებიან ისტორიულ ფილოსოფიის თეორიებიც. ხოლო
რახან ჩვენ აქ უფრო „პრაქტიკულ“ აზროვნების მიმდი-
ნარეობას ვადევნებთ თვალყურს და არა „თეორიულ“
აზრის განვითარებას, ამიტომ ჩვენი მსჯელობის საგნად იქ-
ნება არა ისტორიული ფილოსოფია, არამედ საკითხი კა-
პიტალიზმის მოკიდების და განვითარებისა ჩვენს ქვეყანაში.

ბ. ფხა სწერს: „ნ. ჟორდანიას სტატიები, რომელნიც
„მოამბეში“ იყო დასტამბული, შეიძლება ორ ნაწილად გავ-
ყოთ. პირველ ნაწილში ავტორი, ავად თუ კარგად, ეკონო-
მიური მატერიალიზმის სახელმძღვანელო პრინციპებს თავს უყ-
რიდა და ამ მოძღვრებას გვიმარტებდა. მეორე ნაწილში კი
ავტორი ცდილობს, ეს პრინციპები ჩვენს ცხოვრებას შეუფა-
რდოს და დაგვიმტკიცოს, რომ საქართველოში კაპიტალისტ-
ური წარმოება „საოცარი სისწრაფით“ ფეხს იკიდებს. ჩვენს

სტატიაში შევეხეთ ნ. ჟორდანიის სტატიის მხოლოდ პირველ ნაწილს მეორეზე არა გვითქვამს რა. არა გვითქვამს რა იმიტომ, რომ ჩვენც გვჯერა, რომ ჩვენში კაპიტალისტური წარმოება „საოცარი სისწრაფით“ თუ არა, თან და თან მაინც ფეხს იკიდებსო[1])“. ერთ-ერთი საკამათო საგანი სწორედ ეს იყო. ერთნი ამბობდნენ, კაპიტალი „საოცარის სისწრაფით“ იკიდებს ფეხს ჩვენში, მეორენი მის ოდნაობასა და სისუსტეზე უთითებდნენ. მაგრამ კამათის პირველ ფაზისში ზოგიერთათვის საეჭვო იყო არა მარტო კაპიტალის სისწრაფით განვითარების საკითხი, არამედ თვით კაპიტალიზმის არსებობაც კი. და ჩვენც აქედამ დავიწყოთ საგნის განხილვა.

---

[1]) იხ. ი. ფანცხავა. თხზულებანი, გვ. 95 ვისაც აინტერესებს თეორიული ხასიათი იმ დროინდელ პოლემიკისა, ძლიერ გამოადგებათ ფხას ნაწერების გაცნობა – ისტორიის ფაქტორები, ცხოვრება და მწერლობა, ეკონომიური მატერიალიზმის მოძღვრება. იხ. ფანცხავას თხზულებანი.



„მოამბეს“ პუბლიცისტი ბ. ნანეიშვილი ამბობდა „განა შესაწყნარებელია ის აზრი, ვითამ ჩვენში კაპიტალისტური წესწყობილება არსებობს, იმ ქვეყანაში, რომელიც იმაზე ცოტა მეტს ნაწარმოებს იძლევა, რაც მისს მკვიდრთ საკვებად ჰყოფნის და რაც მოწევისთანავე იხარჯება... ნუ თუ მესამე დასის წარმომადგენელთ ვერ შეუტყვიათ, რომ კაპიტალისტური წეს-წყობილება იქ არის დამყარებული, საცა ერი წლიდან-წლამდე თავის თავს ანდომებს სულ მცირე ნაწილს ბუნების შემომქმედ ძალისას, ხოლო უფრო მეტს ნაწილს კი კაპიტალის შექმნას ანდომებს... ნუ თუ ჩვენში კაპიტალისტური წეს-წყობილება არსებობს, როცა ქარხნები და ფაბრიკები არაგვაქვს და არც ერთს წარმოებაში მაშინებს არა ვხმარობთ და მცირეოდენ რასმე თუ მივაღწევთ ხოლმე შინაობაში სახმარებელზე მომეტებულს, ისიც იმ სასით, რა სახითაც ბუნებას ჩვენთვის მოუცია, – უცხოელებს მუქთად უნდა დაუთმოთ? ნუ თუ კაპიტალისტურ წეს-წყობილებამდე მიღწეულნი ვართ, როცა ჩვენმა მემამულემ, რომელსაც სივრცით საკმაო მამული აქვს, ლამის არის შიმშილში სული დალიოს და ერთი ავდარი ან გვალვა რომ ეწვიოს, რამდენისამე წლის განმავლობაში წელში ვერ გაიმართოს? ყველა ამის შემდგომ ბ. ჯიბლაძე გვეუბნება: ჩვენში ბურჟუა-კაპიტალისტები დამკვიდრებულანო და „კვალიც“ ბანს აძლევსო“[1]). ამაზე ს. ჯიბლაძე ასეთ პასუხს აძლევდა: „აწინდელი კაპიტალისტური წეს წყობილების უმთავრესი ნიშანი იმაში კი არაა, რომ ქვეყანამ გაგზავნოს საზღვარ-გარედ უმეტესი ნაწილი თავის ნაწარმოებისა, არამედ იმაში, რომ

ქვეყნის მკვიდრთა უმრავლესობა იძულებულია უმეტესი ნაწილი თავის ნაწარმოებისა დაუთმოს უმცირესს ნაწილს „დაუთმოს“ არა ყმამ, არ მონამ, არამედ იურიდიულ თავისუფალმა მოქალაქემო[2])“. მაგრამ ბ. ნანეიშვილზე ეს არგუმენტი არა მოქმედობს და იგი განაგრძობს: კაპიტალისტური წეს-წყობილება ფეხს იქ იკიდებს და იზრდება, სადაც მუშა ხალხი იძულებულია თავისი ძალ-ღონე და არა ამ ძალღონის ნაწარმოები ბაზარში გასასყიდლად გაიტანოს... მუშა ხალხი რომ ასეთს ყოფაში ჩავარდეს, საჭიროა, რომ ბინადრობა, ადგილ-მამული, შრომისა და წარმოების იარაღი, სახსარი ხელიდან გამო-

---

[1]) „მოამბე“ X 1894 წ.

[2]) „კვალი“ N 14. 1895 წ.



ეცალოს: აი, საცა ხალხი ამ გაჭირვების ყოფაში მოექცევა, კაპიტალისტური წეს-წყობილება ფეხს იკიდებს. ეს თავი და თავი პირობა კაპიტალისტურის წეს-წყობილებისა ჯერ-ჯერობით ჩვენში არ არსებობს და ჩვენი ხალხი, ღვთის მადლით, ჯერ-ჯერობით მამულიანია და გამამულიანებას ცდილობს, თავისის ძალღონის ბატონი და პატრონია და თავის მცირე ნაწარმოებს თვითონვე ჰყიდის, ჩვენის სამეურნეო კულტურის იარაღი, სახსარი ჯერ-ჯერობით ხელიდან არ გავარდნიაო [3])“. ს. ჯიბლაძე უხსნის „მოამბის“ პუბლიცისტს, რომ არც ეს არის ნიშნობლივი თვისება კაპიტალისტურ წყობილებისა. „ეს წყობილება, ამბობს ის, ნიშნავს აწინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც დაყრდნობილია საქონლის წარმატებაზე. სიტყვა **საქონელი** კი ნიშნავს ყველა შრომის ნაყოფს, რომელმაც უნდა გაიაროს აღებ-მიცემობის ჭახრაკები, მიუხედავად გამოვიდა ეს ნაწარმოები ქარხნის კარებიდან, თუ ტყიდან, დედა-მიწის გულიდან, თუ მისი ზედა-პირიდანო“[4]). რომ როგორმე დაიყოლიოს მოპირდაპირე ს. ჯიბლაძე ამნაირად არკვევს საგანს: „მარტო სიბრმავეს შეუძლიან არ დაგვანახვოს ის ჭეშმარიტება, რომ ჩვენი ცხოვრებაც იმავე გზას დაადგა, რომელიც უკვე გათელეს დაწინაურებულმა ერებმა. აქ, როგორც ამბობს მარქსი, უმაღლეს და უმდაბლეს განვითარების ხარისხზე კი არ არის საქმე, რომელიც კაპიტალისტურ წარმოების ბუნებრივ კანონებისგან წარმოსდგებიანო, საქმე თვით ამ კანონებშია, მათ მიმართვაშია, რომელიც რკინის გუდასავით შეუბრალებლად მოქმედებენო. აი ეს **ტენდენცია**, ეს თვისება ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობისა გვქონდა ჩვენ მხედველობაში და არა მისი განვითარების რაოდენობაო[5])“.

დღეს დანამდვილებით შეიძლება იმისი თქმა, რომ ამ

კამათში სიმართლე ს. ჯიბლაძისა და მის ამხანაგებისაკენ იყო. ბატონ-ყმობის განთავისუფლების და მოქალაქობრივ წყობილების დამყარების შემდეგ ჩვენი ცხოვრების ტენ-დენცია სწორედ რომ ამ ხასიათისა იყო. ოთხმოცდაათ წლამდე იგი ბუნდოვანად სჩანდა, იმ დროს კი, როდესაც რკინის გზები გაიყვანეს ჩვენს მხარეში, მადნეულობის და ნავთისწარმოება დაიწყო, როდესაც ჩვენს სოფელში, თვით

---

[3]) „მოამბე“ X 1895 წ.

[4]) „კვალი“, 1895 წ. № 13.

[5]) იქვე.



გლეხ-კაცობაშიაც კი დიფერენციაციის ნიშნები დაეტყო და რომ ქალაქებშიაც წვრილ-ვაჭრებმა მოიკიდეს ფეხი – ტენდენცია კაპიტალისტურ განვითარებისაკენ აშკარა გახდა და მისი არ დანახვა ჰნიშნავდა ჩვენი ცხოვრების ნიშ-ნობლივ თვისებების არ დანახვას. სხვათა შორის, აქ არის საზოგადოებრივი მნიშვნელობა ახალის დასისა, რომელმაც ეს ახალი სიტყვა სთქვა ჩვენს ცხოვრებასა და მწერლობაში.

ქვემოდ ვნახავთ, რომ 1895 წლის „ივერიის“ ხელმძ-ღვანელნი ლალი და ვ. წ. ამ დებულებას არ ეკამათებო-დნენ. ისინიც აღიარებდნენ კაპიტალიზმის შემოსვლას ჩვენ-ში, ხოლო მათი პოზიცია იყო სხვაგვარი და მათი საბუთე-ბიც სხვანაირი. ხოლო ამ მწერლების აზრთა გაგებისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რომ მარქსისტული ბანაკი ფაქტის და ტენდენციის აღიარებაზე არ გაჩერებულა. მის აზროვნებას თანდათან ევოლუცია ეტყობა და ეს ევოლუცია გაცილებით უფრო ჩქარის ნაბიჭით მიექანებოდა წინ, ვიდრე კონკრე-ტული სინამდვილე იცვლიდა თავის იერს და ფერს. აქედან იწყება, როგორც აშკარა შემცდარ აზრთა ქადაგება, ისე კამათის განცხოველება და გამწვავება.

როგორც ვსთქვი, ახალ დასს ჰქონდა სათქმელი ხასიათის სიტყვა. და ეს ახალი სიტყვა მარტო თეორიული ახალია არ იყო. ამ ხანაში პირველად გაისმა ლაპარაკი მუშა ხალხის შესახებ, პირველად აღნიშნეს პროლეტარიატის გაჩენა საქარ-თველოში, პირველად იწყეს ლაპარაკი ამ ახლად გაჩენილ ჯერ კიდევ ნორჩ კლასის ბრწყინვალე მისიაზე. და თუ რაი-მე ჩასაწერია ისტორიის წიგნის ფურცლებზე სწორეთ ეს ახა-ლი მოვლენაც უნდა იყოს ჩაწერილი. სხვა საკითხია ამ მოვლენის განვითარების და წინსვლის საფეხურების შესწავ-ლა და განმარტება. აქ შეგიძლიანთ ბევრში არ დაეთანხ-მოთ, ბევრი რამ უარჰყოთ, მავნებლადაც აღიაროთ. ხოლო თვით ფაქტი ახალი მოვლენის არსებობისა და მნიშვნელობისა

ჩვენს ცხოვრებაში უტყუარი ფაქტია და, ვიმეორებ, აქაც კვალის ჯგუფს ეკუთვნის დაფნის გვირგვინი. მაგრამ საქმე მარტო მოვლენის აღმოჩენასა და დასახელებაში არ ყოფილა. საქმე იმის გამოცნობაშია, თუ რა ადგილი უჭირავს ახალ მოვლენას სხვა მოვლენათა რიგში და რა ძალა და მნიშვ-ნელობა ეკარგება ამ მოვლენას იქ, სადაც მის განვითარები-



სათვის საჭირო მატერიალური პირობები არ არის. როცა ამ ხასიათის ცოდნა დაჩრდილულია, ადვილად შესაძლებელია გზის დაკარგვა და ცხოვრების დაფასებისათვის საჭირო ალ-ღოს შესუსტება. ჩვენს დასს, მეტ-ნაკლებობით, ეს საქმე და-ატყდა თავს. აზრი უკვე მომწიფებული იყო, ცხოვრება კი ჯერ დაუმუშავებელ მასალას მიაგავდა, ახალი სოციალ-პოლიტიკური სისტემა მზად იყო, როდესაც მის განხორციე-ლებისათვის ჯერ კიდევ საჭრი ელემენტები არ მოიპოვებო-და. აზრი უსწრობდა სინამდვილეს და რადგან იგი (აზრი) მეტად ლამაზი და მიმხიბლავი რამ იყო, ამიტომ სინამდვილის მაგიერობას იგი უწევდა...

მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ ჩვენს წყაროებს. დიდი ხანი არ გავიდა, რაც ს. ჯიბლაძე არწმუნებდა თავის მოკამათე-ებს, საქმე კაპიტალიზმის განვითარების სიძლიერეში არ არის, საქმე ამ განვითარების ტენდენციაშია, რომელიც ჩვენს ცხოვ-რებაშიაც აღმოჩნდა – და მალე, კამათით გატაცებულმა, აღია-რა: „ჩვენში არამც თუ მომზადებულია კაპიტალიზმის უმაღ-ლეს საფეხურზე ასავალი ნივთიერი ნიადაგი, ჩვენ კიდეც ავფორთხდით ამ საფუხურზეო[1])“. რაიც შეეხება პროლეტა-ტარიატს, „ჩვენი პროლეტარიატი, ამბობდა იგი, არეულ სხეულს წარმოადგენს. აქ უმეტესობას მცირე მამული აქვს, რომელიც მხოლოდ მესაკუთრის სახელს აძლევს, ნამდვილად კი გაღატაკებული ბოგანოა. ესენი მუშა ხალხია, რომლის ბედ-იღბალი დამოკიდებულია, როგორც საქონლის, ისე მუშათა ხელის ბაზარზე. ესენი სრულს გაპროლეტარების გზას დაადგნენო“ (იქვე). აზრის დასამთავრებლად კიდევ აი რა: „ცხოველ-მყოფელი ძალა ახალი ხანისა, მისი სპეცია-ლური თვისება იმ გარემოებაში იხატება, რომ როგორც დაბა-ქალაქებში, ისე სოფლებშიაც იბადება სავახშო კაპტალი, რომ ერთი მხრით ეს თანხა და მეორე მხრით – ღარიბ გლეხის ხილიდან შრომის იარაღის, მამულის გამოცლა, – შეადგენენ Conditio sine non სამრეწველო თანხას, რომ ეს მოვლე-ნა ჩვენში დღე-დღეზე ვითარდება და მით ნიადაგი ეწმინ-დება უმაღლეს ფაზისს კაპიტალიზმის განვითარებისასო“[2]).

ერთის სიტყვით, ლაპარაკია უკვე კაპიტალიზმის უმაღ-

ლესს განვითარებაზე, ლაპარაკია გლეხების მიერ მამუ-

[1]) კვალი N 14. 1895 წ.



ლის დაკარგვაზე და რომ ეს პროლეტარიზაცია აუცილე-
ბელი პირობაა სამრეწველო კაპიტალის განვითარებისა.
პროლეტარიზაციის სიკითხი გადაწყვეტილია, მაშასადამე,
გადაწყვეტილია სხვა დანარჩენი საკითხებიც. სწორეთ ეს
აჩქარება ჰქონდა მხედველობაში ბ. ფხას, როდესაც აგო-
ნებდა მარქსისტებს მარქსის მიერ გამოთქმულ გაფრთხილებას:
„სანამ პროლეტარიატი განვითარებული არ არის იმდენად,
რომ ცალკე კლასი შეადგინოს; სანამ; მაშასადამე, თვით
ბრძოლას პროლეტარიებისა და ბურჟუებს შორის პოლი-
ტიკური ხასიათი არა აქვს და სანამ ბურჟუაზიული მრეწ-
ველობის ნაიდაგზე მწარმოებელი ძალა ამდენად ვერ გან-
ვითარებულა, რომ პროლეტარიატის განსათავისუფლებლად
და ახალი უმაღლესი საზოგადოებრივი წეს-წყობილების
დასამყარებლად საჭირო მატერიალური პირობანი გამონა-
ხულ იქმნენ, – მანამდის თეორეთიკები მხოლოდ უტოპისტებს
წარმოადგენენო“. (Misère de la philosophie)[1]) ამ ხასია-
თის უტოპიზმი მუდმივი თანამგზავრი იყო ჩვენი „დასე-
ლებისა“. ვნახოთ ახლა, რას ჰფიქრობდნენ ამის შესახებ
„ივერიის“ მეთაურნი ვ. წ. და ლალი.

ვ. წ. კაპიტალიზმის შემოსვლას ჩვენს ქვეყანაში არ
უარჰყოფს, თუმცა მას უფრო ჩვენი მეურნეობის ნატურა-
ლისტური ხასიათი აგონდება ხოლმე. იცის, რომ ნატურა-
ლისტური მეურნეობა კაპიტალიზმს ვერ გაუძლებს, თანაც
ეშინიან, ვაი თუ უარესი დღე დაგვაყენოს კაპიტალიზმმაო.
„დიაღ, ძნელია მდგომარეობა ნატურალისტურის წარ-
მოებისა ამბობს ვ. წ.: ვერ გაუძლებს იგი კაპიტალიზმს,
ამიტომ შეუძლებელი იქნება ჩვენთვის ნატურალისტური
წარმოების დაცვა კაპიტალიზმისაგანაო [2])... ჩვენში კაპიტა-
ლიზმი არ არის თქო, რომ ვამბობთ, ამითი იმას კი არ ვამ-
ბობთ, რომ ეს ჩვენთვის კარგია, გასახარელია-თქო. პირ-
იქით, აღვიარებთ, რომ ჩვენს ნატურალისტურ ყოფაში
ძნელია კაპიტალიზმთან ბრძოლა. და ვაი თუ კაპიტალიზმმა,
მოსპოს-რა ჩვენი ნატურალისტური წარმოება, სანაცვლოდ
მხოლოდ ცუდი მხარეები შემოიტანოსო[3])“. ეს შიში მომა-
ვალისა თან სდევს ვ. წ. ნაწერებს. ამ შიშის საფუძველი

[1]) № 13.

[2]) ი. ფანცხავა, თხზულებანი, გვ. 47.

[3]) იქვე.

ის იყო, რომ ჩვენი ავტორის აზრით „კაპიტალიზმი ცდილობს დაქვეითებული და პოლიტიკურად დაუძლურებული ქვეყნები თავის მეწველ ფურად გადააქციოს. იგი ცდილობს და ეცდება, რომ გაგვაღარიბოს, გაგვაღატაკოს და თითონ გამდიდრდეს; ეცდებ, რომ მადნებში შეგვრეკოს, ჩვენს სახნავ-სათესზე ხელი აგვაღებინოს და პლანტანციები გააშენოს; ეცდება ყოველიფერი ხელიდან გამოგვაცალოს და ცარიელზე დაგვსვასო[4])“.

ეს მოსაზრება არც ისე უნიადაგო იყო. ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო „მესამე წოდება“. თუ დატრიალდა კაპიტალი, ეს იყო უცხოელების კაპიტალი. და უცხო კაპიტალის მნიშვნელობა ეროვნულ ცხოვრების ფარგალში გაცილებით უფრო საშიში და მავნებელია ვიდრე ეროვნულ კაპიტალის მნიშვნელობა. მართალია, კაპიტალი-კაპიტალია. მისი საექსპლოატაციო ძალა არა მცირდება იმის გამო, რომ იგი მშობლიური ხასიათისაა. ხოლო ეროვნული კაპიტალის უპირატესობა გამოისახება, განსაკუთრებით დაქვეითებულ ერთა ცხოვრებაში, იმაში, რომ იგი ხდება იმ საჭირო ორგანოდ ეროვნულ სხეულის ორგანიზაციაში, ურომლოდაც შეუძლებელია ორგანული განვითარება ეროვნულ ცხოვრებისა.

მაშ ვ. წ. არ უარ-ჰყოფს კაპიტალიზმს. ხოლო ამასთან არკვევს იმასაც რომ ჩვენში უფრო „შოვნითი მრეწველობაა (дабывающая промышленность) და არა „მკეთებელი“ მრეწველობა (обра батывающая). „იმ ქვეყანაში, სადაც მარტო შოვნითი მრეწველობაა, ცხოვრება უფრო მოდუნებული, უცვალებელი, გაშეშებულია, ვიდრე იქ, სადაც მკეთებელი მრეწველობა არის. ამიტომ შოვნითი მრეწველობა წარმოადგენს უმდაბლეს ფორმას კაპიტალიზმისასო“..[1]) „ჩვენში ნალა გარდამავალი დროა... აი ამიტომ ვხედავთ ჩვენში ნასახს კაპიტალიზმისას, ფულითს ეკონომიას და ნატურალიზმს, ერთად შეერთებულთო“. (იქვე).

ვ. წ. მიუხედავად იმისა, რომ იგი ნანეიშვილისავით არ უარ-ჰყოფდა ახალ ეკონომიურ ცხოვრების ფორმების შემოსვლას ჩვენში, ისეთივე სიცხარით დაეტაკნენ მარქსისტები, როგორც საზოგადოთ ყველას, ვინც მათ აზრს ეწი-

---

[1]) იქვე.

[2]) „ივერია“, № 148. № 1895 წ.

ნააღმდეგებოდა. აქ შეტაკება აუცილებელი იყო იმიტომ, რომ „სად დასელების საკვირველის სისწრაფით“ კაპიტალიზმის ზრდა და სად ვ. წ-ის „მხოლოდ ნასახი კაპიტალიზმისა!“ მაგრამ შეტაკების საბუთი სხვაც იყო. რაკი ვ. წ-ს აზრით ჩვენში მხოლოდ ნასახი კაპიტალიზმისა იყო, ამიტომ „კლასთა შორისი ბრძოლა ჩვენში არც შეიძლება და არც საჭიროაო. ჩვენ უნდა ვეცადოთ, ამბობდა ის, ერთი და იგივე იდეალი მომავლისა გავავრცელოთ ჩვენის ერის ყველა ნაწილებშიო“ [2]). ვ. წ. ჰგულისხმობდა რასაკვირველია ეროვნულ იდეალს, რომელიც ერს უნდა ჰქონდეს წამოყენებული. მაგრამ ეროვნულ იდეალის წამოყენება შეუძლიან მხოლოდ ერის იმ ელემენტებს, რომელთაც აქვთ მომავალის იმედი. ჩვენს წოდებრივ წყობილებაში კი ყველას არ ამხნევებდა ამ მომავალის იმედი, ერის ერთო ნაწილი (თავად აზნაურობა) დაქანებულის ნაბიჯით უკან-უკან მიდიოდა და ფრიად ძნელი იქნებოდა ამ უდღეო ელემენტებზე მომავალ იდეალის აშენება. ასე რომ ამ მხრივ პრინციპიალური სიმართლე „კვალის“ ჯგუფისკენ იყო. თუმცა, მეორეს მხრივ უნდა იყოს აღნიშნული ისიც, რომ, გატაცებული წმინდა ეკონომიურის ბრძოლით და საკითხებით, ეს ჯგუფი შორს იყო ეროვნულ იდეალების შემუშავებასა და ეროვნულ პოლიტიკურ ფორმულის წამოყენებაზე. აქედამ გამომდინარეობდა მისი ტაკტიკური შეცდომა კლასთა ბრძოლის სიმკაცრის დაცვის დროს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ეს აშკარად ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ რაკი ეგონათ, რომ კაპიტალიზმი „საოცარის სისწრაფით“ იზრდებოდა, საკვირველი არ არის, რომ კლასთა ბრძოლის გამწვავებასაც ამ თვალით უყურებდნენ.

სწორეთ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ლალს, როდესაც იგი გამოვიდა სალიტერატურო ბრძოლის მოედანზე „კვალის“ წინააღმდეგ. მან ხაზი გაუსვა პოლიტიკო-ეროვნულ მომენტს, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში ჯეროვანი ადგილი უნდა ეჭიროს და რომელსაც უნდა ჰქონოდა გავლენა თვით კლასთა ბრძოლის პრინციპის ვითარებაზე.

## VIII

ლალის სალიტერატურო მოღვაწეობის ყოველმხრივ დახასიათებას ჩვენ ამ ჟამად ვერ შევუდგებით. ლალს ჩვენი საზო-

---

[2]) „ივერია“,№ 142.

გადოებრივი ცხოვრების ორს სხვა და სხვა ისტორიულ მომენტში მოუხდა მოღვაწეობა. ჩვენ მიერ განსაზღვრული საგანი მსჯელობისა მეოცე საუკუნის ვითარებას არ ეხება. ასე რომ ჩვენ ვერ შევეხებით ამ ჟამად მთავარ ძარღვს ლალის პოლიტიკურ მსოფლმხედველობისას. ხოლო ისიც, რასაც ვიტყვით მის აზროვნების შესახებ მეოთხმოცდაათიან წლებში, სხვა და სხვა მიზეზების გამო, შეკვეცილი და შემოკლებული იქნება.

ლალის მსოფლმხედველობაში აშკარად მოსჩანს ორი მომენტი. ერთი – პოლიტიკო-ეროვნული თავისუფლება. მეორე სოციალური თანასწორობა. მისის აზრით „უახლობელესი საფეხური“ პოლიტიკო-ეროვნული თავისუფლება უნდა იყოს, ხოლო შემდეგი – სოციალური თანასწორობა. ამის მიხედვით ლალი უპირატესობას აძლევდა ბრძოლის პოლიტიკურ მომენტს და ეს წითელის ხაზსავით ატყვია ყველა მის ნაწერებს. ლალს „ნაროდნიკის“ სახელი აქვს დამკვიდრებული ჩვენს მწერლობაში. რომ ეს ასე არ არის ამას ვნახავთ მის ნაწერების გარჩევიდამ. სინამდვილესთან უფრო ახლოა ის აზრი, რომ მის ისტორიულ კონცეპციას იმ ხანებში ეკონომიური მატერიალიზმის ელფერი ჰქონდა, და მისი პოლიტიკო-სოციალური კრიტერიუმიც სრულიადაც არ იყო ის, რასაც „ნაროდნიკულ მსოფლ-მხედველობას“ უწოდებენ. ლალის მნიშვნელობა იმითი კი არ გაიზომება, რომ იგი იყო განსაზღვრულ სოციოლოგიურ სკოლის მიმდევარი: არამედ მის **პოლიტიკურ** ხასიათის აზროვნებით. ჩვენ უკვე ვიცითა რომ ჩვენს საზოგადოებრივს მწერლობაში, გარემოების მიხედვით თუ სხვა პირობების ზედგავლენით, პოლიტიკურ საკითხების გარკვევას აგრე რიგად არ ეტანებოდნენ. ამ მხრივ ლალი გამონაკლისს წარმოადგენს და რამდენადაც შეეძლო სწორედ ამ საკითხისაკენ აბრუნებდა მკითხველის ყურადღებას.

თავის წერილში „უახლობელესი საფეხური და ინტელიგენციის მოვალეობა“ ლალი მოგვითხრობს იმ ბრძოლას, რომელიც „ნაროდნიკებსა“ და მარქსისტებს შორის არსებობდა რუსეთში და ამბობს: „ამ გვარად „ნაროდნიკების“ და მათ მიმდევარ დასის, ერთის მხრით, და მარქსისტების მეორეს მხრით, დავაში მართალნი ისტორიულ მატერიალიზმის მიმდევარნი არიან. ამას გვიმტკიცებს რუსეთის დღევანდელი ეკო-



ნომიური მდგომარეობის განხილვა. რადგან რუსეთი უკვე დადგა ევროპის გზაზედ, ფიქრი იმის შესახებ, ვითომ ვინმეს შეუძლია ამ გზას გადაახვევინოს, მხოლოდ ოცნება იქნება და როგორც ყოველი ოცნება ცხოვრებასთან პირველ შეტა-

კებაშივე განქრება. ეს ერთი. მეორე დასკვნა, რომელსაც ჩვენ დღეს დავადექით ის არის, რომ „გარეშე გარემოებანი“ სრულიად შეუძლებლად ხდიან საზოგადოებრივ ელემენტების შეგნებულს მოღვაწეობას. აი ეს უკნასკნელი გარემოება აერთებს დღეს რუსეთის პარტიებს და ამ მხრით კანონიერი იქნება ვსთქვათ, რომ დღეს ბუნებრივ მოთხოვნილებას არ შეადგენს რუსეთის დასებად დაყოფა და სხვა და სხვა პროგრამის არსებობაო“[1]). ამავე აზრს უფრო გარკვევით ასე ხსნის: „კაპიტალიზმის ზრდას თან მოსდევს პროლეტარიატის ზრდა. პროლეტარიატი ის ელემენტია, რომელმაც უნდა ააგოს მომავალი შენობა. კაპიტალისტური წეს-წყობილება თვით თავის ევოლუციით ითხრის სამარეს და უკაფავს გზას მომავალს. დამყარებული კერძო საკუთრებაზედ კაპიტალიზმი იმავე დროს სცოცხლობს მხოლოდ იმითი, რომ ართმევს უმრავლესობას კერძო საკუთრებას. მაგრამ იმისთვის, რომ პროლეტარიატმა თავისი დანიშნულება სავსებით შეასრულოს, საჭიროა მასში თვითცნობიერება აღიძრას. გარდა ამისა კაპიტალიზმის განვითარების დროს უმრავლესობა იჩაგრება, ხოლო ინტელიგენციის მოვალეობაა გაუადვილოს ჩაგრულთ ვარამი და გაუადვილოს მომავალის „მშობიერების ტკივილები“. მაგრამ ამგვარის ბრძოლისათვის საჭიროა უფრო ფართო კალაპოტი, ვინემ ახლა არსებობს რუსეთში... **მაშასადამე, ბურჟუაზიის ლიბერალი „ნაროდნიკებს“ და მარქსისტებს ერთი და იგივე „ზედ-შენობა“ წინ ეღობება** (კურსივი ჩვენია). ამგვარად რუსეთის ინტელიგენცია უბრუნდება კვლავ მეოთხმოცე წლების პრაქტიკულს პროგრამას. ეს ერთ-პარტიობა იმას კი არ ნიშნავს, რომ რუსეთში ნიადაგი არ იყოს სხვა და სხვა დასების არსებობისათვის, არამედ იმას, რომ ამ ნიადაგზე შესაფერი მოღვაწეობა გარემოების ძალით შეუძლებელიაო“[2]): რა არის ეს „ზედშენობა“, რომელიც გზაზე ეღობება პროგრესიულ დასთა მოღვაწეობას, მკითხველი მიხვედრილი იქნება. და

---

[1]) «ივერია» № 65. 1895 წ.

[2]) იქვე.



უნდა ვსთქვათ, რომ ამ ტერმინს ლალი შემთხვევით არა ხმარობს. მისი აზრით პოლიტიკური ფორმა მმართველობისა თანახმად მარქსისტულ აზროვნებისა, ზედშენობაა განსაზღვრულ ეკონომიურ საფუძველზე აღმოცენებული. „როგორც ვიცით, ამბობს ლალი, ეკონომიური ორგანიზაცია, ერის წარმოებითი ძალა, ის საძირკველია, რომელზედაც შენდება პოლიტიკუ-

რი, იურიდიული და სხვა მხარე ერის ცხოვრებისაო" (იქვე). ამას აღვნიშნავთ იმათ საყურადღებოდ, ვისაც ლალი „ნაროდნიკობის“ წარმომადგენლად მიაჩნია. როგორც ვიცით, ესენი სულ სხვა საბუთებით ხსნიან საზოგადოების სოციალ-პოლიტიკურ სტრუქტურას.

ასეთია ლალის აზრი რუსეთის პარტიათა ურთიერთობის შესახებ წინაშე „ზედ-შენობისა“. ჩვენში რა არის? ჩვენშიაც „გლეხობის განთავისუფლების შემდეგ ჩვენი ცხოვრება ახალს გზას დაადგა. როგორც რუსეთისათვის, ისე ჩვენის ქვეყნისათვის ეს ახალი ხანა ევროპის გზა-კვალია. ფეოდალურ-პატრიარქალური წეს-წყობილება დაირღვა და მომზადდა ნიადაგი ბურჟუაზულ ხანისთვის“ [3]). ამბობს რა ამას ლალი, იქვე უმატებს, რომ ჩვენს წინსვლას ამ კაპიტალისტურ გზაზე ბევრი რამ ეღობება, – პოლიტიკური ჩამორჩენა, ბაზრის უქონლობა და სხვა და ამიტომ ლალსაც საეჭვოდ მიაჩნია, ვითომ ჩვენი კაპიტალიზმი „საშინელის სისწრაფით“ წინ მიექანებოდესო. და რაკი ეს ასეა და ჩვენის ქვყენის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა სოფლად სცხოვრობს, ამას დახმარება სჭირია. „ეჭვი არ არის, რომ ამ **მხრით ინტელიგენცია ვერავითარს სასწაულს ვერ მოიხდენს, ე. ი. ვერ შესძლებს ახალის ეკონომიურის ორგანიზაციის შექმნას** (კურსივი ჩვენია), მაგრამ შესძლებს დღიურ ვარამის გაადვილებას და რაც ყველაზედ უსაჭიროესი, ეკონომიურის თვით-ცნობიერების გაწვრთნას“ (იქვე). ამავე აზრს, ე. ი. ინტელიგენციის მოვალეობის შესახებ, უფრო გარკვეულად ამგვარად ჰსახავს: „ჩვენის ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმე მარჩიელთა ხელშია, ჩვენის მშრომელის ელემენტის სწავლა-განათლების საქმე ადმინისტრაციის ხელშია, ჩვენს სოფელში შემნახველ გამსესხებელ კასების დანიშნულებას ჩარჩები ასრულებენ, ყოველ მხრივი შესწავლა ჩვენის სოფლისა გვიჩვენებს, რომ მამასახ-

[3]) ივერია N 69. 1895 წ.



ლისებისა და მათის მწერლების ანაბარზეა მიგდებული ყველაფერი, გლეხების იურიდიულ უფლებების დაცვა „აბლაკატებს“ აუღიათ და სხვა მრავალი!.. გავიხსენოთ ყოველივე ეს და ვიკითხოთ ვისი მოვალეობაა დაეხმაროს ქართულ სოფელს ამდენ ვარამთან და გაჭირვებასთან ბრძოლაშიო“ (იქვე). სოფლის უმწეობას აქცევს ლალი თავის ყურადღებას და აქედამ თუ წარმოსდგა ლეგენდა მის „ნაროდნიკობის“ შესახებ.

ხოლო იკითხავთ, რაგვარად უნდა მოვექცეთ იმ „ზედ-

შინობას“, რომელზედაც ლაპარაკობდა ლალი, როდესაც რუსეთის საქმეებს იგონებდა.. ამის გამო გადაწყვეტილი პასუხია, ხოლო ჩვენში გართულებული ეროვნული პირობების მიხედვით. „საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, ამბობს ლალი, რომ მესამოცე წლების მოღვაწეების მეოხებით ეროვნულის თვითცნობიერების საქმემ მტკიცე ნიადაგი მოიპოვა ერის ბევრად თუ ცოტად განვითარებულ ნაწილში, ახლა კი საჭიროა, რომ ამ იდეებმა უფრო ფართო ნიადაგი მოიპოვონ, გავრცელდნენ და გახდნენ მთელი ერის საკუთრებად. მაგრამ მამულის მოყვარულთ ამგვარ მოღვაწეობას წინ ეღობება იგივე „ზედშენობაო“ (იქვე). აქ უკვე მოსჩანს **პოლიტიკური მხარე ეროვნულ პრობლემისა**. ხოლო ეს უფრო აშკარავდება შემდეგს სიტყვებში: „რომ ხალხმა შეიგნოს ეს იდეალი (ეროვნული), საჭიროა მას სარჩულად დაედვას არა მარტო პლატონისებური და გვარიანად ბუნდოვანი იდეები, არამედ მტკიცედ განსაზღვრული რეალური ინტერესებიო“ (იქვე). მაშასადამე, ეროვნული მისწრაფება უნდა იყოს გადაწნული ხალხის მატერიალურ ინტერესებთან ერთად. „ამისთვის საჭიროა, განაგრძობს ლალი, რომ ჩვენს ინტელიგენციასა და ხალხს შუა დამკვიდრდეს დიდი ზნეობრივი კავშირი და ურთიერთობა. მაგრამ, როგორც ვიცით, ამგვარის კავშირის ჩამოგდებისათვის საჭიროა **უფრო ფართო კალაპოტის** არსებობა, ვინემ ახლა გვაქვს მოაზრულიო“.

ერთის სიტყვით, როგორადაც გინდათ მოუარეთ საქმეს, ეროვნულის, თუ ეკონომიურის მხრივ, ყოველთვის იმავ „ზედშენობას“ წააწყდებით, რომელიც აფერხებს ერთსაც, მეორესაც. ამ მოსაზრების ძალით ლალი ამბობს: „ჩვენის ქვეყნის ყველა პროგრესიულ დასების ნაყოფიერსა და თვალსაჩინო



მოღვაწეობას აფერხებს ერთი და იგივე გარემოება და ამის მიხედვით **ჩნდება საერთო ასპარეზი საერთო პოლიტიკურის მოღვაწეობისათვის**. როდესაც ცხოვრება შესდგამს ფეხს პირველს საფეხურზე, მხოლოდ მაშინ დაიწყობა **ნაყოფიერი** მოღვაწეობა ერის ამა თუ იმ ელემენტისა, მხოლოდ მაშინ ექნება ადგილი პარტიებს. ხალხს და ლიტერატურას ჰყოფს მრავალ პარტიათ მხოლოდ თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრებაო“ (იქვე). ღილის, როგორც მწერლის, ფიზიონომია ამ ხასიათისაა ოთხმოცდაათიან წლებში.

მაგრამ „კვალმა“ არ შეიწყნარა არც ერთი ლალის მიერ წამოყენებული დებულება. ლალის „პოლიტიკას მან თავისი „ეკონომიკა“ წამოუყენა წინ. და თუ იყო ცალმხრივობა ლალის პოზიციაში, არა ნაკლები ცალმხრივობა მოსჩანდა მის

მოპირდაპირეთა აზროვნებაში.

ლალის უბედურება ის იყო, რომ იგი გ. მაიაშვილსა-ვით, როგორღაც განმარტოვებულად იდგა სალიტერატურო ასპარეზზე. წერა მოუხდა გაზეთ „ივერიაში“ და „ივერიის“ ყველა „ცოდვებს“ თავზედ აყრიდნენ მოპირდაპირენი. ასე, ნ. ჟორდანიამ დაიწყო თავისი წერილების ბეჭდვა „ივერიის“ შესახებ გაზეთ „კვალში“ 1895 წელს („ივერია“ და ეროვ-ნობა) და ის, რაც მის თვალში „ივერიის“ შეცდომები იყო, ლალის შეცდომებადაც გამოიყვანა. იგი ელაპარაკება არა ლალის, როდესაც მის ნაწერებს არჩევს, არამედ „ივერიას“ და ხშირად სხვა მწერ;ების მიერ გამოთქმულ აზრების პასუხის-მგებლად ხდას ამ უკანასკნელს.

ბ. ჟორდანიას ვერ გაუგია დედააზრი ლალის პოზიციისა. ჩვნ უკვე ვიცით, რომ ლალის აზრით მკაცრი წინააღმდეგო-ბაა „ზედ-შენობასა“ (პოლიტიკურ რეჟიმსა) და რუსეთის პროგრესიულ პარტიათა მისწრაფებათა შორის და აგრეთვე ამავ „ზედ.-შენობასა“ და ქართულ ეროვნებასა და ქართველ პროგრესიულ მისწრაფებათა შორისაც. ვიცით ისიც, თუ რას ავალებს ლალის აზრით, ეს გარემობა როგორც რუსეთის, ისე ქართველ პროგრესიულ ინტელიგენციას. ბ. ჟორდანიას კი ჰგონია, რომ პოლემიკური ხერხია ლალის მხრივ ის აზრი, რომ მან ხაზი გაუსვა პოლიტიკურ მხარეს ეროვნულ პრობ-ლემისას. ნ. ჟორდანიას უკვირს კიდეც, რა ნაირად შეიძლე-ბა პოლიტკური ბრძოლა იქონიო მხედველობაში, როდესაც



ეროვნების შესახებ ლაპარაკობო. „ეროვნული თავის დაცვა და „ზედ-შენობა“ ამბობს ბ. ჟორდანია, ეს ორი სხვა და სხვა კითხვა, მათი ერთმანეთში არევა, ერთის მაგიერ მეორის ჩას-მა პოლემიკური ხერხია და მეტი არაფერი. ჩვენ ინტელიგე-ნციაში ჯერ კიდევ სადავოა, ამ ორ კითხვის შორის არსე-ბობს რაიმე კავშირი თუ არა. თვითონ „ივერიას“ არა ერთ-ხელ გამოუცხადებია, რომ ჩვენ სრულებით არ გვაინტერე-სებს ის, რაც რუსეთის ახალგაზდობას ამოძრავებსო [4]).“ და მოჰყავს 1903 წლის „ივერიიდამ“ ბ. მეველეს ერთი მეთაუ-რიდან ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ „რაც შეუძლია და შეშვენის დიდ ოჯახს, პატარა ოჯახი იმას ვერ აიტანს და ახირებული იქნება ასეთი პრეტენზია დიდ-კაცობაზე პატარი-საგანაო“. და აი ეხლა 1905 წელში ლალმა უნდა აგოს პა-სუხი იმის გამო, რაც 1903 წლის „ივერიაში“ იბეჭდებოდა! როგორც ხედავთ, პოლემიკა იყო დაწყებული უწესრიგოთ. და ამ უწესრიგობის ინიციატორი იგივე ნ. ჟორდანიაა, რო-მელსაც ჩვენ უკვე საკმარისად გავეცანით გ. მაიაშვილის წე-

რილების განხილვის დროს.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ლალის აზრით ეროვნული იდეალი უნდა იყოს დამყარებულ მკვიდრ ეკონომიურ და სოციალურ საფუძველზე. ნ. ჟორდანიას განმარტებით კი „ეროვნული განვითარება, ლალის შეხედულობით, ყოფილა ყოველ-მხრივი ვითარება ეკონომიური განვითარების გამოკლებითო“.[5])

ლალი გადაჭრით იწვევს პროგრესიულ ინტელიგენციას პოლიტიკურ ბრძოლისაკენ. ბ. ჟორდანიას კი სასაცილოდ არ ჰყოფნის ეს გარემოება. დანაშაულობა ლალისა თურმე ის ყოფილა, რომ მან სთქვა, „ჩვენში მშრომელი ხალხი სოფლად არის და არა ქალაქად, მაშასადამე ინტელიგენციაც სოფელში უნდა წავიდეს, მას კი გარეშე გარემოება ეღობება წინო“. – „მოდით და გაიგეთ ეს, დაცინვით კასკასებს კრიტიკოსი.. ქალაქში საჭირონი არ არიან. სოფლად კი ვერ წავლენ, მაშ სად უნდა იმოღვაწეონ? მეორე პლანეტაზეო?"[6]) ჰო სწორეთ იქ უნდა იყოს!

---

[4]) რჩეული ნაწერები, გვ. 72.

[5]) იქვე, გვ. 73.

[6]) იქვე, გვ. 75.



ლალის პოზიციის დედა-აზრი – საერთო მტრის წინააღმდეგ საერთო იერიშის მიტანაა და კლასთა ბრძოლის პრინციპის შეგუებაა ამ საერთო საქმის მოთხოვნილებასთან. და საყურადღებო ის არის, რომ ნ. ჟორდანიაც, არსებითად ამ აზრისაა ამ საგნის შესახებ, ხოლო როდესაც მას აგონდება „ივერია“ და მისი თანამშრომელნი მყისვე მეომრის გუნებაზე დგება და ბრძოლაშეტაკების ქადაგებაშია. აი რას ამბობს ჩვენი ავტორი „ერთობის“ და „განხეთქილების“ შესახებ ერის ცხოვრებაში: „ეკონომიურ განვითარებას თან მისდევს **ერის ერთობა** (კურსივი ჩვენია) იმ კითხვებზე, რომელნიც ეხებიან **მთელი – ერის** პოლიტიკო-ეკონომიურ ცხოვრებას (მხარე ეროვნული) და ერის დაყოფა იმ კითხვებზე, რომელნიც ეხებიან მის შემადგენელ ნაწილების პოლიტიკო-ეკონომიურ ცხოვრებას (მხარე პოლიტიკო-სოციალური). ერი ერთდება, იმავე დროს იყოფა. სხვა და სხვაობა ერთობაში, ერთობა სხვა და სხვაობაში, თანხმობა განხეთქილებაშიო“. [7])

მშვენივრად და ნათლად არის გამოთქმული, რაც მართლა ასეა. ეს ფორმულა მოჰგავს ლალის ფორმულას, ხოლო უფრო სრული და ღრმაა იგი. ლალი უფრო ერთობის პრინციპს აწვება და კლასთა ბრძოლა დაჩრდილული აქვს. მას პირველ საფეხურად „ერთობის“ საშუალებით „თავისუფლების“ მოპოვება

მიაჩნია, ხოლო კლასთა ბრძოლა კი თითქოს მეორე საფეხურია. ნ. ჟორდანიას ფორმულაში **ორივე ერთად** სწარმოებს და მიმდინარეობს. და არ არის შიში დარღვევისა და დაქსაქსვისა, რადგან „ერთობა სხვა და სხვაობაში და თანხმობა განხეთქილებაშიაო“.

დიაღ, ასე მარტივად და საბუთიანად სჯის ბ. ჟორდანია მაშინ, როდესაც მას მხედველობაში ქართველი ინტელიგენტები და ქართველი მწერლები არა ჰყვანან. ხოლო უბრუნდება თუ არა იგი ლალს ისევ ირევა და იხლართება საქმე. აქ უკვე ერთობაზე არ არის ლაპარაკი, ლაპარაკია მხოლოდ განხეთქილებასა და წინააღმდეგობაზე. თუ ლალი ერთს უკიდურესობაში ვარდება, მეორე უკიდურესობაში იფლეობდნენ ნ. ჟორდანია და მისი ამხანაგები. და სასურველი სინტეზი სოციალურისა და პოლიტიკო-ეროვნულისა უფრო იჩრდილებოდა.

---

[7]) იქვე, გვ. 80.



ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა მნიშვნელობას აკუთვნებს ლალი ინტელიგენციას საზოგადოებრივ ცხოვრების მოძრაობაში. ინტელიგენცია, მისის აზრით მოწოდებულია, გაადვილოს „მშობიერობის ტკივილები“, ხოლო სასწაულთ-მომქმედი სრულიადაც არ არისო. მაგრამ ერთ თავის წერილში ლალი ლაპარაკობს მომავალ სამართლიან სოციალურ წეს-წყობილებაზე და იმის შესახებაც, რომ ჩვენი ერი შეგნებულ ინტელიგენციის დახმარებით შეითვისებს ამ ახალ წყობილებასო. ხოლო რაში უნდა გამოისახოს ეს დახმარება და როგორ უნდა გვესმოდეს ეს, წერილში ნათლად აქვს გარკვეული – ისე, როგორც ჩვენ გავაცანით მკითხველს. მაგრამ ნ. ჟორდანიას ოხუნჯობა უკვე მზად არის! შეგნებული ინტელიგენცია, „ჯგუფი მთელ ერს პატრიარქალურ წყობილებიდან კოლექტივურზე გადაახტუნებსო. ფეხმარდობაც ასეთი უნდაო“ [8]). კი, მაგრამ, ერთის ფრაზით რომ არაფერი დამტკიცდება! ნუ თუ ამის შესახებაც არის კიდევ საჭირო ლაპარაკი?

ჟორდანიას შეცდომა ლალის ნაწერების დაფასების დროს განსაკუთრებით იქიდან წარმოსდგება, რომ მას ლალი „რუსნაროდნიკობის“ მიმდევრად მიაჩნია, ნამდვილად კი ლალს ამ „ნაროდნიკობა“-სთან საერთო მხოლოდ ისა აქვს, რომ მას არა სჯერა აუცილებელი საჭიროება სოფლის გაქალაქებისა. იგი ხედავს დიდ სარბიელს სოციალ-პოლიტიკურს მოქმედებისათვის სოფელში და მისი ყურადღება აქეთკენ უფროა მიმართული, თუმცა იგი სრულიადაც არ უარ-ჰყოფს ქალა-

ქებისა და მრეწველობის მნიშვნელობასა. მართალია, მის თვალში კლასთა ბრძოლის პრინციპი პოლიტიკო-ეროვნულ მთლიანობას არ უნდა ეხებოდეს; მაგრამ ლალის შეცდომა ის იყო, რომ ამასთან მან საფეხურებათ დაჰყო სავალი გზა. ჯერ ერთობა და მერე სხვა და სხვაობაო. მაშინ, როდესაც ცხოვრებაში ეს ორი ელემენტი ყოველთვის გაერთიანებულია. „კვალი“ თითქოს ამ ნიადაგზე უნდა დამდგარიყო და იდგა კიდეც, როდესაც ამბობდა: ცხოვრების განვითარებას საფეხურები აქვს, ხოლო ამ საფეხურებზე კლასთა ბრძოლის პრინციპის აღიარებით ავიდეთ და არა მისი დამალვითო. ხოლო, საუბედუროდ, აქ, ამ პოზიციაზე თავი ვერ შეიმაგრეს და ზომა ვერ დაიცვეს და კლასთა ბრძოლას და განხეთქილებას

---

[8]) იქვე, გვ. 83.



შესწირეს „ერთობის პრინციპიც“ და ეროვნული ინტერესიც. ამგვარივე გადაჭარბება გამოიჩინეს პროლეტარიზაციის და „გაქალაქების“ პროცესის საკითხშიაც.

„სოფელი ნელ-ნელა ქალაქდება, ამბობს ნ. ჟორდანია. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიურ ვითარებაში ისეთი ცვლილება მოხდა, რაც არ მომმხდარა გავლილ ოცი საუკუნის განმავლობაში. ნუ თუ ეს არ არის სწრაფი. ჩვენი ოცი წლის ეკონომიური განვითარება უდრის ინგლის-საფრანგეთის რამდენიმე საუკუნის განვითარებას... კაპიტალიზმი დღეს ჩვენში უფრო ჩქარა არღვევს პატრიარქალურ ურთიერთობას და ათახსირებს ხალხის უმრავლესობას, ვინემ ეს მოხდა წარსულ საუკუნეებში ინგლის-საფრანგეთშიო...[9]) ამ სიტყვების დაწერის შემდეგ განვლო 16 წელიწადმა და დღეს თავის რჩეულ ნაწერების წინასიტყვაობაში ბ. ჟორდანია სულ სხვა რამეს აღიარებს: „ამ 12-15 წლის წინად, ამბობს იგი, გვეგონა, რომ ქართული კაპიტალი და ქართველი ბურჟუაზია უფრო სწრაფად გამძლავრდებოდა, ვინემ ეს ნამდვილად მოხდა. ცხადია, მაშინ ინტერნაციონალური **კაპიტალის როლი კავკასიაში საზოგადოდ და საქართველოში კერძოდ – ნათლად არ გვქონდა წარმოდგენილი** (კურსივი ჩვენია). მე მგონია შეუძლებელიც იყო იმ დროს ასეთი წარმოდგენის შედგენა, ვინაიდან უცხო კაპიტალის ძლევა-მოსილი მსვლელობა შემდეგ დაიწყოო[10])“.

საგულისხმო აღსარებაა! და სწორედ მადლობის ღირსია ბ. ჟორდანია, რომ დღეს მაინც სთქვა ის, რაც საჭიროა ცხოვრების ნამდვილ განმარტებისათვის და აგრედვე, რაც საჭიროა იმის გარკვევისათვისაც, თუ სხვა პატივსადებ საკითხთა

შორის, რა იყო მიზეზი შეუთანხმობისა მოპირდაპირე მწერალთა შორის ამ 15 წ. განმავლობაში. დღეს თვითონ გვეუბნება, რომ ეხლა დავინახე მხოლოდ ის, რაზედაც მითითებდნენ მოპირდაპირენი. გმადლობთ გულწრფელობისათვის!

აქ უნდა შევდგეთ. შემდეგი განვითარება საზოგადოებრივი აზროვნებისა, რომელიც მეოცე საუკუნეში დაიწ-

---

[9]) იქვე, გვ. 105 და 107.

[10]) იქვე, წინასიტყვაობა IV-V.



ყო ჩვენს მწერლობაში, მოთხრობილი მაქვს სხვა წერილში, („შეთანხმების იმედი“), რომელიც ჩართულია ჩემს თხზულებათა კრებულის პირველ წიგნში.

ის კი, რაც ამ წერილებში შევისწავლეთ და აღვნიშნეთ, უფრო გვიადვილებს ახლა ვრცელ ისტორიულ პერსპექტივის გათვალისწინებას. ეს პერსპექტივი მოსჩანს ამ სახისა. მესამოცე წლებში ჩვენმა ლიბერალებმა ეროვნული, კულტურული და სოციალური პრობლემები წამოაყენეს. ოთხმოციან წლებში სცდილობენ სოციალურ პრობლემების უპირატესობის აღიარებას, მაგრამ წოდებრივობას ვერ სცილდებიან. ხოლო ამავე დროს მოსჩანს პოლიტიკური აზროვნების პირველი ნაბიჯები. ოთხმოცდაათიან წლებში წოდებრივობა დარღვეულია. კლასიური საზოგადოების გამოსახვაა აღიარებული. ჩწდება იდეოლოგია კლასიური, რომელსაც ღრმა საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ კლასიურ იდეოლოგიას უჩნდება ოპოზიცია. ერთნი უარსჰყოფენ მის არსებობას, მეორენი ამ სოციალურ მოვლენის შედეგებს უფრთხიან, მესამენი, პოლიტიკო-ეროვნულ დროშით ხელში სცდილობენ „ეროვნულ მთლიანობის“ დაცვას გაზვიადებულ კლასთა განხეთქილების წინააღმდეგ.

ამ აზრთა შეტაკებიდამ და შეჯახებიდან მეოცე საუკუნეში აუცილებლივ ახალი სოციალ-ეროვნული სინტეზი უნდა დაბადებულიყო. ამ „სიტეზს“ ერთი თვალი ლალისაკენ აქვს მიჩერებელი, მეორე „კვალისაკენ“. ხოლო ამასთან ლალი არის ეტაპი, თუ რგოლი, რომელიც აკავშირებს მეოცე საუკუნეში აღმოცენებულ სოციალეროვნულ მოძრაობას მესამოცე წლებთან.

ამგვარად მესამოცე წლებიდამ დღევანდლამდე ჩვენს წინ იშლება ბოლოდ სამი დიდი ორგანული მოვლენა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა – ნაციონალური ლიბერალიზმი მესამოციან წლებისა, მარქსიზმი მეოთხმოც-და-ათიან წლე-

ბისა და სოციალიზმ-ფედერალიზმი მეოცე საუკუნის დასაწყისისა. [11]) ყველა სხვა მიმართულებას ან დამოუკიდებელი,

[11]) ამ საზოგადოებრივი მოვლენათა ჩამოთვლით ჩვენ არა ვწყვეტთ «დასობის» საკითხსა. დასი თუ ჯგუფი მეტი იყო ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვიდრე ზემოდ აღნიშნულ ორგანულ მოვლენათა რიცხვი.



ზრდადამთავრებული ხასიათი არა ჰქონდა, ან კიდევ გარდამავალი იყო მათი საზოგადო მსოფლ-მხედველთბა. არც მარქსიზმს, არც სოციალ-ეროვნულ მიმართულებას არ უთქვამთ ჯერ თავიანთი უკანასკნელი სიტყვა. მოსალოდნელია ამ იდეურ მოვლენათა ევოლუცია მახლობელ მომავალში. რაც შეეხება ნაციონალ-ლიბერალებს, მათ ჯერ ხნობით ნამდვილი ღირსეული მემკვიდრენი არ გაუჩნდათ. და ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეს არის დიდი უკუღმართობა და ღრმა ანომალია.

---

# პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე [1])

1901 წ.

## I

როდესაც წარსული ცხოვრების გაგება-დაფასების სურვილი იბადება ხოლმე საზოგადოებაში, ეს იმის ნიშანია, რომ ამ საზოგადოებას თავის თავის დანახვა და გარკვევა მოუნდომებია, რადგან აწმყო შედეგია წარსულისა. როცა ჩვენ ნათლად გავიგებთ იმას, თუ რითიცა ვართ დაკავშირებულნი ძველ თაობასთან, რა გვაქვს მასთან საერთო და რა არა, მაშინ, და მხოლოდ მაშინ, შევიგნებთ იმას, რა გზით უნდა ვიაროთ მომავალში, დავინახავთ ჩვენს საკუთარ პიროვნებას, გამოჩნდება ახალი თაობის ცხოვრების ახალი პროგრამა. ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ „დასებზე“ „პარტიებზე“, ლაპარაკობენ აგრეთვე ძველ და ახალ თაობაზე, მხოლოდ ამ საგნებზე ლაპარაკისათვის ჩვენ არა გვაქვს ერთად ერთი აუცილებელი საჭირო იარაღი – ჩვენ არა გვაქვს იმისი ცოდნა, რაზედაც ჩვენა ვსჯით,

არა გვაქვს შესწავლილი ძველი თაობის ვინაობა, მისი აზრი, გრძნობა, ლტოლვილება, მისი იდეალი. ჩვენს ლიტერატურაში ჯერ ჯერობით არ გამორკვეულა ქართულ აზრის წარმატების ისტორიის საჭიროება. ამ ფრიად ვრცელ და დიდმნიშვნელოვან საგანს ჯერ კიდევ თავისი მომავალი მოელის. მხოლოდ ჩვენი სურვილია ცოტად მაინც შევუმსუბუქოთ შრომა მომავალ ისტორიკოსს და ამ წერილების საშუალებით მივცეთ მას საჭირო მასალა საგნის მიუდგომელ დასაფასებლად. ჩვენ წინდაწინვე ვიცით, რომ ამ ჩვენს წერილებს თავისი ნაკ-

---

[1]) ეს წერილი, 1901 წელში დაწერილი, ხრ გვაძლევს სრულ სურათს ილ. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ მოღვაწეობისა. აქ არ არის აღნიშნული არც „საქართველოს მოამბეს“ დაარსების ხანა, არც უკანასკნელი პერიოდი ჭავჭავაძის მოღვაწეობისა. ხოლო რადგან ის, რაც არის ამ წერილში, ერთგვარ სინათლეს ჰფენს წარსულ საუკუნის ერთ-ერთ საყურადღებო ხანას, ამიტომ ვათავსებ ამ წერილს ჩემს თხზულებათა მეორე წიგნში, სადაც შევაგროვე მასალები ქართველ ინტელიგენციის საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიისათვის.

ა ვ ტ ო რ ი . 1911 წ.



ლულევანება ექმნება, ვიცით, რომ სისრულით ვერ შევასრულებთ ჩვენს შრომას და საგანს ვერ შევეხებით სრულის სივრცესიგანით. მიუხედავად ამისა, იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სურვილი ძველი თაობის დაფასებისა უნაყოფო არ იქნება, რადგან შეიძლება, მან გამოიწვიოს ჩვენს ლიტერატურაში ლაპარაკი ამ ფრიად საგულისხმიერო საგანზედ.

ამ წერილში ჩვენ შევეხებით ილია ჭავჭავაძეს, როგორც ეროვნულ პუბლიცისტს. ვეცდებით დავახასიათოთ ამ მწერლის პირველ ხანის გონებრივი ვითარება, ის, თუ რას ემსახურებოდა ჩვენი მწერალი, რასა სცემდა იგი თაყვანსა, რაში იყო იმისი ძალა და რაში – სისუსტე. და რადგან ჩვენში ზნედ შემოვიდა ყველ საზოგადო მოღვაწის ლიბერალად, კონსერვატორად ანუ დემოკრატად მონათვლა, ამისათვის ჩვენც ვეცდებით განვმარტოთ ის, თუ რომელ ბანაკს ეკუთვნის ილია ჭავჭავაძე. ამ განმარტებიდგან გამოაშკარავდება ისიც, თუ რა გონებრივი დამოკიდებულება ჰქონდა ბ-ნ ჭავჭავაძეს მასზე უფროსს და მის თანამედროვე მწერლებთან და ამასთან ერთად გამოაშკარავდება მისი ადგილი ქართულ მწერლობაში. ჩვენს დახასიათებაში არ გამოვუდგებით მისი ნაწერების ქრონოლოგიურ აღნუსხვას, ვეცდებით მხოლოდ მივცეთ პასუხი ორს უმთავრესს კითხვაზედ: რა ნაირი, რა თვისებისა იყო ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მოძღვრება? რა მიმართულებას ადგა ის საზოგადოებრივ და ეკონომიურ კითხვების განმარ-

ტებაში? ამ ორს კითხვაზედ პასუხის მოცემა გაგვიადვილებს ჩვენის მიზნის სისრულეში მოყვანას, ილია ჭავჭავაძის დახასიათებას, როგორც საზოგადოებრივ მწერლისას.

ყოველი მწერლის პოლიტიკურ მოძღვრების ახსნას ჩვენ ვპოულობთ იმ დროში, იმ პოლიტიკურ ცხოვრების პირობებში, რომელშიაც ესა თუ ის მწერალი სცხოვრობს და მოღვაწეობს. ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ მოძღვრებასაც ამ მხრით სჭირია შესწავლა. მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს მდგომარეობა დიდ რყევაში იყო. სხვა-და-სხვა პირობების გამო, თითქმის შესწყდა ყოველი კავშირი ძველ საქართველოს ისტორიასთან, იმის კულტურასთან, ტრადიციებთან. ახლმა პოლიტიკურმა ძალამ მთლად ძირიანად შეარყია საქართველოს თავისებური ხასიათი. ზარდაცემული, უთანასწორო ბრძოლით მოქანცული, ქართველი ერი როგორღაც



მიდუმდა, მიყუჩდა. მან ჯერ ვერ შეითვისა, ვერ შეიგნო საჭიროება ახალ პირობებში ძველ ეროვნულ ცხოვრების გაგრძელებისა, განტკიცებისა. მისი მომავალი გამოურკვეველი შეიქმნა, მისი წარსულიც თითქმის სამუდამოდ აღმოიფხვრა იმის გონებიდამ. მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენ არ ვხედავთ **შეგნებულ** დაკავშირებას ძველის ცხოვრებისას ახალთან, შეგნებულს განმარტებას ეროვნულ პრინციპისას. ჩვენს ლიტერატურაში ჩივილი და გოდება ისმოდა დაკარგული თავისუფლების გამო, მხოლოდ ამ ლიტერატურის უილაჯო, უიმედო და ურწმუნო კილო სასოწარკვეთილებაში აგდებდა ჩვენს გადაგვარების გზაზედ დამდგარ საზოგადოებას და მას თავის ეროვნულ ვინაობის აღდგენის სურვილს უკარგავდა. ასე რომ მე-XIX-ე საუკ. მეორე ნახევარი რომ დადგა, ჩვენ სრულებით მოუმზადებელნი ვიყავით მოქალაქობრივ ცხოვრების ეროვნულ ნიადაგზედ გადმონერგვისათვის. აუცილებლად საჭირო იყო გაგვეგო, შეგვწევს თუ არა ღონე ახალ ცხოვრებისათვის, საჭირო იყო იმისი ცოდნა, რომ ეს ახალი ცხოვრების დენა არ ჩანთქავს ჩვენს პიროვნებას, რომ ჩვენ გავუმაგრდებით გარემოებათა ცვლილებას და რომ ხალხს აქვს თავისი მომავალი. ყველა ამისათვის საჭირო იყო ორის აზრის გამტკიცება: ბატონ-ყმობის უარ-ჰყოფა და ეროვნულ ვინაობის განმარტება. ილია ჭავჭავაძე ერთი იმ მწერალთაგანი იყო, რომელიც სწორედ ამ გზას დაადგა, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი ცხოვრების ეროვნულ მხარეს იგი უპირატესობას აძლევდა. ეროვნულ და ეკონომიურ ცხოვრების ერთმანეთთან დაკავშირება მას ჰქონდა შეგნებული, ამისათვის ჩვენ არ შეგვიძლია მის ეროვნებას „უნიადაგობა“ დავწამოთ. იგი იყო ბატონ-ყმობის

წინააღმდეგი და მისს ეროვნებაში მონობისაგან განთავისუფ-
ლებული კაცი იგულისხმებოდა. რასაკვირველია, შეიძლება არ
დავეთანხმოთ ილია ჭავჭავაძეს ჩვენის ცხოვრების ეკონომიურ
პროცესსის ახსნაში, შეიძლება არ დაგვაკმაყოფილოს ამ მწერ-
ლის ეკონომიურმა მოძღვრებამ, მხოლოდ, მიუხედავად ამისა,
ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმ აზრისა, ვითომ ილია ჭავჭავაძე
„უშინაარსო“ ეროვნებას ჰქადაგებდა, ვითომ მას არა ჰქონდა
გათვალისწინებული ის უბრალო აზრი, რომ კულტურა და
ხალხის მატერიალური მდგომარეობა ვიწროდ არიან ერთმა-
ნეთთან დაკავშირებულნი. ჩვენი მოვალეობაა აღვნიშნოთ,



რომ ჭავჭავაძეს ჰქონდა შეგნებული ეს კავშირი, მხოლოდ
ამავე მოვალეობის მიხედვით ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მი-
სი ეკონომიური პროგრამა აღარ გვაკმაყოფილებს და რომ
ამისათვის ჩვენა ვართ მონდომებულნი იმის ეროვნულ პრო-
გრამას სხვა ეკონომიური, ჩვენი დროის შესაფერი, საფუძვე-
ლი დავუდგათ და ამ სახით განვმარტოთ ის გზა, რა გზითაც
გვესაჭიროება სიარული. მხოლოდ უწინარეს ყოვლისა მივაქ-
ციოთ ყურადღება ილია ჭავჭავაძის ნაწერებში პოლიტიკურ
კითხვებს, სწორედ იმ კითხვებს, რასაც არავითარი ყურადღე-
ბა არ მიაქცია ბ-ნმა ჟორდანიამ თავის „ქართულ პრესსაში“.

პოლიტიკური სიმბოლო ილია ჭავჭავაძისა გამოისახება
ეროვნულ ცხოვრების აღორძინების საჭიროებაში. რა საშუა-
ლებით შეიძლება, იმის აზრით, ამ ეროვნულ ცხოვრების აღო-
რძინება, ამას ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, ეხლა კი ისა ვსთქვათ,
რომ ეროვნული პიროვნების აღდგენა აუცილებელი პირობა
იყო ჩვენი საზოგადო წარმატებისათვის. ეს მით უფრო საჭი-
რო იყო, რომ მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარში, რო-
გორც ჩვენ უკვე ვსთქვით, ქართველობა მეტად დაძაბუნდა,
დაწვრილმანდა, განთვითვეულდა და თითქმის დაჰკარგა მამული-
შვილობის აზრი და გრძნობა.

„სად არის ქართველი და ქართველობა?... სწერს ჭავჭა-
ვაძე[1]). აჩქარებული კაცი ადვილად გვიპასუხებს და გვეტ-
ყვის: ბრმანი ყოფილხართო. ეს ჩვენი დედაქალაქი და ეს
შავის ზღვიდან კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდათ მორიგებული
მისი შვილი – სოფლები, ქართველები არ არიან? ქალაქი იქ-
ნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგ-
რამ საქმე იმაშია, რომ დედის ძუძუ დიდი ხანია გაშრა და
დედის ძუძუს შვილი აღარა სწოვს“.

ავტორი, აღნიშნავს რა პოლიტიკურ დაკარგვის მნიშვნე-
ლობას ჩვენთვის, განაგრძობს:

„ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავად-

აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი – ყველანი არიან და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურს თავადი, გლეხს – ორივე. ნუ თუ ესენი ქართველები არიან ერთის დედის საქართველოს ოჯა-

[1]) „დროება“ № 27. 1876 წ.



ხის შვილნი? თავადის აზრია სათავადო, აზნაურისა – სააზნაურო, გლეხისა – საგლეხო, ვაჭრისა – სავაჭრო, ნუ თუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ აღმოსულნი“ [1])?...

უნდა გვახსოვდეს, რომ ამ სიტყვებში პოლიტიკურ ერთიანობის დარღვევის აზრი აქვს ავტორს გატარებული და არა ეკონომიურ განხეთქილებაზედ აღმოცენებული ქართველობის განთვითოება.

„ქართველი საყოველთაო სახელია და ამათში (ამ განკერძოებაში) რა არის საყოველთავო!.. თვითო-თვითოდ ერთს გაწყვეტილს ჯაჭვის რგოლებივით... ცალ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ ზოგი აქეთ, ზოგი იქით. თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითვეულის გზები ერთად იყრება საყოველთავო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ აქ არის მეთქი. ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითვეულის ჩვენგანის ჭკუა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთავო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ აქ არის მეთქი... ის შემკრებილობითი, დიდებული, ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ჰხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა – დიდი ხანია დაირღვა, ჩვენის ნებიდან ამოშრა... ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თვითო არ არის და თვითოში – ყველა, საცა თვითვეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა – თვითვეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი[1])!“

ამ რიგად გვიხატავს ავტორი ჩვენს ოდესღაც გაერთიანებულ პიროვნების დამხობას. მხოლოდ, შედის რა ავტორი ამ საგნის ძირითად განხილვაში, მისი კილო უფრო ნაღვლიანდება, მისი სიტყვა უფრო მკაცრდება, მხოლოდ ნაღველს და სიმკაცრეს ცრემლიანი დაცინვაც თან ახლავს.

„მამული!.. ეხლა ეს დიდებული სიტყვა თვითვეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებას ჰნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს ბინას... დასძენს ავტორი[1]) მამუ-

[1]) ibid.



ლის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის კაცს თავისი ნეხვ დაყ-
რილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე! მამულისათვის ბრძო-
ლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სა-
დაო საჩივარია; მამულისათვის ძლევა-მოსილობა – მოგებუ-
ლის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემოწმებული; მამუ-
ლის სიმაგრე – ტრუუშრლი ღობეა, ვენახ გარშემო შემორ-
ტყმული მამულის პატივი – ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად
დაყრილი; მამულის შვილობა – მხვნელობა და მთესველის სა-
ხელი-ღაა!.. განთვითვეულდით და თვითვეულის ზურგმა ვე-
ღარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასთვის
ადვილად საზიდია. თვითვეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვ-
და და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ვეღარ იტვირთა...
დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი, დი-
დი „მამული“ დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ[1])“...

ასე ათავებს ავტორი თავის ნაღვლიან საუბარს. ჩვენს,
პატრიოტულ ლიტერატურაში ამ სიტყვების ბადალი არა ვი-
ცით-რა. ავტორი აღიარბს სინამდვილეს, იმას, რის უარ-ყო-
ფა შეუძლებელია. ეს სინამდვილე მას გულსა სწვავს და მას
გესლიანი სიტყვა ებადება, სიტყვა, მწარე ნაღველში გატარე-
ბული, მწუხარე გულიდან ამონახეთქი. ეს იყო ჩვენი გათახ-
სირების, დაძაბუნების აღსარება. მხოლოდ ამაზედ, უილაჯო-
ბაიზედ შეჩერება შეუძლებელი იყო. ჩვენს მდგომარეობას შვე-
ლა უნდოდა, ჩვენს სულის კვეთებას – ახსნა. და აი ავტორი
გვაძლევს ჩვენი მამულის სიყვარულის ფსიხოლოგიურ ფორ-
მულას.

„მამულის სიყვარული ემგზავსება ნაზს კაკლის ხესა, ამ-
ბობს ავტორი [2]), რომლისათვისაც საჭიროა შესაფერი ნია-
დაგი, შეზავებული ჰაერი, რომელიც ვერ იმშვენებს დამჩაგ-
ვრელს ხეებს, რომელიც დიდხანს იზრდება... ეროვნულს, პატ-
რიოტულს გრძნობასაც დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურის
გდება და ერთგულება ეჭირვება. იგი არის ნაზი, როგორც
კაკლის ხე, ღრმა, როგორც მისი ფესვები, მაღალი, როგორც
მისი წვერი, მის ტოტებსავით განიერი და მის კოკრებსავით
ნაყოფიერი“...

[1]) ibid.

[2]) ივერია № 1. 1882 წ.

ამ სიტყვებში ჩვენა ვხედავთ ავტორის მხატვრობითი ნიჭს, მოხმარებულ ფაქიზ ნაზი გრძნობის გამოსახატავად. და მისს სიტყვებს მით უფრო ძლიერი და ნათელი გამომეტყველება ეძლევა, რომ ის მეტად სცდილობს ჩვენს პატრიოტიული გრძნობას ჰუმმანური, ადამიანური ხასიათი მისცეს.

„ჩვენში მამულის სიყვარული, განაგრძობს ავტორი [1]), სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას. ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია-რა. ვისიმე სიძულილი, **ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის.** ჩვენს მამულის შვილებს ჰსურთ წარმატება ჩვენის ეროვნებისა და ვინაობისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა... როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონავებისათვის, არამედ თავის საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულის შვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ვისიამოვნოთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და და კეთილ-დღეობისა [1])“.

ამ ნაირად ავტორმა ჩვენს საკუთარ თვალში გაასამართლიანა პატრიოტიული გრძნობა, დააკანონიერა იგი, ჩამოაცალა ყველაფერი, რაც კი ჰუმანურ გრძნობებს ეწინააღმდეგება, რაც კი სჩაგრავს კაცურ კაცობას და რაც ხდის მას მყვირალა კაცთ-მძულვარე გრძნობად. ჩვენ მისი აღარა გვრცხვენიან, რადგან მასში გამოისახება ჩვენი ადამიანური უფლება, ჩვენი კანონიერი წადილი ბედნიერებისა და სიცოცხლისა. ამ საგანზედ ლაპარაკი ფრიად საჭირო იყო ჩვენში, სადაც „კაცობრიობის“ მოსარჩლე, ჩვენი უნიადაგო ახალ გაზდობა თითქოს ჰთაკილობდა თავისს-პატარა სამშობლოს, რომელიც ვითომ და ეღობებოდა მისს „კაცობრიობისადმი“ ლტოლვილებას. ამ სახით, ეროვნულმა გრძნობამ ბუდე გაიკეთა ჩვენს გულში. მხოლოდ საჭირო იყო ამ გრძნობის გაგონიერება. საჭირო იყო „ლიბერალიზმს“ ნიადაგი მოეპოვებინა ჩვენში, იმ „ლიბერალიზმს“ რომელიც მესამოცე წლებიდამ ჩვენშიაც გა-

---

[1]) ibid.



მოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე და რომელმაც ჩვენშიაც დაჰბადა უთანხმოება „მამებსა და შვილებს“ შუა. რასაკვირველია, რუსეთის ცხოვრებას დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენსაზე, მხოლოდ რუსულ ლიბერალიზმს ერთი შინაარსი ჰქონდა ჩვენ-

სას მეორე, თავისი განსაკუთრებული. მხოლოდ ეს განსხვავება ყველასათვის ცხადი არ იყო და სწორედ ამ განსხვავების გამოსარკვევად სწერდა ავტორი [1]):

„ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ღაღადებს და მაშასადამე ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რაზედმე უნდა მიიქცეს მთელის თავის ძალღონითა. და თუ აქაც ბედის წერას ისე არ გადავრჩებოდით, რომ „მამაშვილობა“ არ გამართულიყო ბრძოლის საგნად, ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებს და შვილებს“ შუა მიჯნად დადებული. ის „სხვა რამე“ იყო ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვცდენია – ყველასთვის ცხადზედ ცხადია... მართალია, ჩვენის „ვინაობის“ აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არა უქნია რა („საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“, „ივერია“) მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ მაგ მიმართულებას მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად ფეხი მოაკიდებინეს... რაც ვერ ჰქმნეს ამათ, იქმონენ სხვანი, ოღონდ ამ მიმართულებამ თავი დაიჭიროს ჩვენს ცხოვრებაში, ღრმად გაიკეთოს ძირი და იმოქმედოს, ვიდრე საჭიროება მოითხოვს... ეგ მიმართულება იქმნება ახალი იმ დრომდე, სანამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს შვილს. ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველი საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩინოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მოვუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე

[1]) ივერია 1881 წ. № 5.



კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ რადმე სხვად, მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავწონოთო [1])“.

აქ ავტორი ჩვენი ცხოვრების დედა ძარღვს მოეჭიდა და საფუძველი დაუდო ჩვენს ეროვნულ პროგრამას და ამასთან ისიც გამოარკვია, რომ ეს საფუძველი იქმნება „იმ დრომდე, სანამ ჩვენი ვინაობა შესაფერს და კუთვნილ ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში“, სანამ სხვის პატივცემას არ მოი-

პოვებს. ყველა ამისათვის საჭიროა შინაურ საქმეების მოწესრიგება, საჭიროა აგრეთვე მოქალაქობრივი გამბედავობა გარეშე მტრის მოსაგერებლად. და უნდა სრული სიმართლე მივცეთ ილია ჭავჭავაძეს, რომ ის იყო ერთად ერთი პასუხის მგებელი ყოველ შემთხვევაში, როცა კი საჭიროება მოითხოვდა და როცა გაჩუმება შეუწყნარებელი რამ იქნებოდა. ამ გარემოების შეგნებამ დაჰბადა ორი ვრცელი წერილი – ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის პასუხად და „Москов. Вѣд.“-ის რედაქტორის კატკოვის წინააღმდეგ. ორივე წერილი იმ გვარი შინაარსისაა, რომ საჭიროა იმისი გაცნობაც, მით უმეტეს, რომ პირველი წერილი ეხება მწვავ სწავლა განათლების კითხვას, ხოლო მეორე – ჩვენის ეროვნების პატივის ცემას. ორივე წერილს ჩვენთვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ ავტორი ესაუბრება იმ გავლენიან კაცს – ერთს მათგანს ჩვენი სწავლა-განათლების სვე-ბედი ეჭირა ხელში, მეოხრე იყო რუსეთის რეაქციის წარმომადგენელი და მისს სიტყვას ერთ დროში დიდი გასავალი ჰქონდა რუსეთში. პირველი წერილი გამოწვეული იყო ოლქის მზოუნველის იანოვსკის წერილით. (დაბეჭდილა „კავკაზში“ 1881 წელს). სხვათა-შორის, ბ. იანოვსკი იმას ამტკიცებდა, რომ საერო სკოლაში (ჩვენში) რუსულს ენაზედ უნდა იყოს სწავლაო. ილია ჭავჭავაძემ უპასუხა: [2]).

„... ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან დაუხედველად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში – ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ

---

[1]) ibid.

[2]) „დროება“ № 33 1881 „ბ. იანოვსკის წერილის გამო“.



უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი არ არის, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა – და განა ეს სურვილია ვისთვისმე?.. მეორე აუცილებელი საგანი საერო სკოლისა ადგილობრივი, ერობრივი ელემენტი არის, ესე იგი, ის ბუნება, ის ერი, ის ყოფა ცხოვრება, რომელიც გარს არტყია მოზარდსა და რომელთ შორისაც ბავშვი ტრიალებს და სცხოვრობს სულითა და ხორცითა დაბადების დღიდამვ... თუ ესეა, რომ სამი წელიწადი დედა-ენის შესწავლებასაც არა ჰყოფნის, როგორც საქვეყნოდ აღიარეს თვითონ რუსეთში საერო სკოლის ოსტატებმა, თუ ესეა, რომ ახალი ძველის შემწეობით უნდა ისწავლებოდეს, შორეული – მახლობელით, უცნობი –

ცნობილით, მაშ ნუ თუ ერთსა და იმავე დროს რუსულის ენის და ჯერ კიდევ თითქმის უცნობის დედა-ენის სწავლება ჩვენს საერო სკოლებში უქმად დროს დაკარგვა არ არის, არამც თუ ურგები, როგორც სამართლიანად ამბობს თვითონვე ბატონი იანოვსკი, არამედ მავნებელიცო“.

ამ გვარად ავტორი სამშობლო ენის საჭიროებას მეცნიერულ საფუძველზედ აყენებს ა ამ ნიადაგზედ მდგარი ესაუბრება ოლქის მზრუნველს. – მეორე წერილი კატკოვის პასუხად გამოწვეული იყო რუსულ გაზეთის „Моск. Вѣд.“-ის გალაშქრებით ქართველებზედ და ქართულ დროშის სასაცილოდ აგდებით. 1882 წ. ტფილისში გაიმართა „სამშობლოს“ წარმოდგენა. ამ წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო და პიესას მხურვალე თანაგრძობა გამოუცხადა.

ამის შესახებ კატკოვის გაზეთმა სთქვა, რომ „სამშობლოს“ წარმოდგენაზედ დიდი ხარჯი მოუვიდათ ქართველებსაო და **ქართული დროშები** რომ გოდფრუას ცირკს მიჰყიდონ, კარგს იზმენო. ამ სიტყვებმა დიდი ალიაქოთი მოახდინეს ჩვენს საზოგადოებაში. ქართველობამ შეურაცხყოფილად სცნო თავისი თავი. ამ აღშფოთებულ გრძნობას ღირსეული დამშვიდება უნდოდა, საჭირო იყო ხმის ამოღება და ილია ჭავჭავაძემ შეიგნო ამ გვარი საჭიროება და დასწერა[1]):

---

[1]) „დროება“№ 40 1882 წ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავის გარდა კატკოვსვე გასცა პასუხი ერთ რუსულ გაზეთში თ. ლ. მაღალაშვილმა, მაშინდელმა მარშალმა.



„გაცვეთილის კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლელად დაცვისათვის არამც თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზედ სიცოცხლეს არ ჰზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია იმისი ეგრედ უკადრისად ხსენებას არ ვიცით რა სახელი დავარქვათ... ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში ჰსჭერია, თავის სისხლში ამოუვლია... ეგ დროშა, რომელიც ეგეთის სასოებით და პატივით უტარებია იმოდენა ხანს უწინდელს ქართველს, ეგ დროშა, რომელიც წინ დახვედრია... მტერს... და ძლევამოსილობით ომიდან გამოუტანია... დღეს ეგ დროშა საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვიღაც კორესპონდეტმა და ბ-ნმა კატკოვმა ბანი მისცა“.

ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ილია ჭავჭავაძე დიდის ყუ-

რადღებით ადევნებდა თვალს ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას და ამ ცხოვრების მოწესრიგებას და დაცვას უპირატესს მნიშვნელობას აძლევდა. რასაკვირველია, მისი ყურადღება იყო მიქცეული აგრეთვე ეკონომიურს კითხვებზედაც, მხოლოდ მაინც მისის შეხედულობით, პირველთ მეტი ადგილი უნდა ეჭიროთ ჩვენს ლიტერატურაში.

უნდა გავტყდეთ და ვაღვიაროთ, ამბობს ავტორი[1]), რომ სოციალურის და ეკონომიურის კითხვების შემუშავება ტოლად არ მიდიოდა ეროვნული კითხვების განვითარებასთან და თვალსაჩინოდ უკან რჩებოდა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში იყო, ვიდრე ეკონომიური; ეროვნული მხარე ჩვენის არსებობისა უფრო ძლიერ გვტკიოდა, გვაღონებდა, ვიდრე სოციალური.. ქონებით ჩვენი გლეხობა უკან არ ჩამორჩება რუსეთის გლეხობას; მაგრამ აბა შეადარეთ ჩვენის ენის, ლიტერატურის, ჩვენის მეცნიერების და სხვა ეროვნული ძალთა უფლებანი რუსეთისას და თქვენ მათ შორის დაინახავთ გაუზომელს მანძილსაო“.

---

[1]) „ივერია“№ 2 1882 წ.



ამ გვარად ილია ჭავჭავაძე ეროვნულ საქმეების ბელადად და მოსარჩლედ გამოდის – არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ მისი პირველ ხანის ეროვნული პროგრამა არამც თუ არ ეწინააღმდეგება ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, პირიქით, იგი სრული გამომსახველია ამ მდგომარეობისა.

ამისათვის ჩვენ თითქმის შეუცვლელად ვიღებთ მას სახელმძღვანელოდ. მხოლოდ ამ პროგრამას უნდა დავუმატოთ მის (პროგრამის) და ჩვენ დროის შესაფერი ეკონომიური მოძღვრება, იმგვარი სოციალურ ცხოვრების განმარტება, რომელიც ხშირად ეწინააღმდეგება ილია ჭავჭავაძის ეკონომიურ შეხედულებას.

საყურადღებოა, რომ ბ-ნ ჟორდანიას წიგნში „ქართული პრესსა“-ში, რომელიც ჩაითვლება ნიმუშად მიდგომილ და ცალმხრივ ლიტერატურულ ნაწარმოებისა, და რომელშიაც მიუხედავად ამისა ზოგიერთი მართალი მოსაზრებანიც არის გატარებული, ერთის სიტყვით არ არის აღნიშნული ეროვნული მხარე ილია ჭავჭავაძის ნაწერებისა. ამ მხარის მიმალვა შეუწყნარებელია მიუდგომელ კრიტიკისათვის, მით უმეტეს, რომ მასში გამოისახება საუკეთესო ნაწილი ჭავჭავაძის პუბლიცისტურ მოღვაწეობისა. აქ ავტორი თითქმის იმდენადვე ძლიერია, როგორიცაა ის თავისს ხელოვნულს ნაწარმოებში. და,

ვკითხულობთ რა ამ გულწრფელ, გულის სიღრმიდან გადმონაჩქეფ სიტყვებს, ჩვენდა უნებლიეთ გვაგონდება გლახის ნაამბობში დაწერილი სამი სტრიქონი, რომელიც ჩვენს მოვალეობას სამშობლოსადმი გვაცნობებენ: „სიცოცხლე ჩვენი ჩემო ძმაო., არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა, მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არა სჩანანო“...

II

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ ერთი შესამჩნევი მოვლენა. ერთი ნაწილი ქართველ ახალგაზდობისა (სამოცდაათ-ოთხმოც წლებისა) სამშობლოს გაურბოდა და თავის მოვალეობადა სთვლიდა რუსეთის საშუალებით კაცობრიობის მოძრაობაში ჩარეულიყო. რამდენად გულწრფელი იყო ამ ახალგაზდობის მისწრაფება, იმდენად უნაყოფო იყო მისი მოქმედება და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენმა ახალგაზდობამ, ასცდა რა



იგი სამშობლო ნიადაგს, კაცობრიობის სამსახური მოინდომა უშუამავლო ეროვნულ ჩარჩოების გარედ.

ბევრი რამ იყო ჩვენს ცხოვრებაში იმისთანა, რამაც დაჰბადა ჩვენში ეს „უნიადაგო“ ტიპი. ერთის მხრით ჩვენი ცხოვრება ვერ აკმაყოფილებდა განვითარებულ გონებას, მეორეს მხრით, ვიწრო პატრიოტულმა მიმართულებამ, რომელიც თანდათან ფეხს იდგამდა ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში და რომლის დამახასიათებელი თვისება იყო თავმოწონება, წარსულ გმირთა და ცხოვრების თაყვანის ცემა, განურჩევლად იმისა, თუ რა იყო ამ წარსულში სათაყვანებელი და რა გასაკიცხი, როგორღაც დააფთხო, დაქსაქსა ჩვენი ახალგაზდობა. და ამ დაქსაქსვასაც გარემოება ხელს უწყობდა – ჩვენი განათლებული ახალგაზდა თავის სიჭაბუკეს უცხო ქვეყანაში ატარებდა. რამდენისამე წლის განმავლობაში იგი ეცლებოდა ჩვენს დაქვეითებულ ცხოვრებას და ატარებდა რუსეთის დიდ ცენტრებში, საცა შედარებით ცხოვრება სდუღდა, საცა ახალგაზდა კაცი ადვილად ჰპოულობდა გონების საზრდოს და თავის გულის პასუხსაც აკმაყოფილებდა. ყველა ამან დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში შესამჩნევი კვალი. გამოიწვია ერთგვარი მოძრაობა, რომელსაც ჩვენ „უნიადაგო“ მოძრაობას ვუწოდებთ. ამ მოძრაობას უნიადაგობის სახელს იმიტომ კი არ ვაძლევთ, რომ იგი ვითომ ჩვენის ცხოვრებიდან წარმოშობილი არ ყოფილიყოს, არამედ იმიტომ, რომ მან უმგზავსი, უსამართლო და მიდგომილი ხასიათი მიიღო.

ჩვენებურმა ვიწრო პატრიოტობამ რეაქცია გამოიწვია. ეს რეაქცია გამოისახა კაცობრიობის ფართო, ფრთებ-შეუკვეცელ სამსახურის სურვილში. ახალგაზდა ქართველი ჰშორდება ეროვნულ ნიადაგს და ამ დაშორებით თანდათან სულიერ კავშირსაც ჰკარგავს იმ წრესთან, რომელშიაც იგი აღიზარდა. ამ სულიერ კავშირის გაწყვეტასთან მის გულში სამშობლოსადმი გულ-გრილობამ და უსამართლობამ დაისადგურა. არც წარსულში, არც აწმყოში, არც მომავალში ის არა ხედავდა სანუგეშოს, სანუკვარს, გამახალისებელს და გულის გამკეთებელს. ბარბაროსობა წარსულში, ბარბაროსობა აწმყოში და მომავალი ბურუსით მოცული – აი ის დასკვნა, რომლამდინაც მივიდა ერთი ნაწილი ჩვენის ძველი თაობისა თავის ახალგაზდო-



ბაში. ამ მიმართულების[1]) ტიბიური გამომსახველი იყო ბ-ნი ნარ-დონი, „Письма о Грузіи“-ს ავტორი.

„Письма о Грузіи“-იმ თავზარი დასცა ჩვენს საზოგადოებას. შთაბეჭდილება მით უფრო ძლიერი იყო, რომ ამ წერილების ავტორი შემოსილი იყო მეცნიერების სამოსელით და მისი მკაცრი მსჯავრი თვით სამართლიან ულმობელ მეცნიერების მსჯავრს მოაგონებდა კაცს. ამ წერილებში დამცირებული იყო არამც თუ ის, რაც მართლა დასამცირებელი იყო, არამედ ისიც, რითიც თავი მოგვწონდა და რითაც გაჭირვებაში თავს ვინუგეშებდით. ავტორმა თავის სურვილისამებრ გადააკეთა ჩვენი ისტორიის დასაწყისი მისი მიმდინარეობა, ჩამოაცალა ჩვენს თვალში ყოველი ღირსება და ჩვენს სულ-მოკლეობას საზრდო მისცა. ამ მიმართულების წინააღმდეგ გალაშკრება იყო საჭირო, საჭირო იყო პასუხის გაცემა, საზოგადოების დამშვიდება, აღგზნებულ ცუდ ვნებათა ჩაქრობა. ერთის სიტყვით, დრო მოითხოვდა ჩვენი ისტორიის უმთავრესს მომენტების გადასინჯვას, ცრუ მეცნიერულ დასკვნების დარღვევას. საჭირო იყო ჩვენს თავზედ მოგროვილ ღრუბლების გაფანტვა, ჩვენი არემარის მზის სხივებით მოფენა და განათება. აქაც ილია ჭავჭავაძე გამოდის და სწერს თავის ყოველის მხრივ შესანიშნავ „აი ისტორია“-ს [2]).

საკვარველია! მგონი, არსად არ უნდა იყოს გავრცელებული ესოდენ ცალმხრივი უსამართლო დაფასება კაცისა, როგორც ჩვენში. თუ ერთ რამეში არ მოგვწონს კაცი, ჩვენ ვცდილობთ, ყოველ ღონისძიებასაც ვხმარობთ დავაქვეითოთ, დავსცეთ და ფეხ ქვეშ გავთელოთ ადამიანი. სწორედ ამავე მიდგომილობასვე ვიჩენთ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც კაცს ვაქებთ და როდესაც მისი აზრები მოგვწონს – აშკარა სისულელე და უგუნურებაც რომ წამოროშოს ამ კაცმა,

ჩვენ ვერ დავინახავთ ამ უგუნურებას. მეტის-მეტის სიფიცხით, ვნებათ ღეზვით და აჩქარებით მოგვდის ყველა ეს.

აი თუნდა ჭავჭავაძის მაგალითი ავიღოთ. ეს არის დავი-

---

[1]) Сѣв. Вѣст. 1889 г. Февраль и Мартъ.

[2]) ამ ნაწარმოებს დღევანდელი განვითარებული ისტორიოგრაფიის თვალით რომ შევხედოთ თავისი ნაკლულევანებაც აქვს, ხოლო მიუხედავად ამისა მისი საზოგადოებრივ-ეროვნული მნიშვნელობა დღესაც დიდია.

ავტორი 1911 წ.



წყეთ ჩვენ ამ მწერლის დაფასება, დავბეჭდეთ წერილი, რომელშიაც თანხმობა გამოვუცხადეთ ეროვნულ კითხვების განმარტება-გარკვევაში და ამასთან ისიცა ვსთქვით, რომ მისს ეროვნულ პროგრამას სხვა ეკონომიური საფუძველი უნდა დავუდოთ. ამის შესახებ „კვალის“ 30 №-ში ვკითხულობთ: „ჩვენ გვაკვირვებს მხოლოდ ის გარემოება, თუ რად უღალატა ბ-მა ჯორჯაძემ თავის მანერას, თუ რად შესცვალა მან წერის კილო? ესე იგი თანახმად თვისი ეკონომიური პროგრამისა, პირდაპირ, შეუკიბ შემოუკიბავათ, რად არ უარჰყო ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამა?“ ყოველივე ეს ამ სიტყვების ავტორს იმისთანა დანაშაულობად მიაჩნია, რომ იგი გულმტკივნეულად დასძენს „ჩვენ ძლიერ ვწუხვართ ბ. ჯორჯაძისთვის, რომ იგი ასე ჩქარა დამდგარა თავდაღმართ გზაზეო“...

როგორც ხედავთ, „თავდაღმართ გზაზე“ დადგომა ყოფილა სწორედ ის შემთხვევა, როდესაც თქვენ გაბედეთ და სთქვით, რომ ამა და ამ კაცის ერთი აზრი მომწონს, ხოლო მეორე არა. ეს შეუწყნარებელია, ორივე აზრი ერთად ან უნდა მოგწონდეთ, ან არ მოგწონდეთო. ასე ვსჯით ჩვენ და ამ ჰაზრებით ანუ უკეთ ამ „ვნებით“ საჯაროთაც გამოვდივართ. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის დაფასებას, აქ ჩასაფრულია სხვა მოსაზრებაც, რომლის დარღვევა აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია. „კვალი“ უმთავრესს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ცხოვრების ერთ მხარეს ეკონომიურ ურთიერთობას და ამას სდებს ეროვნულ და პოლიტიკურ ცხოვრების საძირკვლად. თუ ამ აზრზედ დავდექით და ყოველი ჩვენი კითხვა ეკონომიურ ურთიერობიდამ გამოვიყვანეთ, მაშინ, რასაკვირველია, თქვენი ეკონომიური პროგრამა იმავე დროს თქვენი ეროვნული და პოლიტიკური პროგრამაც იქმნება. მხოლოდ, თუ ამაში არ დასთანხმდით და ის აზრი გამოსთქვით, რომ ეკონომიური ურთიერთობა მხოლოდ ერთი მხარეა ცხოვრებისა და ამ ცხოვრების მეორე მხარესაც ისეთივე დიდი გავლენა აქვს ცხოვრების მომდინარეობაზედ, თუ მხედველობაში მიიღეთ „განსაკუთრებული“ პირობები, რო-

მელშიაც პოლიტიკურმა ცვლილებამ ჩვენი ერის სვე-ბედი ჩა-
აყენა, და თუ ამ მოსაზრების ზედგავლენით თქვენ შეიმუშა-
ვეთ იმგვარი ეროვნული პროგრამა, რომელიც ჩვენი განსა-
კუთრებულ პირობების დაგვარი იქმნება, – მაშინ ეროვნულ



და ეკონომიურ პროგრამების გაერთიანება არ არის საჭირო.
უკეთ ვსთქვათ, მაშინ ეროვნული პროგრამა თავისს შინაარ-
სით ეკონომიურ ურთიერთობის განმარტების პროგრამად აღარ
ჩაითვლება და ამისათვის, ამ შემთხვევაში, სხვა და სხვა საზო-
გადოებრივ ჯგუფებს შეიძლება ჰქონდეთ სხვა და სხვა გაგება
ეკონომიური ცხოვრებისა, მხოლოდ **ერთი** განმარტება ეროვ-
ნულ კითხვებისა. აი ჩვენ სწორედ ამ მოსაზრების ძალით ვამ-
ბობთ, რომ ილია ჭავჭავაძის (პირველ ხანის) ეროვნული პროგ-
რამა არც ჩვენ ეროვნულ კითხვების განმარტებას ეწინააღმდე-
გება, არც უნდა ეწინააღმდეგებოდეს თვით „კვალის“ პუბ-
ლიცისტებისასაც.

„აი ისტორია“-ში ილია ჭავჭავაძე გვაძლევს იმ საზომს,
რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ქართულ ისტორიის უმ-
თავრესს მომენტების დაფასებაში. ავტორს აქვს მხედველობა-
ში პოლიტიკური და კულტურული მხარე ჩვენის ისტორიისა.
ჩვენ არ გამოვუდგებით აქ იმის აღნუსხვას, თუ რა და რა აზ-
რი დაურღვია ჭავჭავაძემ „Письма о Грузіи“-ის ავტორს.
ჩვენ მოკლედ აღვნიშნავთ ჭავჭავაძის მოსაზრებას ქართველე-
ბის ძველებურ გარეშე პოლიტიკაზედ, ქრისტიანობის მნიშვ-
ნელობაზედ საქართველოში, ჩვენს ძველ ხუროთმოძღვრება-
ზედ, ქართულ ენის გავრცელებაზედ და სხვა. და ამასთან ვეც-
დებით გამოვააშკარავოთ ავტორის საზოგადო შეხედულება
ისტორიაზედ, კრიტიკაზედ და სჯულის ევოლიუციაზედ. „აი
ისტორია“ იმგვარ ნაწარმოებთაგანია, რომელიც, ერთის მხრით,
წარსულ ისტორიის ვითამდა უნაყოფობის აზრს აქარწყლებს,
მეორეს მხრით, გვაძლევს მასალას ავტორის ფილოსოფიურ
შეხედულების გათვალისწინებისათვის.

ჰქონდა თუ არა ქართველობას ისტორიის მსვლელობაში
განსაზღვრული პოლიტიკური იდეალი და ამ იდეალის მისაღ-
წევად შესაფერი მოქმედებაც, თუ იგი მოკლებული იყო პირ-
ველსაც და მეორესაც და მისს პოლიტიკურ ცხოვრებას არა-
ვითარი გონიერი აზრი არა ჰქონდა? აი რას გვეუბნება ავტო-
რი ამ კითხვაზედ:

... მას შემდეგ, რაკი სომხეთი შეიმუსრა, სამხრეთი ჩვე-
ნი ღია დარჩა მტერთათვის შემოსასევად. ამ მიზეზის გამო,
სომხეთის შემუსვრის შემდეგ, არც ერთი მეფე არ ყოფილა
ღირსეული ამ სახელისა, რომ თვალი სამხრეთისაკენ არ სჭე-

როდეს და აქედ საბრძოლველად არ გამოსულიყოს, რომ ან ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზედ შორს გაედგა მოსვენებისა და უშიშრობისათვის, ან მტრისათვის იმისთანა ზარი დაეცა, რომ დიდხანს აღარა შემოებედა-რა საქართველოსთვის. ეს პოლიტიკური საჭიროება, რომელიც მთავდებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფნასა და არსებობასა... განა სულელები იყვნენ დავით აღმაშენებელი და მისნი შემდგომნი თამარამდე და თამარის შემდეგ სხვა მეფენიც, რომ სულ აქედ იწევდნენ საომრად. ქართველებს ამ მხრით რომ გამაგრება მოესწროთ – ვინ იცის – საქართველოს ბედი როგორ დატრიალებულიყო საუბედუროდ ეს ვერ მოასწრეს და ამისი მცდელი კი სხვათა შორის თამარი ჩვენმა ავტორმა (ბ-ნმა ნარდონმა) გამოაკლო დიდებას და სახელსა [1])".

ამრიგად, ავტორის შეხედულებით, ჩვენი ძველი დროის პოლიტიკური ცხოვრება სტიქიონს არ მოაგავდა) მისი მსვლელობის შინაარსი შემთხვევაზე არ იყო დაფუძნებული, პირიქით, გონივრულად გამოანგარიშებულ მოსაზრებაზედ. ჩვენი მეფეები სულ სამხრეთისაკენ იწევდნენო, აქ იყო საჭირო ჩვენი დამაგრება, რადგან აქედან გვაწვებოდა ის ძალა, რომელმაც ჩვენს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ბოლო მოუღო. დავით აღმაშენებელი და თამარი ამ აზრებით ხელმძღვანელობდნენ, ის თამარი, რომელზედაც ჩვენს ავტორს მოჰყავს ერთი გერმანელის სიტყვები: თამარ მეფე იმისთანა სახელია საქართველოში, რომ კლდე, ღრე, ქვა, რასაც ხელს ახლებ და თვალს მიაკარებ, ყველა იძახის ამ სახელოვანის მეფის სახელსა...

პოლიტიკურ ცხოვრების განმტკიცებაში საქართველოს დიდ სამსახურს უწევდა ქრისტეს სჯული. ერთ ჩვენ წერილში ჩვენ აღვნიშნეთ ეროვნული ხასიათი ქართულ ძველ ეკლესიისა – ეს ჩვენი მოსაზრება სასაცილოდაც არ ეყოთ ჩვენს ცრუ თავისუფალ მოაზრეთ. „სამღვდელოებას ანიჭებთ დიდ ნაციონალურ როლსა და ხალხს კი მარტო შრომას და გაჩუმებას უქადაგებთო". ამ ჟამად თავი დავანებოთ იმას, რასაც ჩვენ ხალხს ვუქადაგებთ, მხოლოდ მივაქციოთ ყურადღება ჩვენი ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მისის შეხედულებითაც სარწმუნოებას ჩვენი პოლიტიკურ საძირკვლის გამაგრებისათვის.

---

[1]) „ივერია" № 90 1889 წ.

„ქრისტეს სჯული ქართველებისათვის, ამბობს ავტორი, მარტო სარწმუნოებრივი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობა ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელი არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდამ სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის ქართველი ერი ამისათვის უფთხილდებოდა თავის სჯულს, რომელიც თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა [1])“. ამნაირადვე სამართლიანად მსჯელობს ავტორი შესახებ რელიგიურ ხუროთ-მოძღვრებისა. „ჩვენ, რა თქმა უნდა, გვეუბნება ავტორი, ჩვენს ხუროთ-მოძღვრებას საქვეყნო მნიშვნელობას არ ვაძლევთ, მხოლოდ ვამბობთ, რომ ერს შეხვდება ხოლმე დრო, როცა – თუნდ მონასტრებისა და ტაძრების შენებით – წყურვილს სულისას იკლავს ხოლმე. ეს საპატიო წყურვილია, იმიტომ, რომ სათავე წარმატებისა ეს წყურვილია და სხვა არა“.

მხოლოდ ყველა ეს საკმარისი არ არის ისტორიულ სინამდვილის აღსადგენად. ერის კულტურა და მისი სულიერი ძალა, სხვათა შორის, იმითაც გაიზომება, რამდენადაც გავრცელებულია მისი ენა. ორი მეზობელი ხალხი ხშირად ითვისებს ხოლმე ერთი ერთმანეთის სიტყვებს. მხოლოდ ის ერი, რომლის ენაში ნაკლებია უცხო ერის სიტყვები, კულტურით შედარებით მაღლა უნდა იდგეს. მაგრამ მას, რაც ჩვენდა სასარგებლოდ ღაღადებს, ჩვენი კულტურის დამცირებისათვის ხმარობდნენ ბევრნი და მათ შორის „Письма о Грузіи“-ის ავტორიც. ჭავჭავაძეს მოჰყავს ლენორმანის და გატტერიასი ორი დიდ მეცნიერის მოწმობა ამ საგნის შესახებ. გატტერიასი გადაწყვეტით ამბობს, რომ თუ მომეტებული ნაწილი ქართულ სიტყვებისა იპოვება სომხურ ენაში, ეს იმას ამტკიცებს, რომ იგინი სომხურს ენას შეუთვისებია ქართულის ენისაგან, რომელიც ოდესღაც დიაღ გავრცელებული უნდა ყოფილიყო დიდს სომხეთში, ვიდრე არიელები შემოვიდოდნენ [2]). ასე რომ ქართულ ენას კი არ შეუთვისებია სომხური სიტყვები, არამედ სომხურ ენას ქართული. და ეს აგრეც უნდა ყოფილიყო, რად-

---

[1]) „ივერია“№ 90, 1889 წ.

[2]) „ივერია“ 1889 წ. № 106.



გან, იმავე მეცნიერების აზრით, როდესაც პირველად მოვიდნენ სომხები დიდ სომხეთში (გეოგრაფიული ტერმინია – ჰაიასტანს არ ნიშნავს), ქართველებს, იქ დასახლებულებს, უკვე

შესამჩნევი კულტურა ჰქონდათ.

რაც შეეხება თვით ქართულის ენის ჩამომავლობას, ავ-ტორი არა სწყვეტს გადაჭრით ამ კითხვას (მეცნიერებაში არ არისო გადაწყვეტილი). მხოლოდ „Письма о Грузіи“-ის ავ-ტორის შესახებ ამბობს: „ავტორს ჰსურს ქართული ენა არი-ულის, სემიტიურის და თურანულის ნაბიჭვრად გაჰხადოს, რო-მომავლობით და ღირსებით ხომ მიწასთან გაასწოროს, რო-. გორც ყველაფერი, რასაც კი ქართული სახელი ჰქვიან“.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ილია ჭავჭავაძის მოსარჩ-ლეობა მყვირალა, ცრუ-პატრიოტული მოსარჩლეობა არ არის. ყოველი მისი დასკვნა დაფუძნებულია დაფიქრებაზე, ფაქტების ცოდნაზე და მეცნიერულ ჭეშმარიტებაზედ. მას აქვს სახელმ-ძღვანელოდ მეცნიერული კრიტიკა და ამ კრიტიკის საშუა-ლებით იკვლევს იგი გზას. „არის კრიტიკა, რომელსაც მეც-ნიერული კრიტიკა ჰქვიან, – ამბობს ავტორი, – იგი „ჰო“-ს სათქმელსაც და „არა“-ს სათქმელსაც ერთ ნაირის აწონ-და-წონვით ეპყრობა, იგი იმითია ღირსეული, რომ „ჰოს“ სათქ-მელსაც და „არა“-ს სათქმელსაც ერთ ნაირის სიფრთხით ეპყ-რობა. იგი იმითია ღირსეული, რომ „ჰო“-ს საბუთსაც ისე-თისავე გულმოდგინებით იძიებს, როგორც „არა“-ს საბუთს, რად-განაც სახეში მარტო მართალი აქვს და სხვა არა-რა. იმისთა-ნა კრიტიკა მართლ-მოყვარე გამომძიებელია და მართლ გამ-კითხავი სასწორი“[1]).

გავიცანით რა ჭავჭავაძის შეხედულება კრიტიკაზედ, ჩვენ თანდათან მივუახლოვდით ავტორის ფილოსოფიურ აზრებს. ჩვენს ეხლანდელ მწერლობაში ბევრს ლაპარაკობენ სხვა-და-სხვა სოციოლოგიურ თემებზე, სხვათა შორის, იმაზედაც, თუ რა ჰქმნის ისტორიას, რა არის იმისი მმოძრავი ძალა და სა-ფუძველი. ამ კითხვების გადაწყვეტაში ჩვენში თან-და-თან ფეხს დგამს „მარქსისტიული“ შეხედულება ისტორიულ პროცესსის მსვლელობაზე. „მარქსისტიული“ შეხედულება, როგორც მო-ეხსენება მკითხველს, იმაში მდგომარეობს, რომ მწარმოებელი

[1]) „ივერია“ 1889 წ. № 106.



ძალა და ხალხის ეკონომიური ურთიერთობა იგულისხმება, რო-გორც ისტორიის უმთავრესი ფაკტორი – იგია ისტორიის შემ-ქმნელი ძალა; სხვა, დანარჩენი, ამ ძალის შედეგია ანუ „ზედ-ნაშენი“; ამ გვარ ისტორიის განმარტებას უწოდებენ ეკონო-მიურ მატერიალიზმს. საინტერესოა, რა გვარად ხსნიდა ამ კითხვებს ჩვენი ავტორი? ამის შესახებ აი რას ვკითხულობთ იმავე „აი ისტორია“-ში [1]).

... „ცივილიზაცია ანუ წარმატებულობა ადამიანისა მიზეზი კი არ არის, არამედ შედეგია ყოველ იმ ძალ-ღონისა **ერთად,** რომელნიც **ერთად კრებულად** მოქმედობენ კაცობრიობაში საზოგადოთ და თვითვეულ ერში ცალკე. (ხაზს ჩვენ ვუსვამთ ყველგან). ამგვარს ძალ-ღონებს სოციოლურ ძალ-ღონეს ეძახიან. ცოდნა, გონებრივი და ზნეობრივი აღმატებულება, მრეწველობის, სიმდიდრის მეტ ნაკლებობა, რწმუნება (Вѣрованія) იმ საგნების მიმართ, რომელნიც ადამიანისათვის უდიდესად მისაჩნევია, მართველობა, წეს-წყობილება ოჯახური, საზოგადოებრივი, სამოქალაქო; კანონები, ჩვეულებანი, ზნეხასიათი და სხვა ამისთანა **სულ ერთად** ჰქმნის იმას, რასაც რომელისამე დროის მდგომარეობის ერისას, თუ კაცობრიობისას ეძახიან, ანუ ცივილიზაციას თავის მეტ-ნაკლებობით“.

ასე რომ, როგორც ვხედავთ, სოციოლოგიურ კითხვების გადაწყვეტაში ჩვენი ავტორი უფრთხის ცალ-მხრივ დოქტრინალურ მოძღვრებებს. იგი ერიდება ცალ-მხრივ მოძღვრების საშუალებით რთულ და მრავალშტოიან ისტორიულ ცხოვრების განმარტებას. ამისთვის, ავტორი უარ-ჰყოფს სოციოლოგიაში როგორც აბსოლიუტურ იდეალიზმს, ისე აბსოლიუტურ მატერიალიზმს. მისის აზრით, მრეწველობის, სიმდიდრის მეტ-ნაკლებობა (ეკონომიური ურთიერთობა და მწარმოებელ ძალთა ვითარება), ოჯახურ, საზოგადოებრივ წეს-წყობილებასთან, ცოდნასთან და ზნეობრივ განვითარებასთან **ერთად** ჰქმნიან ისტორიას.

არა ნაკლებ საყურადღებოა ჩვენი ავტორის მოსაზრებანი პირველ ყოფილ რელიგიაზედ. ეს კითხვი თეორეტიულადაც ფრიად საინტერესოა ქართველების პირველ-ყოფილ რელიგიის გარკვევისათვისაც. ბევრსა ჰგონია, ვითომ თავდაპირველად

---

[1]) „ივერია“ 1889 წ. № 77.



ქართველები კერპებს ემსახურებოდნენ და კერპთ-თაყვანისმცემლობა პირველ-ყოფილ რელიგიად მიაჩნიათ როგორც ჩვენში, ისე სხვაგანაც. ჭავჭავაძე იმ აზრისაა, რომ „თავდაპირველად ქართველები ერთს ღმერთს სცემდნენ თაყვანსა... მას მერმე ქართველებს, ჩვენის მატიანეს სიტყვით, მრავალღმერთობა შემოუღიათ და ბოლოს ხომ კერპთ მსახურებაო [1])“. ამ აზრის დასასაბუთებლად ავტორს მოჰყავს ფრიად საყურადღებო მოსაზრება. და ეს მოსაზრება მით უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია, რომ იგი ეთანხმება თანამედროვე, ჩვენი დროის სოციოლოგიურ გამოკვლევებს – მაქს მიულერისას, რიზ დევიდსისას და სხვებისას.

„პირველ-დაწყებით სჯულად მეცნიერებაში ცნობილია თაყვანის-ცემა ცისა: ეს ცის თაყვანის-მცემლობა ერთ ღმერთობას მოასწავებდა, არა იმისთანას, რომ ეპირისპიროს მრავალ-ღმერთობას, რადგან მრავალ-ღმერთობის აზრიც არ იყო ჯერ იმ ხანში. ამ პირველ ყოფილ ერთ-ღმერთობას მოჰყვა მრავალ-ღმერთობა... ამ ორ ხანაში ადამიანს წარმოდგენილი აქვს ღვთაება განყენებულად; აქ ღვთაება იდეაა, აზრია და მას არავითარს ნივთიერს სახეს არ აძლევს ადამიანი არც გამოსახვით, არც გამოქანდაკებით. დიდი დრო გადის, ვიდრე ადამიანი ცალკე გამოარკვევს ხილულ ბუნებისაგან უხილავ, ხორც-უსხმელს ღმერთებს და ხილულად და ხორცეულად გარდაჰქმნის სალოცავად. კერპები, რომელნიც წარმოადგენენ უხილავთა ღმერთთა ან გამოხატულობით, ან გამოქანდაკებით, ახალს ხანას მოასწავებენ სარწმუნოების განვითარებისას და წარმატებისას და ძალიან წინ წასულია, პირველ დაწყებით ბუნების სჯულს რომ შეადაროს. ადამიანს დიდი და ხანგრძლივი დრო მოუნდა, დიდი წინ წაწევა განვითარების გზაზედ, ვიდრე კერპთ მსახურებამდე მიაღწევდა“[2]).

ეს მეცნიერთა გამოკვლევაზე დამყარებული შეხედულება ფრიად გამოსადეგია ჩვენი ისტორიის დასაწყის ხანის შესწავლისათვის, მეტადრე იმ აზრის დარღვევისათვის, რომელიც გვაუწყებს, ვითომ ის ხანა ჩვენის ისტორიისა, რომელსაც „მცხეთის ხანას“ უწოდებენ, პირველ დაწყებითი ხანაა და

---

[1]) „ივერია“ № 130. 1889 წ.

[2]) „ივერია“№ 120. 1889 წ.



კერპთ მსახურება, ეგრე გავრცელებული საქართველოში ქრისტეს რჯულის გავრცელებამდე, პირველ-ყოფილი რელიგია ყოფილიყოს ქართველებისა.

ამ სახით, ჩვენ გავითვალისწინეთ ილია ჭავჭავაძის გონივრული ფიზიონომია. ჩვენ ჯერჯერობით გვაინტერესებდა ჩვენი ავტორი, როგორც ეროვნული მწერალი და ამ მწერლის გასაცნობად, იმის გონების ავლა-დიდების გასაზომად საჭირო იყო გადაგვესინჯა ავტორის შეხედულიბანი სხვა-და-სხვა სოციოლოგიურ კითხვებზედაც. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რა იარაღით არის შეიარაღებული ჩვენი მწერალი, ჩვენ მოკლედ აღვნიშნეთ მისი მეცნიერული მომზადება. ამ კითხვებს შემდეგში კიდევ დავუბრუნდებით. ამ ჟამად კი ავტორის დასახასიათებლად, იმისს ეროვნულ გრძნობათა გამოსასახავად გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება ავტორის „მგზავრის წერილებზე“.

მწერლის ნამდვილი ხასიათის გასაგებად ძალიან გვშველის იმისი სულიერ ცხოვრების გაცნობა. საუკეთესო წყაროდ ამ სულიერ ვითარების გასაცნობად თვით მწერლის ნაწერები უნდა ჩაითვლებოდეს, რადგან სხვა, გარეშე პირი, ვერ გამოსახავს ნათლად და მარტივად კაცის საიდუმლო სულის მდგომარეობას.

ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ (1861 წ.) – ეს ხელოვნური ნახევრად პუბლიცისტური ნაწარმოები – მდიდარი მასალაა ავტორის დაფარულ ვინაობის გასარკვევად, იმის აზრების, გრძნობების და მისწრაფების ასახსნელად. თუმცა ჩვენ ემჟამად არ ვეხებით ავტორის ხელოვნურ ნაწერებს, მაგრამ არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ავტორის „წერილებში“ ზოგიერთ ხელოვნურ ადგილებზე, სწორედ იმ ადგილებზე, რომელნიც გვიხატავენ ავტორის საზოგადოებრივ ხასიათს, იმისს მოქალაქობრივ ენერგიას და ბრძოლისუნარს. მაშ ყური დავუგდოთ თვით ავტორს.

„მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი.. მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს – ერთის სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებითა საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალ



შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედა მიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯინებია. განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მიდის და მიბღავის და აბღავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. **თერგი სახეა, ადამიანის გაღვიძებულ ცხოვრებისა**, ამაღელვებელი და ღირს-საცნობი სახეც არის. იმის ღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია, როგორც უკვდავება და ჩუმია, როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნიერებას ბედნიერების ქვა-კუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენომა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, **თერგის სახე უფრო მომწონს და**

**უფრო მიყვარს**. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება! არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარ ბაირონსა. ნეტავი შვნ თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. **მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყ-- ნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი**"[1])...

ამ პატარა ხელოვნურ ნაწყვეტში მკაფიოდ გამოიყურება, ავტორის სულიერი ვითარება, მისი საზოგადოებრივი ტემპერამენტი, მისი ცხოვრებისადმი სიყვარული. აქ ჩვენ გვაქვს საქმე ევროპიელ ქართველთან, რომელსაც უარუყვია, უკუ-- უგდია აღმოსავლეთის უსაქმობა და უმოძრაობა.

„მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო,

---

[1]) თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, II „მგზავრის წერილები".



ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი, – ამბობს ავტორი, რომელიც ეტრფიალება თერგს, – რადგან იგია სახე ადამიანის გაღვიძებული ცხოვრებისა", ცხოვრება მდინარეს მიაგავს. შეჩერდება თუ არა მისი მოძრაობა, იგი „მყრალ გუბედ გადაიქცევა ხოლმე. მოქმედება, დაუღალავი მოძრაობაა თავდები ცხოვრების წინ-მსვლელობისა, წარმატებისა. ავტორი თვითონვე გვაძლევს თავის სულიერ ცხოვრების გასაღებს, საზოგადო მოღვაწე, გატაცებული საქმით, მოქმედებით, თვით ცხოვრების მიმდინარეობით არ უნდა გრძნობდეს სულის ობლობას, ცხოვრებისაგან ჩამორჩენას, გამორიყვას". არის იმისთანა წუთნი მარტოობისა, გვიხსნის ამ აზრს ავტორი, როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიაც არსად მარტო არა ხარ, ჰოი ორ-ფეხო ცხოველო, რომელსაც ადამიანს ეძახიან. (ibid.) ასევეა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც, ჩვენ თითქოს ჩვენსას ვაგებინებთ და იგი თავისას ჩვენ გვაგებინებს. ამგვარი მჭიდრო კავშირია კაცისა და ცხოვრების შორის. და ამ კავშირზე გვესაუბრება თვით ავტორიც: „ამ ღამეს ვგრძნობ, გვეუბნება ის, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა. გული მიტოკს და მკლავი მითრთის. რისთვის? დროს დავაცადოთ ამის პასუხის მიცემა". (ibid) ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ ბევრმა წელმა გაიარა – ეს იყო

დრო ჭავჭავაძის სალიტერატურო და საზოგადო ასპარეზზე მოქმედებისა. და აი დღეს სწორედ ამ „დრომ“ მოგვცა პასუხი ავტორის მიერ დაყენებულ კითხვაზედ. ეს პასუხი მისი მოღვაწეობაა, მისი ნაწარმოები, რის დაფასებას და გარჩევას ჩვენ ვკისრულობთ დღეს.

ამ რიგად ჭავჭავაძე გვიწვევს ჩვენ ცხოვრებაში საბრძოლველად, ის არ გვიმალავს, რომ ეს ცხოვრება „ტანჯვაა, წვალება, ბრძოლა და ვაი-ვაგლახი“. სხვა გზა, სხვა ხსნა არ არის. ან ბრძოლა, ან სიკვდილი. მხოლოდ ბრძოლისათვის მომზადება უნდა; ცხოვრებას ჩაფიქრება ესაჭიროება და გამოაშკარავება ყველა იმისა, რაც მისს ვარამს შეადგენს. და აი ჭავჭავაძე სცდილობს დაგვანახვოს ჩვენი ნამდვილი მდგომარეობა, ის, თუ საიდან წარმოსდგება ჩვენი საერთო უბედურება, უნუგეშობა. ყური დავუგდოთ.

- 103 -

„ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს, – ვუთხარი მოხევეს, როცა მე დამეწია: აი სტეფან-წმინდის პირდაპირ რა მონასტერია?

– თერგ-გაღმით?

– დიაღ.

– გიწყალობნოსთ ცოცხალთა, შეგინდოსთ მკვდართა წმინდა სამების სახტარი არნ, უწინართ განძთა საფარი, **ერთა საბჭო** (კურსივი ჩვენია ყველგან).

– როგორ თუ განძთა საფარი, ერთა საბჭო?

– ქართველთა მეფეთა განძი აქაიდ უფარვენ მტრიანობას, მცხეთაიდ საუნჯე საფარად აქ ზიდულა მრავალჯერ.

– საბჭო რაღა არის?

– საბჭოი? იქაიდ არნ სენაკ, სად სამართალი ბჭეთაგან იბჭოდის. რაიცა მძიმა საქმე ხევჩი ავარდის, მუნ იბჭობიდნეს.

– ვერ მეტყვი, როგორ იყო ეგ ბჭობა და რაზედ უფრო მოხდებოდა ხოლმე.

– რაიდ ვერ გეტყვი? რაიც ვუწყი შეგასმენ. როდის ასტყდის ერობაჩი დიდ-დავა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას აქაიდ გამართვინ, არჩივინ ბჭედა ბრძენ-ბერ-კაცნი, პეიტრობით [1]) სახელდებულნი, დასხმიან მათ იმ სენაკჩი საბჭოზად. რაიც მერედ სამების სახელით, ხთისგან მათხავნილ მადლით იგინ ბჭენის თქმიან, გადასჭრიდიან, არვინ შეშლიან, არვინ გადავლიან.

– შენ მოსწრებიხარ მაგისთანა ბოჭბას?

– რაიდ შევესწროდი? ადრინდალ თქმულობას გიზრახვენ.

– **ეხლა რატომ აღარ არის ეგა?**

– **აწინა?..**

ჩაფიქრდა ჩემი მოხევე და პასუხი კი არ მომცა. ცოტა ხანს შემდეგ თითონ მკითხა მე:

– შენ რაი მილეთის ხარნ?

– ქართველი ვარ, განა ვერ შემატყე?

– რაიდ შეგეტყვის? ტალავარ [2]) არა გაქვნ ქართველთა: რუსად მორთულხარნ.

– კაცს ქართველობა მარტო ტანისამოსზედ შეეტყობა?

---

[1]) პეიტრობით – მეტის გონებით სახელგანთქმულნი.

[2]) ტალავარი – ტანისამოსი.



– თვალთათვის ტყობად სამოსელ არნ.

– ენა და საუბარი?

– ქართველ ენად ბევრი საუბრობს: სვამეხიც, ოვსიც, თათარიც, სხვა მილეთიც.

– ტანისამოსს ქართველისას კი ცოტან იცმენ?

– ქართველის ტალავრის იერი [1]) სრულად სხვაია. რუსულჩი ქართველ კაცს მეუცხოვების.

– ქართველი გულათ უნდა ქართველობდეს თორემ ტანისამოსი რა არის?

– მართალ ხარნ, მაგრამ გულჩი ვინ ჩაიხედნის? გული შიგნიდ არნ, უხედველ, ტალავარ გარედ არნ, სახედველ.

– თუმცა მე რუსული მაცვია, დამიჯერე, რომ გულით ქართველი ვარ.

– იქნების.

არ ვიცი, ჩემმა მოხევემ დამიჯერა, თუ არა. ეს კია, რომ ამის შემდეგ ამისთანა ბაასი გავაბით.

– წეღანდელ სიტყვაზედ რომ პასუხი არ მომეცი, – დავიწყე კვლავ მე: – მე **გკითხე, ეხლა რატომ აღარ ბჭობენ-მეთქი სამების სენაკში**.

– აწინა?.. ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვარნ, აწინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის. სამების ძირჩი სოფელ გერგეთ არნ. იქაველ კაცთა მეფეთა შეუთქვეს სახტრის დარაჯობაი. მის მაგიერ მეფეთა თანხმობა მიანიჭის სრულ სოფელს, გუჯარიც მაჰსცის საშვილი-შვილად. ყვაველ ღამ აწინაც გერგეთიდ სამ-სამ კაც დარაჯად იგზავნების. გერგეთელნ აწინაც სახტრის დარაჯობას თავ-დებულობენ, მაგრამ რუსობაჩი თანხმობა გაცუდდის, მეფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ათხოვის. გერგეთი აწინა სხვავითა ბეგრობს. გაუქმდის ადრინდელ დაწყობაი, ხთის მათხავნილ მადლით ბჭობაც სამებაჩი გადავარდის“.

ავტორი ძველ ისტორიულ ცხოვრების წესის ერობის და-

რღვევაზედ გვითითებს. აქედან იწყობა ჩვენი ჩამორჩენა. „აწინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის“, როგორც ამბობს გულ-უბრყვილო მოხევე. როგორ? იკითხავს მკითხველი, ამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდამ, პოლიტიკურ ცვლილე-

[1]) იერი – შეხედულება.



ბის შემდეგ, ამოდენა სიკეთე გაკეთდა ჩვენში და ავტორი კი მაინც ძველ დროს ეტრფიალება? რითი აიხსნება ეს? ერთმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ უკვე განმარტა და ახსნა ილია ჭავჭავაძის სიყვარული წარსულისადმი. ავტორი ამ წარსულში „ფეოდალურ წეს-წყობილებას ეთაყვანებაო და აი მიზეზი მისის გულ-ჩვილობისაო განვლილ დამოუკიდებელი ცხოვრებისადმი. ჩვენ სრულიად უარ-ვყოფთ ამ განმარტებას. დავუგდოთ ისევ ყური თვით ავტორს. ამ შემთხვევაში ჩვენ მისს სიტყვებს დიდ ფასს ვაძლევთ. ეს მისი სიტყვები აგვიხსნიან ავტორის ნამდვილ მისწრაფებას და შემდეგ დაგვანახვებენ, რომ ამ სახით, მისი აზრი შესამჩნევად იცვლება. მხოლოდ ამაზე შემდეგ, ეხლა კი მოვისმინოთ ავტორის მოხევესთან საუბარი.

– მაშ უწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო?

– რაიდ არა?

– რით იყო უკეთესი?

– **ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ**. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟობდის, ქალაი ქალობდის. ადრიდა? ერთ-ერთს დავეყუდნით, ერთ-ერთს ვიხვეწებდით. ადრიდა? ქვრივ-ობოლ ვიფარევდით. ერთ-ერთს ლაღ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურვებდით, ატირდომილს ვიხოიშნიდით და ესრედ იყვის ბრალება კაცისა, ერთ-ურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთ სულობაი დავარდნის, მტრობა მძარვაი გახშირდის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხოს, ატირდომილ ვინ გაიცინოს, დაცემულ ვინ აღადგინოს? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ, პირად და გულად ჯუღურ არნ. **ერი დავარდნილ გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილი**. წარხდა ქართველთა სახლი, ქართველთა წესთ-ყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოისხნა ქვეყანაი, რათა აწინა ჩვენი დარჩენა?

– ეხლა რომ მშიდობიანობა არის.

– **რაის ვაქნევ ცარიელ მშვიდობას, ცარიელ სტვა-ვაქით**. რაი არნ მშვიდობა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსსარბოლო წყალში ბაყაყნი, ჭია-ჭუი, ქვემძრომი გამრა-ვლ

დის. უდევარ უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის? რაი არნ



მშვიდობა ცოცხად კაცთათვის? **რაი არნ მტრობა თუ ერი ერობს? ცარიელ მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფის**...

ასე ამ მარტივ სიტყვებით ხსნის მოხევე ჩვენს პოლიტიკურ ფილოსოფიას. „მიგიხვდი, ჩემო მოხევე, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი, – დასძენს ბოლოს ავტორი, – ჩვენი თავი ჩვენადვე გვეკუთვნისო“ სთქვი შენ და მე გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!“..

ყველა ამის ასახსნელად ერთი სიტყვის მომატებაც ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია.

III

ჩვენი წარსული ისტორია მთელ ქართველ ხალხის კუთვნილებაა. ქართველი ხალხი, საერთოდ აღებული, ჰქმნიდა თავის ისტორიას, იცავდა თავის ვინაობას. ამისათვის, ვინც ამ ისტორიის ღირსება-ნაკლულევანების დაფასებას შეუდგება, ის შეეხება მთელ ხალხის ღირსება-ნაკლულევანებას, მისს ცხოვრების უნარს, ისტორიულ მომზადებულობას და ნაყოფიერებას.

მხოლოდ ჩვენში საქმე სხვა ნაირად ესმით. თუ გამოესარჩლეთ იმას, რაც მთელმა ხალხმა შეჰქმნა – ისტორიულ ნაშთებს – ტაძრებს, ხელთ ნაწერებს, მატიანებს, თუ გაჰკადნიერდით და ისტორიის მიმდინარეობის და ფაქტების დამახინჯების შესწორებას შეუდექით, იცით რა სახელით მოგნათლავენ ჩვენში, იცით, რას დაგწამებენ? წოდებრივ უპირატესობის მცველს დაგიძახებენ და კლასსიურ გრძნობებს და მისწრაფებებს აღმოაჩენენ თქვენს გულში. ჩვენა გვგონია, რომ ნაშთი, ხელნაწერი და მატიანე და სხვა ამ გვარი, ერთ წოდების კუთვნილება არ არის, გვგონია, რომ ქართულ ისტორიის დამახინჯებამ არ უნდა შეჰლახოს მარტო ერთ წოდების თავმოყვარეობა და ხალხს სასიქადულოთ არ უნდა მიაჩნდეს ამ გვარი დამახინჯება, ამ შეხედულობაში ჩვენ მხოლოდ ხალხის უპატივისცემლობას ვხედავთ და მეტს არაფერს. როგორ, ხალხმა სისხლი ჰღვარა, ტანჯვით და ვაებით დაიცვა ის, რასაც „ისტორიას“ უწოდებენ, ხალხმა შრომა დახარჯა, ჩვენ კი არც ამ

შრომას და ღვაწლს, არც დანთხეულ სისხლს არაფრად ვაგ-
დებთ. ხალხს არ უნდა ეწყინოსო, როდესაც ყალბი მეცნიე-
რები გამოდიან და საქვეყნოდ ჰყვირიან, საქართველო არასო-
დეს არ არსებულაო, ქართველებს დამოუკიდებელი ცხოვრება
არ ჰქონიათო, ქართული კულტურა და ძველი ლიტერატურა
არაფრად ჩასაგდებიაო და სხვა ამ ნაირი. თუ ვისმეს ეხება ყვე-
ლა ეს, თავადაზნაურობა უნდა იყოს, ან ბურჟუაზია; მათ
უნდა მოხვდეს გულში უსამართლო ისტორიის დაფასება. ხალხს
კი ყველა ეს არ ეხება, ხალხი ისტორიის გარეშე რჩება, არა-
ვითარ მონაწილეობას არ იღებს მის მოძრაობაში. რა არის
ყოველივე ეს, თუ არ ხალხის დამცირება, მისი არაფრად ჩაგ-
დება და გაბათილება?

მართლაც, როდესაც ჩვენს ლიტერატურაში დაიწყეს ლა-
პარაკი სომხის ერთ გვარ ჯგუფზედ, რომელმაც ქართველების
დამცირება მოინდომა, როდესაც ამ ჯგუფს უსამართლობა და
მიდგომილობა დასწამეს, ერთმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოე-
ბისამ აღიარა, რომ ეს ალიაქოთი ჩალად არა ღირს, რომ
ყველა ამაში გამოისახება ორ გაბატონებულ წოდებათა შო-
რის (სომხების და ქართველების) ანგარიშის გაწევა, რომ ამ
კამათს აქვს წოდებრივი ხასიათი და ამისათვის ხალხს ის არ
შეეხება [1]). ასე მოუფიქრებლად სჯიან ჩვენში. თითქოს საკა-
მათო საგანი რომელიმე საგვარეულო ისტორია ყოფილიყოს
და არა მთელი ხალხის ისტორია, თითქოს „ქართლის ცხოვ-
რება“ საგვარეულო სიგელი იყოს და არა მთელი ხალხის ის-
ტორიის მატიანე, თითქოს „ვეფხვის ტყაოსანსში“ ერთი წო-
დების სიბრძნე იყოს ჩართული და არა მთელი ერისა.

როდესაც ილია ჭავჭავაძემ თავის „სომეხთა მეცნიერნი
და ქვათა ღაღადის“ წერა დაიწყო, მხედველობაში ჰქონდა,
ერთის მხრით, ქართველ ხალხის, ქართველ ეროვნობის ინტე-
რესი, მეორეს მხრით, ყალბ ლიბერალიზმის დარღვევის სურ-
ვილი. ღირს შესანიშნავია აგრეთვე ის, თუ ვინა ჰყავს ჭავჭა-
ვაძეს ამოჩემებული სომხებში. სიმართლეს მოკლებულია
ბრალდება, ვითომ ჭავჭავაძე მთელ სომხის ერს ემტერება და
ემუქრება. ყველა ამაზედ თვითონ ავტორი ავალაპარაკოთ და
ვეცადნეთ მკითხველის ყურადღების მიქცევა იმაზედ, თუ რამ

1) იხილ. „Сѣв. Кур.“ პ. გ-ის წერილი.



ალაპარაკა ილია ჭავჭავაძე და ვინ არიან მისი მოპირდაპი-
რენი.

„ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული

ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი, ძნელად თუ სხვა მოიპოვება
დედამიწის ზურგზე, ამბობს ავტორი. ვინც გნებავთ, ან ზედ
გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავ-
კასიის ქედს აქედ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სა-
ხელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გა-
ატანონ. თითქო არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღეს
ვართ... სულით დაბალნი, ჭკუა-გონებით ჩლუნგნი, ზნეობა
დაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გა-
ღატაკებულნი, ფლიდნი, პირის-გამტეხნი – აი ჩვენის სულიერ
და ხორციელ ავლადიდების სურათი! აი რანი ვყოფილვართ,
რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თვისდა სასარ-
გებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან
გასწორება... ვისი უნარია ყოველივე ეს – განაგრძნობს ავტო-
რი. ეს რა შავი ყორანია, რომ თავს დაგვტრიალებს, ზედ
დაგვყეფს და დაგვჩხავის? ჩვენ ადრეც გვითქვამს და ეხლაც
ვიტყვით: **ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალი, იგი ცოდვა მთელს
ერს სომხისას შევწამოთ, რომელიც მარტო ერთს გვარს
გუნდს სომხებისას და იმ გუნდის მწიგნობარ-მეცნიერთ
ეკუთვნის**. თუმცა ასეა, მაგრამ მინამ კალამს ხელში ავიღებ-
დით ამ წერილის დასაწერად, დიდხანს ჩავუფიქრდი ერთს
ჩვენთვის დიდ-მნიშვნელოვანს გარემოებას: **როგორ ჩამოგვარ-
თმევს წერილს მთელი ერი სომხებისა?** ეს საკითხი უქ-
მი საკითხი არ არის, როგორც ვნახავთ. ერი, როგორც კრე-
ბული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც
მკვიდრთა, ყოველ პატიოსნისა და ჭკუათა მყოფელ ადამია-
ნისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში და მი-
სი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება დიდად სათაკი-
ლო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს,
თავისი საკუთარი გულთა-თქმა, თავისი წადილები, თავისი
სულთა-სწრაფვა თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმი-
სთანა სიბრიყვეა, რომელიც გონება გახსნილს ადამიანს არ
ეპატიება, არ შეენდობა. ეს კარგათ ვიცით და ღმერთ-
მა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმოთ, საცა მარტო
ერთ გვარი გუნდია ცოდვილი. აი საფრთხე სწორეთ აქ არის.



აი აქედამ მოველით იმ მტვერ-ბუქსა, იმ კუდიან-ქარსა, რო-
მლის აყენებას არ მოერიდება იგი ერთგვარი გუნდი, რომ
კაცს თვალები დაახუჭვინოს, თვალები აუბას... მთელი ერი
სომხებისა აქ არაფერს შუაშია. იგი, ვითარცა მშვიდობიანად
მშრომელი და გამრჯელი, თავისს საქმეს ადგია – ვაჭრობაა,
თუ ხვნა-თესვა-და ფიქრადაც არ მოსდის და არც ეჭირება პა-
სუხის მგებელი იყოს იმ ზოგიერთა ცოდვების გამო, რომელ-

ნიც არა-მკითხე მოამბესავით მეტიჩარობენ და გარს დასტრია-
ლებენ, როგორც მუმლი მუხასა... დროა ჭკუას მოვიდეთ, –
გვირჩევს ავტორი, და არ შევუშინდეთ იმ ცრუ-პენტელა
ლიბერალებს, იმ ჭეშმარიტის ლიბერალობის ბერიკეებს, რო-
მელნიც განგებ პირში ბურთსა გვჩრიან, რომ თავისი ოინბა-
ზობა და ცალ გულობა მიაფუჩეჩონ და ზედ ლიბერალობის
წმინდა კალთა გადააფარონ. ნუ გვამხილებთო ჩვენს ცუღლუ-
ტობას, ოინბაზობას, თორემ ეროვნულ შფოთის აღდგენას
დაგწამებთ, რეტროგრადობის ბანაკში თავს ამოგაყოფინებთ,
რადგანაც მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ეროვნულ შფო-
თის ატეხა, ერთა შორის ღვარძლის შთამოთესვა სიბრიყვესა
და გონების სიბნელეს მოასწავებსო და ლიბერალობის შეგი-
ნებასაო... ხოლო ლიბერალობა განა მალვაა, – გვეკითხება
ავტორი, – ანუ ხელის წაფარება ტყუილებისა, ოინბაზობისა,
თაღლითობისა, თვალთმაქცობისა და ყოველგვარ ნამუს-ახდი-
ლობისა, და არა მხილება ყოველ ამისი?.. საბუთიანს, მარ-
თალს მხილებას, თუნდა მთელის ერისას, გონიერი ერი მად-
ლობით ეპყრობა და არა რისხვითა და შფოთითა. ჭეშმარიტი
ლიბერალობა ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის წააწყმედი-
ნო, არავის გააქელვინო, ბოროტს ბოროტი ამხილო, მსჯავრ-
დადებულად არ შეირჩინო თუ აქაოდა შფოთი ასტყდება –
დასძენს ავტორი, და ლიბერალობის ღაღადებით ჩვენ, ქარ-
თველებს, ხმას გვაკმენდინებენ და თუ მარტო ბალღების საც-
დენად და საფრთხობლად არ მოაქვთ აქ უადგილოდ ლიბე-
რალობა, რატომ ამავე მიზეზით იმ გუნდს სომხებისას პირში
კაპს არ ამოსდებენ, რომელთა მეცნიერნი, საცა გინდათ თუ
არ გინდათ, **მთელს ქართველს ერს – დიახ, მთელს ქარ-**



**თველს ერს!** თავზე ლაფს ასხმენ ქვეყნის წინაშე და საფ-
ლავს უთხრიან“ [1]).

ამ გვარ შესავლით იწყობს ილია ჭავჭავაძე სომხების
ცრუ-პატრიოტთა აზრების გადასინჯვას. ჩვენ აქ არ გამოვუდგე-
ბით იმ საკამათო საგნების გარკვევას ვინ არის მართალი, ვინ არა,
ამ კითხვებს მომავალი კრიტიკოსი მოელის. ჩვენ გვაინტერესებს
ამ კითხვის ერთი მხარე, სახელდობრ ის, თუ რა პრინციპით
ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, საბრძოლველად რომ
გამოვიდა, და ის, თუ რა სულის მიდრეკილება ამოძრავებდა
მის კალამს. პატრიოტული ფანატიზმი და სიძულვილი კი
არ ალაპარაკებდა ავტორს, არამედ დამცირებული და შე-
ლახული ადამიანობა, ავტორის წყრომა და ჯავრი კანო-
ნიერი წყრომაა თავხედობის და თავ-გასულობის წინააღმდეგ.
სომხის ერი არაფერ შუაშია, ავტორი პირდაპირ ამბობს, რომ

სახეში აქვს ერთგვარი ცრუ-პატრიოტთა და მწიგნობართა გუნ-
დი. ეს კარგათ უნდა დავიხსომოთ და სომხებმაც უნდა
მიიღონ მხედველობაში. ამ საქმეში თვით სინიდისიერმა სო-
მეხმაც უნდა მისცეს მხარი ავტორს, თუ სცნობს, რომ მისი
საბუთები შეურყეველ საძირკველზედ არიან აშენებულნი. აქ
არ უნდა ჰქონდეს ადგილი გაუგებრობას. ავტორს ვერავინ
დასწამებს სომხის ერის უპატივისცემლობას. ვიმეორებთ, ავტო-
რის დახასიათებისათვის, უნდა კარგათ გვახსოვდეს ამ კითხვის
პრინციპიალური მხარე.

აქ ჩვენ წერტილს ვუსვამთ. აქ თავდება ილია ჭავჭავაძის
ის ეროვნული და პოლიტიკური მოძღვრება, რომელსაც არამც
თუ თანავუგრძნობთ, პირიქით, ჩვენს ეროვნულ მოძღვრება-
და ვსთვლით. ვუსვამთ წერტილს და ვამბობთ, რომ აქ თავ-
დება საზღვარი, როდემდინაც ჩვენ ფეხ-და-ფეხ მივდევდით ავ-
ტორს.

აშკარაა ავტორის სულიერ ცხოვრებაში რაღაც ცვლილე-
ბა ხდება [2]), რწმენა ეკარგება და გულიც უტყდება. და ეს გუ-

---

[1]) ივერია 1899 წ. №№ 202, 204, 1886 წ. №№ 246 და 273;
1897 წ. № 21 და 1889 წ. № 255.

[2]) აქ ამოღებულია ცენზურისაგან (1901 წ.) ის ადგილები სადაც აღ-
ნიშნული იყო ჩვენი ავტორის პოლიტიკური აზროვნების ცვლილება, შე-
ნიშვნაში აღნიშნულია მხოლოდ ის წერილები, რომელთაც დაეტყოთ ამ
აზროვნების ცვლილება. **ავტორი**. 1911 წ.



ლის გატეხა და რწმენის დაკარგვა იმაში გამოისახება, რომ
ავტორი აღარ ხედავს თვით საზოგადოებაში და ხალხში აღორ-
ძინების და გაღვიძების უნარს, მისი ზნეობრი ძალა სუსტდე-
ბა და ეროვნულ თვით მოქმედების ქადაგების სურვილი ეკარ-
გება. ფსიხოლოგიური კანონია, რომ სუსტი და ღონემიხდი-
ლი სხვას შეჰყურებდეს და სხვისგან მოელოდეს მოწყალებას
და დახმარებას. ასე ემართება ილია ჭავჭავაძესაც. თვალი გადა-
ავლეთ „ივერიის“ ნომრებს 1887 წლიდან დაწყებული კითხუ-
ლობთ და არა გჯერათ, რომ შესაძლებელია ამგვარი ცვლი-
ლება. ამ ჟამად ჩვენ არ შევეხებით ილია ჭავჭავაძის ახალი
„ტიპის“ ნაწერებს. მომავალი ისტორიკოსი უფრო ზედ მიწევ-
ნით გამოარკვევს ამ კითხვას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ავტორს
სხვა პოზიცია ეჭირა წინად ეროვნულ კითხვების განმარტება-
ში, და ეს ცვლილება მარტო ილია ჭავჭავაძის დამახასიათებე-
ლი არ არის, იგი თითქმის მთელ ძველ თაობას ეხება. ამას
ჩვენ შემდეგში უფრო ნათლად დავინახავთ.

IV

აქამდის ჩვენ გვქონდა მხედველობაში მხოლოდ ერთი (ეროვნული) მხარე ილია ჭავჭავაძის ნაწერებისა. გზა-და-გზა ჩვენ გავეცანით ავტორს, როგორც ეროვნული ცხოვრების წინამძღოლს, როგორც ჩვენს ეროვნულ ჭირ-ვარამის გამომსახველს და ამასთან გავითვალისწინეთ ავტორის პოლიტიკური იდეალი და დავუკვირდით იმისს საზოგადო ფილოსოფიის მოძღვრებას. ავტორის დასახასიათებლად საჭიროა გავითვალისწინოთ აგრეთვე მისი საზოგადოებრივი ფილოსოფია და ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განმარტება. მხოლოდ შემდეგ ამისა წარმოგვიდგება სრულ სურათი ილია ჭავჭავაძისა, როგორც პუბლიცისტიურ მწერლისა, წარმოგვიდგება აგრეთვე არსებითი, დამახასიათებელი თვისებები „ძველი თაობისა“, რადგან ჩვენი ავტორი უნდა ჩაითვალოს თუ არ წინამძღვრად, ამ თაობის ერთ საუკეთესო წარმომადგენლად მაინც.

საზოგადოებრივ მწერლის მოვალეობაა ახსნა და განმარტება ეკონომიურ ცხოვრების პროცესსისა. მწერალმა უნდა აგვიხსნას სოციალური წეს-წყობილება, წოდებათა ურთიერ-



თობა და ერთმანეთთან დამოკიდებულება. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ხშირად ამ ურთიერთობაზედ და დამოკიდებულებაზედ არის აშენებული ხალხის კეთილდღეობა ანუ შევიწროება.

ჩვენში ძველი დროდამ დამყარდა წოდებრივი წყობილება. ამ წყობილების კვალს დღესაც ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში. ვის საჭიროა ვიქონიოთ ნამდვილი აზრი და შეხედულება ჩვენს წარსულზედ (ჩვენ ვგულისხმობთ ამ წარსულის სოციალურ მხარეს). არის თუ არა ჩვენს წოდებათა შორის ინტერესთა წინააღმდეგობა, ეს არის მთავარი კითხვა, რომელზედაც საზოგადოებრივ მწერალს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული პასუხი. მწერლის დახასიათება, სხვათა შორის, იმაზეა დამყარებული, თუ რა პასუხს იძლევა ამ კითხვაზედ, თუ როგორ ხსნის ეკონომიურ ცხოვრების აგებულებას. მხოლოდ, რათა მწერლის აზრი ამ საგანზე უფრო ნათელი და გარკვეული იყოს, საჭიროა განმარტება მეორე კითხვისა, სახელდობრ იმისა, თუ როგორი განწყობილება იყო ამ წოდებათა შორის ძველ დროში. მათი ურთიერთობა ინტერესთა წინააღმდეგობაზედ იყო აშენებული, თუ სხვა რამ საფუძველზედ. აწმყო შედეგია წარსულისა, ჩვენი ცხოვრების პირობები გამომდინარეობენ ძველ დროის ცხოვრების პირობებიდამ. ამისათვის აწმყოს გაგება შეუძლებელია, თუ წარსული არა გვაქვს შესწავლილი.

ილია ჭავჭავაძეს ეს კარგად ესმოდა და ამიტომაც სცდი-

ლობდა ხშირად წარსულის განმარტების შუქი მოეფინა თანა-
მედროვე ცხოვრებისათვისაც. თანამედროვე ეკონომიურ პირო-
ბებში ავტორი არა ჰხედავს **ძირითად** ინტერესთა წინააღმდე-
გობას. და ამ თავის აზრს, სხვათა შორის, აფუძნებს იმაზე-
დაც, რომ ჩვენს ძველ დროშიაც არ იყო ამგვარი წინააღმდე-
გობაო.

„ჩვენს ენაში, ამბობს ავტორი, სიტყვაც არ მოიპოვება
იმ აზრის გამოსახატავად, რასაც რუსული სიტყვა „сословіе“
ნიშნავს. ეხლანდელი ჩევნი სიტყვა „წოდება“ გუშინდელი
სიტყვაა... ჩვენს ძველს ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერო-
ბისა არ არსებობდა... ჩვენში ყველანი ერთნაირად უხმონი
და უფლებას მოკლებულნი იყვნენ წინაშე უმაღლესის მთავ-
რობისა... იმ ბრძოლას და შეხეთქებას წოდებათა შორის უფ-



ლების დასაპყრობათ, გასავრცობათ,რომელიც ევროპაში იყო
და ეხლაც არ გათავებულა და რომელიც უპირველესი მიზე-
ზი იყო ერის წყობ წყობად დაყოფისა, ჩვენში ადგილი არა
ჰქონდა... რაკი ბრძოლა არ იყო, ბანაკებად დაყოფაც ერისა
არ იქმნებოდა, არ იყო წყობ წყობად განცალკევების მიზეზიც
ჩვენს ერობაში, რომელიც, თუ თვის ცხოვრებაში უნიგეშო-
ბას რასმეს ჰგრძნობდა, საერთოდ გრძნობდა, რადგანაც ყვე-
ლანი, როგორც ზევითა ვსთქვით, ერთნაირად იყვნენ უფლე-
ბას მოკლებულნი, ერთნაირად უხმონი და უტყვნი ქვეყნის
საქმეთა გამგეობაში... **ჩვენში თავად-აზნაურობას დღევან-
დლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ
მოკითხვის წიგნში ბრწყინვალებად იხსენებოდა და გლეხი
კი არა**. დღეს ჩვენში გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა,
როგორც თავადი, აზნაური, ეკკლესია. თვითონ ბატონ-ყმო-
ბის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნილებათ ერთისა
და იმავე წოდებისა. ლეხთაც, როგორც თავად-აზნაურობათა
და ეკლესიას, შეეძლოთ ყმების ყოლა... ჩვენ იმაზედ ვართ
დამყარებული, რომ წოდებათა შორის უფლების ცილება ეკო-
ნომიურის, თუ პოლიტიკურისა, ცილებ, რომელიც უაღრე-
სი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებ-
ში, ჩვენში არ არსებობდა. ამიტომაც არც ზნეობით, არც
აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეუ-
ლებით ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაჰშორებია გლეხობას, არ
შეუკეტია თავი, თავის საკუთარი ინტერესები არ შემოუხა-
ზავს ისე, როგორც სხვაგან... ჩვენში გლეხთა და სხვა წოდე-
ბათა შორის კეთილ მიდრეკილება სუფევს“*).

ასე სჯის ავტორი. ასეთის შეხედულობის იყო ის ჩვენს
ძველებურ ცხოვრების წეს წყობილებაზედ. წოდებათა შორის

თანხმობის დამტკიცება ავტორს სხვათა შორის, იმისთვის უნდოდა, რომ ამ „თანხმობაზედ“ აშენებდა ავტორი სათემო (განურჩეველად წოდებისა) სოფლობის შემოღების საჭიროებას ჩვენში. სათემო საზოგადოება (всесословная воломть) პირველ შეხედვით ლიბერალურ დაწესებულებას მოაგავს. იურიდიულის შეხედულობით რომ შევეხოთ, მართლაც ამ გვარი

*) „ცხოვრება და კანონი“. „ივერია“ 1879 წ.



დაწესებულება არ ეწინააღმდეგება ლიბერალობას, რადგან დახფუძნებულია წოდებათა იურიდიულად გათანასწორებაზე. მხოლოდ, თუმცა ამგვარი დაწესებულება თეორეტიულად ლიბერალიზმს არ ეწინააღმდეგება, პრაქტიკულად გამოუსადეგარია, რადგან ამ „სოფლობაში“ იმედიან სხვა-და-სხვა ეკონომიურ ხარისხის წარმომადგენლები (მდიდრები და ღარიბები) და რადგან ამ ეკონომიურ სხვადასხვაობაში უპირატესობა ყოველთვის შეძლებულს ექნება და ღარიბი ყოველთვის დაჩაგრული დარჩება.*) ხოლო ჩვენი ავტორი არა ჰხედავდა ცხოვრებაში იმ ეკონომიურ ბრძოლას, რომელიც უვარგისად ჰხდიდა იმისთანა დაწესებულებას, როგორიც არის წოდებათა განურჩევლად, საყოველთაო სოფლობა.

თავის დროზედ ჩვენს ლიტერატურაში მიაქციეს ყურადღება ილია ჭავჭავაძის ამგვარ შეხედულებაზედ ჯერ ხუდადოვმა (1881 წ.), მერე ნოე ჟორდანიამ (1900 წ.) ნათლად გამოაშკარავეს ავტორის ამ კითხვაში შეცდომა. მხოლოდ რადგან ამ კითხვას ცოცხალი თანამედროვე ინტერესი აქვს და დღესაც არიან ჩვენში იმისთანანი, ვინც ფიქრობს, რომ „ჩვენში თავად-აზნაურობას დღევანდლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალეებად იხსენებოდა და გლეხი კი არა, ამისათვის ჩვენ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას ამ საგანზედ და ისტორიის შემოწმებით გავითვალისწინებთ კითხვას.

ბ-ნი ხუდადოვი საფუძვლიანად უპასუხებდა ჭავჭავაძეს და ამბობდა: „როგორც იქ (ევროპაში) ვხედავთ გაუწყვეტელ განხეთქილებას, დავას სიუზერენთა და ფეოდალთა შორის, ისე ჩვენში მოუსვენარნი მთავარნი, ერისთავნი, თავადნი უფრო სასტიკად, ხანგრძლივ, საშვილის-შვილოდ ებრძვიან კანონიერ მფლობელთ... ვინ იცის, რამდენჯერ მოუწვევიათ ამ ფეოდალებს სპარსნი, ხონთქარი, ბერძენი, ლეკი, ოსი და სხვა**).

*) ბ-ნ ხუდადოვს „ივერიის“№ 1 1887 წ. მოჰყას „недѣля“-ს მოსაზრება ამის შესახებ: „Если осуществится проектъ всесословной врлрсти, онъ найдетъ твердую точку опоры въ экономичес-

кой силѣ буржуазіи и привелеть населеніе къ такому состоянію, которое елвали уступитъ положенію народа до 1861 года.“

**) „ივერია“ 1881 წ. № 7. უსაფუძვლო წადილი, ხუდადოვისა.



ბ. ჟორდანიაც ამასვე ამბობს და უმატებს: „ფეოდალთა თავ-აშვერილობამ დააქცია საქართველოო“.*) მხოლოთ ვნახოთ, რას გვეუბნება მეცნიერება. ისტორიული მასალის შესწავლამ გამოააშკარავა, რომ ყმობა საქართველოში საშვილის-შვილო იყო. საყურადღებოა, რომ ყმად ხდებოდა: აყვანილი შვილობილი, უკანონო შვილი, შეუძლებელი მოვალე, შეუძლებელი ქურდი (მიეცემოდა გაქურდულს „თავის ცოლშვილით, ქონებით და ნასყიდით“); ყმად ხდებოდა აგრეთვე გლეხი, რომელმაც შეირთო ბატონის გოგო, ვინც შიმშილობით გამოჰკვება გლეხი ცოლშვილით, ვინც გამოიყოლა გლეხი ტყვეობიდამ, ვინც გადაუწყვიტა ვალი გლეხს.**) „გლეხი ორნაირად ემსახურებოდა ბატონს, ამბობს ბ. ხახანაშვილი: იგი უწევდა ქონებრივსა და პიროვნულ სამსახურს. პირველი დამყარებული იყო მამულის მფლობელობისა და იმის შემუშავებელ დამოკიდებულებაზედ, მეორე დაიბადა ყმის პირად ხელქვეითებიდამ ბატონისადმი(изъ личной и поземельныхъ отноше ній)“. **მიწის მფლობელობის** უფლებამ დაადო ყმას შემდეგი გადასახადი I) ღალა (ნაწილი მოსავლისა ბატონის სასარგებლოთ:) 2) კულუხი, 3) ნახირის თავი (20 ყომლი თრიალეთზე აძლევდა ერთ ძროხას), 4) საბალახე (ასზე ორი ცხვარი და ერთი ბატკანი), 5) პირისთავი, 6) კონისთავი (რაც კონს თევზი მოხვდებოდეს, თორმეტისაგან ათი საბატონოდ უნდა გადაიდვას) 7) ფუთკრისთავი. **ხოლო პიროვნული** სამსახურის ძალით გლეხს სხვა მოვალეობა აწვებოდა კისერზე: 1) ბეგარა – ბატონისთვის მუშაობა (შულავერში ბატონთან მუშაობდნენ ხუთ დღეს) 2) ძღვენი, საჩექმე (გადასახადი ქალწულის გათხოვების გამო), 4) გასამყრელო, 5) სამარხი, 6) მსახურება (გოგოს მიცემა მოახლედ). ყველა ამის გარდა **სახელმწიფო ბეგარაც** უნდა გადაეხადა გლეხს: ათასგვარი ბაჟი – მარილზედ, ფარჩაზედ, თევსზედ, ენდროზედ, ქონზედ, მატყლზედ, ბაჟი მამულის გასყიდვისა; გადასახადი – სანაცვლო

*) ქართული პრესსა – ჟორდანიასი.

**) ცნობებს ვიღებთ შემდეგის წყაროებიდამ: ბატონ-ყმობა – ხახანაშვილისა; აღბუღას სამართალი და ძეგლის დება – ურბნელისა; Законы царя Вахтанга.

სამოხელო, ლაშკარ-ნადირობა, გარდასახადი სათავადო, სააზ-ნაურო, საერისთავო, სასპასალარო, საეჯიბო და სხვა და სხმა. ბროსსეს აქვს მოთმლილი 120 გარდასახადის სახელი. საქარ-თველოში საეკკლესიო, საბატონო და სახასო ყმები იყვნენ. გლეხს ერჩივნა ეკკლესიის და მეფის ყმობა. საეკლესიო გლეხს შეეძლო კათალიკოზის თანხმობით გაეყიდა თავისი მამული, შეეძლო თავისუფლად წასულიყო სავაჭროდ, შეეძინა თავისი საკუთარი მამული. სახასო გლეხიც უკეთეს მდგომარეობაში იყო. საბატონო ყმა ორ ბატონს – მეფეს და პატრონს – ბატონს ერთად ემსახურებოდა, ამიტომ საბატონო ყმა ხშირად სცდი-ლობდა თავი დაეხწია ბატონისთვის და საეკლესიო და სახასო ყმად გამხდარიყო. რაკი გლეხი ისე დაჩაგრული იყო ეკონო-მიურად და მთელ თავის ღონეს სხვის სარჩენად ანდომებდა, რა-საკვირველია, მას იურიდიული უფლებებიც შეკვეცილი ჰქონ-და და მისი პოლიტიკური ძალაც შეჰხუთული. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ეკონომიური სიღარიბე და სიმდიდრე იურიდიულ და პოლიტიკურ შევიწროების, ანუ ფრთებ-შეს-ხმულობის მაჩვენებელია. ვინც ღარიბია, ნაკლები გავლენაც აქვს ცხოვრებაში, და კაცის სიცოცხლეც იმდენად მეტად ფა-სობს, რამდენადაც მაღლა სდგას სოციალურად. ეს სიმარ-თლის ლოღიკა არ არის ეგ არის ცხოვრების და არსებულ წყობილების ფილოსოფია. ჩვენ ძველ დროშიაც აგრე იყო. დაუკვირდით ჩვენს სისხლის სამართალს. მეფე ვახტანგის გან-მარტებით, თავადის სიცოცხლე ჰფასობდა 15,300 მანეთი, აზ-ნაურის – 1920 მან. ხოლო გლეხისა – 120 მან. გლეხის ნათე-სავებს საქონლით უზღავდნენ, აზნაურის ნათესავებს ზოგი საქონლით, ზოგი ოქროთ და ვერცხლით, ხოლო თავადის ნა-თესავებს – ოქროთ, ვერცხლით, ძვირფასის თვლებით და მარ-გალიტებით.*) რაც შეეხება პოლიტიკურ უფლებებს, იმისთა-ნას, როგორც ევროპიელებს აქვთ მინიჭებული, ჩვენში, რასა-კვერველია, არც ერთ წოდებას არა ჰქონდა, მხოლოდ ეკო-ნომიურად ძლიერ წოდებას თავად-აზნაურობას, იურიდიულად დაუმტკიცებელი, პოლიტიკური **ძალა** ჰქონდა. ჩვენი მთავრე-ბი, ერისთავები და თავადები ხშირად ეურჩებოდნენ მეფეებს და მით იჩენდნენ თავიანთ პოლიტიკურ ძლიერებას. გლეხს

*) Сборникъ законовъ царя Вахтанга.



ამოდენა ძალა არ ჰქონდა და ამიტომაც იყო ის უმეტეს შემთხვევაში გაჩუმებული. ამას გვასწავლის ჩვენი წარ-სული.

თუ ეს ასეა, ნუ თუ ამ წარსულის კარგის მცოდნე ილია

ჭავჭავაძე, დინჯი, დამჯდარი აზრის პატრონი ჭავჭავაძე არა ჰხედავდა ჩვენს ისტორიულ წარსულში იმას, რაც ისე თვალ საჩინო იყო? „დიდი შეცდომა იქნება, გვარწმუნებს ავტორი, წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზი თვითონ **წოდებათა წყობას, მის შინაგანს არსებას**, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქედამ წარმომდგარ მიდრეკილებას მივაწეროთ. ამის მიზეზი იგივეა, ჯიუტობს ავტორი, რაც თვითეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალთ, გძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდაო“.*) ავტორს უნდა გაეგო, რომ საქმე სწორედ ჩვენს „წოდებათა წყობაში“ იყო და მის „შინაგანს არსებაში“. წოდებათა წყობა დაედო საფუძვლად ჩვენი სოციალურ ცხოვრების აგებულებას. ყველა ეს ავტორს თამამად უნდა აღეარებინა. ჭავჭავაძემ სხვა გზა აირჩია. ის, რაც აქედამ წარმოსდგა, ამას ჩვენ შემდეგს წერილში გავარკვევთ.

V

რაკი ილია ჭავჭავაძემ, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, ვერ დაინახა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზი „თვით წოდებათა წყობაში და მის შინაგანს არსებაში“, ამისათვის მისი ცდა იყო მიმართული „წოდებრივ წყობილების“ გაუმჯობესებისაკენ და არა მის გაუქმებისაკენ და დარღვევისაკენ. ჩვენი ავტორი „საერთო“ (განურჩევლად წოდების) კეთილ-დღეობის ძიებაშია. მისის აზრით, „თავად-აზნაურობის დღეგრძელობა, კეთილდღეობა, ბედნიერება, სახელი და დიდება“ იმ ნიადაგზედ უნდა იყოს დამყარებული, „რომ თუ სხვანი კარგათ იქნებიან, მარტო მაშინ იგიც კარგათ იქნება“. მხოლოდ ავტორს აზრად არ მოსდის, რა რიგად შესაძლებელია ეგ საერთო კეთილ-დღეობა, როდესაც ერთი წოდების ინტერესი ასე თვალსაჩინოდ ეწინააღმდეგება მეორე წოდების ინტერესებს. განა აშკარა არ არის, რომ რამდენადაც წელში

*) „ივერია“ 1879 წ. № 3.



მაგრდება მწარმოებელი, ხელით მომუშავე წოდება, იმდენად სუსტდება ის წოდება, რომელიც სხვისი ნამუშავრით და შრომით მდიდრდება და ძლიერდება. არა მომუშავე წოდება იმდენად მაგარია, რამდენადაც მკვიდრათ და შეურყევლად უჭირავს ხელში მწარმოებელი. ბატონ-ყმობის გაუქმებამ თვალსაჩინოდ დაგვანახვა, რომ ჩვენი მოწინავე წოდების კეთილ-დღეობა სხვა წოდებათა კეთილ-დღეობაზედ კი არ იყო აშენებული, არამედ დამონავებაზედ და დაჩაგვრაზედ. ასე რომ არ

ყოფილიყო, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ თავად-აზნაურობის სვე-ბედი უკუღმა არ დატრიალდებოდა და სხვა წოდებასთან ერთად მასაც დაეტყობოდა სიცოცხლე და ცხოველ-მყოფელობა. ილია ჭავჭავაძე სხვა აზრისაა. მისი იდეალი წოდებათა თანხმობაა. მთელი ერი თავის სოციალურ აგებულებით (თუნდაც ეს სოციალური აგებულება უვარგისია) მწყობრად უნდა მიისწრაფებოდეს წარმატებისაკენ და არამც და არამც არ დაშალოს ეს მწყობრობა და თანხმობა. წოდებრივი ბრძოლა უარ-ჰყოფილია არამც თუ ჩვენში, მთელს ევროპაშიაც.

„ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, ამბობს ავტორი, მარტო იმ ერს წარუმატნია თავი ათასგვარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზე შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელისამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც არ წაწეულა, პირ იქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლიაო“ [1]).

ასე რომ წარმატების მმოძრავ ძალად ბრძოლა და მოცილეობა კი არ არის აღიარებული, არამედ მშვიდობა, წოდებათა შორის თანხმობა და ერთობა. თუმცა ავტორი ამბობს, რომ „ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლიაო“, მაგრამ ავიწყდება, რომ ყოველთვის ანგარისში მისაღებია ის, თუ „ვინ“ რჩება უკან, რომელი წოდება იმარჯვებს. ავიწყდება აგრეთვე, რომ მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში მწარმოებელი წოდების ფეხის წინ წადგმა ქვეყნის წარმატების მომენტად ჩაითვლებოდა და არა იმის უკანდახევისა. როცა ჩვენი ავტორი ზემოდ მოყვანილ სიტყვებსა სწერდა, აშკარაა, კეთილი განზრახვა ჰქონდა და გარეგან შე-

[1]) „ივერია“ 1888 წ. № 231.



ხედულებით მის სიტყვებს რადიკალური ელფერიც ედვა. თავად-აზნაურობას ურჩევდა, იზრუნეთ თქვენის კეთილ-დღეობისათვის, მხოლოდ სხვანიც ნუ დაგავიწყდებათო. თქვენი ბედნიერება სხვის ბედნიერების საზომით გაჰზომეთო. ამას ურჩევდა ჩვენი ავტორი, რადგან არა სჯეროდა, რომ ჩვენი ჩამორჩენის უმთავრეს მიზეზს თვით ჩვენს „წოდებათა წყობაში, მის შინაგან არსებაში“ და აქედამ წარმომდგარ ეკონომიურ წინააღმდეგობაში უნდა ვეძებდეთ და არა იმაში, ვითომ ერთი წოდება შეიარაღებული იყოს „ავის გულით, ხარბის თვალით, გრძელი ხელით და ნამუსის ქუდიც ახდილი“ ჰქონდეს. უბედურება ამ ფსიხოლოგიურ თვისებებში კი არ არის, არამედ სოციალურ პირობებში, რომელიც მიზეზად ჩაითვლება ამგვარ

ფსიხოლოგიურ თვისებების დაბადებისათვის.

ამრიგად წოდებრივ ურთიერთობას ჩვენი ავტორი ხელ- უხლებლად სტოვებს. ამ ურთიერთობის დარღვევის საჭიროე-ბა არა აქვს წამოყენებული, პირ-იქით, მომავალი ჩვენი ცხოვ-რების ეკონომიური აგებულება წოდებათა თანხმობაზედ აქვს აგებული. მამული მემამულეს მჭიდროთ უნდა ეჭიროს ხელ-შიო და არამც და არამც არ წაერთვასო.

„ვსთქვათ ვისმეს მამულში უმამულო კაცს მოვასწარით, – არკვევს ავტორი თავის აზრს, – მამული მემამულეს წავართვით და უმამულოს მივეცით. მას მერმედაც ხომ ისევ იმ გაჭირვე-ბას შეგვახლის დროთა მდინარება!.. მაშინ რაღა ვქნათ? კი-დევ წავართოთ? ეგრე რომ ვიაროთ, **დღევანდელ მემამულეს ხომ სულ ჩამოერთმევა** მამული და ახლა ის გაგვიხდება თავ-ში საცემიო“ [1]).

ავტორი პირდაპირ გვეუბნება, რომ არა სასურველია, რომ თანამედროვე მემამულემ დაჰკარგოს თავისი მამული, თუნ-და ეს მამული მწარმოებელის, გლეხობის ხელში გადადიო-დეს. გაღატაკებული მემამულე თავში საცემი გაგვიხდებაო. ჩვენ კი გვგონია, რომ გაღატაკებულ მემამულეს ორი გზა აქვს – ერთი სულ გადაგვარებისა, მეორე გზა შრომა და წარმოება. შრომა ბადავს სიმდიდრეს, შრომით სცხოვრობს ხალხი. თუ ამ მეორე გზას დაადგა გაღატაკებული მემამულე, თავში სა-ცემი აღარ გაგვიხდება და საზოგადოების საჭირო წევრიც შე-

---

[1]) „ივერია“ 1877 წ. № 168.



იქმნება. ავტორს არ აქვს გამოსახული და ნათლად განსაზ-ღვრული შრომაზედ დაფუძნებული და შრომით აგებული ხალ-ხის ეკონომიური წყობილება. ამიტომაც არის, რომ წარსულ-ში და აწმყოშიაც, ცოტა აო იყოს, ამართლებს წოდებრივ წყობილებას და ექომაგება ერთ წოდების ეკონომიურ უპირა-ტესობასაც. ეს იქიდამაც წარმოსდგა, სხვათა შორის, რომ ჩვენს ავტორს არ ჰქონდა ზედმიწევნით შეგნებული თანამედ-როვე ეკონომიურ ცხოვრების მოძრავი ხასიათი, არა ჰქონდა გათვალისწინებული მრეწველობის მომავალი როლი, მისი მნიშ-ვნელობა პროფესიონალურ კლასების დაარსებაში და ხალხის სიმდიდრის მოძრაობაში. ჭავჭავაძის ყურადღებას მარტო სო-ფელი იწვევდა. ამას გასამართლებელი საბუთიც ჰქონდა, რა-დგან ჩვენი ქვეყანა სოფლური ქვეყანაა, მხოლოდ ავტორს უნდა დაენახა, რომ სოფელთან ერთად იბადება და ისახება იმგვარი ეკონომიური ნიადაგი, საიდამაც წარმოსდგება სრუ-ლებით ახალი და საქართველოში უცნობი ფაქტორი წარმა-

ტებისა და მოძრაობისა – აღებ-მიცემობის გაძლიერება, მრეწ-
ველობის აღორძინება, ფულის გაბატონება და ამის საშუალე-
ბით სოფლის ძველებურ მებატონის ხარისხის ჩამორთმევა და
დაქვეითება. აი როგორა ჰხსნის ავტორი ამ საგანს.

„ჩვენის გულითადის ფიქრით, ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ
ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. ხმალი იცავს გუ-
თანს, ხოლო გუთანი ასაზრდოვებს ხმალს. გუთანს კი ერთი
განსაკუთრებული მშვიდობიანი დანიშნულება აქვს: დედა-მიწის
უხვი გული გადაგვიშალოს და იქიდან საზრდოება გვაწოდოს.
გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი.
თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთო“ [1]).

ამას სწერდა ავტორი 1881 წელს. შემდეგის წლების ჩვე-
ნი ავტორის ნაწერების გადასინჯვამ დაგვანახვა, რომ ავტორს
ამ საგანზედ შეხედულება არ შეეცვალა, თუმც ამას ვერ ვიტ-
ყვით, ვითომ მრეწველობის და აღებ-მიცემობის საჭიროება არა
ჰქონოდა გაგებული და გათვალისწინებული. ავტორის გონე-
ბაში უფრო ჩვენი ძველი ცხოვრების მისწრაფება აღიბეჭდა, –
მშვიდობიანობა, ის, რაც ასე სანატრელი იყო ძველ დროში,
და ამ მშვიდობიანობის მფარველობის ქვეშ სოფლური შრომა,

[1]) „ივერია“№ 11 1881 წ.



შრომა გაგონიერებული და ცოდნით გაღონიერებული. ამაში,
ამ მოსაზრებაში გამოისახა ტიპიური თვისება ძველი თაობის
წარმომადგენლისა. აქედამ, ამ ,,გუთნის“ თაყვანისცემიდამ და
„სოფლის“ მნიშვნელობის აღიარებიდამ აღმოცენდა ჩვენებუ-
რი „ნაროდნიკობა“, ის ერთგვარი მიბაძვა რუსულ მოძრაო-
ბისა, რომელმაც ჩვენშიაც გამოჩეკა ეგრედ წოდებული ტე-
ტიათა მოტრფიალე გუნდი“. ყველა ამას ამ ჟამად ისტორი-
ული ხასიათი მიეცა, რადგან სხვა დრო დაგვიდგა, სხვა ხალ-
ხი გამოვიდა სამოქმედოთ და სხვა აზრი და მისწრაფებაც გა-
მოიყოლია თან.

მხოლოდ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი სოფელი მართლაც
და დიდის და განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია. ჭავჭა-
ვაძის ცალ-მხრივობა იმაში კი არ არის, რომ აქცევდა ყურად-
ღებას ქართულ სოფელს, არამედ იმაში, რომ **მარტო** სოფ-
ლისაკენ იყო მიმართული მისი გულის ყური იმ ქვეყანაში,
სადაც $^{3}/_{4}$-დი მცხოვრებთა რიცხვისა სოფლად სცხოვრობს და
მეურნეობას მისდევს, სოფელი უნდა იყოს შესწავლილი და
გამოკვლეული, სოფლის ცხოვოება უნდა იყოს გაუმჯობესე-
ბული, შესუმბუქებული, მხოლოდ თვით ამ ცხოვრების გამო-
ფხიზლებისათვის საჭიროა სამრეწველო ცენტრების გაჩენა, სა-

ჭიროა სოფლის და სამრეწველო ცენტრის ურთიერთობის გამ-
ტკიცება, საჭიროა ქალაქის და სოფლის შუა შრომის განაწი-
ლება. და აი ჩვენი ავტორის ნაწერებში არა ვხედავთ ამ ორ-
მაგ ეკონომიურ ცხოვრების დაფასება-განმარტებას.

ილია ჭავჭავაძე, როგორც სოფლის მოსარჩლე, თავის გა-
ზეთის „ივერიის“ საშუალებით თვალყურს ადევნებდა სოფ-
ლის ჭირ-ვარამს. ხვნა-თესვა, მევენახეობა, სამეურნეო სწავლა-
ცოდნა, სოფლის „ამხანაგობები“, დეპო-კასები, ჩარჩები და სოფ-
ლის წურბელები, სამკითხველოები და სხვ. – აი ის საგანი, რის
გარეშემოც დასტრიალებდა ჩვენი ავტორი და ეს ასეც უნდა
ყოფილიყო. ვიმეორებთ, ავტორის დანაშაულობა ამაში არ
არის. ძალიანაც რომ თანაუგრძნობდეთ ქალაქურ მრეწველო-
ბის გამოფხიზლებას, სოფლის მინებება და მიტოვება მავნებ-
ლად მიგვაჩნია. ჩვენ არ ვეთანხმებით ერთგვარ სოციალურ
მოძღვრებას, რომელიც გვაუწყებს სოფლის გადაგვარების და,
გაქალაქების საჭიროებას. სოფლის წარმოებას ყოველთვის თა-
ვისებური ხასიათი ექმნება და მისი ცვლილება ქალაქთან ვიწ-



რო და მკვიდრ დაკავშირებაში გამოისახება და არა იმის გა-
დაგვარებაში. სწორედ ამისათვის ბ. ნ. ჟორდანიას დაფასება
ჩვენი ავტორის „სოფლურ შეხედულობისა“ უსაფუძვლო და-
ფასებად მიგვაჩნია, რადგან ჟორდანია „სოფლის გადასხვაფე-
რებას“ „სოფელთა გაქალაქებაში“ [1]) ხედავდა და ეს გაქალა-
ქება თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრების უმთავრესს ძარ-
ღვად მიაჩნდა. ხოლო ჩვენი უთანხმოება ილია ჭავჭავაძესთან
ამ კითხვებში გამოისახება შემდეგში: ავტორი მარტო სოფლის
ცხოვრებას ადევნებს თვალ-ყურს, ქალაქი თავის რთულის აგე-
ბულებით აქვს სრულებით მივიწყებული. თვით სოფლის ცხოვ-
რების შესწავლაში ჩვენი ავტორი უყურადღებოდ სტოვებს ძი-
რითად ეკონომიურ წინააღმდეგობას, რომელიც ჩაითვლება
ჩვენ წოდებათა ურთიერთობის დამახასიათებელ თვისებად. ჩვე-
ნი ავტორი კმაყოფილდება ცხოვრების ცალ-მხრივი შესწავლით
და მასთან ამ იმის მიერ შემოფარგლულ ცხოვრების ნაწილში
არ დაასახელა და არ აღნიშნა ის, რასაც ძველის დროიდამ
ჰქონდა ჩაგდებული მკვიდრი საძირკველით – არ დაასახელა ძი-
რითადი წოდებრივი უთანხმოება.

და აი სწორედ ამითი აიხსნება, რომ ილია ჭავჭავაძე ყო-
ველთვის იყო და არის თავად-აზნაურთა ბანკების მოსარჩლედ.
მართალია, ჩვენებურ ბანკებს საზოგადოებრივი ხასიათიც აქვს,
წმინდა მოგებას ხშირად საზოგადოებრივ საქმეს ანდომებდნენ –
სკოლა იყო ეგ საქმე, გაზეთი თუ თეატრი – მართალია ისიც,
რომ ჩვენს ღარიბ და უფერულ ცხოვრებას „ბანკის კრებები“

ცოტა არ იყოს აცოცხლებდნენ და აღელვებდნენ – ასე თუ ისე სწურთვნიდნენ ჩვენს უნარს საჯაროდ ლაპარაკისას, ავარჯიშებდნენ ჩვენს „წარმომადგენლობას“, ხოლო მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკები იყო და არის წოდებრივი დაწესებულება, რადგან უმთავრესი მისი აზრი – თავად-აზნაურობის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება და გამაგრება – ეწინააღმდეგება უმრავლესობის, ჩვენი მწარმოებელის ინტერესებს. რადგან მწარმოებელ და მემამულეს შორის ძირითადი განხეთქილებაა, ამისთვის ერთის რომელიმე კლასის გამაგრება მეორე მოპირდაპირე კლასის დასუსტება იქნება. ხოლო, რადგან ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში უმ-

[1]) ქართული პრესსა, გვ. 56, ჟორდანია.



რავლესობის ინტერესი, ამისათვის უნდა ვსთქვათ, რომ ყოველი დაწესებულება, ყოველი ზომა, რომელიც უმცირესობის ინტერესს ემსახურება მავნებელ დაწესებულებად, მავნებელ ზომად უნდა მიგვაჩნდეს. ილია ჭავჭავაძეს არასოდეს არა ჰქონდა გათვალისწინებული კითხვა ამ მხრიდან და ამითი აიხსნება, რომ „ბანკს“ შეალია მთელი თავისი ზნეობრივი და გონებრივი ძალა. ეს არ იყო საერო, საყოველთავო საქმე და ძალიან სამწუხაროა, რომ ილია ჭავჭავაძის ჭკუა, ცოდნა-გამოცდილება, მჭევრ-მეტყველება, მხნეობა „პატარა საქმეში“ დაიქსაქსა და შთაინთქა. ამოდენა სულიერი ძალა რომ მოხმარებოდა ჩვენს დავრდომილ ერს, ჩვენი ავტორის მომდევნო თავობის ერთ ნაწილში აღარ დაიბადებოდა უიმედო წუხილი და სასოწარკვეთილება და ის მავთული, რომელიც ეხლა შეწყვეტილია ახალ და ძველ თაობის შორის, გაბმული იქნებოდა, ჩვენი ძალ-ღონე გაერთიანებული, ჩვენი მოქმედება – შეთანხმებული. მოხდა სხვა ნაირად. ალბად ასე იყო საჭირო. ალბად, ჩვენი წადილი დაგვიანებული წადილია და ჩვენი დაღონება – უადგილოა. ასე სჯის ცხოვრება და ჩვენც ნუ ავცილდებით ცხოვრების ნიადაგს...

მაგრამ ყველა ეს არა კმარა ჩვენი ავტორის დასახასიათებლათ. დროთა მსვლელობაში ბევრი რამ დასწამეს ჭავჭავაძეს. კრიტიკის მოვალეობაა სიმართლე გამოიკვლიოს და ერთხელ და სამუდამოდ აღადგინოს ავტორის დაუმახინჯებელი შეხედულება სხვა-და-სხვა მწვავ სოციალურ კითხვებზე.

ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ილია ჭავჭავაძის ეკონომიური მოძღვრება „უკიდურესობაზე“ არასოდეს არ მისულა, პირიქით, ჩვენს ავტორს ყოველთვის ჰქონდა დაცული ერთგვარი „ზომიერება“, რომელსაც არსებულ სოციალურ წყობილების გაუმჯობესობა ჰქონდა მიზნად და არა მისი დარღვევა რა სა-

შუალებით, რა ნაირად შესაძლებელია გაუმჯობესება ამ ცხოვ-
რებისა, ევროპაში ამ კითხვამ დიდ ძალი დასები დაჰბადა:
პროგრესისტები, ლიბერალები, რადიკალები – ყველანი სცდი-
ლობენ გააუმჯობესონ არსებული წყობილება. სოციალისტე-
ბისაგან ყველა ესენი იმითი განირჩევიან, რომ მაშინ, როდე-
საც სოციალისტების მოქმედება არსებულ წყობილების **გაუქ-
მებისაკენ** მიისწრაფვის, ამათ სურთ, პირ-იქით, არსებული
უთანხმოება შეასუსტონ სხვა-და-სხვა რეფორმებით და მით
უფრო გაამტკიცონ ეს გარეგნობით განახლებული წყობილება.



ილია ჭავჭავაძე, – ევროპიული საზომით რომ დავაფასოთ
მისი ნაწერები, – არსებულ ცხოვრების გუმჯობესების მომხრე
იყო, ხოლო იარაღი და საშუალება, რომელსაც ხმარობდა ამ
ცხოვრების გასაუმჯობესებლად, იმგვარი იყო, როგორსაც ხმა-
რობენ ლიბერალ-რადიკალები. ერთმა ნაწილმა ჩვენი საზო-
გადოებისამ, თავის წინამძღოლის ნ. ჟორდანიას მეოხებით,
კონსერვატორთა გუნდში ჩარიცხა ჩვენი ავტორი. მკითხველი
დაინახავს ამ აზრის უსაფუძვლობას და აკვიატებულ მიდგო-
მილ მსჯელობას.

საზოგადოებრივ მწერლის დაფასება თუ გინდათ, გამოი-
კვლიეთ, რა თვალით, როგორ უყურებს კერძო საკუთრების
პრინციპს. ერთნი აღიარებენ კერძო-საკუთრებას, როგორც
ხელუხლებელ ინსტიტუტს, როგორც ღვთაებრივ დაწესებუ-
ლებას, რომლის გადასხვაფერება და შეცვლა შეუძლებელია
და დიდი ცოდვიც არის. მეორენი ამტკიცებენ, რომ კერძო-
საკუთრების ძირითადი პრინციპი შეურყეველი უნდა რჩებო-
დეს. ხოლო ამ პრინციპის შეკვეცა და შესწორებაა საჭირო,
დროის და გარემოების მიხედვით. მესამენი ამბობენ, რომ კერ-
ძო საკუთრება ძირიან-ფესვიანად უნდა იყოს აღმოფხვრილი,
რადგანაც არის მიზეზი კაცთა შორის უთანასწორობისა. პირ-
ველთ შეხედულება თეოლოგიურ-კონსერვატიული წინააღმდე-
გია ყოველგვარ საზოგადოებრივ ცვლილებისა. იგი ამართლებს
მონობას და ბატონ-ყმობას, როგორც ღვთაებრივ დაწესებუ-
ლებას. ტიპიური წარმომადგენელი ამ მიმართულებისა, ფილა-
რეთი, ბატონ-ყმობის განთავისუფლების წინააღმდეგი იყო,
რადგან, მისის რწმენით, ბატონყმობა, როგორც ღვთაებრივი
დაწესებულება, შეურყევლად სამუდამოდ უნდა დარჩენილიყო
რუსეთში.[1]) მეორე შეხედულება ლიბერალ-რადიკალური, რო-
მელიც კერძო საკუთრების პრინციპის შესწორების და შეკვე-
ცის საჭიროებას აღიარებს, ხელმძღვანელობს საზოგადოებრივ
ინტერესით. ასე ამ მოძღვრების მიმდევარნი ამართლებენ მთა-
ვრობას, როდესაც რომელიმე სახელმწიფოს ინტერესის მიხე-

დვით (რკინის გზის გაყვანა, მაგალითად,) კერძო საკუთრებას ეხება და ცოტა არ იყოს, არღვევს ამ უფლებას. ამგვარადვე

[1]) ფილარეტი „როზგსაც“ და კაცის ცემასაც ამავე პრინციპით ამართლებდა. იხილე – Джанщіевъ – Изъ эпохи великихъ реформъ.



ამ შეხედულების მიმდევარნი (რადიკალები) შემოსავალზედ გადასახადის მომხრენი არიან (прогессивный налогъ), რაიც აუქმებს, ასე თუ ისე, კერძო საკუთრების შეურყევლობას. მესამე მოძღვრების წარმომადგენელნი (სოციალისტები) სარგებლობენ ყოველგვარ რეფორმით ანუ თავისუფალ მოქმედებით ამ ინსტიტუტის გაუქმებისათვის.

ილია ჭავჭავაძეს ამ სამ მიმართულებაში შუათანა მიმართულების ადგილი ეჭირა. ბატონ-ყმობის წინააღმდეგი, გლეხკაცის მდგომარეობის გაუმჯობესობის მომხრე, ჩვენი ავტორი არასოდეს არ გადასცილებია ზომიერებას და არ მისულა ძირითად ეკონომიურ წინააღმდეგობის აღიარებამდე.

„1864 წელს მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება, ვკითხულობთ ცნობილ „ცხოვრება და კანონში“ [1]). მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს... ერთს ჩამოაცალეს ის, რაც სამართლის შეურაცყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეულ ჰქონდა.

განთავისუფლებულ გლეხს ხელის შეწყობა სჭიროდა. იურიდიული თანასწორობა საკმარისი არ იყო გლეხკაცის ბედის გაუმჯობესებისათვის. ჩვენი პუბლიცისტი იკვლევს ახალი ცხოვრების ეკონომიურ პირობებს, რათა ამ პირობებს შეუწყოს გლეხკაცის ცხოვრება. საჭიროა გამოვიკვლიოთ, სწერს ავტორი.

„რამდენმა კომლმა გლეხმა დააღწია ბატონ-ყმობის მოსპობამ... რამდენმა გამოისყიდა „ნადელი“ და რამდენმა ვერა, რამდენი მამულ-დედული დაჰყიდა თავად-აზნაურობამ, რამდენი გადავიდა გაყიდული მამული გლეხის ხელში და რამდენი ჩაუვარდა სომხებსა, სად და რაოდენი სივიწროვეა მიწისა, რამდენად უჭირს ჩვენს გლეხს თავისუფალს მიწაზედ გადასახლება და სად უფრო მოუხდება ეს გადასახლება და სხვანი და სხვანი“[2]).

თუ შეეძლო ინტელიგენციას გლეხისთვის დახმარება აღმოეჩინა, სწორედ, ამ კითხვების გარკვევით უნდა დაეწყო. ავტორის აზრით, ის მამული, რომელიც მემამულეს ხელიდამ

[1]) „ივერია“ 1877 წ.

[2]) „ივერია“№ 2. 1882 წ.

ეცლება, გლეხკაცს ხელში უნდა ჩაუვარდეს.[1]) ამისთვის იაფი კრედიტის დაარსებაა საჭირო გლეხისათვის:

„თუ მართლა სოფლის მამული ბევრი-ბევრი ხუთზედ მეტს სარგებელს არ ძლევა და თუ ფული კი მის სასყიდლად ხუთზედ მეტადაც ძლივს იშოვება, მაშ გლეხ-კაცმა **რომლის გამამულიანება ფრიად საჭიროა** და სანატრელი, როგორ უნდა მიაწვდინოს ხელი მამულის სასყიდლად... უამისოდ გლეხი ხომ ფულის პატრონის მუქთა მუშად, მსახურად შეიქმნება საშვილი-შვილოდ და ის, რაც ასს თუმნიან მამულის გამო ხუთს თუმანზედ მეტი გადახდება, ეგ ხომ იგივ ყმობა იქნება, რომლისგანაც ძლივძლიობით თავი უკვე დააღწია“[2]).

ამ სიტყვებს დღესაც ცოცხალი თანამედროვე ინტერესი აქვს, რადგან ჩვენს ინტელიგენციას ხელიც არ გაუნძრევია და ასე თუ ისე არ დაჰხმარებია გლეხს მამულის შეძენის საქმეში. არა ნაკლები თანამედროვე მნიშვნელობა აქვს ავტორისაგან აღძრულ გადასახლების კითხვას.

„საქართველოს გლეხობას... უფრო მომეტებულად უჭირს თავისუფალი მიწები და გადასახლება, ვიდრე რუსეთისას. რუსეთში ერთს კვადრ. მილ. საშუალო რიცხვით ცხოვრობს 500 სულამდის. ჩვენში – 1000 სულ... აღმოსავლეთ საქართველოში ერთს კვადრ. მილ. ითვლება 800 სული, დასავლეთისაში – 1200-1300 სული... სამეგრელოში თითო კვადრატის ვერსზედ სცხოვრობს 1800 სული. ამ სივიწროვეს ერთი ორად ხდის ის გარემოება, რო ნახევრი სამეგრელო ტყესა და ჭაობს უჭირავს, რის გამოც თითო გამოსადეგს კვადრატის ვერსზედ აქ 1600 სული მოდის. ეს ისეთი სივიწროვეა, რომელიც რუსეთის არც ერთ კუთხეში არ გაგონილა... **ამაზედ უფრო დიდი ჭირი ჩვენს ქვეყანას ამ ჟამად არ ადგია. ამაზედ უსაჭიროესს საქმეს ჩვენი მწერლობა და საზოგადოება ვერ აღძრავს**“[3]).

ამ სტრიქონებში, საიდამაც გამოიყურება ძველი დროის

---

[1]) ავტორის აზრით, მემამულეს უნდა შერჩეს მამული, ხოლო თუ მაინც და მაინც ეცლება ხელიდამ, გლეხის ხელში უნდა გადავიდესო. ჩვენ სხვანაირად ვაყენებთ კითხვას. მამული არ უნდა შერჩეს ერთ წოდებას, ხოლო უცხოელების ხელში გადასვლას მასვე დარჩეს.

[2]) „ივერია“№ 144 1887 წ.

[3]) „ივერია“№ 2. 1882 წ.



ჭავჭავაძე, შორს-მჭვრეტელი და ქვეყნის მოყვარე მწერალი,

ჩვენ ამოვიკითხეთ დღეს რაღაც საყვედურის მსგავსი – ისე უცვლელი დარჩა ის, რაც ამ თხუთმეტი წლის წინად ასე აშინებდა ჩვენს ავტორს. საკვირველია, რომ არც ერთ კეთილ განზრახვას და ავტორის ნაყოფიერ აზრს არ გამოუჩნდა მიმდევარი, იმისთანა საქმის კაცები, რომელნიც დღეს პრაკტიკულად განახორციელებდნენ იმას, რაც წინად მხოლოდ აზრი და წადილი იყო. რად მოხდა ეს? კარგ აზრს მიმდევარი უნდა გამოსჩენოდა, თავისი ნაყოფი უნდა გამოეღო. ან იქნება ამ ნაყოფის გამოღების დრო არ დაგვიდგა ჯერ-ჯერობით? თუ ეს ასეა, ახლო მომავალი პასუხს გაგვცემს ამაზედ.

ახლა ვიკითხოთ, რა აზრისა იყო ჩვენი ავტორი კერძო-საკუთრებაზედ? როგორცა ვსთქვით, ამ საგნის განხილვამ უნდა დაგვანახვოს ავტორის ნამდვილი მიმართულება. ხიზანთა კითხვის გარკვევაში ავტორის აზრი შეუწყვეტლივ ტრიალებს საკუთრების პრინციპის გარეშემო.

„საკუთრებას ორი ნაწილი შეადგენს, გვეუბნება ავტორი: ერთი პირადი, მეორე ზოგადი, რადგანაც იგი არსებობს არა მარტო ცალკე კაცის სარგებლობისათვის, რომ ნაამაგი მისის შრომისა მასვე მოახმაროს, არამედ საზოგადოების სარგებლობისათვისაც, რომ შესაძლოთ და დღეგრძელად ჰქმნას არსებობა თვით საზოგადოებისა.“[1])

ასე რომ, ჭავჭავაძის აზრით, საკუთრებას აქეს მიზნად საზოგადოების სარგებლობა და არსებობაც კი. ხოლო ამას ემსახურება საკუთრება თავისის „ზოგადის“ ნაწილით. ამისათვის ავტორი ყოველთვის უსვამს ხაზს ამ საკუთრების ზოგადს მხარეს. ამითი აიხსნება ძველ ხიზანთა ადათის გამართლება ავტორისაგან, იმ ადათისა, რომელშიაც გამოსახულია ზოგადი მხარე საკუთრებისა.

„ხიზნობა სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ ერთგვარი სახეა მიწის ხმარებისა, **გაძლიერება საკუთრების ზოგადის ელემენტისა**... რჯულს, კანონს, ჭირად საკუთრების ხელ-შეუხებლობაზედ აგებულს, (ვკითხულობთ სხვაგან) როგორღაც თვალში არ მოდის და ეხამუშება ვადა-დაუდებელი ხმარება სხვის მიწისა, ერთისა და იმავე ღალითა და მერე იმი-

[1]) „ივერია“ 1877 № 168.



ტომ, რომ ხელ-შეუხებლობა პირადის საკუთრებისა – მართლა თუ ტყუილად – მერმისის ქვა კუთხედათ აღიარებულია და ყოველი, რაც ჰზღუდავს ამ ხელ-შეუხებლობას, კანონი ძნელად იშვნევს, ძნელად იწყნარებს“[1]).

აშკარაა, ჩვენი ავტორი არა სთვლის კერძო საკუთრებას

შეურყეველ დაწესებულებად და, მისის აზრით, კანონი ხშირად ჰხუთავს საზოგადოებრივ მოთხოვნილებათ. დავუგდოთ ყური თვით ავტორს:

„მიდრეკილება ხიზნობისა, რომ ხმარება მიწისა საშვილიშვილოდ იყოს და ღალა თუ გადასახადი ერთსს და იმავე ჭდეზედ იდგეს უცვლელად – ეს ისეთი იერიშია საკუთრების პირადს და კერძო ელემენტზედ მიტანილი, ეს ისეთი ნაღმია, რომ საკუთრების ხელშეუხებლობის მოძღვრებას ძირეულად არღვევს, მთელს რჯულიერებას საკუთრებისას ფერს უცვლის და ზოგადს ელემენტს მისას გზას უხსნის სამერმისოდ ცხოვრებაში ადგილის დასაჭერად... პატრონი ხიზნობის წესით ნება-მოკლებულია: 1) აჰყაროს ხიზანი უიმისოდ, რომ არ უზღოს ყველაფერი, რასაც ხიზანი მის მამულში სტოვებს და 2) მოუმატოს ღალა-გადასახადი. ამ სახით მამულის პატრონი ღონე-მიხდილია მოიხმაროს თავისი საკუთრება თვისის სურვილისამებრ და **ეს რა არის, თუ არ შერღვევა იმ მაღალის კედელისა, რომელსაც პირადს საკუთრებას ეძახიან**“ [2]).

თუმცა ჩვენი ავტორისათვის ფრიად სიმპატიურია საკუთრების ზოგადი მხარე, ესე იგი, თუმცა მის თვალში საკუთრება ხელუხლებელ არ არის, პირ-იქით, ზოგიერთ პირობებში მისი უფლების შეკვეცაც არის საჭირო, ხოლო ამ კერძო საკუთრების უფლების შეზღუდვას, ავტორის შეხედულებით, აქვს აუცილებელი საზღვარი, რომელსაც არც კანონი, არც ჩვეულება არ უნდა გადასცილდეს. ამითი აიხსნება, რომ ჩვენი ავტორი ასე თანაუგრძნობს ხიზნობის ადათს, სადაც, მიუხედავად საკუთრების უფლების შეკვეცისა, განსაზღვრულია ამ შეკვეცის საზღვარი. ამითი აიხსნება, რომ იქ, საცა დაცულია ზოგადი ხასიათი საკუთრებისა, ავტორის შეხედულებით, აღარ არის შრომის და საკუთრების წინააღმდეგობა და განხორციელებულია სასურველი ეკონომიური თანხმობა. ავტორი არა

---

[1]) „ივერია“ № 170 1877 წ.

[2]) „ივერია“ № 191. 1877 წ.



ხედავს, რომ ამგვარი საკუთრების უფლების შეზღუდვა მხოლოდ ერთი ნაბიჯია შრომის და საკუთრების წინააღმდეგობის კითხვაში და სწორედ ამითი აიხსნება მისი სიტყვები:

„იმგვარი მფლობელობა მიწისა, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, არის უხელო მიწის და უმიწო ხელის ერთმანეთთან მორიგება **კეთილ-ნებური**, ეკონომიურს ანგარიშზედ აშენებული“ [1]).

აქ ღირს-შესანიშნავი სიტყვაა „კეთილ-ნებური“. ჩვენის

აზრით, „კეთილ-ნებობაზედ“ ლაპარაკი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც ორივე მხარე, ვინც ხელშეკრულობასა სდებს, თანაბარ და ერთგვარ პირობებში იმყოფება. წინააღმდეგ შემთხვევაში სუსტი მხარე ყოველთვის დაემორჩილება ღონიერ მხარის წინადადებას და მათ ხელშეკრულობას „კეთილ-ნებური“ ხასიათიც დაეკარგება. სწორედ ამ მოსაზრებიდამ გამოდიან მოპირდაპირენი ეგრედ წოდებულ ბურჟუაზიულ ვითამ „შრომის თავისუფლების“ პრინციპისას – (libérté Du travail). თავისუფლებაზედ და კეთილნებობაზედ შეუძლებელია ლაპარაკი იქ, სადაც მუშა ხალხი – გლეხია იგი, ხიზანი თუ ქარხნის მწარმოებელი – **იძულებულია** დაემორჩილოს კანონის და ადათის წინადადებას, იმ კანონის და ადათის, რომელიც ეკონომიურ უთანასწორობაზეა აგებული.

სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე თითქოს გრძნობდა ამ შეუთანხმობლობას. აქა-იქ ჩვენი ავტორი სცილდება „ბურჟუაზიულ“ მოძღვრების საზღვარს, ხოლო სცილდება გაუბედავად, კრძალვითა და ისევ საჩქაროდ უკან ბრუნდება.

„ცხოვრების წაღმა-უკუღმად მსვლელობამ საქმე ისე მოაწყო, გვეუბნება ავტორი, რომ მაჯის პატრონს და გარჯის გამძღოლს მარტო იმოდენა მოუთალა მის მიერ შექმნილ ავლადიდებისაგან, რაც ძლივ-ძლიობით საკმარისია მარტო იმისათვის, რომ დღე-დღიურად თავი იკვებოს. ძნელად, ძალიან ძნელად გამოსარჩომი მაჯით მცხოვრებისა ამ ხაზს გადასცილდება; პირ-იქით, ხშირად დასცილდება კიდეც ხოლმე და მაშინ მუშა-კაცი ნახევარზედ მშიერია, თუ სულ ულუკმა-პუროდ არ არის დარჩენილიო“ [2]).

---

[1]) „ივქრია“№ 176. 1977 წ.

[2]) „ივერია“№ 111. 1887 წ.



თუ ეს ასეა საზოგადოთ, ხიზანიც უკეთეს მდგომრეობაში არ უნდა ყოფილიყო, რადგან ისიც არის „მაჯის პატრონი“ და „გარჯის გამძღოლი“ და ამ მაჯის საშუალებით იკვებავს თავს.

აქ აზრთა წინააღმდეგობა აშკარაა და ამ წინააღმდეგობის დასაფარავად ავტორი აღარ უბრუნდება ეკონომიურ ძირითად წინააღმდეგობის მაჩვენებელ კითხვებს.

---

რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ყველა ზემო ნათქვამიდან, ამას შემდეგ წერილში დავინახავთ.

## VI

ჩვენ გადავავლეთ თვალი ილია ჭავჭავაძის იმ ნაწერებს, რომელნიც ავტორის დამახასიათებელ ნაწერებათ მიგვაჩნდა. რასაკვირველია, ავტორის დახასიათება სრული ვერ გამოგვივიდა – ვგონებთ, უდროვოც იქნებოდა ამგვარი დახასიათება, რადგან, იმედი გვაქვს ჩვენს მწერალს არ დაუმთავრებია ჯერ-ჯერობით თავისი სალიტერატურო მოღვაწეობა. ჩვენ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება იმ მწვავ და გამოურკვეველ კითხვებზე, რომელნიც დღესაც, – როგორც გუშინ, როგორც იმ დროს, როდესაც ილია ჭავჭავაძემ პირველად წერა დაიწყო, – გვაღელვებენ, გვაწუხებენ და უთანხმოების მიზეზად ხდებიან ჩვენს საზოგადოების სხვა-და-სხვა დასთა შორის. ჩვენ ხაზი წავუსვით ავტორის იმ აზრებს, რომელთაც თანავუგრძნობთ დღეს, და რომელზედაც უნდა აშენდეს შეუწყვეტელი და შეთანხმებული მოღვაწეობა ძველის და ახალის თაობისა. ხოლო სიმართლე ითხოვდა, აღგვენიშნა, რომ ჩვენი თანხმობა სრული არ არის და ამიტომ იქ, საცა სწყდება ჩვენ შორის თანხმობის ძაფი, უნდა გამოირკვეს და გამტკიცდეს „რაღაც ახალი“ სწორედ ის, რაც ახალ თაობის საზრუნველ საგნად გადაიქცენა. ეს ასე უნდა იყოს. ცხოვრება განუწყვეტელი მოძრაობაა. ძველი თაობის გონიერების დამამტკიცებელი საბუთი, სხვათა შორის, იმაშიაც იმალება, რომ მომავალ თაობას წინსვლის სურვილს უბადავს, უბადავს აგრეთვე ახალ აზრებს, ახალ მისწრაფებას. ყოვლად შეუძლებელია, რომ ოცდაათი წლის განმავლობაში საზოგადოებრივ ცხოვრებაში არავითარი აზრის



ცვლილება არ მომხდარიყო, ახალი კითხვები არ დაბადებულიყო, ახალი საქმე არ დაწყებულიყო. ასე რომ არ იყოს ჩვენში, ეს იმისი მომასწავებელი იქნებოდა, რომ ძველი თაობა უნაყოფოა და უძრავი, რომ მასში არ არის სიცოცხლე და ცხოველ-მყოფლობა. ხოლო ჩვენში მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო. ძველი თაობის უკეთესი წარმომადგენელი, ილია ჭავჭავაძე, მესამოცე წლებიდან მოყოლებული მოღვაწეობს სალიტერატურო ასპარეზზედ. ჩვენ უკვე ვნახნეთ, რომ ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც ამოქმედებდა ჩვენს მწერალს, ქართულ ეროვნების დაცვის, გამოფხიზლების და სხვა ერთა შორის გათანასწორების აზრი იყო. ეროვნება აღფრთოვანებდა ავტორს, ეროვნება სამართლიანობის კითხვად მიაჩნდა. და ამ კითხვის ზნეობრივ მხარეში ჰპოულობდა ჩვენი მწერალი მოქმედების და წერის საფუძველს. სანამ ავტორი ადგია თავის დამოუკიდებელ ეროვნულ პროგრამას, ჩვენი მისდამი თა-

ნაგრძნობა სრული და შეურყეველი არის და იქნება. ხოლო იქ, საცა ავტორს თითქოს რაღაცა ყოყმანი და გაუბედავობა დაეტყო, იქ სწყდება ჩვენ შორის შემაერთებელი მავთული. ჩვენ ხაზს უსვამთ იმ გარემოებას, რომ ძველ და ახალ თაობას, ილია ჭავჭავაძის მეოხებით, გამორკვეული დარჩა საერთო მოქმედების ასპარეზი და ეს სწორედ ის ასპარეზია, – ნაყოფი პოლიტიკურ ცხოვრებისა, – რომელზედაც თავისუფლად მოთავსდებიან ძველის, ახალის და მომავალ თაობის წარმომადგენელნი. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ საერთო შრომის საჭიროებას ილია ჭავჭავაძემ ჩაუგდო საძირკველი და თუ ამ ბოლო ხანებში ჩვენმა მწერალმა თითქოს აუხვია თავისივე ფეხით გათელილ ბილიკს, ეს ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს. ვიქონიოთ სრული პატივი იმისი, რაც პატივსადებია, ხოლო ნუ შევდრკებით და თამამათ გამოვეცალოთ ჩვენს მწერალს იქ, საცა ჩვენი გზები ერთმანეთს შორდებიან.. ამას გვავალებს ცხოვრება, ძველი თაობის ანდერძი, ილია ჭავჭავაძის მიერ გამორკვეული ეროვნული იდეალი. ახალი თაობა თავის დანიშნულებას მხოლოდ მაშინ აასრულებს, როდესაც სამართლიანად დააფასებს და განმარტავს ძველ თაობის ნაანდერძევს, ქართულ ვინაობას აღადგენს და ეროვნებას წარმატებისთვის გამოსადეგ იარაღად გადააქცევს. ხოლო ყველა ამისათვის, ცოდნის და ცხოვრების ერთგვარ განმარტების გარდა, საჭიროა მხნეობა



და გაბედულება, რასაც იჩენდა ჩვენი ავტორი პირველ ხანაში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ დაწვრილებით, რაში ვეთანხმებით ილია ჭავჭავაძეს და რაში არა. აღვნიშნეთ ჩვენი ავტორის ძალა და შეურყეველი ღირსება, ხოლო ისიც, რაც, ჩვენის მოსაზრებით, მის სისუსტეს და ნაკლულევანებას შეადგენს. გამოაშკარავდა, რომ უმთავრესი საგანი ჩვენის უთანხმოებისა ეკონომიური ნიადაგია. ჩვენი ავტორი წოდებათა წყობილების გაღონიერების ზრუნვაშია, რადგან ჰგონია რომ ამ წყობილების დაურღვევლად შესაძლებელია საერთო ეკონომიური კეთილდღეობა. ჩვენ კი გვგონია, რომ საერთო კეთილდღეობა მოითხოვს ახალ საზოგადოების დაფუძნებას, იმგვარ საზოგადოებისა, რომლის არსებობა **შრომაზედ** იქნება დამყარებული და ამისათვის, რაც უფრო მალე დაირღვევა ჩვენებური წოდებრივ ურთიერთობაზედ აშენებული საზოგადოებრივი აგებულება, იმდენად მეტს მოიგებს ჩვენი ხალხი და ჩვენს ეროვნებასაც უფრო მკვიდრი შეურყეველი ნიადაგი ექმნება საფუძვლად. ილია ჭავჭავაძეს არა აქვს მკაფიოდ დაყენებული დემოკრატიული პრინციპი. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ის შეურიგებელი მტერია

დემოკრატიზმისა, არც იმას ვამბობთ, რომ ხალხის მტერია ჩვენი ავტორი – ჩვენ ვნახეთ, რომ ჭავჭავაძე მუდამ ხალხის კეთილდღეობის ზრუნვასა და ფიქრშია. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ის ფარ-ხმალი, რომლითაც ესარჩლება ავტორი ხალხს, ომში გამოუსადეგარია, რადგან არა ჰკლავს ნამდვილ მიზეზს ხალხის დაქვეითებისას და ძირიან-ფესვიანად არ არღვევს წოდებათა შორის ქონებრივ უთანასწორობას. ახალმა თაობამ, თუ რაიმე მომავალის იმედი აცოცხლებს, უნდა აიცილოს ეს შეცდომა და თუ, ხალხთან ერთად ჰსურს მოქმედება, უნდა დემოკრატიულ ნიადაგზედ ააშენოს ეროვნული კეთილდღეობა.

ხოლო ამ აზრის განსახორციელებლად ახალი თაობა არ უნდა უარ-ჰყოფდეს საერთო შეთანხმებულ მოქმედებას იქ, საცა კი შესაძლებელია ამგვარი სხვა-და-სხვა წოდებათა შორის შეთანხმებული მოქმედება. ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის ნაწერები დიდ დახმარებას აღმოუჩენენ ყველა იმას, ვინც კი მოისურვებს, თანახმად საქართველოს პოლიტიკურ პირობებისა, ქართველ ხალხს რაიმე სარგებლობა მოუტანოს.

———



ჩვენ ვათავებთ ამ წერილს. ილია ჭავჭავაძეს კვლავაც დავუბრუნდებით, როდესაც შევეხებით ნ. ნიკოლაძის ნაწერების დაფასებას. ჩვენ გვსურს, შეძლების დაგვარად, გადავავლოთ თვალი ძველი თაობის უმთავრესს წარმომადგენელთ. თვითვეულ წარმომადგენელის პიროვნება და ხასიათი უფრო ნათლად გამოჩნდება საერთო ჯგუფში.

# ნ. ნიკოლაძე [1])

## 1901 წ.

(ნაწყვეტი)

### I

არა ჩვეულებრივის აღელვებით ვიწყებთ ჩვენ ნიკო ნიკოლაძის ნაწერების დაფასება-განმარტებას. ძველი გაზეთების და ჟურნალების გადაფურცვლამ, დავიწყებულ ძველ ამბების მოგონებამ, წარსულ ცხოვრების, მოღვაწეობის და თაობის გადაშინχ-გადათვალიერებამ რაღაც გაურკვეველ აღელვებით აავსო ჩვენი გული, ააშფოთა ჩვენი გონება და ჩვენს ოცნებასაც მისცა მდიდარი საზრდო. საკვირველია კაცის სულიერი თვისება! ჩვენ ყოველთვის ის გვიზიდავს, რაც მოწყვეტილია, შორს არის ჩვენგან. კარგათ ვიცით, რომ წარსული ცხოვრება ხშირად უვარგისი და ფუჭია, რომ აწმყო შედარებით მდიდარი არის, ნაყოფიერიც, მიუხედავად ამისა, წარსულ განვლილ ცხოვრების მოგონება როგორღაც გვასიამოვნებს, გვაღელვებს, ესტეტიურ სიამოვნებას გვიბადავს გულში. ის,

რაც საწყენია, აღარ გვაგონდება, რაც სატირელი, არ გვა-
ტირებს. ყველაფერს, ყველა საგნებს და მომქმედ პირებს რა-
ღაც სხვანაირი ელფერი ედებათ და თქვენც დაჰყურებთ ამ
წარსულს შორიდამ, გულდამშვიდებული და ჩაფიქრებული.
თქვენ ტვინში გაგების სურვილი იბადება, თქვენს გულში პა-
ტივის ცემა იმ მოღვაწეებისადმი, რომელთაც ავად თუ კარ-
გათ შეუსრულებიათ თავის მოვალეობა. ამგვარადვე გვიყვარს
და ვოცნებობთ ჩვენ მომავალზედ. აწმყო არ გვაკმაყოფი-
ლებს, არ აჯერებს აღშფოთებულ სულს. და თუ წარსულში
არ ვიყურებით, მომავალი გვეზმანება, გვიზიდავს, გვეალერსე-
ბა. დაუდგომელია კაცის გული, დაუცხრომელი მისი სულის

---

[1]) საუბედუროდ ეს წერილი დაუმთავრებელი დამრჩა. ვათავსებ
მას, რადგან შიგ მაინც მოიპოვება რამდენიმე ცნობა წარსულ საზოგა-
დოებრივ ცხოვრების შესახებ. **ავტორი**. 1911 წ.



მოძრიობა. მომავალი და წარსული – ორივე ერთნაირად იზი-
დავს კაცს გამოსარკვევად, გასაგებად, განსამარტავად. ჩვენ
ამ ჟამად წარსულისაკენ გვიჭირავს თვალები. იქ გვინდა მოვ-
ნახოთ კლიტე ახალი ცხოვრების ასახსნელად. ნ. ნიკოლაძის
ნაწერები ამ შემთხვევისათვის კარგ იარაღს გვაძლევენ ხელში,
რადგან ჩვენი ცხოვრების სახე მკაფიოდ არის დაჩნეული ამ
მწერლის გულში, რადგან ყველაფერმა, ცხოვრების სიხარუ-
ლმა და ტანჯვამ ერთის ღონით, ერთნაირის ძლიერებით და-
ასვა დაღი მის სულიერ პიროვნებაზედ.

როდესაც ჭავჭავაძე, ნიკოლაძე და სხვა ძველი თაობის
წარმომადგენლები გამოვიდნენ სამოქმედოთ, ჩვენი ცხოვრების
სურათი, შედარებით თანამედროვესთან, სხვა იყო. საზოგა-
დოებრივი განწყობილება სხვა ნიადაგზედ იყო აშენებული,
ლიტერატურას და მწერლობას სხვა საგანი ჰქონდა გასარკვე-
ვად და ჩვენს პარტიათა ბრძოლასაც სულ სხვა ნიადაგი ედვა
საფუძველად. ეს ის დრო იყო, როდესაც ფეოდალური წყო-
ბილება ჯერ-ჯერობით შეურყეველი იდგა, როდესაც, აღნიშ-
ნულ მიზეზის გამო, ჩვენმა ცხოვრებამ ჯერ არ გამოსახა სხვა
და სხვა პროფესიონალური კლასები და როდესაც მწერალი
დამონავებულ, უმიწა-წყლო ყმის მოსარჩლედ გამოდიოდა და
ომს უცხადებდა მათ, ვინც ძველ ცხოვრების წესს ებღაუჭე-
ბოდნენ და უსამართლობას ეტრფიალებოდნენ. ეს არ იყო
მაღალ და დაბალ წოდებათა შეტაკება. მშრომელ ხალხს ჯერ
კიდევ არ ყვანდნენ თავიანთი წრის და წოდების იდეოლოგე-
ბი. ამ მშრომელ ხალხის მოსარჩლედ თავად-აზნაურობის გა-
ნათლებული პატარა, სულ პატარა ნაწილი გამოვიდა და ამ
რიგად ატყდა ბრძოლა ერთის წოდების (თავად-აზნაურობის)

ორ თაობათა შორის – ძველ წესის, ბატონ-ყმობის მომხრეთ და მის მოპირდაპირეთ, ახალ წყობილების მქადაგებელთ შორის. ამ გარემოებას კარგად უნდა დავაფიქრდეთ. იმ ხანის „პარტიათა“ ბრძოლას თავისებური ელფერი და ხასიათი ჰქონდა. ეს იყო ბრძოლა მამათა და შვილთა, ძველსა და ახალ თაობას შორის.

ნ. ნიკოლაძე არა ერთხელ უბრუნდება ამ კითხვას და ნათელს ჰფენს ამ ჩვენს მწერლობაში გაურკვეველ საგანს. მისის შეხედულობით ძველი თაობის დამხობა აუცილებელი იყო.



„რა სამკვიდრებელი დარჩა ჩვენ ძველ თაობას?“ [1]) იკითხება ჩვენი ავტორი. **„ეკონომიურის მხრით** [2]) იმას გაღარიბებული და გატყავებული ხალხი და უმოქმედო უხეირო აზნაურობა ღუპავს, ამბობს იგი. **პოლიტიკური მხრით** – ზნე დაცემული, გაცალცალკევებული საზოგადოება, რომელსაც არა ახსოვს. **ზნეობის მხრით** – გაფლიდებული უხასიათობა, დაცემული ხელის ლოკვა, ძლიერის თაყვანისცემა, სამართლიანობის დავიწყება. **ლიტერატურული მხრით** დაცემული მწერლობა, დავიწყებული ენა, დაფანტული და დამახინჯებული ძველი ლიტერატურა. **გონებითი მხრით**, – სრული უაზრობა, ძველი ჩვენი ისტორიის უცოდინარობა, ახალი ცხოვრების გაუგებრობა. რომელ დიდებაზედ მიგვითითებს ჩვენ ძველი თაობა? – განაგრძობს ავტორი. იმან თვითონ თავისი საკუთარი ხელით დაამხო და მტვერი წააყარა ამ დიდებას და იმაზე უფრო გულმწველათ იხსენებს ამ დიდებას ჩვენი, და არა მათი თაობა. რა საუნჯეს დაგვანახვებს, რომელ გმირს წარმოგვიდგენს, როგორ ლიტერატურულ მოძრაობას, რომ ჩვენი გაკიცხვა და გაახლების სურვილი წალაგმოს? არაფერს, არც ერთს. ის ხელცარიელია, გაკოტრებულია“. კარგი იქნებოდა: – ამბობს ჩვენი ავტორი იმავე წერილში, რომ მომავალს თაობების სამაგალითოდ, ძველი თაობის მოთავე პირებს რომ ძეგლი აუშენოს ჩვენმა ხალხმა და ზედ ეს ზედ-წარწერა ამოსჭრას: „აქ მარხია თაობა, რომელსაც საკუთარი სარგებლობა ღმერთად მიაჩნდა, რომელიც ბრმად ატარებდა თავის სიცოცხლეს და დაბრმავების გამო ახალი ცხოვრების ფეხ-ქვეშ გაითელაო“.

საინტერესოა, რა ადგილი ეჭირა ძველ ცხოვრების დამხობის კითხვაში მის მოპირდაპირე ახალგაზდებს, მესამოცე წლებში ცხოვრებაში საბრძოლველად გამოსულ ახალ თაობას? ამაზედ აი რას გვეუბნება ნიკოლაძე: „შესანიშნავი და დაფიქრების ღირსი ის გარემოებაა, რომ ძველ თაობის ჩაქოლვის და დამხობის მიზეზი უფრო ცხოვრების და გარემოების ძალა იყო,

ვინემ ახალი თაობის მოქმედება და ბრძოლაო [3]). ჩვენ იმდე-

[1]) ახალი ახალგაზრდობა – ნ. სკანდელისა – კრებული № 1, 1873 წწ.
[2]) ხაზს ჩვენ უსვამთ.
[3]) ibid.



ნათ პირუთვნელი და გულწრფელი უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი (ახალი თაობის) საკუთარი მოქმედების და გავლენის დაფასება უნდა შეგვეძლოს სწორედ იმ თვალით, როგორითაც დაგვაფასებს ჩვენ შემდეგი თაობა და მომავალი ისტორია. ამ თვალით რომ შევხედოთ ჩვენ იმ ახალ თაობას, რომელიც ჩვენი ხალხის ცხოვრებაში 1861 წ. გამოვიდა, დავინახავთ, რომ **ამ თაობას ძლიერ მცირედი გავლენა და მოქმედება ჰქონია** არა თუ მარტო ხალხის ბედზე და ცხოვრებაზე, არამედ მის გონებაზე და ძველი თაობის დამხობის მიზეზებზედაც... 1861 წლის ახალი თაობა ჩვენ ცხოვრებაში პატიოსანი გრძნობით აღვსებული შემოვიდა, გვიხსნის თავის აზრს ავტორი. იმას კეთილი მიზანი ჰქონდა, პატივსაცემი მიმართულება, შრომისა და ბრძოლის სურვილი და ახალგაზდური აღტაცება, მაგრამ, როგორ ან რისთვის დავმალოთ, რომ ამ თაობას, ახალ რაზმს შეადგენდა თითქმის მარტო ერთი კაცი, – ილია ჭავჭავაძე, რომელიც წინამძღოლიც იყო და რაზმიც, ან, უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, ურაზმო წინამძღოლი იყო იმ ახალი თაობისა, რომელსაც ჩვენ ცხოვრობაში ფეხი უნდა შემოედგა“ [1]).

როგორ მოხდა, რომ ახალი თაობა ასეთი სუსტი და მოუმზადებელი გამოდგა, რომ მისი წინამძღოლი „ურაზმო წინამძღოლი“ დარჩა? ვალაპარაკოთ თვით ავტორი. „ახალმა თაობამ არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა თეორიითა [1]), არც პრაკტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი. **იმას მარტო კეთილი გული და პატიოსანი სურვილი ჰქონდა**, და გონების იარაღათ იმას მარტო ორიოდე მეტნაკლებათ ნათელი აზრი მოუძღვიდა: გლეხების განთავისუფლების სამართლიანობა, ბატონყმობის უვარგისობა, მამულის სამსახური... და თუ ამ მცირედი იარაღით და ბარგით, ამ გამოუკვლეველი, ნისლიანი აზრებით მაშინდელმა თაობამ მაინც თავი გამოიჩინა და საზოგადოების თვალში უწინდელ თაობაზე უფრო მაღლა დადგა, დასძენს ავტორი, ეს, ერთის მხრით, ძველი თაობის განუკურნველ სიძაბუნეს გვიმტკიცებს და მეორეს მხრით გვიჩვენებს, რა ადვილი იყო მაშინ ახალი მიმართულების გამარჯვება და ამაღლება“ [1]).

[1]) ibid.

მაშასადამე, უმთავრესი მიზეზი მაშინდელ ახალ თაობის სისუსტისა იყო, ავტორის აზრით, მისი მეცნიერული მოუმზადებლობა. „კეთილი გული და პატიოსანი სურვილი“ არ კმაროდა ცხოვრებაში საბრძოლველად. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ პატარა ჯგუფი განათლებულ ახალგაზდობისა განცალკევებულად იდგა. თავად-აზნაურობის უმრავლესობასთან კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი, ხოლო ხალხსაც იყო იგი დაშორებული, თუმცა ხალხის კეთილდღეობის ზრუნვაში იყო. ეს ზრუნვა და ეს ფიქრი უფრო განყენებული იყო, ვიდრე პრაკტიკული. ჟურნალ-გაზეთობაში იწერებოდა სხვა და სხვა წერილები ლიბერალურ შინაარსისა, იყო ლაპარაკი ძმობაზედ და ერთობაზედ, მაგრამ ყველა ეს მწიგნობრული იყო, სალიტერატურო კამათობას მიაგავდა. ვიწრო ამხანაგურ და ქართულ ჟურნალების პატარა მკითხველ საზოგადოების ფარგალში ტრიალებდა. **ხალხი** შორს იდგა, მის ყურამდე არ აღწევდა მანუგეშებელი სიტყვა. ხალხმა არც კი იცოდა, რომ მას ჰყავს მოსარჩლე, რომ მისი ტკივილი სხვას აღონებს და მისი გაჭირვება სხვას აფიქრებს. არ ვიცით, გარემოების ბრალია, თუ მაშინდელ ახალგაზდაობისა, ხოლო მესამოცე წლების დემოკრატიული მოძრაობა ცარიელ **სიტყვად** გამოდგა. იგი არ გადასცილებია თვით მოთავეების ვიწრო წრეს, არ გახდა უმრავლესობის მმოძრავ ძალად და არ შეჰქმნა ის რაზმი, რომელზედაც სჩივის ნ. ნიკოლაძე. იქნება აქ იმალება იმისი მიზეზიც, რომ ჩვენი თანამედროვენი, ის შეგნებული ნაწილი ჩვენი **ხალხისა**, რომელიც ჰფიქრობს და აზროვნობს, კეთილის სიტყვით არ იხსენიებს ჩვენს ძველ მოღვაწეებს და თითქმის თავიანთ მოპირდაპირეებად სთვლის მათ. ამ საყვედურში მხოლოდ ის არის სამართლიანი, რომ მართლაც ამ ჩვენს ძველ მოღვაწეებს ვერ მოუგიათ ხალხის გული, ვერ დაუმსახურებიათ მისი პატივისცემა, რადგან ისინი, მიუხედავად იმისა, რომ მათი გული და გონება ხალხისკენ მიისწრაფვიდა, საქმით, მოქმედებით შორს იყვნენ ხალხზედ. და ამიტომაც დარჩნენ ისინი განმარტოვებულნი, თითქმის გაუგებარნი. ამ მხრით რომ განვსაჯოთ კითხვა, უფრო გავიგებთ იმას, რაც წინა წერილებში არ გვესმოდა. ეხლა ჩვენ გვესმის, რატომ არ გამოუჩნდა მიმდევარი ილია ჭავჭავაძის კეთილ განზრახვას და აზრს. გვესმის, რატომ დარჩა ურაზმოდ არამც თუ ჭავჭავაძე, არამედ



იმისთანა „წინამძღოლიც“, როგორიც იყო თვით ნ. ნიკოლა-

ძე. ამ კითხვას შემდეგში კიდევ დავუბრუნდებით.

ასე იყო თუ ისე, 1860 წლიდან ახალი თაობა გამოვიდა ცხოვრებასა და ლიტერატურაში. ჩვენ ვიცით უკვე, როგორი ტიპის პუბლიცისტი იყო ილია ჭავჭავაძე. ამ მწერლის დაფასებაში ჩვენ ვცდილობდით თეთრი თეთრად აგვეღიარებინა და შავი შავად. ჩვენ ვსთქვით და ვამბობთ, რომ ჭავჭავაძის ღვაწლი პუბლიცისტიკაში დაუფასებელია, რადგან მის ნაწერებში ვპოულობთ ჩვენი ცხოვრების განმარტებას. ხოლო ამასთანვე ჩვენ ვსთქვით და ვამბობთ, რომ ეს განმარტება ცალმხრივი იყო, რომ რამდენადაც წინად ავტორი ჩვენი საზოგადოებრივ მოძრაობის სათავეში იდგა, იმდენად ამ უკანასკნელ ათი თორმეტის წლის განმავლობაში ვერ აიღო ალღო ახლად დაბადებულ მოთხოვნილებისა და როგორღაც ცხოვრების ნაპირზედ ჩამორჩა. ეხლა ვნახოთ, რა შესძინა ჩვენს ლიტერატურას და საზოგადოებრივ ცხოვრებას ნ. ნიკოლაძემ? უნდა ვსთქვათ, რომ ამ მწერლის დაფასება მეტად საძნელოა. ნ. ნიკოლაძეს ქართულის გარდა, ბევრი რაუწერია რუსულადაც, ზოგი აქაურ პრესაში, ზოგი პეტერბურგის ჟურნალებში. ამასთან საზღვარ-გარეთ ყოფნის დროს მას მონაწილეობა მიუღია ფრანგულ გაზეთებში (შვეიცარიაში) და აგრეთვე ცნობილ ჰერცენის „კოლოკოლში“. ყველა ამ მასალის შეგროვება მეტად მოუხერხებელია და იქნება შეუძლებელიც ამ ჟამად. ამისათვის, ჩვენ წინ და წინვე ვამბობთ, რომ ამ ჩვენს წერილებს ბევრი ნაკლულევანებაც ექმნება და სასურველი სისრულეც აკლდება. მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ავტორის არა-ქართულ ნაწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. აქაურ რუსულ ჟურნალ გაზეთობაში ნ. ნიკოლაძე ხშირად სწერდა ქართულ კითხვებზე. მათ ჰქონდათ მნიშვნელობა რუსებისათვის და ქართველ ინტელიგენციისათვის. ხოლო ყველა იმათთვის, ვისაც რუსული კითხვა ეძნელება – და მათი რიცხვი ჩვენში პატარა არ არის – ავტორის ამგვარ ნაწერებს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონია. რაც შეეხება რუსეთში და სამზღვარ გარეთ დაბეჭდილ ნაწერებს, მათი მნიშვნელობა უფრო განსაზღვრულია: ისინი უფრო ავტორის სულიერ პიროვნობის დასახასიათებლად გამოდგებიან. სხვა მნიშვნელობა ქართველ



საზოგადოებისათვის და ლიტერატურისთვის მათ არ ჰქონდათ. ჩვენც ამისდა კვალად მოვეკიდებით საქმეს. თავდაპირველად მივაქციოთ ყურადღება ავტორის ქართულ ნაწერებს. ისინი არამც თუ იმას დაგვანახვებენ, რა შესძინა ნიკოლაძემ ქართულ ლიტერატურას, არამედ **როგორ** ჰსახავდა და ამ-

ტკიცებდა ავტორი თავის აზრებს. მწერლის ენა, მისი „სტილი“ საუკეთესო საშუალებაა მისი გონება-მახვილობის, სულიერ მოძრაობის გაგებისათვის. მკაფიო სიტყვა ხშირად აზრის სიმწიფის მაჩვენებელია და ლექსიკონის სიმდიდრე აზროვნობის სიმდიდრეს მოასწავებს.

როგორც წინა წერილებში, ეხლაც, ჩვენ აზრთა მიმდინარეობა და მნიშვნელობა გვექნება სახეში, ვიდრე ქრონოლოგიური აღნუსხვა წერილებისა. ამ უკანასკნელს მით უფრო არ ამოვუდგებით, რომ ჩვენი მწერლის ბიოგრაფია სრულიად შეუმუშავებელია და უამისოდ ჩვენ არ ვბედავთ ქრონოლოგიურ წესრიგის დაცვას ჩვენი მწერლის სალიტერატურო მოღვაწეობის კითხვაში. ამ წერილის სათავეში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნ. ნიკოლაძე იმ ახალგაზდათაგანი იყო, რომელმაც ზურგი შეუქცია მესამოცე წლებში ძველ თაობას და ძველ საზოგადოებრივ წეს-წყობილებას. მისი აზრი, გრძნობა, მისწრაფება – სულ მომავლისაკენ იყო მიქცეული და მიმართული. ამისათვის იგი მკაცრ და მკვახე მსჯავრს სდებდა არამცთუ გადაბირებულ მოღვაწეებს, ახლებსაც და ხშირად ვერ ეწყობოდა და ვერ ურიგდებოდა თავის მედროვე ახალ თაობას. მომქმედმა, დაუღალავმა, შორს მჭვრეტელმა ნ. ნიკოლაძემ იმ თავითვე შეიგნო ერთგვარი ცხოვრების ხასიათი, იგი სდევნიდა ყოველგვარ გაუბედაობას, ლაჩრობას, „სენტიმენტალობას“. ავტორის აზრით, „ვინც გაიმარჯვა – ის ჭკვიანი და საქებია, თუნდ გაემარჯოს მარტო გარემოების შემწეობით. და ვინც წაიქცა, ვისაც ანგარიში შეეშალა, ან ვისაც მიზნის მიღწევის ნება არ მისცა სრულიად წარმოუდგენელმა გარემოებამ, ის ყველასთვის სასაცილო და ტალახით გასათქერი ხდებაო“[1]). ნიკოლაძის მკვახე სიტყვა ბევრს ჭკუაში არ მოსდიოდა. მისი „რეალიზმი“ აფრთხობდა და აშინებდა. ხოლო ჩვენი ავტორი მაინც თავისას იძახოდა.

---

[1]) „დროება“ № 44. 1873 წ.



ცხოვრებასთან ხუმრობა ლაჩრობად ეჩვენებოდა. ცხოვრება არ უნდა იყოს მოცული ბურუსით. უნდა ვიცოდეთ, რა ამოძრავებს ადამიანს, ამოქმედებს მის აზრს, გონებას, გულს. „სანამ ქვეყანა ქვეყანად დარჩება, კაცის მოქმედების მიზეზი ყოველთვის **შიმშილი** და **სიყვარული** იქნებაო, ე. ი. კაცზე მარტო **სტომაქს და ქალს** ექნება გავლენაო[1])“. მესამოცე წლების მატერიალიზმი, ბიუხნერის, მოლეშოტის, სპენსერის და დარვინის მოძღვრება და ფილოსოფია გამოიყურება ამ სიტყვებიდამ. რომანტულ პოეზიაზედ აღზრდილ

თაობას ვერაფრად ეჭაშნიკებოდა ამგვარი აზრები, პატრიო-
ტულ ყმაწვილ კაცობას, რომელთაც სამშობლო მამული სა-
თაყვანებელ საგნად მიაჩნდათ, სტომაქის და სქესობრივ მიდ-
რეკილების გაღმერთება შეურაცხყოფადაც არ ეყოფოდათ.
ნ. ნიკოლაძის პირდაპირობა, მოურიდებლობა, ბევრ უსია-
მოვნობას ჰბადავდა თვით ახალგაზრდობის წრეებშიაც. ხში-
რად ზომიერებას აცილებდა ხოლმე ჩვენი ავტორი, უსამარ-
თლობასაც იჩენდა საზოგადოებრივ მოვლენის აწონ-დაწონა-
ში. ყური დაუგდეთ, როგორ ხდის ახალ თაობას (თავის თა-
ნამედროვეს): „ყოველ საზოგადოებაში თვითოეულ თაობას
თავისი საკუთარი ტვირთი აწევს და ისტორიულ ცხოვრება-
ში ყოველ თაობას უნდა შეეძლოს თქმა: ჩემი მხრით მე ეს
ახალი სარგებლობა მოუტანე ჩემ ხალხს, ეს ახალი სინათლე
ვაჩვენე, ახალი ძალა შევძინე და ახალი გზა გაუხსენი უკე-
თესი ცხოვრებისაკენ, –შეუძლია ჩვენ ახალგაზდობას გულზე
ხელი დაიდვას და სთქვას ეს სიტყვები? მე დარწმუნებული
ვარ, რომ არა, მაშ ნუ დავივიწყებთ, როქ იმ თაობას, რო-
მელსაც ამ სიტყვების თქმის უფლება არა აქვს, ისტორია
სწორეთ იმგვარად სთვლის, როგორც ცხოვრების ჯოგს, რო-
მელიც მხოლოდ მით ასარგებლებს ქვეყანას, რომ მოძოვე-
ბულ მინდორზე ნაკელს ჰყრის“[2]). აშკარაა, ამ სიტყვების
შემდეგ ბევრი არ შერჩებოდა ჩვენს ავტორს გულის შემატ-
კივარი მეგობარი, ნიკოლაძე თითქმის ყოველთვის განცალ-
კევებულად მოქმედებდა, ყოველთვის თავის საკუთარის გზით
მიდიოდა, დამოუკიდებლად და უშიშრად. ყმაწვილ კაცობას,

---

[1]) კრებული № 4 1871 წ.

[2]) ახალგაზდობაზე „კრებული“ № 1-3 1871 წ.



სხვათა შორის. „ბანკის“ თაობაზედაც შემოუწყრა. ამას ჩვენ
შემდეგ დავუბრუნდებით. ეხლა კი უნდა ვსთქვათ, რომ შემ-
დეგში თვითონ ჩვენმა ავტორმა აღიარა, რომ ცოტა არ
იყოს უსამართლოდ ჰკიცხავდა ახალგაზდობას ბესარიონ ღო-
ღობერიძე, რომელთანაც მკაცრი შეტაკება მოუვიდა ქუთაი-
სის ბანკის წესდების შესახებ, არც ისე დანაშაული იყო სა-
ზოგადოების წინაშე. კაცი არ არის შეუცდომელი. რაც შე-
ეხება გულწრფელობას და ზნეობრივ პატიოსნებას, ამაზე
წუნს ვერავინ დასდებს ბესარიონ ღოღობერიძეს, რომელსაც
ამაგი მიუძღვის მაშინდელ ახალგაზდობის წინაშე[1]). აი რას
სწერს ამის შესახებ ათი წლის შემდეგ ჩვენი ავტორი. „ახა-
ლი თაობა გვიდგა წინ, განახევრებული, ამტერებული, გა-
დაკიდებული ერთმანეთზედ... რომ იცოდეთ, რა ნაირად

გვახარებს, – განაგრძობს ავტორი, – რამდენად გვაბედნიერებს ის აზრი, რომ შემცდარი ვყოფილვართ... ეხლა გულ დამშვიდებულად შეუძლია სთქვას კაცმა, რომ ისინი (ახალგაზდები) შემცდარნი იყვნენ მარტო, და არა მოყიდულნი წუთიერის ანგარიშებით. აი ეს აზრი გვასხამს ფრთას, გვაიმედებს, ძველ შხამს გვავიწყებს და ახალ ძალას გვაძლევს“[2]). ადრე თუ გვიან ეს აუცილებლად უნდა აღიარებინა ნიკოლაძეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალი თაობა მიკერძოებას და პირადის ანგარიშების ჩასწორებას დასწამებდა მას. ამ თავის „შეცდომის“ აღიარების შემდეგ მეტი ფასი ეძლევა იმას, რაც დაუწერია ნიკოლაძეს წინად თავის თანამედროვე ახალგაზდა მოღვაწეებზე, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძეზე. და აი რა აზრისა იყო 1873-ში აშ უკანასკნელზე. „რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავალის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარში“ და ამ ნაირად იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბეს“ და „ცისკარის“ შუა, სჩნდა ის ნამდვილი და ძლიე-

---

[1]) ბესარიონ ღოღობერიძე მესამოცე წლების ახალგაზდობის წრეს ეკუთვნის, თუმცა წლოვანობით იგი უფროსი იყო თავის ამხანაგებზე. ბ. ღოღობერიძემ არა ერთი და ორი ყმაწვილი მოამზადა უნივერსიტეტისათვის. მანვე შეიმუშავა ქუთაისის ბანკის წესდება.

[2]) „შრომა“ № 24 1882 წ.



რი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველს და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაშიო“[1]). მაშ არც ისეთი უძლური და სუსტი ყოფილა ის ახალგაზდობა, რომელსაც დრო გამოშვებით შოლტავდა გულზედ მოყვანილი, გაცეცხლებული ჩვენი ავტორი. „განა ამ სტრიქონების დამწერი, – განაგრძობს იგი, – ყველაფერში ეთანხმება, მაგალითად, გ. წერეთელს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს ან ს. მესხს? ან განა ესენი ყველაფერში ეთანხმებიან იმას? არა. ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვებზე ჩვენ სხვა-და-სხვა აზრისანი ვართ. მაგრამ ჩვენ საზოგადო მიზანი ყველას ერთი და იგივე გვაქვს და უნდა გვქონდეს. ამ საზოგადო მიზანს ჩვენ ყველანი, ჩვენი ძალისა და ცოდნის მიხედვით, ერთგულად ვემსახურებით.“[2]) ესეც დავიხსომოთ და ამ ადგილზედ მივუთითოთ ყველა იმათ, ვისაც ჰგონია, რომ ამ ორ მწერლის შუა (ჭავჭავაძე და ნაკოლაძე) არსებითი განსხვავებაა და რომ ისინი ორ სხვა-და-სხვა ბანაკს ეკუთვნოდნენ – ჭავჭავაძე კონსერვატიულს, ნიკოლაძე – ლიბერალურს. ერთსაც და მეორესაც ერთი მიზა-

ნი ჰქონიათ, ხოლო სხვა-და-სხვა გზებით აღწევდნენ ამ მიზანს. რამდენად მართალია ეს მოსაზრება, ამას თანდათან უფრო თვალსაჩინოდ დავინახავთ.

II

სანამ შევეხებოდეთ ნ. ნიკოლაძის საზოგადო შეხედულებას, დავინახავდეთ, როგორ სხნის ავტორი ჩვენს სოციალურ ცხოვრებას, დაუგდოთ ყური, რას გვეტყვის ავტორი ჩვენი ხალხის ხასიათზედ, მის ისტორიულ წარსულზედ, როგორ დამჩნეულა და გამოსახულა ეს წარსული საქართველოს სხვა-და-სხვა ტომთა ფსიხიურ თვისებებზე. ამ საგანზე ავტორი გვაძლევს კოხტად დაწერილს ფსიხოლოგიურ ეტიუდს, რომლის საშუალებით სცდილობს გადაგვიშალოს დაფარული, საიდუმლო ხალხის გული. მაშ ყური დაუგდოთ. „ქალი რომ შემიყვარდეს, – ამბობს ავტორი, – მე ვეტყოდი, ჩემი თუ ხარ, ორივე ლოყით და ორივე ტუჩით ჩემი იყავი, თუ არა და ღმერთმა მთლად ერთიანად სხვას მოახმაროს შენი თავი. თო-

[1]) „კრებული“ 1873 წ.
[2]) „კრებული“ 1873 წ.



რემ რა საქციელია, ერთი თვალით მე მიღიმოდე და მეორეთი ჩემს მეგობარს მეთქი[1]). თფილისს ეკადრება ამნაირი სიტყვა: კეკლუცი ქალივით, ის ხან ევროპის ცხოვრებას და ევროპიელებს ექალაჩუნება, ჩვენ გვიღიმებს, ხან იმ სპარსელების ცხოვრებისაკენ ბრუნდება, რომელნიც დამეჭეჭებული ხელებით მის წვრილ შვილს ბინძურ და უგემურ „ლულა-ქებაბს“ აძლევენ... ესრეთია თფილისი... „როგორც ბევრ ხელში ნამყოფი ტურფა ჭკნება და ლაზათს და სიცოცხლეს ჰკარგავს, განაგრძობს ავტორი, როგორც მისი მოწყვეტილი ყელი და ჩავარდნილი თვალები ნიადაგ უამბობს კაცს მის დაბნეულ ცხოვრებას, ისე, ამ საუკუნის დაწყებამდე, საქართველოს მინდვრების იშვიათი წელ-მოხრილი და უშნო ბუჩქები და სრულიად უმცენარო მიწა გულმწუხარეთ თითქო ბუტბუტებდა: აქ, ჩვენზე, ბევრ ურჯულოებს გადაუვლია და მათი გულ-მკერდი ისე მაგრათ დაგვხუტებია, რომ ყველაფერი, რაც კი გვეზადა, გასრესილი და გალეწილი დარჩაო... ჩვენი ქვეყნის წარსული ცხოვრება ათასნაირად ამტკიცებს, რომ ჩვენი ხალხი ყოფილა „ერი პურადი, გულადი მებრძოლი შავის ბედისა“, მაგრამ ამ მშვენიერი ხალხისაგან დღეს ჩვენ რა დაგვრჩენია, პურადობის გარდა? ან პურადობა რაა, თუ კი პური არსად

მოიძებნება ამ ჩვენ გადატყავებულ მინდვრებზე? ქართველს ტანში (აშკარაა, ავტორი იგულისხმებს ქართლ-კახეთის აზნაურობას) დღეს ისეთი დაზანტებული სული უდგას, რომ მისი კეთილი სურვილი ნიადაგ ფუჭ და მიუწვდენელ სურვილად რჩება. თავის სპარსული ხალიჩით და სპარსული მუთაქით მორთულ ტახტზე ქართველი დილიდამ საღამომდე წევს, თითქო მამა-პაპების გმირობას მისი სხეული დაუძალავს, წევს და დაძინებაც ეზარება. ნატვრის მეტი იმას არაფერი რომ არ სჭიროდეს, დარწმუნებული იყავით, რომ ის მთელ ქვეყანას გაასასუფევლებდა... სპარსეთის ვარჯიშობამ ჩვენ მინდვრებში და დარბაზებში, მათმა გამარჯვებამ ჩვენ ციხეებზე და ქალბატონებზე, ასე დაამცირა ჩვენი ხალხის ხასიათი, ასე ამოჭკაფა მის გულში მხურვალე და პატიოსანი სიმაღლე და ამისთანა უბრალო, პაწია გრძნობა ჩათესა ჩვენ ძარღვებში... დააკვირდით ქართველი კაცის ხასიათს (ავტორს ქართლელი ჰყავს სა-

[1]) „კრებული“ № 4 1871 წ.



ხეში), ქართველ ბუნებას, ღვინოს, ერთი სიტყვით, რასაც კი გსურდეთ, და მაშინვე დაინახავთ, რომ სპარსელის ხელი და თესლი ყველაფერს დაჩნევია, ყველგან ჩაფარულა, ყველაფერი გაუსპარსელებია“[1]).

აქ ჩვენი ავტორი სულ უბრალო საგნებზედ გვიწყებს ლაპარაკს – ღვინოზედ, სიყვარულზედ და სხვ. „იმერული ღვინო ახალისებს, ახტუნებს, აყმაწვილებს, ან, ერთი სიტყვით რომ ვსთქვათ, „აჭიკჭიკებს“ კაცს, მოგვითხრობს ავტორი, კაცს მარტო კახური ღვინო ათრობს. მძინარე ზანტი კაცი უხალისოდ სვამს მძიმე და მაგარ ღვინოს, რომელიც ზორბა ცხენის ნალივით აჯდება მის გულს. პირველივე ყანწი გულ-მომაკვდინებელ სპარსულ კილოზე გამოთქმულ სიმღერას გგვრის, რომელშიაც ყოველნაირი ხმა და გრძნობა ისმის, ქართულის ხმისა და გრძნობის გარდა. ამ სიმღერაში ქართული სიტყვების მეტი, არა არის რა. ის დაღონებული სიმღერაა, ნათქვამი მომაკვდავი ხმით, ზანტად ტანის მრხეველი კაცისაგან... მოუმატეთ ამას სპარსული ყურთმაჯა, ბუხრული ქუდი, განიერი სპარსული შალვარი, და პირისახე, რომელიც სანახევროდ კახურს ჩამოგავს და ნახევარ სპარსულს, მიბლანდული, დაღალული თვალები და თქვენ ძნელად შეგეძლებათ სთქვათ, საქართველოში ხართ, თუ სპარსეთში, ქართული ლხინია თქვენ წინ, თუ სპარსული მეჯლიში“ [2]).

ღვინის დაფასებაში არ შევალთ, რაც შეეხება ქართულ ხასიათის გადასხვაფერებას და გასპარსელებას, ამაში ეჭვი არ

არის. რაც ორიგინალურ ქართლელ-კახელის თვისებად მიგვაჩნია, ხშირად სხვისია, უცხოეთიდან გამოსული, სპარსეთის ზედგავლენის ნაყოფია. ზოგიერთ ჩვენ „პატრიოტებს“ გული უკვდებათ ხოლმე, ხედვენ რა ქართულ ხასიათის გადაგვარებას, და იმას ვერ ატყობენ, რომ დასტირიან სხვის ორიგინალობას. ქართული ხასიათი მიმალულა, დაფარულა, მას გამონახვა სჭირია, მისი თვისების აღდგენა და გასუფთავება. ჩვენი ავტორის სიტყვებს სწორეთ ამგვარი მნიშვნელობა ჰქონდათ და ექნებათ. დაუგდოთ ყური, კიდევ რას გვეტყვის საგულისხმოს. „სიყვარულშიაც ქართლელს და იმერელს შუა ამნაირი-

[1]) „კრებული“ № 4 1871 წ.
[2]) ibid.



ვე განსხვავებაა*). ქართლელ კაცს უყვარს ქალი, როგორც ცოლი. ის მძიმეთ ეარშიყება, მძიმეთ უახლოვდება ქალს, ცღილობს ჯვარის დაწერას და სახლში დამწყვდევას... რაკი ქართლელი ჯვარს დაიწერს, მისი ყოფა-ქცევა იმნაირათვე მძიმე, უხალისო და თითქო უნდომია, როგორც მოვალეობის ასრულებაა. იმერელ კაცს უყვარს ქალი სიყვარულისათვის. ის ეარშიყება, ეთამაშება, ეხუმრება თავის საყვარელს, თამაშობს და ათამაშებს ხალისით, კასკასით, ტრფობით. კაცს ეგონება, აი ნამდვილი გრძნობაო. მაგრამ მისთვის ძნელი არაა, დაივიწყოს ხვალ დღევანდელი ტურფა და ზეგ მეორეს უძღვნას თავისი ალერსი, სიხარული, სიყვარული და კასკასი... როგორც სიყვარული, იმნაირია ენა, საუბარი, – განაგრძობს ავტორი. ქართლელი ლაპარაკობს პტყლად, ნელა, დამჯდარათ, დალაგებით. მისი სიტყვა ზანტად შორდება თავის დაჩვეულ ყელს, თითქო გარეთ გამოსვლა ეზარებაო... მთელ საუბარს სპარსული დაღი, რითმი ატყვია... სულ სხვანაირად ლაპარაკობს იმერელი. მის პირში სიტყვები ცეკვავენ, თითქო ერთი მეორეს ასწრებს დაბმულ ყელიდგან თავისუფალ ჰაერში გამოსვლასო"... ხოლო ყური მიუგდეთ, რას გვეუბნება ქალებზე. „ქართლში და კახეთში ქალი მეტის-მეტათ ჩუმი და მოსვენებული ქმნილებაა. მის სიცოცხლეში და მის თვალში სიყვარული, ალერსი და გრძნობა იმნაირივე მომბეზრებელი და აუცილებელი სენია, როგორც ყვავილი ან ხურება. რაკი იმას ამ სენის „მოხდის“ დრო დაუდგება, ცდილობს როგორმე მალე აიცილოს მისი „ბატონობა“, თავაზიანათ დედა-ბეზიებიდან ნასწავლ სიტყვებს და გალობას ხმარობს და რაც შეიძლება მალე უბრუნდება თავის მოსვენებულ ტახტს, რაც შეიძლება მალე შედის თავის ნაჩვევ ცხოვრების კალაპოტში...

იმერელ ქალს ხალისი, სიცხოველე, კეკლუცობა და სიმარდე დედის მუცლიდანვე ებადება. რაგინდ ოსტატურათ თავდაკავებული იყოს იმერელი ქალი, მის ხტომია თვალებზე და სქელი ტუჩების რხევაზე, მისი სხეულის მიხვრა-მოხვრაზე... აშკარად აჩნია, რომ ეს საუკეთესო არსება ღმერთს სიყვარულისთვის გაუჩენია. მეოჯახობის, ავათმყოფის მოვლის იმერელ ქალს თავი არა აქვს, ამ საქმისთვის გაჩენილია ქართლელი

*) ibid.



ქალი. მაგრამ საყვარლის, კავშირისა და შვილების ტრფობაში, ხალისში, საზოგადოებაში იმერელი ქალი სწორეთ ნამდვილი დარდიმანდია... იმერელ ქალს რომ ქართლელი ქალის შინაურობა, საოჯახო თვისება დაუმატოთ, ან ქართლელს – იმერელი ქალის ალერსი და ხალისი, თქვენ მაშინ ხელში სრული არსება გეყო;ებათ. საუბედუროთ, ბუნებას არ შეუზავებია ამ ჩემი პლანით ქართლელი და იმერელი ქალის ხასიათი და ეს განხეთქილება ქართლსა და იმერეთს შუა, ჩემი აზრით, მეტის მეტად სამწუხაროა“, დასძენს ავტორი.

ღვინოსი არ იყოს, სიყვარულის და ქალების კითხვაშიაც ვერ შეუდგებით იმის ვარაუდს, რამდენად არ ეწინააღმდეგება სინამდვილეს ამგვარი დახასიათება, ვერ ვიტყვით აგრეთვე იმერელ თუ ქართლელ ქალებს უფრო უნდა სწყენოდათ ამნაირი დასურათება. გამოცდილი კაცების სიტყვით კი, ჩვენი ავტორი არ უნდა სცდებოდეს თავის დახასიათებაში. ამგვარივე აზრისაა, მაგალითად, ჩვენი პოეტი აკაკი, თუმცა ამ უკანასკნელს ქართლელ ქალში მეტი ღურსება უპოვნია[1]). კითხვა იბადება, რამ დაჰბადა ამგვარი ხასიათის განსხვავება ორ ერთის ოჯახის შვილებს შუა? სად, რაში უნდა ვეძებდეთ ამ განსხვავების მიზეზს? ხალხის ფსიხოლოგიის კითხვა თუ გაინტერესებთ, ამაზედ დამზადებული უნდა გქონდეთ პასუხი. ნ. ნაკოლაძესაც რაც დაუწერია ამ საგანზედ გასართობათ არ დაუწერია, მან ხელოვნურის ნიჭით გააცოცხლა მძიმე და

[1]) ქართლელ ქალმა სიყვარული
ტრფიალებით გამოხატა,
კაცის გული რკინათ სახა,
თვისი მასზედ ანდამატა.
იმერელმა კი ამ გრძნობას
ანგარიშიც დაამატა, –
სთქვა: თუ კაცი თაგვი არის,
ქალი უნდა იყოს კატა:
რომ კუდ ქნევით და კრუტუნით

შეაცდინოს, დაიჭიროს,
ხან შეიპყრას ხან გაუშვას,
ხან აცინოს, ხან ატიროს,
არც მოკლას და არც არჩინოს,
მის მჭვრეტელი გააკვირვოს,
რა დასჭლექდეს მისი მსხვერპლი,
მერმე სხვებზედ ინადიროს!



რთული პრობლემა განყენებულს საგნებზე ლაპარაკს, ცოცხალ, მარტივ მაგალითების დასახვა ირჩია. ზოგს აწყენინა, ზოგი გაახარა. ხოლო ამასთან ყველა ჩააფიქრა. საქმე და ძალა სწორედ ამაშია. მწერლის წერის უნარი, სტილი ამსუბუქებს, აადვილებს გასარკვევ საგანს. და ეს დიდი ღირსებაა ჩვენი ავტორისა. მაშ რა პასუხს იძლევა ავტორი ზემოდ დაყენებულ კითხვაზედ. „რაც უფრო მეტს აკვირდება კაცი ამ განსხვავებას ქართლსა და იმერეთს შუა, იმით უფრო და უფრო გაკვირვებულია ის ერთიანათ. რას მოუხდენია ეს საკვირველი განსხვავება, რას დაუდევს ამნაირი ორპირი დაღი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისათვის?.. ძველ დროში ოსმალები დასავლეთით დაბრძანდებოდნენ იმერეთში და როგორათაც სპარსელები, აოხრებდნენ ქართლსა და კახეთს. ოსმალოს ხასიათი ცოტათი ნაკლები დარჩა იმერლების ძარღვებში, მაგრამ მაინც დარჩა, **ქართლსა და იმერეთს შუა, შედარებით, სწორეთ იმნაირივე განსხვავებაა, როგორიც ოსმალოს და სპარსეთს შუა.** ოსმალო ქეიფის, ალერსის და ხალისის მოყვარეა. ამას მაჰმადი სწამს, მაგრამ მაჰმადზე უფრო მტკიცეთ მისგან დაპირებული „გურიები“ სწამს, მათი მშვენიერი გრძელი თმით, მათი ჟუჟუნა, მოცინარე თვალებით, ნაზი ტანის რხევით და სიყვარულით მოშაქრული ტუჩებით. ის მაჰმადის სარწმუნოებას ავრცელებს, მაგრამ უფრო იმისთვის, რომ ამ გავრცელებას მოსდევს ამ ქვეყანაშივე გურიების მსგავსი ქალების მითვისება, მათი ალერსით დატკბობა, მათი სიყვარულით გათფობა... სპარსელი კი უფრო ცხელ ქვეყანაში დაბადებული და აღზრდილია, იმას უფრო სჩვევია ფანატიზმი, სხვისი ცხოვრების მტვრევა, სხვისი რწმუნების ამოკვეთა. – როგორც კაცი, სპარსელიც ემონება ხოლმე სიამოვნებას, მაგრამ ის ყოველთვის გრძნობს მის უკანონობას... ის სიამოვნებას როდი ეძებს, მაგრამ, როცა სიამოვნება მის წინ დგას, იმოდენა ღონე არ აქვს, რომ სიამოვნებას მოშორდეს... სპარსელებს იშვიათად მიჰყავდათ ქართლელი ქალი. ოსმალოებმა კი გაზიდეს იმერეთიდამ ახალგაზდა ლამაზი ქალები. ამის გამო იმერეთის ხასიათის, იმერეთის სისხლს ნაკლებათ დატყობია ოსმალოების დაღი. სპარსელების ხასიათის ბეჭედი კი მუდამ ჩვენ ოჯახებ-

ში რჩებოდა, ჩვენ სახლებში იზრდებოდა – და დღესაც სჩანს ქართულ ცხოვრებაში... მაგრამ იმერეთის ცხოვრებას ერთი



საშინელი დაღი დასმია, რომელიც, საქართველოს საბედნიეროდ, ასცილებია ქართულ კაცის ყოვლად დატანჯულ და ყოვლის ამტან წარსულ ცხოვრებას. ეს დაღი დაუკრავს იმერეთის ხასიათზე ოსმალოების და მათში გარეული ბერძნების ქალაჩუნობას, პირმოთნეობას და ფარისევლობას!.. როცა მე მშვენიერს, ბუნებით ჭკუიანს, ბასრი გამჭრიახე გონების და გამბედავი ხასიათის იმერლებს ვაკვირდები... ვფიქრობ, რა საჭიროა ამისთანა ჩინებული და გონიერი ხალხისთვის ეს ორპირი ენა, ეს ქალაჩუნობა, ურომლოდაც იმას წინადვე აქვს მოგებული ყოველი კაცის გული და გრძნობა, პატივისცემა და სიყვარული. რას უმატებს იმათ, ვითომ, ეს პირმოთნეობა, სიყვარულის თხოვნა, როცა უიმისოდაც მზათაა კაცი შეიყვაროს ეს მშვენიერი ხალხი და პატივის ცემით, რითაც კი შეუძლია ხელი გაუწყოს მის მოძრავ და მხიარულ ცხოვრებას?.. ასე ხშირათ, მშვენიერი, სიცოცხლით და სილამაზით სავსე იმერელი ქალი, ჟინჟღილივით ანთებული, ვარდისფერი ეშხით და ლაზათით, დაუზოგველათ იცხებს თავის ახალგაზდა პირისახეზე საძაგელ ყვითელ უმარილს და აგურისფერ, უხეირო, უშნო ფერს, რომელიც სრულიად ღუპავს მისი მშვენიერი თვალების სხივს და პირის სახის სიცოცხლეს...“ [1])

ასე ათავებს ნიკოლაძე თავის პატარა ფსიხოლოგიურ ეტიუდს. იქ, რასაკვირველია, მეცნიერულ გამოკვლევას ვერ იპოვნის კაცი, მეცნიერულ დასაბუთებას ვერ ნახავს ამ კოხტა წერილში. აქ ჭკვიანი კაცის დაკვირვებაა და ამ დაკვირვების ოსტატური გადაცემაა. აქ თქვენ გასიამოვნებთ ადვილად გამოთქმული სიბრძნე და დაფიქრება. და გატკბობთ ცოცხალი „სათამაშო“ ენა და კილო ავტორისა. ჩვენ განგებ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება ამ წერილზედ, რომელშიც საუცხოვოდ არამც თუ წერის საგანს გვისურათებს, თვით ავტორსაც კარგათ ახასიათებს. შემდეგი წერილებიდამ სულიერი პიროვნება ჩვენი ავტორისა უფრო გამოირკვევა, რადგან გვეცოდინება, რა გამოიტანა ჩვენმა მწერალმა ევროპიდან და როგორ და რანაირად განმარტა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება.

---

[1]) ibid.

# თ.-აზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-XIX საუკ.

## I

## როგორ მოხდა?..

1909 წ.

ორ დიდ მოვლენას ჰქონდა მნიშვნელობა ქართველ ინტელიგენციის ფსიხიურ ფიზიონომიის შემუშავებისათვის. წარსულ საუკუნის დასაწყისში ეს იყო, ერთის მხრივ, გაუქმებულ ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრების ტრადიციები, მეორეს მხრივ, საქართველოში თითქმის ძალით შემოჭრილი ახალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ფორმა მმართველობისა. ახალი მთავრობა გზას ცეცხლითა და მახვილით იკაფავდა. 1804-1812 წლების შემდეგ მან საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ ჩვენს ქვეყანაში „ეროვნულ-ქართული" უნდა ძირიანად აღმოიფხვრას და მის ადგილზე დამკვიდრდეს და აყვავდეს „რუსულ სახელმწიფოებრივი“ წესი. კახეთის ამბოხების დამხობის შემდეგ გა-

ჩაღდა ფარული ბრძოლა „ქართულ-ეროვნულისა“ და „რუ-
სულ-სახელმწიფოებრივს“ შორის. სახელმწიფო არაფერს ჰზო-
გავდა თავის მისწრაფების განსახორციელებლად. იგი არა სჯერ-
დებოდა საქართველოს პოლიტიკო-ეროვნულ ორგანოების მოს-
პობას. იგი წვრილმანშიაც ერეოდა და სცდილობდა თავისე-
ბურობის გარეგნული კვალიც კი აღმოეფხვრა. გიორგი ერის-
თავის ბიოგრაფი ბ-ნი მეუნარგია, შემდეგ ამბავს იგონებს
მწერლის ცხოვრებიდან. 1828 წელს მთავარ-მართებლის პას-
კევიჩის დროს ცნობილ გრიბოედოვის ჯვარის წერა იყო სა-
სახლეში. რადგან გრიბოედოვი თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძის
(პოეტის) ქალს ირთავდა, ქორწილში ქარველი თავად-აზნაუ-
რობაც იყო მიწვეული და მათ შორის ახალგაზდა გიორგი
ერისთავიც. „დანიშნულ დროზე მოგვითხრობს ბ-ნი მეუნარ-
გია, – გიორგი ქართულის ტანისამოსით მორთული მოვიდა
სასახლეში და შეუდგა კიბეს, მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გა-
კვირვება... კიბეზე ასვლის დროს კალთაში სწვდა მას ერთი



პოლიციის მოხელე და ზალაში შესვლის ნება არ მისცა ქარ-
თულის ტანისამოსით. გიორგიმ ითაკილა ამგვარი შეურაცხ-
ყოფა და შინ დაბრუნდა. თავმოყვარეობამ ნება არ მისცა მას
სხვა ტანისამოსი ჩაეცვა და ისე დასწრებოდა ქორწილს“. (იხ.
თხზულებანი გ. ერისთავისა).

ეს წვრილმანი ფაქტი ფრიად დამახასიათებელია. ქართ-
ველ ცნობილ თავადის და პოეტის ქალის ქორწილში ეპატი-
ჟებიან თავად-აზნაურობას და ქართულ ტანისამოსში მოსუ-
ლებს უკან აბრუნებენ, რიგიან საზოგადოებაში ქულაჯა არ
ჩაიცმისო! პირველ ხანში ამგვარი გარემოება საჩოთირო იყო
ქართველებისათვის, ხოლო, თან-და-თან, ამ ხასიათის მოვლე-
ნათა გახშირებასთან ერთად, ქართველი ადამიანის ამაყობა და-
ცხრა, მის გულში რაღაც შიში შეიპარა, მისი აზრი ორბუნე-
ბოვანი შეიქმნა და ბოლოს თითქოს თვითონ მას ეჩოთირებო-
და ქულაჯაში სეირნობა. „ერვნულ“ და „რუსულ-სახელმწი-
ფოებრივის შეტაკების ხანაში ირკვევოდა და ისახებოდა ქარ-
თველ ინტელიგენციის სულიერი ვითარება. და ამ სულიერ
ვითარებას რომ დააკვირდეთ, არა ერთს და ორს დრამატიულ
ხასიათის ნაქვთს იპოვნით მასში. შეგნებულ ქართველის გუ-
ლი თითქოს ორად გაიყო. ერთი ეგუებოდა და ემონებოდა
გარემოებას, მეორე თავისუფლებას ეძებდა, ოცნებით იკვებე-
ბოდა. ქართული აზროვნება გაბრუებულ ყოფაში იმყოფებო-
და. ძალა, რომელიც მის შეგნების წინაშე იდგა, უჩვევ ზო-
მისა იყო. და იყო მომენტი, როდესაც ქართველ კაცს თით-
ქოს თავის-თავის დავიწყება სწყუროდა. გადაშალეთ იმ დრო-

ინდელ გაზეთის ფურცლები. გაჰკვირდებით. გაზეთებში ან მთავრობის განკარგულებანი იბეჭდებოდა, ან კიდევ უცხო ქვეყნების ამბებია მოთხრობილი [1]). „საქართველოს გაზეთში“ (№ 25) დაბეჭდილია სასამართლოს განცხადებანი (объявле-

[1]) ქრონოლოგია ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამოცემისა აქამდის გამოურკვეველია. გრ. ყიფშიძის აზრით, პირველი გაზეთი იყო „საქართველოს გაზეთი“ 1817 წელს გამოსული. ზაქ. ჭიჭინაძის აზრით კი პირველი გაზეთი იყო „ქართული გაზეთი“ (1817-18) ხოლო „საქარათველოს გაზეთი“ (1819-1820). 1821 წ. „ქართულ გაზეთს“ „წმინდა გიორგი“ სწოდებია რადგან გაზეთზე წმ. გიორგია დახატული. (იხ. ზ. ჭიჭინაძის „ისტორია ქართულის გაზეთების და-ჟურნალების გამოცემის“ და გრ. ყიფშიძის – „Періодическая печать на Кавказѣ“).



нія экспедиціи суда и расправы), აგრეთვე განცხადებანი საქართველოს გუბერნატორის ხოვენისა. გაზეთში პეტრე დიდის შესახებ ამბებია მოთხრობილი და სხვა ამგვარი რამ. „ქართულ გაზეთში“, (1821 წ. 16 სექტემბერს) რომელზედაც წმინდა გიორგიც არის დახატული, უცხო ქვეყნის ამბებია მოთხრობილი: „გერმანიიდამ, ოსმალოს ქვეყნიდამ, შერთული ამბავი, აღწერა დღესასწაულებთა, ცერემონია ინგლისის კაროლისა, მოლდავის საზღვრიდან, თრესტიდამ. ინგლისის კარალევას დაგვირგვინება. ვალახიიდამ, „საბერძნეთის ამბავი“. უზომო ინტერესი გარეშე პოლიტიკისადმი: „ინგლისის კაროლის ცერემონიის“ და „ინგლისის კარალევას დაგვირგვინების“ ამბებისადმი! მაგრამ სიმართლეს ავცილდებოდით, რომ ვსთქვათ, ქართველების შესახებ არასა ჰბეჭდავდნენ იმ დროინდელ ქართულს გაზეთებში. „საქართველოს გაზეთის“ ერთ-ერთ ნომერში (ნოემბერსა ზ დღესა ჩყით წელსა) ვკითხულობთ: „გორის უეზდის სოფელ დგვრისის მცხოვრებნი ბარძიმ მაჩაბელოვის ყმა დათუა კვაღენიძე თავის ცოლით და ვაჟით და ქალისშვილებით, ძმისწული ნინიათი და ვენახით იყიდებიან იმ ას სამოცდა სამს რუბლში, რომელიც მართებს მას აზნაურის გაბაშვილის ქალის ელისაბედისი. იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არს ამა წლის ნოემბრის კ. და დეკემბრის ე. და კ. რიცხვებში“-ო. უეზდი, მაჩაბელოვი, რუბლი!.. აქ უკვე „ახალი სტილის“ მარგალიტებია.

ასე იყო-საქმე 1832 წლამდე. აქ გარემოება ცოტათი იცვლება. გაზეთს „ტფილისის უწყებას“ აარსებს სოლომონ დოდაშვილი – პირველი ქართველი ინტელიგენტი, რომელმაც უმაღლესი განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო. გაზეთთან ერთად ჟურნალის მსგავსი სალიტერატურო ნაწილიც იბეჭდებოდა. ერთ ნომერში (№ 3, 1832 წ.) მოთავსე-

ბულია შემდეგი: 1) ლექსად „მოწოდება“ ივერია მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსვლისასა საქართველოსა საზღვართა შინა – ღ. ლ. თ. გიორგი ერისთავისა; 2) „ირაკ-ლის მეორეს მეფობიდამ“ – ისა; 3) პოემა „ოსური მოთხრობა“ უცნობისა; 4) კრიტიკა ს. დოდაშვილისა, შენიშვნად დამარ-ხვისსა წესსა ზედა უკანასკნელ მეფეთა ზედა საქართველოსა-თა, რომელიც დაბეჭდილი იყო პირველსა ნომერსა შინა რუ-სულთა გაზეთის 1831 ამასა წელსა“. ქართული აზრი ისევ თა-



ვის თავს უბრუნდება, „კარალევას და კაროლის ცერემონიე-ბი მას აღარ აინტერესებს, იგი იგონებს წარსულს, რათა უკეთ შეიგნოს, რას წარმოადგენს აწმყოში. სოლომონ დოდა-შვილი, პირველი ქართველი ინტელიგენტი, ამ სიტყვის თანა-მედროვე მნიშვნელობით, მეტად საყურადღებო პიროვნებაა და მის შესახებ ლაპარაკი კიდევ მოგვიხდება.

დუალიზმი მეტად მძიმე ფსიხიური მდგომარეობაა. პირო-ვნების ორად გაპობა ღრმა წყაროა ადამიანის მწუხარებისა და სევდისა. ქართველ ინტელიგენციის პირველი ჯგუფი (ს. დო-დაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი და სხვანი) ამ მწუხარების და სევდის ატმოსფერა-ში აღიზარდნენ. მაგრამ ესენი ბედს, პირველ ხანში მაინც, არ დამორჩილდნენ. აუტანელი მდგომარეობაა, როდესაც ადა-მიანის სინიდისი ანუ ნება მის შეგნებასთან ერთად შეთანხმე-ბული არ არის. ქართველ ინტელიგენციის პირველ ჯგუფის სულიერი დრამა სწორედ აქ იმალებოდა. და ინტელიგენტი სულ იმის ძებნაში იყო, რომ როგორმე სინიდისი და ნება შეგნებასთან შეერიგებინა, როგორმე ამოევსო ხვრელი, რო-მელსაც უძირო საფლობსავით გაეკეთებინებინა ბუდე ქართვე-ლის გულში. და აი უკვე 1832 წლის შეთქმულობის წინაშე ვდგევართ, როდესაც გამოაშკარავდა ხსენებულ ჯგუფის საი-დუმლო მისწრაფება და სურვილი პიროვნების აღდგენისა და გამრთელებისა.

ამბობენ, 1832 წლის შეთქმულობა თავად-აზნაურული ხასიათისაო. თავადებს უკმაყოფილო ბატონიშვილებთან ერ-თად უნდოდათ ძველი რეჟიმის დაბრუნება, რათა ამ სახით კვლავ აღედგინათ თავიანთ კლასიური უპირატესობაო. ჩვენ არა ერთხელ გვქონდა ამ საგნის შესახებ ბაასი და წინაც ვამბობ-დით და ეხლაც ვაღვიარებთ, რომ საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის საკითხი ყოველთვის არ იყო დაკავშირე-ბული ამა თუ იმ კლასის ბატონობის თუ გაბატონების სურ-ვილებთან. რუსების შემოსვლისთანავე თავად-აზნაურთა ინტე-რესი უფრო მორჩილებას და იარაღის დაყრას უკარნახებდა

მათ და თუ აჯანყებებში (1803 წ.) და შეთქმულებაში (1832) თავად-აზნაურობას ყოველთვის პირველი ადგილი ეჭირა, ეს იმას მოასწავებდა მხოლდ რომ ხანგრძლივ ისტორიის მიერ შემუშავებულ თავისუფლებისადმი მისწრაფებას თავად-აზნაუ-



რობის ერთის ნაწილის გულშიაც ჰქონდა ადგილი. და 1832 წლის შეთქმულობაში სწორედ ამ გვარ თავადებთანა გვაქს საქმე. შეთქმულთა წრე მარტოოდენ „თავადობით“ არ დახა სიათდებოდა, თუმცა „თავადური“ ელფერი ჰქონდა. ეს კარგა ესმოდა ოფიციალურ გამოძიებასაც (იხ. კიტა აბაშიძის „პოლიტიკური რომანტიზმი“ „მოამბე“ № 1, 1905). ამ გამოძიების ცნობებით, შეთქმულთა წრე თანდათან უფრო ლიტერატურულ ხასიათს იღებდა (общество принимаетъ нѣкоторый видъ литературный). ახალ წევრთა შორის (ორბელიანების, გ. ერისთავების და დოდაშვილის გარდა) მწერალნი და მასწავლებელნი იყვნენ. „Вновъ постурающе члены были болѣе званія ученнаго“ – მასწავლებელი ავთანდილოვი, დ. ყიფიანი, რაზმაძე, მთარგმნელი მამაცაშვილი და სხვანი. როგორც ვთქვი, შეთქმულთა შორის ყურადღებას იქცევდა სოლომონ დოდაშვილი – ეს მამამთავარი ინტელიგენტურ აღფრთოვანებისა და უანგარობისა, ხოლო ამასთან ინტელიგენტურ წინააღმდეგობისა, ორ-სულოვანობისა და თითქმის უპრინციპობისა. დოდაშვილი უნივერსიტეტში ყოფნის დროს სწერს ლოღიკის სახელმძღვანელოს რუსულად, რა თქმა უნდა. პირველი ქართველი ინტელიგენტი თავდა-პიოველად რუსი-მეცნიერ-მწერალია. თავის წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი მიმართავს რუსეთის ხელმწიფეს და ივერიის მფლობელს და ამბობს: დღემდე ივერია უყურადღებოდ იყო დატოვებული და ახლა თქვენის მეოხებით მას მზის შუქი ამოუბოწყინდა და გარს განათლების შარავანდედი მოეფინება, თქვენი მეოხებით აღმოსცენდება სწავლა-განათლება და სიბრძნე-მეცადინეობაო“ (იხ. ზ. ჭიჭინაძის „სოლომონ დოდაშვილი“). ქართველ ინტელიგენტის ,.პოლიტიკური აზროვნება“ თან და თან ორკვევა. 1827 წელს იმპერატორს შესხმას უწერს. 1831 წელს კი შეთქმულობის სამზადისშია და პროპაგანდის მიზნისთვის გაზეთსაც აარსებს 1832 წელს. ამავე დროს ს. დოდაშვილი ადგენს ქართულ გრამატიკას და ქართულ რუსულ ენის „რაზღავორის წიგნს“. ასეთ სახელწოდებას აძლევს თავის შრომას. ასე რომ „რაზღავორის წიგნის“ ავტორი ერთსა და იმავე დროს მწერალიც არის, რედაქტორიც, რევოლიუციონერიც და... (ნუ გაიკვირვებთ), თიანეთის მაზრის უფროსის თანაშემწეც. ინტელიგენტის პიროვნების ფიზიონომია თითქმის დამთავრე-

ბულია. მაგრამ ერთი მიუცილებელი ნაკვთიც. ცოლად გარუ-
სებული პოლონელი ჰყავდა დოდაშვილს და ამ გარუსებულ-
მა პოლონელმა ქალმა მის შვილს ქართული ენა დაავიწყები-
ნა და რადგან მამას ათასნაირი საქმე ჰქონდა კისერზე – „რაზ-
ღვავორის წიგნი“, რედაქტორობა, შეთქმულობა და დიანბე-
გობა – ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევდა. ეხლა კი ჩვენს
წინ მთელი თავის სიგრძე-სიგანით და „მშვენიერებით“ სდგას
ქართველი ინტელიგენტი. ამ ინტელიგენტმა ოთხმოცის წლის
წინად განიცადა თავის სულიერ ვითარებაში ის, რაც დღეს
არის ქართველ ინტელიგენტის ფსიხიკის საფუძველი. სოლო-
მონი მამამთავარია ინტელიგენციისა, მისი ნუგეში, ხოლო
ამასთან მისი წყევლა და სასოწარკვეთილებაა!

როგორცა ვსთქვი, ქართველთა აღშფოთებულმა სინიდის-
მა „შეთქმულობაში“ ჰპოვა შვება. შეთქმულთ აზრადა ჰქონ-
დათ მოეწვიათ რუსის უმაღლესი ადმინისტრაცია და მოხელე-
ნი სათავად-აზნაურო ბალზე და იქ ყველანი ამოეწყვიტათ, მე-
რე უნდა დაერეკათ ზარები, დაეყენებიათ ხალხი ფეხზე, გა-
მოესვენებინათ ეკლესიებიდან ხატები და საქართველოს განსა-
თავისუფლებლად ხალხი აეჯანყებინათ. ყველა ამის აღმასრუ-
ლებლად, ეჭვს გარეშეა, დიდი ძალა იყო საჭირო. ვიზედ და
რაზედ ემყარებოდნენ შეთქმულნი? არ შევცდებით თუ
ვსთქვით, რომ მათი მთავარი ძალა და მთავარი იმედი იყო
მათი სურვილი და მათი ოცნება. შეთქმულნი ხშირად იკრი-
ბებოდნენ ალექსანდრე ორბელიანთან, თეკლე ბატონიშვილის
შვილთან. ოფიციალურ გამოძიების სიტყვით, აქ სადილს
შემდეგ ღვინით შეხურებულნი და აჯანყების მოთავეთაგან
აღელვებულნი, განსაკუთრებით კი ელიზბარისაგან (ერისთავი)
სვამდნენ საქართველოს განთავისუფლებისათვის და პირდაპირ
მსჯელობდნენ, როშ აჯანყებაც ამა და ამ რიგად უთუოდ სა-
ჭიროაო“. შეთქმულნი დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ თა-
ვიანთ ორგანიზაციის წესდებებს. მათ ხელში ჰქონდათ ბერებ
ფილადელფოს კიკნაძე) და პორფირის მიერ შემუშავებული
წესდება „საიდუმლო მეგობართა კავშირისა“ და წესდება „ფა-
რულის და განუწყვეტელის მეგობრობისა“. მისტიური ესე
ნაწარმოები, ამბობს გამომძიებელი კომისია: – როგორცა სჩანს,
ყველაფრიდან მასონებისა და სხვა რამ საიდუმლო საზოგადო-
ებათა წესდებიდან არის აღებული... კილო ამ აქტისა სრუ-



ლიად მისტიურია, მაღალი და ბუნდოვანია. გარეგანი აზრი

კი კეთილზნეობრივი და ღვთის მოყვარულია, მაგრამ არსებითად მეტად მავნე განზრახვისაა და თვისებითაც თავისს დროზე დიდი ვნების მოტანა შეუძლიანო". ყველა კარგი, – ძალა, იარაღი, ჯარი?! აქაც სურვილების მეტი არა იყო-რა. ს. დოდაშვილი ამტკიცებდა, კახეთი როგორც ერთი კაცი აღდგება. კახელების აჯანყება ჩემზე იყოსო. კახეთი კი 1812 წლის დამარცხების შემდეგ სულ განაბული იყო და შფოთს არ აპირებდა. ალექსანდრე ორბელიანს ბორჩალოდან თათრები უნდა მოეყვანა. იასე ფალავანდიშვილი კინტოების მიმხრობას სცდილობდა (sic). ხოლო აქაც ცარიელი ლაპარაკი იყო. იმერეთიც მოაგონდათ. ვინმე ლორთქიფანიძეს ფულიც მისცეს საქმეების მოსაწყობად. ლორთქიფანიძემ ფული ჩაიჯიბა და სადღაც მიიმალა. ჯარის იმედიც ჰქონდათ. ერთ-ორ აფიცერს გაუზიარეს თავიანთი განზრახვა და ეგონათ საქმე გაკეთებულიაო. პოლონელებისაკენაც ეჭირათ თვალები. იმ დროს პოლონეთი ეომებოდა რუსეთს. ხოლო საქმეს პოლონელებთან არავინ იჭერდა. ეს კიდევ არაფერი. რუსის მთავრობის დამხობას სცდილობდნენ, ამ მთავრობას-კი ეხმარებოდნენ მთიელებთან (ლეკებთან) ბრძოლის დროს (გიორგი ერისთავი). დააკვირდით ყველა ამას და აქაც საკვირველის სიცხოველით წარმოგიდგებათ სურათი ინტელიგენტურ ფუქსავატობისა და წინააღმდეგობისა, უსაქმო ლაქლაქობისა. სურათი ამასთანავე თავად-აზნაურულ უდარდელობა-დარდიმანდობის ფერადებით შემკული.

ასეთი იყო ხასიათი „შეთქმულობისა“ ქართველ „დეკაბრისტებისა“ – დეკაბრისტებისა, რადგან, რუსეთის პირველ სარევოლიუციო მოძრაობის მსგავსად (1825 წ.), აქაც აჯანყება უნდა მოეხდინათ დეკემბერში, მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა. „შეთქმულნი“ გასცა ერთმა მათმა ამხანაგმა იასე ფალავანდიშვილმა. დაატუსაღეს ჩვენი „რევოლიუციონერები“ და ჩრდილოეთ გუბერნიებში გაგზავნ-გამოგზავნეს. აჯანყებული სინდისი ისევ შებოჭეს. და ქართველ ინტელიგენტის გულში ისევ შიში, კრძალვა და ორჭოფობა შეიპარა. იმედი ხსნისა დაიკარგა და ხელმეორედ იწყობა პროცესსი შეგუებისა და თავმდაბლობისა. სევდა და კაეშანი კი, ურვა და მწუ-



ხარება გულის სიღრმეში იმალება, თითქო იფლება უძირო უფსკრულში. ვახტანგ ორბელიანი ამბობდა:

მაგრამ რისთვის და რად მინდა მის მოგონება,
რაც რომ ყოფილა, წარსულა და აღარ იქნება,
რაც ფიქრს აწუხებს, გულს აკვნესებს და სულსა სტანჯავს...

და აკი მოახერხა ქართველმა ინტელიგენტმა, გულის კვნე-

სა თითქოს გააყუჩა და სისტემად აღიარა ორ-აზროვნება და ორ-სახიერობა.

გრიგოლ ორბელიანიც სჩიოდა:

ან რაღას ველი სოფლისაგან, რა მიხარიან, რა მინდა?
რაც ვიყავ, იგ აღარა ვარ; ვერც კი ვბრძნობ, რაცა მიყვარდა.
დღე ყოველი, ჟამი ყოველი მაკლებს რასმე კეთილსა,
ვჰმზერ მწუხარებით მიმავალს და ვსწყევლი ფუჩად წაოსულსა...

და აკი აქაც მოახერხა ქართველმა ინტელიგენტმა და აქაც მონახა მალამო, ერთგვარი ანესტეზია ტკივილისა. ეს მალამო არის ეროვნული ნიღილიზმი, რომელიც ამა თუ იმ სახით იჩენდა ხოლმე თავს ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში და რომელსაც დღესაც აქვს გასავალი ქართველ ინტელიგენციის ზოგიერთ წრეებში.

II

## წარსულის გაკვეთილი

1909 წ.

1887 წელს თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ექზარხოსის პალადის მისალმების დროს სთქვა, სხვათა შორის, შემდეგი: „ერს, რომელსაც ჰქონია მრავალ საუკუნოვანი და დიდებული წარსული, არ მოეთხოვება იგი წარსული დაივიწყოს. ანდერძი ჩვენთა მამა-პაპათა, ჩვენის ისტორიისა ერთგულებაა ღმერთისა, ერთგული ქვეშევრდომობაა ხელმწიფე იმპერატორისა და გულმოდგინეობა მამულისათვისაო“. („ივერია“, № 247. 1887 წ.) თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ამ სიტყვებში სავსებით გამოსთქვა პოლიტიკური credo, რომელსაც აღიარებდა არა მარტო თავად-აზნაურობა, არამედ ქართველ ინტელიგენციის დიდი უმრავლესობაც 1832 წლის „შეთქმულობის“ შემდეგ ხანიდან თითქმის 1890 წლამდე, და რომელსაც აღნიშნულ წრეებში დღესაც ჰყავს არა ერთი და ორი მომხრე. ეს ფორმუ-



ლა არსებითად ოპორტიუნისტული ხასიათისა იყო. საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრი და ოცნება, გარემოების მიხედვით, უკუაგდეს. მისი ადგილი დაიჭირა ერთგულ-ქვეშევრდომობის“ გრძნობამ. ხოლო ამ გრძნობას თან სდევდა მეორე გრძნობა – „გულმოდგინეობა მამულისადმი“. რაც შეეხება „ღრმთისადმი ერთგულებას“, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს საზოგადოებაში რელიგიოზურ გრძნობას მე-19 საუკუ-

ნეში ცხოველი ძალა მოკლებული ჰქონდა. და თუ ღმერთსაც იხსენიებდნენ ხლმე, ეს იმიტომ რომ არ დაერღვია ფორმულის ჰარმონია – ღმერთი, ხელმწიფე, მამული („ხალხის“ ნაცვლად, რომელსაც იხსენიებდნენ რუსეთში სლავიანოფილები და კონსერვატორები). „მამულიოსშვილობა“ „ერთ-გულ-ქვეშევრდომობას“ გადააბეს და ამ შეუღლებას მისცეს რაინდული ხასიათი. „მამულის“ ინტერესების დაცვისათვის არავითარ გარანტიას არ ითხოვდნენ. ერთგულ-ქვეშევრდომობის გრძნობა კი მუდამ ცხოველი ჰქონდათ გულში და თითქოს ამ გრძნობის ცხოველმყოფელობაში ჰხედავდნენ გარანტიასაც, ძალასაც ეროვნულ ინტერესების უზრუნველსაყოფად.

ის ტრაგიკული ეპოპეია, რომელსაც მე-19 საუკუნის ქართულ ეროვნების ისტორია ჰქვია, ამ საფუძველზე, ამ გულუბრყვილო რაინდობაზე იყო აგებული. და ამ ეპოპეიის პირველი დიდი მომქმედი პირი დიმიტრი ყიფიანი იყო.

ამ დიად პიროვნების ბიოგრაფიას არა ვწერთ. ჩვენ გვაინტერესებს დიმიტრი ყიფიანი ამ ჟამად იმდენად, რამდენადაც მისი რთული და მრავალ-ფერადებიანი ცხოვრება შუქს ჰფენს ქართულ საზოგადოებრივ განვითარების აზროვნობის ისტორიას და რამდენად დიმიტრი საზოგადოებრივ ასპარესზე მოღვაწეობის დროს თუ პირად ცხოვრებაში სცდილობდა ზემოდ აღნიშნულ პოლიტიკურ რწმენის სიმბოლოთი (ღმერთი, ხელმწიფე მამული) ხელმძღვანელობა.

ჩვენ უკვე ვიცით [1]), რომ ჭაბუკობის ხანაში დიმიტრი ყიფიანი თანაუგრძნობდა 1832 წლის „შეთქმულობას“. მაგრამ ვიცით ისიც, ოფიციალურ გამოძიების წყაროებიდან (Акты Арх. Коммис., т. 8. იხ. კიტა აბაშიძის უკვე აღნიშნული წერილი, რომ როდესაც საქმე მოქმედებამდე მივიდა, დი-

[1]) იხ. წერილი „ტოგორ მოხდა?“



მიტრიმ შეთქმულთა წრეს თავი დაანება. გრძნობდა, რომ დიდი სისხლის ღვრა უნდა მომხდარიყო და შედრკა. დიმიტრი მშვიდი და ჩაფიქრებული ბუნების კაცი იყო. მეამბოხეობა მის გულს არ ეთვისებოდა. თუ იყო ვინმე ჩვენში ინტელიგენტი სარწმუნოებრივ ტრადიციებში აღზრდილი, ეს იყო დიმიტრი ყიფიანი. მაგრამ, როგორც წინა წერილში ვთქვით, მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში, როდესაც ძველ დამოუკიდებელ სამეფოსთან ძაფები გაწყვეტილი ჯერ კიდევ არ იყო, ახალგაზდობის თვალი ამ სამეფოსკენ იყო მიპყრობილი და რაკი ნახეს, რომ სამეფო გააუქმეს და მამული განსაცდელში ჩააგდეს, გულიდან ამოიღეს ერთგულების გრძნობა და „მამუ-

ლის“ აღდგენის აზრითღა იყვნენ გატაცებულნი. დიმიტრი ამ მოძრაობას ვერ ასცდებოდა, თუმცა წინააღმდეგი იყო სისხლის ღვრისა.

ერთი ამბავი, რომელსაც იგონებს დიმიტრი ყიფიანი თავის ყრმობის ხანიდან, საუცხოოდ გვიხასიათებს მის სათნოიან სულიერ განწყობილებას. „პირველად მე მიმცეს სემინარიაში, ამბობს დიმიტრი თავის „მოგონებებში“. ორის წლის შემდეგ გადამიყვანეს კეთილ შობილთა სასწავლებელში. დამსვეს მეორე კლასში. მიღების შემდეგ მეორე დღეს შემოვიდნენ კლასში აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობისა, პავლე ივანეს-ძე შიპულინი, მასწავლებელი რუსულის ენისა, პეტრე სტეფანეს-ძე სტრატინსკი; ამათ თან მოსდევდა რამდენიმე შეგირგი უფროსის კლასებისა, რომელთა შორის, როგორც მახსოვს, იყო წამოსადეგი ახალგაზდა, თავადი ლევან მუხრანსკი. ესენი ყველანი შემოვიდნენ და გამოსწიეს პირდაპირ უკანა სკამებისაკენ და, ამ ყმაწვილის ჩვენებით, მე წამომადგენ თავსა. მათი სახელები მე მხოლოდ შემდეგში გავიგე, იმ დროს კი მე არ ვიცნობდი არც უფროსებსა და არც ამხანაგებს.

„ – როგორ გაჰბედე და დაჰრეკე ზარი, როდესაც შენთვის არავის უბრძანებია? – მუქარითა მკითხა უფროსმა.

მე არ ვიცოდი, რას შედავებოდნენ და გაშტერებული შევყურებდი. ჩამავლეს ყურში ხელში, გამწივ-გამომწიეს და ხელმეორედ შემომიტიეს.

„ – მე არ დამირეკია-მეთქი, – ვუთხარი.



„ – მერე სწორედ ამან-კი დარეკა? – ჰკითხა შიპულინმა ახალგაზდას.

„ – მაგან, მაგან! – უპასუხა ამ ახალგაზდამ და იმისი სიტყვა დაამოწმეს დანარჩენმა ამხანაგებმა.

„ – ოჰო! კიდეც რომა ჰმალავს და არ უნდა გამოტყდეს ვერ უყურებთ!.. მამიტათ სახაზავი აქა!

„და რაღაცა უცნაურის გააფთრებით მირტყეს და მირტყეს სახაზავი ხელის გულზე. თან მტკივა და თან ჯავრი მომდის. რისთვისა მცემენ-მეთქი, ვკითხავდი ჩემს თავსა და ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამომდიოდა ლოყაზე. მე იმდენადვე ვიყავ დამნაშავე იმაში, რაშიაც მაბრალებდნენ, როგორც თქვენა, ჩემო მკითხველო.

„შეცდომა იყო! საყვარელი დედა მასწავლიდა, რომ შეცდომა უნდა შეუნდოს კაცმაო, და, მგონი, მეც შევუნდე, მაგრამ დავიწყებით კი ვერ დავივიწყეო“. (გადმოთარგმნილი „Русская Старина“-დან 1886 წ. № 3. „ივერია“-ში 1887

წ. № 228).

დიმიტრი ყიფიანი პრინციპის და მოვალეობის კაცი იყო. როდესაც მან, სახელმწიფო სამსახურში შესვლის დროს (ვოლოგდიდან, სადაც გადასახლებული იყო, დაბრუნებისას) გადასწყვიტა, რომ ქართველ ინტელიგენტის მოვალეობაა მეფის ერთგულება, რომ ეს ერთგულება თავდებია მის სამშობლოს განვითარებისა და აყვავებისა, მას ამ მოვალეობისათვის სიკვდილამდე არ უღალატნია. მაგრამ დიმიტრი ყიფიანი ჩვენთვის სრულიად არ იქნებოდა საინტერესო ამ ერთგულების მეტი სხვა რამ რომ არა ყოფილიყო მის ცხოვრებაში აღსანიშნავი. დიმიტრი ერთგულობას სერიოზულად უყურებდა. მის თვალში ეს იყო საშუალება ქართულ ეროვნების დაცვისა. და მან მოინდომა კიდევაც ეროვნების დაცვა ერთგულების საშუალებით და როდესაც ამგვარი მისი მოქმედება არ შეიწყნარეს, უკან არ დაიხია და „ფორმულის“ გადარჩენის გულისათვის „მამულს“ არ უღალატა და მსხვერპლადაც შეეწირა თავის სამშობლოს.

ჩვენა ვსთქვით, რომ ყიფიანი მოვალეობის კაცი იყო. რაკი ემსახურებოდა მთავრობას, სწამდა, რომ მთავრობას სიკეთე უნდოდა და ჰკისრულობდა, ამ აზრის მიხედვით, იმგვარ



საქმეების მოწესრიგებას რასაც ჩვენ დღეს ეჭვის უნდობლობისა და გმობის თვალით ვუყურებთ.

კავკასიის მთავარ-მართებელნი და ნამესტნიკები (მურავიოვი, ვორონცოვი, ბარიათინსკი) დიდად ენდობოდნენ და აფასებდნენ. (იხ. ნიკ. ყიფიანის წერილი, „მოამბე“ 1894 წ. № 4). ყიფიანი მთავარმართებლის კანცელარიის გამგის თანაშემწეობას ასრულებდა, მერე იყო ნამესტნიკის საბჭოს წევრად. ბეჯითად მუშაობდა. მაგრამ არც ღამე ასვენებდნენ. ზ. ჭიჭინაძე მოგვითხრობს: „ცისკრის“ რედაქტორმა ივ. კერესელიძემ მითხრა: „ცისკრის“ პირველ ნომრის კორექტურას ვასწორებდი. მე მშველიდა დ. ყიფიანი. ვნახოთ, რედაქციაში მთავარ-მართებლის ეკიპაჟი და კაცი მოვიდა თან თფილი პალტო მოეტანათ და მაშინათვე წაიყვანეს“. („დიმიტრი ყიფიანი“ ზ. ჭ.) ყიფიანი საქმეს და სამსახურს არ გაურბოდა. როგორც ვსთქვი, მთავრობის სამსახური მიაჩნდა მას თავის ერის სამსახურის საშუალებად. ბ-ნი ს. ესაძე თავის ისტორიულ გამოკვლევაში გვიამბობს ამ „სამსახურის“ ერთ ფრიად საყურადღებო ნიმუშს.

1856 წელს ყირიმის ომიანობის დროს მთავრობას ეჭვი შეეპარა აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძის ერთგულებაზე. უნდა ვსთქვათ, რომ მთავრის უფლება მიხეილს მისივე

თხოვნით უკვე ჩამორთმეული ჰქონდა ხოლო მთავრობამ პირობა დაუდო, რაკი მთავრობაზე ხელს იღებ, აფხაზეთში ნუღარ წახვალო. თავ. მიხეილს არ უნდოდა აფხაზეთიდან წასვლა, მაგრამ ბევრის ხვეწნის და მუქარის შემდეგ იძულებული იყო თავის ცოლით ალექსანდრათი სამეგრელოში გადასულიყო საცხოვრებლად. მიხეილის ცოლი თავ. გრიგოლ დადიანის ქალი იყო. მაგრამ ომის დაწყებისას მიხეილი არ დადგა სამეგრელოში და წავიდა აფხაზეთში მაშინ, როდესაც აფხაზეთი უკვე დაჭერილი იყო ოსმალების მიერ. მთავრობას ეჭვი შეეპარა, მიხეილი ხომ არ მღალატობსო და იმ დროს, როდესაც თავ. მიხეილი აფხაზეთში იყო, მისი მეუღლე კი სამეგრელოში იმყოფებოდა, კნ. ალექსანდრასთან გამოსაძიებლად და გამოსაკითხავად დიმიტრი ყიფიანი გაგზავნეს. დიმიტრი ყიფიანს მისვლისთანავე ჰქონდა შემდეგი ბაასი მთავრის ცოლთან კნ ალექსანდრასთან.

„ – ის გარემოება, რომ მე გამოგზავნილი ვარ თქვენ



უუგანათლებულესობასთან, დაგანახვებთ, რომ მთავრობამ დღესაც არ იცის, თუ რა გზას ადგია მთავარი, თქვენი მეუღლე. რასაც მეუბნებით სრულ ჭეშმარიტად მიმაჩნია. მაგრამ თქვენს უუგანთლებულესობას ხომ მოეხსენება, რომ მთავრობის დასარწმუნებლად პირადი შემოწმება სამყოფი არ არის, საჭიროა უტყუარი საბუთები... სანამ თქვენ უუგანთლებულესობას რამდენიმე კითხვას დაუსვამდე, რომელნიც საქმეს ნათელს მოჰფენენ, უნდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენ სრულიად უშიშრად შეგიძლიანთ გამიზიაროთ მძიმე საიდუმლოებაც-კი.

მთავრინამ ყოველივე ეს დარწმუნებით მოისმინა. და აქედან ყიფიანმა ის აზრი გამოიყვანა, რომ ან მას არა აქვსრა დასამალი, ან კიდევ თავის დაჭერა კარგი სცოდნიაო. მაგრამ დიმიტრის იმედი ჰქონდა, რომ მთავრინა შეჰკრთება, როდესაც იგი განუზიარებს მას ერთ გარემოებას.

„ – თქვენმა უუგანთლებულესობამ ბრძანა, რომ მთავრობისაგან ხშირად მოგდით წერილები. ხოლო თქვენი დესპანები სანდონი არ არიან. უნდა გაგიმხილოთ ერთი საიდუმლოება, რომელიც დიდი გაფრთხილებით გადმომცეს. ერთი თქვენი წერილი ხელში ჩაიგდეს და მე ის წერილი წავიკითხე.

ყიფიანი დააცქერდა მთავრინას და მის სახის გამომეტყველებაზე უნდა გაეგო (упорно старался подмѣтить на ея лицѣ) შეურაცხოფილია იგი იმ გარემოებით, რომ წერილებს იჭერენ, თუ შეშინებულია იმ აზრით, რომ წერილის შინაარსი გაიგეს. მაგრამ მთავრინას შიში არ ეტყობოდა. შეურაცხოფილმა წამოიძახა:

„ – დიაღ, ყოველივე ეს სასიამოვნო არ არის. არ მეგონა, რომ ჩემ ქმარისადმი ვნების მოტანის სურვილი ისეთი დიდი იყო, რომ ჩვენს წერილებსაც კი იჭერენ, როგორც დამნაშავეებისა. მერე, იპოვნეს მაინცა ამ წერილში ის, რასაც ეძებდნენ – საბუთი მის დანაშაულობისა?

ეს კითხვა ისეთის დარწმუნებულის კილოთი იყო მიცემული, რომ ეტყობოდა უარყოფის პასუხს ელოდებოდა.

„ – არა, არა იპოვნეს-რა. ეტყობა, მთავარი, საჩქაროდ იწერებოდა, კარანდაშით. გწერდათ თვის კარგად მყოფობას და იმასაც, რომ ომერ-ფაშას მოლოდინში იყვნენ და იმედი ჰქონდათ, ომერ-ფაშა ჯარის შეგროვებას ვერ მოასწრებდა.



– „განა არა, ერთი წერილი დამაკლდა. ალბად სწორედ ის წერილი დაიჭირეს. შეიძლება მითხრათ, ვის აქვს ეხლა ის წერილი?

– „რად გინდად ეს, თქვენო უუგანათლებულესობავ. ისიც საკმარისია, რომ იგი მთავარს არ ამტყუნებს. იაროს ამ წერილმა თავისი გზით. მაშ ეხლა, როდესაც ნდობის საბუთი დაგანახვეთ, ვბედავ და გკითხავთ: გაქვთ რაიმე საბუთი იმისა, რომ მთავარი მთავრობის დაკითხვით და თანხმობით წავიდა აფხაზეთში?

– „არავითარი ამის შესახებ არა უთქვამს რა. ვიცი მხოლოდ, როდესაც თავ. ერისთავმა ტფილისიდან ქაღალდები მოუტანა, ძალიან გაეხარდა.

– „ან იქნება გაქვთ რაიმე საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ იქ ჩვენი მთავრობის სასარგებლოდ მოქმედებს?

– „ამის შესახებაც არავითარი საბუთი არა მაქვს, მხოლოდ დარწმუნებული ვარ და მგონი ამას აქ არავინ არ უარ-ჰყოფს, რომ სხვანაირად რომ ემოქმედნა, სამეგრელოს საზღვრებზე შიშიანობა იქნება, იქ კი ყოველივე დამშვიდებულია.

ამის შემდეგ ყიფიანმა ერთი კითხვა მისცა, რომელსაც დიდ მნიშვნელობას აძლევდა (на который онъ много паз считывалъ).

– „თუ შესაძლებელია, ძალიან მინდა ვიცოდე აზრი და მიზანი იმ წერილისა, რომელიც, როგორც ამბობენ, მიგიწერიათ... დიმიტრი შერვაშიძესთან.

ამ კითხვაზე ძლიერ აღშფოთდა მთავრინა, თითქოს ცეცხლსავით აინთო.

– „ყველაფერს გეტყვით, – სთქვა მან, – ხოლო თავდაპირველად უნდა აგიხსნათ ჩემი აღელვების მიზეზი. დიმიტრი

შერვაშიძე მიყვარდა და მიყვარს როგორც ნათესავი და რო-
გორც აფხაზეთში უუჭკვიანესი ადამიანი. მთავრისთვის დიდად
სასარგებლო კაცი იქნებოდა მათ შორის რომ, ჩემდა საუბე-
დურად, ყოველთვის რაღაც უთანხმოება არ ყოფილიყო. მე
ყოველთვის მათს შერიგებას და შეთანხმებას ვცდილობდი. მაგ-
რამ ამაოდ. დიმიტრი ამ ჟამად აქ არის და მითხრეს, რომ
ისიც სხვებსავით ავრცელებს ხმას, ვითომ მიხეილმა რუსებს
უღალატა. მე წერილი მივწერე და ჩემ ნათესაურ სიყვარულის



გულისთვის, რომელიც მქონდა მისდამი როგორც ჩემს ძმი-
სადმი, ვევედრებოდი, გულიდამ ამოეღო უსიამოვნება და მთავ-
რის ინტერესების თანახმად ემოქმედნა. აი სწორედ ამ სიტ-
ყვებს აძლევენ იმ აზრს, რომელიც მე თავის დღეში არა მქო-
ნია. ზიარებას გეფიცებით, ჩემს შვილებს გეფიცებით, რომ
არავითარი ეჭვი არა მაქვს იმის შესახებ, რომ მთავარი ერთ-
გულია ხელმწიფისა და რუსეთისა. ამიტომ ძალიანა მწყინს,
რომ ღალატსა სწამებენ. გეფიცებით, რომ სწორეთ ამ ეჭვე-
ბის გაფანტვის აზრი მქონდა და სხვა არაფერი. დიმიტრიმაც
გაიგო ჩემი წერილი, ამის საბუთსაც გაჩვენებთ. სხვაგან კი
სხვას ამბობდა და სწორეთ ესა მწყინს. მითხრეს მუხრანსკის,
კოლუბაკინსაც და ბევრს სხვასაც აჩვენებდა ჩემ წერილს, რო-
გორც საბუთს იმისას, ვითომ მე ღალატზე ვაქეზებდი ჩემ ქმარს.
ეს ისე მაღელვებს, როცა მესმის ამგვარი ლაპარაკი. გევედრე-
ბით, მოჰკითხეთ ჩემი წერილი. თქვენ გაჩვენებთ. და მაშინ
განსაჯეთ, ვინ არის ჩვენ შორის მართალი. აი იმისი პა-
სუხიც...

– „უკანასკნელი კითხვა, კნეინა. მართალია, რომ მთა-
ვარი ერთის წერილით აფხაზეთში მოსვლას გიწვევდათ, მეო-
რეთი კი გიშლიდათ იქ მოსვლას?

კიდევ ამოიღო კნ. ალექსანდრამ ერთი წერილი... და
მისცა ყიფიანს. წაკითხვის შემდეგ ყიფიანმა ჰკითხა, შეიძლება
დამითმოთ ეს დოკუმენტი, რომ მთავრობას წარუდგინოო? კმა-
ყოფილებით დასთანხმდა... მოლაპარაკება დამთავრდა“. (Док-
ладъ Кипіани отъ 14 октября 1855 года. Историче-
ская записка I, 149-155 С. Эсадзе).

ეს ეპიზოდი, ეს ბაასი, რომლის შინაარსი ქართველ ფარ-
თო წრეებისათვის თითქმის უცნობია, ფრიად საყურადღებო
და მნიშვნელოვანია. ბევრნი წარბსაც შეიკვრნენ ამ სტრიქო-
ნების წაკითხვის დროს. არ ესიამოვნებათ დიმიტრი ყიფიანის
დანახვა სამძიმო, მზვერავის როლში. მაგრამ დიმიტრი ყიფი-
ანი ასრულებდა აქ თავის მოვალეობას. საქართველო რუსეთის
ნაწილია. საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ იქმნება

ბედნიერი. აფხაზეთი ნაწილია საქართველოსი. თუ საქართველო ექვემდებარება რუსეთს, აფხაზეთიც იმავ გზას უნდა დაადგეს. ღალატი შეუწყნარებელია როგორც ქართველისათვის, ისე აფხაზეთის მმართველისათვის. ღალატის ეჭვი კი არის. სა-



ჭიროა საგნის გამორკვევა. საჭიროა ღალატის აღმოჩენა და მოსპობა. საჭიროა საქართველოს შვილთა ერთგულება უმწიკვლო იყოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე. ყოველივე სიკეთე ამ ერთგულობიდან გამოვაო.

აი რითი ხელმძღვანელობდა და რასა ჰფიქრობდა დიმიტრი ყიფიანი და მასთან ერთად ქართველი ინტელიგენცია. ჩვენი დროის თვალსაზრისით რომ შევხედოთ ყველა ამას, არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ იმ ხანებში ადამიანის სინიდისი თითქოს მძიმე ტვირთით დაუტვირთვიათო. მაგრამ ნამდვილად კი, პირველ დროს მაინც, საქმე ნაკლების ტრაგიზმით იყო მოწყობილი. ნუ დავივიწყებთ, რომ ვორონცოვის ხანა ქართველების ეროვნულ აღორძინების ხანად ჩაითვლება. ინტელიგენტი მძიმე სამსახურს ასრულებდა, სამაგიეროსაც ინაზღაურებდა და სინიდისის ტვირთს ამსუბუქებდა. ამ ხანაში და შემდგომ წლეებში (სამოციანებში) ზოგი დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით, ზოგიც მის თანაშემწეობით დაარსდა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება, ქართული თეატრი, ჟურნალი „ცისკარი“, საადგილ-მამულო ბანკი, საზოგადოეება. ეს უკვე ეროვნულ საზოგადოების ორგანოებია, ეს უკვე იარაღია ერის განვითარებისა და წარმატებისა. ფორმულა „ხელმწიფისადმი“ ერთგულ-ქვეშევრდომობა და მამულისადმი გულმოდგინეობა“ თითქოს უტყუარი გამოდგა, იმგვარი, რომელიც იცავს ჩვენს ინტერესებს. ინტელიგენცია წელში იმართება. პირისახეზე ღიმილი ეტყობა. გულს სევდა აღარა ღრღნის და თუ ღრნის, ამ ტკივილს სიმწვავე არა აქვს. იგი სევდა რომანტიულ მელანქოლიას უფრო მიაგავს – ძველი ჰანგი, გულში ჩარჩენილი, რომელსაც ქართველი პოეტები კულავაც აჟღარუნებდნენ. საქმიანობა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა კი უიმედო არ არის. ერს ფრთები გამოება და ამ ფრთების შემყურე ინტელიგენცია მხნედ და მარჯვედ გამოიყურება. ასე აზროვნებდა ინტელიგენცია და მასთან ერთად დიმიტრი ყიფიანიც. ამ გზით უნდა მომხდარიყო ევოლიუცია ქართულ ეროვნულ კულტურისა და ამ საქმის განხორციელებისათვის არავითარი „სამსახური“ სამძიმო არ არის, არავითარი ტვირთი სინიდისისთვის ზედმეტი არ უნდა იყოს. მაგრამ დრო მიდის, მესამოცე წლების აღფრთოვანება ნელდება, მთავრობისა და რევოლიუციონერთა შორის ურთიერთობა მწვავდება და

საქმე ბოლოვდება I მარტის 1881 წლის კატასტროფით. აქედან იწყება ისტორიის შებრუნება, უკან დახევა, განადგურება მოქალაქობრივობისა, რუსულ იდეის გამოღვიძება და სასტიკი დევნა ეროვნებათა. და აი ამ ხანაში დაირღვა და დაიფლითა „ძველი თაობის“ მრწამსის ჰარმონია და შინაარსი. დიმიტრი ყიფიანს ძველებურად მაღლა ეჭირა დროშა, რომელზედაც ეწერა – ერთგულება, მამულისშვილობა. მაგრამ ამ დროშას ხელიდამ ართმევდნენ, ხელში სჩრიდნენ სხვას, რომელზედაც ეწერა მხოლოდ ერთი სიტყვა – ერთგულება. მამულისშვილობის ხსენება კი წაშლილი და აღმოფხრილი იყო. დიმიტრიმ არ მოინდომა დროშის შეცვლა და მოკვდა, როგორც ნამდვილი მოქალაქე და მამულიშვილი.

2

ჩვენი ინტელიგენციის აზროვნება განსაზღვრულ ხანაში თავად-აზნაურული აზროვნება იყო. როდესაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი ქართველ თავადაზნაურობის მისალმებისათვის ანუ უუქმეშევრდომილეს გრძნობების გამოცხადებისათვის რაინდს და გმირს უწოდებდნენ, ამაზე მეტი საჩუქარი და მადლობა არ უნდოდათ ჩვენს თავადებს. სიხარულით სძგერდა და დნებოდა თავადის გული. ამგვარივე ემართებოდა ჩვენს ინტელიგენციას, როდესაც გამოვიდოდა ვინმე გენერალი ფადეევი და იტყოდა – ნამდვილი ქართველი ამავე დროს ნამდვილი რუსი უნდა იყოსო. ინტელიგენტი ზეცას ებჯინებოდა, – ხომ გესმით რუსის გენერალმა ბრძანა, ქართველობა სათაკილო რამ არა ყოფილა. ისიც მოუხსენებია ქართველს ქართველობა ჰქმნის რუსადო. პატივცემულ გენერალს აღარავინ ეკითხებოდა, თუ რას ნიშნავს მის თვალში „ქართველობა“. რომ სცოდნოდა გენერალს, თუ რა პოლიტიკური პირობებია საჭირო იმისთვის, რომ ქართველი ქართველად დარჩეს, კომპლიმენტებს თავს დაანებებდა. მაგრამ ამას არავინ ჰკითხავდა, ორივე მხარე კმაყოფილი რჩებოდა. ჩვენი ინტელიგენცია ძალიან მორცხვი და მადლიერი არსებაა. ვინმემ ოდნავად რომ ალერსი ანუ კეკლუცობა დაუწყოს, სიხარულით შეწითლდება და გასათხოვარ ქალსავით თვალების წამწამებს ქვევითკენ დასწევს. მოარშიყეებმაც გაუგეს ეს ხასიათი და ხან ერთი, ხან მეორე გამოტყვრებოდა ხოლმე, ნაზად ხელს გადაუსვამდა და დარცხვენილ

მიჯნურს აქეზებდა: – ფიქრი ნუ გაქვს, რაინდო, იყავ ქართველი და გახდები ნამდვილი რუსიო. და „მოარშიყეს“ ანგარიში არც ისე უანგარიშო იყო. ქართველი ინტელიგენტი, „არშიყობით“ გაბედნიერებული, თავზე ხელის გადასმით წაქეზებული, სრულიად ივიწყებდა იმის გაგებას და დეშიფრაციას, თუ რა შინაარსს ჰსახავსს სიტყვა „ქართველობა“.

დიმიტრი ყიფიანი ერთი იმ ქართველ ინტელიგენტთაგანი იყო, რომელსაც უნდოდა ბოლო მოეღო ამ „არშიყობის“ და „რაინდობის“ პოლიტიკისთვის. დიაღ, ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომნი ვართ და ამავე დროს ქართველნი, ჰფიქრობდა ყიფიანი. ქართველობით გვინდა გამოვიდეთ კულტურულ ასპარეზზ. მაგრამ იცოდეთ კარგად, რომ „ქართველობა“ მოითხოვს ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა არსებობას, ქართულ ენის უზრუნველყოფას სკოლებსა და ეკლესიაში. თუ ამას არ გვანებებთ, ჩვენი ქართველობა შეილახება და თუ შეილახება ქართველობა, შეილახება ჩვენი ერთგულების გრძნობაცაო. იმ ხანებში უფრო ფართოდ საკითხის დაყენება შეუძლებელი იყო. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება ახლად ფეხადგმული იყო და საზოგადოებას არც ძალა, არც სიმწიფე, არც უნარი ჰქონდა ჯერ ხნობით პოლიტიკო-ეროვნულ მოთხოვნათა წამოყენებისათვის. დიმ. ყიფიანმა ალღო აუღო თავის დროის ვითარებას და უგუნურ რაინდობას, რომელიც ამბობდა: გაძლევ ყველაფეს და ბედნიერი ვარ შენის ღიმილითაო, ამ პოლიტიკას შეებრძოლა არა სიტყვით და ფრაზებით, არამედ საქმით, პირადის მაგალითით.

1885 წელს ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლად იყო დიმიტრი ყიფიანი. ამავე წელს საქართველოში მოვიდა პატარა-ხნით ნამესტნიკად ნამყოფი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე. იმ ხანებში კავკასიის მთავარ-მმართებლად თავ. დუნდუკოვ-კორსაკოვი იყო, რომელიც არა სწყალობდა ქართველებს და რაც კი შეეძლო, სდევნიდა მათ. სამსახურში ქართველებს აღარ იღებდნენ, სკოლებიდან და ეკლესიიდან ქართული ენა განდევნეს, სამეგრელო და აფხაზეთში მეგრულ და აფხაზურ პატრიოტიზმის დანერგვას სცდილობდნენ. ერთის სიტყვით, ქართველების დევნა სისტემად გადაიქცა. დონდუკოვ-კორსაკოვს სამოსწავლო ოლქიც აძლევდა მხარს და ხმის ამომღები კი არავინა სჩანდა. დიდი მთავრის მიხეილის



მოსვლით ისარგებლა დიმიტრი ყიფიანმა და შესჩივლა, ასე და ასეაო ჩვენი საქმე, არ გვესმის, ჩვენს თავს რა უბედურება დაატყდაო. ფიცისთვის ჩვენ არ გვიღალატნია, წინანდებურად ერთგულნი ვართ და იმპერატორი კი თითქოს გვიწყრებაო.

დიდმა მთავარმა დაამშვიდა და უთხრა, იმპერატორს ქართველებზე აზრი არ შეუცვლია და იმედი გქონდეს მისიო. თავ. დოწდუკოვ-კორსაკოვს არ მოსწონებია ეს საჩივრის მზგავსი ლაპარაკი დიმიტრი ყიფიანისა. თავისი უკმაყოფილება სწავლა-განათლების მინისტრს გრაფ დიმიტრი ტოლსტოის აცნობა. რაიცა შეეხება დიმიტრი ყიფიანს, უბრძანა მოეხსენებინა მისთვის ის, თუ რამ აიძულა დიდ მთავარს რომ შესჩივლა
და, რა დავა ჰქონდა მას სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან, იანოვსკისთან. დიმიტრი ყიფიანმა პასუხად მთავარმართებელს მისწერა შემდეგი:

თავ. დონდუკოვ-კორსაკოვს!

17 დეკემბრის შეკითხვით თქვენმა ბრწყინვალებამ მიბრძანა დაწვრილებით მომეხსენებია თქვენთვის იმის შესახებ, თუ რამ მაიძულა დიდ მთავარ ნიკოლოზის ძეს რომ მოვახსენე ის, რაც მოვახსენე.

ამიტომ 30 დეკემბრის ჩემი მოხსენების შესავსებლად მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მაშინ მე ორგვარი ფაქტი მქონდა მხედველობაში:

1) დაბრკოლებანი სახელმწიფო სამსახურის დროს და 2) სახალხო განათლების საქმეში უცნაური მოვლენანი.

ის რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებებში მართლაც ახდენდნენ შეუფერებელ განკარგულებებს, ეს თქვენმა ბრწყინვალებამ თვითონ კეთილ ინება და მითხრა ლაპარაკის დროს 23 ოქტომბერს ტფილისში. ხოლო შემდეგ სავსებით გამოირკვა, რომ ეს განკარგულებანი საკუთრივ ქართველებს არ ეხებოდნენ.

ამიტომ ამ ფაქტების შესახებ კითხვა, განსაკუთრებით თქვენი შეკითხვის შემდეგ, სავსებით უკუგდებულად მიმაჩნია. და თუ ვიხსენიებ ამ ჟამად მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ მიბრძანებთ ამის გამო განმარტება მოგახსენოთ.

სრულიად სხვანაირია მეორე ხასიათის ფაქტები. ამის შესახებ მე ვწერდი 11 ოქტომბერს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს და ეს ჩემი წერილი თქვენს ბრწყინვალებას მია-



ჩნია უსაფუძვლო წერილიდ და არშესაფერ ოფიციალურ მიწერ-მოწერაში და შემლახველ იმ პირის ღირსებისა, რომელთანაც იგია მიწერილი.

მაგრამ ვბედავ და მოვახსენებ თქვენს ბრწყინვალებას კანონით განსაზღვრულ ჩემი თანამდებობის ღირსების დაცვის გულისთვის: ბ-ნმა მზრუნველმა თვითონ მომმართა და მთხოვა განმარტება იმ საკითხის გამო, რომელიც მას ჩემზე მიუწერიათ და მთხოვა განმარტება ისეთის კილოთი, რა კილოთიც

თავად-აზნაურთა წინამძღოლს, გარდა სენატისა, არავის არა აქვს უფლება ელაპარაკოს. ჩვენი სამსახურის მდგომარეობა კი იმნაირია, რომ იგი არ ჰგულისხმობს ერთის დამოკიდებულებას ან ხელქვეითობას მეორისაგან.

თუ რომ მე ამაში ვცდები და სწორედ არ მესმის ჩემი თანამდებობის ღირსება – თუმცა არა მგონია, რომ ეს ასე იყოს, – არის სხვა მიზეზიც, რის გამო პასუხი არ გამიცია ბ-ნ მზრუნველისათვის. მე საჩივარით კი არ მომმართეს, რომელსაც არც კი განვიხილავდი, არამედ იმ გვარ ცნობებით, რომელთა გამო (9 ტომის კანონ კრებ. 10 პარ. 293 სტ. მიხედვით) გულგრილობა არ უნდა გამოეჩინა. ცნობები ამგვარია:

ა: 1881 წელს იანვარში ყოფილ კავკასიის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული იყო სამოსწავლო გეგმა, რომლის ძალით სახალხო სკოლებში სწავლა ორი წლის განმავლობაში სამშობლო ენაზე უნდა ყოფილიყო მოწყობილი. მაგრამ 1885 წელს ეს გეგმა გაუქმებულ იქმნა არა იმ პირით, ვისაც ნამესტნიკის შემდეგ ჰქონდა ჩაბარებული მმართველობის უფლება, არამედ ადგილობრივ სამოსწავლო დაწესებულებით. ბ) 1885 წელს ივნისში სამაზრო პოლიციის განკარგულებით, რომელიც იმავ სამოსწავლო მმართველობიდან მომდინარეობდა, სოფლის საზოგადოებათ გამოუცხადეს, რომ ვისაც სურს თავისი შვილი სოფლის ნორმალულ სკოლაში მიაბაროს, სამშობლო ენაზე წერა-კითხვა წინდაწინვე სახლში უნდა ასწავლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი სკოლაში მიღებული არ იქნებაო. გ) ერთ სასწავლებელში, რომელიც განსაკუთრებით ადგილობრივ მკვიდრისათვის იყო დაარსებული, ამ მკვიდრთა შვილებს 15 აგვისტოდან აღარ იღებენ. და იღებდნენ იქ ჩრდილოეთ კავკასიიდან და სტავროპოლის გუბერნიიდან, და გზის ხარჯსაც თვით სასწავლებელი იხდიდა. დ) ერთი საშუა-



ლო სასწავლებელს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ამ სასწავლებლის პანსიონში, რომელიც ადგილობრივ თავად-აზნაურთა შვილებისათვის იყო დაარსებული, მიიღონ სამსახურ გათავებულ სალდათის შვილები.

ყველა ამ ცნობების შემოწმება იყო საჭირო. უამისოდ მათ მე ვერავითარ მსვლელობას ვერ მივცემდი. მაშასადამე, დავალებული არ ვიყავი მეცნობებინა სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის. ეხლა კი, როდესაც ყველა ამ ხასიათის საკითხს ეჭვიანობით უყურებენ, შემოწმების იმედი სრულიად დამეკარგა.

თქვენი ბრწყინვალების საყურადღებოდ ვახსენებ ყველა ამას მხოლოდ თქვენი ბრძანების მიხედვით. ხოლო ჩემს თავ-

ზე არ ვიღებ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ ყოველი ეს ჭეშმარიტებაა.

მაგრამ შემიძლია მოგახსენოთ ერთი შეურყეველი და ახალი ფაქტი, რომელიც იმას გვეუბნება, რომ არსებობს მიდრეკილება ქართულ ენის დევნისა.

მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და კულტურული ენა სამეგრელოში. და იქ ყველას ესმის ეს ენა. ამ ჟამად კი იქ ახალ კულტურას ჰნერგავენ – მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშუალებით. ასე რომ გავყვეთ, შეიძლება შეიქმნას ახალი კულტურები აჭარლებისა, ფშავ ხევსურისა, ინგილოებისა, მთიულებისა და სხვათათვის. სასარგებლო კი იქნება ყოველივე ეს იმ მთავრობისათვის, რომელმაც თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა მრავალტანჯული მართლმადიდებელი საქართველო, რისთვისაც უსაზღვრო მადლობა და ერთგულობა დაიმსახურა?

მე ჩემს წმინდა მოვალეობად ვსთვლი მუდამ ამ მადლობის და ერთგულობის გრძნობაზე ვიდგე (неуелонно стоять за эту благодарность и вѣрность) და სწორედ რონ არ მესმის, რატომ მიწყრებიან ამის გულისთვის (и только не доумѣваю, когда негодують на меня за это)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **დიმიტრი ყიფიანი**".

ომი გამოცხადდა. კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციისათვის სრულიად უჩვევი იყო ის დამოუკიდებელი კილო, რომლითაც მას დაუწყეს ლაპარაკი. დიმიტრი ყიფიანისათვის კი



ეჭვი აღარ იყო, რომ ყოველივე თვალთმაქცობაა და რომ ქართველების მხრივ მორჩილ ქვეშევრდომობის მეტს არას ითხოვდნენ. მამულისშვილობის პრინციპი და ინტერესი არ აინტერესებდათ, და არა თუ არ აინტერესებდათ, წინააღმღეგნიც იყვნენ ყველაფრისა, რაც გარუსების პოლიტიკას დაბრკოლებას უჩენდა. დიმიტრი ყიფიანის წინ დრამატიული სურათი იშლებოდა. ერთის მხრივ, ქართველ ინტელიგენტის გაოცებული და დაღვრემილი სახე მოსჩანდა, გაცრუებული ოცნება და მოტყუებული სინდისი გამოსჭვრეტდა. მეორეს მხრივ კი, მრისხანე, უძღები ბატონი, რომლისთვისაც არ არსებობდა არც სინიდისის, არც პატიოსნების, არც რაინდობის საკითხი. უნუგეშო და სუსხიანი დრო დგებოდა. თავი დონდუკოვ-კორსაკოვის დაბეზღებამაც უმაღლეს მთავრობის წინაშე უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი და დ. ყიფიანს ხელმწიფისაგან გაკიცხვა შეუთვალეს. აი ის პასუხიც, რომელიც მოსწერა მინისტრმა დიმიტრი ტოლსტოიმ თავ. დონდუკოვს:

მოწყალეო ხელმწიფევ თავ. ალექსანდრე მიხეილისძევ!

ხელმწიფე იმპერატორმა, წაიკითხა რა თქვენი ბრწყინვალების მოხსენება მის იმპ. უმაღ. დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ამა შემოდგომაზე ყოფნის შესახებ კავკასიაში, ბრძანა, რომ დიდ მთავარს სრულიად საფუძვლიანად უთქვამს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაუთა წინამძღოლისათვის, რომ ხელმწიფე იმპერატორი სავსებით დარწმუნებულია ქართველების ერთგულობაში ტახტისადმი და რომ, თავის მამის და პაპის მსგავსად, არ მოაკლებს მათ თავის წყალობას. და რაკი ყოველივე ეს უტყუარია, დიდ მთავარს სრული უფლება ჰქონდა დაევალებინა მისთვის ყველას საყურადღებოდ გადაეცა ეს. მაგრამ დიდი მთავრის მიერ თქმული სიტყვები სრულიად არ ავალებდნენ ბ-ნ ყიფიანს ჩაწერას იმ სიტყვებისას, რომელნიც კერძო ლაპარაკში იყვნენ გამოთქმულნი ბორჯომში, არ ავალებდნენ ამ სიტყვების წერილობით გავრცელებას და წერილობითი ოფიციალურად გადაცემას დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიაში.

ხელმწიფე იმპერატორი, სცნობს რა ბ-ნ ყიფიანის ამგვარ



მოქმედებას უადგილოს, თქვენს ბრწყინვალებას ავალებს გამოუცხადოს მას შესაფერი გაკიცხვა (сдѣлать ему должное внушеніе).

მიიღეთ და სხვ. **გრაფი დ. ტოლსტოი.**

13 დეკემბერი 1885 წ.

დიმიტრი ყიფიანი, ერთგული მსახური მთავრობისა, გაჰკიცხეს და დაჰგმეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან გაჰბედა და ხმა ამოიღო ქართველ ინტერესების დასაცავად. ეს არ იყო ერის ისტორიულ ან პოლიტიკურ უფლებათა შესახებ ლაპარაკი, არამედ თავშეკავებული თუმცა მტკიცე სურვილი ქართული ენის დაცვისა სახალხო სკოლებში და სურვილი ქართველების რუსებთან გათანასწორებისა კანონის წინაშე. ძველ ფორმულას „ერთგულება – მამულიშვილობას“ ერთბაშად ახალი სინათლე მოეფინა. ერთგულება ჰგულისხმობდა თურმე პიროვნების სრულ თავგანწირულებას.

„მამულიშვილობა“ კი მეტად გაუგებარი და ორჭოფი რამ ხდებოდა. „ერთგულება“ მოითხოვდა მოვალეობის აღსრულებას. „მამულიშვილობას“ მოვალეობაზე არ შეეძლო ლაპარაკი.

და დიმიტრი ყიფიანის წინაშე წარმოსდგა მწვავე და მძიმე განსაცდელი. ან ქედის მოხრა, უარ ჰყოფა პრინციპისა,

ან მორჩილება უსიტყვო, დამამცირებელი, სინიდისის და პა-
ტიოსნების შემლახველი. ამ ხანაში დიმიტრი უკვე 73 წლის
მოხუცი იყო, და ამ მოხუცმა ქედის მოხრა არ მოინდომა.

1886 წელს შევიწროვება ქართველებისა ტფილისის სე-
მინარიაში ყოველ ზომას გადაცილებული იყო. ჯერ კიდევ
1885 წელს აქცევდა დ. ყიფიანი მთავარ-მართებელის ყურად-
ღებას, რომ სემენარიაში, რომელიც ქართველთათვის არის
დაარსებული, ქართველებს აღარ იღებდნენ. რიცხვის შემცი-
რებასთან ერთად ქართულ ლაპარაკსაც უშლიდნენ სემინარის-
ტებს. სემინარიის რექტორად იყო იმ დროს ჩუდეცკი. და აი
ერთ დღეს რექტორი სემინარიისა მოჰლეს. მკვლელი აღმო-
ჩნდა ქართველი სემინარიელი ლაღიაშვილი. ეს იყო საქარ-
თველოში პირველი პოლიტიკური მკვლელობა, გამოწვეული
რეპრესიებით და შეუწყნარებელის პოლიტიკით.

აღშფოთდა საზოგადოება და თანაც შიშით მოიცა მისი
გული. განრისხდა მთავრობა. საქართველოს ეგზარხოსმა პავ-



ლემ თავის სამწყოსადმი სასულიერო პირისათვის არ შესაფე-
რი გულისწყრომა და სიძულვილი გამოიჩინა. ჩუდეცკის გა-
სვენების დროს მან სიტყვა წარმოსთქვა და დასწყევლა და
შეაჩვენა ქართველი ერი, რომლის წრიდან მკვლელი გამოვიდა.
აქაც დიმიტრი ყიფიანმა აიმაღლა ხმა და ექსარხოსს შემდეგი
წერილი მისწერა:

„თქვენო მაღალსამღვდელოებავ! მიიღეთ მწყემსთ-მთავ-
რული მოწყალება და თუ, გატაცებული დაუჯერებელის ხმე-
ბით, ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება. მაგრამ ამბო-
ბენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც სამწყოთ
ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულისა
და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და
წარმომადგენელისაგან.

იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეუ-
რაცხყოფობით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონ-
დეთ ბოდიში მოიხადოთ სამწყოს წინაშე იმ უუცოდვილესს
სიტყვების გამო, რომელნიც ვითომ წარმოსთქვით.

თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი თანამდე-
ბობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ
შემრაცხყოფელი შეურაცხყოფილ ქვეყნიდან დაუყოვნებლივ
იქმნას გაყვანილი. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვე-
ნი სამწყოისა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდან ააცი-
ლოს ქვეყანას რაიმე ახალი დიდი შეცოდება.

ხოლო თუ ყოველივე ეს ტყუილია, შემინდეთ და მაკურ-
თხეთ თქვენის მწყემს-მთავრულის ხელით.

თქვენი მაღალსამღვდელოების მორჩილი **დიმიტრი ყიფიანი**.

8 ივნისს 1886 წელ. სად. მიხაილოვო".

ეგზარხოსმა პავლემ მეორე დღესვე წერილობითვე მისცა პასუხი დიმიტრი ყიფიანს.

„მოწყალეო ხელმწიფევ, დიმიტრი ივანეს ძევ!

თქვენი აღმატებულებისაგან ჩემდამი 8 ამა ივნისს მოწერილ უცნაურ წერილის გამო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ჩემი სიტყვა, წარმოთქმული დეკანოზ ჩუდეცკის გასვენების დროს დაბეჭდილია გაზ. „კავკაზში“ № 199. რაც შეეხება უგუნურ (нелѣпыхъ) ხმებს, რომლებსაც თქვენს წერილში



იხსენიებთ, ჩემ ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია მოგახსენოთ რაიმე განმარტება.

თქვენი აღმატებულების მორჩილი მსახური **პავლე არხიეპისკოპოსი**, საქართველოს ექსარხოსი.

9 ივნისს 1886 წელს".

რაც მოხდა ამის შემდეგ, ამ ტრაგიკულ ეპოპეის ბოლოდ ჩაითვლება. დიმიტრი ყიფიანს წინამძღოლობის თანამდებობა ჩამოართვეს და საცხოვრებლად სტავროპოლში გახიზნეს. სტავროპოლში დიდხანს არ დაჰყო მოხუცმა დიმიტრიმ, 1887 წელს ოქტომბრის მიწურულებში ტფილისში დეპეშით თავშესაზარი ამბავი მოვიდა: „დიმიტრი ყიფიანი მოჰკლეს ღამე 24 ოქტომბერს, მძინარე. თავში დაუციათ სასწორის ქვა“. კორესპონდენტები ამ მკვლელობის შესახებ იწერებოდნენ: – გამოძიება ერთს საოცარს ამბავს მიადგა... დიმიტრისთან ძლიერ ხშირად დაიარებოდა უკანასკნელს დროს ერთი საეჭვო კაცი, ნაცრის ფერი პალტო ეცვა. ეს კაცი გადაეკიდა დიმიტრისა და მოსვენებას არ აძლევდა მოხუცსა“. მკვლელობის შემდეგ ნაცრის ფერის პალტო სადღაც გაჰქრა. მისი ბინა ზოგიერთებმა თუმცა იცოდნენ, მაგრამ არ ამხელდნენ, ჩვენც არ მოგვკლანო. (იხ. „ივერია“ № 234. 1887 წ.). ტფილისშიაც უცნაური ამბავი მოხდა. ტფილისის ქალაქის თავს მატინოვს დაუნიშნავს პანაშვიდი დ. ყიფიანის სულის მოსახსენებლად 4 ნოემბერს კლასიკურ პირველ გიმნაზიის ეკლესიაში. (დ. ყიფიანი მატინოვის წინ იყო ტფილისის მოურავად და ათი წლის განმავლობაში პირველ გიმნაზიის საპატიო მზრუნველად ითვლებოდა). 4 ნოემბერს პატივის მცემელნი გაემგზავრნენ დანიშნულს ეკლესიისაკენ, მაგრამ იქ აღმოჩნა, რომ სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო შეუძლებელი იყო პანაშვიდის გადახდა. („ივერია“ № 231) ეს პანაშვიდი იმავე დღეს გადაიხადეს კალოუბნის ეკლესიაში.

ყოველივე აშკარა და ნათელი გახდა. ნათელი გახდა არა მარტო ის, რომ მოკვდა პატიოსანი და კეთილშობილი მოხუცი, არამედ ისიც, რომ მასთან ერთად მოკვდა სხვა რამეც, – ის, რაც ინტელიგენციის მოქმედებას აზრს და შინაარსს აძლევდა. მოჰკლეს დიმიტრი, ხოლო ამასთან მოჰკლეს პოლიტიკურ სარწმუნოების სიმბოლო, რომელზედაც პირველ ადგილზე ერთგულ-ქვეშევრდომობის მოვალეობა ეწერა. ამ



დროიდან იწყება ქართველ ინტელიგენციის გულში ახალი სულიერი მუშაობა, ნების და მოქმედების ახალი ორიენტაცია.

დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობას და წამებრივ სიკვდილს სწორედ ამ ხასიათის დიადი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ისტორია ადამიანის პიროვნებას არ ინდობს. ხშირად დიდ ადამიანის მსხვერპლია საჭიროა ახალ აზრის წარმოშობისათვის. იმ დროინდელ „ევერიას“ თითქმის ესმოდა კიდეც ამ ახალ აზრის შვება, მაგრამ, გარემოების მიხედვით, თქმა ვერ გაებედნა. სამაგიეროდ, სამგლოვიარო ძაძებით შემოსილი, იგი ჭირისუფალსავით მოსთქვამდა და მწუხარებით დაოსებულ და დაწყლულ ქართველ ინტელიგენტის გულს ნაღვლიან ფიქრებს უმწვავებდა. ეჰ ადამიანო, – ამბობს იგი, – რამოდენად უწმინდური ხარ!.. ტყის ნადირს, მხეცს მეტი სიბრალული ექნებოდა, რომ დაინახავდა მისს თოვლით ათეთრებულ თმას, მის ხნიერობით დანაოჭებულს ჭკვიანს, მშვიდობიანს და ღრმა ფიქრით და ღრმა ნაღველით აღბეჭდილს სახესა... (1887 წ. № 225)... „როცა ამისთანა კაცი სამუდამოდ მიდის, განაგრძობს გაზეთი, თითქო ჩემი და თქვენი წილად ხდომილი სინათლე მზისა თან მიაქვსო, თითქო თვითეული ჩვენგანი ჰგრძნობს, რომ თან ჩემი, თქვენი ნაწილი, ჩემი, თქვენი ბედნიერება წაიღო! თითქო. ვგრძნობთ, რომ ამისთანა კაცთან ერთად ჩვენს საკუთარს ბედნიერებასაც ვკარგავთო“. (№ 230) კი, ეს ასეა, ხოლო ამგვარი გრძნობა მწევია იმ დრომდე, სანამ ადამიანი პირად მწუხარებას თავს არ დააღწევს და სანამ გონების თვალებს „გულში არ ჩაიბრუნებს თავის თავის განსაკითხავად“. და სწორედ ეს „თვალების ჩაბრუნება“ განიცადა ქართველმა ინტელიგენციამ იმ ხანებში. და „ევერიაც“ ამბობს: „ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა-სრულობა, დიდი ხასიათობა **იმისდა მიუხედავად – ტრიალი ემარჯვათ, თუ ემარცხათ**“. (№ 227). დიმიტრი ყიფიანი დამარცხდა, – ტრიალი არ ემარჯვა“, მაგრამ მისი სიკვდილი სწორედ ის ღერძი იყო, რომელმაც გარდაქმნა და განაახლა ქართველ ინტელიგენციის თვით-შეგ-

ნება და შემეცნება.

---



III

## დოკუმენტების მიხედვით.

1910 წ.

I

„რეალურ პილოტიკის“ მომხრეთა გუნდი თანდათან იზრდება ჩვენს საზოგადოებაში. უფრო და უფრო თამამდებიან ამ ლოზუნგის მოტრფიალენი. და ეს „რეალური პოლიტიკა“ ჩვენს განსაკუთრებულ პირობებში სრულიად განსაკუთრებულად არის განმარტებული და გათვითცნობიერებული. იგი შესდგება ორ მთავარ დებულებისაგან. პირველი დებულება არის „სახელმწიფოებრივობა“ და მისი საჭიროების დაცვა ყოველგვარ საფრთხესაგან. მეორე დებულება არის ქართულ ეროვნულ ინტერესების შეგუება ამ „სახელმწიფოებრივის“ პრინციპთან. ვინც აღიარებს ამ ორ დებულებას, იგია ნამდვილი მამულიშვილი, ნამდვილი საზოგადო მოღვაწე და ნამდვილი მცველი ქართულ ეროვნულ ინტერესებისა.

„რეალურ პოლიტიკის“ დედა აზრის გაგებისათვის საჭიროა იცოდეს მკითხველმა, რომ აქ სახელმწიფოებრივობის მცნება, მისი ჩვეულებრივი და ბუნებრივი მნიშვნელობით არ არის ნახმარი. არავის ეგონოს, რომ აქ სახელმწიფოებრივობას იცავენ ანარქიზმის წინააღმდეგ. არა, ჩვენებურ რეალურ პოლიტიკის მომხრეთა შემეცნებაში სახელმწიფოებრივობას უპირისპირდება ლიბერალიზმიც, დემოკრატიზმიც, სოციალიზმიც, ერთის სიტყვით, ყოველივე, რაც ძველ პოლიტიკურ მმართველობის ფორმას ეწინააღმდეგება. და ამიტომ კონსტიტუალისტები, რა გინდა ზომიერნი იყვნენ ისინი, ჩარიცხულნი არიან სახელმწიფოებრივობის მოწინააღმდეგეთა რიცხვში.

უნდა ვსთქვათ, რომ ეს პოლიტიკური „სიბრძნე“ პურიშკევიჩ-მარკოვების წრეებში იშვა რუსეთში და მშობლიურ ნიადაგზე ამ სიბრძნის გადმოტანის და გადმონერგვის ინიციატივა და დამსახურება მიუძღვის იმ ჯგუფს, რომელიც გაზეთ „ზაკავკაზიეს“ გარშემო ტრიალებს. რაც შეეხება პოლიტიკურ ფორმულის მეორე დებულებას – ქართულ ეროვნულ ინტერესების შეგუებას სახელმწიფოებრივ პრინციპთან – იგი ხასესხები არ არის, იგი ადგილობრივ ნიადაგზეა აღმოცენებული და მი-

სი ნათლიმამები თავად-აზნაურთა კრებები და დეპუტატთა სა-



კრებულოებია. ეს ფორმულა ახალი არ არის. მისი წარმო-
შობის ისტორია ძველის ძველია. მხოლოდ ძველად (ამ ოცდა-
ათის წლის წინად, მაგალითად), მას სხვაგვარად, უფრო სა-
დად და მარტივად ჰსახავდნენ და არ აბნელებდნენ მის შინა-
არსს თანამედროვე პოლიტიკურ ტერმინოლოგიის სიტყვებით.
იმ დალოცვილ დროში სახელმწიფოებრივობაზე და სახელმწი-
ფოებრივ პრინციპებზე არ ლაპარაკობდნენ. მაშინ ხმარებაში
იყო უფრო გასაგები სიტყვები, – მეფე, ერთგულება, უმაღლეს
სურვილის და აზრის აღსრულების საჭიროება და სხვა ამგვარი.

მაგრამ, მიუხედავად ამ გარეგნულ სხვადასხვაობისა, დღეს
აშკარად გამოცოცხლდა ის პოლიტიკური მრწამსი, რომლი-
თაც თავი მოსწონდა ქართველ თავად აზნაურთა ინტელიგენ-
ციას მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში.განსხვავება მხო-
ლოდ იმაშია, რომ დღეს ჩვენი თავად-აზნაურობა თავის სო-
ლიდარობას უცხადებს რუსეთის საზოგადოების იმ ელემენ-
ტებს, რომელნიც იცავენ ძველ რეჟიმს და რომელნიც სამკვდრო-
სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებენ ლიბერალ და დემოკრატი-
ულ რუსეთს. და სწორედ ამ სოლიდარობის ნაყოფია ის, რომ
დღეს ჩვენში ახალი სიტყვებიცაა ხმარებაში: სახელმწიფოებ-
რივობის დარაჯნი ვართო, ამაყად გაიძახიან ეხლა ჩვენში. ყვე-
ლამ იცის, რომ ეს ნიშნავს ძველ მრწამსის გამოცოცხლებას
და ამასთან ერთად „კრამოლასთან“ ბრძოლის სურვილს.

ახალი ფორმაციის პოლიტიკოსები, როგორც ვხედავთ,
იმ ხასიათის პოლიტიკურ ფორმულას აღიარებენ, რომლის
ზნეობრივი და პოლიტიკური ღირებულება დიდი ფასისა არ
უნდა იყოს. არ არის იგი დიდი ფასისა არც თვით რუსეთის
სახელმწიფოებრივ ინტერესების თვალსაზრისით, არც საქარ-
თველოს ეროვნული ინტერესთა მიხედვით. ეს აშკარა გახდე-
ბა ჩვენთვის, თუ ცხოვრების და ისტორიის ფაქტების მიხედ-
ვით გავითვალისწინეთ ყოველივე ის, რაც გამომდინარეობს ამ
ხასიათის პოლიტიკურ აზროვნების ცხოვრებაში გატარებისაგან.

ჩვენ არა ერთხელ გვილაპარაკნია ამ საგნის შესახებ. რამ-
დენადაც შეგვეძლო, ყოველთვის ვცდილობდით კონკრეტუ-
ლი მაგალითებით განგვემარტა აღძრული საკითხი. დღესაც
ხელში გვიჭირავს რამდენიმე საყურადღებო დოკუმენტი. ვეცდე-
ბით ამ დოკუმენტების საშუალებით კიდევ ერთხელ ავწონ-დავ-
წონოთ წარსულ საუკუნის მოღვაწეთა საქმიანობა და მოღვაწეობა.

სკოლის საკითხი ერთ უმთავრეს საკითხთაგანია ჩვენს ცხოვრებაში. ქართველი ინტელიგენციის და თვით თავად-აზნაურობის ყურადღება არა ერთხელ იყო მიპყრობილი ამ საკითხის ჯეროვანად განმარტებაზე. ვრცელი ისტორია დაიწერება იმის შსახებ, თუ რა თქმულა და დაწერილა ჩვენში სკოლის ჯეროვანად მოწყობის და დაყენების შესახებ. ფრიად საყურადღებოა ამ მხრივ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა და თავად-აზნაურთა შუამდგომლობანი სკოლის რეორგანიზაციის საჭიროების თაობაზე. იაკობ გოგებაშვილს ჩვენ ამ ჟამად არ შევეხებით. ჩვენ გვაინტერესებს თავად-აზნაურთა შუამდგომლობანი და ამ შუამდგომლობათა საბოლოვო სვე-ბედი.

ერთს ამგვარს დოკუმენტში (1885 წლისა), რომელსაც ჰქვიან „Объяснительная записка къ ходатайству Грузинскаго Дворянства Тифлисской Губерніи о необходимыхъ измѣненіяхъ въ организаціи мѣстныхъ учебныхъ заведеній“, ვკითხულობთ: „საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების დღიდან მართლმადიდებელ რუსეთთან უკვე ოთხმოცდა ოთხი წელიწადი გავიდა, და ამ ხნის განმავლობაში მეფის წყალობა არ აკლდა ჩვენს ქვეყანას. დიდძალი სისხლი დაღვარეს რუსებმა საქართველოს გულისათვის, ბევრი მილიონი დაიხარჯა უშიშრობის უზრუნველსაყოფად, დაიცვა რა რუსეთმა ჩვენი ქვეყანა მუსულმანთა ძალმომრეობისა და პირუტყვობისაგან, თავის მზრუნველობას განუწყვეტლივ არ აკლებდა მას. ქართველებიც თავიანთის მხრივ ძმურად ეკიდებოდნენ რუსებს და მათთან ერთად ღვრიდნენ სისხლს საერთო სამშობლოს დაცვის დროს. და აი მშვიდობიანობის და დაწყნარების ხანაში, რომელიც დამყარდა ჩვენში დიდებულ რუსის ხალხის უანგარო მსხვერპლის წყალობით და აგრეთვე თვით ქართველების თავგანწირულ გმირობის მეცადინეობით, და რომელსაც ხელი უნდა შეეწყო საქართველოს სულიერ აღორძინებისათვის, – ამ უშიშრობის დროში, როდესაც თითქმის საშუალება იყო დაუბრკოლებლივ განვითარებისათვის, მოხდა, საუბედუროდ, სრულიად წინააღმდეგი რამო...“

კითხულობთ ამ უკანასკნელ დასკვნას და არ გესმით, რატომ უნდა მომხდარიყო ასეთი მოულოდნელი ამბავი, როდესაც ჩვენ ქვაყანას არც მტერი ემუქრებოდა და არც მფარველის წყალობა აკლდა. და თქვენდა განსაცვიფრებლად შუა-



მდგომლობის დამწერი განაგრძობს: „ის, რასაც საქართველო ასეთის გულმოდგინებით ინახავდა ათას ხუთას წლის განმავლობაში, ის, რის გულისთვის ამოდენა ტანჯვა განიცადა, რაც შეუნახავს იმ დრომდე, როდესაც რუსეთი თავის ზრდა-

ში კავკასიონის მთებს მოადგა და მართლ-მადიდებელი საქარ-
თველო თავის მფარველობის ქვეშ მიიღო, ყოველივე ეს აშკა-
რად დაკნინდა და მას გადაგვარების ელფერი დაეტყო. შეირ-
ყა ენა და სარწმუნოება, თავის ეროვნული ხასიათით, ეს სუ-
ლიერი განძი ქართველ ხალხისა, შეირყა მართლ მადიდებელ
რუსის ხალხის **უზენაეს** მფარველის სურვილის წინააღმდეგო".

კიდევ გიკვირთ, რატომ უნდა მომხდარიყო ეს, როდე-
საც თვით უზენაეს მფარველის სურვილიც იყო ჩვენი ვინაო-
ბის დაცვა და შენახვა. მაგრამ, როდესაც გაიხსენებთ, რომ
საქმე გაქვთ თავად-აზნაურულ შუამდგომლობასთან, ყოველი-
ვე ნათელი ხდება თქვენთვის. ჩვენი თავად-აზნაურობა, რუს-
სლავიანო-ფილების მსგავსად, ყოველ სიდუღჭირეს მოხე-
ლეებს აბრალებდა და თვით ფორმა კი ძველის პოლიტიკურის
რეჟიმისა მის თვალში არასოდეს არ უნდა ყოფილიყო შეუ-
ფერებელ ნიადაგად ეროვნულ კულტურის აღორძინებისათვის.
და წახალისებული თავისი რწმენით, რომ ყოველი მისი მოთ-
ხოვნილება და საჭიროება დაუყოვნებლად დაკმაყოფილებული
იქნება, ოღონდ კი უმაღლესმა მთავრობამ გაიგოს მისი ხმა
და ღაღადი, ჩვენი თავად-აზნაურობა მთავრობის საყურადღე-
ბოდ საგულისხმო მოხსენებებს და წერილებს ამზადებს სკო-
ლის საკითხის შესახებ.

აღნიშნული შუამდგომლობა ისე ფართოდ ეხება სკოლის
საკითხს ჩვენში, რომ მეტი არ იქნება დავასახელოთ და ჩა-
მოვთვალოთ აქ მთავარი მუხლები თავად-აზნაურულ პროგრა-
მისა. 1, კლასიკურ გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებელში,
კადეტთა კორპუსში, სამასწავლებლო ინსტიტუტში და საშუა-
ლო ქალთა ყველა სასწავლებლებში საჭიროა დაწესება ქარ-
თულ ენის, სიტყვიერების და ისტორიის კათედრისა ქართულს
ენაზედვე სწავლის მოწყობით... 2, სამასწავლებლო სემინა-
რიებში, რომელნიც ამზადებენ მასწავლებლებს ქართველ
მცხოვრებთათვის, საჭიროა გაძლიერება ქართულ ენის და
სიტყვიერების სწავლებისა. და ქართულადვე უნდა იყოს სწა-
ვლა ზოგიერთ საგნებისა, რომელთაც ვიწრო კავშირი აქვთ



სახალხო სკოლების სამოსწავლო საგნებთან. 3, ქალთა დაბალ
სასწავლებლებში და სამოქალაქო სკოლებში უნდა იყოს ქარ-
თველებისათვის ყველა საგნების ქართულ ენაზედ გავლა, გარ-
და რუსეთის გეოგრაფიისა და ისტორიისა... 4, სახალხო სკო-
ლა ორ ჯგუფად იყოფება ერთ კლასიანი და ორკლასიანი.
პირველი, სამი წლის კურსით. მეორე, ექვსი წლის კურსით.
ერთ კლასიანში რუსული არ არის, ორკლასიანში არის. სა-
კმარისი გაკვეთილიც უნდა იყოს ამისათვის. ხოლო ყველა

საგნების გავლა სამშობლო ენაზედ უნდა სწარმოებდეს. 5, ტფილისის სასულიერო სემინარიაში, ამ სასწავლებლის აზრისა და დანიშნულების მიხედვით, აუცილებლივ საჭიროა დამოკიდებული, შტატში ჩარიცხული კათედრა ქართულ ენისა, ქართულ ეკლესიის ისტორიისა, სასულიერო და საერო ლიტერატურისა. სწავლა ქართულად, და გარდა ამისა ღვთის-მეტყველების ზოგიერთა საგნის გავლაც ქართულად უნდა იყოს. 6, სასულიერო და ქალთა საეპარქიო სასწავლებელში ყველ საგნების სწავლება უნდა იყოს ქართულად. რუსულად რუსეთის გეოგრაფია, და საეკლესიო და საერო ისტორია და რუსული ლიტერატურა. 7, საჭიროა შემუშავება შესაფერ პროგრამებისა და ქართული ენა ყველა კლასებში უნდა იყოს შემოღებული. 8, სასურველია ქართველ მოწაფეების განთავისუფლება (გიმნაზიებში) ბერძნული ენის სწავლებისაგან და ბერძნული ენის ნაცვლად უფრო ბეჯითად ასწავლონ ქართული და რუსული ენა. უნივერსიტეტში შესვლის ნებაც ჰქონდეთ. 9, სახაზინო ყველა სასწავლებლებში ტფ. გუბერნიისა საჭიროა გასხნა რაციონალურად მოწყობილ მოსამზადებელ კლასებისა, სადაც ანგარიშს გაუწევენ ადგილობრიგ პირობებს.

აი მოკლე სასკოლო პროგრამა თავად-აზნაურობისა. ამ პროგრამის დაწერის ოცდახუთის წლის შემდეგ, გარემოებით შეხუთულებს თითქოს გვეჩოთირება ასეთი თამამი ფრთის გაშლა. რუსეთის პარლამენტში დღეს ჩვენი დეპუტატები სახალხო სკოლების შესახებ თუ ჰბედავენ ლაპარაკს, სხვა რამეზე ოცნებაც შეუძლებელია. დიაღ, პროგრამა ფართოა. ნაყოფი კი შუამდგომლობისა – არავითარი. რატომ! დააკვირდით იმ მოსაზრებას, რომლითაც ხელმძღვანელობს თავად-აზნაურობა თავის შუამდგომლობაში და ამ „რატომსაც“ გაიგებთ.

საქმე ის არის, რომ 21 აპრილს 1885 წ. რუსეთის თა-



ვად-აზნაურობის სახელზე გამოიცა უმაღლესი მანიფესტი. ამ მანიფესტში, სხვათა შორის, სწერია: „რუსეთის თავად-აზნაურობას კვლავინდებურად უნდა შერჩეს პირველი ადგილი ჯარის სარდლობაში (въ предводительствѣ ратномъ), ადგილობრივ მმართველობასა და სასამართლოში. იგი უნდა ზრუნავდეს ხალხის საჭიროებაზე, ამაგრებდეს პირადის გავლენით სარწმუმოებას და ჰფიქრობდეს საფუძვლიან „ნიადაგზე დამყარებულ ხალხის განათლებაზე“. მის იმპერატორობითი უდიდებულესობის ამ სამღვთო სურვილის აღსრულების ნიშნად, ვკითხულობთ ჩვენ შუამდგომლობაში, – და იმ უკიდურეს ნდობის განსამართლებლად, რომელსაც უცხადებენ რუსეთის თავად-აზნაურობას, ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც ხელ-

მძღვანელობს უუქვეშევრდომილეს ერთგულების გრძნობებით მეფისა და სამშობლოსადმი და რომელიც გამხნევებულია უმაღლეს რესკრიპტის მოწოდებით, – თავად-აზნაურობა თავის სამღვთო ვალადა რაცხს იშუამდგომლოს ტფ. გუბერნიაში არსებულ სკოლების რეორგანიზაციის შესახებ, რათა ქართველებში გამაგრდეს სარწმუნოებრივი ჭეშმარიტება და სწავლის საღი საფუძველი“.

დააკვირდით ამ გულუბრყვილობას. რესკრიპტი აქეზებს რუსეთის თავად-აზნაურობას და ქართველები ადგენენ ეროვნულ სკოლის შემოღების გეგმას. რესკრიპტს თავად აზნაურობა ჰყავს მხედველობაში იმდენად, რამდენადაც იგი რუსია. ჩვენები კი ამაზე ყურს იყრუებენ და აქაო და, უფლებებში გათანასწორებულნი ვართო, იმ ხასიათის შუამდგომლობას აწვდიან მთავრობას, რომელიც ძირიანად ეწინააღმდეგებოდა მის პოლიტიკას არარუსთა მიმართ. თავიანთ თავს ატყუებდნენ შუამდგომლობის დამწერნი, თუ მართლა შეპყრობილნი იყვნენ ამ უცნაურ პოლიტიკურ რომანტიზმით, არ ვიცი, ვიცი მხოლოდ, რომ აღნიშნული შუამდგომლობა ამ სიტყვებით თავდება: ქართველი თავად-აზნაურობა იმედოვნებს, რომ ეს მისი შუამდგომლობა, რომელსაც ესოდენი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ერთ წოდებისთვის, არამედ მთელ მართლ მადიდებელ საქართველოსათვის, რომელმაც არა ერთხელ დაამტკიცა სრული ერთგულება რუსეთის ტახტისადმი, რომ ეს შუამდგომლობა ჩაეთვლება მას, როგორც უუქვეშევრდომილეს მოვალეობის აღსრულებად თავის მონარქის და სამშობლოს წინაშეო“.

ასე რომ, ქართულ ეროვნულ სკოლის შესახებ ზრუნვა



მონათლული და განმარტებულია როგორც უუქვეშევრდომილეს მოვალეობის აღსრულება! შესანიშნავი სტილი და ბალღური ოცნება თუ გინდათ ეს არის! გეგონებათ, საქმე მეთვრამეტე საუკუნის მიწურულებში სწარმოებს და არა მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, როდესაც უკვე ნათელი იყო, რომ ოფიციალური და გაბატონებული სახელმწიფოებრივი აზრი არ იწყნარებს ეროვნულ საკითხის სამართლიანად გადაწყვეტასა და რომ ვინც ერთგულების გრძნობებით ამაყობს, იმას სრულებიდაც არ ეძლევა უფლება მოვალეობის სახელით მონათვლა იმგვარ მოღვაწეობისა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა იმ ხანებში ჩასახულ რუსეთის სახელმწიფოებრივ ნაციონალიზმსა. ადვილად წარმოსადგენია, რა ღიმილს გამოიწვევდა სადაც ჯერ არს ეს უცნაური, უმანკოების ტანთსაცმელში გამოწყობილი გმირულ-რომანტიული ფრაზეოლოგია.

2.

მთავრობის წარმომადგენელნი, რა თქმა უნდა, ალმაცერად უყურებდნენ ქართველ თავადაზნაურობის ამნაირ შუამდგომლობებს. მათ არ ესმოდათ გულუბრყვილობა ამგვარ აზროვნებისა და ამიტომ ყოველთვის ეჭვი ჰქონდათ თავად-აზნაურობის გულწრფელობაში და ბრალსა სდებდენ იმაში, რაშიაც ბრალი არ მიუძღოდა – პოლიტიკურ სეპარატიზმისადმი თანაგრძნობაში. მოიგონეთ წარსულ საუკუნის მეორე ნახევრის ამბები და დაგვერწმუნებით, რომ ეს ასე იყო. მაგრამ იმ დროინდელი სხვა დოკუმენტებიც გვიჭირავს ხელში. ეს დოკუმენტები დაამოწმებენ ჩვენს ნათქვამს.

იმავ 1885 წელში თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკი საქართველოს ეგზარხოსს პავლესა სთხოვს, ძალიან დამავალებთ, თუ გამომიგზავნით კოპიოებს უწმინდეს სინოდის იმ უკაზებისას, რომელთა მიხედვითაც შემოღებულ იქმნა ქართულ ენის სწავლა სასულიერო სასწავლებლებშიო. ეგზარხოსმა, ცოტა არ იყოს, იუკადრისა ამგვარი თხოვნა და აცნობა ქაღალდით თავადს, რომ ჩვენს გადამწერს არა სცალიან, კოპიოების გადაწერას მას ვერ დავაკისრებო. გარდა ამისა, სწერდა ეგზარხოსი, „მე არც კი ვიცი, მაქვს თუ არა ნება მოგცეთ ამგვარი საბუთებიო. არც კანონია ამის შესახებ და არც მაგალითი ყოფილა, რომლის ძალითაც მე ვალდებული ვიყო მივცე ეს ქაღალდები იმ პირს, რო-



მელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სასულიერო-სამოსწავლო საქმესთანაო“. (Вѣдомство Православнаго ис-
Повѣданія. Синодальнаго члена Экзархата. Грузіи, №
5194. 5 декабря, 1885 года г. Тифлисъ. Его Сіятельству Кн. И. К. Багратіонъ-Мухранскому, Г-ну Тиф.
Губ. пруд. Дворянства).

ეგზარხოსმა აშკარად აგრძნობინა თავ. მუხრანსკის, რომ იგი თავის თანამდებობის კომპენტენციის ფარგალს გადასცილდა და სხვის საქმეებში ერევა. მაგრამ ეს გარემოება არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს რომანტიკოსებზე და ისინი კვალინდებურად განაგრძობენ არზების და შუამდგომლოების წერასა და თხვზას. 1886 წელს ტფილისში სემინარიის საქმეების თაობაზე მოვიდა ობერ პროკურორი პობედონოსცევი. 1885-1886 წლები უნუგეშო ხანა იყო ტფილისის სემინარიისთვის. ამის შესახებ ჩვენ სხვაგან გვქონდა უკვე ლაპარაკი, აქ უნდა ვსთქვათ, რომ თავად-აზნაურობამ თავის მოვალეობად ჩასთვალა ხმის ამოღება. ობერ-პროკურორს შუამდგომლობა მიართვა და ამ შუამდგომლობის სათავეშივე დაარწმუნა ბ. პობედო-

ნოსცევი, რომ „იგი შუამდგომლობა არ არის უადგილო ჩარევის სურვილი ქართველ თავად-აზნაურობისა საეგზარხოსო საქმეებში, არამედ მისის, თავად-აზნაურობის, საუკუნო ტრადიციის მოთხოვნილებაა“. (Докладная записка Тиф. Губ. Пред. Даорянства. Сентября 1886 года. Его Превасходителству Г-ну Обер-Прокурору Свят. Ррав. Синода).
ეს იყო ეგზარხოსმა ტლანქად აგრძნობინა, სხვისა საქმეში ერევითო, აქ კი მაინც საუკუნოებოდან გადმოცემულ ტრადიციაზეა ლაპარაკი. იტყვით, ვაშა თავადებს, რომ გულს არ იტეხავდნენ და თითქოს არაფერი მომხდარაო მეფე ერეკლეს დროიდამ იმავ ტერმინოლოგიით ლაპარაკობდნენ, რომელსაც ხმარობდნენ მეთვრამეტე საუკუნეში. არ ვიცი, შეიძლება სხვა გზა არა ჰქონდა თავად-აზნაურობას, სხვა ენით და კილოთი იგი კრინტსაც ვერ დასძრავდა, რასაკვირველია.

ყოველივე ეს ადვილად გასაგებია. არ არის გასაგები მხოლოდ ერთი რამ, – რა საბუთის ძალით მოელოდნენ შუამდგომლობის ავტორნი პრაქტიკულ ნაყოფს ამგვარ მოქმედებისაგან და რა მოსაზრების ძალით ეგონა, რომ ეს პოლიტიკა არის რეალური ე. ი. რეალურ შედეგის გამღები?



ობერ-პროკურორს თავად-აზნაურობამ სთხოვა ის, რასაც სთხოვდა ამ ერთის წლის წინად უმაღლესს მთავრობა.ს ხოლო იქ სამოსწავლო გეგმა ფართოთ იყო წამოყენებული აქ კი მარტო სასულიერო სასწავლებელთა პროგრამების შეცვლაზეა ლაპარაკი. შეცვლილი უნდა ყოფილიყო პროგრამა იმ სახით, როგორადაც თავად-აზნაურობას გარკვეული ჰქონდა უკვე ცნობილ ფართო სამოსწავლო გეგმაში. ლაპარაკი არ უნდა იმის შესახებ, რომ ყოველივე ეს უყურადღებოდ იყო დატოვებული და მთავრობა განაგრძნობდა თავის პოლიტიკის განხორციელებას თავად-აზნაურთა რჩევის მოხედვით კი არა, არამედ თავის განზრახვის და გადაწყვეტილების მიხედვით და აი ამ შუამდგომლობის ოცი წლის შემდეგ ბ. იაკობ გოგებაშვილი ამოწმებს, რომ შიდა საქართველოში თუმცა დედაენა არ არის აღკრძალული, მაგრამ ზოგს სკოლაში ფაქტიურად გაუქმებულია, ზოგში კიდევ, თუმცა ფორმალურად არსებობს ვაი-ვაგლახით და გაჭირვებით, ისეთს ყოფაშია, რომ სულთ-მბრძოლავს მოგაგონებთო". (რჩეული ნაწერები გვ. 505).

არავის ეგონოს, რომ ამ გვარი პოლიტიკის მიმდევარი მარტოოდენ თავად-აზნაურობა ყოფილიყოს ჩვენში. არა, ეს მიმართულება არის თითქმის მთელ ქართველ ინტელიგენციის მიმართულება მე-XIX საუკუნის განმავლობაში. დიმიტრი ყიფიანის შესახებ ჩვენ სხვაგან ვრცლად გვქონდა ლაპარაკი. ახ-

ლა ვნახოთ, რას სწერდა და ამბობდა განათლებული და ყველას მიერ პატივცემული ეპისკოპოსი გაბრიელი, ავტორი ცნობილ ემპირიულ ფსიხოლოგიისა (Основанія опытной психологіи), მრავალ ქადაგებათა, რომელნიც ინგლისურად იყვნენ გადათარგმნილნი და სხვა. გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ ბ. იაკობ გოგებაშვილი ამბობს: „არა მგონია, რომ რომელიმე მწყემსთმთავრის მოქმედებას არამც თუ ჩვენში და რუსეთში, არამედ ევროპიაშიც მოეტანოს სამწყოსათვის იმაზე უუნაყოფიერესი შედეგი, რომელიც შესძღვნა იმერთა ერსა განსვენებულის მღვდელთ-მთავრის ოც-და-თხმუთმეტის წლის თავდადებულმა მოღვაწეობამაო“. (რჩეული ნაწერები, გვ. 331). მართლაც, შესანიშნავი ადამიანი იყო განსვენებული ეპისკოპოსი. მაგრამ, განა დიმიტრი ყიფიანი კი არ იყო ამგვარადვე შესანიშნავი პიროვნება, ხოლო ამ შესანიშნავ ადამიანთა პოლიტიკური აზროვნება ჩვენ არ მიგვაჩნია შეუცდომელი და



საღ-აზროვნებად. ხელში გვიჭირავს ფართო საზოგადოებისათვის უცნობი წერილი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომელიც გამოწვეული იყო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბ. იანოვსკის მოღვაწეობით ჩვენს ქვეყანაში. (Отвѣть Име - Ретинскаго Епископа Гавріила на донесеніе Попечителя Кавк. Уяеб. Округа Яновскаго (Кирила Пкировича) დოკუმენტი საგულისხმოა.

„ვერ დავმალავ იმ მწუხარებას, ამბობს გაბრიელ ეპისკოპოსი, რომელიც განვიცადე, წავიკითხე რა ბ. მზრუნველის მოხსენება. იგი მოხსენება უკიდურესობამდე შემრაცყოფელი არა მარტო ქართველ სამლვდელოებისათვის, არამედ მთელ ქართველ ხალხისათვის. სამღვდელოებას აბრალებენ იმას, ვითომ მას არ ძალუძს პირველ დაწყებითი სახალხო განათლების საქმის გაძღოლა. აბრალებენ აგრეთვე პოლიტიკურ არა-კეთილ საიმედობაში. ამ უკანასკნელ ბრალდებას სდებენ მთელ ქართველ ხალხსაც, ახალგაზდობაში საქართველოს დამოუკიდებლობის აზრი ტრიალებსო. ერთი სიტყვით, ბ. მზრუნველის მოხსენება დაბეზღების შთაბეჭდილებას ახდენსო“.

განსვენებულ ეპისკოპოსის პასუხი ამ ბრალდების გაბათილებისა და დარღვევაზე იყო მიმართული. ფრიად საპატიო საქმე უკისრია გაბრიელ ეპისკოპოსს, რადგან, მართლაც და, უსამართლო ბრალდებას სდებდა ბ. მზრუნველი როგორც სამღვდელოებას, ისე ქართველ ხალხს. ეჭვს გარეშეა, რომ სამღვდელოება არც ისე მოუმზადებელი იყო, რომ არ შეეძლო პირველდაწყებითი სამრევლო სკოლების ხელმძღვანელობა. ხოლო უსაფუძვლო იყო სეპარატიზმის შესახებ ლაპარაკიც,

რადგან მართლაც არავითარი ამ ხასიათის მოძრაობა და აზ-
რის მიდრეკილება არ არსებობდა არც სამღვდელოებაში, არც
თავად-აზნაურობაში, არც ინტელიგენციის წრეებში და მით
ნაკლებად ხალხში. მაგრამ ამ მხრივ კი არ წარმოადგენს ინ-
ტერესს გაბრიელის წერილი; იგი საყურადღებოა მხოლოდ
იმითი, თუ როგორ, რა საშუალებით და რა საბუთებით ცდი-
ლობს ეპისკოპოსი ბრალდების უარ-ყოფას და გაბათილებას.

საქართველოს ეგზარხოსის პავლეს აზრით (1884 წ.) სა-
მრევლო სკოლებში რუსულ ენას ადგილი არ უნდა ჰქონოდა.
ამ საკითხის გამო დაეკითხა ეგზარხოსი გაბრიელ ეპისკოპოსს.
„მე ამ აზრს არ დავეთანხმე, ამბობს იგი თავის პასუხში ია-



ნოვსკისადმი, რადგას ვიცოდი სურვილი და მისწრაფება ქარ-
თველ ხალხისა. ეგზარხოსს ვუპასუხე, რომ ურუსულოდ შეუ-
ძლებელია სკოლა საქართველოში, რადგან ამგვარ სკოლაში
ხალხი თავის შვილებს არ მიაბარებსო“. ამის გამო ბ-ნ გო-
გებაშვილი სწერდა: „ნეტარ ხსენებული მღვდელთ-მთავარი თა-
ვის მოქმედებაში არასოდეს არ ხელმძღვანელობდა მთავრო-
ბის შეხედულებით, არასოდეს არ ცდილობდა ეამებინა თავის
უფროსებისათვის და მუდმივ გულწრფელად და დამოუკიდებ-
ლივ იქცეოდა. ამიტომ ეს პასუხიც უნდა ჩაითვალოს გულ-
წრფელადო“. (რჩეული ნაწერები, 472). გაბრიელ ეპისკო-
პოსს მართლაც გულ-წრფელად უყვარდა ხალხი, მაგრამ მისი
პასუხი ენის შესახებ როგორღაც ჭკუაში არ მოგვდის. რუ-
სულ ენის სწავლის წინააღმდეგი, საზოგადოთ, შეიძლება არც
კი იყოთ, ხოლო მომხრე იყოთ, იმისი, რომ პირველ დაწყე-
ბითი სამრევლო სკოლები, სადაც სწავლის კურსი ასეთი ხან-
მოკლეა, ურუსულოდ მოეწყოს, რადგან ამგვარი წესი უფრო
შეეფერება განათლების ინტერესებს. ის აზრა კი, ვითომ ხა-
ლხი არ გაგზავნის ამგვარ სკოლაში თავის შვილებს, საბუთს
მოკლებულია. მაგრამ როდესაც ქართველი ადამიანი ვისმეს
სიყვარულს უცხადებს, განა შეუძლია ზომა დაიცვას? არასო-
დეს არ შეუძლია.

აი მეორე მაგალითიც გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი-
დან. მზრუნველი, სხვათა შორის, ბრალსა სდებდა ქართველ
სამღვდელოებას, ცდილობს ქართულ ენის გავრცელებას აფ-
ხაზეთში და წირვა-ლოცვასაც ქართულად ასრულებსო „მარ-
თალი არ არის, ამბობს გაბრიელ ეპისკოპოსი, აფხაზის თუ
ქართველ სამღვდელოებას არა ჰქონდა სკოლები. სკოლები
იყო ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისა. ამ სკო-
ლებში სამღვთო სჯულს და ყველა საგნებს რუსულად გადი-
დნენ. მასწავლებელიც რუსი იყო. რაც შეეხება ღვთის-მსა-

ხურებას, განაგრძობს ეპისკოპოსი, უნდა ვაღვიარო, რომ მართლაც თითქოს უცნაური და საეჭვო რამ არის პირველის შეხედვით ის გარემოება, რომ იგი ღვთის-მსახურება არა სლავიანურად იყო მოწყობილი (სიტყვა სიტყვით, нужно сознаться, что съ сперваго взгляда можетъ показаться страннымъ и даже подозрительнымъ, что оно совершалось и нынѣ совершается въ Абхазіи не по сдавя-



нски), მაგრამსაქმე ის არის, რომ სამღვდელოებას რუსულის უცოდინარობის გამო არ შეეძლო სლავიანურად ეწირაო. რუსები კი ვერსად ვიშოვნეთო. ვინც მოვიყვანეთ ჰავას ვეო გაუძლო. „ძლივს ვიშოვნეო ერთი სემენარიელი ვლადიმერის გუბერნიიდამ, კარგი მრევლიც მივაბარე, მაგრამ ის წლის მეტი არ დადგა და რუსეთში გაიქცა. ქრიასტიანობის აღმადგენელ საზოგადოებასაც ვსთხოვე სლავიანური სამღვთო წიგნები, რამდენიმე მღვდელს შევასწავლიდი სლავიანურ წესს, მაგრამ უსახსრობისა გამო უარი შემომითვალესო“.

ამგვარად, გაბრიელ ეპისკოპოსი ადასტურებს სლავიანურ წირვა-ლოცვის გავრცელების საჭიროებას აფხაზეთში. იგი ბოდიშსაც იხდის, უცნაურ და საეჭვო საქმედ არ მიიღოთ ის, რომ დღემდე არ მოხერხდა სლავიანურ ენის შემოღება აფხაზეთის ეკლესიებშიო. დიმიტრი ყიფიანიც ერთგულობით გამსჭვალული ადამიანი იყო, საერო კაციც იყო, მაგრამ არასოდეს არ გამოუჩენია ასეთი გადაჭარბებული გულმოდგინეობა სლავიანურ ენის შემოღების საქმეში აფხაზეთში, სადაც 15 საუკუნის განმავლობაში ქართული ეკლესია და ქართული კულტურა იყო. ჩვენ ძალად არავის არაფერს არ ვახვევთ. თუ თვითონ აფხაზებს სურთ სლავიანური წირვა, სხვა ლაპარაკია. მაგრამ ეს სურვილია რუსიფიკაციის პოლიტიკისა. რატომ მოეპყრა ასეთის თავმდაბლობით ამ პოლიტიკას გაბრიელ ეპისკოპოსი ეს არის საკვირველი და გაუგებარიც.

გაბრიელ ეპისკოპოსი ამ შეუფერებელ საშუალებით ცდილობს აღადგინოს სახელი ქართველ სამღვდელოებისა და თავიღამ ააცდინოს არა კეთილსაიმედობის ბრალდება. მაგრამ იმისი პასუხი სხვაფრივადაც საინტერესოა. იგი გამოდის საერო განათლების მოწინააღმდეგედ და სამრევლო სკოლების მცველად. ეს ის დრო იყო, როდესაც საერო განათლებას რუსეთში დიდი საფრთხე მოელოდა, რადგან განათლების საქმე თითქმის სავსებით სინოდს დაექვემდებარა. დღესაც სჩანს ნაყოფი ამ სისტემისა. დღეს სათათბიროში არის წამოყენებული იგივე საკითხი. დიდი ბრძოლა დასჭირდათ მემარცხენეებს სკოლის განთავისუფლებისათვის რეაქციონურ გავლენისაგან.

დღეს ძლივ მოახერხეს და სათათბიროს გადაწყვეტილების ძალით განათლების საქმე (სამრევლო სკოლებიც) საერობო განათლების მინისტრის ხელში გადასცეს. და ამ საკითხის შესა-



ხებ განათლებული ადამიანი, ემპირიულ ფსიხოლოგიის ავტორი ამბობს: „სოფისტები, ლიბერალები და საზოგადოდ ყველანი, ვინც დაშორდნენ სარწმუნოებას და ვისაც უნდოდა ხალხში ნახევრად-წარმართულ განათლების გავრცელება, ხშირად ახერხებდნენ სამღვდელოების ხელიდამ ამ საქმის ჩამორთმევას, მაგრამ აი დღევანდელ კურთხეულ მეფობის დროს განათლება საბოლოვოდ გადაეცა სამღვდელოების ხელშიო“. გასაკვირველი არ არის, რომ სასულიერო წოდების წარმომადგენელი სამრევლო სკოლების მცველად გამოდის, გასაკვირველი არ არის მით უმეტეს, რომ აქ ამ სკოლების წინააღმდეგ გაილაშქრა მზრუნველმა იმიტომ, რომ ეშინოდა სამღვდელოების გავლენისა ნორჩ თაობაზე პოლიტიკურის მხრივ. მაგრამ საკვირველი და გაუგებარი რჩება ის, რომ განათლებულ ეპისკოპოსს საერო სკოლის ღირსება და მნიშვნელობა არ ესმის და დაცინვით სოფისტებს და ლიბერალებს უწოდებს იმათ, ვინც კონფესიონალურ გავლენისაგან სცდილობდა სკოლის განთავისუფლებას. დღეს ამ საბუთებს რუსეთის შავრაზმელები ხმარობენ და განა სავაგლახო არ არის, რომ საუკეთესო ქართველი მამულიშვილი, გატაცებული წრფელს აზრით ეროვნების სამსახურისა, აქაც გადაჭარბებულ გულმოდგინეობას იჩენს. თქმა არ უნდა, რომ თავი და თავი სატკივარი ეპისკოპოსისა „სოფისტების" და ლიბერალების მისწრაფებათა გმობა კი არ იყო, არამედ მძიმე ბრალდების თავიდამ აცილება, ვითომ ქართველი ხალხი პოლიტიკურად სანდო არ ყოფილიყოს. ეს აზრი ყოველის საშუალებით უნდა იყოს აღმოფხვრილი. ყოველი საშუალება კარგია ამისათვის. განსაკუთრებით კარგია იმგვარი საშუალება, რომელიც თითქოს მთავრობის მრწამსიც არის და ამასთან ჩვენთვისაც სასარგებლოა. მთავრობა მაგალითად, სასულიერო განათლებას უფრო ენდობა. ჩვენებური მამულიშვილიც ეხღაუჭება ამ განათლებას, რადგან ჩვენთვის, ენის შერჩენის მხრივ, ეს განათლება თითქოს ხელსაყრელია. ყოველივე ეს ასეა, მაგრამ რატომ უნდა იყოს ამის გულისათვის დაწიხლული ლიბერალიზმის და დემოკრატიზმის საუკეთესო მისწრაფებანი!

ეხლა დაუგდეთ ყური, რას ამბობს ეპისკოპოსი თვით ბრალდების და იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელსაც მოახ-

დენს იგი ქართველ ხალხზე. „თუ ქართველ ხალხს უნდობ-
ლობით მოეპყრობიან და სამღვდელოებას სასულიერო სკო-
ლებსაც ვერ ანდობენ, ამითი გამოიწვევენ „ტუზემცებში“ მწუ-
ხარების და დაუმსახურებელ შეურაცხყოფის გრძნობას. მწუ-
ხარება მძიმე იქნება, რადგან ყველანი გაიგებენ, რომ ამაში
ისახება უფროსების უნდობლობა „ტუზემცებისადმი“ (къ этомъ
окажется недовѣріе начальства къ туземцамъ), რაც იმა-
თის მხრივ სრულიად არ არის დამსახურებულიო. გარდა ამი-
სა, ამ ბრალდების წამოყენება იმას ნიშნავს, რომ იმპერიის
ყველა სასწავლებლების კარები დაიკეტება ქართველებისთვის,
რადგან აბა რისთვის უნდა ისწავლონ „ტუზემცებმა“, თუ კი
იმათ შესახებ იფიქრებენ სწავლობენ მხოლოდ იმიტომ, რომ
მერე თავიანთ აღმზრდელთა წინააღმდეგ გაილაშქრონო. და
აბა ვიღა ანდობს ამ ხალხს ან რამე საქმეს ან დავალებას. მაგ-
რამ განა შეეფერება ამგვარი ზომების მიღება დიდებულ მართლ-
მადიდებელ სამეფოსაო...

ამ სტრიქონების წაკითხვის დროს თვალწინ ძველი კულ-
ტურით ამაყი, ხოლო გასაჭირში ჩავარდნილი ერი კი არ გი-
დგებათ, არამედ რომელიმე შავკანიანი ტომის ველური ქვე-
ყანა. და მოლაპარაკეთაც ღირსებით შემკობილი, უუძველეს
ეკლესიის წარმომადგენელი კი არ გელანდებათ, არამედ ხსე-
ნებულ შავკანიან ტომის სარდალი, რომელიც ჰგოდებს და
მოთქვამს იმის გამო, რომ მზე დაბნელდება და სიცოცხლე სამ-
სალასავით გამწარდება, თუ გამარჯვებული უფროსები ეჭვს შე-
იტანენ შავკანიანების სიყვარულში. დიაღ, ასეთ შთაბეჭდილე-
ბას ახდენს ეს უზომო თითქმის ღირსებას მოკლებული თავ-
მდაბლობა. და ვისთვის და რისთვის იყო საჭირო ასეთი დამ-
ცირება?! დაუმტკიცეს ვისმეს სიმართლე, დააჯერეს ვინმე თა-
ვის სამართლიანობაში? არა. აი ამ რამდენიმე წლის წინად სა-
მოსწავლო ოლქის რევიზორმა დაათვალიერა საქართველოს
სკოლები. „ინახულა ბათუმის სასწავლებელი, გვიამბობს იაკობ
გოგებაშვილი, და მიჰმართა ერთს რვა წლის ბავშვს: შენ ვი-
ნა ხარ? – ქართველი, სთქვა პასუხად ბავშვმა. – ქართველი კი
არა, რუსი ხარ, რუსი ვარ-თქო. ბავშვი გაშტერდა და სდუმ-
და. რევიზორმა იფიქრა, აქ ნამდვილად სეპარატისტობაა და-
მალულიო, გაწყრა, გაგულისდა, წაავლო ხელი ბავშვს, ანჯ-
ღრევდა და გაჯავრებით გაიძახოდა თავისას. შეშინებულმა



ბავშვმა ძლივს წამოილუღლუღა: რუ...სი...ვარ. ხმა მაღლა
სთქვი, რომ რუსი ხარ, – გაიძახოდა რევიზორი. შემკრთალმა
ბავშვმა კარგა ხანს ვერ მოახერხა ხმის ამოღება. ბოლოს, მო-

იკრიბა ძალ-ღონე და შეჰყვირა: რუსი ვარო, და თან ქვითინი წასკდაო“ (რჩეული ნაწერები, 506) მაშ ვისთვის და რისთვის იყო საჭირო დამცირება?!

---

# რევოლიუციის შემდეგ.

(კრიზისის გარშემო)

1909-1910 წ.

## გარდამავალი ხანა

1909 წ.

### I

რევოლიუციის დამარცხების შემდეგ საზოგადოებას რაღაც მოწყენილობა და მოქანცულობა დაეტყო. ყველა იმასა სცდილობდა, რომ განზე გასულიყო, დამალულიყო სადმე, მოსწყინდა ლაპარაკი, მოსწყინდა საზოგადოებაში ყოფნა, მოსსწყინდა საზოგადოების სამსახური. წინად თუ „საზოგადოებრივობის“ კულტი ცოცხალი გრძნობა იყო ინტელიგენტის გულში, ახლა თითქოს მიმქრალა იგი, მინელებულა და გულში როგორღაც შეუმჩნევლად მომწიფებულა და აღზრდილა

პირადი ცხოვრების სურვილი. პიროვნება, საზოგადოების და ხალხის სამსახურით დამონებული, თითქოს განთავისუფლებას ჰლამობს. ეს იყო ბუნებრივი რეაქცია უკიდურესს საზოგადოებრივ აღფრთოვანებისა და აღელვების შემდეგ. ადამიანი ცას სწვდებოდა თავის სურვილებით და მისთვის მიუწვდომელი არა იყო-რა ამ ბედკრულ მიწაზე. და როდესაც იგი წააწყდა კლდეს, რომლის გარღვევა ვერ მოახერხა, დაღონდა, შედგა პატარა ხანს და ღონე მიხდილსავით ხელები გაშალა: ჩემს წინ კლდეა, შუბლიც გავიჩეხე, ისე მივეხალე ამ კლდას. რაო, რისთვის? ხალხი, საზოგადოება! კარგი სიტყვებია. მაგრამ ვერა ხედავთ ამ კლდეს და ამ სისხლს, შუბლიდან რომ მოდის. არ მინდა არც თქვენი ხალხი, არც თქვენი კონსტიტუცია, არც თქვენი სოციალიზმი. თავი გამანებეთ, მე მინდა მე ვიყო. ვითამ რატომ არაო? ჩემი მე, ჩემი პიროვნება ხელში მიჭირავს, საზოგადოება კი... რა არის ეგ თქვენი საზოგადოება! ძალიან დიდი რამეც რომ იყოს, ხომ ნახეთ ის კლდე და ეს სისხლი.



თავი გამანებეთ. ნუ მტანჯავთ, გამეცალეთ და სოციალიზმს ნუღარ გამაგონებთ. და აკი მართლაც მიყუჩდა ცხოვრების მაჯის ცემა. ამასობაში კი საზოგადოებრივობით მოღლილ ინტელიგენტს შესაფერი საზრდო და გასართობი დაუმზადეს.

ლაპარაკი დავიწყე ქართველ საზოგადოების შესახებ. მაგრამ ჩვენს ინტელიგენტურ საზოგადოებას არავითარი ორგინალური ხასიათი აღარა აქვს, პატარა თუ არ მივიღეთ მხედველობაში, რომელნიც დასტრიალებენ და პატრონობენ ეროვნულ საქმეს, დიდი ნაწილი ქართველ საზოგადიებისა დღეს მიმბაძავია მხოლოდ რუსის საზოგადოებისა და მის კულტურულ ზედგავლენის ქვეშ იმყოფება. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა და ახალგაზდობამ თავის სულიერ ვითარებაში განიცადა ის, რაც განიცადა რუსის საზოგადოებამ და ახალგაზდობამ, ასე რომ ჩვენი ლაპარაკი იმის შესახებ, რაც გამოუვლია რუსეთის ახალგაზდობას და ინტელიგენციის ნაწილს ამ უკანასკნელს ორისამი წლის განმავლობაში, ქართველ საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზდობის ერთის დიდის ნაწილის სულიერ ვითარების სურათიც იქნება.

პიროვნების განთავისუფლება „საზოგადოებრივობისაგან“ ახალი მცნებაა, ახალი დროშაა. ამ დროშის ქვეშ თავს იყრის აჭრელებული საზოგადოება – აქ შანტაჟისტები და ექსპროპრიატორებიცაა, ჯერ კიდევ ნორჩი ახალგაზრდობა, არციბაშევის და პშიბიშევსკის თაყვანისმცემელი, იმედ დაკარგული ინტელიგენტი, რომელსაც მეტტერლინკის და იბსენის კითხვის

ხალისი გაეღვიძა, აქვე „ფლოსოფოსებია“ თეოკრატიისა, მისტიკურ ანარქიზმისა და კონკრეტულ იდეალიზმისა და ბოლო ხანებში ამ ჯგუფს „Вѣхи“-ს ავტორებიც მიემატნენ, – რომელთა წერილები ინტელიგენციის შესახებ უნდა ჩაითვალოს თეორიულ სინტეზად „საზოგადოებრივობისაგან“ გამანთავისუფლებელ მოძრაობისა. გასაოცარი საქმეა, მაგრამ რომ დააკვირდეთ, დაინახავთ, რომ შანტაჟისტი-ექსპროპრიატორი, რომელიც თავის პირად დაკმაყოფილებას სცემს მხოლოდ პატივს და „Вѣхи“-ს რომელიმე თანამშრომელი, ვსთქვათ, გერშენზონი, რომელიც წინააღმდეგია რომ ხალხს და საზოგადოებას ემსახუროს, რაღაც კავშირით არიან გადაბმულნი. ეს კავშირი, რა თქმა უნდა, მორალური არ არის – შანტაჟისტს და



გერშენზონს სხვა და სხვა ნაირად ესმით პიროვნების ღირსება და პიროვნების აზრი და სიცოცხლე. მაგრამ ერთიც და მეორეც საზოგადოებრივობის პრინციპის წინააღმდეგ მოქმედებს. და აქ არის მათი ნათესაობა.

პიროვნების განთავისუფლების ფილოსოფია, – ის, რომელიც ამ ჟამად გვაქვს სახეში, იმაში მდგომარეობს, რომ ასხნას ყოველივე ბორკილი, რომელიც ზღუდავს ადამიანის მისწრაფებას განუსაზღვრელ თავისუფლებისაკენ. ამისთანა ბორკილი არის არსებული სქესობრივი ურთიერთობა (ოჯახი) და საზოგადოებრივობა (სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება). ამ ნიადაგზე აღმოცენდნენ „სანინიზმი“, „გატიტვლებულ ადამიანის“ თეორია და სხვა და სხვა მიმართულების მისტიკური მოძღვრებანი. **ფსიხოლოგიური** წყარო ამ მოვლენათა ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებისა არის დამარცხებული რევოლუციით გამოწვეული სასოწარკვეთილება და საზოგადოებრივ იდეალების განხორციელებისადმი რწმენის დაკარგვა. ხოლო ამ მოძოაობის **თეორიული** საფუძველი კი უფრო ღრმა და შორეულია – ეს არის ადამიანის მუდმივი წყურვილი სამუდამო და უცვლელ საფუძველზე დაამყაროს თავისი პიროვნული ცხოვრება. მაგრამ, საუბედუროდ, მიუხედავად ამ ფრიად პატივსადებ მოტივებისა, პიროვნების განთავისუფლების მოძრაობამ უშნო და მახინჯი ხასიათი მიიღო რუსეთის კულტურულ საზოგადოებაში.

ოჯახს და პოლიტიკურ საზოგადოებას შეებრძოლა პიროვნება. ეს ამბავი ახალი არ არის. თანამედროვე ოჯახის და საზოგადოების ფორმებს დიდი ხანია ებრძვის მოწინავე კაცობრიობა. ანარქისტებს ანტისაზოგადოებრივ ელემენტებად სთვლიან. მაგრამ ისინი ებრძვიან პოლიტიკურ საზოგადოებას (სახელმწიფოს) და არა თვით პრინციპს საზოგადოებრივობი-

სას, რომელიც, პირიქით, საფუძვლად უდევს კომუნისტურ მოძრაობას. აქ კი საზოგადოებრივობაა ათვალწუნებული.

გადისროლეს თუ არა ამგვარი ლოზუნგები საზოგადოებაში, ამ ლოზუნგებს უკმაყოფილო და ნერვებ აღგზნებულმა ინტელიგენციის და ახალგაზდობის ნაწილმა ჩაავლო ხელი. ხოლო აქვე მეზობლად დაბანაკდნენ ყველა ჯურის ავანტიურისტები, მოდერნ სტილის ლიტერატორები და ის ნაწილი



საზოგადოებისა, რომელიც ყოველთვის ვისიმე ზედგავლენის ქვეშ იმყოფება.

სანინი, ფალკი და ამ ხასიათის „მსუნაგი ზეკაცნი“ გახდნენ გმირებად. სანინი სიცოცხლის მოტრფიალეა. იგი ეძებს სიამოვნებას და მხოლოდ სიამოვნებას. „Клубничка“-ს რომ იტყვიან რუსები, ძლიერ უყვარს. ამ სფერაში იგი სინდიკალისტების ტაქტიკას აღიარებს – L’action directe-ს (პირდაპირ იერიშს). ეს ტაქტიკა სასწაულთ-მომქმედი გამოდგა და სანინს ცხოვრებაში აუარებელი მომდევარი გაუჩნდა. მით უფრო, რომ „სანინიზმი“ განსაკუთრებულის თანაგრძნობით შეწყნარებულ და მიღებული იყო მშვენიერ სქესის ზოგიერთ წრეებში. მაგრამ სანინს ფილოსოფოსობა არ უყვარს. ახალგაზდობას კი ფილოსოფია ჰხობლავს. პშიბიშევსკის ფალკიც მის გმირად ხდება. ფალკო!.. ო, ფალკი!.. რა ღრმა აზრი, რა ტიტანიური აღმაფრენა, რა ჩახედვაა სოცოცხლის სიღრმეში!.. და ამასთან, წარმოიდგინეთ, ფალკი ის ადამიანია, რომელსაც ერთსა და იმავე დროს ოთხი თუ ხუთი ქალი უყვარს, უყვარს თვითეული მათგანი გატაცებით, გულწრფელად... რა რთული ბუნება, რა საკვირველი ზეკაცობაა!.. დიდ თაყვანს სცემდა საზოგადოება ამ „Homo sapiens“-სა (ბრძენ ადამიანს), როგორც მონათლა იგი ავტორმა პშიბიშევსკიმ. უნდა კი ვსთქვათ, რომ ეს „ზე-კაცი“ და „ბრძენი ადამიანი“ მას შემდეგ, რაც ქალების არშიყობას და ტრფიალს გადაჰყვა, აღარაფერს აკეთებდა, მისი შემოქმედებითი ნიჭი (მწერალი იყო) თოთქოს გაჰქრა.. ნერვებ აშლილი – არაყს და კონიაკს ეტანებოდა მუდამ ჟამს'

არა ნაკლების გატაცებით მიეგება საზოგადოება იმავ ავტორის მეორე მოთხრობას, სახელად „De profundis“. ძმას უყვარს თავისი უმცროსი და, უყვარს არა ძმურად. დასაც ებადება გულში ამგვარივე გრძნობა. ერთის სიტყვით, თემა საამდროვოა. სიამოვნება, სიამოვნება და მარტო სიამოვნება. და არის იგი, დედა თუ ბიძაშვილი, მნიშვნელობა არა აქვს, სიამოვნება, რაც შეიძლება მეტი სიამოვნება! თუ ამ სიამოვნებას წინ ეღობება ისტორიული, რელიგიური, საზოგადოებრივი თუ ეთიკური ტრადიციები და მოთხოვნანი, ყოველივე

უნდა იქმნას უკუგდებული. ადამიანის დაცალიერებაა საჭირო, მისი გატიტვლება, სამკაული, ტრადიცია, სინიდისი, სიკეთე და სხვა ამგვარი ცრუმორწმუნოება, ძველ დროის დამყაყებუ-



ლი ნაშთი უშლის სიცოცხლის სიღრმე-სიგანით გაფურჩქვნასო. კი, რატომ, შეიძლება, სხვა და სხვა პირობების ზედგავლენით, და-ძმასაც შეუყვარდეთ ერთმანეთი. მაგრამ, რას იტყვით იმ შემთხვევაში, როდესაც მწერალს სრულიად არ აინტერესებს ეგ სიყვარულთ, არამედ მარტოოდენ მრუში, გამო.-წვეული ორ გარყვნილ ახალგაზდა ქალ-ვაჟის ერთმანეთთან სიახლოვით. მოთხრობა ისე თავდება, რომ მკითხველი ერთ წამსაც არა გრძნობს, რომ აქ სიყვარულზეა ლაპარაკი. ეს რაღაც განზრახული „ონანიზმია". ქალ-ვაჟის ენა და საუბარი ბინძურია. ძმა გაბრუებული და აღელვებული სქესობრივის ინსტინქტით, იგონებს წარსულს და აგონებს დას ეროტიულ ხასიათის სურათებს. საუბრის დროს, როგორც ჩვეულებად აქვთ პშიბიშევსკის გმირებს, და-ძმა კონიაკსა სვამს და მრუშით და ღვინით დამთვრალი, ზიზღს იწვევს მკითხველის გულში. სანინი გაცილებით მაღლა სდგას ამ „ონანისტებზე“. მართალია, არც ის დაინდობს დას, მარჯვე შემთხვევა რომ შეხვდეს, მაგრამ თავის საქციელს არავითარ ბინძურ სიტყვებით არ მორთავს და არ გაალამაზებს.

ამ თხზულებებს კითხულობდა ახალგაზდობა, განსაკუთრებით ახალგაზდა ქალები, რომელნიც ისე ეწაფებოდნენ ამ სიმყრალეს, თითქოს აქ უნდა მოენახათ სიცოცხლის საიდუმლოების აღსნა. მაგრამ ბრალს მათ ვერ დავდებთ. რაც დრომ მოიტანა, ის შეითვისეს და იმითი ასაზრდოვებდნენ თავიანთ სულსა და გულს. დრო კი გარდამავალი იყო. ძველი შეირყა, ახალი ბურუსით მოიცა და ამ გამოურკვეველ ხანაში გამუდმებული ლაპარაკი და წერა იყო სიყვარულსა და სქესობრივ ურთიერთობაზე. აქ სიბილწე, სიძვა და ჭეშმარიტების ძებნა ერთმანეთში აირია. ვითომ ანტიკურ ცხოვრების და მშვენიერების აღორძინება სწადდათ, ნამდვილად კი სულ სხვა ისახებოდა. ბერძნები ტრაგედიას პლასტიკით ამშვენებდნენ, აპოლონი და დიონისე მათ ცხოვრებაში და ხელოვნებაში განუყრელნი იყვნენ. აქ კი პლასტიკა წაბილწეს, დიონისე, ეს ძლიერი წყარო ირრაციონალიზმისა, ჩამოაქვევითეს „მეშჩანურ“ ხასიათის დონჟუანობამდე. აი თუნდა სოლოგუბის რომანი „Навъи чары“ გადაიკითხეთ. აქ მომქმედ პირთ ავტორი შეძლების დაგვარად ტანთ-საცმელს ხდის და ატიტვლებს. ჩვენი ტანი ლამაზია და სამკაული აუშნოვებსო. თხზულებაში გამ.-

ყვანილი მასწავლებელი ქალები და მოწაფენი ნახევრად გაშიშვლებულნი დადიან. მისი გმირი ქალი, ამხანაგი ელისავეტა (მოწინავე ქალია) მშვენიერი ახალგაზდა არსება, მიტინგზე სალაპარაკოთ რომ მიდის, ვაჟის მოკლე შარვლიან „მატროსკას“ იცვამს. და თან ჩულქებს არ იკარებს, რათა ყველას დაანახვოს თავისი თეთრი ფეხები. შეიძლება მართლა ვიყვნეთ ცუდათ აღზრდილნი, შეიძლება მართლაც ლამაზი იყოს ადამიანის სხეული, მაგრამ ის ხერხი, ის კილო, ის მანერა, რომელსაც ამ დროის მწერლები ხმარობენ „მშვენიერების“ თაყვანსაცემად, რაღაც უწმინდურია და ანტიესტეტიური. მშვენიერებას, შიშველ ტანს ბერძნებიც სცემდნენ პატივს, მაგრამ ამ ხალხს „ესტეტიური სინიდისი“ დახშული არა ჰქონდათ. აქ კი გრძნობთ, რომ ნერწყვ მორეული, დორბლიანი ბურჟუა-სატირი ხელებს აფათურებს და თითებს აკანკალებს არა მშვენიერების თაყვანსაცემად გამზადებული, არამედ პირუტყვულ წყურვილის მოსაკლავად. და რათა ამ წყურვილს მეტი ეშხი და სიმწვავე მიეცეს, ხან მასწავლებელ ქალებს ხდის უბრალო სამკაულს, ხან მიტინგზე მოლაპარაკე ქალს ვაჟურად აცმევს, რათა მეტი სქესობრივი მომხიბლველობა მისცეს, ხან კიდევ და ძმას უწმაწურ საუბარს გააბმევინებს ხოლმე... რევოლიუციის მეორე დღეს ამითი იკვებებოდა ახალგაზდობა!..

რუსეთის მწერლობაში გამეფდა პორნოგრაფია. სქესობრივი აღვირ-აშვებულობა თითქოს აუცილილებელ პირობად ხდებოდა პიროვნების ვითომდა განთავისუფლებისათვის. მხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად იშვა სპეციალური ხასიათის ფილოსოფია, რომელშიაც რელიგიურ და პატივსადებ მოტივებთან ერთად იმავ ბილწ ნაკადულს მოჰნახავთ. გაჩდნენ მქადაგებელნი „თავხედ სიყვარულისა“ (о любви дерзающей) „სამსხვერპლო სიყვარულისა“ (о жертвенной любви) (Факелы). ბიზანტიურ საეკლესიო ტერმინოლოგიით იწყეს ლაპარაკი არშიყზე და ტრფიალებაზე. „წუთების მყლაპველი“ გმირები (пожиратели миговъ) ულვაშებს იგრეხდნენ ნახევრად გატიტვლებულ ნორჩ ქალების წინაშე, „ხორცის“ გამარჯვების მეჯლისი დღესასწაულობდა თავის გამარჯვებას. და ვნების და მრუშის ტლაპოში ჩაეფლნენ თვით „ფილოსოფოსნიც“. საქმე იმაშია, ამბობდნენ, რომ ადამიანში დაიხშოს და დაიკარგოს დროის და სივრცის შეგნება. საჭიროა მომენტის



გამონახვა, სადაც წარსული, აწმყო და მომავალი თითქმის ერთმეორეში იშლებიან და იკარგებიან. ამგვარი მომენტი ეკ-

სტაზია, სიყვარულის ალი, ღვთაებრივი ეროსი. სქესობრივი ურთიერთობა ერთი ამ მოვლენათაგანია. აქ ადამიანი ტრანსცენდენტალურ სამეფოში გადადის და უკვდავი ხდება (როზანოვი). გაუმარჯოს უკვდავ წამს, გაუმარჯოს გატიტვლებულ ადამიანს და მის აღმაფრენას უკვდავებისადმი!

თავი და თავი საქმე, განაგრძობდნენ ფილოსოფოსები, ადამიანის პიროვნების სიკვდილისაგან განთავისუფლებაა. პიროვნების მხსნელი – ეროსი და სიყვარულია სიყვარულის მეტაფიზიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ადამიანსა და უნივერსალურ არსის შუა კავშირს ჰკვანძავს. სიყვარული საზღვარდადებულ ინდივიდუალობას შლის და აერთებს მას უკვდავ ძალასთან. პიროვნება იზრდება და ხდება უნივერსალური. აბსოლუტი არის სინტეზი პიროვნებათა შეერთებისა (Соборность). და სიყვარული გზა არის ამ სინტეზისაკენ. მაგრამ არის ბევრი დაბრკოლება, რომელიც გზას უკრავს ადამიანის მისწრაფებას უნივერსალურ სიცოცხლისადმი. სქესობრივი ურთიერთობა ჰქმნის ჩამონასახს, ემბრიონს, რომლისაგანაც იზრდება ადამიანი. სქესობრივი ურთიერთობა ჰქმნის ოჯახს, გვარს. ოჯახი და გვარი კი პიროვნებას ზღუდავს, ჰკლავს მასში უკვდავების სურვილს, ჰბაწრავს და მიწასთან ამაგრებს და დედამიწაზე ყოფნა კი ყოფნაა აუცილებლობის სამეფოში. აუცილებლობა უარჰყოფს თავისუფლეებას. აუცილებლობა არის დროსა და სივრცეში მომწყვდეული სიცოცხლე. თავისუფლება მის გადაღმაა. სადაც აუცილებლობა, დრო და სივრცეა, იქ სიკვდილია. თავისუფლების სამეფოში კი უკვდავებაა. მაშ ოჯახი და გვარი ნამდვილი შემბორკველია ადამიანისა, რადგან ოჯახის და გვარის სიცოცხლე შესაძლებელია მხოლოდ დროს და სივრცეში, ე. ი. აუცილებლობის სამეფოში. ძირს აუცილებლობა, ძირს ოჯახი და გვარი!.. მაგრამ ოჯახი და გვარი რომ სქესობრივი ურთი-ერთობის ნაყოფია? რა ვუყოთ, საქმე პიროვნების გადარჩენაა. აქ იწყება ყოყმანი. და ერთნი, სინიდისიერნი, აცხადებენ: რაკი მაგრეა, სქესობრივი ურთიერთობა „ღოტობაა“ (ვეინინგერი). მასზე ხელი უნდა აიღოს ადამიანმა. ამოაგდოს კვალი მატერიალურ სიცოცხლლისა და დაიწყოს სიცოცხლე მისტიური. მეორენი,



ვნებათა ეშხით დამთვრალნი მისტიკოსები და უცნაური „ღვთის მაძიებელნი“ არა დრკებიან. მათ ეროსი მიწიეოად სწამთ, მათ „ხორცი“ უყვართ, „ხორცში“არიან ჩაფლულნი, ზეცას კი სწვდებიან. სამოთხეც უყვართ, ტრფიალებასაც ეამბორებიან (ბერდიაევი). გადაჭრით არ ამბობენ, რა ნაირად შესაძლებელია, რომ სქესობრივი ურთი-ერთობაც დაიცვა და,

მაშასადამე, ოჯახი და გვარიც, როგორც მისი ნაყოფი, და ამავე დროს წინააღმდეგი იყო ოჯახისა და გვარისა, რომელიც დაბრკოლებაა ადამიანის მისწრაფებისა უკვდავებისადმი. „ემბრიონის“, ჩამონასახის პრობლემა ჰაერში დაკიდული რჩება. მაგრამ რომ დააკვირდეთ, დაინახავთ, რომ ამ ფილოსოფიის სტრიქონებს შუა გამოსჭვრეტს ის აზრი, რომ აქ ბებიაქალების დახმარებაა უებარი. ეს დახმარება ახდენს სასწაულს. გვარსაც სპობს, სამოთხესაც ანიჭებს ადამიანს.

ამ ხასიათისაა უცნაური აზრთა აკიდო თანამედროვე ტკბილეულობის მოყვარე მისტიკოსებისა. სიცოცხლე, სიყვარული, უკვდავება! სიცოცხლის თაყვანისმცემელნი სიცოცხლის უარ-ყოფამდე მივიდნენ, რადგან გვარის უარყოფა არის იმ მატერიალურ ქერქის უარყოფა, რომელშიაც ისახება სიცოცხლე დედა-მიწაზე. ამასთან, ერთის მხრივ, მიწიერი სიცოცხლე ჩალის-ფასად გააიაფეს, მეორეს მხრივ კი, დაებღაუჭნენ „ხორცის“ ტრფიალებას, ეროსს, რომელიც გზას უჩვენებს ადამიანს სამოთხისაკენ, და ამ წინააღმდეგობაში გაბმული ადამიანი თავის მისტიურ აღმაფრენას ბინძურ შინაარსით ავსებს და რაღაც სასწაულის მანქანებით „მრუშს“ და „ღმერთს“ ერთ საკურთხეველს უდგამს და ერთის ლოცვით ეამბორება და ეთაყვანება.

სწორედ ამ ატმოსფერაში წარმოიშვა საყურადღებო მიმდინარეობა თანამედროვე ცხოვრებისა – საზოგადოებრივობის უარ-ყოფა და საზოგადოებრივობის წანააღმდეგ იერიშის მიტანა იმავ აბსოლიუტის და უნივერსალურ არსის ლოცვა-კურთხევის შემწეობით.

## 2

როგორც ვსთქვი წინა წერილში, საზოგადოებრივობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლის სურვილით არის გამსჭვალუ-



ლი ამ რამდენიმე თვის წინად გამოსული ცნობილი კრებული «Вѣхи» (Сборникъ статей о русской интеллигенціи Н. А. Бердяева, С. Н. Булгакова, М. О. Гершензона, А. С. Изгоева, Б. А. Кистяковскаго, П. Струева, С. Л. Франка). კრებულის წინასიტყვაობაში გერშენზონი აუწყებს მკითხველის საყურადღებოდ, რომ ყველა იმ მწერალთ, რომელნიც აღნიშნულ გამოცემაში მიიღეს მონაწილეობა, ის ერთი აზრი აკავშირებთ, რომ მათის შეხედულობით პიროვნების სულიერ ცხოვრებას უპირატესობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრების გარეგნულ ფორმებთან შედარებით. „პიროვნების

შინაგანი სიცოცხლე არის ერთად-ერი შემოქმედებითი ძალა ადამიანის არსებობისა. იგია ერთად-ერთი მკვიდრი საფუძველი ყოველგვარ საზოგადოებრივობის და არა პოლიტიკური დაწესებულებანიო“. იდეოლოგია რუსის ინტელიგენციისა წინააღმდეგ საფუძველს ემყარებაო, ე. ი. მას სწამს საზოგადოებრივ ფორმათა უპირატესობა. ამის წინააღმდეგნი არიან კრებულის ავტორები. ეს აზრი არ ეგუება ადამიანის სულის ბუნებას და „იგი პრაქტიკულად უნაყოფოც არის, რადგან ხელს უშლის იმ მიზნის განხორციელებას, რომელსაც ემსახურებოდა ინტელიგენცია, ე. ი. ხალხის განთავისუფლებასო“. როგორც ხედავთ, საქმე ისეა დაყენებული, თითქოს კრებულის ავტორებს, ინტელიგენციასთან ერთად, აფიქრებთ ხალხის განთავისუფლების საქმე და თითქოს ინტელიგენციას მარტო იმას უსაყვედურებენ, მატერიალისტი კი არ უნდა იყო, არამედ იდეალისტი და გახსოვდეს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი გარდაქმნა იდეალიზმის გამარჯვებაზეა დამოკიდებულიო. ნამდვილად კი კრებულის ავტორებს (დიდ უმრავლესობას მაინც) თვით პრინციპი საზოგადოებრივობისა აქვთ ათვალწუნებული, და იდეალიზმისა და მატერიალიზმის შორის არსებული ფილოსოფიური დავა კი არ აინტერესებთ, არამედ ქადაგება მისტიურ აზრებისა, რომელნიც ძირს უთხრიან იმავ საზოგადობრივობას.

ამ მიზნის მისაღწევად კრებულის ავტორებმა საბრალმდებლო ოქმი შეადგინეს რუსის ინტელიგენციის წინააღმდეგ. უარჰყვეს ამ ინტელიგენციის მნიშვნელობა და დამსახურება ხალხის წინაშე, შავის ფერადებით დაახასიათეს მისი ზნეობრივი ღირსება, დააბრალეს ყოველივე ცოდვა და რევოლიუ-



ციის წაგების საქმეც მას აჰკიდეს ზურგზე და თითქოს რევოლიუციის გამარჯვებით მართლა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი, ინტელიგენციას და მხოლოდ ინტელიგენციას სთხოვენ პასუხს იმ უბედურების, უწესოების, არეულობის, ექსპროპრიაციათა, მკვლელობათა და სიკვდილით დასჯის შემთხვევათა დამკვიდრების შესახებ, რაიც რუსეთში დღეს ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ამ ორიოდე წლის წინად ამავ ბანაკის წრეებიდან გაკიცხვის ხმა მიმართული იყო ხალხის წინააღმდეგ, გაკიცხვა უფრო დაცინვას მიაგავდა. ხალხი დამარცხდა და ვერც გაიმარჯვებდა, რადგან ხალხი „ფეფიოლა“ (фефела), ჩვენებურად, ნაცარქექია არისო. და აბა „ფეფიოლას“ როდის რა გაუკეთებია კარგი, რომ ეხლა საგმირო რამ გაეკეთებინაო. და სანამ ხალხი „ფეფიოლად“ დარჩება, საქმის გამობრუნება შეუძლებელიაო. ახლა „ფეფიოლას“ მარცხი მიივიწ-

ყეს და რაც რამ ქვეყანაზე ლაფი და სიბინძურე იყო, ინტელიგენციას თავზე გადაასხეს.

კრებულის ავტორებს ნათლად განსაზღვრული არა აქვთ, ვინა ჰყავთ სახეში და ვის ჰგულისხმობენ, როდესაც ინტელიგენციის შესახებ ბჭობენ. რუსეთის განათლებული საზოგადოება არის იგი, თუ რადიკალური მიმართულების ახალგაზდობა – ეს გამოურკვეველი რჩება. თუ მთელ განათლებულ საზოგადოებას ჰგულისხმობენ, სრულიად უაზრო ხდება კრებულის კრიტიკა, ხოლო თუ რადიკალურ ახალგაზდრობას, უკიდურეს პარტიებში დარაზმულს, იგი კრიტიკა გადაჭარბებული და უსამართლოა, თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამ ახალგაზდობის და პარტიების ზოგიერთი სუსტი მხარე სამართლიან ნაკვთებით არის აღბეჭდილი ხსენებულ კრებულში. მაგრამ როგორცა ვსთქვი, კრებულის ძარღვი და დედა აზრი აქ არ არის. იგი საზოგადოებრივობის წინააღმდეგ ბრძოლაშია.

მოინანიეთ ცოდვები, ამბობს ბულგაკოვი. „ახალი სული უნდა იშვას, ახალი ადამიანი წარმოსდგეს, რომელიც გაიზრდება, განვითარდება და გამაგრდება გმირობით. ლაპარაკი პოლიტიკურ და პარტიულ პროგრამების გამოცვლის შესახებ არა მაქვს (ამის გარეშე ინტელიგენციას განახლება ვერ წარმოუდგენია), პროგრამებს სრულიადაც არ ვგულისხმობ, არამედ იმას, რაც მეტია პროგრამაზე – ადამიანის პი-



როვნებას. მოქმედებაზე არ ვლაპარაკობ, არამედ მომქმედზეო“. ასე რომ პოლიტიკურ ბრძოლის ხანაში ბულგაკოვს პიროვნების განთავისუფლება ჰსურს პოლიტიკურ ბრძოლის მოვალეობისაგან. დეე, ითარეშოს ძალ-მომრეობამ, პიროვნებას ამ ქვეყნად სხვა უფრო დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული. გამოიგონეს საზოგადოებრივი სამსახური! ხალხი და ხალხი, თითქოს სხვა რამ საზრუნავი არა აქვს რა ადამიანის პიროვნებას! „რუსის ინტელიგენტი, ამბობს გერშეზონი, ეს თავდაპირველად იმგვარი ადამიანია, რომელიც სიყრმიდანვე თავის პიროვნების გარეშე სცხოვრობს... ყურადღების ღირსად მას მხოლოდ ის მიაჩნია, რაც მის გარეშეა – ხალხი, საზოგადოება, სახელმწიფო“. განა ყოველივე ეს შესაწყნარებელია? ერთი მუჭა რევოლიუციონერი კარ და კარ დადიოდა და ეუბნებოდა ყველას: ქუჩაში, შინ ჯდომა სირცხვილია! და ყველანი გამოვიდნენ მოედანზე ბრმა, კოჭლი, უხელო. სახლში არავინ დარჩა. ნახევარი საუკუნეა ირევიან მოედანზე, ღრიალებენ და ილანძღებიან. სახლში – სიბინძურე, სიღარიბე და უწესოებაა. მაგრამ პატრონს ეს არ ადარდებს. ის ხალ-

ხშია, ხალხს შველის. ეს უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე სახ-
ლის მძიმე სამუშაო“. ინტელიგენციის წარსული და აწმყო
სამარცხვინო ბოძზე გაუკრავს გენშერზონს. გულუბრყვილოდ
ეგონათ, რომ სწორედ შინაურ საქმეების მოსაგვარებლად და
გასაუმჯობესებლად ირჯებიან, რომ შინაური სიღარიბე და
სიბინძურე ავალებდა ადამიანს გარედ გასულიყო, მის მგზავ-
სებთან შეერთებულიყო და გაერთიანებულის ძალღონით მოე-
პოვებინა ცხოვრების შეღავათიანი პირობები. და ყოველივე
ეს თურმე სათაკილო საქმე ყოფილა. ღირსება ადამიანისა
თურმე იმაში კი არ იყო, რომ იგი არ ზოგავდა არც პირად
ბედნიერებას, არც ოჯახს საზოგადოებრივ სამსახურისათვის,
არამედ იმაში, რომ შინ მჯდარიყო და ჟამნი და დავითნი
ეკითხნა. გერშენზონი თვითონაც გრძნობს, რომ საზღვარს
გადავიდა და სცდილობს დაანახოს მკითხველს, რომ არც ის
არის წინააღმდეგი რევოლიუციისა, ხოლო ეს რევოლიუცია
ინტელიგენტს არას მიანიჭებდა, თუნდაც რომ გამარჯვება მას
დარჩენოდაო. „ხალხს რევოლიუცია მისცემდა ყოველივეს,
რაც საღ ცხოვრებისათვის არის საჭარო – თვითგამორკვევის
თავისუფლებას, და უფლებრივ უზრუნველყოფას, ამბობს იგი:



მაგრამ ჩვენთვის, ინტელიგენციისთვის, რისი მიცემა შეეძლო
რევოლიუციას. განთავისუფლება ხომ ბორკილების ახსნაა,
ხოლო ბორკილებისაგან განთავისუფლება იმ ადამიანისა, რო-
მელიც შინაგან სნეულებით არის დასნეულებული, ჯანმრთე-
ლობის მოპოებას არ მოასწავებს. ჩვენთვის თავისუფლებას
მხოლოდ ის აზრი ექმნებოდა, რომ იგი მოგვანიჭებდა უფრო
შეღავათიან პირობებს განკურნებისათვისო“. აგაშენა ღმერთ-
მა! რა ცუდია, იმისთანა პირობებში ჩავდგე, რომ თან-და-თან
განვიკურნო შინაგან სნულებისაგან? და ამასთან ის აზრიც,
რომ ხალხსაც ეშველა – თვითგამორკვევის უფლებაც აქვს,
უფლებრივადაც უზრუნველყოფილია, ეს ხომ უკვე ბევრი რა-
მეა! ამას თითქოს ფერშენზონი აღიარებს. მაგრამ ეს სიცრუ-
ვეა,ნამდვილად შეღავათიან პირობების მოპოვება ინტელიგენ-
ტის განკურნებისთვის გერშენზონს სრულიადაც არ ანაღვლებს.
არც ხალხის ბედი აწუხებს, მისი გული და ყური სხვაგანაა.
„თუ დღემდე საზოგადოებრივ ჰიპნოზის ზედგავლენით, ადა-
მიანი პოლიტიკურ პანაცეის იმედით იწყნარებდა თავის სი-
სიცოცხლეს, ამბობს იგი, ეხლა კი, როდესაც იმედი გაგვიცრუვ-
და, ლოდინი შეუძლებელი გახდა. მართალია, პუბლიცისტე-
ბი ეუბნებოდნენ გაქცეულებს – მოიცათ, ეს მხოლოდ დროე-
ბითია, განკურნება აუცილებლივ მოხდება, ინტელიგენცია,
როგორც დამფრთხალი ფარა, აქეთ-იქით გაიფანტა. პირად

დაავადმყოფობის გრძნობა ისეთი მწვავი იყო, რომ აზრს ბინდი გადაეფარა... საზოგადოებრივობის ჰიპნოზი უეცრად განჰქრა და პიროვნება გახდა თავისუფალიო“. თუ კი მაგრეა, თუ კი საზოგადოებრივი ჰიპნოზი ყოფილა პიროვნების შემბოჭველი, მაშ რაღას ედებით ღობე-ყორეს და „განკურნების შეღავათიან პირობებზე“ ლაპარაკობთ. განკურნებისათვის არც შეღავათიანი პირობები ყოფილა საჭირო, არც რევოლიუცია, მხოლოდ საზოგადოებრივობის ჰიპნოზისაგან განთავისუფლება, პიროვნების მტერი საზოგადოებრივობაა. აქ არის თქვენთვის თავი და თავი სამტვრევი საგანი.

კრებულის ავტორების აზრით, რადიკალურ ინტელიგენციის დამახასიათებელ თვისებათ უნდა ჩაითვალოს ამ ინტელიგენციის ათეიზმი, ანტისახელმწიფოებრივობა და მაქსიმალიზმი. ამ სამმა ცოდვამ დაღუპა რევოლიუციაო. მაგრამ მართლაც რომ ამ მცნებებით შეიძლებოდეს დახასიათება ინტელიგენციის



სულიერ ვითარებისა, საეჭვოა, რომ რევოლიუციის დამარცხება ამის გამო ყოფილიყო გამოწვეული. „თეისტური რევოლიუციები“ ისტორიაში უცნობი რამეა[1]). რევოლიუცია შეიძლება ნეიტრალური იყოს (რელიგიოზურ სფერას არ ეხებოდეს), ხოლო რელიგიით გამაგრებულ რევოლიუციონურ მოძრაობას არავითარი გამარჯვების უპირატესობა არ ენიჭება, იმ უბრალო მოსაზრების ძალით არ ენიჭება, რომ სოციალ-პოლიტიკურ რევოლიუციას გარეგნულ წყობილებასთან დაკავშირებულ აზრებთან და გრძნობებთან აქვს საქმე და არა ადამიანის შინაგან სიცოცხლესთან, თუმცა ეს უკანასკნელიც განიცდის ამა თუ იმ წყობილების და პირობების დამყარების გავლენას. 9 იანვრის ამბავი, როდესაც ტყვიამ არც ხატი დაინდო, არც ჯვარი, უტყუარ ნათელს ჰფენს ამ საგანს. უმეტეს შემთხვევაში კი რევოლიუციები ათეისტური ხასიათისანი იყვნენ. ამისი ბრალი ისტორიულ ეკლესიებს უნდა დაედოთ, რომელნიც რელიგიოზურ კითხვებს უკავშირებდნენ ხოლმე პოლიტიკას და ისიც დახავსებულს, რომლის წინააღმდეგ იბრძოდა რევოლიუცია. ანტისახელმწიფოებრივობაში გამტყუნება რუსის ინტელიგენციისა კი სრულიად უსამართლო ბრალდებაა. მართალია გამოჩენილი ანარქისტები თვით ევროპაშიაც რუსები – ბაკუნინი და კროპოტკინი – არიან, მართალია, რუსებშიაც გაჩდნენ ანარქისტები, მაგრამ ეს ერთი მუჭა ხალხია. უმრავლესობა კი, სოციალისტურ პარტიებში გაფანტული ანარქისტულ მოძრაობაში მონაწილეობას არ იღებდა. ბავშვმაც იცის, რომ დამფუძნებელ კრების მოწვევისათვის ბრძოლა სახელმწიფოს გაუქმების წინააღმდეგ ბრძო-

ლა არ არის. და რადიკალიზმი რუსის ინტელიგენციისა ამაზე შორს არ მიდიოდა. ასი წლის წინად საფრანგეთის რევოლიუციონერებს, დამფუძნებელი კრების მოწვევის ინიციატორებს, ძველი რეჟიმის მომხრენი სოციალისტებს ეძახდნენ, თუმცა ისინი სოციალისტები არ იყვნენ. ახლა რუსის რევოლიუციონერებს, რომელთაც სახელმწიფო რეაქციონერებზე მეტად სწამთ, რადგან მიაჩნიათ იგი იარაღად სოციალურ

---

[1]) ლაპარაკია პოლიტიკო-სოციალურ რევოლიუციაზე. ფრანგულმა დეიზმმა ვერ გაანელა დიდ რევოლიუციის ანტირელიგიოზური ხასიათი.

**ავტ.**



გარდაქმნისა, ამ რევოლიუციონერებს ანარქისტებს უწოდებენ. პეტრე სტრუვე ამბობს: „ინტელიგენცია უარჰყოფს სახელმწიფოს და მასთან წინააღმდეგ ბრძოლაში უარ-ჰყოფს სახელმწიფოს მისტიკას არა რომელიმე სხვა მისტიურ ან რელიგიურ ძალის აღიარების გულისთვის, არამედ რაციონალიზმის და ემპირიზმის დასაგვირგვინებლადაო“. ეს კი მართალია. ინტელიგენციას სახელმწიფოს მისტიკა არა სწამს და მისი უბედურება მხოლოდ ის იყო, რომ მას საქმე ჰქონდა არა მისტიურ სახელმწიფოსთან, არამედ რუსეთის ფრიად კონკრეტულ თვითმპყრობელობასთან. რაც შეეხება მაქსიმალიზმს, აქაც გაზომვაა საჭირო. მაქსიმალიზმი ციხე-საპყრობილეების, შეხუთული ჰაერის და ბნელ სარდაფების ატმოსფერაში აღზრდილი შვილია. საცა მოურიდებლად, საშუალების განუკითხავად ეპყრობიან ადამიანის პიროვნებას, იქ დაჩაგრულში ამგვარივე მოქმედების სურვილი იბადება. მაქსიმალიზმს, რომელიც დაიბადა ხალხის ძირში, წინ უძღოდა მმართველ წრეების მაქსიმალიზმი, რომელიც სამოცი წლის განმავლობაში განუკითხავად მძვინვარებდა რუსეთში. დღევანდელ არა მკითხე მსაჯულებს და გამკიცხველებს ყოველივე ეს ავიწყდებათ.

ბევრ რამე სხვაშიაც სდებენ ბრალს ინტელიგენციას კრებულის ავტორნი. მაგრამ, როგორც უკვე ზევით აყვნიშნე, მთავარი დანაშაულობა ინტელიგენციისა – ამაში თითქმის ყველა ერთის აზრისაა – ამ ინტელიგენციის კაცთმოყვარეობაა (человѣколюбіе), ალტრუიზმი, ხალხის სიყვარული. „რუსის ინტელიგენციის სარწმუნოების სიმბოლო, ამბობს ს. ფრანკი, არის ხალხის სიკეთე, „უმრავლესობის“ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაო“. მერე რა არის აქ საძრახავი, იკითხავს მკითხველი. ისა, რომ ხალხის სიკეთეს და ხალხისადმი სიყვარულს ობიექტიური ღირებულება არა აქვს. საქმე იმაშია, ამბობს ფრანკი, რომ ადამიანი თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობს ან თავის მისწრაფებით ობიექტიურ ღირებულებათად-

მი, ან კიდევ სუბიექტიურის მოტივებით. ობიექტიურ ღირებულებად ჩაითვლება, მაგალითად, თეორიული სამეცნიერო ჭეშმარიტება, მხატრული მშვენება, რელიგიური რწმენის ობიექტი, სახელმწიფოს ძლიერება ან ეროვნული ღირსება და სხ. სუბიექტიური ღირებულება – თავის ან სხვის პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა“. როგორც ხედავთ, ამ ფილოსოფიით „ხალხის



სიკეთე“ სუბიექტურ ღირებულებად არის აღიარებული, თუმცა სრულიად გაუგებარია, რატომ ენიჭება ობიექტურ ღირებულების ფასი „სახელმწიფოს ძლიერებას“ და „ეროვნულ ღირსებას“, ხალხის კეთილ დღეობა კი, ურომლისოდაც არც ძლიერება, არც ღირსება არ არის შესაძლებელი, დაქვეითებულია სუბიექტიურ მოთხოვნილებათა საფეხურამდე? ს. ფრანკი გალაშქრებულია კაცთ-მოყვარეობის წინააღმღეგ, ამიტომ ხალხის სიკეთის (благо народа) წინააღმდეგაც, რადგან კაცთ-მოყვარეობა შლის ადამიანის გულიდან ღმერთის მოყვარეობასაო. ფრანკს ეშინიან იმ ნიღილისტურ მიდრეკილებისა (მისი სიტყვაა), რომელიც აბსოლიუტურ და სამუდამო თვისებას ანიჭებს „ადამიანს, ძლიერ ადამიანურს“. ამ ადამიანურს უბრუნებს ზურგს ფრანკი და სხვებთან ერთად იცქირება უსაზღვროებაში. საკვირველი ამბავი კი არის! რელიგიური მოძრაობა, ქრისტიანობა ყოველთვის თავს მით იწონებდა, რომ იგი დაფუძნებულია მკვიდრ ეთიკურ საფუძველზე და რომ თუმცა იგი სასუფევლისაკენ იყურება, მისი ფუძე მაინც მიწაა და ადამიანთა სიცოცხლე, ადამიანთა სიკეთე, რომელიც სააქაოშიაც პატივ-სადებია. არის ათეისტური რელიგიური სისტემები, როგორიც ბუდიზმია, მაგალითად, მაგრამ ეთიკას და მორალს (თუმცა დამახინჯებულს) არც ერთი რელიგია არ უარ-ჰყოფს. მხოლოდ რუსეთში გაჩნდნენ ამისთანა ფილოსოფოსები, რომელნიც თავიანთ ფილოსოფიას და რელიგიოზობას ფსიხო-პათოლოგიურ საფუძველზე ამყარებენ. ადამიანის გული მოღლილია საზოგადოებრივობით, ისიც განსაკუთრებულ პირობების წყალობით, და, პათოლოგიურ მდგომარეობაში მყოფს დასასვენებლად ლაჟვარდ ცისაკენ მიუპყრია თვალები. ძლიერ პატიოსანი. მეტსაც ვიტყვი, უსაზღვროებისადმი ინტერესი ღრმად არის ჩანერგილი ადამიანის სულიერ ბუნებაში და ნორმალურ პირობებშიაც ჩვენი გონება მოწადინებულია გაიგოს ის, რაც საზღვრად-დადებულ სამყაროს იქით იმყოფება. ამის წინააღმდეგი არა გვეთქმის-რა. მაგრამ, როდესაც პათოლოგიური სულიერი განწყობილება (მოღლილობა) ნორმად ითვლება და მიწიერ ცხოვრების სიდუხჭირეს ყურადღებას აღარავინ აქცევს,

ხოლო ცისაკენ გაშტერებულ თვალების მიპყრობა კი ადამია-



ნის-ღირსების ამაღლების საქმედ ხდება, ნურას უკაცრავად, თუ რომ ამგვარ რელიგიურ მქადაგებლებისა არა ვიწამოთ-რა.

მაშინ როდესაც ს. ფრანკი რუსის ინტელიგენციის კაცთ-მოყვარეობას ჰგმობს ღმერთ-მოყვარეობის გულისათვის, ბერ-დიაევი ამასვე სჩადის ფილოსოფიურ ჭეშმარიტების გულისა-თვის. „სიყვარულმა გამათანასწორებელ სამართლიანობისადმი, საზოგადოებრივ კეთილ-დღეობისადმი და ხალხის სიკეთისად-მი, – ამბობს იგი, შეხუთა სიყვარული ჭეშმარიტებისადმი, გა-აქარწყლა ინტერესი ჭეშმარიტებისადმიო“. ახალი დანაშაუ-ლობა! რევოლუციონური ახალგაზდობა, რომელსაც ფიზიკუ-რი საშუალებაც კი არა ჰქონდა მეცნიერება საფუძვლიანად შეეძინა, რადგან მისი ძალ-ღონე და ჯერ კიდევ გაუფურჩქვ-ნელი ახალგაზდობა მსხვერპლად ეწირებოდა „ვეშაპს“, რო-მელთანაც იბრძოდა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, ეს რევოლიუციონური ახალგაზდობა, ბრძოლის მეორე დღეს, როდესაც მის გულს და სხეულს ჯერ კიდევ წვეთ-წვეთად სის-ხლი სდიოდა, დამნაშავედ გამოვიდა იმაშიაც, რომ არ კითხუ-ლობდა „მეტაფიზიკას“, რადგან მისგან პრაქტიკულ სარგებ-ლობას არა ხედავდა. უცნაურ და მძიმე შთაბეჭდილებას ახ-დენს ყოველივე ეს! თუ მისტიკოსებს ფილოსოფიური კამათი სურთ მატერიალიზმის და პოზიტივიზმის მიმდევრებთან, ახალ-გაზდობა რიღასთვის აიჩემეს ამ საქმისათვის! მატერიალიზმს, პოზიტივიზმს და კრიტიციზმს მსოფლიო ფილოსოფიაში ბევრი ჰყავს დამცველი, განსაკუთრებით კრიტიციზმს. რატომ ამათ-თან არ გააბამენ ლაპარაკს ჩვენი ფილოსოფოსები? განა სასა-ცილო არ იქნებოდა, რომ ფულიე ან ვუნდტი „შრომის ბირ-ჟის“ ტრიბუნაზე გამოსულიყვნენ და საყვედურით მიემართნათ მუშებისათვის, რატომ არ შეგისწავლიათ თეორია „იდეა ძა-ლისა“, და „ვოლუნტარიზმისაო“. რა თქმა უნდა, იქნებოდა, და არც იკისრებდნენ ამგვარ საქმეს ხსენებული ფილოსოფოს-ნი. რუსეთში კი, სადაც ფილოსოფოსების ადგილი მქადაგე-ბლებს უჭირავთ, შესაწყნარებელი ხდება ამგვარი უცნაური მოვლენა. მაგრამ საქმეც ის არის რომ აქ **ფილოსოფიური კამათი** კი არ არის, არამედ **ქადაგება** და ქადაგება კი მართ-ლაც ყველგან შეიძლება, საცა ორი თუ სამი კაცი იყრის თავს. მქადაგებელთ ერთი რამე ავიწყდებათ, სახელდობრ ის რომ, როდესაც განსაზღვრულ მსოფლ-მხედველობის წინააღმ-

დეგ გამოდიან, საჭიროა საბუთი, თეორიული არგუმენტი, რაციონალური საფუძველი. ქადაგება გონებას არ არწმუნებს, მხოლოდ გრძნობას ახურებს. ილია ჭავჭავაძე ერთ თავის კრიტიკულ წერილში ამბობს: „ქვეყანაზედ ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ, და ზოგიც იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე ვერ დაინახავ. ცასა თუ ცას იქით სწორედ იმისთანა ადგილებია მაძებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავო. მქადაგებლები სწორედ ასე იქცევიან და როცა მათ ეუბნებიან, მზად ვარ საგნის **დანახვაზე** ხელი ავიღო, ოღონდ ეს საგანი **გასაგები** იყოს ჩემთვის და რწმენაც, თუ საჭიროა მაინც და მაინც იგი, ამ გაგებაზე და **შემეცნებაზე** დავამყარო, უპასუხებენ: შესდექ, ამაყო ადამიანო, და თავდაპირველად კისერი მოუგრიხე შენს სიამაყეს! შენს თავზე გაიმარჯვებ, შენს თავს დაამშვიდებ და გახდები თავისუფალიო“. [დოსტოევსკის სტყვები). არგუმენტის ნაცვლად, მოწოდებაა.

მართალია, დღეს მსოფლიო ფილოსოფიაში გაცხარებული მუშაობაა, მისტიკოს ფილოსოფოსების ცდა მიმართულია განსაკუთრებით კანტის ფილოსოფიის წინააღმდეგ. მისი შემეცნების თეორიაა ათვალწუნებული. ინსტინქტის და ინტიუიციის ბუნების კვლევა-ძიებაში არიან. ამ ირაციონალურ ელემენტებზე უნდათ შემეცნების დამყარება (ბერგსონი). ხოლო მოახერხებენ თუ არა რაციონალურ ცოდნის გამოყვანას არა რაციონალურ ელემენტებისაგან, ფრიად საეჭვოა, ყოველ შემთხვევაში გადაჭრილი კითხვა არ არის. და თუ ამ ხასიათის ფილოსოფიას ჯერ ხნობით იდეიური მოქალაქობრივობის უფლება ვერ მოუპოვებია, „ქადაგება“ ამ სასწაულს ვერ მოახდენს. მაგრამ საზოგადოებრივობის წინააღმდეგ ბრძოლაში „ქადაგებაც“ კარგი საშუალება ყოფილა...

## II

## ჩვენი სატკივარი

1910 წ.

სასოწარკვეთილებით მეუბნებოდა მეგობარი: ჩეენი საქმე დაკარგულია, არაფერში გამოსადეგი აღარა ვართ. ყოველი



ჩვენი აღფრთოვანება წუთიერია. სადღესასწაულოდ ვართდ შობილნი. მუდმივი შრომა გვეჯავრება. კრებულად ყოფნა გვალ-

ხენს, აზრს გვიღვიძებს, იმედს გვიცხოველებს. მაგრამ დავიშ-
ლებით თუ არა ყრილობიდან, იუბილეია იგი თუ პანაშვიდი,
(პანაშვიდიც ერთგვარი გასართობია ჩვენში), მივუბრუნდებით
თუ არა ჩვენს მუდმივს, უფერულ დღიურ საქმეებს, ყოველი-
ვე იცვლება ჩვენს გულში – აღფრთოვანება ჰქრება, აზრი მი-
დუნებულია, სიცოცხლის ხალისი დახშულია. ვაკეთებთ რა-
ღაცას, თითქოს ვმუშაობთ, მაგრამ გული ჩვენი დაწყლულულ-
ლია და თითქოს ეს ჩვენი გარჯა და ეს ჩვენი მუშაობა უნა-
ყოფოა და უაზროო...

ასე და ამ გვარად აჟღერებდა ჰანგებს ჩემი მეგობარი
საუბრის დროს. და ძალიან ძნელიც არის ამ ჩვენს ვაგლახ
დროში გული ჭმუნვას და სევდას არ დაემორჩილოს. მაგრამ
ჩემი მოსაუბრე მართალია. ჩვენი საქმიანობა მართლაც და ჩა-
ლის ფასად არა ღირს. ნამდვილ საქმეს არ ვაკეთებთ, წვრილ-
მანში ვართ ჩაფლულნი და როდესაც რაიმე დიდი უბედურე-
ბა გვეწვევა, მაშინ გვაგონდება არარაობა და ფუჭი ჩვენის
სიცოცხლისა.

მაგონდება ერთი პატარა კაცის ამბავი. ეს კაცი, სახე
ლად ფილიპე, ოცი წლის განმავლობაში რკინის გზის სადგუ-
რის ბუფეტის მოსამსახურე იყო. სიბერის ჟამს უბედურება
ეწვია. მატარებლიდან გადახტომის დროს მარცხი მოუვიდა,
ვაგონის ბორბლებ ქვეშ მოჰყვა და ფეხები მოსწყდა. მომა-
კვდავი ფილიპე ოთახში დაასვენეს და მის სულის კვეთებას
ასე მოგვითხრობს ივანე ზურაბიშვილი თავის პატარა მშვე-
ნიერ ესკიზში „ფილიპე“, საიდანაც ჩვენ გავიცანით ამ პატა-
რა ადამიანის ვინაობა და მისი უბედურება.

„ფილიპე გონს მოსულა და ეხლა თვალებ დაჭყეტილი
ფანჯრისაკენ იყურება. სახეზე რაღაც გაკვირვება ეხატება,
ვერ გაუგია, სად არის. თითქო ეს ნაზი, ვერცხლის ფერი
სინათლეც ეხამუშება; ფანჯრისაკენ იყურება, სტკბება ამ შვე-
ნიერის საღამოთი და იმ დროს ვერ გამორკვეულა, ვერ მოჰ-
გონებია, ენახა მშვენიერი ღამე როდისმე, თუ არა. „უნდა
მენახოს ალბად, – ჰფიქრობს ფილიპე, – ეს პირველი ხომ არ
არის ჩემს სიცოცხლეში გაზაფხულის მთვარიანი ღამე, მინა-
ხავს, როგორ არ მინახავს“ – გაურბის ფილიპეს თავში ცალ-



კე, მოწყვეტით აზრები. მაგრამ იმისი გახსენება კი არ შეუძ-
ლიან როგორღაც, რომ ასე მშვენიერი შჩვენებოდეს გაზაფ-
ხულის მთვარიანი ღამე: ნაზი ვერცხლის სინათლე კი უფრო
და უფრო იზიდავს ფილიპეს...

„ისევ თავის აზრებს უბრუნდება ფილიპე, – როგორ არ
უნახავს, უნახავს ასეთი მშვენიერი, მომხიბვლელი საღამო,

მაგრამ, ოჰ რა დიდი ხანია მას აქეთ; ეს იყო ბავშვობაში... როგორ არა, ახსოვს. ახსოვს, ერთხელ საღამოს თავის დროზე რომ აღარ დაბრუნდა საძოვრიდან მათი მშვენიერი ხარი ნიკორა და მამა მისი იმის საძებნელად წავიდა. სახლში ყველანი შეწუხებულნი იყვნენ... მგლებმა არ დააშავონო, და ისიც, ფილიპეც, დედასთან ერთად ეზოში ელოდებოდა მამას და ნიკორას. აგერ გამოჩდნენ მამა და ნიკორა, ყველას უხარია, ყველა მისაგებებლად მირბის და საღამო კი ისეთი კარგია, ნათელი და მთვარიანი, ყველაფერი ვერცხლის ფერში სცურავს და ვერცხლად იღებება. ახსოვს, როგორ არ ახსოვ!.. ფილიპე სცდილობს გაიხსენოს მთვარიანი სხვა საღამოებიც, მაგრამ ვერ ახერხებს როგორღაც. „განა ამ ოცის წლის განმავლობაში, რაც სადგურზე მოახლე ვარ, არა ყოფილა გაზაფხული, არა ყოფილა გაზაფხულის მთვარიანი ღამეები?“ ეკითხება ის თავს, ძალას ატანს თავის მეხსიერებას, მაგრამ არ იქმნა, არ იბადება იმის ტვინში მოგონება ასეთის საღამოსი ამ ოცი წლის განმავლობაში. ფილიპე ეხლა სხვაზე იწყებს ფიქრს. „მაშ რაღა მახალისებდა ამ ოცი წლის განმავლობაშიო – ფიქრობს ფილიპე: – ასეთი მშვენიერი საღამო მრავალი უნდა ყოფილიყო და არ დამხსომებია, ალბად სხვა რამე მქონია გამრთობი, სხვა რასმე გაუტაცივარ და დაუტკბივარ, მხოლოდ რას?!“.

დიაღ, ჩვენ სწორეთ ფილიპეს საქმე დაგვემართა. მოვეწყვდიეთ სადღაც სადგურში. თითქოს შორს გზას წამსვლელები ვიყავით, თითქოს მკვიდრი ბინა და სადგომი უნდა მოგვენახა, მაგრამ გზის სადგურს ვერ გადავცილდით. ფილიპესავით ვცოდვილობთ, ოფლსა ვღვრით. დღეს ღამე მოსდევს, თვეს წელიწადი, მიდის დრო და ჩვენთვისაც არა დგება გაზაფხული და ჩვენც ვერა ვსტკბებით მთვარიან გაზაფხულის ღამეებით. ამისი უნარიც კი გვაქვს დაკარგული. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც რაიმე თავზარდამცემი ამბა-



ვა დაგვატყდება და როდესაც მთელი ჩგენი სხეული და გონება აღშფოთებული და შერყეულია, დაღონებულნი და დასევდიანებულნი ვგრძნობთ, რომ ის, რასაც ვაკეთებთ, ნამდვილი საქმე არ არის და ის, რითაც ვცხოვრობთ, აზრს და მიზანს არის მოკლებული.

როგორ მოხდა ყოველივე ეს? რატომ არის უძლური და უნაყოფო ჩვენი ინტელიგენცია? აი საგანი, რომელსაც ჯეროვანი დაკვირვება სჭირია. ამ საგნის განმარტება განმარტებაა იმ დრამისა, რომელსაც განიცდის ქართველი ინტელიგენცია – ინტელიგენცია, რომლის გულს აღარ ახარებს არც ცა ვარს-

კვლავებით მოჭედილი და არც დედამიწა ყვავილებით შემკულ-
მოქარგული.

ეს მოხდა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. საქარ-
თველოს ძველი სოციალური ორგანიზაცია შეგუებული იყო
იმ დროინდელ მოთხოვნილებასთან. ჩვენი მთავარი საქმე ველ-
ზე ბრძოლა და ომი იყო. და ფეოდალური ორგანიზაცია ამ
ბრძოლისთვის საჭირო იარაღს გვაძლევდა. მთავარი ელემენ-
ტი, რომლისგანაც შესდგებოდა ჩვენი საზოგადოების ძველი
სტრუქტურა, იყო თავად-აზნაურობა და ყმობა. თავად აზნაუ-
რობა სოციალურად ბატონი, პოლიტიკურად მსახური იყო
ერისა. ყმა, სოციალურად მონა, პოლიტიკურად მომქმედი ძ-
ლა – ფარხმალი იყო ერის არსებობისა. ეს უკუღმართობა ძვე-
ლი დროის უკუღმართობაა, ხოლო ამ უკუღმართობის მიუ-
ხედავად ერს შეეძლო სიცოცხლე, ბრძოლა და არსებობა.

დღეს სულ სხვა დრო დაგვიდგა. დღეს მეოცე საუკუნე-
ში ვართ და ჩვენ კი არავითარი ახალი იარაღი გამოსადეგი
ახალ პირობებთან საბრძოლველად ხელში არ გვიჭირავს. ძა-
ლიან დავიგვიანეთ. რატომ მოხდა ეს დაგვიანება, ამის გამო-
ძიებას ეხლა არ შეუდგებით. აშკარა კია, რომ ის, რაც სა-
ფრანგეთმა განიცადა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოში, ჩვენ
მხოლოდ ეხლა განვიცადეთ. წარსული წლების რევოლიუცია
იყო ჩვენში პირველი დიდი რევოლიუცია წოდებრივობის წი-
ნააღმდეგ მიმართული. სოციალ-დემოკრატიის გავლენა ხალ-
ხზე იმიტომ იყო ძლიერი, რომ მან მთელის თავის ძალღონით
აამოძრავა ხალხი ძველ წყობილების ნაშთების წინააღმდეგ.
ამითი აიხსნება ის გარემოებაც, რომ ის სოციალისტური პარ-
ტიები და ჯგუფები, რომელნიც იცავდნენ იმ ხანებში სოცი-



ალიზმის პრინციპების სიწმინდეს და სცდილობდნენ მიწის სო-
ციალიზაციის სახით ხალხის ამოძრავება ამ პრინციპების მი-
ხედვით, უღონონი გამოდგნენ. ხალხი მათ არ ეკარებოდა.
სოციალ-დემოკრატს კი მისდევდა, რადგან სოციალ-დემოკრა-
ტი „ბატონს“ ემტერებოდა. „ბატონობა“ კი საუკუნოებით
გადმოცემული ინსტიტუტი იყო, რომლის გაუქმება ხალხს დი-
დი ხანია სწყუროდა. მემამულეთა მიწების დასაკუთრება და
ჩამორთმევა – აი ლოზუნგი წარსულ რევოლიუციისა. და ვინც
ამ ლოზუნგზე შორს მიდიოდა და ეუბნებოდა ხალხს, საქმე
წოდებრივ მემამულეში არ არის, არამედ კერძო საკუთრება-
ში, რომელიც უნდა იყოს გასაზოგადოებული, ის გაუგება-
რი რჩებოდა ხალხისთვის, რადგან, ვიმეორებთ, წარსული რე-
ვოლიუცია იყო პირველი დიდი წოდებრივი რევოლიუცია.
წოდებრივობის გაუქმების მოთხოვნა იყო მისი სული და გუ-

ლი. დანარჩენი მოთხოვნანი პოლიტიკური ხასიათისა ზერელე მოთხოვნანი იყო, უფრო პროპაგანდისტების მიერ შეტანილი. ხოლო რაც შეეხება ეროვნულ მოთხოვნას, სოციალურმა ინ-ტერესმა ისე დაიმონა და შებოჭა ხალხის გონება, რომ იგი სრულიად არ იყო მომწიფებული მის გულში.

რევოლიუციამ ვერ გაიმარჯვა, მაგრამ თავისი ნაყოფი მაინც გამოიღო. ჩვენს თვალწინ სწარმოებს ამ ჟამად აჩქარე-ბული ლიკვიდაცია ძველ წოდებრივ მიწის-მფრობელობისა. და-ქანებული ტემპით ეცლება ჩვენს თავად-აზნაურობას მამულ-დედული. გლეხობამ რევოლიუციონური საშუალებით მიწა ხელში ვერ შეინარჩუნა, ძველი მფლობელობის საძირკველი კი შეარყია. შეიძენს გლეხი მიწას თუ არა, თავადს კი იგი ვე-ღარ შერჩება. იგი აუცილებლივ უნდა გადავიდეს სხვის ხელ-ში. და გადავა იმის ხელში, ვინც ბაზარში ქისას წამოიღებს და ვინც პორთფელიდან ჩეკებს გამოიღებს.

შესძლებს ამ საქმის ასრულებას ჩვენი გლეხობა? არა. ფაქტები, რომელიც ჩვენ ხელშია, აშკარად გვიმტკიცებენ, რომ საუკუთესო ნაწილი ჩვენის ტერიტორიისა სხვის ხელში გადადის. ასე რომ ის მიწები, რომლის ხელში ჩაგდებისათვის ამოძრავდა ჩვენი გლეხობა ამ რამდენიმე წლის წინად, ეხლა ისევ სხვის საკუთრებად რჩება. ერთ მემამულის ნაცვლად სხვა მემამულე გაუჩნდა მას პატრონად. განსხვავება მხოლოდ იმა-შია, რომ ამ სხვა მემამულეს პოლიტიკური ძალა უჭირავს



ხელში და მიწას ისე მოიხმარს, როგორც ამას მისი პოლიტი--კური ძალა უკარნახებს.

რა გამომდინარეობს ყველა ამისაგან? ის რომ, მიუხედა-ვად ჩვენის კულტურულ დაწინაურებისა, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლაში აუარებელი ძალა დავქსაქსეთ და მსხვერპლი შევწირეთ წმინდა პრინციპებს, ბოლოს და ბოლოს ცხოვრე-ბის სასტიკ პირობების წინაშე სრულიად უიარაღონი და უძ-ლურნი გამოვდექით. თუ ძველ დროში ჩვენი საზოგადოების სტრუკტურა შესდგებოდა თავად-აზნაურობისაგან და ყმებისა-გან, ეხლა ჩვენს წინ ორი თვალსაჩინო ელემენტია, რომლი-თაც დახასიათდება ჩვენი საზოგადოების ფიზიონომია – ეს არის ინტელიგენცია და გლეხობა, ხალხი. ქალაქის მუშებიც არიან, ვაჭრებიც, განსაკუთრებით წვრილი ვაჭრები, მაგრამ არც მუ-შებს, არც ვაჭრებს სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვთ. მუშებს იმიტომ, რომ საქართველო იყო და ეხლაც არის მეურნეობის ქვეყანა. ვაჭრებს იმიტომ, რომ სარდაფ-სამიკიტ-ნოს იქით ქართველთა ვაჭრობა არ მიდის. და გვრჩება ორი-კატეგორია – გლეხობა, ერის დიდი უმრავლესობა, ელემენტი,

რომლის კეთილდღეობაზეა აგებული ერის კულტურული წინსვლა – გლეხობა, ჩამორჩენილი შეგნებით და ცოდნით, ეკონომიურად სუსტი და უიარაღო თანამედროვე პირობებთან ბრძოლაში. ინტელიგენცია – ეროვნულ კულტურის გამომხატყელი, ხოლო უძლური, ერთის მხრივ, თავის დოკტრინიორობით, და მეორეს მხრივ კი, უნაყოფო თავის უღონობით – ინტელიგენცია უილაჯო მოწამე და მაყურებელი ხალხის გაჭირვებისა და ერის განსაცდელისა.

ამ ავლა დიდების პატრონებს გვინდა უვნებლად და უდარდელად ცხოვრება მეოცე საუკუნეში. და პრაქტიკულად ის გამომდინარეობს ყველა ამისაგან, რომ ჩვენ თანდათან სხვის მონებათ ვხდებით. არა მარტო ვერ ვაკმაყოფილებთ საკუთარის ძალღონით ჩვენ უპირველესს და უახლოვესს მოთხოვნილებათ, არამედ ისიც, რაცა გვაქვს, სხვას ვაძლევთ. ინტელიგენცია კი ამისი შემყურე სასოწარკვეთილებას ეძლევა, გაჩენის დღეს იწყევლის და ქვითინ-წუწუნით იბრუნებს სულს. ბრძოლის მოედანზე გამოგვაქვს პრინციპები, გეგმები, ერის უფლება, ტრაქტატები, იდეალისტური სისტემები, ამ ბოლო დროს ონტოლოგიური ფილოსოფიაც კი. მოძრავი და ახალ



პირობებთან შეგუებული ძალები კი ჩვენს თვალებს წინ სთვლიან ბანკის ბილეთებს და ამ ბილეთების საშუალებით ითვისებენ და ისაკუთრებენ ჩვენი სიყვარულის, ოცნების და მზრუნველობის საგანს – ჩვენს სამშობლოს. ეროვნული ტერიტორია! რას მიქვიან ეროვნული ტერიტორია, არის ტერიტორია სახელმწიფოებრივი და სახელმწიფოს ფარგალში აღებ-მიცემობაა გაჩაღებული. აღებ-მიცემობა (თუნდა მიწისა) უნდა იყოს თავისუფალი. ვინც ამის წინააღმდეგია, ის ჩამორჩენილი რეაქციონერიაო. და ამ თეორიებით გამაგრებულნი, გვაწვდიან ბილეთს და იღებენ, რაც ესაჭიროებათ. გაზეთებში პროტესტს ვაცხადებთ, უსამართლობაა, ცინიზმია, ჩვენი უფლების დამცირებაა ყოველივე ეს! ხოლო არავითარი საშუალება არა გვაქვს ხელთ შევაჩეროთ ეს უსამართლობა და დამცირება. და უზომო მწუხარებით შეწუხებულნი, ვემლევით დავიწყებას, ვეწაფებით ცხოვრების წარმავალ სიამეთ, გულს ვიყრუებთ, ვიჩლუნგავთ, ვიქვავებთ და მხოლოდ დრო გამოშვებით თავზარდაცემულნი ვლუღლუღებთ: ღმერთო! ჩვენთვის არ არსებობს არც სიხარული, არც გაზაფხული არც გაზაფხულის მთვარიანი ღამეები!

გასავალი? სხნა? გასავალი და სხნა ერთად ერთია. დღეს ხმლის ტრიალი არ არის. დღეს ბაზრობაა. ბაზარში ცარიელ ჯიბით გამოსვლა არ შეიძლება. თუ სხვებთან ერთად ბაზარ-

ში ვერ გამოვდივართ, სხვები ჩაიგდებენ ხელში არა მარტო იმას, რაც გატანილია გასასყიდად, არამედ იმასაც, რაც არ იყიდება, ხოლო, რაც გაიყიდება ცხოვტების ულმობელ კანონის ძალით.

კი ეს ასეა, მაგრამ აბა გაჰბედეთ და სთქვით საჯაროთ, რომ ჩვენი უბედურება ის არის, როქ ძლიერი ეროვნული ბურჟუაზია არა გვყავსთქო. ნახავთ, რა განგაშს ასტეხენ. ბურჟუაზია?! ააა?? ბურჟუაზია?! პროლეტარიებო, ხომ გესმით! არ გყოფნით სხვა ტომის სისხლის მწოვნელნი, ქართველი წურბელებიც უნდა შეისხათ კისერზედაო! გრგვინავს მრისხანე ხმა ხალხის „ნამდვილ“ ჭირისუფლებისა, და ამასთან გაისმის მედიდური ხარხარი და თავმომწონე დარიგება „ბურჟუაზიის იდეალოგებისა“.

და თუმცა ამ „ჭირისუფლების“ აზრი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ეროვნულ ბურჟუაზიის განვითარების საჭირო-



ების აზრს და თუმცა სოციალ-დემოკრატის შეგნებით ბურჟუაზია, განსაზრვრულ საფეხურზე, ემსახურება ეროვნულ ინტერესებს და მისი წარმოშობვა არ ეწინააღმდეგება მშრომელ ხალხის ინტერესებს, მაგრამ ყოველივე ეს მართალია თეორიაში, მართალია აგრეთვე სხვა ქვეყნების ეკონომიურ ისტორიაში. საქართველოში კი – ღმერთო ჩვენო, საკუთარი ბურჟუაზია! განა შესაწყნარებელია ამ პარაზიტის და ხორც-მეტის გაჩენა! მართალთა, ტერიტორია გვეყიდება, მაგრამ ამის გულისათვის ხომ ვერ ვიზრუნებთ იმისთანა უწმინდურ დაწესებულების დაარსებაზე, როგორიცაა ბანკი. პროლეტარიებო! ბანკი, საკუთარი ბურჟუაზია! ამაზე მეტი დაცემა შეიძლება? აი ის „მზაკვრული ქსელი“, რომელიც ჯერ კიდევ „ცნობის ფურცელმა“ გადისროლა ხალხის გასაბმელად და ახლაც არა სცხრებიან და გვიწვევენ საბრძოლველად ჩვენ, ჩაგრულთ ინტერესების დამცველთ!

ამასობაში კი დრო მიდის. ცხოვრება ანგარიშებს ასწორებს, სიმდიდრეს აბარებს იმას, ვინც ცხოვრებაში მომზადებულია. ჩვენ კი თეორიებში დახელოვნებულნი და სამართლიანობის პრინციპებში აღზრდილნი, ხოლო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი „დახლიდარების“ გასახარებლად და ჩვენი გულის გასამხნევებლად აბსოლიუტებზე და მარადიულის უკვდავებაზე ვმუსაიფობთ.

## III

## მავნებელი სენი

დაჰკვირვებია თუ არა მკითხველი იმ უცნაურ, პირველ შეხედვით გაუგებარ მოვლენას, რომ ქართველი განათლებული საზოგადოება და ქართველი ინტელიგენცია, ერთის მხრივ, თითქოს მონდომებულია ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესები დაიცვას, ხოლო, მეორე მხრივ, თავის პრაქტიკულ მოქმედებით და ცხოვრებით არა თუ ძირიანად უარჰყოფს იმ ინტერესებს, არამედ საძირკველსაც კი უთხრის ჩვენს ეროვნულ კულტურულ აღორძინებას. სახეში მყავს ინტელიგენციის და საზოგადოების ის ფრიად დიდი ნაწილი, რომელიც რუსუ-



ლად აზროვნებს, რუსულად სწერს და შემოქმედობს და მხოლოდ რუსულად კითხულობს.

მართლაც, განა საკვირველი მოვლენა არ არის, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ყველას არწმუნებს, რომ ჩემი მრწამსი ეროვნებაა და ეროვნების სამსახური, რომ ეს ნაწილი საზოგადოებისა ქართულ ენას პრაქტიკულ ცხოვრებაში უარჰყოფს, ხელს უშლის მწერლობის განვითარებას, ენის გავარჯიშებას და მით ეროვნების სულსა ჰკლავს და ეროვნულ ცხოვრების ძარღვს ადუნებს. განსაცვიფრებელი არ არის განა ის გარემოება, რომ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში არსებულ რუსულ პრესის ხელმძღვანელნი, თანამშრომელნი და თითქმის მკითხველნიც უმეტესს შემთხვევაში ქართველები არიან, ქართველ ინტელიგენციის წარმომადგენელნი. როცა ვუკვირდები ამ მოვლენას, ერთად-ერთი აზრი მებადება თავში – ჩვენი ბატონ-პატრონების პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში გამარჯვებაშია. მას ძლიერი მოკავშირე გაუჩენია. ეს მოკავშირე თვით ინტელიგენციაა. იგი გადაგვარებულია და ამ გადაგვარების შეგნება მას არა აქვს და გულწრფელადა ჰგონია რომ ხალხის ერთ ნაწილში სამშობლო ენის დახშვა დადაგვა და ამავე დროს მთავრობის ვითამდა გაკიცხვა ანტიეროვნულ პოლიტიკის გამო არის სწორედ ის მამულიშვილური მოღვაწეობა, რომელიც დღეს ესაჭიროება ქართველ ხალხს. ამ ფარისევლურ და შინაგან წინააღმდეგობათ აღსავსე ფსიხიურ ატმოსფერაში იბრუნებს სულს და სცხოვრობს დღეს ჩვენი ინტელიგენციის დიდი ნაწილი.

ამ აზრს არ მომიწონებენ, არ დამეთანხმებიან, გაჯავრდებიან და შეიძლება შოვინისტობაც დამწამონ, რუსულ მწერლობის მტრად გამომიყვანონ. მაგრამ ამ აღშფოთებას ჩემს თვალში მხოლოდ ის ფასი ექნება, რომ მეტად დამარწმუნებს

ჩემს შეხედულებაში.

მე ძლიერ კარგად მესმის, რომ ქართველ ინტელიგენციის გადაგვარებას თავისი გასამართლებელი საბუთი ბევრი აქვს, რომ ისტორიულ პირობებს ამ საქმეში დიდი ადგილი უჭირავთ. მესმის ის, თუ რატომ აზროვნობს განათლებული საზოგადოება უცხო ენაზე და რატომ ეადვილება უფრო უცხო ენაზე დაწერილ წიგნების და გაზეთების კითხვა. საანბანო ჭეშმარიტებად გადაიქცა ის აზრი, რომ ამისი მთავარი მიზე-



ზი ეროვნულ ყველა ხარისხის სკოლის უქონლობაა. ფართო საზოგადოებაში ქართულ ენის უცოდინარეობა ბუნებრივ მოვლენად გადაიქცა, რადგან ადამიანს არ მოეთხოვება ის, რაც მისთვის არ უსწავლებიათ. მაგრამ ამავე დროს ამ აზრის აღიარება თვით-მკვლელობის დადასტურებას მიაგავს. მაშ რაკი გარემოების ბრალია და ყოველივე გარემოებამ წაახდინა და გარემოების მონები ვართ, საბოლოოდ, დავემორჩილოთ ამ გარემოებას, და ნუღარ ვფარისევლობთ და ნუღარ ვაჟღერებთ ეროვნულ სიმებს!

მაგრამ ჩვენ იმდენად ფართო საზოგადოება არა გვყავს ამ ჟამად სახეში, რამდენადაც ისინი, ვინც ამ საზოგადობის სათავენია მოქცეული, ჩვენ გვყავს სახეში **ქართველი მოღვაწენი**, რომელნიც ხელმძღვანელობენ რუსულ პრესას და სწერენ და მოღვაწეობენ რუსულ პრესის საშუალებით. ამ მოღვაწეებს რომ დაეკითხოთ, გეტყვიან, რუსულ პრესსას ქართველებისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური და საზოგადოებრივიო. ამ პრესის საშუალებით ჩვენ ველაპარაკებით მთავრობას, ვიწონებთ ან ვკიცხავთ მის მოქმედებას, ვაგონებთ ჩვენს საჭიროებასაო. ამ პრესსის საშუალებით ხელს ვუწყობთ მეგობრულ ურთიერთობის განვითარებას რუს ინტელიგენციის და ჩვენს შორის. და, გარდა ამისა, კავკასიის ერებსაც ვაკავშირებთ ერთმანეთთან, ერთმანეთს პატივისცემას ვასწავლით და ვამზადებთ ნიადაგს ძმურ დამოკიდებულებისასაო. ნუ თუ ყოველივე ეს დიდი საქმე არ არის და ნუ თუ ინტელიგენციის მიერ ენერგიის დახარჯვა ამ საქმეზე მადლობის ღირსი არ არისო?

აქ მოყვანილ თვითეულ საბუთს რომ დააკვირდეთ, დარწმუნდებით, რომ არც ერთი მათგანი სერიოზულ კრიტიკას ვერ უძლებს, მთავრობასთან ლაპარაკი, მთავრობისთვის ჩვენი საჭიროების გაცნობა!.. რუსეთის მთავრობასთან ჯერ კიდევ ასის წლის წინად გავმართეთ ლაპარაკი. ამ მოლაპარაკების დოკუმენტიც არის დარჩენილი. იმ ხანებში ლაპარაკი სერიოზული ვიცოდით და მთავრობას ჩვენი ერთგულებისა და მე-

გობრობის პირობები დავუდევთ. მეგობრობასა და ერთგულებაზე დაგვაფიცეს, ხოლო „პირობებმა ჩაილულის წყალი დალიეს. ძალიან გვეუცხოვა, გვეწყინა. ხოლო რაც დრო მიდიოდა, ჩვენი წყენა სუსტდებოდა... დრომ „პირობები“ დაგვავიწ-



ყებინა, ერთგულება და მეგობრობა კი ჩვენს გულში არ დახშულა. პირ-იქით, ეს გრძნობა კულტად გავიხადეთ, ვამაყობდით მით და ეხლაც ვამაყობთ: გვიყურეთ რა ხალხი ვართ, დიდ-სულოვანი, გმირი ხალხი! მართალია, „პირობები“... მაგრამ ერთგულება ხომ ჩვენს ხელშია. ერთგულებაა ჩვენი ფარ-ხმალი. გულს ვის არ მოვულბობთ! ვინ არ გაოცდება ამ თავდაბლობით, თავდადებით! „პირობებზე“ ოცნება და ლაპარაკი ბავშვობის ტიტინად არის მიჩნეული და რადგან ყველას გვინდა დამწიფებულ ადამიანის მოწმობა გვეჭიროს ხელში, ამიტომ აგერ სამოცი წელიწადია სხვა და სხვა რუსულს ორგანოს საშუალებით, რომელსაც ვმესვეურობდით, ვბაასობდით ისე, როგორც კი შესაძლო იყო ბაასი ერთგულების ფარგალში. ქართულ ენას ვიცავდით, საზოგადოებას კი ვავიწყებინებდით ამ ენას. ენასაც პირველ-დაწყებით კლასებისათვის ვიცავდით. სრულუფლებიან ეროვნულ სკოლის წამოყენების საჭიროებას ფიცის მოღალატეობად ვთვლიდით. ეკლესიაც გვაფიქრებდა. ავტოკეფალია არა. ავტოკეფალია ამ რამდენიმე წლის წინად მოგვაგონდა, მაგრამ დროზედ გონს მოვედით და ამოვიღეთ გულიდან უკანონო სურვილი. ვითხოვთ მხოლოდ, რომ ღვთის-მსახურება ხალხისთვის გასაგებ ენაზე აწარმოვონ, ვითხოვდით აგრეთვე იმას, რაც უკვე ორმოცი წელიწადია რუსეთში არსებობს, ერობას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს. ხანდისხან მიწის შესახებაც ვლაპარაკობთ. ციფრებით ვამტკიცებთ, რომ საქართველოში მიწის სივიწროვეა, რომ რუსეთის კოლონიზაციას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ხოლო ყოველ ამგვარ საჭიროების წამოყენების დროს არც ერთხელ არ გვავიწყდებოდა მოგვეგონებინა ძლიერთა საყურადღებოდ, რომ ერთგულნი ვართ, ნამსახურნი ვართ და ღირსნი ვართ წყალობისა. მწყალობელი კი წყალობას არ იმეტებდა და არც სკოლას, არც ეკლესიას, არც მიწას (სხვაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ) არა ეშველა რა და ისევ ღარიბნი ვართ და უსწავლელნი, როგორც წინად ვიყავით, ხოლო ამასთან უფრო დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი.

მე ვამბობ, რომ რუსულ პრესას, სადაც ქართველები სცდილობდნენ თავიანთ ინტერესების დაცვას ძალ-მომრევ პოლიტიკისაგან, არავითარი გავლენა არა ჰქონდა მთავრობის პოლიტიკის სისტემის შეცვლაზე ჩვენს ქვეყანაში. შეიძ-

ლება ზოგიერთ მოხელეზე, თუ მმართველზე მოქმედებდა ესა თუ ის წერილი და საბუთი, შესაძლებელია, რომ დროებით ეს მოხელე სცვლიდა თავის მოქმედებას, ან ამცირებდა ბოროტ-მოქმედებას, მაგრამ **მთელ სისტემაზე** ამ პრესსას არავითარი გავლენა არა ჰქონდა. ვისაც ცოტათი მაინც აქვს გათვალისწინებული სამოქალაქო მმართველობის ისტორია კავკასიაში, დაგვეთანხმება ამაში. არა თუ ამაში დაგვეთანხმება იმაშიაც კი, რომ სწორედ ამ უკანასკნელ ოცდაათი წლის განმავლობაში ამ სისტემას სიმტკიცე მიეცა და სწორედ ეხლა გამოისახა მთავრობის წრეებში შეგნებულად შემუშავებული პროგრამა მოქმედებისა. ვისაც წაუკითხავს უქვეშევრდომილესი მოხსენება გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისა (1907 წ.), ამაშიაც დაგვეთანხმება.

და შეუძლებელია, რომ ყოველივე ეს სხვანაირად იყოს. თვით-მპყრობელობას თავისი ლოგიკა და თავისი ფილოსოფია აქვს და ეს ლოგიკა და ფილოსოფია ანგარიშს უწევს მხოლოდ და მარტო იმას, რაც **ძალას** წარმოადგენს, რბილ ფაფას კი სჭყლეტს იგი თავის კლანჭებში. ხოლო ასე იქცევა არა მარტო მონარქიული თვით-მპყრობელობა, არამედ ხშირად დემოკრატიული წარმომადგენლობაც კი. გულ-უბრყვილონი ნუ ვართ და ნუ გვგონია, რომ რუსეთისათვის სხვა კანონებია დაწესებული ისტორიის მიერ.

გავსინჯოთ ახლა მეორე საბუთი – რუსეთის ინტელიგენციასთან დაახლოვება და მისთვის ჩვენი თავის და ვინაობის გაცნობა. ქართველი ხალხის ისტორია ოცდაათი საუკუნის ისტორიაა. ასურეთ-ბაბილონის მომსწრეებს ტელეგრაფისა და ელექტრონის ხანამდე მოგვიღწევია და დღეს გარემოება ისეთი დაგვიდგა, რომ იძულებულნი ვართ ჩვენს ვინაობის შესახებ ვილაპარაკოთ: იცოდეთ, თანამედროვე ხალხნო, და შენ, რუსეთის ინტელიგენციავ, რომ ჩვენცა ვართ. სწორედ ბობჩინსკის მდგომარეობაა: Нѣть, вы только скажите, что въ такомъ то городѣ живетъ Петръ Ивановичъ Бобчинскій! ვემუდარებით აყველას. ოცდაათი საუკუნის ისტორია კი სადღაც ჩაიყლაპა! ჩაიყლაპა იგი არამც თუ სხვებისათვის, არამედ ჩვენთვისაც. წარსულთან ძაფები გაწყვეტილი გვაქვს, რუსულად ვწერთ ქართველების შესახებ და ამ ქართველების ისტორია, კულტურა, ლიტერატურა თუ ხელოვნება



ჩვენთვის სრულიად უცნობი საგანია. მაგრამ ძალიანაც რომ

სწავლულნი ვყოფილვიყავით ამ დარგში, მაშინაც უნაყოფო იქნებოდა ჩვენი გარჯა, რუსის ინტელიგენციას ვერც მაშინ გავაცნობდით ჩვენს თავს. რუსის ინტელიგენცია ჩვენგან შორს არის. იგი ჩვენს გაზეთებს არა კითხულობს. კავკასიაში ინტელიგენცია არ არსებობს. აქ არიან სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოხელენი. ვისაც რაიმე ნიჭი გამოაჩნდება, ჩვენსა არა რჩება, თავისიანებში მიდის. და პეტერბურგსა და მოსკოვში დღეს ბევრია გამოჩენილი პირი, რომელთაც თავიანთი ბავშვობა და ხშირად ყმაწვილ-კაცობაც აქ გაუტარებიათ.

კავკასიაში მცხოვრები რუსის საზოგადოება რუსეთის ინტელიგენციაზე ჩვენსავით არის დაშორებული. მართალია, ეს საზოგადოება ერთფეროვანი არ არის, მასში ავიც არის, კარგიც, მაგრამ არავისთვის დასამალი არ არის, რომ ამ ბოლო ხანებში მხოლოდ ავმა სულებმა იწყეს მოქმედება, მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ მიმართული. და თუ ამათთვის, ამათ ჩასაგონებლად აარსებთ რუსულ გაზეთებს, დაგვეთანხმებით, რომ უმადურ საქმეს სჩადიხართ, რადგან არც თქვენ სიტყვას, არც თქვენ პრესსას არავითარი გასავალი არ აქვს ამ საზოგადოებაში. და იცით რატომ არა აქვს? იმიტომ კი არა, რომ ეს ხალხი ბოროტია და ბოროტის გულს არა მისწვდება-რა, არა, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენს გაზეთებს და თქვენს ნაწერებს ფლიდობის ელფერი აქვს, გულწრფელობის ნიშანწყალი არ აცხია. სტყუით და სხვებსაც ატყუებთ და გგონიათ, რომ დაგიჯერებენ. და არც გიჯერებენ. „ხულიგანებს“ ეძახით, ხულიგანი კი მართალია იმაში, რომ სტყუით, რადგან ყოვლად შეუძლებელია ადამიანმა, რომელსაც ტყავი აქვს გადაყვლეფილი, იძახოს – არა მტკივა, სასიამოვნოც არის, ვენაცვალე იმას, ვინც გამატყავა და გამცარცვაო. და როდესაც ამ გადატყავებულ ტანზე „ხულიგანების“ შოლტი გხვდებათ, ყვირილს იწყებთ, ძირს ხულიგანები, ესენი არიან რომ სულს გვიხუთავენ, რა ნება აქვთ, რომ გადატყავებულ ტანს გვიშოლტავენო! ხულიგანები კი ხარხარებენ და შოლტზე შოლტს გთავაზებენ!

მაგრამ თქვენ ამბობთ, რომ კავკასიის ერთა სოლიდარობას ვემსახურებითო. არ ვიცი, შეიძლება მართლა გქონდეთ ეს განზრახვა, ხოლო ამ სოლიდარობას თქვენ არ ემსახურებით



ოდა ვერც ემსახურებით, რადგან სოციალიზმი არაგწამთ, სოციალიზმს დასცინით. ამითი იმისი თქმა არ მინდა, რომ ერთა სოლიდარობას დღევანდელ პირობებში, მარტო სოციალისტები ემსახურებიან. მაგრამ ის ყალბი პოზიცია, რომელზედაც სდგეხართ, ყოველ შემთხვევაში, ერთა სოლიდარობას ხელს

ვერ შეუწყობს და თქვენი პოზიციის სიყალბე იმაში იხატება, რომ აშკარად არ ამჟღავნებთ თქვენს აზრებს და გრძნობებს, „პოლიტიკანობას“ თამაშობთ, არავინ იცის, რას ესწრაფით და როგორ გესმით კონკრეტულად ერთა სოლიდარული ურთიერთობა. და როდესაც ძმობასა და სიყვარულზე ლაპარაკობთ, უნებლიეთ არავის სჯერა, რადგან არავინ იცის თქვენი ნამდვილი აზრი და სულის კვეთება.

მაშ რა არის, რისთვის ირჯებიან ქართველი მოღვაწენი? რატომ ხარჯავენ ამ უმადურ საქმეზე ამოდენა ჯანს, ენერგიას და ფულს? ენერგია და ფული კი ბევრი იხარჯება. ხუთი ექვსი გაზეთის გაძღოლა და ხელმძღვანელობა სახუმარო საქმე არ არის. ტფილისში თუ სამი არა, ორი გაზეთი მაინც არის, სადაც ქართველები მესვეურობენ და თანამშრომლობენ. ბათომშიაც ერთ დროს ორ გაზეთს უძღვებოდნენ ქართველი ინტელიგენტები. მაგრამ პატარა ქალაქში ორი გაზეთის არსებობა ძნელია და ერთი გაზეთი გადაიტანეს ფოთში. ფოთში ეს ზეთი ვერ იკიდებს ფეხს და დროებით დაიხურა. ვამბობ დროებით, რადგან ხმა დადის, რომ გაზეთის საქმე მალე გამოკეთდება, რადგან მის ხელმძღვანელობას კისრულობს იქ მცხოვრები ცნობილი ქართველი მოღვაწე. აგერ, ორი წელიწადია ლაპარაკობს ბაქოს ქართველ საზოგადოება რუსულ გაზეთის დაარსების შესახებ. მოკლე ხანში ეს წადილიც, როგორც იწერებიან, განხორციელდება. ამის შემდეგ უნდა მოველოდეთ, რომ ამგვარივე რუსული ორგანოები დაარსდებიან ქუთაისში, ხონში, გორში, თელავში და დუშეთში, ერთიც ლანჩხუთში ან ოზურგეთში. და ყველა ამისი ჩამდენნი გაკვირვებულნი ვიძახოთ, საკვირველია, რატომ არის, რომ ქართულ საზოგადოებაში ქართული ლაპარაკი აღარ ისმის! ენა ხომ გვავიწყდება და გვავიწყდება, მაგრამ ამასთან ერთად საზოგადოებასა და ხალხს შორის უფსკრული უფრო ღრმა ხდება და გათხრილი ორმო ამოუვსებელი რჩება. და საკვირველიც არ არის, რადგან რუსულ გაზეთს ამიერ-კავკასიაში ვიწროდ შემოფარგლუ-



ლი მკითხველთა წრე ჰყავს. ხალხის გულამდე ამ ორგანოს მისავალი გზა არ აქვს, რადგან ხალხს მისი არა ესმის-რა. გაზეთი გამოდის ქალაქებში, ქალაქებშივე ვრცელდება ინტელიგენციის და მოხელეების წრეებში. ასე რომ ორგანოების ხელმძღვანელებმა წინდაწინვე იციან, ვისი გემოვნება და მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილონ. უნდა დააკმაყოფილონ გემოვნება და მოთხოვნილება ქართველ საზოგადოების გადაგვარებულ ნაწილისა. ამ „გადაგვარებულთ“ უყვართ პატრიოტული თემები, მათს გულში რაღაც ნაშთი დარჩა, მემკვიდრეობით

გადმოცემული, მაგრამ გაბედულად და მკაფიოდ საკითხის დაყენებას კი გაურბიან. შეცვლილი სულიერი ვითარება საკმაო ენერგიას არ იძლევა მოქალაქობრივ გაბედულობისთვის. და როგორიც მკითხველია, ისეთი გაზეთია.

პირადად არავისი წყენა არ მინდა. რუსულად სწერენ ხოლმე პატივცემულნი პირნიც, რომელთაც ქართულ მწერლობაში დიდი ღვაწლი მიუძღვით. მე მაქვს სახეში საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც თანდათან მავნებელ სენის ხასიათს იღებს. მე მაქვს სახეში ის ცრუ აზრი, ვითომ პირველი საქმე და მოვალეობა ჩვენი იმაში კი არ იყოს, მთელი ჩვენი ძალღონე ეროვნულ ძალთა ორგანიზაციას მოვახმაროთ, არამედ იმაში, რომ **ვიღაცა რაღაცაში** დავარწმუნოთ და ჩვენსკენ გული მოვუბრუნოთ. ეს აზრი ისეა გამჯდარი ჩვენს ინტელიგენტთა წრეებში, რომ ხშირად ქართველი მწერლებიც კი სტოვებენ ქართულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს და რუსულ პრესაში აქვეყნებენ თავიანთ გულის კვეთებას. ამგვარი სულიერი განწყობილება ჩვენის ინტელიგენციისა მისს უძლურობას მოასწავებს და ხალხთან ძაფების გაწყვეტასა თუ სამსახური და შრომა გინდათ, ასპარეზი დიდია. თუ ერის ინტერესი გაფიქრებთ და გაღონებთ, რატომ იმას არა ჰფიქრობთ, რომ თავი და თავი ძალა ერისა მის ძალთა შეგროვასა და კონცენტრაციაშია. თუ ეროვნულ კულტურას თანაუგრძნობთ, რატომ გავიწყდებათ ის უბრალო აზრი, რომ კულტურის აყვავება უენოდ შეუძლებელია, რადგან ენა არა მარტო იარაღია გრძნობისა და აზრის გადმოსაცემად, არამედ იგი სულია ეროვნულ არსებისა, ხალხის ფსიხიურ განწყობილების მაჩვენებელი. თქვენ კი ხალხს ამ ენას ართმევთ და ავიწყებინებთ, რადგან სცდილობთ, რაც შეიძლება მეტად და ფართოდ გა-



ავრცელოთ თქვენი ფურცლები ქართულ საზოგადოებაში. და ამიტომ შეუგნებლად თუ შეგნებულად თქვენა ხართ ჩვენი ხალხის კეთილდღეობის ორმოს მთხრელნი. და ნუ დაგვემდურებით, თუ ისე მოგექცევით, როგორც შეგფერით.

## IV

## ავადმყოფი საზოგადოება[1])

ქართულს მწერლობაში გაისმა პროტესტი ჩვენი ინტელიგენციის იმ ნაწილის წინააღმღეგ, რომელიც ჩვენში არსებულ რუსულ პრესის სათავეში უდგა. შარშან ამ პროტესტს უფრო მკვეთრი ხასიათი მიეცა. არა ერთი და ორი ცხარე

წერილი დაიბეჭდა იმ უცნაურ მოვლენის შესახებ, რომ ინ-
ტელიგენცია თავისი რუსული პრესით ხელს უწყობს საქარ-
თველოს დენაციონალიზაციას, აღრმავებს უფსკრულს ხალხსა
და ინტელიგენციის შუა არსებულს, რყვნის საზოგადოებრივ
აზროვნებას და მრუდე გზაზედ აყენებს მას. მაგრამ, მიუხედა-
ვად პროტესტის გაცხოველებისა, საქმეს არა ეშველა რა.
პროტესტანტების ხმა არ შეისმინეს და რუსული გაზეთების
რიცხვმა არამც თუ არ იკლო, არამედ იმატა. გაჩნდა რუსუ-
ლი გაზეთი ქუთაისშიაც კი, სადაც იმის არსებობისათვის თით-
ქმის არავითარი ნიადაგი არ არის. ტფილისში კი დღეს სამი
რედაქციაა მოწყობილი. სამსავე რედაქციაში ქართველი – ინ-
ტელიგენტები სხედან და სამივე გაზეთი ამ ინტელიგენტების
ხელმძღვანელობით გამოდის.

რას მოასწავებს ყოველივე ეს? რა მიზეზია, რომ ამ სა-
კითხის შესახებ ვერ შეთანხმებულა ჩვენი ინტელიგენცია? რი-
თი აიხსნება ის სავაგლახო გარემოება, რომ ბევრისთვის აქ
პრობლემა არც კი არსებობს და რომ ქართველ-ინტელი-
გენტების ამ უცნაურ სამწერლო ფერხულის მომხრეთ არც
კი ესმის ის განსაცდელი, რომელიც მოელის ჩვენს ეროვნულ
– კულტურულ საქმეს ამ „გულუბრყვილო“ საზოგადოებრივ
მოღვაწეობის გამო? ყველა ამისი მიზეზი, აშკარაა, უნდა იყოს
ღრმა და რთული-რამ. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად

---

[1]) ეს წერილი დაწერილი 1910 წ. ღვინობისთვეში, პირველად
იბეჭდება ამ წიგნში.



გაუგებარია, – რომ ამოდენა განათლებული ხალხი ასე ყრუდ
ეპყრობოდეს ეროვნულ ინტერესებს და შეგნებულად ძირს
უთხრიდეს ჩვენს ნორჩ, ყველას მიერ დაბრიყვებულ და სასა-
ცილოდ აგდებულ ეროვნულ კულტურას. და აი საქმე სწო-
რეთ ამ ღრმა და რთული მიზეზის გამოძებნაშია. საჭიროა
გამოირკვეს სოციალ-პოლიტიკური ნიადაგი, რომელმაც წარ-
მოშობა ამგვარი მოვლენა. საჭიროა ისტორიული პირობების
გათვალისწინება ჩვენი ინტელიგენციის სულიერ მისწრაფების
გასაგებად.

მოგეხსენებად, რომ ქართველების ერთგულება რუსების
მიმართ ტრიუზმად არის გადაქცეული. 1832 წლის შეთქმუ-
ლობის აღმოჩენის შემდეგ, ეროვნული მოძოაობის ნიშან-წყა-
ლი თითქოს აღარა სჩანს საქართველოში. საყურადღებოა,
რომ სოლომონ დოდაშვილი, აღნიშნულ შეთქმულობის სუ-
ლის ჩამდგმელი, პატიების შემდეგ რუსეთის ადმინისტრა-
ციაში სამსახურს არ ჰთაკილობს. საყურადღებოა, რომ დიმი-
ტრი ყიფიანი, გულწრფელი და თავდადებული მამულიშვილი,

ერთგული მსახური იყო მთავრობისა. ამგვარივე ხასიათისა იყო არა ნაკლებ განთქმული გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობა, ერთგულივე და თითქმის რუსიფიკაციის პოლიტიკის მომხრეობით სახელი გაითქვა ჭკვიანმა, ნიჭიერმა, ხოლო ამასთან სრულიად უპრინციპო, „ფრთა-მოტეხილმა არწივმა“ ნიკო ნიკოლაძემ, ოდესღაც რუს-რევოლიუციონერთა წრის თვალსაჩინო წევრმა, დღეს კი რუსულ პოლოტიკურ-სახელმწიფოებრივობის დამცველმა და მოსარჩლე ქართველმა საზოგადო მოღვაწემ. და საყურადღებოა, განსაკუთრებით ის, რომ ჩვენი საუკეთესო პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართველ ახალ კულტურის მოამაგე, გულ-შემატკივარი და მოსარჩლე, დიდბუნებოვანი პიროვნება, ილია ჭავჭავაძე, ამაყობდა თავის ერთგულობით და საჯაროთაც ამჟღავნებდა თავის ლოიალურ გრძნობებს. ამ სტრიქონების დამწერს ერთ საუბრის დროს ეუბნებოდა განსვენებული ილია. – ახალმა თაობამ კარგად უნდა დაინახომროს ერთი რამ. ჩვენ უნდა ვიყვნეთ მომხრენი მონარქიულ პრინციპისა. რუსეთის იმპერატორი ამავე დროს ქართველთა მეფეა. 1783 წლის ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველო რუსეთს შეუერთდა, რუსეთის მონარქთან გვაქვს დადებული. თუ გინდათ, რომ ჩვენს უფლე-



ბათ ისტორიული მნიშვნელობა არ დაეკარგოსთ, ხელუხლებელი და პატივსაცემი უნდა იყოს თქვენთვის მონარქიული პრინციპიო. ამ თვალსაზრისის წყალობით ილია ჭავჭავაძე მართალია მოსმხრე იყო საქართველოს ავტონომიისა. ხოლო ამ ავტონომიის დამკვიდრებას ტახტისაგან მოელოდებოდა. ამ მიმართულებისა იყო ერთი რიგი ჩვენის საუკეთესო მოღვაწეებისა.

გადახედეთ ახლა ინტელიგენციის მეორე რიგს – ქართველ ძველ რევოლიუციონერებს ნაროდოვოლცებს“ და „ნაროდნიკებს“ და ახალ სოციალისტ-რევოლიუციონერებს და სოციალ-დემოკრატებს. ქართველი-ნაროდნიკები[1]) ხომ სახელით იყვნენ ქართველები, ნამდვილად კი ქართველ ხალხისათვის მათ არაფერი არ გაუკეთებიათ[2]). უმეტეს ნაწილად ისინი საქართველოში არც კი მუშაობდნენ. თავიანთი ძალ-ღონე და სიცოცხლე შესწირეს მათ (1860-1870 წლებში) რუსულ საქმეს: რუსეთს რევოლიუციას. ჩვენი დროის რევოლიუციონერები ჩვენს ხალხს, მართალია, უფრო დაუახლოვდნენ, განსაკუთრებით, სოციალდემოკრატები. ხოლო მათაც არავითარი საკუთარი ეროვნული პროგრამა არა ჰქონდათ. მათი სამოქმედო პროგრამა იყო რუსულ პარტიების სამოქმედო პროგრამა.

სრულიად განცალკევებულად სდგას ჩვენში ის ჯგუფი, რომელმაც წამოაყენა ჩვნში ეროვნული საკითხის პოლიტიკუ-

რი პრობლემა. ხოლო ამ ჯგუფს ჯერ ხანობით არ მოუპოვე-
ბია მის ნამდვილ ღირსების და დამსახურების შესაფერი მნი-
შვნელობა. ესეც საყურადღებოა... ჩაუფიქრდეთ ყველა ამას
და უნებლიეთ დაგებადებათ შემდეგი აზრი: ქართველი ინტე-
ლიგენცია რუსეთისადმი ლოიალიზმით არის გამსჭვალული.
ინტელიგენციის ერთის ნაწილის ლოიალიზმი რუსეთის ტახტი-
სადმი არის მიმართული, ხოლო ინტელიგენციის მეორე ნაწილის
ლოიალიზმი რუსეთის ხალხისადმი. ორთავესათვის არ არსებობს
დამოუკიდებელი პოლიტიკური პროგრამა, შემუშავებული ადგი-
ლობრივ საჭიროებათა მიხედვით. და მაშინ, როდესაც ერთნი ტახ-
ტისადმი ერთგულობის საშუალებით ცდილობენ ემსახურონ ქარ-

---

[1]) სახეში მყავს ის პირნი, რომელნიც რუსულ „ნაროდნიკულ“ პროგრამას აღიარებდნენ და რუსეთთან ერთად მუშაობდნენ ამ პროგრამის მიხედვით.

[2]) მცირედის გამონაკლისით. იხ. წერილი „ოთხმოციანნი და ოთხმოცდაათიანნი“ 1911 წ. **ავტორი**



თველ ხალხს, მეორენი იმავ ხალხის კეთილდღეობას ერთა სწორ-
უფლებიანობის ნიადაგზე კი არ ამყარებდნენ, არამედ უსისხლ-
ხორცო და უშინაარსო განყენებულ სოლიდარობის ნიადაგზე.

სად უნდა ვეძებოთ სათავე ქართველ ინტელიგენციის ამ-
გვარი სულიერ განწყობილების ასახსნელად? ისტორიულ წარ-
სულოში, რა თქმა უნდა. ბიზანტიის დამხობის შემდეგ, საქარ-
თველს გარს ეხვია ორი ძლიერი მტერი – ოსმალეთი და
სპარსეთი. ოსმალეთის გამოსვლამდე ისტორიულ ასპარესზედ
ქართველ ხალხს მუდამ ჟამს ჰქონდა შეტაკება ირან-მუ-
სულმანთა ქვეყნებთან. არაბებისაგან და სპარსელებისაგან ბევ-
რი რამ გადმოეცა საქართველოს. ირან-მუსულმანთა კულ-
ტურის ნაკადი ფრიად თვალსაჩინო იყო ჩვენს ეროვნულ
ცხოვრებაში. მაგრამ იმავ ცხოვრებაში სხვა ელემენტებსაც
ჰქონდათ ადგილი. ბიზანტიის საშუალებით გადმოგვეცა, ერ-
თის მხრივ ელინური სული და მწერლობა (ნეო-პლატონიზ-
მი), მეორეს მხრივ კი, ამავ წყაროდან ჩვენს ქრისტიანობას
ეძლეოდა დიდი სულიერი საზრდო. ამ ორ გავლენათა შო-
რის ქრისტიანულ-ბიზანტიურმა ელემენტმა სძლია ჩვენს
კულტურაში ირან-მუსულმანთა ელემენტს. ამიტომ ბიზან-
ტიის დამხობის შემდეგ ქართველთა თვალი მოსკოვისაკენ იყო
მიმართული. იქ ეძებდნენ ქართველი მეფეები და საზოგადო
მოღვაწენი საბოლოვო ხსნას ირან-მუსულმანთა გავლენისა-
გან. საქართველოს წინაშე იდგა პრობლემა. მას უნდა ან
სპარსეთი, ან რუსეთი აერჩია თავის მფარველად და მანაც
აირჩია რუსეთი. ქართულ ლოიალიზმის დასაბამი აქედან იწყება.

მოსკოვის მთავრები და მეფეები ეფერებოდნენ ქართველებს, ანუგეშებდნენ მათ, საჩუქრებს უგზავნიდნენ ქართველ მეფეებს. ხოლო როდესაც რუსეთი იმპერიად გადაიქცა, ინტერესი საქართველოსადმი უფრო გაცხოველდა, რადგან ახალ იმპერიას კასპიის იქით მხარესაკენ ეჭირა თვალი და მისთვის საქართველო შეუდარებელ ბაზად ისახებოდა სპარსეთთან ბრძოლის დროს. ბოლოს, როგორც მოგეხსენებათ, რუსეთის მთავრობამ შეისმინა თხოვნა ქათველ მეფის ირაკლისა და ჯერ, სანამ ზურგს მოიმაგრებდა ჩვენს ქვეყანაში, ხელშეკრულება დასდო მასთან (1783 წელს), ხოლო შემდეგ, როდესაც დარწმუნდა ჩვენს სისუსტეში და თავის ძლიერებაში, (1801 წელს) ეს ხელშეკრულება დაარღვია და მთელი მეცხრამეტე



საუკუნე იყო გამტკიცება იმ რეჟიმისა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა, როგორც ამ ხელშეკრულებას, ისე ქართველების საუკუნოებით შემუშავებულს და შეზრდილს მისწრაფება-იმედებს.

ამგვარად ქართულ ლოიალიზმს ისტორიული საფუძველი ჰქონდა. ისტორიულმა პირობებმა გამოიწვიეს იგი. ხოლო ისტორიული პირობებივე სპობდნენ მას. თუ ერთ დროს ერთგულების პრინციპს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ამ ერთგულების საშუალებით უნდა განხორციელებულიყო საქართველოს იმედი დამოუკიდებელ ეროვნულ კულტურის განვითარებისა, შემდეგში ამ პრინციპს სრულიად უნდა დაჰკარგოდა რაიმე ღირებულება, რადგან ერთგულება, მიზანს არ აღწევდა და ჩვენს მდგომარეობას არ აუმჯობესებდა.

ამბოხებანი და შეთქულებანი მე-XIX საუკუნის დასაწყისში მოწმობენ, რომ იმ ხანაში საუკეთესო მამულიშვილებს ეს აზრი კარგად ჰქონდათ შეთვისებული. მხოლოდ აშკარაა, რომ შემდეგში, იმ ხანაში, როდესაც ჩვენ დაგვებადა ინტელიგენცია და ამ ინტელიგენციამ იწყო საზოგადო ასპარესზე მოქმედება, ყოველივე ეს დავიწყებული იქმნა და ძველი გრძნობები და მისწრაფებანი, რომელნიც განსაკუთრებულ პირობებში იშვნენ და წარმოიშობნენ, ისევ რაღაც ატავისტიურის ძალით გამოცოცხლდნენ ქართველ ინტელიგენციის გულში.

წინად იდგა პრობლემა, ან გამუსულმანება, ან მფარველობა რუსეთისა. ახლა წარმოიშვა ახალი ზრუნვა და ახალი ფიქრი – ან გათქვეფვა სლავიანთა ზღვაში და შთანთქმა საქართველოსი რუსეთის მიერ, ან ეროვნულ კულტურის განვითარება და დაცვა ცენტრალურ მთავრობის წინააღმდეგ. წინად რუსეთის იმედი გამომდინარეობდა რეალურ პირობებისაგან. ახლა იმავ რუსეთის იმედი არავითარი რეალური პირობებისაგან აღარ გამომდინარეობს. ინტელიგენცია კი ისევ

ძველ ლოიალურ გრძნობებით არის გამსჭვალულთ. და ეს ლოიალიზმი, რიდე მოფარებული და უჩინარი ლოიალიზმი, რადიკალურ ინტელიგენციის ელემენტებსაც კი ახასიათებს.

და სწორეთ აქ უნდა ვეძებოთ ის მიზეზი, რომ ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფები ერთი მეორეს ასწრობენ და ცდილობენ პრესის საშუალებით განიმტკიცონ და გააცხოველონ ძველი ფორმულები, რომელთაც ყოველი აზრი და მნიშვნელობა დაეკარგათ. მართალია აქ ცხადი წინააღმდეგობაა,



აქ პოლიტიკური დაბრმავებაა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ არც ამ წინააღმდეგობის დანახვა შეუძლია ინტელიგენციას, არც პოლიტიკურ კურსის შეცვლა. ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილი დენაციონალიზაციის სისტემის ნაყოფია. იგი შეუგნებლივ ეხმარება პოლიტიკას, რომლის წინააღმდეგ ვითომდა ბრძოლა უნდა და მას არ ძალუძს დანახვა უფსკრულისა, რომლის სიახლოვეს სდგას, რადგან მან უკვე გასწყვიტა კავშირი როგორც საქართველოს ისტორიულ იმედებთან, ისე ეროვნულ კულტურასთან.

ტფლისში არსებული სამი რედაქცია – „ნოვაია რეჩი“, „ზაკავკაზკოე ობოზრენიე“ და „ზაკავკაზიე“ თავდაპირველად ამ ნიშნებით დახასიათდებიან. თვითვეულ რედაქციას ჰგონია, რომ სწორეთ ისა სდგას ნამდვილ გზაზედ და რომ სწორედ მისი არსებობა და დღეგრძელობა ესაჭიროება დღეს საქართველოს. ნამდვილად კი სამივე გაზეთი ერთნაირად მავნებელნი არიან და მათ შორის საერთო გაცილებით მეტია, ვიდრე განსხვავება. თვითვეულ რედაქციას აქვს იმედი, მთავრობას გავაგებინებ ჩვენს საჭიროებას, მთავრობაზე ვიქონიებ ზედ-გავლენას და მით მოვიხდი ჩემს ვალს ქვეყნის წინაშეო. სამსავე რედაქციას ახასიათებს ლოიალიზმი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთის ლოიალიზმი კონსერვატიულია, მეორეების კი თითქოს ლიბერალურ-დემოკრატიული.

საყურადღებოა, რომ სამივე რედაქცია ერთ წყაროდან და ერთ წრიდან წარმოსდგა. რევოლიუციის დროს 1905 წ. დაარსდა გაზეთი „ვოზროჟდენიე“, რომელსაც პირველ ხანებში საკმაო გავლენა ჰქონდა საზოგადოებაში. „ვოზროჟდენიეს“ გავლენა აისხნებოდა იმითი, რომ მას ერთი განსაზღვრული მისია ჰქონდა ასასრულებელი – გაერთიანება მთელი ოპოზიციისა არა მარტო პარტიულ პროგრამების მიხედვით, არამედ სხვა და სხვა ეროვნულ ინტერესების მიხედვიდაც. „ვოზროჟდენიე“ უნდა გამხდარიყო კავკასიის რევოლიუციონერთა და დემოკრატთა თავისუფალ ტრიბუნად და რუსეთის რევოლიუციასთან შუამავლად. როდესაც გამოირკვა, რომ ამ

მისიას გაზეთი ვერ აასრულებს და რომ შეუძლებელია გაერ-
თიანება იმ ელემენტებისა, რომელთაც თვითვეულად არ გა-
მოუსახავსთ ჯერ თავიანთი ფიზიონომია და ვინაობა, იმ
წამსვე „ვოზროჟდენიეს“ მნიშვნელობა და გავლენა გაიქარ-



წყლა. ამ გაზეთს გარს დასტრიალებდნენ განსაკუთრებით ქარ--
თველი პუბლიცისტები, რომელნიც უფრო რუსეთთან საერ-
თო კითხვებს უსვამდნენ ხაზს, ვიდრე არკვევდნენ ადგილობ-
რივ პოლიტიკურ პრობლემებს. ესენი იყვნენ რუსეთისადმი
ლოიალიზმით გამსჭვალული ლიბერალ-დემოკრატები. ეს
ახალ ქურქში გამოწყობილი ძველი ნაცნობი ინტელიგენციაა,
რომელიც ჯერ არ მომწიფებულა საკუთარ პოლიტიკურ ფო-
რმულების აღიარებისათვის და რომელსაც თავი შეუფარებია
ფართო და საყოველთაო ლოზუნგების ფრთეთა ქვეშ. ესენი
იყვნენ დენაციონალიზაციის სისტემაში გამოჩეკილი ბარტყე-
ბი. და რევოლიუციის ხანაში ჯერ კიდევ არა სჩანდა ის,
რაც გამოაშკარავდა შემდეგში. არა სჩანდა რომ გაერთიანე-
ბის საქმეს (ეროვნებათა შორის, გინდ რუსეთთან გაერთიანე-
ბის საქმეს) ხელს ვერ შეუწყობენ ეროვნულად გადაგვარებუ-
ლი ჯგფები.

დადგა სხვა დრო. ლიბერალ-დემოკრატიულ ინტელიგენ-
ციას ფრთები შეეკვეცა. დაწყნარდა არე-მარე. დაცხრენ აღ-
ზნებული გრძნობანი და ჩაიფლნენ გულში ბრწყინვალე იმედე-
ბი. რევოლიუციის ტალღა სადღაც მთას იქით გადაგორდა.
ნელ-ნელა ნაჩვევმა გრძნობებმა და აზრებმა იჩინეს თავი.
დაიწყო პროცესი, ერთის მხრივ, უკან დახევისა, მეორეს მხრივ
დიფერენციაციისა.

თავდაპირველად თავად-აზნაურთა ჯგუფმა ამოჰყო თავი.
თავად-აზნაურული ინტელიგენცია რევოლიუციის დროს ეკე-
დლებოდა როგორც „ვოზროჟდენიეს“ ისე სხვა პოლიტიკურ
მემარცხენე ჯგუფებს. ეხლა მას თავისი ახლო წარსულის მო-
გონება ეჯავრებოდა. ამ წრეში სათავეში მოექცნენ ისინი,
ვინც წინად, ავტონომიის შესახებ პეტიციის აღძვრის ხანაში,
უმცირესობას შეადგენდნენ. აქ ნელ-ნელა ყოველივე „გატა-
ცება“ და „შეცდომა“ დავიწყებული იქმნა და მე-XVI-ე საუ-
კუნის გრძნობები და მისწრაფებანი აღორძინდნენ და გამო-
ცოცხლდნენ. საყურადღებო ის არის, რომ ეს ჯგუფი არამც
თუ მამულის-შვილობაზე არ იღებს ხელს, პირ-იქით ამ მამუ-
ლის-შვილობას უნდა ემსახუროს საშუალო საუკუნოების ფორ-
მულების გამოცოცხლებით. და სხვანაირად არც შეიძლება
რომ იყოს. ამ ჯგუფის წარმომადგენელნი დღეს „ზაკავკა-
ზიეს“ გამომცემელნი, თავიანთი სოციალურის მდგომარეო-

ბით ვიწროდ არიან დაკავშირებულნი არსებულ პოლიტიკურ მმართველობასთან. ამ ჯგუფის დევიზია ყურმოჭრილი ერთგულება და ნაცვლად ეროვნული კეთილდღეობა – ფორმულა, რომელსაც აღარავითარი რეალური შინაარსი აღარა აქვს. მიუხედავად ამისა დღეს ეს ჯგუფი დანარჩენ ჯგუფებზე უფრო გავლენიანია და მის პრაკტიქულ მოქმედებას ჩვენთვის რამდენიმე საუკუნით უკან დახევას მოასწავებს.

ინტელიგენციის სხვა ნაწილებიც იცვალნენ. დღეს ამ ინტელიგენციას ორი გაზეთი აქვს. გუშინ ესენი ერთად იყვნენ. რა მოხდა, რატომ გაიყარნენ? არსებითად, არაფერი. ორსავე ჯგუფს ახასიათებს უკბილო ლიბერალიზმი და იგივე გადაბირებული ლოიალიზმი. აქ ლოიალიზმს თითქოს ტახტისაკენ არ აქვს მიმართული სახე, ნამდვილად კი ძველი ფორმულა აქ მოკაზმულია ახალს ფრაზებში. ხოლო დრო გამოშვებით კი არც ამ ფრაზებს იშველიებენ. (მოიგონეთ ეგზარხოსის მოსვლის შესახებ წერილები „ნოვაია რეჩში“ და კავკასიის ეხლანდელ მმართველის მოსვლის გამო „ზაკავკაზკოე ობოზრენიეში“). ნაცად საუკუნოებით განცდილ აზროვნების ჩვეულებას დიდი ძალა ჰქონია და მას არ ეკარგება თურმე ცხოველმყოფელობა მაშინაც კი, როდესაც სოციალ-პოლიტიკური წრე მას აღარავითარ მასალას აღარ აძლევს.

მართალი გითხრათ, თავად-აზნაურული ლოიალიზმი მირჩევნია ამ თვალთმაქცს, გამხრწნელ ლიბერალიზმს, რომელშიაც კოსმოპოლიტურ და ინტერნაციონალურ მისწრაფებებთან გვერდით მონურ და დახავსებულ სულიერ ფსიხიკას აქვს ადგილი. თავად-აზნაურული კონსერვატიული ლოიალიზმი ეროვნულად ბრმა, ხოლო წოდებრივად ანგარიშიანია. გადაგვარებულ ინტელიგენციის ლოიალური ლიბერალ-რადიკალობა კი გულშემზარავი უილაჯობა და უძლურებაა.

აი რა არის და რას მოასწავებს რუსულ პრესის გამრავლება და ფესვის მოკიდება ჩვენს ცხოვრებაში. ეს ის მოვლენაა, რომლის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლაა საჭირო. არსებული ქართული ჯგუფები, მათ შორის სოციალ-დემოკრატებიც, საკმარის ძალას მოიპოვებენ ამ უკუღმართობის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის. ს.-დემოკრატები, რომელნიც არც ავტონომიას აღიარებენ, და რომელთაც არ სწამთ „ქართული პოლიტიკა“, მაინც ახლო დგანან ქართულ ეროვნულ



ინტერესებთან, რადგან ავად თუ კარგად ისინი მოქმედებენ

ქართულს წრეში, ქართველ ხალიხთან აქვთ კავშირი, ქართულ სიტყვიერებას და მწერლობას ანვითარებენ და მით ამაგრებენ და ამტკიცებენ ეროვნულ კულტურას. ხოლო როდესაც ქართულ ნიადაგზე მომქმედ ჯგუფთა შორის გაიზრდება ეროვნულ ძალთა კონცენტრაციის საჭიროების შეგნება და მის მიხედვით თვით-მომქმედ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მკვიდრი საფუძველი დაედება, მაშინ მოეღება ბოლო აღნიშნულ სავაგლახო მოვლენას და მხოლოდ მაშინ განიკურნება სავსებით ჩვენი ავადმყოფი საზოგადოება.

## V

## პრესა და საზოგადოება.

1910 წ.

პოლიტიკის „ძველი სეზონი“ გათავებულია. როგორც სჩანს, მისტიკურ ფილოსოფიისადმი ინტერესიც განელდა საზოგადოებაში. სინემატოგრაფი ყველას მოსწყინდა, სამაგიეროდ გაღვივდა სიყვარული „სკეტინგ რინგებისა“ და ავიაციისადმი. ავიაცია, სერიოზული საქმეა, ხოლო საზოგადოება ეკიდება მას ისე, როგორც ეკიდებოდა სქესობრივ პრობლემას, ან თუნდ პოლიტიკურ მიტინგებს. თავი და თავი საქმე სულიერ მღელვარების გამოწვევაშია, თავდავიწყებამდე სენსაციით და არა-ჩვეულებრივი რამეთი გატაცებაა. საქმე იმაშია, რომ ადამიანს დღიურ სიცოცხლის ერთფეროვნება ეჯავრება და სწყურია ილიუზია. ამიტომ გუშინ იგი მზად იყო „აბსოლიუტებში“ ჩაეფლა თავისი თავი, დღეს მზად არის უსაზღვრო ჰაერში ფრენის ცქერით აღაფრთოვანოს თავისი მიძინებული არსება. მაგრამ ავიაცია მუდმივი გასართობი არ არის და დაღონებული ადამიანი მიადგა უზარმაზარ ელექტრონით განათებულ „სკეტინგებს“, სადაც მუსიკალური მელოდიების აყოლებაზე ტანის რითმიული რხევით ლაღობს და სტკბება ადამიანი და პლასტიკური მოძრაობის და ცეკვაობის შემწეობით თითქოს ბაქხიურ სულის განწყობილებას იღვიძებს გულში.

ყველა ამას, ცხოვრების ზედა-პირულ მხარეს, ქართული პრესა თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ამ მხრივ



ჩვენი პრესა რიგორიზმით არის გამსჭვალული. პრესის ყურადღება უფრო ღრმა და უფრო დიდს კითხვების გარშემო ტრიალებდა. მაგრამ სავაგლახო ის არის, რომ საზოგადოებას ეს

ღრმა და დიდი საკითხები აღარ აინტერესებს. მას სხვა რამეზე უჭირავს თვალი, ხოლო ქართულმა პრესამ (მცირედის გამონაკლისით) სთქვა უარი საზოგადოების „გართობის“ საქმეში მონაწილეობის მიღებაზე. და აღმოჩნდა სამწუხარო მდგომარეობა. ერთის მხრივ, ქართული პრესა, ვალდებულობის პრინციპზე აღზრდილი და მცველი თავის პრინციპიალურ პოზიციებისა და იდეალებისა, მეორეს მხრივ, ყველა ამისადმი გულგრილი საზოგადოება. ერთის მხრივ მსხვერპლი – (ეხლანდელ დროში პრინციპის დაცვა მსხვერპლს იწვევს), – მეორეს მხრივ, სრული აპატია ამ მსხვერპლად შეწირულ ხალხისადმი. ერთის მხრივ, მედგარი მებრძოლი სული, სიმტკიცე ეროვნულ ინტერესების დაცვაში, მეორეს მხრივ კი, „სკეტინგში“ მოსიარულე საზოგადოება. და მაშინ, როდესაც ერთნი, განურჩევლად მიმართულებათა, ხალხის, სამშობლოს და კულტურის გულისთვის თავს სწირავენ, მეორენი, მხრების აწევით და მთქნარებით შეპყრობილნი, დაცინვით იხსენიებენ უგუნურთ“. და დღეს ჩვენებური მკითხველი ისე კითხულობს ქართულ გაზეთს, როგორც შეგირდი კითხულობს მძიმე და მოსაწყენ გაკვეთილს ან დამნაშავე ფურცელს, სადაც მისი სიკვდილით დასჯის განაჩენი ეწეროს. დარდი და პრობლემა მოწყენილი აქვს, ქეიფი და სიამოვნება სწყურია და ამ უცნაურ პრესაში კი არც ქეიფი, არც სიამოვნება არ არის.

მართლაც, დააკვირდით, რა აინტერესებს ჩვენს საზოგადოებას, რითი სცოცხლობს და სულს იბრუნებს იგი. თითოოროლა ნაცნობს კი ნუ იგონებთ, რომელნიც საზოგადოებრივ საქმეებში არიან გართულნი; გადახედეთ საზოგადოების დიდ წრეს. ამ წრეს თითქოს ერთად-ერთი საზრუნავი ჰქონდეს, – მას უნდა ცხოვრების სუფრაზედ უდარდელად წამოსკუპვა. აქ ამ წრეში ოჯახური და პირადი ბედნიერების დარდი და სურვილი ჰბატონობს. აქ აუარებელი რიცხვია იმ დედ-მამათა, რომელნიც წელებზე ფეხს დგამენ, წვალობენ, გზავნიან თავიანთ შვილებს უმაღლესს სასწავლებელში მხოლოდ ერთის მოსაზრებით, რომ მათმა შვილებმა საპატიო ადგილები დაიჭირონ საზოგადოებაში, შემოსავლიანი სამსახუ-



რი იშოვონ, ტკბილ და უდარდელ ცხოვრების მოსაწყობად. აქ აუარებელი რიცხვია უკვე ფეხზე დაყენებულ და გზაზე დამდგარ ახალგაზდებისა, რომელნიც თავიანთ დედ-მამის ფილოსოფიას ზედ-მიწევნით ანხორციელებენ. განა საყურადღებო მოვლენა არ არის ის გარემოება, რომ შარშან ტფილისის ქართულ გიმნაზიაში 38 კაცმა დაამთავრა სწავლა და ამ რიცხვიდან 18 ახალგაზდა შევიდა სამხედრო სასწავლებელში.

გაჭირვებამ აიძულაო. საქმეც სწორედ იმაშია, რომ გაჭირვებიდან თავის დაღწევის გულისათვის და პირადი და ოჯახური ბედნიერებისათვის მსხვერპლად იწირება ყოველივე, რასაც ფასი და ღირებულება აქვს. და რატომ უნდა იყოს გასაკვირველი, რომ ამ საზოგადოებაში ყველას ტრფობასა და სიამოვნებისაკენ უჭირავს თვალი, და, რომ აქ ზოგს ქმართან გაყრა სწადია (თავისუფლების გულისათვის, რასაკვირველია[1]) ზოგს სხვის ცოლთან დამეგობრება (ორ მსგავს სულთა დამეგობრება!), ზოგი პოლიგამიისა და ზოგი პოლიანდრიის გამობრუნების საქმეს ემსახურება. და რა გასაკვირველია, რომ ამ საზოგადოებაში ქართულ პრესას არავითარი გასავალი არ აქვს. კიდევაც რომ იყოს ამ წრეში შერჩენილი ქართული ენა, მაინც არ ექნებოდა გასავალი. მაგრამ არა აქვს გასავალი ამ პრესას არც ქართულ ინტელიგენციის ფართო წრეებში. შინაურობაში ლაზღანდარაობასა და უწმაწურობას მოყვარე ინტელიგენტი, აიღებს თუ არა ხელში ქართულ გაზეთს, ან წიგნს, იმწამსვე იცვლის გუნებას, შუბლსა ჰკრავს და კატონისებურად დაჰყურებს ქვეყანას. გადაავლებს თვალს ფურცელს და სამგლოვიარო სულის განწყობილებით შეპყრობილი, მიაგდებს იქით.

და საქმე ისე მოეწყო ჩვენში, რომ ქართული გაზეთი – მუშის თუ მიწის საკითხი, გინდა მამულიშვილობის პრინციპი ერთ კატეგორიათა მოვლენათა რიცხვში ჩამოყალიბდა; მეორე კატეგორიის მოვლენას კი წარმოადგენს საზოგადოება თავის საკუთარის ეგოისტურ ინტერესებით, სტუმარ მასპინძლეობით, არშიყობით, გასართობებით და კეკ-ვოკებით. და რაც დრო და ხანი მიდის, ეს განხეთქილება ქართულ პრესსასა და საზოგადოების შორის უფრო ღრმავდება და უფრო თვალსაჩინო ხდება. მართალია, ამ პრესას თავისი საკუთარი მკითხველი ჰყავს და იგი მაგრად არის დაკავშირებული თავის სა-



კუთარ საზოგადოებასთან, ახალ ეროვნულ საზოგადოებასთან, რომელიც, მიუხედავად ყოველგვარ დამაბრკოლებელ პირობებისა, მაინც გამოვიდა საქვეყნოდ, ჰსურს სიცოცხლე და დღეგრძელობა. ხოლო დღეს ეს ჯერ კიდევ ნორჩი საზოგადოება პატივში არ არის, დაჩრდილული, უკანა რიგში მიგდებულია. და ამიტომაც არის, რომ ქართულ პრესასაც, ამ საზოგადოების გულშემატკივარს, წარბები შეკრული აქვს და მას არა სცალიან არც სიცილისთვის, არც ხუმრობისთვის, არც გართობისთვის. ახალგაზდა პოეტების ლექსები რომ არ მიიღოთ მხედველობაში, აქ ყველგან და ყოველთვის ვალდებულება, პრინციპი და პრობლემაა წამოყენებული. და მოდი და წა-

აკითხე ეს პრესა იმ საზოგადოებას, რომლის ყურადღება უფ-
რო ველო-იპო და აერო-დრომებისაკენ არის მიპყრობილი.
დიაღ, ჩვენი ეროვნული სხეული ღრმად არის დასნეულებული!
იკითხავთ, ვისი ბრალია ყოველივე ეს? პრესამ ვერ შეიგ-
ნო საზოგადოების ჭირ-ვარამი, თუ საზოგადოებას დაეკარგა
უნარი ცხოვრებაში დაკვირვებისა? ვინ რას დაჰშორდა, პრესა
საზოგადოებას, თუ საზოგადოება პრესას? და ამგვარად დააყე-
ნებთ თუ არა საკითხს, იმწამსვე ნათელი გახდება თქვენთვის
პასუხიც. ერთი რამ არის უცილობელი. განურჩევლად მიმარ-
თულებისა და სოციალურ პოზიციებისა, ქართული პრესა
ქართულ სხეულის ფარგალში ტრიალებს, იგი ემსახურება სხვა
და სხვა გზით ერთ საქმეს – ქართულ კულტურის აღორძინე-
ბას. ქართველი საზოგადოებისათვის კი ეს კულტურა არავითარ
სანუკვარს და სატრფიალო საგანს არ წარმოადგენს. მოხდა გა-
თიშვა და ღრმა წინააღმდეგობა ერთსა და მეორეს შორის.
აქედამ გამომდინარეობს დაშორება პრესისაც ქართულ საზო-
გადოებისაგან. ერთს მეორისა აღარა ესმის რა. ეს ორი ბანა-
კია, ორ ენაზე მოსაუბრე, ორის გზით მოსიარულე. ეს ორი
გზა ერთმანეთს არც ერთ მომენტში და არც ერთ ადგილში
არ უერთდება. ვინც მათ დაადგება, ისინი საბოლოვოდ განი-
ყრებიან, თუ ამ ორ ბანაკს მეგობრული შეხვედრა სწადია,
ამისათვის საჭიროა ერთ-ერთის მხრივ უკან დაბრუნება იმ ად-
გილამდე, სადაც იყრებიან გზები და ერთი საერთო სავალი
გზით სიარული. ქართული პრესა ამას არ იზამს, რადგან მისი
არსებობა დაკავშირებულია თვით ქართველი ხალხის არსებო-
ბასთან და ზრდა განვითარებასთან. შესძლებს თუ არა ამ საქ-



მეს ქართველი საზოგადო-ება6/ შესძლებს მხოლოდ იწ შემთხვე-
ვაშო თუ რადიკალური ცვლილება მოხდა წის წრეში. ამ
ცვლილებას არსებული საზოგადოება თავის საკუთარის ინი-
ციატივით ვერ მოიხდენს. ა№4: საჭიროა ახალი ელემენტები, ახა-
ლი ძალები,ახალი საშუალიებანი. ქართველი ხალხი თავის გან-
ვითარების პროცესში ჰქმნის ამ ახალ ძალებს დპ ახალ ელთე-
მენტებს

## VI

## მ უ ს ა ი ფ ი.

### ქალია-ადამიანი?!

1910 წ.

მეგობართან ერთად ტრამვაის ვაგონით მოვდიოდით. ჩვენს პირდაპირ იჯდა ორი ქალი და აუჩქარებლივ მშვენიერის ქართულით მუსაიფობდნენ. თუმცა ქალებს ევროპიულად ეცვათ, მაგრამ ეტყობოდათ, ქალაქში დიდი ხნით ნამყოფნი არ იყვ ნენ – სოფლის იერი ჰქონდათ და ამასთან შეატყობდით, რომ თავად-აზნაურობის წრეს არ ეკუთვნოდნენ. მათი ლაპარაკი არაფრით არ იყო საგულისხმო, ხოლო ისეთი კარგის კილოთი მუსაიფობდნენ, მტკიცედ, ტკბილად და თავისუფლად იზიარებდნენ აზრებს, რომ მე და ჩემი მეგობარი გაშტერებულნი დავრჩით. ტფილისი, ტრამვაი (თითქმის საჯარო მოედანი) ქართველი ქალი, ისიც ევროპიულად ჩაცმული და – ასეთი გაბედული, შეუპოვარი და არა-ჩვეულებრივი რამ – წმინდა ქართული, ძალდაუტანებელი ცქრიალა მუსაიფი.

– მათ ჯერ კიდევ არა სცხვენიანთ! – მითხრა მეგობარმა და მწარე ღიმილით გადმომხედა.

– როგორ, რატომ უნდა სცხვენოდეთ? – დავეკითხე მეგობარს. მეგობარმა თავი დაიქნია და, პატარა ხნის გაჩუმების შემდეგ მითხრა.

– ქართველ ქალს, ძმაო, სცხვენიან ქართულ ენისა. მართალია, ბევრს აღარ ეხერხება, მაგრამ ამათ კი არა რცხვნიათ, არამედ იმათ, ვინც ქართულად ლაპარაკობს და ჯერ კიდევ არ დაჰვიწყებია. ტფილისში, მაგალითად, სადაც ქართული პატივში აღარ არის, ქართველ ქალს ხმას ვერ ამოაღებინებ და ვერ აალაპარაკებ ქართულად. მაღაზიაა, ტრამვაი, თუ ქუჩა, ყველგან რუსულად ტიტინებენ. და იცი რატომ



რცხვენიათ ქართულისა, რომელიც ყველას მიერ დაბეჩავებულია?

– რცხვენიათ-კი არა, – გავაწყვეტინე მეგობარს, – არ იციან, გაჩვეულნი არ არიან.

– რცხვენიათ-მეთქი! – ჯიუტობდა ჩემი მეგობარი. – ყური დამიგდე, რაშია საქმე.

– ქალი, ძმაო, განსაკუთრებული არსებაა. ქალი ფაქტიურ სინამდვილის მოტრფიალეა, ძალისა და ყოველგვარ უპირატესობის თაყვანისმცემელია. ძალას და ფაქტს ქალი სამართალზე და სინიდისზე მაღლა აყენებს. ათასჯერ მართალი იყავი, მაგრამ თუ სუსტი ხარ, ძმავ, ქალი ზურგს მოგიბრუნებს. ანდა, ნახე, რა ნაირად გადაბმულია ქალის ამგვარი სულიერი თვისება ჩვენს მდგომარეობასთან. როდესაც საბოლოოდ გამოირკვა, რომ ქართველი ადამიანი ნაცარქექიაა და სხვა არაფერი და, რომ ვინგინდარას შეუძლია მასზე ბატონობა, იმ დროიდამ ჩვენ დავკარგეთ ქალი, ოდესღაც სიმტკიცით და

გულშემატკივრობით ცნობილი ქართველი ქალი. ხომ გახსოვს, ერთ-ერთმა დედოფალმა რომ სასიკვდილოდ დასჭრა ხანჯლით გენელალი ლაზარევი, რომელსაც ამ დედოფლის დატყვევება და რუსეთში გაგზავნა ჰქონდა ნაბძანები. იმ ხანში, ძმაო, ჩვენი ნაცარ-ქექიაობა ჯერ კიდევ ნათლად გამოსახული არ იყო. უბედურობას განვიცდიდით, მაგრამ ჯერ კიდევ რიღაცის იმედი გვქონდა. და ჩვენი ქალი ჩვენს გვერდით იყო. ახლა სხვაა. ახლა ყოველივე ნათელია და ქალიც არ შეგვრჩა ხელში. ქალმა გვიღალატა. შერცხვა თავის ვინაობისა და გულში გადასწყვიტა: ვემორჩილები ახალს წესს. აქ ძალაა, აქ სიმტკიცეა, აქ ყოველივე გარკვეულია და ეს სასარგებლოც არისო. შენ არ იცი, ძმაო, რანაირად აფასებს ქალი სარგებლობას და ნივთიერ ჭარბობას.

– აბა, რას მეუბნები, – კიდევ გავაწყვეტინე სიტყვა მეგობარს, – ქალი, პოეზით აღსავსე არსება და ანგარიში, – ამაში ვერ დაგეთანხმები! დიაღ, პოეტური არსება, რომელიც გავაღმერთეთ, რომელსაც ჰიმნს ვუგალობებთ და აღფრთოვანებულ ლექსებს ვუძღვნით, ეს მშვენიერი, წარმტაცი, საიდუმლოებით აღსავსე არსება, ანგარებით არის გამსჭვალული. ქალს, ძმაო, უყვარს აბრეშუმი, ხავერდი, ყინვარ-შაქარი, უყვარს ყოველივე ლამაზი ხელშესახები და ტკბილი სასუნს-



ლავი საგანი. მამაკაცი საგნის აზრს ეტრფიალება. ქალი თვით საგნის და ნივთიერების მოტრფიალეა. პოლიტიკაშიაც ამგვარია. როდესაც გამორკვეულია, რომ სხვა გზა არ არის, ქალი ემორჩილება არსებულ წესს. დამორჩილება უფრო სასარგებლოა. თუ შვილები ჰყავს შვილების გულისათვის და მათს **ფიზიკურ** (ფიზიკური სიცოცხლე განსაკუთრებით არის ძვირფასი ქალისათვის), უზრუნველყოფისათვის სასარგებლოა, თუ შვილები არა ჰყავს და არც უნდა რომ ჰყავდეს, სასარგებლოა პირადად მისთვის, რადგან სოციალური მყუდროება, თუნც ძალ-დატანებითი, მეტ შემთხვევას აძლევს პირადი სიამოვნებისათვის, ვიდრე შფოთი და დაუდგრომელი წყობილება...

ამ ლაპარაკში ტრამვაი ბინაზე მივიდა. ჩამოველით და ნელის ნაბიჯით გავისეირნეთ ვაკესაკენ, სადაც, ქართულ გიმნაზიის იქით, ჯერ კიდევ დაუსრულებელი მინდორი იშლება. არ ვეთანხმებოდი ჩემს მეგობარს, პარადოქსად მეჩვენებოდა მისი ფილოსოფია – მაგრამ სიამოვნებით ვუგდებიდი ყურს, რადგან თვით სალაპარაკო საგანი მაინტერესებდა. ჩვენ, ქართველები, ქალის შესახებ არასოდეს არ ვლაპარაკობთ სერიოზულად. უმეტეს შემთხვევაში ვლაზღანდარაობთ. და, თუმცა ჩემს მეგობრის სიტყვებში ბევრი რამ იყო დაუსაბუთებელი,

მაგრამ კილო კი სერიოზული ჰქონდა და, რასაც ამბობდა, სერიოზულად ამბობდა.

– დიაღ, უცნაური ქმნილებაა ქალი. ჩვენ, მამაკაცები, ქალს თითქმის სრულიად არ ვიცნობთ. ჩვენი აზრი ქალის შესახებ შემუშავებულია ლიტერატურის ზეგავლენით. და ვისაც ლიტერატურული აღზრდა აკლია, იგი თვითონ ჰქმნის ქალის სახეს, თანახმად თავისი საკუთარის იდეალებისა და გემოვნებისა, და არა თანახმად სინამდვილისა,რომელშიაც ჩახედვა, ამ ახირებულ იდეალისტურ მიდრეკილების გამო, კაცს არ ძალუძს. ის ქალი კი, რომელიც სინამდვილეში არსებობს, სრულიადაც არ ჰგავს, პოეტების მიერ შექმნილ და ყოველ მამაკაცისაგან შეწყნარებულ ქალის ტიპს. ნამდვილი ქალი, ძმაო, ჩვენთვის დაფარულია. ჩვენი მსჯელობა ქალის შესახებ მის გარეგნობის დაფასებიდან წარმოსდგება. თუ ქალი კეკლუცი, ნაზი და შნოიანია, იგი ჩვენთვის მშვენიერების სიმბოლოდ ხდება. თუ მის ლურჯ ან შავ თვალებში კაცი ზღვას, ვარს-



კვლავებით მოჭედილ ცას, ან შავბნელ წყვდიადით მოცულ საიდუმლოებას ხედავს, ქალიც ხდება საიდუმლოების და გამოუცნობელობის სიმბოლოდ. ქალი გარეგნობით გვიზიდავს და მას გარეგნობით ვაფასებთ. კუდიანი ქალი ყოველთვის მახინჯი და ბებერია ჩვენს თვალში, სილამაზეს ბოროტებას ვერ ვუკავშირებთი და ამიტომაც შნოიანი და კეკლუცი ქალი ანგელოზი და ცით მოვლენილი არსებაა ჩვენთვის. ნამდვილად კი, ძმაო, ნამდვილად, ყოველივე ეს, ჩვენ მიერ შეთხზული და ქალის მიერ განსახიერებული, სიცრუვეა... ჰო, იმას გეუბნებოდი, ჩვენ ყველანი ხომ ერთ პირობებში ვართ აღზრდილნი, მაგრამ ქართველ ქალის გადაგვარების ამბავი ხომ საარაკოა. ისე იცვლის ბუნებას, რომ გეგონება იმთავითვე ამ ხასიათისა იყო. სკოლებში ხომ ერთგვარად გვამახინჯებენ, მაგრამ ჩვენს ქალზე განსაკუთრებით მოქმედებს ეს „დამახინჯების რეჟიმი“. ჩვენს „საზოგადოებაში“ ქალმა პირველმა დაივიწყა ქართული ენა და იუკადრისა ქართულად ლაპარაკი. ოჯახიდან ქალის წყალობით არის ენა განდევნილი. ჩვენში ხშირია ამგვარი მოვლენა: ქმარი ქართველი საზოგადო მოღვაწეა, ცოლი კი არაფრით არ არის დაინტერესებული ქმრის საქმეებით. თუ გამოელაპარაკე რომელსამე პატიოსან მანდილოსანს: ბატონო, შვილებს ქართულს რატომ არ ასწავლით, ან შინ ქართულს რატომ არ კადრულობთქო? – გაიღიმებს, ბოდიშსაც მოიხდის: ასეთი ცუდი ჩვეულება გვაქვს, ასეთები და ისეთები ვართო. მაგრამ იცოდე, რომ სტყუის. გულში არა სჯერა ამ შენი ქართულის სა-

ჭიროება. დიაღ, საჭიროება არა სჯერა. ქალი ხომ ყოველსა-
ვეს ადლითა ზომავს. იგი დარწმუნებულია, რომ მისი შვი-
ლების ბედნიერებას ქართული სრულიად არ გამოადგება. ინ-
ჟენერი, აფიცერი, ვექილი, ექიმი და სხვა და სხვა, უქარ-
თულოდაც გასძლებს, ქონებასაც შეიძენს, პატივსაც მოი-
ხვეჭს. გააწყალეს გულთ ქართული და ქართულ, – ნეტავი
რას გაძლევთ ეს ქართულიო. ამაზე შორს, „საზოგადოების“
წრიდან გამოსულ, ქართველ ქალის მსოფლხედველობა არ
მიდის. პოეტმა სთქვა, არა? „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგ-
რამ მზე თინათინობდაო“. ჰაი, ჰაი, რომ ამ საქმეს მზე დღეს
აღარ იკისრებს. ეს, ძმაო, ეჭვს გარეშეა.

– ჰო, იმას ვამბობდი, იმ ქალებს მეთქი, ტრამვაიში



რომ ვნახეთ, ჯერ კიდევ არ შერცხვათ თავის ქართველობისა;
გულუბრყვილო, პროვინციელი ქალები იქნებოდნენ, სოფ-
ლის მასწავლებელნი, ან მღვდლის ქალიშვილნი, რომელთა
წინაშე ჯერ კიდევ არ წამომდგარა ეს პრობლემა თავისი სი-
მკაცრით და სისასტიკით ისე, როგორც ისახება იგი საქარ-
თველოს ცენტრში, ტფილისში. იმ ქალებს ჯერ კიდევ, აშკა-
რაა, ქართული ზღაპრებიც არ ექნებათ დავიწყებული, გემ-
რიელ ნაზუქის გამოცხობა ეცოდინებათ, ჩურჩხელების გაკე-
თებაც, ქვეყნის და ხალხის წინაშე სინიდისი დამშვიდებული
აქვთ და ამიტომაც იყო, რომ ასე ტკბილად, ასე აუჩქარებ-
ლივ, ასე დამშვიდებით, ყველას მიერ დაბრიყვებულ ქართულ
ენით მუსაიფობდნენ. O sancta simplicitas!

დაბინდდა. ჩემმა მოსაუბრემ ერთბაშად მოსჭრა სიტყვა,
გაჩუმდა და მეც აღარ აუხირდი. გაჩუმებულნი და მყუდრო
შემოდგომის საღამოთი მოხიბლულნი, გამოვბრუნდით ქალა-
ქისკენ.

## VII

## „ადგილობრივი“ და „სახელმწიფოებრივი“

1910 წ.

ჩვენი დეპუტატი კარლო ჩხეიძე დიდ გასაჭირშია[1]). პო-
ლიტიკური ცხოვრება ისე აირ-დაირია, რომ კაცი იბნევა
და აღარ იცის, რას რა სახელი უწოდოს. კარლო ჩხეიძემ
აღარ იცის, რა უნდა ჩაითვალოს ადგილობრივ და რა სა-
ხელმწიფოებრივ საკითხად. მას ნიადაგი ეცლება ფეხებიდან და
იგი ევედრება თავის მოპირდაპირეებს, ადგილობრივი საკით-

ხების საკურთხეველი თქვენ ააგეთ და ეგებ მიშველოთ და ამიხსნათ, „რომელია ამ კითხვებში ადგილობრივი და რომელი საერთო; რომელია დაკავშირებული რუსეთის საერთო პოლიტიკასთან, რუსეთის ცხოვრების საერთო პირობებთან, რომლის გადაჭრა და განხორციელება შეიძლება დამოუკიდებლად გარეშე ამ პირობებისაო“.

კარლო ჩხეიძეს ამგვარი ეჭვები დღევანდელმა პოლიტი-

---

[1]) იხ. „ჩვენი გზა“ №№ 13, 14.



კურმა ვითარებამ გაუღვიძა გულში. მართლაც, დღემდე ხომ ცხადი იყო, რომ დედა-ენაზე სწავლების საკითხი ადგილობრივი საკითხია. მაგრამ რა? წაიკითხეთ კანონ-პროექტი ჩრდილოეთ-დასავლეთ გუბერნიებში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ და ამ პროექტში თქვენ ამოიკითხავთ, რომ საერობო გამგეობის პირნი, რომელნიც განაგებენ სახალხო განათლების საქმეს, უნდა უთუოდ იყვნენ რუსებიო. გადაწყვიტეთ, გვეკითხება დეპუტატი, ადგილობრივია ეს საკითხი თუ საერთო? ყარსში ერობის შემოღება ხომ ადგილობრივი საქმეა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ერობის საშუალებით მთავრობას „მპყრობელ ერის“ (державной націи) ელემენტების გაძლიერება ჰსურს ყარსის ოლქში. ამ პირობებში განა კითხვას ადგილობრივი ხასიათი არ ეკარგება? კავკასიას სტრაჟნიკების შესანახად საერობო გადასახადი მძიმე ლოდად აწევს კისერზე. ვემუდარებით მთავრობას, ეს ხარჯი თქვენ იკისრეთ, მაგრამ ამაოდ, გვიპასუხებენ, „კავკასია თვითონ უნდა ინახავდეს დარაჯებს, ამას მოითხოვს სახელმწიფოს უმაღლესი პოლიტიკაო“ – მაშ გვიბრძანეთ: „რა სახელი უნდა უწოდოთ ასეთ პირობებში ჩვენებურ გზების, ბეითლების, ექიმობის და სხვა ასეთი რამეების საკითხებს: ადგილობრივი არიან ეს საქმეები, თუ საერთო საკითხებს წარმოადგენენ“? ეს კიდევ რა! მოიგონეთ ფინლიანდია. ამ მხარეს კონსტიტუციაც ჰქონდა, ავტონომიაც. მმართველ წრეებს კი უნდათ, რომ ფინლიანდიის ავტონომიას პოლიტიკური ხასიათი დაეკარგოს და მიენიჭოს სამეურნეო ოლქობრივ თვით-მართველობის უფლება. ამას წინად ნაწყენი ფილიანდიელები სათათბიროში მისულან, შეუჩივლიათ თავიანთი ჭირ-ვარამი, თითქოს რუს დეპუტატებისაგან მოელიან დახმარებას და მოდით ახლა გადასწყვიტეთ, ფინლიანდიის საკითხი ადგილობრივია თუ სახელმწიფოებრივი. ამ უკანასკნელ საგანს კარლო ჩხეიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ამბობს: „უკუღმა ბედის ტრიალმა დღეს რუსეთის საზოგადოებასთან ერთად ჩვენც კონკრეტიული კითხვა

დაგვისვა: სად თავდება ფართო თვით-მართველობის საზღვარი
და სად იწყება კომპეტენცია ცენტრალური მმართველობი-
საო“. ხედავს რა ამგვარ შეუსაბამობას და აკვირდება რა დღე-
ვანდელ სინამდვილეს, ჩვენი დეპუტატი ბოლოს თითქოს ის-
ხნის თავს გამოურკვეველობიდან და ამბობს: „რომელი ადგი-



ლობრივი საკითხი გნებავთ აიღეთ – თქვენ დაინახავთ, რომ
შეუძლებელია სთქვათ: აქ საერთო კითხვას, საერთო პოლი-
ტიკას ადგილი არ აქვსო“.

ამგვარად, გამოირკვა, რომ რუსეთში ადგილობრივ სა-
კითხებს ადგილი არა აქვთ, რომ ყოველივეს ცენტრალურ
მმართველობის ბეჭედი აკრავს და მის დაუკითხავად არაფრის
გადაწყვეტა არ შეიძლება. დიაღ, ეს არის არსებული სინამდ-
ვილე, მაგრამ არსებული სინამდვილე ერთია და ის, რაც **უნ-
და იყოს** მეორეა. თუ ბ-ნ ჩხეიძეს ჰგონია, რომ ჩვენ არსე-
ბულ სინამდვილეს ანგარიშს არ უწევთ, ძალიან სცდება, ძა-
ლიან სცდება, როდესაც კისერზე გვახვევს იმ აზრს, ვითომ
ჩვენ საიმპერიო პოლიტიკის მნიშვნელობას, დღევანდელ პი-
რობებში, უარ ვყოფდეთ. ხოლო სცდება იმაშიაც, თუ მას
ჰგონია, რომ პოლიტიკური მებრძოლი პარტია უნდა დაემორ-
ჩილოს ამ არსებულ სინამდვილეს და ცენტრალურ მთავრობას
მიანდოს იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რა უნდა იყოს „ადგი-
ლობრივი“ და არა „სახელმწიფოებრივი“. ჩვენ ყოველთვის
ვგმობდით ს.-დემოკრატების ცენტრალურ პოლიტის მოქმედე-
ბას, რომელშიაც, მართლაც, არ სჩანდა და არ სჩანს საზღვა-
რი ცენტრალურ მმართველობის კომპეტენციისა. დღეს კარ-
ლო ჩხეიძეს წელილშიაც მოსჩანს ეს განუსაზღვრელობა კომ-
პეტენციებისა. ჩვენი დეპუტატი არსებულ სინამდვილიდან თით-
ქოს გამოსავალ კარს ვერ ხედავს და ჩვენც უნდა მოგვამწყ-
ვდიოს ამ სულის შემხუთავ ზღუდეში. იგი ამბობს: „ჩვენი მო-
პირდაპირეების ბრალდებითი ოქმის უმთავრესი მუხლი ამბობს
ჩვენებურ ს.-დემოკრატიას პრაქტიკიდანაც და თეორიიდანაც
განდევნილი აქვს ადგილობრივი კითხვები. როცა აღნიშნულ
კითხვებზე პასუხს მოგვცემენ, მაშინ აღმოჩნდება, რამდენად
საბუთიანი და სამართლიანია მოყვანილი ბრალდებითი მუხლი:
მაშინ შევიტყობთ ჩვენი და ჩვენი მოპირდაპირეების განსხვა-
ვება „ზერელეა თუ ქვერელე, არსებითია თუ წვრილმანიო“.

აი რაში ყოფილა საქმე. არსებული სინამდვილე, ცენ-
ტრალიზმის გაუმაძღარი ზრდა-ვითარება თურმე ჩვენც უნდა
დავისახოთ პრაქტიკულ მოქმედების საფუძვლად და თუ ეს
არ ჩავიდინეთ, აღმოჩნდება, რომ ჩვენს შორის განხეთქილება
არსებითია და არა წვრილმანი.

ამგვარად ჩვენი დეპუტატი წინვე გამარჯვეულია. ასე



ჰგონია მას. მაგრამ ცოტათი რომ შესდგეს, საგანს დაუფიქრ-
დეს, თავის ნალაპარაკევში ჩაიხედოს, დარწმუნდება, რომ მი-
სი წერილი გამომსახველია იმ კრიზისისა, რომელსაც განიც-
დის დღეს ყოველივე შეგნებული და სინიდისიერი ქართველი
სოციალდემოკრატი ნაციონალური საკითხის გადაჭრის გამო.
კარლო ჩხეიძეს მიერ დაყენებულ საკითხებში ჰგრძნობთ ადა-
მიანის დაბნევას და გაურკვევლობას. ამ დაბნევას და გაურ-
კვევლობას იგი თავის მოპირდაპირეთ აწერს, მაგრამ ეს გარე-
გნულია, მას თვითონაც არა სჯერა, რომ მისი მოპირდაპირე-
ნი უარ-ჰყოფდნენ საიმპერიო პოლიტიკის მნიშვნელობას. კარ-
ლო ჩხეიძე ამ ხერხს მიმართავს (იქნებ შეუგნებლად) მხოლოდ
იმიტომ, რომ მას თითქოს აღარა სწამს ის განსაზღვრა „ადგი-
ლობრივისა“ და „სახელმწიფოებრიცისა“, რომლითაც იგი ხელ-
მძღვანელობდა დღემდე. ცენტრალურ მმართველობის მადას
საზღვარი არა ჰქონია. იმის თვალში ყოველივე სახლმწიფოებ-
რივია, ყოველივე უნდა ექვემდებარებოდეს მპყრობელ ეროვ-
ნების ინტერესს და იდეას. „ადგილობრივი“ გათქვეფილია
საერთოში, უკეთ რომ ვსთქვათ გაბატონებულ კლასების სურვილ-
ში. და უდღეო და დაუდგრომელი ხდება არა მარტ ფინ-
ლანდიის კონსტიტუციის სვე-ბედი, არამედ იმ ადგილობრივ
საკითხების სვე-ბედი, რომელიც ს.-დემოკრატიულ ეროვ-
ნულ პროგრამის მუხლებშია ჩამოთვლილი. მდგომარეობა მძი-
მეა. გარემოება გართულებულია და აქედან საზოგადო მოღვა-
წისთვის, განსაკუთრებით კი, დეპუტატისთვის გამოსასვლელი
ორი გზა არის მარტოოდენ. მან ან მთავრობის თვალსაზრისი
თავისად უნდა გახადოს, ან იდგეს თავის საკუთარ თვალსაზ-
რისზე. კარლო ჩხეიძე პირველ გზას თითქოს არ არჩევს. მას
უნდა საკუთარ ნიადაგზე დგომა, მაგრამ უბედურება ის არის,
რომ მან აღარ იცის დღეს, რა უნდა **იყოს** საერთო და რა
კერძო, რა **უნდა იყოს** ნაციონალური ადგილობრივი და რა
მართაცr:: აღჭ.ჩყგ ი ადგილობრივი და რა
სახელმწიფოებრივი. მართალია, ამას დეპუტატი არ ამხელს,
არ ამბობს, მაგრამ ეს აზრი გამოსჭვრეტს იმის წერილიდან.

დეპუტატი ჩხეიძე კითხვასა სვამს და არა სჩანს, ვინ არის
ამ კითხვის დამსმელი. ვისთვის არ არის გამორკვეული, თუ
რა არის ადგილობრივი და რა სახელმწიფოებრივი? ცენტრა-
ლურ მთავრობისათვის? არა. მას ეს საკითხი გადაწყვეტილი
აქვს. ფინლიანდიელებისათვის? არა? ისინი უფლებისა და კონ-

სტიტუციის ნიადაგზე სდგანან. და მათთვის უცილობელია ის აზრი, რომ მათი „ადგილობრივი თვალთსაზრისი“ ავალებს მათ ფინლიანდიის სახელმწიფოებრივობის პრინციპის დაცვას და რომ ყოველი ცვლილება ურთიერთობაში რუსეთსა და ფინლიანდიის შორის ავტონომიურ პარლამენტის თანხმობით უნდა გადასწყდეს. ფინლიანდიელები დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ რუსეთის პროგრესიული ნაწილი იმის მხარეზე იყვეს, მაგრამ ისინი თავის დღეში არ დასთანხმდებიან ავტონომიურ უფლებათა შემცირებაზე და ამ უფლებათა აღდგენას არ შეუდგებიან ცენტრალურ პარლამენტში გაგზავნილ დეპუტატების მეოხებით. ისინი წინააღმდეგნი არიან ამ დეპუტატების იქ გაგზავნისა. ასე რომ ფინლიანდიელთათვის მათი კონსტიტუცია საზღვრავს „ადგილობრივს“ და „სახელმწიფოებრივს“ და მათივე კონსტიტუციამ უნდა შეიტანოს ცვლილება ამ მცნებათა განსაზღვრაში, თუ რომ ამ ცვლილების შეტანა საპირო გახდება ცენტრალურ მთავრობის ძალდატანებით. აქ არის ფინლიანდიის საკითხის ძირითადი მხარე. აკმაყოფილებს თუ არა ამგვარი განსაზღვრა ბ-ნ ჩხეიძეს? ერთის მხრივ, აკმაყოფილებს, რადგან იგია მომხრე უფლებრივობისა, მეორეს მხრივ კი, თითქმის არა, რარდგან ფინლანდიელები უარს ამბობენ ცენტრალურ პარლამენტში მოქმედებაზე. მას თითქოს ცენტრალურ პარლამენტის მეოხებით ჰსურს ფინლანდიის ავტონომიის დაცვა. და იგი როგორც წევრი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა, მართალია. მაგრამ გამოდგება თუ არა ამგვარი თვალთსაზრისი ფინლიანდიელთათვის? არა. ამგვარად, გადაწყვეტა იმისი, თუ რა არის „ადგილობრივი“ და „სახელმწიფოებრივი“ სხვა და სხვაა, ერთნი ასე სწყვეტენ, მეორენი სხვანაირად. და **ძალთა განწყობილებაზეა დამოკიდებული ის, თუ პრაქტიკაში რომელი აზრი გაიმარჯვებს და მოიპოვებს კანონის ძალას**. ძალთა განწყობილებაზეა დამყარებული იმის გადწყვეტა, რაც აფიქრებს დღეს ჩვენს დეპუტატს, ე. ი. ის, თუ „სად თავდება ფართო თვით-მმართველობის საზღვარი და სად იწყება კომპეტენცია ცენტრალურ მმართველობისა“. რაკი ეს ასეა, ჩვენ, როგორც დაინტერესებული მხარე, იმის ცდაში უნდა ვიყვნეთ, რომ გავმაგრდეთ, მოვიპოვოთ ძალა, წარვდგეთ ქვეყნის წინაშე როგორც გან-



საზღვრულ-ქლი პიროვნება, რომელსაც სიცოცხლე მოძულებული არა აქვს და უკეთესი მომავალი სწყურია.

ის მიმართულება, რომელსაც ეკამათება ბ-ნი ჩხეიძე, სწორედ ამ ნიადაგზე იდგა, როდესაც მან საქართველოს ავ-

ტონომიის პრინციპი აღიარა. საქართველომ, ჩვენის აზრით უნდა მოიპოვოს ერთგვარი სახელმწიფოებრივობის უფლება, იმ ხასიათისა, როგორი უფლებაც აქვს დღეს ფინლანდიას. ასე რომ, როდესაც ჩვენ ადგილობრივ საკითხებზე ვლაპარაკობთ, ამ ადგილობრივ საკითხებში ვგულისხმობთ საქართველოს სახელმწიფოებრივობას, რომელსაც, მართალია, სუვერენიტეტის ხასიათი არა აქვს, ხოლო რომელიც მაინც რჩება ერთგვარ სახელმწიფოდ (თეორიაში, ჯერ-ხნობით). სასაცილოა არა? დატყვევებული ერი, რომლის პროგრესიული ელემენტები დღემდე ვერ შეთანხმებულან იმაში, თუ რა მოელის და რა ესაჭიროება ქართველ ხალხს, და სახელმწიფოებრივი პრინციპის ნატვრა! სასტიკმა ბედმა ყოველივე წაგვართვა, ნატვრა ღა შეგვრჩა. მოდით ახლა ეს ნატვრაც წაგვართვით! ამას ვერ მოახერხებთ და ამიტომ არის, რომ ჩვენთვის „ადგილობრივი“ იგივე არ არის, რაც მოსკოვის გუბერნიის მცხოვრებისათვის. ამიტომ არის, რომ როდესაც დღევანდელი მოსკოველი მოქალაქე აქცევს უპირატესს ყურადღებას ადგილობრივ საკითხებს, მისი ფსიხოლოგია დაქვეითებულია „ობივატელის“ ფსიხოლოგიამდე, ხოლო როდესაც ჩვენ არ ვაგდებთ ხელიდან ჩვენს „პროვინციალურ“ დროშას, ვაშკარავებთ მხოლოდ ჩვენს სიმტკიცეს და სურვილს საერთო საიმპერიო საქმეებში მონაწილეობის მიღებისა **ამ დროშის ხელმძღვანელობით**. გამომდინარეობს თუ არა აქედან საჭიროება ცენტრალურ პარლამენტში მოქმედებისა? დღევანდელ პირობებში გამომდინარეობს. რაც შეეხება მომავალს, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. საჭიროა თუ არა ჩვენთვის რუსეთის ოპოზიციაში ყოფნა? საჭიროა. მხოლოდ ჩვენი მოქმედების გეგმა პარლამენტში (თუ რომ ამგვარი მოვალეობა გვხდომოდა წილად) არ დაემსგავსებოდა კარლო ჩხეიძის და იმის ამხანაგების მოქმედებას. შესაფერ მომენტში ჩვენ წამოვაყენებდით რუსეთის სათათბიროში საქართველოს ავტონომიის საკითხს და დაუდებდით უფლებრივ საფუძველს ჩვენს ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელების საქმეს. დღევანდელ დროს კი-



ჩვენ ვიქნებოდით ოპოზიციაში, ხოლო ვილაპარაკებდით იქ როგორც **ქართველი** დეპუტატები **ქართველ** დემოკრატიულ ინტერესების ტერმინოლოგიით და თვალთ-საზრისით. მთავრობის პოლიტიკის გაკიცხვა შესაძლებელია ჩენი ცხოვრების და ჩვენი ისტორიის ფაქტებით და მაგალითებითაც. გადაშალეთ მე XIX საუკუნის საქართველოს ისტორია, რა სურათს დაინახავთ, რა ფაქტებს და შემაძრწუნებელ ამბებს ამოიკითხავთ იქ! გქონდეთ უუფართოვესი იდეალი, ხოლო თუ თქვენ

მოახერხეთ და ეს „პროვინციალური მასალა“ საიმპერიო პოლიტიკის კრიტიკის დროს გამოიყენეთ, ამითი დაამტკიცებთ, რომ თქვენ მართლა ყოფილხართ ქართველ ხალხის წარმომადგენელი და ამასთან აზრის სიმაღლე შეგწევთ და ამ კერძო და ადგილობრივ ინტერესებს და ფაქტებს საზოგადო და სახელმწიფო ხასიათის მნიშვნელობას აკუთვნებთ. ინდუქტიური აზროვნება ამ გზას მისდევს ხოლმე, – პატარიდან განკერძოებულიდან გადადის იგი უნივერსალობამდე. ბრძენი პოლიტიკოსი და ნამდვილი შვილი თავის ხალხისა ასე ირჯება ხოლმე. მიყრუებულ პატარა, დაჩაგრულ ერის საქმეებით დაინტერესებს ცენტრალურ დაწესებულების წარმომადგენლებს. ჩვენი დეპუტატები კი სხვანაირად ირჯებიან. საქართველოს გახსენება თითქოს სათაკილო საქმედ მიაჩნიათ. თუ პიროვნების ხელუხლებლობაზეა, მაგალითად, ლაპარაკი ივანე კალიტის დროიდან მოყოლებული დღევანდელ დრომდე გადასინჯავენ რუსეთის ისტორიას. და დღეს გამეფებულ ძალადობის სურათს დაასაბუთებენ არა ჩვენი ცხოვრების მაგალითებით, არამედ პეტერბურგის, მოსკოვის, კრასნოიარსკის და ბევრი-ბევრი ბაქოში მომხდარ ამბებით. ჩვენ იმისი თქმა არ გვინდა, რომ ყოველივე ამაზე ლაპარაკი მეტია, არა, გვინდა ვსთქვათ მხოლოდ, რომ ჩვენმა დეპუტატებმა ადგილობრივი წარმომადგენლობის პრინციპი უნდა დაიცვან და საზოგადო ხასიათის საკითხს პროვინციალურის და ადგილობრივ ნაციონალურის მასალით უნდა არკვევდნენ. ამით დეპუტატი ორ საქმეს ემსახურება, თავის ნაციონალურს და საზოგადო სახელმწიფოებრივს. ნაციონალურს უნდა ემსახუროს იმიტომ, რომ სახელმწიფო ჩაგრულ ნაციას ყურადღებას არ მიაქცევს, თუ რომ ერმა თვითონ არ ამოიღო ხმა, არ ალაპარაკდა უფლებათა დათრგუნვაზე. სახელმწიფოებრივს უნდა ემ-



სახუროს იმიტომ, რომ ამგვარი მოღვაწეობა გაადვილებს ნაციონალურ საკითხის გადაჭრას და დეპუტატის სხვა ერებისადმი სოლიდარობის გრძნობასაც დააკმაყოფილებს.

აი, ბ-ნო კარლო, სად ჰმარხია იმ უკმაყოფილების მიზეზი, რომელიც არსებობს თქვენდამი და თქვენს ამხანაგებისადმი იმ წრეებში, რომლებსაც თქვენს იდეიურ მოწინააღმდეგეთ უწოდებთ. ამ უკმაყოფილების ცხოველმყოფლობას თქვენ აშკარად გრძნობთ (არა ერთხელ გამოგიცხადებიათ იმის წინააღმდეგ პროტესტი), მაგრამ თქვენ ვერ გაგიგიათ, რა წყაროდან წარმოსდგება იგი და რითი საზრდოობს იგი უკმაყოფილება. ეს პროტესტია ერის ერთის ნაწილისა, რომელიც გულის სიღრმეში ჰგრძნობს რაღაც სიმწვავეს, რომ ყოველ

გამვლელ-გამომვლელის გასათელ მოედნად გავხდით და ხმის ამომღები კი არავინ გვიჩანს. ღირსებასა და პატიოსნებაზე საზოგადოდ, განყენებულად ხშირად ლაპარაკობთ ტრიბუნიდან, დაჩაგრულებსაც ხშირად იხსენიებთ. ეს დაჩაგრულნი მუშები, პროლეტარები, მშრომელნი არიან, ამ დაჩაგრულთა სიაში ურიები, პოლონელები და ფინლანდიელებიც მოჰყვებიან ხოლმე, ხოლო არასოდეს ქართველი ხალხის გაბიაბრუებას, დამცირებას და დაჩაგვრას არ აუწყებთ ქვეყანას, თითქოს სოციალისტს არ ეკადრებოდეს ამისთანა უმნიშვნელო საგანზე ლაპარაკი. ჩვენი ისტორიული უფლება ფეხებით გასთელეს. თქვენ სდუმხართ, ხოლო ფინლანდიის ისტორიულ უფლებას კი დაიცავთ. კარგადაც იზამთ, ხოლო ჩვენ რაღა დაგიშავეთ? ჩვენს ძველ ეკლესიებს ანგრევენ და მათ ადგილზე საპყრობილე ყაზარმების მსგავს რუსის მონასტრებს აგებენ. ჩვენ ენას მოხელენი პირუტყვის ენად სთვლიან. თქვენ გაღელვებთ ამგვარივე ამბები ხოლმში და პოლონეთში მომხდარი, საქართველოს შესახებ კი კრინტს არა სძრავთ[1]) და სხვა და სხვა.

მეტყვით სიმართლეს მოკლებულია ეს, მუდამ ჟამს კავკასიაზე გვაქვს ლაპარაკი, კავკასიის მშრომელ ხალხს ვიხსე-

---

[1]) ამ სტრიქონების დაწერის დროს ს.-დემოკრატიულ დეპუტატებს ერ კიდევ არ ჰქონდათ აღძრული ლაპარაკი ენის დამცირების შესახებ. უნდა აღვნიშნო რომ მესამე სათათბიროს დეპუტატები თანდათან მეტ ყურადღებას აქცევენ ადგილობრივ საკითხებს, ხოლო პრინციპიალური განმარტება „ადგილობრივისა“ ისევ ძველი ხასიათისა დარჩა.

**ავტორი**. 1911 წ.



ნიებთ და, მაშასადამე, ქართველების ინტერესებსაც ვიცავთო. არა და არა. **კავკასია არ არის ერთი მთელი.** კავკასიის მშრომელ ხალხს გასარკვევი და გასასინჯავი აქვთ ათასგვარი კერძო, ნაციონალური საკითხები, კავკასიის მშრომელ ხალხის სოლიდარულ მოქმედებისათვის ჯერ ხნობით ნიადაგი მზად არ არის. ამ ნიადაგის შემზადებაა საჭირო და ამიტომ კავკასიის შემადგენელ ელემენტების, მათის განსაკუთრებულ ხასიათის და სურვილების ყურადღებით შესწავლა და გაცნობაა საჭირო. თქვენ კი, ჩვენებურ ადმინისტრატორებსავით, ყველას ერთ ფარგალში ათავსებთ და ჯერ კიდევ მოურიგებელი ინტერესები, მოუწესრიგებელი ცხოვრება, გამოუსახველი და საერთო ფიზიონომიას მოკლებული კავკასიის პრობლემა გინდათ ერთის საზომით, ერთის კრიტერიუმით გადაწყვიტოთ! და აშკარაა ვერც ამ პრობლემას გადასწყეტთ ამ გზით, ვერც რუსეთის მოწინავე საზოგადოებას დაანახვებთ იმას, რაც ხდება ჩვენს მხარეში, და ვერც კავკასიის თვითეულ ერის დემო-

კრატიულ ნაწილს სამსახურს გაუწევთ.

დადგება დრო და ჩვენი ამომრჩეველი, ცხოვრებაში მეტად მომწიფებული, მოსთხოვს ამგვარ ანგარიშს თავის არჩეულ კაცებს და მოვა დრო და თქვენც გაიგებთ, რომ უნიადაგო და უნაყოფო პოზიცია გიჭირავთ. იქნებ ეხლაც გესმით, იქნებ იმიტომ დაიწყეთ ლაპარაკი, რომ სინიდისი მოსვენებას არ გაძლევთ და თქვენს მოქმედებას ახალი ორიენტაციის საშუალება გინდათ გამოუნახოთ?.. თუ ვცდებით ამაში, მაშინ მართალნი ხართ, რომ ჩვენს შორის განსხვავება ზერელე კი არ არის, არამედ არსებითია.

## VIII

## დემოკრატიის გაერთიანება.

1910 წ.

### I

რაც უნდა დიდს გასაჭირში ჩავარდეს ერი, სასოწარკვეთილებას მაინც არ უნდა მიეცეს იგი. მისი სიცოცხლის ყოფნა არ ყოფნა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. და ამ შემთხვევაში ჩვენი მოვალეობაა თვით ერში, მის არსებულ ძალ-



თა განწყობილებაში, ვეძიოთ ხსნა და იმედი უკეთესის მომავლისა. ერი უძლურდება და კვდება არა ბიოლოგიურ კანონის ძალით, არამედ სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაციის უვარგისობის გამო. ორგანიზაცია ერის ძალებისა არის უტყუარი ფარხმალი და გარანტია მისის არსებობა-განვითარებისა.

ქართულ ცხოვრებას რომ გადავავლოთ თვალი, აშკარად დავინახავთ, რომ საორგანიზაციო მუშაობა უკვე დაწყებულია ჩვენში, მაგრამ, ერთის მხრივ, ეს საორგანიზაციო მუშაობა ცალმხრივია – იგი მხოლოდ სულიერ კულტურულ ინტერესებს შეეხება. მეორეს მხრივ კი, ეს მუშაობა სუსტი, გაუბედავი მუშაობაა, თითქოს იგი თავის სიღრმეში შეიცავს თავის უნაყოფობას.

საორგანიზაციო მუშაობის ცალმხრივობა იმაში გამოისახება, რომ იგი ჩვენი ერის ეკონომიურ ძალთა შეკავშირებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ამ მუშაობის სისუსტე კი იმაში აისახება, რომ სამუშაო ასპარესზე გამოსულ საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის სწარმოებს უნაყოფო და უგუნური ძალთა დაქსაქსვა ერთმანეთ შორის ატეხილ ჩხუბსა და მოუ-

რიგებლობის გამო.

ეს მოურიგებლობა თვალსაჩინოდ ისახება ქართულ პრესისის დღევანდელ მდგომარეობაში. როდესაც ვიხსენიებ ქართულ პრესსას, სახეში არა მყავს რუსული ჟურნალ-გაზეთობა, რომელიც ქართველების ხელმძღვანელობით გამოდის. ამ ლიტერატურამ თვითონვე მოსწყვიტა თავისი თავი ქართველ ხალხის ცხოვრებას. რაკი იგი ხალხისათვის გაუგებარი რჩება, არავითარი კავშირი და ურთიერთობა ხალხსა და მის შორის არ არსებობს და არც შეიძლება რომ არსებობდეს. ამ პრესის ხელმძღვანელებმა ინტელიგენტებმა შეჰქმნეს ჩვენში რუსულ-ქართული ყალბი და გულწრფელობას მოკლებული ოფიციალურ პატრიოტიზმის ბანაკები და წრეები. და დღეს ამ წრეების და ბანაკების განვითარება-გადიდებაზეა დამოკიდებული ქართველ ინტელიგენციის სრული ჩამოშორება ქართველ ხალხის ცხოვრების ნიადაგიდან.

ასე რომ, როდესაც დემოკრატიულ პრესსას ვგულისხმობ, სახეში მყავს მხოლოდ და მარტო ქართული პრესსა. ამ გვარადვე, როდესაც ქართულ დემოკრატიულ მუშაობას ვიხსენიებ, სახეში მყავს განსაკუთრებულად ჩვენი გლეხობა და ის



ინტელიგენცია, რომელიც პრესსისა თუ სხვაგვარ მოღვაწეობის საშუალებით ხალხის ინტერესებთან არის დაახლოვებული.

მე ვამბობ, დღეს იმგვარი ისტორიული ხანა დაგვიდგა, როდესაც საჭიროა შეკავშირება საქართველოს ყველა დემოკრატიულ ძალებისა. აუცილებელია საქართველოს მიწისმომქმედთა და მეურნეთა კავშირისთვის საფუძვლის ჩაყრა. ეს კავშირი უნდა იყოს ორგანიზაცია ეკონომიურ-ეროვნული. მისი ლოზუნგი იქნება: მიწა საქართველოს მშრომელ ხალხს და ტერიტორია ქართველ ეროვნებას! ამ საქმის განხორციელება და ამ კავშირის დაფუძნება შესაძლებელ იქნება, თუ მასზე ზრუნვა და ფიქრი დაიწყეს ქართველმა დემოკრატიულმა ჯგუფებმა.

მაგრამ ამ მხრივ დიდ ოპტიმიზმს ნუ მივეცემით. ამ ჯგუფთა გარშემო ისეთი ატმოსფერა დატრიალდა, რომელიც თითქოს წინდაწინვე შეუძლებელ ჰყოფს ამგვარ მოქმედებას. დავა სოციალ-დემოკრატთა და სოციალისტ-ფედერალისტთა შორის არ ახალია. წინად საკამათო გვქონდა სოციოლოგიური პრობლემები. ვარკვევდით ისტორიულ პროცესს, განვითარების კანონებს, ვეწინააღმდეგებოდით ერთმანეთს ერთისა და მეორის განმარტებაში. სადავო გვქონდა კაპიტალის კონცეტრაციის საკითხი და ცხარედ ვჩხუბობდით მიწის სოციალიზაციის პრობლემების გარშემო. მაგრამ ჩვენი ურთიერთობა განსაკუთრებულად გამწვავდა ეროვნულ საკითხის ნიადაგზე და აქ მართლაც

და ფიცხი და სასტიკი იყო ჩვენი შეუთანხმებლობა. ჩვენი შეტაკება აუცილებელი იყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქართველები ვართ და ქართველ ადამიანის შფოთიანი ბუნება ხომ კარგად მოგეხსენებათ. მეორეც იმიტომ, რომ მართლაც სხვა და სხვა პრინციპიალურ ნიადაგზე ვიდექით მაგრამ პრინციპების განსხვავება ვერ გამოიწვევდა იმ მწვავე შეტაკებას, იმ დავიწყებამდე მიყვანილ მტრობას, რომელიც იყო ჩვენს შორის. საქმე ის არის, რომ კამათი სწარმოებდა უსამართლო ატმოსფერაში. სოციალ-დემოკრატები ს.-ფედერალისტებს ბურჟუაზიულ პარტიად სთვლიდნენ. ნამდვილად კი, როგორც ეს არა ერთხელ გაგვიმარტავს, ს.-ფედერალისტები იმავ სოციალურ ნიადაგზე იდგნენ, რომელზედაც იმყოფებოდნენ ს.-დემოკრატები. ს.-ფედერალისტები ეომებოდნენ იმ საზოგადოებას, რომელიც კერძო საკუთრების პრინციპზეა აგებული და მაშასადამე ისინი ბურჟუაზიის იდეოლოგებათ და ქომაგებად ვერ



გამოდგებოდნენ. ს.-დემოკრატები კი სწორედ ამას სწამებდნენ ს.-ფედერალისტებს და ეს იყო მიზეზი უნაყოფო შეტაკებისა და დავისა პირველ ხანაში, რევოლიუციის დროს.

ახლა დრონი იცვალენ. ამითი იმისი თქმა კი არ მინდა, რომ რევოლიუციის მიერ წამოყენებულ პრობლემებს დღეს ფასი და მნიშვნელობა არა ჰქონდეთ. არც იმისი თქმა მინდა, რომ ჩვენი დავა და კამათი გათავებული, დასრულებული იყოს. არა, მე მხოლოდ ის გარემოება მინდა აღვნიშნო, რომ თუმცა დღესაც ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს კონცენტრაციის, სოციალიაზაციის, ავტონომიის, ფედერალიზმის და სხვა ამგვარ საკითხებს, ხოლო დღეს, ისტორიულ პირობების შეცვლის გამო, მათ უფრო თეორიული ხასიათი მიეცათ. პოლიტიკური კონიუკტურა დღეს იმგვარია, რომ სოციალიზმის პროპაგანდა შეუძლებელი გახდა, არც ავტონომიის პრობლემის განმარტებისათვის არის გამოსადეგი ატმოსფერა. დრო კი იყო, როდესაც ყველა ამაზე ვლაპარაკობდით, ხშრად განყენებულად და ზოგადად, ისე, როგორც ვლაპარაკობთ ხოლმე რაიმე პრაქტიკულ და ადვილად განსახორციელებელ საქმეზე. გარემოება შეიცვალა. ახალმა დრომ თვალებ წინ აგვიტუზა ცხოვრების ისეთი მხარე, რომელსაც ჩვენ რევოლიუციის დროს არა ვხედავდით. საქართველო სოციოლოგიურ და სოციალისტურ პრობლემების გასარკვევი ლაბორატორია გვეგონა, გამოირკვა კი, რომ ჩვენ პატარა ხალხი ვართ მემცხვარეებისა, მევენახეებისა და მიწათ-მომქმედთა მომუშავეთაგან შემდგარი. გამოირკვა, რომ მემცხვარეებს საძოვარი ადგილები არა აქვთ, მევენახეებს, მეყანეებს და საზოგადოდ მიწის მომქმედთ სავენახე

და სახნავ-სათესი ადგილები აკლიათ. და ამასთან ერთად გამოირკვა ისიც, რომ სადგომი ბინაც აღარსად მოგვეპოვება. განა თუ წინად არ ვიცოდით ყოველივე ეს. არა, წინადაც ვიცოდით. ხოლო რევოლიუციის ხანაში თვალებზე რაღაც ბინდი გვეფარა და სადაც კოლექტივისტურ-კომინისტური წესწყობილება სულ რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე გვეგულებოდა, იქ საძოვრის და საყანეს პრობლემა როგორ უნდა მოგვგონებოდა. სოციალურ-რესპუბლიკის დამკვიდრებით გადასწყდებოდა ყოველივე ეს.

დღეს სინამდვილემ თვალები აგვიხილა. თავად-აზნაურობის მიწა სახელმწიფო ბანკის საშუალებით რუსთა კოლონიიზა-



ციის საქმისათვის ყოფილა განზრახული. ეს გეგმა, მოსაზრება კი არ არის, არამედ უკვე შემზადებული და რეალური საქმე. რუსეთის კოლონიზაციამ უნდა დაიჭიროს ადგილები რომლებზედაც იმედი ჰქონდათ ჩვენს გლეხებს. რუსეთის კოლონიზაციამ უნდა გვშთანთქას ეკონომიურად და ეროვნულად. ეკონომიურად იმიტომ, რომ რაკი სოფლის მეურნეს სოფელში აღარ დაედგომება, მრეწველობის განუვითარებლობის გამო ჩვენს ქვეყანაში, მას სხვა თავშესაფარი ადგილი აღარ ექმნება. ეროვნულად იმიტომ, რომ მიწიდან აყრილ ხალხის გათქვეფვა მრავლად დასახლებულ რუსთა კოლონიებში ადვილი საქმე გახდება.

აი რა აღმოჩნდა რევოლიუციის შემდეგ ხანაში. ამ ფაქტების უარყოფა, არ დანახვა შეუძლებელია. შეიძლება სთქვათ, გაითქვიფება, გაითქვიფოს, ცოტანი გათქვეფილან. ეგ სხვა კითხვა იქნება, მაშინ ჩვენ შორის სალაპარაკო არა არის რა. მაგრამ ამას დღეს ჩვენში, მგონი, არავინ აღიარებს. ვამბობ, მგონი, რადგან დარწმუნებული არა ვარ ამაში. არიან იმისთანებიც, ვინც აუშფოთლივ ადევნებს თვალებს ჩვენი ხალხის ამ განსაცდელს და ვისაც ტუჩებიდან ღიმილი არა შორდება, როდესაც დასცქერის ამ გარემოებით დასევდიანებულ ინტელიგენციას. დიაღ, ამგვარი „მეპრესეებიც“ არიან დღეს ჩვენში.

ყველა ეს გამოირკვა. ხოლო რას ვაკეთებთ ამის წინააღმდეგ? რა ღონე იღონა ქართულმა დემოკრატიამ უბედურების თავიდან ასაცილებლად? ჯერ ხნობით არაფერი. და ერთი მიზეზთაგანი ის არის, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატები ისევ ძველ ნიადაგზე სდგანან, ისევ ყველანი გარდა თავის თავისა ხალხის მტრებათ მიაჩნიათ და ისევ საზოგადოებრივ საკითხთა გარკვევის დროს შფოთს და ძალთა დაქსაქსვას სთესენ. სოციალიზაციასა და ავტონომიაზე არ არის დღეს ლაპარაკი. კულტურულ საქმეების გადაწყვეტაშიაც ვერ შევთანხმებულვართ.

ვსთქვათ, ჩვენ ბურჟუები ვართ. ვსთქვათ, სოციალური პრობ-
ლემის გადაწყვეტა მრუდეთ გვესმის. მაგრამ ნუ თუ არ არის
არც ერთი საგანი, სადაც სიმართლე ჩვენსკენ იყოს. ს.-დე-
მოკრატიის პრესსას თუ დაუჯერეთ, არ არის ამგვარი საგანი.
თან რადიკალურ ინტელიგენციის სახელით გვნათლავენ, თან
კი გვახასიათებენ როგორც უკიდურესს რეაქციონერებსა და
კონსერვატორებს. რადიკალები, დემოკრატები და სოციალის-



ტები, გარდა კერძო საკუთრების პრობლემის საკითხისა, ყვე-
ლა კულტურულ და სოციალური რეფორმის საკითხებში ხომ
ხელი-ხელ გადაბმულნი არიან თავიანთ მოქმედებაში ევროპი-
ულ ქვეყნებში. ჩვენებური „რადიკალები“ და დემოკრატები
კი ხან ფეოდალების მესვეურებათ გამოდიან, ხან ბურჟუაზი-
ულ ინტერესების წუმპეში იფლობიან. ასე სჯიან ს.-დემოკრა-
ტები! და მოდით ამ პირობებში ილაპარაკეთ დემოკრატიის
გაერთიანებაზე.

მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ჩამოვაგდოთ ბაასი ამის შესა-
ხებ. პირველი იმიტომ, რომ ამ გაერთიანებაშია დღეს ჩვენი
ხსნა. მეორე იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატიის და ჩვენ
შორის არსებული უთანხმოება ზერელეა და პრინციპიალურ
ხასიათის უთანხმოებად არ მიგვაჩნია და ეს ჩვენთვის სავსებით
გახდება ნათელი, როდესაც გადავავლებთ თვალს წარსულ თვე-
ებში ჩვენ შორის აღძრულ სადაო კითხვებს.

## 2

მიუხედავათ იმისა, რომ კულტურულ საკითხების გადაწ-
ყვეტის დროს პრინციპიალური განხეთქილება საზოგადოებ-
რივ ჯგუფთა შორის (სახეში მყავს ს.-დემოკრატები, ს.-ფედე-
რალისტები და ნაციონალ-დემოკრატიული ელემენტები) დღე-
ვანდელ პირობებში თითქმის უმნიშვნელოა, ისინი მაინც ძვე-
ლებურად შფოთვენ და ჩხუბობენ. ს.-დემოკრატიას ძველებუ-
რად განსაკუთრებული პოზიცია უჭირავს და იგი ეომება
ყველას, ვინც მის ბანაკს არ ეკუთვნის.

წარსულ შემოდგომას სახალხო თეატრის წრეებში გან-
ხეთქილებამ იჩინა თავი. საქმე იმაშია, რომ წინად სახალხო
თეატრის სექცია სახალხო უნივერსიტეტის დროშის ქვეშ მო-
ქმედებდა. ყველამ იცის, რომ სექციის კავშირი უნივერსი-
ტეტთან იყო ფიქტიური, რადგან უნივერსიტეტი არავითარ
დახმარებას არ უწევდა თეატრალურ სექციის მოქმედებას.
გამოირკვა, რომ თეატრალურ სექციაში უკმაყოფილება სუ-
ფევდა და მის წევრთა შორის მომწიფდა განცალკევების აზრი.

შეადგინეს ახალი წრე, რომელშიაც შევიდნენ თითქმის ყველანი, ვინც კი სახალხო თეატრის სცენას ემსახურებოდა, საუკეთესო არტისტები-მოყვარენი და შეუდგნენ ბ-ნ შათი-



რიშვილის რეჟისორობით სახალხო წარმოდგენების მართვას ზუბალაშვილების სახალხო სახლში. წარმოდგენებს აუარებელი ხალხი ესწრებოდა და თეატრალური სექცია პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. არასოდეს სახალხო თეატრის საქმე არ იყო ისე კარგად დაყენებული, როგორც ეს იყო წარსულ შემოდგომა-ზამთარში. მაგრამ ამ ნიადაგზე მოხდა დიდი აურ-ზაური.

დამოუკიდებელ წრის დაარსების მომხრე არტისტების გარდა აღმოჩნდა რამდენიმე სოციალ დემოკრატი – „ბოლშევიკი“, აგრეთვე ცნობილი მოამაგე სახალხო თეატრისა განსვენებული მარია დემურია, გ. ლასხიშვილი და სხვანი. აი ამ ხალხს ეძგერნენ „ორტოდოქსები“. „ბოლშევიკები“ მოღალატეებათ მონათლეს. მარია დემურია, რომელსაც უკვე აღმოაჩნდა ავადმყოფობა უზომო აღელვებისა და დაქანცვისაგან, ორჭოფ პიროვნებად გამოაცხადეს და ადამიანი, რომელიც თექვსმეტი წლის განმავლობაში როგორც თავის საკუთარ საქმეებს, ისე ევლებოდა სახალხო თეატრს და სახალხო საქმეებს, ეს ადამიანი შეურაცყვეს და ორ სკამზე ჯდომის სურვილი გადააბრალეს. დანარჩენებს კი სულ აღარ მოერიდნენ – ფეოდალების მორჩილ ყმებად გამოიყვანეს. ფეოდალიზმი ხომ ყოველ ფეხის გადადგმაზე აგონდება ს.-დემოკრატებს. ქართული თეატრის შენობა თავად-აზნაურობას ეკუთვნის. აქედან გამომდინარეობს შემდეგი. დრამატიული საზოგადოების გამგეობა ფეოდალურ ინსტრუქციების ბიუროა. ეს განსაკუთრებულად იქიდანა სჩანს, რომ ამ „ბიურომ“ სახალხო სახლში წარმოდგენების გასამართავი „დღეები“ დამოუკიდებელ წრეს მიუსაჯა და არა სახალხო უნივერსიტეტთან არსებულ, ხოლო აწ დაობლებულ სექციას. მაგრამ საცა ფეოდალიზმს იხსენიებენ ჩვენს კაპიტალისტურ ხანაში, იქ არ შეიძლება რომ ბურჟუაზია დასტოვონ უყურადღებოდ. საქმე იმაშია, რომ იგივე საკითხი „დღეების“ განაწილების შესახებ ტფილისის ქალაქის გამგეობასაც უნდა გადაესინჯა. ამ გამგეობამაც წრეს მიუსაჯა „დღეები“. აქედან აშკარაა წრის კავშირი და ნათესაობა ბურჟუაზიულ წრეებთან. ამრიგად აღმოჩნდნენ ნ. ელიავა, მარია დემურია, გ. ლასხიშვილი და სხვანი ჯერ ფეოდალების ყმებათ, მერე კი უტყუარ მსახურებად ღიპიან ბურჟუებისა.

და რომ ეს ასეა, ამის დასამტკიცებლად გაზეთ „მომავალში“ ნოე ჟორდანიის შორეულ ქვეყნიდან მოწერილ კერძო წერილის ერთი ადგილიც დასტამბეს. ქართველი სოციალ-დემოკრატიის დალაი ლამა იწერებოდა – რეაქცია იმის ცდაშია დღეს, რომ მუშებს მოპოვებული პოზიციები უკანვე წაართვას. სახალხო თეატრში მომხდარი ამბავიც ამ ხასიათისაა. ჩვენებურ რეაქციას მუშების ჩამოშორება ჰსურს სახალხო თეატრის საქმიდან და ამითი აიხსნება წრის დაარსება და უნივერსიტეტთან კავშირის გაწყვეტაო. და რაკი ბატონმა ნოემ ბრძანა ეს, უცილობელ ფაქტად გახდა ის გარემოება, რომ წრის მომხრენი და სულის ჩამდგმელნი, ე. ი. არტისტების დიდი უმრავლესობა, რომელნიც უსასყიდლოთ ემსახურება სახალხო საქმეს, რეაქციის პირმშო შვილები არიან და მუშების წინააღმდეგ რეაქციის გასაძლიერებლად მუშაობენო.

დაუჯერებელი საქმეა საღის გონებით რომ შეხედოთ ყველა იმას. მაგრამ დაწერილს ვერაფრით ვერ ამოშლით და სწორეთ ყოველივე ეს იბეჭდებოდა ს.-დემოკრატიულ გაზეთებში. ნამდვილად კი რა მოხდა ისეთი, რომ ამ განგაშის ატეხა იყო საჭირო? საიმისო არაფერი. სახალხო საქმეში, დღევანდელ პირობებში, თავი და თავი თვით საქმეა და არა ის, ვის დროშის ქვეშ არის იგი მოწყობილი. თუ სახალხო თეატრი აწვდის ხალხს ესთეტიურის მხრივ დამაკმაყოფილებელ და გონების მხრივ სასარგებლო წარმოდგენებს, ეს თეატრი თავის დანიშნულებას და მოვალეობას ასრულებს. რა თქმა უნდა, ძალიან სასურველია, რომ ყოველი სახალხო საქმე და თეატრის საქმეც მათ შორის სახალხო უნივერსიტეტის ფარგლებში იყოს მოწყობილი. მაგრამ როდესაც ეს არა ხერხდება, უნივერსიტეტის გამგეობის უვარგისობის თუ სხვა მიზეზების გამო, ლაფში არ უნდა ამოსვაროთ უანგარო მუშაკნი, რომელნიც ხალხისთვის სასარგებლო საქმეს უნივერსიტეტის გარეშე აწყობენ და აწარმოვებენ. ჩვენში კი სწორეთ ეს მოხდა. განსაზღვრული თეორიაც კი წამოაყენეს იმის დასამტკიცებლად, რომ „წრის“ მომხრენი ხალხს ღალატობენ. სახალხო თეატრის თავი და თავი დამახასიათებელი თვისება ის არისო, რომ თეატრის გამგეობაში თვით ხალხი უნდა იღებდეს მონაწილეობასაო. ჩვენ კი გვგონია, რომ თავი და თავი



ის არის, რომ თეატრში ხალხი დაიარებოდეს და ამ ხალხს თეატრი ესთეტიურ გემოვნებას უღვიძებდეს. ეს პირველი პი-

რობაა თეატრის სარგებლობისა. და თუ ამასთან ხერხდება ისიც, რომ თეატრს თვით მუშები გაუძღვებიან, ძალიან კეთილი. ხოლო თუ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო (და მთავარი მიზეზი დღევანდელი სოციალური წყობილებაა) ხალხის გამგეობა ვერ ხორციელდება, ამის გულისთვის თეატრს არ უნდა მიაფურთხოთ და გულწრფელ მუშაკთ დაუმსახურებლივ არ უნდა შეურაცყოთ. ჩვენში კი მიაყენეს ამგვარი შეურაცხყოფა. ამ საქმეში კი, ობიექტიურად რომ შევხედოთ გარემოებას, სრული შეთანხმება შეიძლება ჩვენი ქვეყნის ყველა დემოკოატიულ ელემენტებისა.

ავიღოთ მეორე მაგალითი. მოიგონეთ წ.-კ. საზოგადოების გარშემო ატეხილი აურ-ზაური. ჩვენ აქ არ შევდივართ საზოგადოების გამგეობის მოქმედების დაფასებაში. გავითვალისწინოთ მხოლოდ ერთი საკითხი – საწევრო გადასახადის დაკლების შესახებ. ამისი წინააღმდეგი პრინციპიალურად არავინ იყო, არც ჩვენი ახლო მეგობრები, გამგეობის წევრები, არც დანარჩენი ნაწილი გამგეობისა. დემოკრატიზაცია საზოგადოების ყველას მიაჩნდა სასურველ საქმედ. მაგრამ, დღევანდელ პოლიტიკურ ვითარების გამო, ეს დემოკრატიზაცია შეუძლებელთა, ამიტომ საწევრო ფულის დაკლებაც მოუხერხებელია.

და გამაფრთხილებლების მოლოდინი სავსებით გამართლდა. ეხლა ხანს გამოიცა ცირკულიარი, რომლის ძალითაც გუბერნატორებს ეძლევათ უფლება დახურონ ყოველი კულტურულ-ნაციონალური ხასიათის დაწესებულება, თუ რომ ეს დაწესებულება რუსეთის სახელმწიფოებრივობის მთლიანობისათვის  საშიშო გამოდგება. მოდით და დაუმტკიცეთ ცირკულიარის ავტორებს, რომ წ.-კ. საზოგადოებას პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არ აქვს. საფრთხე აშკარაა და სწორეთ ეს საფრთხე ჰქონდათ მხედველობაში იმათ, ვინც დღევანდელ პირობებში წინააღმდეგია საზოგადოების ფართო დემოკრატიზაციისა. მაგრამ ს.-დემოკრატებს აქაც ხალხის მტრები ელანდებათ, აქაც პათეთიური ლაპარაკია იმის გამო, რომ ხალხს გზას უკრავენ, რომ ბურჟუაზიას „აბობოქრებულ ზღვისა“ ეშინიან და სხვა ამ ხასიათის ბაიათები. „დროებამ“ აუხსნა მო-



პირდაპირეთ საქმის გარემოება და ისიც მოიგონა, რომ დემოკრატიზაციის მომხრე „ცნობის ფურცელიც“ იყო, რომ წინანდელ გამგეობებში ბევრს ემზადებოდნენ საზოგადოების რეორგანიზაციისათვის, რომ ეს რეორგანიზაცია ფედერატიულ პრინციპზე უნდა დაფუძნებულიყო, მაგრამ გარემოებამ საქმეს ხელი ვერ შეუწყო და დღემდე საქმე განუხორციელებელი

დარჩაო. „ახალმა სხივმა“, რა თქმა უნდა, იუკრადისა „დროების“ განმარტება: ცირკულიარი ეხლა გამოვიდა და „სიკვდილის ცელს“ ცირკულიარის გამოსვლამდენაც ატრიალებდითო. მოდით და ებაასეთ ამისთანა ბრძნებს! თითქოს ცირკულიარის გამოსვლამდე არა სჩანდა და არ ისახებოდა რეაქციის პოლიტიკა, თითქოს იმის გასაგებად, თუ რამდენათ მჭრელი და გალესილია ხმალი, თავი უნდა მიუშვიროთ მას და როდესაც თავსნ გაგაგდებინებენ, მოწამენი ჩასწერენ, ხმალი მართლაც მჭრელი იყოვო. მაგრამ ყველა ამაში საყურადღებო ის არის, რომ იმ ხანებში თვით „ახალ სხივში“ დაიბეჭდა წერილი ვინმე ბ-ნ წინწკალისა, რომელიც იმასვე ამბობდე, რასაც „დროება“ – დემოკრატიზაცია საჭიროა, ხოლო საზოგადოების არსებობისათვის საშიშოაო. ეს წერილი დაბეჭდეს თავიანთ გაზეთში, შენიშვნაც არ გაუკეთეს, ხმაც არ გასცეს. „დროებაზე“ კი იყარეს ჯავრი – აი, თქვე ასეთებო და ისეთებოვო. რა არის ყოველივე ეს თუ არ მამლაყინწური თამაშობა, თავმოსაბეზრებელი ყოყოჩობა, რომელსაც არც ხუმრობის ხასიათი აქვს, არც სერიოზულ კამათის გარეგნობა. ვიმეორებ, აქაც ჩვენს შორის არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ არის. ხვალვე მოვაწერ ხელს ჩვენს მოპირდაპირეთა მოთხოვნათა სიას. ხოლო მათაც იქონიონ გაბედულება და „ჰო“ სთქვან იქ, სადაც „ჰო“ არის სათქმელი.

მაგრამ ეს ჩემ მხრივ გადამეტებული მოთხოვნაა. რა ნაირად გინდათ, რომ ჩვენი პატივი ჰქონდეთ, როდესაც ყველა ჩვენს ცოდვებთან ერთად (ფეოდალობა, ბურჟუაზობა, ხალხის მოტყუება და სხვა ამ ხასიათის ავაზაკობა), ამ მოკლე ხანში აღმოაჩინეს კიდევ ერთი ახალი ჩვენი სისაძაგლე: თურმე ნუ იტყვით, ყველა ქართული გაზეთები ჩარდა „ახალ სხივისა“ ბურჟუაზიის მიერ (რომლის, ნეტავი?) მოსყიდულები ყოფილან. დიაღ, ამ ბრალდებასაც ვეღირსეთ. მართალია, „ახალი სხივი“ „დროებას“ არ ასახელებს, მაგრამ რად გინდათ დასა-



ხედება, როდესაც პირდაპირ ამბობს, რომ ბანკები განცხადებების სახით ქრთამს აძლევენ პრესსას, ჩვენი მხარე გეჭიროსო. განცხადებებს „დროებაც“ ჰბეჭდავს, მაშასადამე, „დროებაც“ მოსყიდულია.

რა უნდა უთხრათ ამ გვარ მოპირდაპირეს? თავი იმართლოთ? ეს ხომ დამცირებაა. თავის გამართლება უსინდისობის წინაშე! თეატრის თუ წ.-კ. საზოგადოების საკითხის განმარტების დროს კიდევ შეიძლება ლაპარაკი აზრის სხვადასხვაობაზე, მაგრამ აქ, ამ საქმეში, ყოველ პატიოსან ქართველ მწერალს, განურჩევლად მიმართულებისა, ერთი აზრი უნდა ჰქონ-

დეს. ის აზრი, რომ ქართულ პრესაში ჯერ არ ყოფილა მაგალითი მექრთამეობისა და მოსყიდვისა. ადვილად შესაძლებელია, რომ ეს შედეგია ჩვენი ცხოვრების პირობებისა – კაპიტალიზმის განუვითარებლობისა, ბურჟუაზიის უძლურებისა და სხვა. ხოლო უცილებელ ფაქტად უნდა იყოს აღიარებული ის ფაქტი, რომ ქართულ გაზეთების მიმართულებანი არავითარ „სუბსიდიების“ ზედგავლენით არ ვითარდებიან და არ იკაფავენ გზას. უნდა იყოს აღიარებული ისიც, რომ ჩვენს მწერლებს ძალას არავინ ატანს, თეთრი გააშავე და შავი გაათეთრეო. მართალია, ერთი „მწერლის“ მარცხი ყველას ახსოვს, ყველამ იცის, რომ ბ. მიმინომ თავისი სინდისი თუმნად მიჰყიდა ბ-ნ ხაჩატუროვს. მაგრამ ეს მოსყიდული „ჟურნალისტი“ ჩვენი მოპირდაპირეების წრეებთან იყო დაახლოვებული და მისი საქციელი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გვეხება, ხოლო ისიც უნდა დავუმატო, რომ ერთი ადამიანის მარცხის გამო ს.-დემოკრატიული პრესა პასუხის მგებელი ვერ გახდება. და ჩვენ მას არც ვდებთ ბრალს. მით უმეტეს, რომ ზოგიერთმა ცნობილმა თანამშრომელმა მიმინოს გაზეთისამ (მაგ. გომართელმა) იმ წამსვე ხელი აიღეს ამ თანამშრომლობაზე, როგორც კი გაიგეს ეს სამწუხარო ამბავი.

მე აქ ყიფიან-ნაგურსკის საქმეს არ ვეხები. კავკასიის რუსული პრესსა, როგორცა ვსთქვი, უნდა იყოს გამოყოფილი ჩვენს სჯა-ბაასიდან, რადგან მე ვეხები ქართულ საქმეებს და ქართულ ლიტერატურას. აქ კი სინამდვილე სრულიად არა ჰგავს იმას, რომელსაც გვიხატავს „ახალი სხივი“. გაზეთის მიერ გადაშლილი სანახავი ამგვარია. კაპიტალიზმი უმწვერვალესს ხარისხამდეა განვიარებული. მაძ-



ღარი და სხვილი ბურჟუაზია თავის ღონის გასაძლიერებლად პრესაში ეძებს თანაგრძნობას. მდიდრულ რესტორანებში (ჩვენში ალბად „ტილიპუჭურაში“) სანადიმოდ იწვევს გავლენიან გაზეთების თანამშრომლებს. გავრცელებულ რედაქციების სახელზე „ლიონის კრედიტში“ ნახევარ მილიონ ფრანკს ფულსა სდებს. სწერენ მწერლები და თავი კი შამპანიურით უბრუით. სწერენ წერილებს, აქებენ და ადიდებენ მოგებიან საქმეს, აძაგებენ იმათ, ვისთანაც ფინანსიური კავშირი არა აქვთ. და ამ გახრწნილების მორევში სცხოვრობს მკითხველი საზოგადოება და იშხამება დაქრთამულ ბეჭდვითი სიტყვის გავლენით.

დიაღ, ამ სურათს გვაყურებინებენ თვალწინ. თავს კი არავინ იტკიებს იმის შესწავლაზე, რა გვარ რეალურ პირობებში იბრუნებს სულს და არსებობს ქართული ჟურნალ-გაზეთობა. ჩვენს ცხოვრებას თვალებს არიდებენ და საკმარისი

იყო „პრესის სინდიკატის“ საქმის გამოაშკარავება, რომ სინამდვილის გრძნობა სრულიად დახშულიყო სასტიკ „ცენზორების“ გონებაში. ევროპიულ ბურჟუაზიული წყობილება და ზნე-ჩვეულება სავსებით გადმოინერგა ჩვენს ქვეყანაში და ჩვენ ყველანი, გარდა „სხვილებისა“ ამ წყობილების და ზნე-ჩვეულების მსხვერპლად შევიქენით. ვაი ჩვენ და ვაშა უმწიკვლო გმირებს, რომელთაც ძალა შესწევთ ბოროტების მხილებისა!

3.

ყველა ამას რომ ვაკვირდები, გულს რაღაც უცნაური ჭმუნვა ეწვევა ხოლმე. რაც გინდა სთქვით, საკვირველი რამაა ქართველ ადამიანის ბუნება. ჩვენ ყოველთვის ის გვინდა, რაც საუკეთესოა, რაც ყველაზე მეტად და აშკარად პროგრესიულია, რაც დიდებულია სანახაობით და წარმტაცი გარეგნობით. თუ ბრძოლა გვაქვს სახეში, ისეთს სურათს დავხატავთ, რომ ფანჯრებს ზანზარი გაჰქონდეთ. თუ სამართლიანობისათვის ვიბრძვით, ისეთ სიტყვებს ვხმარობთ, რომ ვაცახცახებთ ბოროტებას. განსაკუთრებით კი ის გვიყვარს, რომ აქ შინ, ჩვენს პატარა სამშობლოში, მსოფლიოს მნიშველობის ამბები ხდებოდეს. მართალია, ჩვენი ავლა-დიდება დიდი არ არის. სოფლად დაფლეტილი ფარაჯა, დაბა-ქალაქად უბადრუკი სამიკიტნო. აი, ჩვენი ნაციონალური ინსტიტუტები.



და სოფლელსაც და მიკიტანსაც რომ შემოსძახოთ „რუკი ვერხუ“, პირველი გაცვეთილ ქალამანს და დაფლეთილ ფარაჯას გადმოგიგდებს, მეორემ იქნება სუფრა გაშალოს და საგზაო ორი მანეთი ფული მოქცეს – ეგებ თავიდან მომშორდეო; მაგრამ რა საკადრისია ამაებზე ფიქრი, აზრი შორს მიდის; დიდებულ სასახლეებს ხედავს ელექტრონით გაჩაღებულებს და შიგ მაძღარი და ბედნიერი ხალხი. ნათელ დარბაზებში თფილა და სილაზათეა. კოხტად მორთული ქალ-ვაჟნი ერთმანეთს ეკურკურებიან. მოსამსახურეები კი სანადიმო სუფრას შლიან. გარედ კი ყინვასა და სიბნელეში, ათასობით ირევა დამშეული ხალხი. შეჰყურებს დიდრონ განათებულ ფანჯრებს, ადევნებს თვალებს მოჭრანპულ და მოკაზმულ ქალ-ვაჟთ და სიბრაზით ნაღველი ევსება, ძალას იკრეფს და ყვირის: ძირს მაძღარნო, ძირს სასახლის კოშკნო, გზა, მოვდივართ ბედნიერების საძებნელად, სამართლიანობის აღსადგენად და ამასობაში უეცრად გვეღვიძება, ვირკვევით ოცნებისაგან და ისევ ის ფარაჯა, გაცვეთილი ქალამანი და სამარისებული სიჩუმე და მყუდროება გვეჩხირება თვალწინ. დამაბეზრებელ სურათს

თავიდან მოსაშორებლად ისევ შორს, ხმელეთის და ზღვის კიდის იქით მიდის ჩვენი ოცნება.

ან კიდევ, ვინა სთქვა, რომ გულუხვი ხალხი არა ვართ? ამ რამდენიმე წლის წინად, რევოლიუციის დროს, საფრანგეთში, თუ არ ვცდები, კარიერში, მოხდა უბედურობა. მაღაროში აფეთქება მოხდა და ბევრი მუშა ხალხი დაიღუპა. მოვიდა თუ არა ეს ამბავი ჩვენში, მეორე დღესვე გორში (მაშ სად თუ არ ქართლის ცენტრში!) ფულს აგროვებდნენ დაზარალებულ ოჯახების სასარგებლოდ. გაიგზავნა თუ არა ეს ფული, არ ვიცი, მოგროვებით კი აგროვებდნენ. გულუხვობა, ინტერნაციონალიზმი, მარა ჯანდაბა არის ყოველივე ეს? მაგრამ ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ დღეს რომ მუხრანიანთ ხიდი ჩატყდეს და ზედ მომუშავე მუშები მტკვარში ჩაცვიდნენ, ორდა ათ შაურს ვერ მოაგროვებთ დაზარალებულ ოჯახების სასარგებლოდ. რატომ? იმიტომ, რომ ეგ ტფილისშია და აბა რა პოეზიაა ჩაქცეული მუხრანიანთ ხიდი! სულ სხვაა კარიერი, ფრანგი მუშები, პარიზი, ბარიკადები, კომუნა და სხვა ამგვარი. და აბა გორელების გულმა როგორ უნდა გასძლოს ამ სურათის გახსენების წინაშე! რუსეთის ჩრდილოეთი გუ



ხერნიები სავსეა გადასახლებულ პოლიტიკურ დამნაშავე ქართველებით. ეს საცოდავი ხალხი მშიერ-მწყურვალი იტანჯება ცივ ქვეყანაში. არავის აგონდება ისინი, – ჩვენებურებია და სხვისი გაჭირვება კი გულს გვითუთქავს. რომ ვსთქვათ, ქრისტეს მოყვარე ხალხი ვართ, არც ეს იქნება მართალი. ქრისტეს მიმდევარი ადამიანი არასოდეს არ არის ფუქსავატი, ტრაბახა და გარეგნულ ფორმების და ცხოვრების წამბაძველი. ჩვენ კი სწორეთ ეს გარემოება გვხიბლავს, შიგ არ ვიყურებით, უსუსურ ბავშვებისავით ეჟვნებისაკენ გაგვიშვერია თათები და, სანამ ხელებს წკეპლა არ მოხვდება, თითებს არ ვარიდებთ სათამაშოს.

დიაღ, წამბაძველობა ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია ჩვენი ხასიათისა. უკულტურო ხალხი ყოველთვის წამბაძავია. შავ-კანიან ზულუსს სერტუკსა და ცილინდრში მეტად უყვარს გამოჭიმვა. რაკი ცილინდრს ჩამოიცვამს, ევროპიელი და განათლებული ჰგონია თავისი თავი. ჩვენი „საზოგადოების“ ერთი დიდი ნაწილის გასოციალდემოკრატება განა იმავ წამბაძველობის კანონის ძალით არ მოხდა! როცა გატყავებული გლეხი ემხრობოდა ს.-დემოკრატ. კომიტეტებს, გასაკვირი არ არის, რადგან ს.-დემოკრატიაში იგი ახალ აღთქმას ჰხედავდა და ტანჯვებისაგან განთავისუფლებას მოელოდა. მაგრამ როდესაც მღვდელი, თავადი, ერი და ბერი ერთ ტალღას აჰ-

ყვნენ, აქ უსათუოდ დაშინებულ გრძნობის გარდა წამბაძველობის ელემენტი უნდა მოსძებნოთ. ჩემი მეზობელი რითი მჯობნის, რომ ის სოციალ-დემოკრატი იყოს, მე კი ვიღაც უსახელო ადამიანი! ჩემი „პროგრამაც“ იმისას არ ჩამოუვარდებაო. აქ უნიბლიეთ მაგონდება ერთი თქმულება, რომელიც კარგად ახასიათებს ჩვენს ზნეს.

ერთ დიდებულ თავადიშვილს მიუწვევია სადილად წარსულ საუკუნეში ჩვენში ნამესტნიკად ნამყოფი თ. ვორონცოვი. თავადი საგანგებოდ გაუმასპინძლდა სტუმარს. ამბავი ზემო იმერეთში იყო და იმერეთის თავადობა მოწვეული იყო ნადიმზე. დაჰკლეს ძროხები, მონადირეებმა ჩამოიტანეს ხოხბები, მშველი ირმები, დახელოვნებულმა მზარეულმა საგანგებო საჭმელები დაამზადა. რა არ მიართვეს სტუმრებს? ბეჭი გინდა, საცივები, შემწვარ-მოხარშულ-მოხრაკულები. ბოლოს ხილიც მოართვეს სტუმრებს. და როდესაც ყოველივე ეს გა-



ათავეს, მიირთვეს და ჩაიტკბანურეს, მოსამსახურეებმა, მოულოდნელად, შემოიტანეს დიდრონ „ბლუდებზე“ დალაგებული კატლეტები. ვორონცოვმა არ შეიმჩნია გაკვირვება და თუმცა დაკმაყოფილებულ იყო, აიღო მაინც ორი კატლეტი და ორივე მიირთვა. სადილის შემდეგ თ. ბებუთოვი, რომელიც ახლდა ვორონცოვს, მივიდა მასპინძელთან და უთხრა: კნიაზო, რა მოგივიდა, რაზედ გააფუჭე ასეთი მეფური სადილი, კატლეტი რაღა შემოსატანი იყოვო? – ბეჩა, მიუგო თავადმა, მე კაი მეგონა, რუსებს კატლეტი უყვართ და მეც პატივი ვეცი სტუმრებსო. მეორე დღეს მეორე დიდებულმა თავადმა მიიწვია ვორონცოვი სტუმრად. ხოლო აქ კი თ. ბებუთოვმა ვერ მოითმინა და გააფრთხილა მასპინძელი შენ მაინც ნუ შეირცხვენ თავს და სადილის შემდეგ კატლეტს ნუღარ შემოატანინებო. – კაი, შენი ჭირიმე, დაჰპირდა მასპინძელი. სადილზე აქაც აუარებელი საგანგებო საჭმელ-სასმელი მოართვეს სტუმრებს, ხოლო სადილის შემდეგ ისევ მოულოდნელად შემოიტანეს კატლეტი უზარ-მაზარ „ბლუდებით“. ვორონცოვმა აქაც გამოიჩინა ზრდილობა. აიღო ორი კატლეტი და წარბშეუხრელმა მიირთვა. თავადი ბებუთოვი კი გაბრაზებული იყო და სადილის შემდეგ მივიდა მასპინძელთან და მკვახეთ უთხრა: კნიაზო, აკი დამპირდი, კატლეტი არ იქნებაო. – მაგი რავა იქნება, ბატონო, გუშინ ჩემი მეზობელი კატლეტით გაუმასპინძლდა სტუმარს და მე რა მისი მაჩანჩალა ვარ, თავს ხომ ვერ შევირცხვენდი ქვეყანაშიო.

ასეთები ვართ ცხოვრებაში. სიტყვა გამიგრძელდა, საგანს დავშორდი. მაგრამ უნდა ითქვას რაც სათქმელთა. ს.-დემო-

კრატებიც გვიწვევენ სალაპარაკოდ. მათ იმედი აქვთ, რომ ლაპარაკის დროს „შევტოპავთ“, უარვყოფთ ჩვენს წინანდელ რწმენას და აშკარად დავანახვებთ ჩვენს ბურჟუაზიულ მიდრეკილებას და თუმცა ძლიერ მოხარული ვიქნებოდი, რომ რითიმე მესიამოვნებინა ჩვენი „მსაჯულ-პროკურორები“, მაგრამ ჩემი სურვილი განუხორციელებელი დარჩება, რადგან სინამდვილის კრიტიკა, „უხეირო სოციალიზმის“ გმობა, დანახვა იმისი, რისი დანახვაც საჭიროა, სრულიად არ ნიშნავს სოციალისტურ პრინციპების უარჰყოფას და გმობას. პირიქით, ჩვენის აზრით, ამგვარი კრიტიკა შეჰქმნის ნამდვილ პირობებს იმისთვის, რომ სოციალიზმი ჩვენში სოციალურ ცხოვრების



მომწესრიგებელ ძალად გახდეს და აღარ იყოს ის სამასხარაო კარიკატურა, როგორადაც იგი ისახება დღეს ჩვენს ქვეყანაში. დიაღ, სათქმელი ბევრი რამა გვაქვს. გაჩვენებთ ჩვენს თავს. მხოლოდ თქვენს სახესაც დაგანახვებთ და ნუ დაგვემმდურებით, თუ საწყენი რამე გითხრათ. საჩხუბრათ არ მოვსულვართ. თუ ჩვენს თავს არ ვზოგავთ და ხმამაღლა ვაღვიარებთ ჩვენს შეცდომებს (არა იმას, რომ სოციალისტები ვიყავით, როგორც თქვენ გგონიათ, არამედ იმას, რომ **ბეცი** სოციალისტები გამოვდექით). თუ აშკარად ვამბობთ, რომ საჭიროა გადასინჯვა ჩვენის მსოფლ-მხედველობისა თანახმად აწინდელ ისტორიულ პირობებისა, ნუ ჯავრობთ, რომ თქვენც გიწვევთ ამ საქმისათვის და თქვენც გავალებთ შეცდომების გასწორებას, რადგან ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ინტერესი, მშრომელი ხალხის და ეროვნულ კულტურის მომავალი. მუდამ ჟამს მშრომელ ხალხს იხსენიებთ, მის გარშემოა თქვენი ფიქრი და ძალიან გწყინთ, როდესაც გისაყვედურებენ, ეროვნულ კულტურისადმი გულ-გრილობას იჩენთო. თუ ეს ასეა, გულდასმით უნდა მოგვისმინოთ და არ გაწყრეთ, რომ ჩვენი აზრი თქვენ აზრს არ ეგუება. აზრის სხვა და სხვაობა კარგი საქმეა, მაგრამ ზოგიერთ ისტორიულ მომენტში და ერის ზოგიერთ პირობებში საჭიროა ყველა პროგრესიულ ელემენტების ძალთა კონცეტრაცია, საჭიროა ერთი აზრის შემუშავება, ერთი გრძნობის, მისწრაფების შექმნა ერის ყოფნა არ ყოფნის საკითხის წამოყენების დროს. და დღეს ამგვარი საკითხი არსებობს ჩვენთვის და უნდა არსებობდეს თქვენთვისაც, რადგან ერთი ხალხს შვილნი ვართ და ერთი ბედი მოგველის როგორც ჩვენ, ისე თქვენ. ვიცით რომ თქვენს ტუჩებზე ღიმილი ჩნდება, როდესაც ამგვარ სიტყვებს კითხულობთ „მებრძოლ ნაციონალიზმის“ გაზეთებში. ვიცით, რომ თქვენ პესიმისტურად არ აზროვნებთ, ყოველთვის იმედები გაქვთ

და ყოველთვის ბრწყინვალე მომავალი გიდგათ თვალწინ. მაგრამ ან თქვენს ღიმილს და ოპტიმიზმს არავითარი ფასი არა აქვს, ან გასაგების, ადამიანურის ენით უნდა სთქვათ, რაზედ ამყარებთ თქვენს იმედებს, თუ, რა თქმა უნდა, ეგ დასამალი არ არის და სათაკილო არ იქნება თქვენის ღირსებისათვის „მებრძოლ ნაციონალიზმისთან“ გამოლაპარაკება. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი ხტუნაობა ისეთივე უნაყო-



ფო იქნება, როგორიც იყო ზღაპრულ ვაჟის ჭენება, მინდორთ ქალს რომ გამოეკიდა. გაექცა ქალი ვაჟს. ვაჟის ცხენი გადადის, ერთ გუთნის გაშლაზე ხტება. „მირბოდა ქალი, ხტებოდა სამ გუთნის გაშლას, მიჰყვებოდა ვაჟი, მაგრამ ორ გუთნის გაშლას ძლივს გადადიოდა იმისი ცხენი“. ვერ იქნა, ქალი ხელში ვერ ჩაიგდო. ან იქნება თქვენი რაში უფრო მარდია? დაგვანახვეთ, გამოიყვანეთ თავლიდან, გაგვამხნევეთ და ქაბას შეგსხამთ.

4.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ყოფნა არ ყოფნის საკითხს რომ ვგულისხმობ, სახეში მაქვს უკვე გამასხარავებული ჩვენში ტერიტორიის შერჩენის და დაცვის საკითხი. დიაღ, გამასხარავებული. აღმოჩნდნენ მახვილი გონების „მეპრესეები“, რომელნიც თავიანთ მასხარაობის საგნად გაჰხადეს ეს საკითხი. მაგრამ ამას ეხლა თავი დავანებოთ და ვსთქვათ ის, რომ ამ საგნის შესახებ ფიქრი და წერა წინადაც, რევოლიუციის წინა ხანებშიაც იყო, ილია ჭავჭავაძე აქცევდა მას ყურადღებას, „ცნობის ფურცელიც“ ეხებოდა მას. და იმ თავითვე სოციალ დემოკრატებმა, იმ ხანებში „დასისტებმა“, ყალბი პოზიცია დაიჭირეს ამ საკითხის გადაჭრის დროს. „კვალს“ ძალიან მოსდიოდა გული, როდესაც ქართველ გლეხებისა და მუშების ინტერესების დაცვაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი. სხვა ტომის გლეხს და მუშას რაღას უშვრებითო? თუმცა სხვა ტომის მშრომელ ხალხს არავინ ემტერებოდა, მაგრამ საქმე ისე იყო დაყენებული, ვითამ განზრახულია ამ ელემენტების განდევნა ჩვენი ქვეყნიდან. განზრახულია ნაციონალური ბრძოლის გაჩაღება და ერთმანეთში წაკიდება სხვა და სხვა ერის ხალხისა... განვლო ხანმა. რევოლიუციაც განვიცადეთ. დაგვიდგა ჟამი დაფიქრებისა. „ისარ-ამირანი“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ტერიტორიის საკითხს. ს.-დემოკრატიულ წრეებშიაც მითქმა-მოთქმა და ლაპარაკია ეროვნულ საკითხის გადასინჯვის შესახებ. გაჩნდნენ ავტონომისტ ს.-დემოკრატები. ორტოდოქ-

სებმაც კულტურულ ავტონომიისაკენ გადადგეს ნაბიჯი. ბ-ნმა ან-მა აღიარა, ეროვნულ საკითხის საფუძველი ენა და ტერი-ტორიაო. ამავე ხანში სოც.-დემოკრატიულ პრესაში დაიბეჭ-



და რამდენიმე წერილი მიწის საკითხის შესახებ. ამ წერილების გამო ვსთქვი იმ ხანებში გაზეთ „ამირანში“, რომ მიწის შესა-ხებ დღეს ს.-დემოკრატები იმასვე ამბობენ, რასაც ამბობდა ილია ჭავჭავაძე ამ ოცი წლის წონად. მაგრამ საქმე ისე მოგ-ვარდა, რომ ის, რაც წინად უფრო თეორიული ხასიათის სა-ზრუნავი საგანი იყო, დღეს მრისხანე სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხად გამხდარა. ჩვენმა გაზეთმა დაინახა თუ არა ეს საფრ-თხე, მთელი თავისი ყურადღება ამ საგნის გამორკვევას მოან-დომა უკანასკნელ წლის განმავლობაში. და მისი ცდა, ასე თუ ისე, უნაყოფო არ იყო. საზოგადოებრივი აზრი თითქოს გა-მოფხიზლდა და თითქოს მართლაც დაიწყეს სერიოზულად ფიქრი ამ საგნის შესახებ. ს.-დემოკრატები პირველ ხანაში გა-ჩუმებულები არიან. მათი პრესა „დუმით“, სპარსეთის რევო-ლიუციით და ინგლისის ამბებით არის გართული. ტერიტო-რიის საკითხი ყურადღების ღირსი არ არის. მით უმეტესად, რომ იგი აღძრულია მოპირდაპირე ბანაკის პრესის მიერ. მაგ-რამ ხმაურობა ძლიერდება: „დროება“ ჰბეჭდავს კარტას, საი-დანაც ნათლადა სჩანს, რა გაიყიდა, რა იყიდება და რა გაი-ყიდება. სოფლელებიც თითქოს დაფაცურდნენ, მიწის შეძენის სურვილი გამოიჩინეს. „მომავალი ჰბეჭდავს, არღვევს სიჩუმეს და დამშვიდებულ დარბაისლური კილოთი აღიარებს ფაქ ს – მიწა ხელიდან გვეცლება, კარგი იქნება გლეხებმა რომ იყი-დონ, ხოლო შეღავათიან პირობებში, იაფად და გრძელ ვა-დიან სესხის შემწეობითაო. ამასთან აფრთხილებს ხალხს, ნა-ციონალისტურ საფრთხეში არ გაებათ. „ნაციონალისტებს“ ტერიტორია ბატონობისთვის უნდათ და სხვა ამისთანა. ასე თუ ისე, მოწყალეობა მაინც მოწყალეობად დარჩა. ნება დარ-თეს გლეხებს მიწების შეძენაზე. იმაზე თავს არავინ იმტვრევ-და, თუ რანაირად უნდა იყიდონ გლეხებმა მიწა, როცა ფუ-ლი არ არის. „რაც შეიძლება იაფად და გრძელ ვადიანის სესხითო“. კეთილი, მაგრამ სად ისესხონ, ვის მიმართონ? ამა-ზე ლაპარაკი მეტია. „დუმა, დუმა და დუმა“, მეთაური წე-რილები საზოგადო პოლიტიკის შესახებ, ისევ „დუმა“ და ისევ „დუმა“. ამასობაში საკითხი უფრო გამწვავდა. „დროებამ“ მოუხშირა ცნობების გამოქვეყნებას. გამოირკვა, რომ მიწის შეძენის ნიადაგზე მეზობელ სოფლებს ჩხუბი მოსდით ერთმა-ნეთში, მიწა ცოტაა, გაჭირვება დიდია, ფული კვლავ არ

არის, ბევრგან შეგნებაც არ არის. და ერთ მშვენიერ დღეს „ახალ სხივში“ ამ საგნის შესახებ მეთაურიც კი წავიკითხე. იმ ადგილას, სადაც „დუმაზეა“ ხოლმე ლაპარაკი, ჩვენს საკითხების შესახებ გაჰბედეს ლაპარაკი. ხატი, რჯული! გაზეთი არიგებდა გურულ გლეხებს, ერმანეთში ნუ ჩხუბობთ, მორიგებით გაათავეთ საქმე, თორემ თქვენს ჩხუბს გარეშე ძალა გამოიყენებს და თვითონ ჩაიგდებს მიწას ხელშიო. „სხივის“ მხრივ ეს უკვე დიდი პროგრესი იყო, პირდაპირ მოქალაქობრივი გაბედულება. სთქვეს ის, რასაც „ნაციონალისტები“ ამბობენ. მეტსაც მოგახსენებთ. „ახალი სხივი“ პრიორიტეტსაც კი გვედავება. „ჯერ კიდევ ჩამი-ჩუმიც არ იყო მიწის საკითხის **დღევანდელსავით** გამწვავებაზე, ამბობს ბ-ნი წინწკალი, და არც რევოლიუციის მთლად დამარცხებაზე იყო მტკიცე აზრი შემდგარი, როცა ან-ი ეუბნებოდა გაზეთის ფურცლებზე გლეხებს, რომ რევოლიუცია დამარცხდა და მიწების მათ სასარგებლოდ კონფისკაცია **უიმედოა**; ამიტომ ის არკვევდა მეორე გზას მიწების შეძენისას და ეს განმეორდა **არა ერთხელ** ჩვენი ბანაკიდანო. (კურსივი ჩვენია). როგორც ხედავთ, აღარ ხუმრობენ. ჯერ ან-მა განუმარტა ყველაფერი, შემდეგ ამისა არა ერთხელ არკვევდა ხსენებული პრესა ამ საკითხს. ბატონი ბრძანდებით. ასე იყოს, ოღონდა „დუმით“ თავს ნუღარ მოგვაბეზრებთ. ეროვნული პრობლემაც თქვენ წამოაყენეთ და დაწვრილებით გაარკვიეთ ის; დღეს კიდევ ტერიტორიის საკითხი. ალალი! თუმცა აქ არ შემიძლიან არ მოვიგონო ერთი ფილოსოფოსის სიტყვები. ახალ თეორიას, ამბობს იგი, პირველ ხანებში სისულელედ აღიარებენ ხოლმე. შემდეგ მას იწყნარებენ, ხოლო ამბობენ, რომ იგი თავსამტვრევი საგანი არ არის და ცხადია, როგორც დღე. ბოლოს კი მას ისეთს დიდ ფასს და მნიშვნელობას აძლევენ, რომ ეს ახალი აზრი მათ მიერ არის აღმოჩენილიო.

მაშ ასე, ს.-დემოკრატიაც აღიარებს ტერიტორიის დაცვის საკითხს. პრიორიტეტობაზე დავას თავი დავანებოთ. საკმარისია ისიც, რომ ქართველ დემოკრატიაში ამ საგნის შესახებ ერთი აზრი ტრიალებს. ვამბობ ამას და თან ეჭვები მებადება, ვისაც ტერიტორიის საკითხი სერიოზულ საგნად მიაჩნია, ის მასხარაობას არ დაიწყებს ამ საკითხის გარშემო. „ახალი სხივი“ კი მასხარაობს და არ იცი, ვისთან გაქვს საქმე –



ჯამბაზებთან თუ პასუხის-მგებლობით გამსჭვალულ მწერლებთან. აი საბუთიც. ამას წინად „დროებაში“ გ. ქ-ემ ის აზ-

რი გამოსთქვა, რომ საჭიროა ეროვნული ბანკის დაარსება და ამ ბანკმა უნდა იზრუნოს არა მარტო შერჩენილ მიწა-წყლის დაცვაზე, არამედ უკვე დაკარგულის უკან დაბრუნებაზედაც. არ უნდა დავკმაყოფილდეთ თავის დაცვით, არამედ თავდასხმაზედაც უნდა ვიზრუნოთო, ე. ი. ბანკის საშუალებით დავიბრუნოთ უკვე გადაკარგული მიწებიო. თავდასხმაო?! და მორთეს ყვირილი: მებრძოლი ნაციონალიზმი დღემდის „თავის დაცვის“ მანტიაში გვეჩვენებოდა, დღეს კი „თავის დაცვით“ აღარ კმაყოფილდებიან... მაგრამ ეს „ახალი ტერიტორია“, რომლის დასაპყრობად ბ-ნი გ. ქ. იწვევს ჯარს, ხომ სხვას ეკუთვნის და ნებაყოფლობით, როგორც ვიცით, არავინ დაუთმობს თავის ტერიტორიას. მაშასადამე საჭირო იქნება – „ბრძოლა მედგარი, ბრძოლა შეუპოვარიო“. საქმე ისეა გამოყვანილი, რომ ჩვენ საომრად ვემზადებით. საზღვრებს ვამაგრებთ და სტამბოლს და თავრიზს ვემუქრებით, ბანკის თაობაზე კრინტიც არ არის დაძრული. „სხვის“ ინტერესების დარაჯები ფეხზე დგანან. ამ „სხვების“ ჭვალი ისე აწუხებთ ჩვენს გულუხვ მწერლებს, რომ ფულითაც კი ნებას არ გვაძლევენ დავიბრუნოთ ის, რაც გაჭირვების და უღონობის დროს გამოაცალეს ხელიდან ჩვენს დამშეულ ხალხს. სამართლიანობის მოციქულნი, ინტერნაციონალურ მშვიდობიანობის მქადაგებელნი „სხვისი“ უფლების დარღვევით ღელდებიან და ჩვენ რომ სული გვძვრებოდეს და თავში რომ გვიჩაჩქუნებდნენ, ამის წინააღმდეგ თითს არ დასძრავენ. თავდასხმა! გაგონილა! რა თავხედობამდე მივიდა „მებრძოლი ნაციონალიზმით“!

„მებრძოლი ნაციონალიზმი“! ტერმინიც საგულისხმოა. ჰნიშნავს რასმეს იგი, თუ უშინაარსოა იგი, როგორც ბევრი სიტყვა, რომელსაც ხმარობენ ს.-დემოკრატები? „მებრძოლი ნაციონალიზმი“ პოლიტიკურ ტერმინოლოგიით შოვინისტური და რეაქციონური მოვლენაა. მებრძოლი ნაციონალისტები არიან (воинствующіе націоналисты) პურიშკევიჩი და ძმანი მისნი. საფრანგეთში ერთ დროს დერულედი იყო მებრძოლი ნაციონალისტი, რესპუბლიკის მტერი, მილიტარიზმის და „რევანშის“ მომხრე. პარიზელი მუშები გიჟს უწოდებდნენ დე-



რულედ.' და სიმღერაც კი გამოიგონეს: „დერულედი შარანტონ-ტონ-ნესკე, დერულედი შარანტონ-ტონ-ტონ“! (ე. ი. დერულედი და საგიჟეთი, – საგიჟეთი, საგიჟეთიო) [1]). მებრძოლ ნაციონალიზმს პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვა რაიმე მნიშვნელობა და შინაარსი არა აქვს. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები იმ ეროვნულ მოძრა-

ობას, რომელიც სცდილობს ჩვენი ხალხი გადაგვარებისაგან გადაანარჩინოს და მოუპოვოს მას შესაფერი პირობები კულტურულ განვითარებისათვის, აშკარაა, რომ „ამას“ უწოდებენ „მებრძოლ ნაციონალიზმს“ ე. ი. მარკოვების და პურიშკევიჩების მაძღარა ველურებამდე აქვეითებენ მაღალ და წმინდა იდეალებით გამსჭვალულ მიმართულებას. ჰო, რა კარგი გამოდგა ეს სიტყვა „თავდასხმა“, რა მასალაა მილიტარისტულ დაფარულ პლანების გამოაშკარავებისთვის! „ახალ სხივს“ ეკუთვნის დაფნის გვირგვინი ამგვარ დამსახურებისთვის. და რომ „მებრძოლი ნაციონალიზმი“ მართლაც წარმოადგენს საფრთხეს საზოგადო მყუდროებისათვის, იგივე გაზეთი იძლევა ამის შესახებ ცნობებს, „მებრძოლნი“ ამბობენ თურმე: „ჩვენ არა თუ ჩვენი საკუთარი ტერიტორია უნდა შევინარჩუნოთ, ახალიც უნდა დავიპყროთ. (თავდასხმა!) ჩვენ უნდა ავაგოთ საკუთარი ციხე-სიმაგრე, კოშკები. ჩვენ უნდა განვდევნოთ ყველა შემოსულები. ჩვენ უნდა დავაარსოთ ახალი ტიპის ბანკები. ჩვენ უნდა შევქნათ ვაჭარ-მრეწველთა კლასი და უკუვაგდოთ რაღაც სოციალიზმიო“ (№ 35).

ვაჭარ-მრეწველთა ამბავის შესახებ, რომელთ ბელადებით გინდა თუ არა ჩვენ უნდა გაგვხადონ, ბევრჯერ გვქონია საუბარი მკითხველთან. სოციალიზმის „უკუგდების" შესახებაც ხშირად გვიბაასნია. მაგრამ ეს თავდასხმა და „კოშკები“ კი რაღაც ახალი ხილია – დასვენებულ დროს შეგროვილ ენერგიის ნაყოფი იქნება. მართალია, რევოლიუციის დროსაც იყო სურვილი „კოშკების“ აგებისა, მაგრამ ის ფედერალისტურ პარტიკულარიზმის შედეგი და პეისტრობა იყო. დღევანდელი გეგმა თავდასხმისა კი უფრო სერიოზულია და მშვიდობიანობის დარღვევას გვიქადის!

ასე გაამასხარავეს ტერიტორიის საკითხიც. არ იცი, ყველა ამას რომ კითხულობ, ეს ხალხი აზროვნებს ოდესმე სე-

---

[1]) შარანტონში საგიჟეთია.



რიოზულად თუ არა. არ იცი, მართლა აღონებს მას ეს საკითხი, თუ დროს მისდევენ და ჩამორჩენის შიშით იგონებენ მას. ერთის მხრივ თითქოს ესმით, რომ „მიწის მობილიზაციის პროცესს ჩვენში ზედ დაერთო ისიც, რომ მყიდველებათ გამოდიან უმთავრესად არა-ქართველებიო“. მეორეს მხრივ კი, არ იცი, ეს გარემოება მათს თვალშიაც არის სამწუხარო თუ არა. „მთელი ბურჟუაზიული ინტელიგენცია, ამბობენ ისინი, ამ გარემოებამ (რომ მყიდველები არა ქართველები გამოდიან) დიდ საგონებელში ჩააგდოო“. ეს გავიგეთ, ვიცით. თქვენზე

როგორ მოქმედობს ეს გარემოება? გაგდებთ საგოგმანებელში, თუ საკითხი იმად არა ღირს, რომ მაინც და მაინც თავი შეიწუხოთ მისთვის? თუ გაფიქრებთ, გვაჩვენეთ თქვენი მოქმედების გეგმა. ბანკებს უარყობთ. მაშ სხვა რაიმე საშუალება დაგვანახვეთ. ან იქნება ბანკზედაც ყაბული სთქვათ! არ ვიცით. ან იქნება დემოკრატიის შეკავშირება მიგაჩნიათ საჭიროდ? არც ეს ვიცით. ვიცით მხოლოდ ის, რომ ჩვენი მოწოდება არ გეჭაშნიკებათ და ყოველ ჩვენს წინადადებას უარჰყოფთ. ხოლო მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვამბობთ, რომ ქართველ დემოკრატიას ჰმართებს დღეს შორს მხედველობის გამოჩენა, პოლიტიკურ სიმწიფის და სიბრძნის გამოაშკარავება და ეს უნდა გამოისახოს მისი შეკავშირებით ტერიტორიის დაცვის ნიადაგზე. ტერიტორიის საკითხი კი, დემოკრატიის შეგნებით, ორ ელემენტისაგან უნდა შესდგებოდეს; მისი მნიშვნელობა ორ მოსაზრებიდან გამომდინარეობს მისთვის. ტერიტორია საჭიროა აგრარულ საკითხის გადასაწყვეტად. როგორი აზრისაც გინდა იყავით ამ საგნის შესახებ, არ შეგიძლიათ დაივიწყოთ ის გარემოება, რომ რევოლუცია საქართველოში მიწის სივიწროვის ნიადაგზე გაჩაღდა. ხალხს, მაშასადამე, მიწა ესაჭიროება და ტერიტორია უნდა დავიცვათ იმიტომ, რომ გადავარჩინოთ ხალხი ეკონომიურ გაჭირვებისაგან, შევიწროებისაგან და შიმშილობისაგან. ტერიტორია  გვესაჭიროება აგრეთვე როგორც საფუძველი და მატერიალური ნიადაგი ეროვნულ კულტურის ასაყვავებლად. ტერიტორია ჩვენს თვალში ეროვნული ერთეულია, რომელიც უნდა იყოს ხელუხლებელი. ამ ეროვნულ ერთეულის ნიადაგს არ უნდა გადავსცდეთ და დემოკრატიის შემეცნებაში უნდა იყოს იგი მცნება მკვიდრად გამაგრებული.

ქართველ დემოკრატიის გაერთიანებას მოითხოვს დღევან-



დელი ისტორიული მომენტი. გაიგებს თუ არა დემოკრატია ჩვენს მოწოდებას, ეს, სხვათა შორის, იმაზედაც არის დამოკიდებული, შეიგნებს თუ არა სოციალ დემოკრატია თავის დღევანდელ მოვალეობას და ისტორიის წინაშე პასუხის მგებლობას.

## IX

## გაერთიანება მაინც შესაძლებელია

### I.

ჩემს საპასუხო წერილებში გვერდს აუხვევ ყველა იმას, რაც უმნიშვნელოდ ართულებს სადაო საგანს და ვეცდები

აზრის ხელმეორედ დამტკიცებას, რომ ქართველ დემოკრა-
ტიას დღეს გასაყოფი და საჩხუბარი არა აქვს-რა, მიუხედავად
იმისა, რომ „ახალი სხივი“ და „ჩვენი გაზეთი“[1]) ბ-ნ გალიორ-
კას პირით შეეცადნენ ჩვენ შორის არსებულ უთანხმოების
ხელოვნურად გაღრმავებას და გასავალ ხიდის დაშლას. ჩვენ
მართლაც არა გვაქვს იმედი, რომ დავიყოლიოთ ბ-ნი გა-
ლიორკა და მისი მსგავსი მწერლები. მაგრამ ჩვენს წერილებს ბ-ნ
გალიორკის გასაჯავრებლად არა ვსწერდით. სახეში გვყვანდა
ქართველი დემოკრატია. მას ვებაასებოდით და ამ ჟამადაც
მასთან ვიჭერთ საქმეს, მას მივმართავთ და კიდევ ერხელ მო-
ვაგონებთ, რომ ყველა დემოკრატიულ ელემენტების გაერ-
თიანება დემოკრატიულ პრინციპების ნიადაგზე შეადგენს ჩვე-
ნი დროის მთავარ მოთხოვნილებას. ბ-ნი გალიორკა, რომე-
ლიც სოც-დემოკრატიის პირით ლაპარაკობს, ღირსეულად
ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. მოურიდებელ ნიადაგზე
სდგას და თავის წერილებით კი ახალ მასალას გვაძლევს ჩვე-
ნი აზრის უკეთესად ნათელ საყოფად.

ვტოვებ უყურადღებოდ ყველა იმას, რაც ბ-ნ გალიორ-
კას ტემპერამენტის, სტილის და საპოლემიკო შემოქმედების
გარნიტურას შეადგენს. მთავარი აზრი, რომელზედაც უნდა
იქმნეს მიქცეული დემოკრატიის ყურადღება, ამგვარია. დე-
მოკრატიას მაღლა უნდა ეჭიროს პრინციპი დემოკრატიზმისა,
რომელიც შეგვიძლია გამოვსახოთ თუნდ ბ-ნ გალიორკას
მიერ წამოყენემულ ფორმულაში – ყველაფერი ხალხისათვის,
ხალხისავე საშუალებით. ხოლო ამასთან დემოკრატიას კარ-

---

[1]) „ახ. სხივი“ №№ 44, 45. 46, „ჩვენი გაზეთი“ № 2.



გად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული ისტორიული წრე
და გარემო, რომელშიაც იგი მოქმედებს. საღ გათვალისწი-
ნებაზეა დამოკიდებული დემოკრატიის პრაქტიკულ მოქმედე-
ბის გეგმის შემუშავების საქმე. ამგვარად პრინციპიალური და
ტაქტიკური მხარე დემოკრატიის მოქმედებისა ერთი მეორეს-
თან გადაბმულია, ერთი მეორისაგან დამოკიდებული. ზოგიერთ
ისტორიულ პერიოდებში გამარჯვებულია ანუ გამარჯვების
გზაზე დამდგარი პრინციპი დემოკრატიზმისა. ზოგიერთისაში
გარემოება სძლევს მას და იგი სავსებით ვერ ისახება, გარე-
მოებას უწევს ანგარიშს და თითქოს დამარცხებულიცაა. და
მართლაც ხდება დამარცხებული, როდესაც დემოკრატიაში
ფეხს იდგამს ოპორტიუნიზმის აზრი და როდესაც იგი ოპორ-
ტიუნიზმი პრინციპად გამოაქვთ სამოქმედო ასპარესზე.

მაშ ასე – ყველაფერი ხალხისათვის, ხალხისავე საშუალე-

ბით. გამოვიდნენ თუ არა ს.-ფედერალისტები სამოქმედოთ პოლიტიკურ ასპარესზე, მათ სწორედ ეს პრინციპი აღფრთოვანებდათ და ასულდგმულებდათ. მათ სწადდათ ხალხში თვითმოქმედების გაღვიძება და ეს თვით-მოქმედება მათს თვალში არა მარტო კულტურულ და სოციალურ საკითხების ნიადაგზე უნდა გავარჯიშებულიყო, არამედ ეროვნულ და პოლიტიკურ ნიადაგზედაც. ს.-ფედერალისტები იმ თავითვე დემოკრატიულ ავტონომიის მომხრენი გამოვიდნენ, რადგან მათის შეხედულებით სწორედ ამ ფარგალში იყო შესაძლებელი ქართველ დემოკრატიის თვით-მოქმედების (კულტურულის, სოციალურის და ეროვნულის) განვითარება.

ს.-დემოკრატებმა, რომელნიც თითქოს იმავ დემოკრატიულ ნიადაგზე იდგნენ, იმ თავითვე შეზღუდეს ქართველ ხალხის დემოკრატიულ გავარჯიშების ასპარეზი. სამოქმედო მოედანი საქართველოდან პეტერბურგში გადაიტანეს და ამ უკიდურესს ცენტრალიზაციის წყალობით თვით პრინციპი დემოკრატიზმისა შელახეს. ბოლოს თვითონაც გაიგეს ეს და იწყეს საქმის გამობრუნება. „ოლქებრივ თვითმართველობის გადასინჯვა იწყეს. უვარგისად სცნეს იგი და სამაგიეროდ შეჩერდნენ კულტურულ ავტომიის გეგმაზე. ამ გეგმის აზრით ქართველ ხალხს ეძლევა უფლება დემოკრატიულ თვითმოქმედების მოღვაწეობისა კულტურულ განმანათლებელ დარგში, სოციალ-პოლიტიკურ ფარგალში კი თვით-



მოქმედების უფლების მინიჭება ქართველ დემოკრატიისათვის კვლავაც უარჰყვეს. სიმართლეს მოკლებული იქნება, რომ ვსთქვათ – ს.-დემოკრატიას ს,-პოლიტიკურ სფერაში დემოკრატიული პრინციპები არა სწამდათ. სწამდათ, ძალიან სწამდათ, დამფუძნებელ კრების თავგამოდებული მებრძოლნი იყვნენ, ხოლო ყოველსავე მათს მოქმედებას ცენტრალური ხასიათი ჰქონდა. რუსეთის სრული დემოკრატიზაცია, საყოველთაო არჩევნების უფლება და სხვა. ხოლო საქართველოში კი ოლქობრივი თვითმმართველობა" და ბოოს „კულტურული ავტონომია“. ამ ფარგალში ქართველი ხალხი სრულუფლებიანი ხდებოდა, სოციალ-პოლიტიკურ სფეროში კი უთანასწორდებოდა მხოლოდ რუსეთის ხალხს. რუსეთის პარლამენტის კანონი ჩვენი კანონიც უნდა ყოფილიყო. კულტურულ სფეროში საკუთარ კანონების უფლება გვეძლეოდა, სოციალ-პოლიტიკურში – არა. და ეს გარემოება ყოველთვის, წინადაც და ეხლაც, მიგვაჩნია დემოკრატიულ პრინციპების ღალატად. ცენტრალისტური წყობილება ჰხუთავს დემოკრატიას, განსაკუთრებით, როდესაც ცენტრალისტური სახელმწიფო სხვა და სხვა

ეროვნებით არის დასახლებული. იმ ქვეყნების დემოკრატიზმი სადაც ცენტრალიზაცია შერყეულია და სახელმწიფოებრივი შენობა აგებული ავტონომიის და ფედერაციის პრინციპზე, იგი ფრთაგაშლილია და მისი თავისუფლება მტკიცედ არის უზრუნველყოფილი. შვეიცარია, შეერთებული შტატები, კანადა და ავსტრალია არ შეედრებიან ამ მხრივ საფრანგეთს, სადაც პროვინციალიზმის აღორძინების შიშით და ცენტრალიზმის გამაგრების წყალობით ხშირად ირღვევა ხოლმე პრინციპი დემოკრატიზმისა და სადაც ამ ბოლო ხანებში თითქოს შეიგნეს ეს და აგერ რამდენიმე დღეა მას აქეთ, რაც მინისტრ-პრეზიდენტმა არისტიდ ბრიანმა აღიარა, საჭიროა საფრანგეთში პროვინციალურ პარლამენტების აღორძინებაო, (იხ. „რეჩ“ № 91).

ყოველივე ეს მოვიგონეთ იმიტომ, რათა გვეჩვენებინა, რომ ჩვენ იმ თავითვე მტკიცედ ვიცავდით ფორმულას – ყოველივე ხალხისათვის, ხალხისავე საშუალებით. დღესაც, შეცვლილ პოლიტიკურ პირობებშიაც, იმავ აზრისანი ვართ და დღესაც მოწადინებულნი ვართ იმავ საქმეს ვემსახუროთ. მაგრამ დღეს, დამარცხების შემდეგ, ჭკუა ვისწავლეთ, გავიგეთ,



რომ ჩვენი დამარცხების თავი და თავი მიზეზი ისევ ჩვენა ვართ. შავი და ბნელი ძალები უღონონი იქნებოდნენ, ჩვენ რომ მომზადებულნი და განათლებულნი და გათვითცნობიერებულნი ვყოფილვიყავით. ყოველივე ეს გვაკლდა და ვისაც მეტი ძალა აღმოაჩნდა, ის წამოსკუპდა დღეს პირველ რიგში. ძალთა განწყობილებაზე იყო დამყარებული წარსული რევოლიუციის საქმე. მომავალიც იმავ ძალთა განწყობილებაზეა დამოკიდებული. ამიტომ დღეს ჩვენ უთავბოლოდ აღარ ვიძახით „გაუმარჯოს თავისუფლებას“ მაშინ, როდესაც ხელში ჯოხების მეტი არა გვიჭირავს-რა და არც გამაგრებულ ციხე-სიმაგრის წინააღმდეგ იერიშის მიტანას ვქადაგებთ. და ამას ჩავდივართ დემოკრატიის ინტერესების გულისათვის, დემოკრატიულ პრინციპის სრულ განადგურების და დემოკრატიულ საქმის საბოლოოდ დამარხვის შიშით. ჩვენი მოქმედების გეგმა ოპორტიუნიზმი არ არის, არამედ მუშაობა არსებულ პირობების ფარგლებში ძველ და წინ და წინ დასახულ მიზნის განსახორციელებლად. და აი ვისაც სერიოზულად უნდა შეთანხმებაზე ლაპარაკი ამ მუშაობაზე, **არსებულ პირობებში მოქმედების გაერთიანებაზე** უნდა ილაპარაკოს. ჩვენც სწორედ აქ გადმოვიტანეთ ბაასი. დიდ პრინციპიალურ საკითხებს თავი ავარიდეთ, რათა უფრო ნათელი ყოფილიყო დემოკრატიისთვის, თუ რა ნიადაგზე შეუძლია მას შეთანხმება და რაგვარ მოქმე-

დებას მოითხოვს მისგან დღევანდელი ისტორიული მომენტი
და სრულიადაც არა მქონდა მიზნად იმ აზრის დამტკიცება,
ვითომ სოციალ-დემოკრატებთან, ერთის მხრივ, და ნაციო-
ნალ-დემოკრატიულ ჯგუფებთან, მეორეს მხრივ, სოციალისტ-
ფედერალისტებს პრინციპიალური საკამათო საგანი არა ჰქო-
ნოდეთ რა. ცხოვრებამ დღეს პრინციპი უკან წასწია და წა-
მოაყენა ტაქტიკა, ბრძენ მოქმედების უნარის საჭიროება. ამ
სიბრძნეზეა დღეს ლაპარაკი. ეს უნდა გაიგოთ და თუ გაიგებთ
დასთანხმდებით, რომ ქართველ დემოკრატიულ ჯგუფების გა-
ერთიანება, **დღევანდელ პირობებში**, შესაძლებელია. მართა-
ლია, ბ-ნი გალიორკა გაკვირვებული გვეკითხება, „რა გვაქვს
საერთო“? მაგრამ ჩვენ არა ვხედავთ მის წერილებში პირუთვ-
ნელ კრიტიკას და საგნის გამორკვევისათვის საჭირო სიდინჯეს.
ეს სიდინჯე თვით დემოკრატიას უნდა მოეთხოვოს. მან უნდა
გადასწყვიტოს საგანი, რადგან მას ეხება იგი. „პროფესიონა-



ლურ დამცველის“ აზრს ხალხის აზრი გვირჩევნია. მართალია,
„ჩვენი გაზეთის“ პუბლიცისტები იტყვიან, ტყუილად ირჯებით,
ჩვენ და ხალხი ერთნი ვართ, ერთი აზრი გვაქვსო, მაგრამ
საქმე ის კი არ არის, გეთანხმებათ თუ არა ხალხის უმრავლე-
სობის აზრი – უმრავლეს უმცირესობის საზომი ვერაფერი სა-
ზომია სიმართლის ძებნაში, არამედ ის, რომ ხალხი ჭეშმარიტ
გზაზე იდგეს და ნათლად ესმოდეს, თუ რა არის კარგი ან ავი
ის კეთილდღეობისათვის. ამ კეთილდღეობის ერთი საფუ-
ძველთაგანი სოლიდარობის დამყარებაა იქ, სადაც შესაძლებე-
ლია სოლიდარობა. თქვენ ამ სოლიდარობის საქმეს ხელს უშ-
ლით. შემდეგ წერილში ვნახავთ, რამდენად მართალნი ხართ
და ამ ხასიათის პოლიტიკა რამდენად ხელს უწყობს დემოკრა-
ტიის გახრწნილებას.

2.

დემოკრატიის მოვალეობაა, სასტიკ პოლიტიკურ რეაქცი-
ის ხანაში, საქმე ისე წაიყვანოს, რომ არ წააგოს ის, რაც
უკვე მოპოვებული აქვს და არ გააქარწყლოს საშუალება სა-
ზოგადოებრივ დაწესებულებათა ევოლიუციისა. რამდენიმე წლის
წინად ეგრედ წოდებული „დაპყრობის ძალა“ (захватное пра-
во) იყო პატივსადები. დღეს დაპყრობის ძალით ვერას გახდე-
ბი. და ვინც ძველებურად მუქარას და ყვირილს არ იშლის,
მას დემოკრატიის საქმე არ აღონებს და არ აფიქრებს, რად-
გან პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს დახშულში, ვინაიდან
პასუხისმგებლობა სწორედ ის არის, რაზედაც ამბობს რუსთა-

ველი: „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს კარგისა მამაკაცის-
განაო“.

გავიხსენოთ ისევ ჩვენი საქმეები და კონკრეტულ მოვ-
ლენათა გათვალისწინებით ხელმეორედ დავასაბუთოთ ჩვენი
აზრის სიმართლე. სახალხო თეატრის შესახებ ჩვენა ვსთქვით,
რომ ამ თეატრის დანიშნულება ის არის, რომ ხალხში ესთე-
ტიურ გემოვნებას აღვიძებდეს. რაც შეეხება ამ თეატრის გამ-
გებლობას, სასურველია, რომ იგი ხალხის ხელში იყოს, ხო-
ლო ეს ძლიერ ძნელი საქმეა დღევანდელ პირობებში. სოცი-
ალური წყობილება იმ ხასიათისაა დღეს, რომ ხელს უშლის
ხალხის განვითარებას, მასში ესთეტიურ და არტისტიულ გე-



მოვნების გაღვიძებას. ამიტომ დღეს სახალხო თეატრის საქმე
ხალხისავე საშუალებით ვერ მოეწყობა. ეს იყო ჩემი აზრი.
ამას არ შეიძლება არ დაეთანხმოთ. ეს ასეა არა მარტო ჩვენ-
ში, უფრო განათლებულ ქვეყნებშიაც. როგორც სახალხო
უნივერსიტეტი, ისე სახალხო თეატრი ყველგან პროფესორე-
ბის და არტისტების დახმარებით არის მოწყობილი. კლასიკუ-
რი რეპერტუარი ფრანგულ დრამისა პარიზის განაპირა უბნე-
ბის თეატრებში იდგმება „კომედი ფრანსეს“ არტისტების მიერ.
სახალხო უნივერსიტეტის შესახებ ხომ ლაპარაკიც მეტია, ყველ-
გან გარეშე ძალები ეხმარებიან ამ საქმეს. ბ-ნ გალიორკა სხვა-
ნაირად აყენებს კითხვას. სახალხო თეატრი მაშინ არის სახალ-
ხო, როცა მას განაგებს თვით ხალხიო, ესთეტიურ გემოვნე-
ბის განვითარება სახაზინო, არტისტიულ და სხვა თეატრებ-
შიაც შეიძლება, მაგრამ ამ თეატრებს სახალხოს არ ვუწოდებ-
თო. მაშ თუ მაგრეა, ბ-ნ გალიორკასთვის უმნიშვნელო ყო-
ფილა თეატრი – აღმზრდელი, თეატრი – ესთეტიურ გრძნობე-
ბის გამღვიძებელი. თურმე თავი და თავი ის არის, რომ თე-
ატრს თვით ხალხი უძღვებოდეს და რა ღირსებისა იქნება ეს
თეატრი, ამას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია. ჩვენ გვეგონა,
რომ კითხვის ამგვარად დაყენება ფრიად საზარალოა დემოკრა-
ტიისათვის, რადგან, ჩვენის აზრით, დემოკრატიამ ყოველი სა-
შუალება უნდა იხმაროს, ყოველი ძალა უნდა გამოიყენოს,
რომ თავისი ხასიათი განამტკიცოს, აზროვნება გააფართოვოს
და გრძნობა გააშალაშინოს. დღევანდელ პირობებში სხვის და-
უხმარებლად ხალხი ამ მიზანს ვერ მიაღწევს და დამნაშავეა
იმის წინაშე ის, ვინც ცრუ იმედებს აღუძრავს მას გულში და
ძალღონეს დააქსაქსვინებს იმ საქმეში, რომელშიაც იგი ჯერ
ხნობით მომზადებული არ არის.

აქ იწყება ჩვენი უთანხმოება პრაქტიკულ საკითხების გა-
დაწყვეტის დროს. ბ-ნ გალიორკას აზრით ჩვენ ვღალატობთ

პრინციპს – ყველაფერი ხალხისათვის, ხალხისავე საშუალებით. „ბ. ჯორჯაძე, ამბობს იგი, ამ ფორმულის პირველ ნახევარს თითქოს ღებულობს, ხოლო მეორე ნახევარს – თუ იქნება კარგია, და თუ არა და რა გაეწყობა; თითქოს ყველაფერი ხალხისათვის, ხოლო ვისი საშუალებით, ეს მაგისთვის სულ ერთიაო". („ახ. სხივი", № 44). და ძალიანაც შემცდარია ამაში ბ-ნი გალიორკა. ეს არასოდეს არ მითქვამს. ჩემი ოპონენტის



შეცდომა აქ განზრახულია, იგი შეცდომა კი არა, უფრო სიყალბეა. და აი რატომ. როდესაც ჩემს აზრს არკვევდა, მან განგებ გამოსტოვა ის სიტყვები, რომელნიც მისთვის ხელსაყრელი არ იყვნეს. მე ვამბობდი: „თუ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო **(და მთავარი მიზეზი დღევანდელი სოციალური წყობილებაა)** ხალხის გამგებლობა ვერ ხორციელდება, ამის გულისათვის ხალხმა თეატრს არ უნდა მიაფურთხოს და გულწრფელი მუშაკთ დაუმსახურებლივ არ უნდა შეურაცხყოს". სიტყვები, რომლებსაც ეხლა ხაზი გავუსვი, ბ-ნ გალიორკას თავის ციტატაში სრულიად გამოტოვებული აქვს, თითქოს არც კი დამიწერია. და მთელი ძალა კი ამ სიტყვებშია. მთავარი საბუთი სოციალიზმის განვითარებისა სწორედ აქ იმალება. მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი დემოკრატიულ ფორმულის პრაქტიკულად განხორციელებისა აქ იბუდება. და ეს აზრი, ჩემ მიერ გამოთქმული, დაუმალა თავის მკითხველებს დემოკრატიის უებარმა მოციქულმა. ბ-ნ გალიორკა მახვილი გონების პატრონია, მაშ თვითონვე გამონახოს სიტყვა თავის საქციელის დასახასიათებლად!

ამგვარად ჩვენი აზრი სახალხო თეატრის შესახებ ამნაირია. თეატრი უწინარეს ყოვლისა ხელოვნების ტაძარია. იგი მისაწვდომი უნდა იყოს ხალხისათვის. თუ შესაძლებელია, რომ თეატრის საქმე ხალხის საშუალებით და გამგებლობით მოეწყოს, ამ გარემოებას სიამოვნებით უნდა ვეგებებოდეთ, ხოლო თუ, სოციალურ პირობების წყალობით, ხალხი თავის ძალღონით ვერ გაუძღვება თეატრს, ამ გარემოებას დემოკრატია იმ თვალით უნდა უყურებდეს, როგორითაც იგი უყურებს თანამშრომლობის საჭიროებას აღზრდა-განათლების საქმეში. არა გვგონია, რომ ამ ჩვენს მოსაზრებაში დემოკრატიის ღალატის განზრახვა იმალებოდეს.

ახლა წ.-კ. საზოგადოების საქმე გავიხსენოთ. ჩვენი აზრი ის არის, რომ ამ ჩვენს დაწესებულებას, რომელსაც კულტურული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, უნდა გავუფრთხილდეთ და განსაცდელს ავარიდოთო. სოციალ-დემოკრატებს არ ესმით ჩვენი სურვილი და სიმხდალეს გვწამებენ. ჩვენ წინააღმდეგნი

ვართ პოლიტიკურ ბრძოლის გაჩაღებისა იმ დაწესებულების ფარგალში, რომელსაც მარტოოდენ გამანათლებელი ხასიათი უნდა ჰქონდეს და სხვა არაფერი. ბ-ნი გალიორკა კი სულ



სხვა აზრისაა. წაიკითხეთ მისი სიტყვები და გადასწყვიტეთ, რამდენად სასარგებლოა დემოკრატიულ საქმისთვის საკითხის ამგვარად დაყენება. დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში ჭეშმარიტი დემოკრატი ცდილობს... თავისუფალი წყობილების დამყარებას. ის თავის მოქმედებას ბიუროკრატიულ სურვილებს და შეხედულებებს კი არ უთანხმებს, მას კი არ ეგუება, არამედ ცდილობს ხალხის გათვითცნობიერებას და მის ორგანიზაციულ შეერთებას. რამდენადაც იგი ემსახურება ამ მიზანს, იმდენად იგი მუდამ კონფლიქტშია არსებულ რეჟიმთან, იმდენად ის კავშირები თუ ორგანიზაციები, რომელშიაც ის მოქმედებს, სავსეა „ფათერაკებით“. (ეს იწერება შინაგან საქმეთა მინისტრის იმ ცირკულიარის გამო, რომელზედაც ჩვენ მივუთითეთ, როგორც იმგვარ მოვლენაზე, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოთ საზოგადოების“ უზრუნველსაყოფად). „ჭეშმარიტი დემოკრატი, განაგრძობს გულადი მწერალი, ყოველგან და ყოველთვის თავის მოქმედებას უმორჩილებს ერთ უმთავრეს მიზანს: ხალხის გათვითცნობიერება და შეკავშირება. და თუ გარეშე ძალა სიცოცხლეს მოუსპობს ასეთ დაწესებულებებს, გათვითცნობიერებული ხალხი ყოველთვის მონახავს გზას და საშუალებას თავის ძალების მოსახმარად!“ (ibid № 45).

არ გეგონოთ, რომ ყოველივე ეს სახელმწიფო სათათბიროში მოქმედების შესახებ იყოს ნათქვამი და არც ის გეგონოთ, რომ იგი მოწოდება „თავისუფალ წყობილების დამყარებისათვის“ და „ორგანიზაციულ შეერთებისათვის“ 1905 წელში ყოფილიყოს დაწერილი. არა, ყოველივე ეს დღეს იწერება წ.-კ. საზოგადოების შესახებ. წმინდა პრინციპის თვალთსაზრისით რომ შევხედოთ საგანს, დემოკრატი მართლაც ასე უნდა ლაპარაკობდეს და ასე უნდა იქცეოდეს. ტაქტიკური სარგებლობის საზომით კი რომ გავსინჯოთ საგანი, ამგვარი ტაქტიკა, კულტურულ დაწესებულებაში მოღვაწეობის გამო აღიარებული, დღევანდელ პირობებში, პირდაპირ უგუნურებად და დაბრმავებად უნდა ჩაითვალოს. დღეს თითქმის ერთად-ერთი სამოღვაწეო ასპარეზი – კულტურული მოქმედება დარჩა. პოლიტიკურ მოძრაობის ნასახიც კი არსად სჩანს. პროგრესიული ელემენტები სწავლას, ცოდნის შეძენას და კულტურის აღორძინებას დაეწაფნენ. ამ კულტურულ

ნიადაგზე მუშაობაც შეფერხებულია, გაძნელებულია, გაფათე-
რაკებული. ბნელი ძალა ყოველ საშუალებას ხმარობს, რომ
ამ მოღვაწეობაშიაც „კრამოლა“ აღმოაჩინოს და აი ამ დროს
მოწინავე ჯგუფის ბანაკიდან გაისმის ხმა, ვიღონოთ ყოველი
ღონისძიება კულტურულ დაწესებულებათა მოსასპობად, ფიქ-
რი არ არის, გათვითცნობიერებული ხალხი გზას მონახავს
თავის მოქმედებისათვისო! ეს ჩვენ დემოკრატიულ საქმის და-
ღუპვად მიგვაჩნია და ამგვარი ყოყლოჩინობა პასუხის მგებლო-
ბის გრძნობას მოკლებული დემაგოგობაა და სხვა არაფერი.

გადავსინჯოთ ახლა ტერიტორიის საკითხი. აქ უნდა მო-
ვახსენოთ ბ-ნ გალიორკას, რომ მან შეუფერებელი ხრიკი
იხმარა საგნის დასაბნელებლად. მოკამათემ უნდა იცოდეს,
როდესაც ერთს ადამიანს და მის ნაწერს ეკამათება, სხვისი
ნაწერის შინაარსი და დედა-აზრი კი არ უნდა ჰქონდეს სახე-
ში, არამედ სწორედ იმისი, ვისაც ეკამათები. ბნ-ი გალიორ-
კა კი ლელის წერილს, „დროებაში“ შემთხვევით დაბეჭდილს,
ჰგულისხმობს, მე კი შეკამათება. სჩადის ამას იმიტომ, რომ
ლელის წერილში ჰპოვებს იმას, რაც მისთვის ხელსაყრელია,
მოპირდაპირის გასაბათილებლად. ჩემს ნაწერებზე კი კრინტს
არ იღებს და ლელის მოუფიქრებელ აზრს მთელ ბანაკს ახ-
ვევს. აი, თუნდა თქვენ თვითონ გასინჯეთ. არ ვიცი საიდან,
ხოლო ლელს თავში მოუვიდა ამგვარი აზრის გამოთქმა: მა-
მულების შესყიდვის საჭიროებას ყველა ხსნის წმინდა ნაციო-
ნალური მოსაზრებით, რადგან გლეხს ნაციონალური მო-
საზრება არ ესმის, საქმე ეკონომიურ ნიადაგზე უნდა იყოს
დაყენებული. ამას გლეხი უფრო გაიგებსო. აქედან ბ-ნ გა-
ლიორკას ასეთი დასკვნა გამოჰყავს: „ბ-ნი ლელი აშკარათ
ამბობს, რომ მამულების შეყიდვა უნდა მოხდეს ნაციონალუ-
რი მოსაზრებით, მარა გლეხებს ეს არ ესმითო... როგორც
ვხედავთ, განაგრძობს იგი, ჩვენი ინტელიგენცია და გლეხი
სხვა და სხვა თვალით უყურებენ მიწის ყიდვას. პირველს
ამოქმედებს „ნაციონალური“ მოსაზრება, მეორეს ეკონომიუ-
რი... კითხვას ეკონომიურ ნიადაგზე იმიტომ კი არ აყენებენ,
რომ მას მოითხოვს გლეხის გაჭირვებული მდგომარეობა,
არამედ იმიტომ, რომ მეორე, რაღაც უზენაესი მოსაზრებას
(ნაციონალურს, უკეთ ნაციონალისტურს) გლეხი ვერ გაიგებს,
არ ამოძრავდება და მიწებს არ იყიდის და რომ ასე მოიქც-



ნენ გლეხები, ამისთვის საჭიროა ნაციონალური მოსაზრება
დროებით „ჯიბეში ჩავიდოთ“ და კითხვა ეკონომიურ ნიადაგ-

ზე გადვიტანოთო“. („ჩვენი გაზეთი“, № 2)

ყველა კარგი, ბ-ნო გალიორკა, მაგრამ ნამუსიც კაი საქონელია. ვის ეკამათებით? თუ იმ მიმართულებას, რომლის აზრის განმარტება ვიკისრე ჩემს წერილებში „დემოკრატიის გაერთიანება“, უბრალო ზრდილობა მაინც მოითხოვს, რომ წაგეკითხათ მაინც ის, რაც დავწერე ხსენებულ საგნის შესახებ. მაგრამ საქმე არც ასედაც არის. წაკითხულიც გაქვთ, დახსომებულიც, მაგრამ იგი ნაწერი აბათილებს თქვენს საპოლემიკო პოზიციას და ქურდულად დამალეთ იგი და გამოეკამათეთ „დროებაში“ იმ წერილის ავტორს, რომელმაც თავისი პირადი აზრი გამოსთქვა. აი მოისმინეთ, რასა ვწერდი და თქვენ თვითონ მიხვდებით, რა სიყალბეს სჩადიოდით, ამას რომ ანგარიში არ გაუწიეთ. მე ვამბობდი (და ეს ჩემი პირადი აზრი კი არ არის, არამედ მთელი მიმართულებისა): ტერიტორიის საკითხი, დემოკრატიის შეგნებით, ორ ელემენტისაგან უნდა შესდგეს. მისი მნიშვნელობა ორ მოსაზრებიდან გამომდინარეობს მისთვის. ტერიტორია საჭიროა აგრარულ საკითხის გადასაწყვეტად... რევოლიუცია საქართველოში მიწის სივიწროვის ნიადაგზე გაჩაღდა. ხალხს მაშასადამე მიწა ესაჭიროება და **ტერიტორია უნდა დავიცვათ იმიტომ, რომ გადავარჩინოთ ხალხი ეკონომიურ გაჭირვებისაგან, შევიწროებისაგან და შიმშილისაგან**. ტერიტორია გვესაჭიროება, როგორც საფუძველი და მატერიალური ნიადაგი ეროვნულ კულტურის ასაყვავებლად. ტერიტორია ჩვენს თვალში ეროვნული ერთეულია, რომელიც უნდა იყოს ხელუხლებელი. ამ ეროვნულ ერთეულის ნიადაგს არ უნდა გადავცდეთ და **დემოკრატიის შემეცნებაში უნდა იყოს იგი მცნება მკვიდრად გამაგრებული**“.

ამგვარად, ის მიმართულება, რომელსაც ებრძვის ს.-დემოკრატია, ეკონომიურ ელემენტს არა თუ არ უქვემდებარებს ნაციონალურს, არამედ პირდაპირ ამბობს, მიწა საჭიროა ხალხის სიმშილისაგან გადასარჩენადაო, ხოლო არც ნაციონალურ ელემენტს ჰმალავს, „ჯიბეში არ სდებს“. იგი მიმართულება პირიქით, ამბობს, რომ გლეხობას უნდა შევაგნებინოთ ეს აზრიცაო. ჩვენ მოპირდაპირეთ ჰგონიათ, რომ ჩვენს ხალხში ნა-



ციონალურ გრძნობის განუვითარებლობა იმის ინტერნაციონალურ აზროვნების სიმწიფეს მოასწავებს. ჩვენ კი გვგონია, რომ ეს ნაკლი საუბედუროდ, სათემო კარჩაკეტილობის ნაშთია, რომელიც მეოცე საუკუნეშიაც არ გამქრალა. იგი ველურობის და არა კულტურის მაჩვენებელია. და დემოკრატის მოვალეობაა აუხსნას თვალი გლეხობას და შეაგნებინოს ის,

რაც ჯერ ვერ შეუგნია.

მაშ ასე, ბ-ნმა გალიორკამ ახალი სიყალბე ჩაიდინა, მკითხველს დაუმალა ჩვენი აზრი და გამოეკამათა სხვას ჩვენი ფიზიონომიის გაბიაბრუებისათვის. ამას უწოდებთ დემოკრატიულ ზნე-ჩვეულების სიფაქიზეს? ამ სიყალბისათვის დემოკრატია არ დაგიმადლებთ, რადგან ამგვარი საპოლემიკო საშუალება გახრწნილებას სთესავს იქ, სადაც სიწმინდე უნდა იყოს დაცული!

3.

მაშ თუ დაგვიჯერეს, ჩვენც გვაინტერესებს საკითხის ეკონომიური მხარე. აქ ჩვენს შორის სადაო არაფერია. თუ სადავოდ გახადეს ეს საკითხი, ეს მხოლოდ პოლემიკის საჭიროებისათვის. ჩვენი მოპირდაპირენი პოლემიკის გულისათვის ბევრ უთავბოლო რასმეს ამბობენ ხოლმე და დემოკრატიის მოვალეობაა გაარჩიოს გრძნობის ჟინიანობა აზროვნებისაგან. აი მაგალოთად, ახალი ნიმუში ბოროტ ჟინიანობისა. ბ-ნი გალიორკა გვისაყვედურებს, ახმაურდით ტერიტორიის გამო მხოლოდ მაშინ, როდესაც მემამულეებმა „სხვებზე“ დააპირეს მიწების გაყიდვა. „სანამ მემამულე ტყავს აძრობდა“ გლეხებს, მათ ბანაკში კორიანტელი როდი იყო დაყენებული, მანამდე არავინ ჰფიქრობდა ნაციონალური ბანკის დაარსებასო“. (ibid. № 2). რას იტყვით ამის შესახებ? პარტია, რომელიც სოციალიზაციას ჰქადაგებდა და მემამულეთა მიწების სოფლის საზოგადოებათა მიერ ექსპროპრიაციას, თურმე სიტყვას არ იღებდა, როდესაც მემამულე გლეხს „ტყავს აძრობდა“! სხვისა არ ვიცი, ჩემზე ამგვარი არ შესაფერი განმარტება ფაქტებისა (ნეტავი დოკუმენტები მაინც არ იყოს ამის შესახებ!), მდაბიო ხასიათის გაიძვერობის შთაბეჭდილებას ახდენს.



მაგრამ გავყვეთ საგნის გარკვევას. „ჩვენი პოლიტიკა უაღრესად სოციალურია, ამბობს „სამართლიანობის“ მოციქული ბ-ნი გალიორკა, ბ-ნ ჯორჯაძის და მისი თანამოაზრეების კი ნაციონალისტურიო“ (იქვე. აქ ორი ტყუილია. პირველზე უკვე გვქონდა ლაპარაკი. ჩვენ ხაზგასმით ვლაპარაკობთ **სოციალურ** ელემენტის მნიშვნელობაზე. ეს, როგორც ვიცით, დაუმალა ჩვენმა ოპონენტმა თავის მკითხველს. და ამასთან აცხობს მეორე ტყუილს, ვითომ ჩვენი პოლიტიკა ნაციონალისტური, ე. ი. შოვინისტურია. არა, ჩვენი პოლიტიკა ყოველთვის იყო და დღესაც სოციალური და მასთან ნაციონალური და არა ნაციონალისტურია. ეს აზრი გამოვსახე ამგვარად: „მიწა **საქართველოს** მშრომელ ხალხს, ტერიტორია

ქართველ ეროვნებას“. აქ ორი მომენტია – სოციალური და ნაციონალური. მიწა **მშრომელს** –ერთი ელემენტია, ისიც **საქართველოს** მშრომელ ხალხს, ე. ი. ყველა ეროვნების ელემენტებს, რომელიც სცხოვრობენ საქართველოს საზღვრებში. ამიტომ ვიხმარე სიტყვა საქართველო. მეორე, ნაციონალური ელემენტი – ქართველი ეროვნებაა. ეროვნება უტერიტორიოდ შეუძლებელია. ქართველ ეროვნებას უნდა ჰქონდეს თავისი ხელუხლებელი ტერიტორია. ბ-ნმა გალიორკამ ესეც გადაატრიალა ისე, როგორც სასარგებლო იყო მისთვის. „მას (ე. ი. მე) გლეხობის, როგორც წოდების ბედი კი არ აინტერესებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქართველი გლეხისო“ (იქვე). როგორც ხედავთ, ახალი სიყალბე და ახალი ტყუილი. თუმცა საქართველოს ხალხი ერთი მცნებაა, ქართველი ხალხი მეორე მცნებაა. და ამას მე გარკვეულად ვსაზღვრავ, მაგრამ, რადგან პირველი მცნების გახსენება ხელს არ აძლევს ჩვენს პოლემისტს, იგი ეპოტინება მეორეს და მას მახვევს კისერზე. დახეთ, რა შოვინისტია, ქართველობა და არა გლეხობა აქვს სახეშიო. ამგვარად აშკარავდება თან-დათან ბ-ნ გალიორკას ოინები და მისი მოურიდებლობა კამათის დროს.

კი, გვეტყვიან პირუთვნელნი, გეთანხმებით, რომ თქვენს ფორმულით მარტო ქართველ გლეხების ინტერესი არ არის დაცული, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეროვნების გლეხებისა, მაგრამ ქართველ ეროვნებას რომ იხსენიებთ, განა ეს თქვენი ეროვნება მტრობის და ნა-



ციონალურ შუღლის საბაბად არ გახდება? თქვენ გინდათ ეროვნულ ტერიტორიის ერთეულის პრინციპი აღიაროთო. დიაღ, გვინდა. და ამაში ერთ მტკაველსაც არ დაუთმობთ მტერსა თუ მოყვარეს.

ბ-ნ გაიორკას მთელი კავკასიის გლეხკაცობის ბედი აწუხებს. უნდა მოვახსენოთ მას, რომ ეგ ვერაფერი გულშემატკივრობაა. იმიერ-კასპიის მხარის გლეხკაცობის ჭირ-ვარამი კი რატომ არ უნდა სწვდებოდეს იმის გულის? ინდოეთის საცოდავი ხალხი, რომელიც რაჯებისა და გაბატონებულ ინგლისელების მიერ იტანჯება, რატომ არ უნდა აღვიძებდეს სიბრალულის გრძნობას იმისთანა გულშემატკივარ ადამიანის გულში, როგორიცაა ბ-ნი გალიორკა? მაგრამ ამას რომ გაჰყვეს, მთელი მსოფლიოს მიადგება ადამიანი და მთელ დედა-მიწის ჭირ-ვარამი იქნებ აღარ ჩაეტიოს გმირულ, მაგრამ ადამიანის პატარა გულში. ბ-ნ გალიორკაც წინდახედული ადამიანია და კავკასიის საზღვრებს არა სცილდება. მაგრამ ერთი რამე უნდა გკითხოთ:

ვინ, სად და როდის მოისურვა უბედურება და გაწყვეტა კავ-
კასიის გლეხკაცობისა. ვისგან იცავს ამ გლეხკაცობას ბ-ნი
გალიორკა? ჩვენგან? ეს ხომ სასაცილოა. ნუ თუ იმიტომ,
რომ ერევნის და განჯის გლეხობა შეწუხებულია, ქუთაისის
და ტფილისის ხალხს უფლება უნდა წაერთვას თავის ცხოვრე-
ბის და მდგომარეობის გაუმჯობესობისა? ნუ თუ იმიტომ,
რომ კავკასიის სხვა ერებს მთლიანი ტერიტორია არ აქვთ,
საქართველომ ხელი უხდა აიღოს ავტონომიაზე და ეროვნულ
განვითარებაზე? თუ ამგვარ უგუნურობას სოციალიზმის სახე-
ლით ასაღებთ, თავს ნუ ირცხვენთ, რადგან სოციალიზმი აქ
არაფერ შუაშია...

მაგრამ თავი დავანებოთ ამ საგანს. ამ კითხვის გადაწყვე-
ტის გამო არ ვებაასებით დღეს ერთმანეთს. ჩვენს წინ საკით-
ხი უფრო სადაა. შესაძლებელია თუ არა დემოკრატიულ ელე-
მენტების შეჯგუფება იმ აზრით, რომ ხალხს მიწის შეძენა გა-
უადვილოთ? აი საგანი და „ჩვენი გაზეთი“ ამის გამო იმგვარ
პასუხს იძლევა, რომ ეს შეთანხმება, მისი აზრითაც, შესაძლე-
ბელია. მართალთა, ბ-ნ გალიორკას ენა ბუნდოვანია, გაუბე-
დავი, შეთანხმებას არც კი იხსენიებს, მაგრამ არსებითად კი
მაინც ეს შეთანხმება გამომდინარეობს მის ნალაპარაკევიდან.

ჩვენი ოპონენტი ეროვნულ ბანკის დაარსების წინააღმდე-



გია. ქართველთა ბანკს სახელმწიფო ბანკი გაუწევს კონკურენ-
ციას. კონკურენციის ნაყოფი ფასების აწევა იქნება მიწებზე –
მოგებაში მემამულე დარჩებაო. ასე თუ იქნება, არც ჩვენ ვიქ-
ნებით მომხრე ამ ბანკისა. მაგრამ, ჩემის აზრით, შესაძლებე-
ლია იმგვარ წესდების შემუშავება, რომლის ძალითაც ბანკს
აეკრძალება აჟიოტაჟის გაღუება. და თუმცა კონკურენტი ეყო-
ლუბა, მაგრამ ამ პირობებშიაც ბანკს შეუძლია დიდი სარგებ-
ლობის მოტანა. წინააღმდეგია კიდევ ბ-ნი გალიორკა ბანკისა
იმიტომ, როც ქართველთა ბანკი ქართველ გლეხებს გაუწევს
დახმარებას, ეს კი ინტერნაციონალობას ეწინააღმდეგებაო. ახი-
რებულია, თქვენმა მზემ, ბანკი იმიტომ დავაარსოთ, რომ ვო-
რონეჟიდან ან ტამბოვიდან გადმოვიყვანოთ და მოვაწყოთ სა-
ქართველოში ახალშენები! ამგვარად რომ დავაყენოთ საკითხი,
არც ერთი ეროვნული დაწესებულება არ უნდა დავაარსოთ,
ვინაიდან იგი სხვაში შურს გამოიწვევს და ეს გარემოება გა-
ხდება ეროვნულ მტრობის გამწვავებისა. ამგვარად რომ ვილა-
პარაკოთ, ბ-ნ გალიორკას არავითარი უფლება არა აქვს ატა-
როს ის შარვალი, რომელიც ზედ აცვია. რამდენია ქვეყანაზე
უშარვლო! აი ამ კრიტერიუმით უნდათ გადასჭრას სოციალუ-
რი და ნაციონალური პრობლემები! მაგრამ ამასაც დავანებოთ
თავი. თუმცა ბ-ნი გალიორკა ირწმუნება, რომ ბანკი არის

ჩემს თვალში „უებარი პანაცეა“, მაგრამ დავამშვიდებ ჩემ მოკამათეს და ვიტყვი, მე პირადად, იმედი არა მაქვს, რომ ამ ახლო მომავალში დაარსდეს ჩვენში ეს დაწესებულება. დემოკრატიის გაერთიანებაზე სწორედ იმიტომ დავიწყე ლაპარაკი, რომ სხვაგან გამოგვენახა საშუალება ტერიტორიის დაცვისათვის. აი სწორედ ამ გარემოებას უნდა მივაქციოთ მთავარი ყურადღება.

ბ-ნი გალიორკა საბედნიეროდ ამბობს: „გლეხმა პირდაპირ მემამულესთან უნდა იქონიოს საქმე. ყველა მათი გულშემატკივარნი უნდა ეცადონ, რაც შეიძლება შეღავათიან პირობებში აყიდვინონ მიწები და თან ეცადონ ისე მოაწყონ ყიდვა და ნაყიდი მიწის სარგებლობა, როგორც ეს უფრო სასარგებლო იქნება ყოველი მხრივ. **ეს არის მიწის ერთად ყიდვა, ერთად სარგებლობაო**“.

თქვენ პირს შაქარი. გლეხების გულშემატკივართა ბანაკში პირველი ადგილი, რა თქმა უნდა, ს.-დემოკრატებს უჭი-



რავთ. დავუთმოთ ეგ უპირატესობა. მაგრამ, იმედი გვაქვს, რომ იქვე სადმე ჩვენც მოგვცემენ ადგილს. ამისი იმედი იმიტომ გვაქვს, რომ ბ-ნი გალიორკა ბძანებს: „რამდენად აქეთ მიაქცევენ ყურადღებას ჩვენი მოწინააღმდეგენი და ეცდებიან ამ მხრივ სიტყვის საქმედ ქცევას – იმდენი მათი მუშაობა სასურველი და სასარგებლო იქნებაო“ (იქვე). და ეხლა, როდესაც ბ-ნმა გალიორკამ გვაჩვენა მოქმედების გზა, ჩვენ ვეცდებით გავამართლოთ მისი ნდობა და კეთილი წაქეზება საზოგადო საქმისადმი.

ხუმრობა გაშვებით, როგორც ხედავთ, აქ ჩვენ შორის სადაო არა ყოფილა რა. „მიწის ერთად ყიდვაზე და ერთად სარგებლობაზედაც“ არის ლაპარაკი. ჩვენც ვამბობდით წინა წერილებში: „აუცილებელია საქართველოს მიწის-მომქმედთა და მეურნეთა კავშირისთვის საფუძვლის ჩაყრა... ამ საქმის განხორციელება და ამ კავშირის დაფუძნება შესაძლებელი იქნება, თუ მასზე ზრუნვა და ფიქრი დაიწყეს ქართველმა დემოკრატიულმა ჯგუფებმა“ თქო.

მაშ რაშია საქმე? ამაში მაინც ყოფილა შესაძლებელი ჩვენი შეთანხმება. კი ყოფილა, მაგრამ ეს შეთანხმება ბ-ნ გალიორკას და მის მსგავს მწერლების მეოხებით მაინც არას დროს არ მოხდება.

## X

## კარგი წიგნი.

I.

წიგნი, რომლის შესახებ გვინდა ჩამოვაგდოთ ლაპარაკი, მხატვრული ნაწარმოები არ არის, იგი სიტყვა-კაზმულ მწერლობას არ ეკუთვნის. წიგნი თეორიული ხასიათისაა, იგი მეცნიერული გამოკვლევაა სოციოლოგიური პრობლემისა და მეცნიერული განმარტება-შესწავლაა ეროვნული საკითხისა. და მიუხედავად ამ მეცნიერულის ხასიათისა, წიგნი დიდის ინტერესით იკითხება – იგი უღვიძებს მკითხველს აზრს და გონებას, რადგან ეხება სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხს, ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საგანს. ეს წიგნია Bâton-ის „ერი და კაცობრიობა“, განხილული სოციოლოგიური მხრივ.



წიგნში ბევრი რამ არის საყურადღებო. ბევრი რამ ითქმის ავტორის წინასიტყვაობის შესახებ, რომელიც ქართველ ინტელიგენტის გულწრფელ აღსარებას წარმოადგენს და რომელიც საგულისხმო დოკუმენტია ჩვენი ინტელიგენციის სულის-კვეთების დახასიათებისათვის. მაგრამ ამ წინასიტყვაობას ჩვენ არ შევეხებით, და ნაწარმოების სავსებით გარჩევასაც ამ ჟამად არ ვკისრულობთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ წიგნს თავიდან ბოლომდე ერთნაირი ღირსება არა ქვს. როგორც თვით ავტორიც აღნიშინავს წინასიტყვაობაში, მასში ბევრია განმეორებანი. განმეორება აზრის სიცხოველეს ანელებს. გარდა ამისა, წიგნის მეორე ნაწილი –იურიდიული- პრობლემა ისე ზედმიწევნით და დამოუკიდებლად არ არის განხილული, როგორც ნაწარმოების წმინდა სოციოლოგიური ნაწილი, თუმცა იურიდიულ პრობლების დაყენება ეროვნულ პრინციპის მიხედვით ორიგინალურ აზრად უნდა ჩაითვალოს. წიგნის სოციოლოგიური ნაწილი და მასთან დაკავშირებული ეროვნულ პრობლემის განმარტება კი სწორედ რომ საყურადღებოა და საინტერესო. იგი პირველი ცდაა ქართულ ლიტერატურაში ეროვნულ საკითხის მეცნიერულის თვალსაზრისით განხილვისა. იგი დასაწყისია დალაგებული აწონ-დაწონილი ემპირიულ შესწავლისა იმ კონკრეტულ სინამდვილისა, რომელშიაც ვცხოვრობთ და რომლის გამო ასეთ უილაჯო ცრემლებსა ვღვრით ხოლმე მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ გვესმის და გაუგებარია ჩვენთვის. „ერი და კაცობრიობა“ ამ საქმეს გაგვიადვილებს და ხელს შეუწყობს არა მარტო ჩვენს გათვითცნობიერებას, არამედ ჩვენი მოქმედების ნამდვილ გზაზე დაყენებას.

ჩვენ გვაინტერესებს ამ ნაწარმოების დედა-აზრი და ყო-

ველივე პრაქტიკული დასკვნანი, რომელნიც გამომდინარეობენ ამ დედა-აზრიდან. ამ მხრივ „ერი და კაცობრიობა“, მიუხედავად მისი თეორიული ხასიათისა, პირდაპირ პრაქტიკულ პოლიტიკის საფუძველი და წყაროა.

თავი და თავი მნიშვნელობა აქვს მთავარ დებულების განმარტებას, სახელდობრ იმას, რომ საზოგადოება და კონკრეტული ფორმა ეროვნება ორგანიზმია. თუ ეროვნების ორგანიზმობა თქვენთვის უტყუარი ჭეშმარიტებაა, იძულებულნი ხართ აღიაროთ ყოველივე ის, რაც დაკავშირებუ-



ლია ამ ცოცხალ ორგანიზმის ზრდა-განვითარებასთან. წიგნის პრაქტიკული ფილოსოფია სწორედ ამ თეორიულ საფუძველზეა დამყარებული. ამიტომ უნდა იყოს ეს საფუძველი ნათელფენილი.

დასაწყისში ის უნდა იყოს აღნიშნული, რომ სოციოლოგიას თავისი განსაკუთრებული მოვლენა აქვს შესასწავლად. ეს მოვლენაა საზოგადოება. საზოგადოება განსაკუთრებული ორგანიზმია, ანუ სუპერ-ორგანიზმი. აქვს თავისი განსაკუთრებული სოციალური ორგანონი და ფუნქციანი. საზოგადოებრივი სუპერ-ორგანიზმი და ბიოლოგიური ორგანიზმი ერთი და იგივე არ არის. მათ შორის ღრმა განსხვავებაა. ორგანიზმი შესდგება ცოცხალ უჯრედთაგან, რომელთაც არა აქვთ არც რთული ორგანიზმის ნება, შეგნება, ლოღიკა, მისწრაფება და სხვა. საზოგადოება კი შესდგება სრულ, განვითარებულ ადამიანთა ორგანიზმთაგან, რომელთაც აქვთ ზემოხსენებული თვისებანი. ძირითადი მოვლენა საზოგადოებრივობისა არის გარეგანი მოწესრიგება საერთო ცხოვრებისა, ან კოტრაქტი, მაშინ როდესაც უჯრედთა შორის ასეთ მოვლენას ადგილი არა აქვს. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ხასიათი სუპერ-ორგანიზმისა, იგი მაინც ორგანიზმია, მიუხედავად მისი უმაღლეს ხარისხისა და თავისებურობისა (გვ. 50--51).

მაშ საზოგადოების განსაზღვრა შეიძლება იყოს ამგვარი: საზოგადოება არის ორგანიზმი, ანუ სუპერ-ორგანიზმი, შემდგარი მიზან-დასახვის ნიჭის მქონე ადამიანთაგან, რომელთა გარეგნულად მოწესრიგებული საერთო მოქმედება აკმაყოფილებს ამ ორგანიზმის ყველა მოთხოვნილებათ იმ სპეციალურ ორგანოთა საშუალებით, რომელნიც აქვს ყოველ სუპერ-ორგანიზმს განსაზღვრულ ფუნქციათა აღსასრულებლად (გვ. 53).

მაშ თუ საზოგადოება რთული სუპერ-ორგანიზმია, კაცობრიობა და ერი რაღას წარმოადგენენ? კაცობრიობას არა აქვს საერთო სოციალური ორგანოები და ფუნქციები არც ერთი მიზნის მისაღწევად სწორედ იმიტომ, რომ მას არა აქვს

არავითარი საერთო მიზანი, არავითარი მიზან-შეწონილი საერ-
თო მოქმედება და ამიტომაც ერთ სოციალურ სუპერ-ორგა-
ნიზმსაც ვერ წარმოადგენს იგი (გვ. 64). მთელი კაცობრიობა,
ეს სოციალური ფიქცია არ წარმოადგენდა არასოდეს ერთ
მთელ რამეს, რომელსაც შესძლებოდა ორგანიული სოციალუ-



რი განვითარება პირდაპირის ხაზით, დასაბამიდან დღე-
ვანდლამდე შესაძლებელი იყოს მისი განვითარების თანდათა-
ნობითი ისტორიის წარმოდგენა და მოთხრობა, როგორც ერ-
თი ორგანიზმისა, რომელმაც განსაზღვრულ დროს დაიწყო
ზრდა, განვითარება, დიფფერენციაცია ორგანოთა და ფუნ-
ქციათა გართულება, და ბოლოს მოაღწია დღევანდელ გან-
საზღვრულ წერტილს. მართლაც, კაცობრიობა დღეს ასეთ
სურათს არ წარმოადგენს. მისი ნაწილები განვითარების სულ
სხვა-და-სხვა საფეხურზედა სდგანან ყველა მხრით – როგორც
რასიულისა, ისე სოციალურის მხრით. ცხადია, მაშასადამე,
რომ ორგანიულად განვითარებულან მხოლოდ მისი განსაზ-
ღვრული ნაწილები (გვ 65). რა ნაწილებია ეს ნაწილები?
ერია კაცობრიობის შემადგენელი ნაწილი. ერი – კონკრეტუ-
ლი საზოგადოებაა. აბსტრაკტული პრინციპი – საზოგადოებრი-
ვობისა ხორციელდება თვითეულ ერში. ერი არის ერთი გან-
საზღვრული, კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, სრული
გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება განსაზღვ-
რული ტომის ადამიანათ, განსხვავებული სხვა ასეთივე კონ-
კრეტულ საზოგადოებრივ ორგანიზმისაგან, თავისი განსაკუთ-
რებული თვისებით, ორგანოებითა, მოწეს-რიგების სახითა და
ერთობ მთელი თავისი ხასიათითა (გვ. 81). აქ საგულისხმოა
საზოგადოების და ერის ცნებათა განსაზღვრა. ცნება ერისა და
საზოგადოებისა არ არის ერთი და იგივე. საზოგადოება აბსტრაკ-
ტული ცნებაა განსაზღვრული ბუნების მოვლენისა, ერი კი
განსაზღვრული კონრეტული მაგალითია ამ მოვლენის არსებო-
ბისა ბუნების წიაღთა შორის (გვ. 91). მაშ ერი არის ჭურ-
ჭელი საზოგადოებრივობისა. იგი განსაზღვრული კონკრეტუ-
ლი საზოგადოებაა. საზოგადოებას კი, როგორც ამგვარს,
შეუძლია მიიღოს მრავალი ფორმა, კერძოდ – სახელმწიფოს
ფორმა. სახელმწიფო კი ერთი ფორმაა საზოგადოებრივობისა,
რომელიც შეიძლება ჰქონდეს განსაზღვრულ კონკრეტულ
საზოგადოებას – ერს (გვ, 94).

ამგვარად, ერს სოციალური შინაარსი ჰქონია. რა ხა-
სიათისაა ეგ შინაარსი? იგი შესდგება სოციალურ მოვლენათა
კრებულიდან. სოციალურ მოვლენათა შორის არიან მარტი-
ვი და საზოგადო მოვლენანი, აგრეთვე რთული და სპეცია-

ლური მოვლენანი. ესენი არიან ეკონომიური მოვლენანი, გენეზიური, არტისტიული, სარწმუნოებრივ-მეცნიერული, მორალური, იურიდიული და პოლიტიკური რეგულარიზაცია. ან მოწესრიგება ყველა ამ მოვლენათა განსაზღვრულ ორგანოთა საშუალებით სოციალურ ორგანიზმის ზრდა განვითარებას მოასწავებს. კერძოდ რეგულარიზაცია ან მოწესრიგება ადამიანთა მიერ საზსარდოო საშუალებათა პოვნისა, კვებისა და სხვა მსგავს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, შეერთებულ ადამიანთა ძალითა – არის ეკონომიურ-სოციალური მოვლენა (გვ. 16). რაც შეეხება გენეზიურ მოვლენას, ყოველ საზოგადოების გენეზიურ მოვლენას სოციალურის მხრით ახასიათებს მოწესრიგება ცოლ-ქმრობის, მშობელთა და შთამომავლობის ურთ-ერთ შორის განწყობილებათა (გვ. 17). ხელოვნება კი, რომელიც ეხება ადამიანის ესთეტიკას, გემოვნებასა, ვნებათა – მოწესრიგებაა შეერთებულ ადამიანთა ესთეტიკისა, გემოვნებისა, ვნებისა და სხ. უმაღლეს სულიერ მისწრაფებათა გამოჩენისა (20). სარწმუნოება და მეცნიერებაც სოციალური მოვლენანი არიან, მოწესრიგებანი ადამიანის ცოდნისა, რწმენათა და მსოფლიო შეხედულობათა; აგრეთვე მათი გამოჩენა, გარდაცემა და გავრცელება ხდება მოწესრიგებული გზით, შესაფერ დაწესებულებათა საშუალებით, რომელნიც შესაფერ ფუნქციებს ასრულებენ ყოველ საზოგადოებაში (24). ზნეობა არის მოწესრიგება ადამიანთა ყოფა-ქცევისა. მისი მოძრაობა – მუდმივი ძებნაა ახალი ღირებულებათა, რომელთა დამკვიდრებაც მორალურ ნორმებათ წარმოუდგენელია გარეშე ადამიანთა საერთო მოწესრიგებულ ცხოვრებისა (25). არ არსებობს არც ერთი სოციალური კავშირი ადამიანთა, სადაც არ იყოს ამავე დროს სამართალი – ან როგორც ნამდვილი, იურიდიულ ძალ-დატანებითი ნორმები, ან როგორც წმინდა ძალ-მომრეობა, ან როგორც კონვენციონალური პირობითი ნორმები, ან და ყველა ამ ელემენტთა არევმ-დარევა (25). დასასრულ, პოლიტიკა არის ისეთი მოწესრიგებული ფუნქცია საზოგადოებისა, რომელიც მიმართულია მისი გარეგანი დაცვის მიზნისაკენ და აგრეთვე სხვა მოწესრიგებულ საზოგადოებათა შორის კავშირის დასაჭერად. მეორე მხრით, იგი ისეთი ფუნქციაა საზოგადოებისა, რომელიც უმაღლესად თვალყურს ადევნებს მოწესრიგებულ სოციალურ თა-



ნამშრომლობასა და სცდილობს კანონ-განზომილი მიმართუ-

ლება მისცეს ყველა სოციალურ მისწრაფებათა და მიზან-
თა – (29).

აქ შევჩერდეთ. ჩვენ ვალაპარაკეთ თვით ავტორი, რათა თხზულების მთავარი დებულებანი სისწორით გადმოგვცა მკითხველისთვის. ჩვენ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება ორგანიული თეორიის მთავარ დებულებებზე. ვისაც არ აკმაყოფილებს Bâton-ის დასაბუთება ორგანიულის თეორიისა, უნდა მიჰმართოს იმ წყაროებს – სოციოლოგიურ ლიტერატურას, რომელსაც ემყარება ჩვენი ავტორი, განსაკუთრებით კი დე-გრეფის და შტამლერის თხზულებათ. საზოგადოების ორგანიული თეორია ავტორს დე-გრეფისაგან აქვს შეთვისებული. ხოლო მოწესრიგების პრინციპი შტამლერმა შეაგნებინა. უნდა ვსთქვათ, რომ Bâton-ი ბრმად არ მისდევს ევროპის ავტორიტეტებს. მართალია, დე-გრეფის ორგანოგრაფიას აღიარებს იგი, ითვისებს მის მეთოდს საზოგადოებრივ მოვლენათა კლასიფიკაციისას, მაგრამ ამ კლასიფიკაციას არა ისტორიულ სინამდვილის კვლევისათვის ხმარობს იგი, არამედ მარტოოდენ როგორც მეთოდს სოციალურ ცნების განსაზღვრისათვის. გარდა ამისა, ჩვენი ავტორი არ იწყნარებს დე-გრეფის უკიდურეს მატერიალისტობას, თუმცა მისს კონტრაკტუალიზმს სავსებით თანაუგრძნობს. რაც შეეხება სუპერორგანიზმის ცნებას და საზოგადოების აღიარებას ერთ მთლიან სხეულად და განუყოფელ მონადად, აქ ჩვენი ავტორი მედგრად იცავს დე-გრეფის ორგანიულ თეორიას, რომელიც ამ უკანასკნელს სავსებით აქვს განმარტებული თავის Introduction à la sociologie-ში. ამ თხზულების პირველ ტომის მეხუთე თავში ავტორი იმ აზრსაც კი აღიარებს, რომ სოციოლოგია დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად იმიტომ ხდება, რომ მას თავისი განსაკუთრებული ობიექტი აქვს კვლევისა და ეს ობიექტი სოციალური ორგანიზმი ანუ სუპერ-ორგანიზმია. ვისაც აინტერესებს ამ აზრის ზედმიწევნით ანალიზმი, მიჰმართოს ხსენებულ თხზულებას.

გარეგნულად მოწესრიგების პრინციპი, როგორცა ვსთქვით, შტამლერის აზრია. შტამლერის თეორიით გარეგნული მოწესრიგება არის აუცილებელი პირობა სოციალური ცხოვრებისა. და ამ გარეგნული მოწესრიგების წყალობით საზოგადოება ხდება განსაზღვრულ ობიექტად სოციალური მეცნიერებისა. (Хо-



зяйство и Право ტ. I, გვერდი 103). ხოლო აქვე უნდа განვმარტოთ, რომ როდესაც გარეგნულ მოწესრიგებაზე ლაპარაკობს შტამლერი, ყოველთვის სახეში არა აქვს სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. სახელმწიფო, მისის აზრთით, მხოლოდ ერთი ფორმათაგანია სრციალური ცხოვრებისა (იქვე,

112). ამიტომ გარეგნული მოწესრიგება არის ხოლმე არა მარ-
ტო უფლებრივი, არამედ კონვენციონალური, არა მარტო
ძალდატანებით ნორმებზე დამყარებული, არამედ კონტრაკტზე
და თავისუფალ შეთანხმებაზედაც დაფუძნებული... აქ შტამ-
ლერი უახლოვდება დე-გრეფს, ფულიეს და სხვათა, რომელთა
აზრითაც ნამდვილი საზოგადოებრივობა არის კონტრაკტზე აგე-
ბული ორგანიზმი Bâton-ის უნარი კი იმაში გამოისახა, რომ
მან ამ ორ სოციოლოგთა დებულებანი შეჰკრა მაგარის კვან-
ძით და სინტეზის საშუალებით რეგულიარიზაციის და მოწეს-
რიგების ცნება ორგანოგრაფიას დაუკავშირა. უნდა აღვნიშ-
ნოთ, რომ ჩვენი ავტორი ფრიად საყურადღებოდ განსაზღვრავს
ეროვნების, ხალხოსნობის და სახელმწიფოებრივობის ცნებათ.
ამ ცნებათა ანალისზე ჩვენ არ შევდგებით. კაცობრიობის შე-
სახებ კი უნდა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა. სრული ჭეშმარი-
ტებაა, რომ კაცობრიობა ერთ სხეულს, ორგანიულ მთელს
არ წარმოადგენს და რომ ოგიუსტ კონტი ძლიერ სცდებოდა,
როდესაც სოციოლოგიური მეცნიერების ობიექტად ამ სოცი-
ალურ ფიქციას (კაცობრიობას) სთვლიდა. მაგრამ, ჩვენის აზ-
რით, Bâton-ი ისე არის გატაცებული იმ აზრით, რომ ელე-
მენტი სოციოლოგიურის მეცნიერებისა უნდა იყოს ერი, განუ-
ყოფელი ერთეული, და არა კაცობრიობა, სინამდვილეში არ-
არსებული მთლიანი სხეული, რომ თითქმის არ ხედავს იმ კავ-
შირს, რომელიც, მიუხედავად სხვა და სხვაობისა, არსებობს
კაცობრიობის შემადგენელ ნაწილებს შორის. ჩვენ აქ სახეში
ინტერნაციონალური სამართალი არა გვაქვს. ამ სამართალს
Bâton-იც უსვამს ხაზს. ჩვენ ვგულისხმობთ სხვა რამეს.

საყურადღებოა, რომ კაცობრიობის სხვა და სხვა რასანი
და ერნი ერთი და იგივე გზა განვლეს თავის განვითარება-
ევოლუციაში. პატრიარხატი ყველგან უძღოდა წინ მატრიარ-
ხატს, ფეტიშიზმი და ანიმიზმი პოლიტეიზმს. კლანი წინ უძ-
ღოდა ქალაქს (cité) და ქალაქი სახელმწიფოს და სხვა. ეს
რომ ასე არ ყოფილიყო, ამბობს მაქსიმ კოვალევსკი თავის



წინასიტყვაობაში, რომელიც მან მიუძღვნა ერთ იტალიელ სო-
ციოლოგიის თხზულებას, სოციალური ემბრიოლოგიის არსე-
ბობა შეუძლებელი იქნებოდა. (La Sociologie genétique, par
Cousentini Introduction de M. Kovalevski. p. VII). თვით კონ-
სენტინი თავის გენეტიურ სოციოლოგიაში ამბობს: „ჩვენ გა-
კვირვებულნი ვართ, როდესაც ვაკვირდებით იმ მსგავსებას,
რომელიც არსებობს პირველ ყოფილ საზოგადოების და აწ
არსებულ ველურ ტომთა შორის. ეს მსგავსება უფლებას გვაძ-
ლევს ერთად მოვუყაროთ თავი ცხოვრების საერთო ნიშნებს

და წარმოვიდგინოთ იგი, როგორც ერთი რამ ორგანიული“ (იქვე გვ. 203).

ანალოგიური საფეხურების გავლა კაცობრიობის სხვა და სხვა ნაწილების მიერ არ გვაძლევს, რა თქმა უნდა, საბუთს მთელი კაცობრიობა ერთ მთლიან სუპერ-ორგანიზმად დავსახოთ, მაგრამ ეს შესანიშნავი მოვლენა განვითარების კანონთა ერთგვარობისა გვითითებს იმ გარემოებაზე, რომ კაცობრიობის შემადგენელ ნაწილთა შორის ისეთი ღრმა უფსკრული არ არსებობს, როგორადაც იგი ეჩვენება ჩვენს ავტორს.

ასე თუ ისე, სავსებით მართალია Bâton-ი, რომ სოციალური მეცნიერების ობიექტად კაცობრიობა კი არ უნდა დავსახოთ, არამედ მისი ორგანიული შემადგენელი ელემენტი ერი. ერი – კონკრეტიული საზოგადოებაა და ამ კონკრეტული ერთეულის შესწავლიდან უნდა გამომდინარეობდეს როგორც თეორიული კვლევის დებულებანი, ისე პრაქტიკულ პოლიტიკის მოქმედებანი. თუ რანაირად არის დაკავშირებული პრაქტიკული მოქმედების გეგმა ამ თეორიულ საფუძველთან, ამას შემდეგ წერილში დავინახავთ.

## 2

განყენებული ფორმულები და თეორიები, რომელთა შესახებ წინა წერილში გვქონდა ლაპარაკი, ხორცშესხმული და ცოცხალ აზრებათ ხდებიან, მოვისურვებთ რა ამ თეორიების საშუალებით კონკრეტულ ცხოვრების შესწავლას და განმარტებას. ორგანიული თეორია საზოგადოებისა პირველის შეხედვით ფრიად დაშორებულია ადამიანთა რეალურ ინტერესებზე, მათს დღიურ ჭირვარამზე. მაგრამ რომ დააკვირდეთ სა-



განს, დაინახავთ, რომ აქ ვიწრო კავშირია თეორიასა და სინამდვილეს შორის და არც შეიძლება რომ სხვანაირად იყოს, რადგან ორგანიული თეორია საზოგადოებისა გამოგონილი და განზრახ შეთხზული არ არის, არამედ იგია იდეიური აღბეჭვდა და გამოსახვა რეალური ცხოვრებისა. აღიარეთ ორგანიული თეორია, იმ წამსვე ვალდებულნი იქნებით თქვენი პრაქტიკული მოქმედებაც შეუფარდოთ ამ თქვენ პრინციპიალურ საფუძველს. ვსთქვათ, თქვენ ქართველი ტომის ორტოდოქსი სოციალ-დემოკრატი ხართ. რა გამომდინარეობს აქედან თქვენთვის/ ის, რომ თქვენ იძულებულნი იქნებით სრულიად შესცვალოთ თქვენი პოზიცია ეროვნულ საკითხში. მაგრამ რადგან ამგვარი გაბედულება თქვენთვის არა ჩვეულებრივი საქმე იქნება, ამიტომ თქვენ ახლოც არ გაეკარებით ორ-

განიულ თეორიას და მის ჰანხილვისათვის ძვირფას დროს არ
დაჰკარგავთ. რომ სწორეთ ასე მოიქცევით, ეს ჩემი ფანტა-
ზიის ნაყოფი კი არ არის, არამედ უტყუარი ფაქტია. გადა-
შალეთ ამ თვის „ახალი აზრის“ ,ეორე ნომერი და წაიკით-
ხეთ ბიბლიოგრაფიული წერილი ვინმე ბ. ჩვენებურისა Bâton-ის
წიგნის შესახებ. წერილი სწორედ რომ შესანიშნავია, სა-
ნიმუშოა. როგორც გინდათ დააგასეთ Bâton-ის ნა-
წმოები, მაგრამ ერთი რამ კი უნდა აღიაროთ, რომ იგი
ნაწარმოები დაფუძნებულია ორგანიულ თეორიაზე და რომ
ეს თეორია მეცნიერულის მეთოდით არის განმარტებული.
ახლა წარმოიდგინეთ იმგვარი კრიტიკოსი, რომელიც ამ
წიგნს არჩევს, ხოლო კრინტს არა სძრავს ნაწარმოების მეც-
ნიერულ პრობლემის შესახებ. ბ. ჩვენებურის წერილი სწო-
რეთ ამ ხასიათისაა. და მართალი გითხრათ, არც შეიძლება
რომ სხვანაირი იყოს, რადგან მეცნიერული თხზულების კრი-
ტიკულად გარჩევისათვის, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, მეცნიე-
რების ანბანის ცოდნა მაინც არის საჭირო. ბ. ჩვენებურისთა-
ნა მწერლებს ეს აუცილებელი პირობა მწერლობისა აშკარაა
არაფრად მიაჩნიათ და ამიტომაც არის ხელს ჰკიდებენ
იმგვარ საქმეს, რომლისთვისაც არავითარი მომზადება არ შეს-
წევთ. მიუხედავად ყველა ამისა, ბ. ჩვენებურის წერილი მაინც
საყურადღებოა. იგი ეხება სწორედ იმ საგანს, რომლის შესა-
ხებაც ჩვენც გვინდა ლაპარაკი ამ ჟამად. სახეში გვაქვს Bâton-ის
თხზულებების პრაქტიკულ ხასიათის ფილოსოფია. მაგრამ ეს



ფილოსოფია საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მას განსა-
ზღვრული პრინციპიალური ხასიათი უდევს სარჩულად. თუ
ეს პრინციპიალური ხასიათი არ მიიღეთ მხედველობაში,
პრაქტიკულ ფილოსოფიას ვერ გაიგებთ და თუ ბ. ჩვენებუ-
რსავით მაინც მოისურვებთ მის შესახებ ლაპარაკს, იძულებული
იქნებით მრუდე და თითქმის არა საკადრის გზას დაადგეთ
თქვენი კვლევა დაფასების დროს.

მოგეხსენებათ, რომ ყოველ თანამედროვე საზოგადოე-
ბაში და ერში კლასთა ბრძოლა სწარმოებს. კლასთა ბრძოლა თი-
თქოს არღვევს საზოგადოების მთლიანობას. ორგანიული თეო-
რია საზოგადოებისა კი ამ მთლიანობაზეა დამყარებული. და
აქ ორში ერთია, ან ორგანიული თეორიაა უმწეო და უძლური
საზოგადოებრივ მოვლენათა ასახსნელად, ან კლასთა ბრძო-
ლის თეორია ეგუება ორგანიულ თეორიას და ამ სოციალურ
მოვლენის აღსნა შესაძლებელია ამ თეორიის საშუალებით.
Bâton-ის აზრი სწორედ აქ ტრიალებს. იგი ამბობს: ვერავითა-
რი კლასთა ბრძოლა ვერასოდეს ვერა ჰყოფს ერსა – ვერავი-

თარი სისხლის ღვრა ურთიერთ შორის ვერა სპობს მის ერ-
თობას, ვერავითარი სოლიდარობა სხვა-და-სხვა ერის მსგზავს
კლასთა შორის ვერ სპობს იმ ორგანიულ კავშირს, რომე-
ლიც არსებობს ერთი ერის სხვა-და-სხვა ნაწილთა, თვით
ურთი-ერთ მოსისხლე მტერთა შორისაც. (გვ. 174). კლასთა
ბრძოლის არსებობის ფაქტს ჩვენი ავტორი არამც თუ არ
უარყოფს, პირიქით, იმასაც კი ამბობს – საზოგადოების სხვა-
და-სხვა ნაწილთა შორის ხშირად სისხლის ღვრაც ხდება ხოლ-
მე და მოპირდაპირენი მოსისხლე მტრებათ ხდებიან. ხოლო,
მიუხედავად ყველა ამისა, ერის ერთობა და მთლიანობა მაინც
არ ირღვევაო. ამგვარია Bâton-ის აზრი. ეს აზრი თუ აღია-
რეთ უსათუოდ ორგანიული თეორიას უნდა დაუბრუნდეთ,
იგი გასინჯოთ, ასწონ-დასწონოთ, რადგან უამისოდ გაუგება-
რი დარჩება თქვენთვის ის, თუ რანაირად შეიძლება მორიგე-
ბა ერთმანეთში კლასიური ანტაგონიზმისა და ეროვნული
მთლიანობისა. ბ. ჩვენებურს, როგორცა ვსთქვით, ორგანიულ
თეორიასთან მიკარება ეზარება, კლასთა ბრძოლის შესახებ კი
სწყურია ლაპარაკი. და სდგება იმ გზაზე, რომელზედაც არ
უნდა დამდგარიყო არც ერთი პატიოსანი კრიტიკოსი. არც
აცივა არც აცხელა და აღიარა – Bâton-ი საზოგადოებრივ



სტრუქტურაში კლასებს არ ხედავსო, „ის ვერა ხედავს“ ამბობს ბ.
ჩვენებური, „ან განგებ არა ხედავს ისეთ სოციალურ სინამდვი-
ლეს, როგორსაც წარმოადგენენ კლასებიო“. ამ უცნაური ჭირის
გავრცელება, მაშინ, როდესაც წიგნში სწერთ რომ კლასებზეა
ლაპარაკი პირდაპირ კადნიერებად ჩაითვლება. თავის შეხედულე-
ბის განსამარტავად კლასთა ბრძოლის შესახებ Bâton-ი ამბობს
შემდეგს: კლასთა ბრძოლა, საზოგადოთ ეკონომიური ცხოვ-
რება, თვით არის ერის შინაგანი ორგანიული მოვლენა, ერ-
თი ნაწილი მის შინაგან ორგანიულ ცხოვრებისა. ერის მთე-
ლი ცხოვრება ცხოვრებაა მთელი სოციალური ინდივიდუა-
ლობისა. სოციალიზმი კი ერის შინაგანი გარდაქმნის საკით-
ხია. ამიტომაც ეროვნული საკითხი და სოციალიზმი სხვა-და-
სხვა სფეროებში არიან და ლოღიკურად ერთმანეთს არ ეწი-
ნააღმდეგებიან. ამიტომაც სოციალური ინტერნაციონალიზმი
მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც ერის უფლებაზე, ერის ინ-
დივიდუალობის ხელშეუხებლობაზე დაამყარებს ერთა თანხმო-
ბას, ე. ი. ინტერნაციონალსა და არა მათ უარყრფაზედ, რაი-
ცა ხშირად ემართებათ სოციალისტებსო (გვ. 370). მაშ თურ-
მე საქმე კლასების არ დანახვაში კი არ ყოფილა, არამედ
იმაში, თუ რა ადგილი უჭირავს კლასიურ საკითხს ეროვნულ
და ინტერნაციონალურ ორგანიულ ცხოვრებაში. ბ. ჩვენე-

ბურსაც შერცხვა და მან მოინდომა შეთხზული ჭორის სიმძიმის შემსუბუქება. იგი აშბობს: „ჩვენ არ გვინდა უსამართლოდ მოვექცეთ Bâton-ს. **უნდა გამოვტყდეთ** (კურსივი ჩვენია), რომ ზოგ ადგილას მართლაც ახსენდება მას კლასები და მოკლედაც უსწორდება მათო“. დალოცვილო, ნუ თუ ტყუილის შეთხვეზა იმიტომ გინდოდათ, რომ საჯაროთ გამოტეხილიყავით, ვიცრუე და მაპატიეთ, უსამართლოდ ვერ მოვიქცევიო. და თუ ასეა, ახალი ტყუილები რიღასთვის გამოაცხეთ მონანიების დროს? განა მართალია ის, რომ Bâton-ს მხოლოდ „ზოგ ადგილს ახსენდება კლასები“ ან ის, ვითომ იგი მათ „მოკლედ უსწორდება?“ რა თქმა უნდა, არა. ამ საკითხს ავტორი უძღვნის მთელ მეცხრე თავს (გვ. 168- 193). და ამავე საგანს უბრუნდება წიგნის იმ ნაწილში, სადაც ერის თეორიებს იკვლევს (თავი მეცხრამეტე გვ. 307-346). აღნიშნულ ადგილებში კლასთა ბრძოლის საკითხი ვრცლად არის განხილული. და სხვანაირად ავტორი ვერც მოიქცეოდა, რად-



გან მისი წიგნის დედა-აზრი კლასთა ბრძოლის დამალვა კი არ არის, არამედ იმ აზრის დამტკიცება, რომ სოციალური ანტაგონიზმი ეროვნულ ორგანიზმს არა შლის და არ არღვევს. ყვალა აქედამ მკითხველი აშკარად დაინახავს, რა შორს უვლის ბ. ჩვენებური და რა რიგად ეკრძალვის არამც თუ პრობლემის განხილვა, არამედ მისი სამართლიანად დაყენებაც კი.

სულ სხვა იქნებოდა, ორგანული თეორია რომ დაერღვია ბ. ჩვენებურს. მაშინ მას არ დასჭირდებოდა ავტორის მიერ დაყენებულ პრობლემის დამალვა, არც ტყუილების ფარ-ხმალს გამოიყენებდა. მაშინ მკვიდრად იდგებოდა კლასიურ და არა ორგანიულ ნიადაგზე და მისთვის ეროვნებას მართლაც არავითარი ფასი აღარ ექნებდა. ეხლა კი, ნურას უკაცრავად, ტკბილი ქადები კი გყვარებიათ, მაგრამ ეს ქვეყანა უბრძოლველად არავის რგებია!..

ორგანიული თეორია საზოგადოებისა იმ ხასიათისაა, რომ ადამიანი, რომელიც მას არ ჩაუკვირდება, შეიძლება ადვილად გაებას მახეში ზერელე მოაზრე, უკიდურესი რეაქციონერი ადვილად ააგებს მასზედ თავის პოლიტიკის ქვემძრომ განზრახვებს. ამგვარადვე შეიძლება ბოროტად გამოიყენოს იგი უკიდურეს მემარცხენემაც, პარტიულის და სექტიურის ინსტისკტებით გატაცებულმა. ორგანიული თეორია, რომელიც საზოგადოების განუყოფელობას აღიარებს, თითქოს ხელს აფარებს და თვალს არიდებს კლასიურ ანტაგონიზმს, ბრძოლას, რომლითაც მშრომელი ხალხი სულს იბრუნებს უკეთესის მომავლის მოლოდინში. და აქ თითქო ფართო

მოედანი იშლება ყველა ჯურის ბატონთა თარეშობისათვის
და აქვე ისახება შესაძლებლობა ამ თეორიის წინააღმდეგ გალაშ-
ქრებისა ჩაგრულთა და დავრდომილთა მიერ. ნამდვილად კი არც
რეაქციონერებს, არც უკიდურეს მემარცხენეებს არავითარი უფ-
ლება არა აქვთ ორგანიული თეორიის სახელით ან მის წინა-
აღმდეგ იმოქმედონ. პირველებს არა აქვთ უფლება იმიტომ,
რომ ორგანიული თეორია მათს პრივილეგიებს არ იცავს, არ
უარ-ჰყოფს საზოგადოების ძირითად გარდაქმნის საჭიროებას.
მეორეებს კიდევ სწორედ ამ გარემოების გამო ეკარგებათ
ნიადაგი მის წინააღმდეგ მტრობისა. Bâton-ი ამბობს: სოცია-
ლური ერთობა ერთისა და იმავე ერის მოწინააღმდეგე კლას-
თა შორის უფროა, ვიდრე სხვა და სხვა ერის მსგავს კლასთა



შორის, ვინაიდან მარტო მეურნეობა კი არ აერ-
თებს საზოგადოებრივ ჯგუფთა, არამედ მთელი ორგანიული
სოციალური ცხოვრება – ენა, რჯული, ზნე-ჩვეულება, ესტე-
ტიური კულტურა, ისტორიული ტრადიციები, პოლი-
ტიკა, საერთო რთული მიზანი და სხვა. (გვერდი 192).
ამაზე მემარჯვენე იტყვის, ამ თეორიას გამოვიყენებ,
რადგან, ბრძოლას რომ გამომიცხადებენ, ენაზე, რჯულზე,
ზნე-ჩვეულებაზე და სხვა ამისთანებზე მივუთითებ, და მებრ-
ძოლთ მივასუსტებო. მემარცხენე იტყვის, ხომ გესმით, რას
ამბობს მჩაგვრელი, თქვენც ეგ გინდათ, ძირს ორგანიული
თეორია! ბ. ჩვენებური სწორედ ასე ირჯება. კიდობნიდან
ამოუღია დახავსებული აზრი, რომლითაც ერთ დროს ყურე-
ბი გაგვიჭედეს მესამე დასელებმა და გვეუბნება: „თურმე
ქართველ მუშას მეტი სოციალური ერთობა აქვს ქართველ
კაპიტალისტებთან, ვიდრე მასთან უღელში შებმულ სომეხ და
სხვა მუშებთან. ასეთი სისულელის თქმა აღარავის ეპიტნავება
მას შემდეგ, რაც ამის გამო ბ-ნ ჯორჯაძეს უწყალოდ ტყავი
გააძვრესო“. საქმე კი იმაშია, რომ არც „უწყალოდ ტყავ-გა-
მძვრალ“ ჯორჯაძის მიერ, არც Bâton-ის მიერ კითხვა ამგვა-
რად არ იყო დაყენებული. მაშინ და ეხლაც პრობლემა ამგვარად
ისახებოდა. როდესაც ერს განსაცდელი მოელის, როდესაც იგი
სიკვდილის პირზე სდგას, უპირველესი მოვალეობაა ამ განსაცდე-
ლის თავიდან მოშორება და სიკვდილიდან თავის დაღწევა. კლა-
სიური ბრძოლის ხასიათი, მიმდინარეობა და ზრდა-ვითარება ამ
პირობებს უნდა გაუწიოს ანგარიში. ამ ათის წლის წინად
ტყავგამძვრალი თქვენი მორჩილი მონა ამას ამბობდა. დღეს
Bâton-მა იმავ აზრს მეცნიერული საფუძველი მოუნახა. იგი
ამბობს: „განა ინდივიდი უარ-ჰყოფს უფლებას საკუთარ არსე-
ბობისას რომელიმე პრინციპის სახელითა? მაშინ ხომ იმისთვის

ეს პრინციპი ისპობა, როგორც ისპობა ყველაფერი! იგივე ითქმის ერზედაც, როგორც ცოცხალ სოციალურ ორგანიზმ-ზედ. იგი უნდა სცდილობდეს მარადის სიცოცხლეს – ეს იქნე-ბა მისი უდიდესი, უპირველესი ნიჭი, სულიერი სიძლიერე, ამიტომაც უპირველეს ყოვლისა, ერის დაცვა აუცილებელია სოციალიზმისათვისაც, უამისოდ ჰქრება სოციალიზმისათვის თვით პრობლემა სოციალიზმისა, რადგან სოციალიზმი ერთა შინაგანი გარდაქმნის პრობლემაა (გვ. 312). აი პრაქტიკული



ფილოსოფია Bâton-ის წიგნისა. და ვინც წაიკითხავს ამ ნაწარ-მოებს და ბ. ჩვენებურის კრიტიკასაც გაეცნობა, უნებლიეთ გაიფიქრებს: ჯერ კიდევ არ გათავებულა მეფობა უვიც და მატყუარა საზოგადო მოღვაწეებისა!..

მაგრამ ორგანიულ თეორიას სხვა მხარეც აქვს. იგი გვა-ძლევს მასალას შემოქმედებითი პრაქტიკულ მუშაობისთვის. ამ მასალას სოციალური ორგანიზმი გვაწვდის. ეს ორგანიზმი გვასწავლის – ერის ზრდა განვითარება, მისი კულტურა და მო-მავალი დამოკიდებულია ეროვნულ ორგანიზმის ნორმალურ განვითარებისაგან. ეს განვითარება კი შეუძლებელია, თუ ორ-განიზმის ორგანონი და ფუნქციანი მოშლილნი არიან, ან კი-დევ თუ ეროვნულ ორგანიზმს გარეშე ძალამ და ისტორიულ-მა ბედმა განუნახევრა ერის ვითარებისათვის საჭირო რიცხვი ორგანოებისა.

ჩვენს სოციალ პოლიტიკურ მდგომარეობას რომ დავა-კვირდეთ, აშკარად დავინახავთ განუვითარებლობას ეროვნულ სხეულისა და მის ორგანოებისა. ჩვენს წინ დიადი პრაქტიკუ-ლი მოვალეობაა – განკურნება ამ სხეულისა და მოწყობა და მო-მართვა განვითარებისთვის საჭირო ორგანოებისა.

საქართველოს ეროვნული სხეული დღეს მოშლილია. დღეს ჩვენი ეკონომიური სტრუკტურა რადიკალურად იცვლე-ბა. ჩვენი სისუსტე და ავადმყოფობა იმაშია, რომ შუა გზაზე ვდგევართ, ვერც საბოლოვოდ ძველისთვის დაგვიღწევია თა-ვი, ვერც ეკონომიური ცხოვრების ახალი ფორმები შეგვითვი-სებია. დღეს ჩვენი ეროვნულ-კულტურული ორგანიზმი დიდს განსაცდელშია, მას ძველ კულტურასთან ძაფები აქვს გაწყვე-ტილი. ახალი კულტურა ოდნავ იბრუნებს სულს. დენაციო-ნალიზაციის მძიმე ლოდი მას წელში ჰკაკვავს. ჩვენთვის დღეს ვინაობის პრობლემაა გასარკვევი. ამ მოვლენებთან არის და-კავშირებული ჩვენი სოციალ-პოლიტიკური მოქმედების გეგმა. ამ წყაროდან ენიჭება მას ცხოველმყოფელი და პრაქტიკული მნიშვნელობა.

თუ ამ პირობების მიხედვით სოციალურ პროგრამის ერთ

მხარეს ძველი ეკონომიური სტრუკტურის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა შეადგენს, თუ კაპიტალიზმი საზოგადოდ მოსპობს ფეოდალურ წყობილების ნაშთებს, ნუღარ შევუშინდებით ახალ ფორმებს ეკონომიური მოქმედობისას და საქმიანობა დავსახოთ



პრაქტიკულ გამრჯელობის გეგმად. კაპიტალიზმის საჭიროების განვითარება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა შევურიგდეთ შრომის და კაპიტალის შუა არსებულ წინააღმდეგობას. ამ წინააღმდეგობას არ ვურიგდებით და არასოდეს არ უნდა შევურიგდეთ. და აქ არის განსხვავება ჩვენსა და მათ შორის, ვინც შრომის ექსპლუატაციას არ ხედავს და სოციალურ წინააღმდეგობას ხელს ჰფარავს. ხოლო თუ კაპიტალიზმი საშუალებას გვაძლევს დიდ ბოროტებასთან ბრძოლაში, თუ იგი საუკეთესო გზაა ჩვენი ქვეყნის გადემოკრატებისთვის, და მით ჩვენი ეროვნების გამაგრებისათვის, დავაფასოთ მისი ისტორიული მნიშვნელობა და დოკტრინის გამარჯვებისათვის შეურიგებელ და განყენებულ რადიკალიზმის ფორმულებით ნუღარ ვხელმძღვანელობთ პრაქტიკულ მოქმედობის დროს.

თუ, მეორეს მხრივ, ჩვენი ვინაობის დაცვის და ეროვნულ კულტურის განვითარებისათვის საჭიროა შექმნა და გამაგრება განსაზღვრულ სოციალურ ორგანოებისა მთელი ჩვენი ცხოვრების მოწესრიგებისათვის, უნდა მარადის გვახსოვდეს, რომ ეროვნულ კულტურის თანდათანი განვითარება და ამისათვის საჭირო საფეხურების გავლა, ჩვენს ეროვნულ სხეულს გაამაგრებს, ჩაჰბერავს მას ახალს სულს, ვინაიდან სიძლიერე და ხანგრძლივობა ყოველი სოციალური ორგანიზმისა დამოკიდებულია ამ ორგანიზმის ორგანოების სისაღეზე და მათს შეთანხმებულ მოქმედებაზე ერთი მიზნის მიხედვით. ნელი და სუსტია ჩვენი მსვლელობა მომავლისაკენ, თუ ჩქარი და ძლიერი, არასოდეს – უიმედობის და უკან დახევის ხანაში განსაკუთრებით – არ უნდა ვკარგავდეთ მოძრაობის სახელმძღვანელო აზრს, მოქმედების საბოლოო მიზანს.

ამ ხასიათის პრაქტიკულ აზრებს ჰბადავს მკითხველში Bâton-ის „ერი და კაცობრიობა“. და სწორედ ამიტომ მადლობა უნდა უთხრათ ავტორს, რომელმაც თავის ნაწარმოებით ამ შავბნელ დროში გაგვამხნევა და უკეთესი მომავლის იმედი გაგვიცხოველა.

---